თბილისის სასულიერო აკადემია

რელიგიურ თემაზე გამოცემული წიგნების

ანოტირებული

# ბიბლიოგრაფია

1978-2015

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY

# AN ANNOTATED BIBLIOGRAPHY OF THE BOOKS WRITTEN ON RELIGIOUS THEMES

## 1978-2015

THE PUBLISHING OFFICE OF TBILISI THEOLOGICAL ACADEMY AND SEMINARY

TBILISI

2015

თბილისის სასულიერო აკადემია

# რელიგიურ თემაზე გამოცემული წიგნების ანოტირებული ბიბლიოგრაფია

## 1978-2015

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა

თბილისი

2015

## ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის აღსაყდრებიდან 38-ე წლისთავს

ნაშრომი წარმოადგენს ანოტირებულ ბიბლიოგრაფიას, რომელიც მოიცავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის აღსაყდრების პერიოდიდან (1978 წ.) დღემდე რელიგიურ თემაზე ქართულ ენაზე შექმნილ და თარგმნილ ლიტერატურულ პროდუქციას. წიგნი განკუთვნილია თეოლოგებისა და მომიჯნავე დარგებში მომუშავე სპეციალისტების, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტი-ახალგაზრდობისა და რელიგიურ-სარწმუნოებრივი საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

The present publication represents an annotated bibliography which comprises an entire literary production written and translated in the Georgian Language on religious themessince the period of the enthronement (1978) of the Catholicos-Patriarch of All Georgia, Archbishop of Mtskheta and Tbilisi, Metropolitan of Bichvinta and Tskhum-Apkhazeti, His Holiness and Beatitude Ilia II up to now. It is classified as a book for theologians and specialists of the related fields, teachers and professors, students and a wide circle of readers who are interested in religious and theological issues.

© თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა

ISBN 978-9941-9258-8-7

**პროექტის ხელმძღვანელი და მთავარი რედაქტორი**

დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია

თეოლოგიის დოქტორი

**რედაქტორი:** ხათუნა მემანიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი

**სარედაქციო კოლეგია:** თამთა ფარულავა, თამარ ჩუბინიძე, დიაკონი გიორგი ბედიაშვილი, რევაზ მუჯირიშვილი, მარიამ ჭითანავა

**რეცენზენტი:** ნინო მელიქიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**მასალის მოძიებაზე მუშაობდნენ თბილისის სასულიერო აკადემიის სტუდენტები:**

დიაკონი გიორგი ბედიაშვილი, მამუკა თეთრაძე, ხატია ლეკიშვილი, ქეთევან მაისურაძე, რევაზ მუჯირიშვილი, ნინო პეტროსიანი, ნინო საძაგლიშვილი, ლევან სილაგავა, ქეთევან სხილაძე, ნინო სხირტლაძე, თეა ღავთაძე, მარიამ ჭითანავა

**PROJECT DIRECTOR AND MANAGING EDITOR**

**Doctor of Theology**
**Archpriest MAKSIM CHANTURIA**

**EDITOR:** **Doctor of Philology**

**KHATUNA MEMANISHVILI**

**EDITORIAL BOARD:** **TamtaParulava, Tamar Chubinidze, Deacon Giorgi Bediashvili, Revaz Mujirishvili, Mariam Chitanava**

**REVIEWER:** **Doctor of Philological Sciences**

**NINO MELIKISHVILI**

**THE ENTIRE MATERIAL FOR THE BOOK COLLECTED BY THE STUDENTS OF TBILISI THEOLOGICAL ACADEMI:**

**Deacon Giorgi Bediashvili, MamukaTetradze, KhatiaLekishvili, KetevanMaisuradze, RevazMujirishvili, Nino Petrosiani, Nino Sadzaglishvili, LevanSilagava, KetevanSkhiladze, Nino Skhirtladze, Tea Ghavtadze, Mariam Chitanava**

რელიგიურ თემაზე გამოცემული წიგნების ბიბლიოგრაფიის შექმნის იდეა ეკუთვნის მის უწმინდესობასა და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს. ამ ინიციატივით მისი უწმინდესობა მიზნად ისახავდა, წარმოეჩინა იმ ავტორთა და გამომცემელთა განსაკუთრებული ღვაწლი, რომლებმაც შექმნეს სასულიერო მწერლობის ძველი ქართული თარგმანებისა და ახალი ქართული საეკლესიო ლიტერატურის ვრცელი ბიბლიოთეკა.

წიგნი შეიქმნა თბილისის სასულიერო აკადემიის კედლებში, მის თანამშრომელთა და სტუდენტთა განსაკუთრებული ენთუზიაზმითა და სიყვარულით. ბიბლიოგრაფიისათვის საჭირო მასალის მოსაძიებლად შეიქმნა სტუდენტთა ჯგუფი, რომელიც დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა დაკისრებულ საქმეს. საბოლოო სახე ნაშრომმა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობაში მიიღო. რა თქმა უნდა, წინამდებარე ბიბლიოგრაფიული ნაშრომი თავისუფალი არ არის ხარვეზებისაგან, თუნდაც იმიტომ, რომ მასში აისახა საგამომცემლო საქმიანობაში არსებული სირთულეები, რომლებიც აღნიშნულ ეპოქას ახასიათებს. მიუხედავად ამისა, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იგი დააინტერესებს და დახმარებას გაუწევს როგორც სპეციალისტებს, ისე ფართო მკითხველს.

დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია

# წინათქმა

21-ე საუკუნეში, როდესაც ადამიანის ცნობიერება დაიპყრო მოზღვავებულმა ინფორმაციამ, განსაკუთრებით იზრდება ბიბლიოგრაფიული ლიტერატურის მნიშვნელობა. ეს არის ერთგვარი გზამკვლევი, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტულ დარგში მომუშავე მეცნიერსა თუ უბრალოდ დაინტერესებულ მკითხველს ინფორმაციას მიაწვდის და დახმარებას გაუწევს საჭირო მასალის მოძიებაში.

წინამდებარე ბიბლიოგრაფიული ნაშრომი მოიცავს რელიგიურ თემაზე არსებულ ლიტერატურას, რომელიც შექმნილია ქართულ ენაზე 1978 წლიდან 2015 წლამდე — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის აღსაყდრების დროიდან დღემდე. ეს არის ანოტირებული ბიბლიოგრაფია, რომლის მიზანია, თავი მოუყაროს და შეუზღუდავად წარმოადგინოს ამ პერიოდში რელიგიურ თემაზე შექმნილი ყოველგვარი ხასიათის ლიტერატურული პროდუქცია. აქედან გამომდინარე, ბიბლიოგრაფიაში შესულია უაღრესად ფართო სპექტრის, შინაარსობრივი თვალსაზრისით ურთიერთგანსხვავებული ლიტერატურა. აქ თავს იყრის საღვთო წერილის გამოცემები, წმ. მამათა შრომები, ცხოვრება-მარტვილობანი, სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგის სამეცნიერო ნაშრომები, შემეცნებითი ხასიათის თხზულებები, საეკლესიო ლიტერატურის თარგმანები, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები, ბიოგრაფიული შინაარსის ნაწარმოებები, პერიოდული ლიტერატურა, პრაქტიკული დანიშნულების მქონე გამოცემები, როგორიცაა სხვადასხვაგვარი ლოცვები, კალენდრები, ტიპიკონები და ა.შ.

ეს ბიბლიოგრაფიული ნაშრომი საყურადღებოა იმითაც, რომ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს ბოლო ათწლეულების ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ მხარეზე. მასში აღნუსხული გამოცემები ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ინტერესებსა და ნააზრევს, ქართულ სინამდვილეში მიმდინარე პროცესებს, დროთა განმავლობაში ქართული ცნობიერების მეტამორფოზას გამოხატავს; ნათლად აჩვენებს რელიგიური თემებით, კონკრეტული სარწმუნოებრივი საკითხებით დაინტერესების ზრდის დინამიკას. ეს მეტყველი დასტურია იმისა, თუ როგორი მზარდი მნიშვნელობა შეიძინა ამ პერიოდში ქართველი ადამიანისათვის მართლმადიდებლურმა სარწმუნოებამ, რომელიც, ფაქტობრივად, ხელახლა დამკვიდრდა ხალხის ყოფაში და მისი ცხოვრების წესი განსაზღვრა.

ბიბლიოგრაფიისათვის შეგროვილი მასალის შესწავლა-დამუშავებისა და

არაერთგზისი შემოწმების საფუძველზე გამოიკვეთა ბოლო ორი-სამი ათწლეულის მანძილზე რელიგიურ თემაზე გამოცემული წიგნებისათვის დამახასიათებელი რამდენიმე თავისებურება, რომლებზეც ყურადღება უნდა გავამახვილოთ, რათა მკითხველისათვის ნათელი გავხადოთ ბიბლიოგრაფიულ ნაშრომში შეტანილი მასალის ხასიათი. როგორც ცნობილია, ტრადიციისამებრ, საქართველოში არსებულ ბევრ მონასტერში აქტიური ლიტერატურული მუშაობა მიმდინარეობს. ამდენად, რელიგიურ თემაზე დასტამბული წიგნების ნაწილს მონასტრებში მომზადებული გამოცემები წარმოადგენს. მათ ხშირ შემთხვევაში აერთიანებს სპეციფიკური ნიშანი — წიგნის სატიტულო გვერდზე არ ჩანდეს ავტორი, მთარგმნელი, რედაქტორი ან პირი, რომელმაც გამოსაცემად მოამზადა ტექსტი. ამგვარი საგამომცემლო თავისებურების საფუძველი სავსებით გასაგებია, როდესაც საქმე ეხება მონასტრის გამოცემებს, სადაც ბერ-მონაზვნები ეწევიან ლიტერატურულ შრომას. თუმცა მათ გვერდით გვხვდება წიგნები, რომლებსაც ასეთივე თავისებურება ახასიათებს, მაგრამ ეს გამოწვეული არ არის გარკვეული მოსაზრებით სახელის განზრახ დაფარვის სურვილით. ასეთ შემთხვევებში, როგორც ჩანს, გამომცემლებისათვის მეორეხარისხოვანია წიგნის გარეგნული მხარე და განსაკუთრებულ მნიშვნელობას მკითხველამდე უშუალოდ ტექსტის, შინაარსის მიტანა იძენს. ამგვარი გამოცემები შეიძლება დაბეჭდილი იყოს ელემენტარული საგამომცემლო ნორმების დარღვევით, რაც გამოიხატება იმაში, რომ წიგნს არ ჰყავდეს რედაქტორი, არ იყოს მითითებული გამომცემლობა, რიგ შემთხვევაში — გამოცემის წელი და წიგნის ავტორიც კი; თარგმანთა ზოგიერთ გამოცემაში შესაძლებელია დასახელებული არ იყოს ორიგინალური თხზულების ავტორი, მაშინაც კი, როდესაც მისი ვინაობა ცნობილია, იშვიათად — მითითებული არ იყოს მთარგმნელიც და ა.შ. თავისთავად ცხადია, ამგვარი თავისებურებები ახასიათებს არა მხოლოდ რელიგიურ თემაზე დაბეჭდილ წიგნებს, არამედ, საზოგადოდ, ამ პერიოდის გამოცემათა მნიშვნელოვან ნაწილს. ამ ფაქტს ობიექტური ახსნა მოეპოვება და, საფიქრებელია, გამოწვეულია ბოლო ათწლეულებში საგამომცემლო ინდუსტრიის ხანმოკლე დროის განმავლობაში ერთბაშად გაფართოებით. თუმცა, რელიგიურ თემაზე გამოცემული წიგნების შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ ერთგვარი გარეგნული ნაკლი ვერ ჩრდილავს ამ წიგნების შინაარსობრივ მხარეს. მათში, როგორც წესი, თავს იყრის უაღრესად საყურადღებო მასალა, რომელიც საინტერესო და ბევრისმომცემია მკითხველისათვის. ეს წიგნები, ყველა სხვა გამოცემასთან ერთად, მონაწილეობენ იმ საერთო სურათის შექმნაში, რომლის ასახვაც ჩვენს მიზანს წარმოადგენს.

ამ პერიოდში რელიგიურ თემაზე გამოცემული წიგნების უმეტეს ნაწილს არ უძღვის ანოტაცია, რამაც ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაზე ჩვენი მუშაობა კიდევ უფრო გაართულა და გაახანგრძლივა. და თუ ბიბლიოგრაფიაში შესული რამდენიმე გამოცემა მაინც დარჩა ანოტაციის გარეშე, ამის მიზეზი გახდა

მხოლოდ ის, რომ ჩვენთვის შეუძლებელი აღმოჩნდა ამ წიგნების მოძიება და გაცნობა.

სამეცნიერო გამოცემებში არაიშვიათად ანოტაციის მაგივრობას შესავალი წერილი ასრულებს. ასეთ შემთხვევებში ბიბლიოგრაფიაში შევიტანეთ შესავალ წერილზე დაყრდნობით ჩვენს მიერ შედგენილი ანოტაცია.

ყველაფერ ზემოთქმულთან ერთად, ბიბლიოგრაფიაზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა არაერთი სხვა ხარვეზიც, რომელთა აღნიშვნა აქ ზედმეტად მიგვაჩნია, რამდენადაც ისინი უკვე ჩამოთვლილთაგან პრინციპულად არ განსხვავდება.

ასეთ ვითარებაში წიგნის აგებულება განსაზღვრა უაღრესად მრავალფეროვანი მასალის სპეციფიკამ. გამოიყო შემდეგი განყოფილებები: 1. წმინდა წერილის გამოცემები; 2. წმინდანი ავტორები; 3. საეკლესიო მწერლები; 4. საერო ავტორები; 5. კრებულები, თარგმანები, გამოკვლევები, სხვადასხვა; 6. ლოცვები, კალენდრები.

პირველ განყოფილებაში ბიბლიისა და მისი ცალკეული ნაწილების პრაქტიკულ გამოცემებთან ერთად თავი მოიყარა საღვთო წერილის ცალკეული წიგნების სამეცნიერო აკადემიურმა გამოცემებმა გამოკვლევებითურთ. ამ ნაწილში მოქცეული წიგნები დალაგებულია ანბანის რიგზე სათაურების მიხედვით.

მეორე განყოფილება აერთიანებს წიგნებს, რომელთა ავტორები წმინდანებად არიან შერაცხილი მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ. ამ ნაწილში მეოცე საუკუნის წმინდან ავტორთა ნაშრომებთან ერთად თავს იყრის ადრეული საუკუნეების როგორც ქართველ წმინდანთა, ისე ბიზანტიელ წმინდა მამათა თხზულებების ქართული თარგმანების გამოცემები, რომელთაც დართული აქვს სათანადო სამეცნიერო აპარატი. ამ თავში შესული წიგნები დალაგებულია ანბანის რიგზე წმინდან ავტორთა სახელების მიხედვით.

მესამე განყოფილებაში შეტანილია სასულიერო პირების მიერ შექმნილი ლიტერატურული პროდუქცია. აქ თავი მოიყარა როგორც წინა საუკუნეების, ისე თანამედროვე ავტორთა რელიგიურ თემაზე შექმნილმა თხზულებებმა. ცალკე ქვეთავად გამოიყო მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები. ამ ნაწილში მოქცეული წიგნების უმეტესობა ანბანის რიგზე დალაგებულია ავტორთა გვარების მიხედვით, თუმცა, დასაშვებად მივიჩნიეთ მცირეოდენი გამონაკლისი: ისეთი ავტორები, რომელთა სახელები მკითხველის ცნობიერებაში დამკვიდრებულია წარმომავლობის, ზედწოდების ან სასულიერო წოდების აღმნიშვნელ სიტყვებთან ერთად (იაკობ ცურტაველი, ევსები კესარიელი, თეოფილე ხუცესმონაზონი, სოკრატე სქოლასტიკოსი და სხვ.), ანბანურ ჩამონათვალში შევიტანეთ ისე, როგორც საერთოდაა მიღებული — სახელების მიხედვით.

მეოთხე განყოფილებაში გაერთიანდა ერისკაცთა მიერ შექმნილი სასულიერო შინაარსის ლიტერატურა. ეს ნაწილი უაღრესად მრავალფეროვანია როგორც ჟანრობრივად, ისე თემატიკურ-შინაარსობრივად. აქ წარმოდგენილია

სხვადასხვა ხასიათის საღვთისმეტყველო თუ სასულიერო მწერლობის ამა თუ იმ დარგის სამეცნიერო ნაშრომები, მონოგრაფიები, ნარკვევები, წერილები და ა.შ. ამ ნაწილში შეტანილი გამოცემები ანბანურ რიგზე დალაგებულია ავტორთა გვარების მიხედვით.

მეხუთე განყოფილება გამოირჩევა განსაკუთრებული მასალობრივი სიუხვითა და მრავალფეროვნებით, რამაც რამდენიმე ქვეთავის გამოყოფის საჭიროება გამოიწვია. მათგან პირველში, რომლის სათაურია "კრებულები", სამეცნიერო კრებულებთან ერთად თავი მოიყარა ისეთმა გამოცემებმაც, რომლებიც, მათში შესული მასალის ხასიათისა და მიზანდასახულობის მიუხედავად, ფორმით კრებულებს წარმოადგენენ — ე.ი. მათში შეტანილია ერთზე მეტი თხზულება. ამგვარი გამოცემების სატიტულო გვერდზე, როგორც წესი, მითითებულია მხოლოდ კრებულის სათაური ავტორების დასახელების გარეშე. ამდენად, ჩვენც ეს პრინციპი შევირჩიეთ ამოსავლად და ამ ნაწილში შესული წიგნები სათაურების მიხედვითაა ანბანის რიგზე დალაგებული.

მეორე ქვეთავად გამოიყო თარგმანები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიბლიოგრაფიისათვის შეგროვილი მასალის დახარისხებისა და გაანალიზების შედეგად აღმოჩნდა, რომ ბოლო ათწლეულებში თარგმნილი სასულიერო ლიტერატურის გამოცემებში ხშირ შემთხვევაში არ არის მითითებული ავტორი, ზოგჯერ კი — მთარგმნელიც. ასეთ ვითარებაში, მასალის ხასიათიდან გამომდინარე, გადაწყდა, რომ თარგმანთა ისეთი გამოცემები, რომელთა სატიტულო გვერდზე მითითებულია ორიგინალური ტექსტის ავტორი, შეტანილი ყოფილიყო ავტორის სტატუსის შესაბამისად წმინდანთა, საეკლესიო მწერალთა თუ საერო ავტორთა განყოფილებაში; ხოლო ავტორის მითითების გარეშე დასტამბული თარგმანები მოგვექცია მეხუთე განყოფილების თარგმანების ნაწილში და ანბანურ ჩამონათვალში შესულიყო სათაურების მიხედვით.

ძველი ტექსტების სათანადო სამეცნიერო აპარატურით აღჭურვილი კრიტიკული გამოცემები, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, უმეტესწილად მოქცეულია მესამე ქვეთავში სათაურით "გამოკვლევები" (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საღვთო წერილის ცალკეულ წიგნთა ამგვარი გამოცემები შეტანილია პირველ განყოფილებაში). როგორც წესი, ამ გამოცემებში წინა პლანზე წამოწეულია მათში შესული ტექსტის სახელწოდება. აქედან გამომდინარე, ეს წიგნებიც სათაურების მიხედვითაა ანბანის რიგზე დალაგებული.

მეხუთე განყოფილების ბოლო ნაწილში სახელწოდებით "სხვადასხვა" გაერთიანდა ისეთი გამოცემები, რომლებიც ფორმისა და შინაარსის გამო ვერ მოექცა ბიბლიოგრაფიის რომელიმე სხვა ნაწილში. აქ ეს წიგნები ანბანურ ჩამონათვალში შესულია სათაურების მიხედვით.

ბიბლიოგრაფიის ბოლო, მეექვსე განყოფილებაში შეტანილია წმინდა პრაქტიკული დანიშნულების მქონე გამოცემები — სხვადასხვაგვარი ლოცვები და საეკლესიო კალენდრები, რომელთაც ეკლესიური წესით მცხოვრებ ქრის-

ტიანთათვის ყოველდღიური მოხმარების ფუნქცია აკისრია. კალენდრები წიგნის ამ ნაწილში წარმოდგენილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით 1978 წლიდან 2015 წლამდე. აღსანიშნავია, რომ ამ გამოცემებს უმეტესწილად დართული აქვს მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევები. იმ მიზნით, რომ ეს ნაშრომები მკითხველისათვის უფრო ადვილად მოსაძიებელი გამხდარიყო, ჩვენ ისინი, დამოუკიდებელი გამოცემების მსგავსად, ბიბლიოგრაფიის შესაბამის განყოფილებებშიც შევიტანეთ.

თავისთავად ცხადია, რომ ეს გამოცემა, როგორც ასეთი ხასიათის ბიბლიოგრაფიული ნაშრომის შექმნის პირველი ცდა, დაზღვეული ვერ იქნება სხვადასხვა სახის ხარვეზისაგან. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ წიგნს არ აქვს სისრულის პრეტენზია. ჩვენ მადლობის გრძნობით მივიღებთ ყოველ საქმიან შენიშვნას, ახალ ინფორმაციას ან მითითებას გამორჩენილი მასალის შესახებ. ეს დიდ დახმარებას გაგვიწევს მომავალში ამ ბიბლიოგრაფიული ნაშრომის შევსება-დახვეწის საქმეში, რომელზე მუშაობაც დღეს დასრულებულად არ მიგვაჩნია.

რედაქცია განსაკუთრებულ მადლობას სწირავს პროექტის ხელმძღვანელს, დეკანოზ მაქსიმე ჭანტურიას, რომლის გულწრფელმა ზრუნვამ და გამუდმებულმა თანადგომამ გამორჩეული როლი შეასრულა წიგნის შექმნის პროცესში.

საგანგებო მადლიერებით უნდა აღვნიშნოთ ბიბილიოგრაფიაზე მუშაობისას ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ნინო მელიქიშვილის დამსახურება, რომლის პრაქტიკულმა თანადგომამ და საქმიანმა რჩევებმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ამ გამოცემას.

გულითად მადლობას მოვახსენებთ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებს, პროფ. მაია რაფავას, ენრიკო გაბიძაშვილს და მიხეილ ქავთარიას წიგნზე მუშაობის პროცესში საგულისხმო შენიშვნებისა და კეთილგანწყობილი თანამშრომლობისათვის.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ რელიგიურ თემაზე გამოცემული წიგნების ბიბლიოგრაფიის დასტამბვა მნიშვნელოვანწილად გაუადვილებს შრომას ამ და მომიჯნავე დარგებში მომუშავე სპეციალისტებს, პროფესორმასწავლებლებს, სტუდენტ-ახალგაზრდობას და, საერთოდ, რელიგიური საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

**ხათუნა მემანიშვილი**

## წმინდა წერილის გამოცემები

**ბიბლია.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბილისი, 1989, 1216 გვ.

წიგნი წარმოადგენს ბიბლიის თარგმანს თანამედროვე ქართულ ენაზე. ძველი აღთქმა თარგმნილია ებრაული მასორეთული ტექსტიდან, რომელიც შედგენილია ჩვ. წ. აღ. VIII-IX საუკუნეებში, ხოლო ახალი აღთქმა – ბერძნული ტექსტიდან.

## ძველი აღთქმა

**მცხეთური ხელნაწერი.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, რედ. ზ. სარჯველაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, „მეცნიერება", მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი, 1981, 544 გვ., მეფეთა I, II, III, IV, ნეშტთა I, II, ეზრა I, II, III, 1982, 470 გვ., ტობის, ივდითის, ესთერის, იობის წიგნები, ფსალმუნი, იგავთა წიგნები, 1983, 325 გვ., ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები – ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი, 1985, 380 გვ., დანიელის, მცირე წინასწარმეტყველთა და ახალი აღთქმის წიგნები, 1986, 302 გვ.

„მცხეთური ხელნაწერი" ხუთწიგნეულია, რომელშიც ქვეყნდება XVII-XVIII სს. მწერლისა და მეცნიერის, სულხან-საბა ორბელიანის მიერ რედაქტირებული "მცხეთური ბიბლიის" მეცნიერულად გამართული ტექსტი გამოკვლევით, შენიშვნებით და საძიებლითურთ.

**წიგნი გამოსვლისა.**

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ბიბლიის თარგმნის ჯგუფი, ხელმძღვანელი ცურტაველი ეპისკოპოსი იოანე (გამრეკელი), რედ. ს. გაჩეჩილაძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მართლმადიდებ-ელ ქრისტიანთა საქველმოქმედო ასოციაცია „ბეთლემი“, საქართველოს სა-პატრიარქო, 2009, 70 გვ.

პუბლიკაციაში მოსე წინასწარმეტყველის მეორე წიგნი – „წიგნი გამოსვ-ლისა“ იბეჭდება თანამედროვე ქართული ენით. აღსანიშნავია, რომ სეპტუა-გინტას ტექსტი, რომელიც ამოსავალი იყო თარგმნის პროცესში, შეჯერდა ბიბლიის მასორეტულ ხელნაწერთან.

**წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი.**

ნაკვეთი I, შესაქმისაჲ, გამოსვლათაჲ, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვი-ძემ, გამოკვლევა დაურთო ბაქარ გიგინეიშვილმა, ნაკვეთი II, ლევიტელთაჲ, რიცხუთაჲ, მეორისა სჯულისაჲ, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ილია აბულაძემ, ბაქარ გიგინეიშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ და ციალა ქურციკიძემ, ნაკვეთი III, ისუ ნავესი, მსაჯულთაჲ, რუ-თისი, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს ციალა ქურციკიძემ და უჩა ცინდელიანმა, 1991, 215 გვ. სერიის სარედაქციო კოლეგია: ზ. ალექსიძე, ნ. მელიქიშვილი, ელ. მეტრევ-ელი (მთ. რედ.), გ. ნინუა, ც. ქურციკიძე, ლ. ხევსურიანი, საქართველოს მეც-ნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება“, 1989, 640 გვ., 1990, 512 გვ., 1991, 215 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ძველი აღთქმის წიგნების ქართულ თარგმანთა კრიტიკულ გამოცემას. ამ დროისათვის გამოქვეყნებულია სამი ტომი. გა-მოცემა დიდ დახმარებას გაუწევს ქართული ენისა და ლიტერატურის ის-ტორიის, მხატვრული თარგმანის, კულტურის ისტორიისა და სხვა ჰუმანი-ტარული დარგების სპეციალისტებს, ასევე, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას.

## ახალი აღთქმა

**ადიშის ოთხთავი 897 წლისა.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, მანანა მაჩხანელმა, ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ, რედ. ზ. სარჯველაძე, ივანე ჯავახ-იშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სულხან-საბა

ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტი, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს სახელობის ფრანკფურტის უნივერსიტეტი, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2003, 464 გვ.

წიგნი წარმოადგენს ადიშის ოთხთავის (897 წ.) კრიტიკულ გამოცემას. ადიშის ნუსხა ყველაზე ძველი თარიღიანი ხელნაწერია,რომელიც შეიცავს ქართული ოთხთავის უძველეს ტექსტს. გამოცემას ახლავს გამოკვლევა და ლექსიკონი.

**ახალი აღთქმა.**

რედ. ა. შანიძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის,ილია II-ის ლოცვა-კურთხევით,თბილისი, 1995,494 გვ.

წიგნი წარმოადგენს წმინდა გიორგი მთაწმინდელის თარგმანის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის აკადემიურ გამოცემას. ოთხთავი – ივანე იმნაიშვილი,საქმე მოციქულთა – ილია აბულაძე,კათოლიკე ეპისტოლენი – ქეთევან ლორთქიფანიძე,პავლენნი – ქეთევან ძოწენიძე და კორნელი დანელია, გამოცხადება – ივანე იმნაიშვილი.

**ახალი აღთქმაჲ (დანართით).**

შემდგენელ-გამომცემელი გიორგი სამსონაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,უწმინდესისა და უნეტარესის,ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2003, 347 გვ.

პუბლიკაციაში ქვეყნდება ახალი აღთქმის ყველა წიგნი. დანართში განმარტებულია ძირითადი ტექსტი, მოცემულია ქრონოლოგიური ცხრილები და წმინდა ადგილების რუკები. წიგნს დართული აქვს ძველი ქართული ენის მოკლე ლექსიკონი.

**ახალი აღთქმა.**

რედ. ქ. მამასახლისი, ნებადართულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2009,536 გვ.

გამოცემაში ქვეყნდება ახალი აღთქმის ყველა წიგნი.

**ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (წიგნი იოანესი).**

გამოცემა მოამზადა საპატრიარქოსთან არსებულმა ბიბლიის თარგმნის ჯგუფმა, რედ. ქ. მათიაშვილი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქო, 2010, 57 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს იოანეს სახარების ტექსტის თარგმანს ახალ ქართულ ენაზე.

**ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (წიგნი ლუკასი).**

გამოცემა მოამზადა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულმა ბიბლიის თარგმნის ჯგუფმა, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქო, 2008, 72 გვ.

წიგნში შესულია ლუკას სახარების ტექსტის თარგმანი ახალ ქართულ ენაზე.

**ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.**

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ბიბლიის თარგმნის ჯგუფი, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2001, 70 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია მათეს სახარების ტექსტის თარგმანი ახალ ქართულ ენაზე.

**ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, წიგნი მათესი.**

საპატრიარქოსთან არსებული ბიბლიის თარგმნის ჯგუფი, ხელმძღვანელი პროტოპრესვიტერი გიორგი (გამრეკელი), წევრები: ა. არჯევანიძე, მ. გოგილაშვილი, მ. ოვაშვილი, რედ.: დ. მელიქიშვილი, ე. ჭელიძე, დაიბეჭდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2004, ნაწილი I, 121 გვ., ნაწილი II, 111 გვ.

გამოცემა წარმოადგენს მათეს სახარების ტექსტს (პირველ ნაწილში მოცემულია 1-16, ხოლო მეორე ნაწილში – 17-28-ე თავები). წიგნი განკუთვნილია უსინათლო მკითხველისათვის. იგი ბრაილის შრიფტით აიწყო და დაიბეჭდა საქართველოს უსინათლო ბავშვთა ცენტრში.

**ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი (ქართულ, ბერძნულ, რუსულ და ლათინურ ენებზე).**

შემდგენელი გიორგი არავიაშვილი,დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „გრაგნილი“, 2005, 303 გვ.

წიგნში ქვეყნდება მათეს სახარება ოთხ – ძველ ქართულ, ძველ ბერძნულ, რუსულ და ლათინურ ენაზე.

**ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი (ქართულ, ბერძნულ, რუსულ და ლათინურ ენებზე).**

შემდგენელი გიორგი არავიაშვილი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „გრაგნილი“, 2010,248 გვ.

წიგნში ქვეყნდება მარკოზის სახარება ოთხ – ძველ ქართულ, ძველ ბერძნულ, რუსულ და ლათინურ ენაზე.

**ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (გამოკრებილი ტექსტები და განმარტებანი).**

შემდგენელი ნოე გუგუციძე, რედ. ლ. ქურდიანი, სახელმძღვანელო დაიბეჭდა საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრის თავმჯდომარის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, რუსთავისა და მარნეულის მთავარეპისკოპოს იოანეს (გამრეკელი) ლოცვა-კურთხევით, 2011, 286 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ახალი აღთქმიდან შერჩევით ამოკრებილი ტექსტები და მათი მოკლე განმარტება. წიგნი განკუთვნილია სკოლის მოსწავლეთათვის.

**ახალი აღთქმა და ფსალმუნები.**

თარგმნეს ზურაბ კიკნაძემ და მალხაზ სონღულაშვილმა, რედ. ზ. კიკნაძე,მ. სონღულაშვილი, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, 1991,683 გვ.

პუბლიკაციაში შედის თანამედროვე ქართული ენით გადმოცემული ახალი აღთქმა და ფსალმუნები.

წიგნი განმეორებით გამოიცა 1992, 1993, 1996, 1998, 2001 წლებში.

**განმარტება სახარებისათვის წმიდისა მოციქულისა და მახარებლისა მათესი.**

რედ. თ. გოგოჩაშვილი, მომზადებულია საქართველოს საპატრიარქოს პრეს-

ცენტრში, 2009,772 გვ.

წიგნში ქვეყნდება წმინდა იოანე ოქროპირის მიერ განმარტებული მათეს სახარება, რომელსაც დართული აქვს სწავლება სათნოებების შესახებ.

**იოანეს სახარება.**

ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1981.

წინამდებარე გამოცემა შესულია 1981 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**ლუკას სახარება, იოანეს სახარება, საქმე მოციქულთა, გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა.**

დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1984.

ახალი აღთქმის მითითებული ტექსტები, ძველი ქართული ენით გადმოცემული, შესულია 1984 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში. კალენდარს ერთვის წმინდანთა სახელების განმარტება.

**მათეს სახარება. გიორგი მთაწმიდლის რედაქცია.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და განმარტებები დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა და ზურაბ სარჯველაძემ, რედ. გ. ნინუა, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2004, 204 გვ.

წიგნი წარმოადგენს მათეს სახარებას,რომლის რედაქცია შეიმუშავა გიორგი მთაწმინდელმა მე-11 ს-ის შუა ხანებში. ტექსტის თითოეულ თავს დართული აქვს განმარტებები, რაც დახმარებას გაუწევს ყველას, ვისაც სურს ოთხთავის ტექსტის ენობრივ ქსოვილში გარკვევა.

**მათეს სახარების განმარტება წმიდა მამათა სწავლების მიხედვით.**

მასალა შეკრიბა, თარგმნა და გამართა წილკნის მთავარეპისკოპოსმა ზოსიმემ (შიოშვილი), I-XIV თავი, თბილისი, 1998, 484 გვ., XV-XXVIII თავი, თბილისი, 2000, 439 გვ.

პუბლიკაცია წარმოდგენილია ორ წიგნად. მასში განმარტებულია მათეს

სახარება წმინდა იოანე ოქროპირისა და სხვა წმინდა მამათა თხზულებებზე დაყრდნობით.

**მათეს სახარება, მარკოზის სახარება, კათოლიკე ეპისტოლენი, ფსალმუნები.**

დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1983.

ახალი აღთქმის მითითებული ტექსტები, ძველი ქართული ენით გადმოცემული, შესულია 1983 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**მარკოზის სახარება. გიორგი მთაწმიდლის რედაქცია.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და განმარტებები დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა და ზურაბ სარჯველაძემ, რედ. ს. სარჯველაძე, „საქართველოს მაცნე", თბილისი, 2004, 140 გვ.

წიგნი წარმოადგენს მარკოზის სახარებას, რომლის რედაქცია შეიმუშავა გიორგი მთაწმიდელმა მე-11 ს-ის შუა ხანებში. ტექსტის თითოეულ თავს დართული აქვს განმარტებები, რაც დახმარებას გაუწევს ყველას, ვისაც სურს ოთხთავის ტექსტის ენობრივ ქსოვილში გარკვევა.

**ნათლისღების სადღესასწაულო სახარების განმარტება.**

ტექსტი მოამზადა ლუკა ხუნდაძემ, რედ. დ. ღლონტი, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2005, 24 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ნათლისღების სადღესასწაულო მათეს სახარების განმარტებას. იბეჭდება მიტროპოლიტ ვარლამის (ერისთავი) მიერ მისი ეგზარქოსობის დროს შედგენილი წიგნის „განმარტება სახარებისა საუფლოთა და ღმრთისმშობლის დღესასწაულთა და სწავლანი კეთილჩუეულებათა მასწავლებელნი" გათვალისწინებით, რომელიც გამოიცა 1825 წელს წმინდა სინოდის სტამბაში, მოსკოვში, ნუსხური შრიფტით.

**საქმე მოციქულთა.**

ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის,

ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1981.

წინამდებარე გამოცემა შესულია 1981 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**წიგნი მარკოზისა, ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.**

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ბიბლიის თარგმნის ჯგუფი, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2005, 48 გვ.

წიგნში იბეჭდება მარკოზის სახარების ტექსტი.

**წმინდა სახარება.**

შემდგენელნი: ანა არჯევანიძე,მარიამ ოვაშვილი, მზია გოგილაშვილი, რედ.: დ. მელიქიშვილი,ე. ჭელიძე, ქ. მათიაშვილი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით,საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2011,287 გვ.

წიგნში ქვეყნდება სახარების სრული ტექსტი. დედნად გამოყენებულია ბერძნული სინოდური და მეცნიერული გამოცემები, გათვალისწინებულია წმინდა მამათა განმარტებები. სახარებას ერთვის ქრონოლოგიური ცხრილი და წმინდა ადგილების რუკები. წიგნი გამოიცა საპატრიარქოსთან არსებულ წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრის დახმარებით.

## ფსალმუნები

**დავით წინასწარმეტყველი. ფსალმუნნი.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მზქალა შანიძემ, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1997, 311 გვ.

გამოცემაში შესული ფსალმუნის ტექსტი არის გიორგი მთაწმინდელის რედაქცია. ახლავს წმინდა მამათა სწავლებანი და განწესებანი, ფსალმუნთა კითხვის წესი, დასაწყისი ლოცვები, ქართული ანბანი, მოძღვართა მიერ

გამოკრებილი წინასწარმეტყველებანი ფსალმუნიდან, ფსალმუნთა საძიებელი და ძირითადი ლოცვები.

**დავით წინასწარმეტყველი. ფსალმუნნი.**

წმინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქცია. დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2008, 211 გვ.

წიგნში ფსალმუნის ტექსტთან ერთად მოცემულია ქარაგმათა წაკითხვის წესი.

**დავით წინასწარმეტყველი. ფსალმუნნი.**

რედ. დეკანოზი მიქაელ გალდავა, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2010, 470 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ფსალმუნთა კრებულს. ტექსტს ახლავს წინასიტყვაობა, ფსალმუნთა კითხვის წესი, ნუსხური ანბანი, ბიბლიის წიგნთა სახელწოდებების შემოკლებანი და სათანადო განმარტებები.

**ფსალმუნნი.**

იბეჭდება ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოს გიორგის (შალამბერიძე) ლოცვა-კურთხევით.

პუბლიკაცია წარმოადგენს „ფსალმუნებს ყოველგვარი საჭიროებისათვის". კრებული შედგენილია ღირსი ეფრემ ასურის, წმ. ათანასე დიდის, ღირსი ამბროსი ოპტინელის, წმ. ფილარეტ მოსკოველის რჩევების მიხედვით.

**ფსალმუნნი.**

ახალი შესწორებული გამოცემა მოამზადა ედიშერ ჭელიძემ, მასალის მოძიება მიმდინარეობდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, რედ. ზ. ჯაღმაიძე, „ახალი ივირონი", თბილისი, 2006, 264 გვ.

წიგნში წარმოდგენილია საღვთისმსახურო საგალობლების – ფსალმუნების შესწორებული ტექსტი.

**ფსალმუნნი დავითისი.**

შეადგინა გალინა ხარებაშვილმა, რედ. ი. კამკამიძე, „ხარება“, თბილისი, 2011,483 გვ.

წიგნი წარმოადგენს ფსალმუნთა კრებულს, რომელსაც დართული აქვს მოკლე განმარტებები.

**ფსალმუნნი (საეკლესიო ბიბლიოთეკა IV).**

რედ.: ვ. რურუა, მ. ინასარიძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „ფავორიტი“, 2006, 264 გვ.

პუბლიკაციაში შემოთავაზებული ფსალმუნთა წიგნი თავდაპირველად გამოსაცემად მომზადდა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ „ლიტურგიკის კომისიაში“ (თავმჯდომარე მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი)). ახალი, შესწორებული გამოცემა მოამზადა ედიშერ ჭელიძემ.

**ფსალმუნნი. ძველი ქართული კანონიკური (მხედრული და ნუსხური) და თანამედროვე ქართულ ენაზე ადაპტირებული პარალელური ტექსტები.**

გამოცემაზე მუშაობდნენ: ი. მელიქიშვილი, გ. დოჩანაშვილი, დეკანოზი მიქაელ გალდავა, ს. ზვიადაძე, მღვდელი ლევან მათეშვილი, ლ. ხაჩიძე, თ. ცქიტიშვილი, პროექტის კოორდინატორი ქ. გადილია, დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მიეძღვნა წმ. გიორგი მთაწმიდლის დაბადების 1000 წლისთავს, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2010, 471 გვ.

## სამეცნიერო გამოკვლევები

**იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და გამოკვლევები დაურთო კორნელი დანელიამ, რედ. ბ. ჯორბენაძე, თბილისი, 1992, 382 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნის, „იერემიას წინასწარმეტყველების“ ძველი ქართული ტექსტის ყველა ვერსია. ტექსტს ახლავს ლექსიკონი და ვრცელი ისტორიულ-ფილოლოგიური და ლინგვისტური ხასიათის გამოკვლევა.

**ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია.**

რედ. ა. შანიძე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1979, 643 გვ.

წიგნი წარმოადგენს ქართული ოთხთავის ორ – ექვთიმე მთაწმინდელის და გიორგი მთაწმინდელის რედაქციას. ტექსტს ერთვის ვრცელი გამოკვლევა.

**ხანმეტი ტექსტები (ნაკვეთი I).**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ, რედ. მ. შანიძე, „მეცნიერება“, თბილისი, 1984, 349 გვ.

ხანმეტი ტექსტები, რომლებიც ჩვენ პალიმფსესტებმა შემოგვინახეს, ქართული მწერლობის უძველეს პერიოდს განეკუთვნება (V-VIII სს.). მათში დაცულია ფრაგმენტები ძველი და ახალი აღთქმიდან, ლექციონარიდან, ჰაგიოგრაფიული თქმულებებიდან და სხვ. აღნიშნული ტექსტების ამოკითხვასა და მათ პუბლიკაციას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც უძველესი ნათარგმნი ძეგლების გამოვლენისათვის, ასევე, ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის შესწავლისათვის. წინამდებარე ნაკვეთში შესულია ფრაგმენტები ხანმეტი ოთხთავის ტექსტიდან. ტექსტს ერთვის სიმფონია და გამოკვლევა.

## წმინდანი ავტორები

**ნეტარი ავგუსტინე. ჰიპონიის ეპისკოპოსი, აღსარება.**

რუსულიდან თარგმნა ვასილ ბურკაძემ, რედ. გ. ცინცაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1985.

თარგმანი შესრულებულია წიგნიდან Богословские труды, 1979, II, Москва, издательство Московской патриархий. ნეტარი ავგუსტინეს (354-430) ეს შრომა გვაუწყებს თავად ავტორის ცხოვრების შესახებ; მოთხრობილია მისი მოქცევის, სულიერი ფერისცვალების, მისი შინაგანი ცხოვრების განახლებისა და ინტელექტუალური განვითარების ისტორია. გამოცემა შესულია 1985 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**ნეტარი ავგუსტინე. აღსარებანი.**

ლათინურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, „ნეკერი“, 1995, 445 გვ.

დიდი ღვთისმეტყველისა და მოაზროვნის,ნეტარი ავგუსტინეს (354-430) „აღსარებანი“ წარმოადგენს ავგუსტინეს მოქცევის, მისი სულიერი ფერისცვალებისა და ინტელექტუალური განვითარების ისტორიას.

**წმ. ალექსი შუშანია (ბერი). ლექსები.**

რედ. არქიმანდრიტი მელქისედეკი, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, სენაკი, 2003, 413 გვ.

კრებულში შესულია წმინდა ალექსი ბერის პოეტური ნაწარმოებები. აქვე დაბეჭდილია არქიმანდრიტ მელქისედეკის სულიერი შვილის, ლევან ჯანჯღავას ორი ლექსი, მიძღვნილი ალექსი ბერისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ისადმი. წიგნში, ასევე, იბეჭდება წერილი „წინამძღვარი დედა ათანასია და თეკლათის დედათა მონასტრის შესახებ“.

**წმ. ანასტასი ანტიოქიელი. კითხვა-მიგებაჲ.**

ხელნაწერი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და სქოლიოები დაურთო დავით ჩანადირმა, რედ. ე. ჭელიძე, თბილისი, 2009, 32 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია VI საუკუნის თვალსაჩინო საეკლესიო მოღვაწის, ანტიოქიის პატრიარქის, წმ. ანასტასის თხზულების ქართული თარგმანი. მასში განხილული საკითხები მნიშვნელოვანია ყოველი დროის ქრისტიანისათვის.

**ანდრია კრიტელი. დიდი კანონი.**

ძველი ბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო გვანცა კოპლატაძემ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, რედ. მ. მჭედლიძე, საქართველოს საპატრიარქო, „ლოგოსი“, თბილისი, 2007, 89 გვ.

გამოცემაში ქართულ თარგმანთან ერთად წარმოდგენილია ძველი ბერძნული ტექსტი.

**წმ. ანდრია კრიტელი. დიდი კანონი.**

ძველი ბერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ, რედ. მ. მჭედლიძე, დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2008, 52 გვ.

წიგნში მოცემულია წმიდა ანდრია კრიტელის (VI ს.) მიერ შედგენილი დიდი მარხვის პირველ კვირაში წასაკითხი ლოცვა – „დიდი კანონი“.

**წმ. ანტონი დიდი. სწავლანი (კრებულიდან „სათნოებათმოყვარეობა“).**

თარგმნა ვასილ ბურკაძემ, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1991, 197 გვ.

ნაშრომში გადმოცემულია სწავლა-მოძღვრება სხვადასხვა სულიერ საკითხზე. იგი საინტერესოა როგორც მონაზვნების, ისე ერში მცხოვრებ ქრისტიანთათვის. გამოცემა შესულია 1991 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**წმ. ანტონი დიდის ეპისტოლეთა ძველი ქართული ვერსია უძველესი (Xს.) სინური ხელნაწერების მიხედვით.**

ტექსტი მოამზადეს ლევან ბრეგვაძემ, ილია აბულაძემ, ლუკა ხუნდაძემ, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2005, 60 გვ.

გამოცემაში შესულია წმ. ანტონი დიდის შვიდი ეპისტოლე. წიგნს ახლავს სრული სამეცნიერო აპარატი.

**წმ. ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი (ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, V).**

გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ციალა ქურციკიძემ. რედ. ე. მეტრეველი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, 1983, 280 გვ.

წიგნში მოცემულია IV საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის, წმ. ბასილი დიდის ქადაგებების მცირე ნაწილი. წმ. ბასილი დიდის „სწავლათა“ ქართული თარგმანი, რომელიც შესრულებულია ეფთვიმე ათონელის მიერ, ქვეყნდება პირველად X-XI სს-ის სამი ხელნაწერის მიხედვით. ტექსტს ერთვის გამოკვლევა და ვრცელი ლექსიკონი.

**წმ. ბასილი დიდი. ფსალმუნთა განმარტებანი.**

ძველბერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ, რედ. გ. რუხაძე, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1995, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1995, 432 გვ.

წიგნი წარმოადგენს წმ. ბასილი დიდის (IV ს.) ეგზეგეტიკური ხასიათის თხზულების თარგმანს, რომლის სრული სათაურია „ფსალმუნთა განმარტებანი წმიდისა ბასილი დიდისა, კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსისა“. ნაშრომი შესულია 1995 წლის საეკლესიო კალენდარში.

**წმ. ბასილი დიდი, კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსი. ჰომილიები ექვსი დღისათვის.**

ძველბერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ, რედ. გრ. რუხაძე, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2000, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2000.

წიგნში მოცემულია ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი მამის, IV საუკუნეში მოღვაწე წმ. ბასილი დიდის ჰომილიები შესაქმის დღეების შესახებ, რომელიც მან ამბიონიდან წარმოთქვა. ნაშრომში ვრცლად არის განმარტებული ყოველი დღე ადამიანის შექმნამდე, რის ახსნაც აღარ დასცალდა გარდაცვალების გამო. ჰომილიებს ერთვის წმ. ბასილი კესარიელის ცხოვრება. გამოცემა შესულია 2000 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**წმ. ბასილი დიდი. სწავლანი.**

თბილისი, 2001, 24 გვ.

ბროშურა წარმოადგენს IV საუკუნის დიდი ბიზანტიელი მწერლის, კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსის, წმ. ბასილი დიდის „სწავლათა“ კრებულს, რომელიც შედგენილია მისი ჰომილიების მიხედვით.

**წმ. ბასილი დიდი. სწავლანი.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ლექსიკონი დაურთო ლუკა ხუნდაძემ, დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2004, 28 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია ცნობილი საეკლესიო მოღვაწისა და დიდი ბიზანტიელი მწერლის, ბასილი კესარიელის (IV ს.) „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის ამ დრომდე გამოუქვეყნებელი ორი ჰომილია და ერთი თხრობა ბასილის სასწაულთა შესახებ.

**წმ. ბასილი დიდი. 80 წესი ქრისტიანული ზნეობის შესახებ.**

თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, თბილისი, 2006, 195 გვ.

წიგნში წარმოდგენილია ოთხმოცი წესი ქრისტიანული ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე.

წიგნი ხელახლა გამოიცა 2009 წ.

**წმ. ბასილი დიდი. ახალგაზრდებს იმის თაობაზე, როგორ მიიღონ სარგებლობა წარმართული მწერლობიდან.**

ბერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ, რედ.: მ. მჭედლიძე და გრ. რუხაძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2010, 26 გვ.

წიგნში ბასილი დიდი განმარტავს, თუ როგორია სწორი მიდგომა წარმართული მწერლობისადმი, რაც შესაძლებელს ხდის მისგან სარგებლის მიღებას. ნაშრომი ერთვის 2011 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარს.

**წმ. ბასილი დიდი (ამონაკრები წმინდანის სულიერი სიბრძნიდან, წმინდა ბასილი დიდის ცხოვრების მოკლე აღწერა, წმინდა ბასილი დიდის კანონები, 80 წესი ქრისტიანული ზნეობის შესახებ).**

თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, საზოგადოება „ფერისცვალების“ ბიბლიოთეკა, ქუთაისი, 2011,168 გვ.

**წმ. ბასილი დიდი, მთავარეპისკოპოსი კესარია-კაბადოკიისა. სულიწმიდის შესახებ.**

ძველი ბერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ, რედ.: მ. მჭედლიძე, გრ. რუხაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2013, 109 გვ.

წიგნში მოცემულია IV საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ღვთისმეტყველის, კაპადოკიური საღვთისმეტყველო სკოლის წარმომადგენლის, წმინდა ბასილი დიდის შრომა, რომელშიც საუბარია სულიწმინდის საღვთო ბუნების შესახებ. წიგნს ერთვის სათვეო კალენდარში მოხსენიებულ წმინდანთა სახელების განმარტება. თხზულება შესულია 2014 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**წმ. ბასილი კესარიელი. ასკეტიკონი.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ქეთევან მამასახლისმა, რედ. ლ. ახობაძე, „მერიდიანი“, თბილისი, 2015,578 გვ.

წიგნი წარმოადგენს წმ. ბასილი დიდის (IV ს.) „ასკეტიკონის“ თარგმანს, შესრულებულს XI ს-ის დიდი საეკლესიო მამისა და შავი მთის მწიგნობრული სკოლის წინამძღოლის, ეფრემ მცირის მიერ, რომელსაც ახლავს მნიშვნელოვანი ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის შენიშვნები. ნაშრომში განდეგილური და მონასტრული ცხოვრების გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბებულია ასკეტური ცხოვრების ძირითადი პრინციპები.

**ღირსი გაბრიელ მცირე. ღვთივსულიერნი თხრობანი სულთა ღვთისმოყუ-**

**არეთა ფრიად სარგებელნი, გარეჯელ მამათა ცხოვრება.**

გამოსაცემად მოამზადა ზაზა სხირტლაძემ, გარეჯის კვლევის ცენტრი, „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2002, 87 გვ.

გამოცემაში პირველად ქვეყნდება სრული სახით ღირსი გაბრიელ მცირის (1745/55-1802) „ღვთივსულიერნი თხრობანი“, რომელიც ჩართულია მის მიერვე გადანუსხულ კრებულში „ჯვარშემოსილი“. თხზულება მრავალმხრივ საყურადღებოა როგორც გარეჯის მრავალმთის სამონასტრო ცხოვრების, ისე საქართველოში საბერმონაზვნო მოძრაობის ისტორიისათვის.

**წმ. გაბრიელ მცირე. წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოვანე ოქროპირისა თქმულთაგან ღვთივსულიერნი სწავლანი, რომელსა ეწოდების კლიტე.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა და შენიშვნები დაურთო დავით ჩანადირმა, რედ. ნ. მელიქიშვილი, თბილისი, 2011, 200 გვ.

„კლიტე“ წარმოადგენს კრებულს, რომელიც შედგენილია იოანე ოქროპირის თხზულებათაგან XVIII საუკუნეში დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის, წმ. გაბრიელ მცირის მიერ. ის მოიცავს ოცდაათ თავს. მასში თავმოყრილი თხზულებების ნაწილი აღებულია იოანე ოქროპირის „ასკეტიკონიდან“, ნაწილი კი შესულია იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტებაში ცალკეულ თავებზე დართული სწავლებებიდან.

**წმ. გერმანე კონსტანტინეპოლელის უცნობი ქადაგება.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო იოსებ გელუკაშვილმა. რედ. დ. ღლონტი, თბილისი, 2008, 107 გვ.

წიგნში ვეცნობით წმ. გერმანეს (VII-VIII სს.) ქადაგებას ჯვრისა და ხატთა თაყვანისცემის შესახებ.

**წმ. გრიგოლ დიალოღოსი. დიალოღონი (საუბრები იტალიელი მამების ცხოვრებისა და სულის უკვდავების შესახებ).**

რუსულიდან თარგმნა თამარ ერისთავმა, რედ. ნ. კვანტალიანი, დაიბეჭდა ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოს დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, რეცენზირებული და ნებადართულია გამოსაცემად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, „ხარება“,

თბილისი, 2006, 288 გვ.

წიგნში მოცემულია VI საუკუნეში მოღვაწე რომის პაპის, წმინდა გრიგოლ დიდის დიალოგი თავის მოწაფე პეტრესთან. იგი მოგვითხრობს იტალიაში მყოფი ღირსი მოღვაწეების, მათ მიერ აღსრულებული ან მათთან დაკავშირებული სასწაულების შესახებ. თარგმანი შესრულებულია წიგნიდან: Святого отца нашего Григория Двоеслова епископа Римского «Собеседования о жизни италийских отцов и о безсмертии души», М., 1996.

**წმ. გრიგოლ ნაზიანზელის შრომები, ქართული ვერსია: I, II, III, IV, V, VI, სიტყვები: I, XLV, XLIV, XLI, XV, XXIV, XIX, XXXVIII, XLIII, XXXIX, LX, XI, XXI, XLII. „корпус христианорум", ბერძნული სერია: 36, 42, 45, 52, 58, 78. ნაზიანზელის კორპუსი: 5, 9, 12, 17, 20, 26.**

გამომცემლები – ელენე მეტრეველი და: ქ. ბეზარაშვილი, ც. ქურციკიძე, ნ. მელიქიშვილი, თ. ოთხმეზური, მ. რაფავა, მ. შანიძე, მ. დოლაქიძე. **"turnhout-Brepols"**-ის გამომცემლობა, 1998, 2000,2001, 2004, 2007, 2013.

გამოცემის ექვს ტომში თავმოყრილია IV ს-ის დიდი ბიზანტიელი კაპადოკიელი მამის, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის 14 ლიტურგიკული სიტყვის წმ. ეფთვიმე ათონელისეული და ეფრემ მცირისეული ძველი ქართული თარგმანები. კრიტიკულ აპარატში წარმოდგენილია ამ ტექსტების შემცველი ყველა ქართული ნუსხა ჩვენება, ბერძნული წყაროსაგან განსხვავებული წაკითხვები და ტექსტში ჩართული ბიბლიური დამოწმების ადგილთა მითითებები. უახლოეს ხანში გამოვა მეშვიდე ტომი და ამით დასრულდება წმ. გრიგოლ ნაზიანზელის 16 ლიტურგიკული სიტყვის XI საუკუნეში შესრულებული ქართული თარგმანების პუბლიკაცია.

**წმ. გრიგოლ ნოსელი. პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს.**

ოთხი ხელნაწერის მიხედვით ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვაკურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1989, 218 გვ.

წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულება „პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს" თარგმნილია გიორგი მთაწმინდელის მიერ. იგი წარმოადგენს პასუხს წმ. ბასილი დიდის შრომისა „ექუსთა დღეთათჳს"; წმ. გრიგოლის თხზულებაში წმ. ბასილი დიდის მიერ გაანალიზებული საკითხები სხვაგვარადაა წარმოჩენილი. ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია პირველი ორი დღის შესახებ. ნაშრომი შესულია 1989 წლის საქართველოს ეკლესიის

კალენდარში.

**წმ. გრიგოლ ნოსელი. ქადაგება ნათლისღების დღესასწაულზე.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ლექსიკონი დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, რედ. თ. მესხი, წიგნი მომზადდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წმ. დავით აღმაშენებლის ეკლესიის გამომცემლობაში,დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2002, 32 გვ.

ბროშურა წარმოადგენს ქრისტიანული ღვთისმეტყველების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, გრიგოლ ნოსელის (+394) ქადაგებას „განმარტებაი სიტყუისაი მის, ვითარმედ: ესე არს ძე ჩემი საყუარელი“, რომელიც წარმოითქვა ნათლისღების დღესასწაულზე. იგი საეკლესიო ტიპიკონით დადგენილია საკითხავად ნათლისღების (განცხადების) წინა დღეს. გამოცემა ამ ძეგლის პირველი პუბლიკაციაა.

**წმ. გრიგოლ ნოსელი. საკითხავი წმიდისა სამებისათვის.**

რედ. ნ. ეფრემიძე, თბილისი, 2003,24 გვ.

წმინდა გრიგოლ ნოსელის (+394) საკითხავი – „ძისა და სულიწმიდის ღმრთეების (ღვთაებობის) შესახებ“ – დოგმატიკური პოლემიკისა და სიტყვაკაზმული მქადაგებლობის ბრწყინვალე ძეგლია. ამ საკითხავის ქართული თარგმანი (დასათაურებულია სხვაგვარად: „წმიდისა სამებისათვის“) მიეწერება წმინდა გიორგი მთაწმინდელს (XI ს.).

**წმ. გრიგოლ ნოსელი. საკითხავი ქრისტეს შობის დღესასწაულზე.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, რედ. თ. დოლიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2006, 56 გვ.

წიგნი წარმოადგენს წმ. გრიგოლ ნოსელის (IV ს.) საშობაო საკითხავს, რომელშიც მოხსენიებულნი არიან ჰეროდეს მიერ ბეთლემში ამოწყვეტილი ჩვილი ყრმები. ეს ტექსტი ძველქართულად თარგმნილია ორჯერ – გიორგი მთაწმინდელისა და ეფრემ მცირის მიერ. გამოცემა ამ თარგმანების პირველი პუბლიკაციაა.

**წმ. გრიგოლ ნოსელი. შესაქმისათვის კაცისა.**

ბერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ, რედ. გრ. რუხაძე და გ. მჭ-

ედლიძე, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2010, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2009, 100 გვ.

წიგნი წარმოადგენს ცნობილი კაპადოკიელი მამის, წმ. გრიგოლ ნოსელის (IV ს) ანთროპოლოგიური ხასიათის თხზულებას. გამოცემა ერთვის 2010 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარს.

**წმ. გრიგოლ ნოსელი. შესაქმისათვის კაცისა.**

თარგმნა გვანცა კოპლატაძემ, რედ. გ. რუხაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „ლოგოსი", თბილისი, 2010, 396 გვ.

წიგნში ქვეყნდება IV საუკუნის დიდი ღვთისმეტყველის, წმინდა გრიგოლ ნოსელის თხზულების ბერძნული ტექსტი და ქართული თარგმანის სამი ვარიანტი: უძველესი (VIII-IX სს.), გიორგი მთაწმინდელის (XI ს.) და ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულ ენაზე შესრულებული გვანცა კოპლატაძის მიერ.

**წმ. გრიგოლ ნოსელი. ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ტერმინოლოგიური ლექსიკონი დაურთო პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, საქართველოს საპატრიარქო, თბილისის სასულიერო აკადემია, „მერიდიანი", 2011, გვ. 375.

წიგნში პირველად ქვეყნდება წმ. გრიგოლ ნოსელის ასკეტური შრომის X-XI სს-ის ქართული თარგმანი, შესრულებული წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ. ძეგლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას განაპირობებს მასში გადმოცემული ღრმა საღვთისმეტყველო სწავლება საეკლესიო ასკეზისის, სახელდობრ, საღვთო და უსხეულო ბუნებისადმი მიმსგავსებული ქალწულებითი, ანუ ბერმონაზვნური ღვაწლის შესახებ.

**წმ. გრიგოლ ნოსელი. თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲ.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გულნაზ კიკნაძემ, რედ. ნ. მელიქიშვილი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისის სასულიერო აკადემია, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, 2013, 437 გვ.

წიგნში პრიველად ქვეყნდება IV ს-ის ბიზანტიელი ღვთისმეტყველის, წმ. გრიგოლ ნოსელის ეგზეგეტიკური ნაშრომის ქართული თარგმანი, შესრულებული წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ.

**გრიგოლ ფერაძე. ქართული ეკლესიის ისტორია, მასალები და გამოკვლევები 4.**

რედ. ა. ჭანტურია, „კანდელი“, თბილისი, 1995,167 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის (1899-1942) ორნაწილიან ნაშრომს. პირველ ნაწილში უცხოელ პილიგრიმთა ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერების ნაწყვეტები დალაგებულია ქრონოლოგიურად V-დან XIX საუკუნემდე, მეორე ნაწილში წარმოდგენილია მათი ანალიზი. აღწერილია არქიმანდრიტ გრიგოლის ბიოგრაფიის ძირითადი მომენტებიც.

არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის ამ ნაშრომის ქართულ ენაზე გამოცემის იდეა ეკუთვნის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (ეხლანდელი „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი“) ჩამოყალიბებულ საქართველო-პალესტინის ურთიერთობათა შემსწავლელ ჯგუფს.

**წმ. გრიგოლ ფერაძე (მღვდელმოწამე). თეოლოგია, ფილოლოგია, ქართველოლოგია.**

გამოსაცემად მოამზადეს ზურაბ სულუაშვილმა და ლუკა ხუნდაძემ, თბილისი, 2005,20 გვ.

წიგნში თავმოყრილია წმ. გრიგოლ ფერაძის პირადი საარქივო მასალები. რუსულ ენაზე იბეჭდება გრიგოლ ფერაძის სასკოლო თხზულებები. კრებულში წარმოდგენილი საარქივო მასალების მოძიება, შესწავლა და გამოცემა წარიმართა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

**წმ. დიმიტრი როსტოველი. სენაკის მემატიანე.**

თარგმნა ნინო გულიაშვილმა, რედ. დეკანოზი ირაკლი (ჭინჭარაული), დაიბეჭდა ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2012,379 გვ.

წიგნში პოპულარული ენით მოთხრობილია ბიბლიური ამბები სამყაროს შექმნიდან მამამთავარ იაკობამდე. მკითხველისათვის სწორი შეხედულების შექმნისა და მითოლოგიზაციისაგან თავის დაღწევის მიზნით, ტექსტს ახ-

ლავს ბიბლიის ზოგიერთი ეპიზოდის კომენტარი. წიგნი პირველად დაიბეჭდა 1774 წელს.

**ღირსი აბბა დოროთე. სწავლანი (ღირსისა მამისა ჩუენისა აბბა დოროთესი სულთა სასარგებლონი სწავლანი და ეპისტოლენი თანადართვითა მის მიერ კითხვათა და მიგებათა მამისა იოანესაგან).**

ტექსტი გამოსცა ათონის მთის ახალ ქართველთა წმ. იოანე ღვთისმეტყველის სავანემ, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ფოთი, 1902, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1991, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1991,1 45 გვ.

ნაშრომში წარმოდგენილია როგორც ბერ-მონაზვნებისათვის, ისე ერში მცხოვრებ ქრისტიანთათვის საინტერესო სწავლა-მოძღვრებანი სულისთვის სასარგებლო საკითხებზე. თხზულება ბერძნულიდან უთარგმნია წმ. ეფთვიმე მთაწმინდელს (X-XI სს.); მისი ტექსტი გადმოუწერიათ 1900 წელს ათონის ივერთა მონასტრის საცავში დაცული ძეგლიდან. ნაშრომი შესულია 1991 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**წმ. აბბა დოროთე. სულთა სასარგებლო სწავლანი.**

თანამედროვე ქართულ ენაზე ტექსტი გამართა ტატიანა ცომაიამ, რედ.: ბერ-დიაკონი მიქაელ ბრეგვაძე, ნ. ხურცილავა, „ახალი ივირონი", თბილისი, 2010,167 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ღირსი მამის, აბბა დოროთეს (VI ს.) ეგზეგეტიკური ხასიათის თხზულებას, რომელიც ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნა წმ. ექვთიმე ათონელმა XI საუკუნეში. წიგნში ექვთიმე ათონელისეული ტექსტი გადატანილია თანამედროვე ქართულ ენაზე. ნაშრომში გადმოცემულია სწავლებები სხვადასხვა ასკეტურ საკითხზე. გაანალიზებულია ადამიანთა სულიერი პრობლემები და მათთან ბრძოლის საშუალებები.

**წმ. Ეგნატე ანტიოქიელი. ეპისტოლენი წმიდისა ეგნატი ღმერთშემოსილისანი".**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შესავალი დაურთო ედიშერ ჭელიძემ, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1988,109 გვ.

წმ. ეგნატე ანტიოქიელის (მოციქულთა უშუალო მოწაფე, I-II სს.) ეპისტოლეებში, რომლებიც წმ. გიორგი მთაწმინდელმა თარგმნა, მოცემულია ღრმა სულიერი და დოგმატური სწავლებანი. წარმოდგენილია ცამეტი ეპისტოლე, რომლებსაც კონკრეტული ადრესატები ჰყავთ. გამოცემა შესულია 1988 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი. ღვთის განჩინებანი.**

თარგმნა ვალერი მურჯიკნელმა, რედ. ი. ზაკალაშვილი, თბილისი, 1996, 24 გვ.

ბროშურაში საუბარია ღვთის განჩინების შესახებ – რა არის განსაზღვრული ადამიანისათვის და რა სურს მისგან ღმერთს.

**წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (მღვდელმთავარი). წერილები.**

თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, საქართველოს საპატრიარქო, 2002, 39 გვ.

ბროშურაში თავმოყრილია წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვის (1807-1876) წერილები. ისინი მკითხველს სულიერი ცხოვრების სწორად წარმართვაში დაეხმარება.

**წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (მღვდელმთავარი). მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება ღმრთისმშობლის შესახებ.**

თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, ნებადართულია დასაბეჭდად საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობის სარეცენზიო საბჭოს მიერ, 2003, 48 გვ.

წიგნში გამოქვეყნებული ნაშრომის შექმნის მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ წმინდა ეგნატეს მოღვაწეობის პერიოდში (მე-19 ს.) ბაპტისტთა სექტამ მიიღო ახალი დოგმატი ღვთისმშობლის შესახებ, რამაც იმდროინდელ ქრისტიანულ საზოგადოებაში დიდი კამათი გამოიწვია.

**წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (ეპისკოპოსი). ცხონებისათვის.**

თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2003, 39 გვ.

ბროშურაში წმ. მამათა დარიგებების საფუძველზე განმარტებულია ქრისტიანული ცხოვრების წესი.

**წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (ეპისკოპოსი). რატომ არ ცხონდებიან არაქრის-**

**ტიანები და მწვალებლები (წერილები ერისკაცთა მიმართ).**

თარგმნა რევაზ კვირკვაიამ, რედ. გ. კოპლატაძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2003, 40 გვ.

წიგნში წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვი (1807-1876) საუბრობს ცხონების შესახებ. განხილულია არაქრისტიანთა და მწვალებელთა ცხონების საკითხიც.

**წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (ეპისკოპოსი). რჩეული თხზულებანი.**

თარგმნა ვალერი მურჯიკნელმა, რედ. დეკანოზი ლავრენტი ბუზიაშვილი, წიგნი რეცენზირებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, თბილისი, 2004, 128 გვ.

წიგნში წარმოდგენილია წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვის (1807-1876) მსჯელობა სხვადასხვა საღვთისმეტყველო საკითხზე – ღვთის სამართალზე, ლოცვაზე, ჭეშმარიტებასა და სიყალბეზე, თავმდაბლობაზე.

**წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (ეპისკოპოსი). სულის უგრძნობელობისთვის.**

თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2004, 63 გვ.

პუბლიკაცია დიდაქტიკური ხასიათის ნაშრომს წარმოადგენს. აქვეა წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვის (1807-1876) „წერილები სულიერ შვილებს“.

**ახალმოწამე ევგენი პოსელიანინი, წმინდა სიყმაწვილე (საკითხავი წიგნი ყრმათათვის).**

მთარგმნელი ნინო ახალაძე, იბეჭდება ბათუმისა და ქობულეთის მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „კვირიაკე“, თბილისი, 2007, 344 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს მონათხრობს ბავშვებზე, რომლებიც სიყმაწვილიდანვე რწმენით ცხოვრობდნენ. ასე გატარებულმა ბავშვობამ მათი მომავალი ცხოვრების სიწმინდე განსაზღვრა. ზოგი მათგანი კი, ადრეულ ასაკში გარდაცვლილი, ღმერთმა წმინდანთა გვირგვინით შეამკო.

**წმ. ეპიფანე კვიპრელი. ოთხმეოცთა წვალებათათვის.**

თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანი (XI ს-ის II ნახევარი), გამოსაცე-

მად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო სოსო მახარაშვილმა, რედ. მ. რაფავა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისის სასულიერო აკადემია, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბილისი, 2012, 166 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია IV საუკუნეში მოღვაწე წმინდა მამის, ეპიფანე კვიპრელის ცნობილი თხზულება, რომელშიც განხილულია I-დან IV საუკუნემდე არსებული მწვალებლობები. წიგნს ერთვის ვრცელი გამოკვლევა ძველი ქართული თარგმანის შესახებ. ქართული ტექსტის ლექსიკური და ენობრივ-სტილური ანალიზის საფუძველზე განხილულია თეოფილე ხუცესმონაზონის მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებანი.

**წმ. ეფთვიმე მთაწმინდელი. წინამძღუარი (სარწმუნოებისათვის).**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თორნიკე ჭყონიამ და ნანა ჩიკვატიამ, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნანა ჩიკვატიამ, რედ. მ. რაფავა, კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „არტანუჯი", თბილისი, 2007, 362 გვ.

წმინდა ეფთვიმე მთაწმინდელის „წინამძღუარი" (მეორე სახელწოდებით „სარწმუნოებისათვის") ნახევრად ორიგინალური, ნახევრად კომპილაციური თხზულებაა, შედგენილი რამდენიმე ბიზანტიელი მწერლის (იოანე დამასკელი, ანასტასი სინელი, მიქაელ სვინკელოსი და ა.შ.) ნაწარმოებების მიხედვით. იგი მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების პირველ ქართულ სახელმძღვანელოს წარმოადგენს. ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ეძღვნება ქრისტიანული დოგმატიკის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადმოცემას, მეორე – მწვალებელთა ისტორიასა და მათთან პოლემიკას.

**წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი. წინამძღუარი (სარწმუნოებისათვის).**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა დაურთო ნანა ჩიკვატიამ, რედ. მ. რაფავა, კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, „არტანუჯი", თბილისი, 2007, 362 გვ.

წიგნი წარმოადგენს მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების პირველ ქართულ ორიგინალურ სახელმძღვანელოს, რომელიც გაყოფილია ორ ნაწილად: პირველი ეძღვნება ქრისტიანული დოგმატიკის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადმოცემას, ხოლო მეორე – მწვალებელთა ისტორიასა და მათთან პოლემიკას.

**წმ. ეფრემ ასური. სწავლანი.**

წილკნის ეპარქიის გამოცემა, თბილისი, 1995,56 გვ.

წიგნში შესულია წმ. ეფრემ ასურის (IV ს.) ქადაგებები სულიერი ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე.

**ექვთიმე ათონელი. საეკლესიო კანონები.**

ძველი ქართულიდან თანამედროვე ქართულზე ადაპტირებული ტექსტი მიხეილ-ელგუჯა გიუნაშვილისა, „მთაწმინდა“, თბილისი, 2014, 120 გვ.

წიგნი წარმოადგენს X საუკუნის დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწის, ექვთიმე ათონელის საეკლესიო კანონთა კრებულს. მასში შესულია „მცირე სჯულისკანონი“, „მცნებაჲ და განგებაჲ მსოფლიოთა ხუცესთაჲ“ და „კითხვა-მიგებანი“. კრებულს დართული აქვს ლექსიკონი და საძიებლები (პირთა და თემატური).

**წმ. აბბა თალასე. სიყვარულის, მარხვისა და სულიერი მოქალაქობის შესახებ.**

სამი ხელნაწერის მიხედვით ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ანდრია ბოროდამ, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1989,70 გვ.

პუბლიკაციაში შემოთავაზებული თხზულება სავარაუდოდ თარგმნილია წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ. იგი ოთხი ასეული მოკლე გამონათქვამისაგან შედგება, რომლებიც ეხება სულიერი ცხოვრების სხვადასხვა საკითხს. მუხლების პირველი ასოები ე. წ. „აკროსტიქის“ წესითაა დალაგებული. ნაშრომი შესულია 1989 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**თეოდორიტე კვირელი. საეკლესიო ისტორია (საეკლესიო ბიბლიოთეკა, X).**

ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ზურაბ ჯაშმა, რედ. დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესია, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2008,368 გვ.

ნეტარი თეოდოროტე კვირელის (IV-V სს.) „ისტორია“ წარმოადგენს ერთგვარ გაგრძელებას ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორიისა“ (ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ზურაბ ჯაშმა, რედ. დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესია, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2007.) და მოიცავს

პერიოდს ქრისტიანობის დევნის შეწყვეტიდან (IV ს.-ის დასაწყისი) 428 წლამდე.

**წმ. თეოფანე დაყუდებული. წერილები.**

თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი,2002, 48 გვ.

წიგნი აერთიანებს წმინდა თეოფანე დაყუდებულის (ერისკაცობაში გიორგი ვასილის ძე გოვოროვი, 1815-1894) წერილებს სულიერი შვილებისადმი.

**წმ. თეოფანე დაყუდებული, ცრუმოძღვართა წინააღმდეგ.**

თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2003, 47 გვ.

ნაშრომში მხილებულია ცრუ მოძღვართა საქმიანობა და ნაჩვენებია ჭეშმარიტი მოძღვრის სახე.

**წმ. თეოფანე დაყუდებული. წერილები ქრისტიანული ცხოვრების შესახებ.**

თარგმნეს ლონდა ჯიქიამ, ნანა გოგიშვილმა და ნანა ქანდაურაშვილმა, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2003,93 გვ.

წიგნში იბეჭდება წმინდა თეოფანეს (ერისკაცობაში გიორგი ვასილის ძე გოვოროვი, 1815-1894) წერილები სულიერი მოღვაწეობის სხვადასხვა მხარის შესახებ.

**წმ. თეოფანე დაყუდებული, ეპისკოპოსი. საუბრები ქრისტიანულ ცხოვრებაზე.**

თარგმნა ია მელიქიძემ, 2006.

ნაშრომში ვეცნობით წმ. თეოფანე დაყუდებულის (ერისკაცობაში გიორგი ვასილის ძე გოვოროვი, 1815-1894) საუბრებს ქრისტიანული ცხოვრების შესახებ.

**ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი. მათეს სახარების კომენტარები.**

ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გვანცა

კოპლატაძემ, რედ.: გრ. რუხაძე, მ. მჭედლიძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2005, 270 გვ.

წიგნში მოცემულია XI საუკუნეში მოღვაწე საეკლესიო მოძღვრის, ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის კომენტარები მათეს სახარებაზე. გამოცემა შესულია 2006 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, ლუკას სახარების განმარტება.**

თარგმნა მელანია შანავა-ვეფხვაძემ, რედ.: ნ. ბულია, ზ. ეკალაძე, დაიბეჭდა ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტ სერაფიმეს (ჯოჯუა) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2008, 351 გვ.

წიგნში ქვეყნდება ლუკას სახარება ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებებით.

**ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, იოანეს სახარების განმარტება.**

რედ. ზ. ეკალაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2010, 399 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია იოანე ღვთისმეტყველის სახარება ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებებით.

**Ilია მართალი (ქადაგებანი, სიტყვანი, მოძღვრებანი).**

შემდგენლ-რედაქტორი თინათინ კობალაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2000, 112 გვ.

წიგნი ეძღვნება იესო ქრისტეს ამქვეყნად მოსვლის 2000 წლის ბრწყინვალე იუბილეს. კრებულის შექმნის იდეა ეკუთვნის უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს. აქვე იბეჭდება პატრიარქის მიერ წარმოთქმული ქადაგება წმ. ილია მართალზე (სვეტიცხოველი, 20.08.1987 წ.).

**წმ. ილია მართალი. შეგონებანი.**

შეადგინა გია ტივიშვილმა, დაიბეჭდა ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოს სტეფანეს (კალაიჯიშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2003, 125 გვ.

წიგნში შესულია წმინდა ილია მართლის შეგონებანი და სიტყვა, წარმოთქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) დასაფლავების დღეს. გამოცემას ერთვის წმ. ილია მართლის თხზულებათა საძიებელი.

**წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა).**

გამოსაცემად მოამზადეს რ. მიმინოშვილმა და მ. რაფავამ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფავამ, ძეგლი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, რედ. ნ. მელიქიშვილი, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, 2000, 474 გვ.

პუბლიკაციაში ქვეყნდება VII-VIII საუკუნეების მოღვაწის, წმინდა იოანე დამასკელის ნაშრომი, რომელშიც სიღრმისეულად არის წარმოდგენილი მართლმადიდებლური სარწმუნოების უმთავრესი და უარსებითესი დოგმატები.

**წმ. იოანე დამასკელი. შესავალი დოგმატიკის საფუძვლებისა.**

ბერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ, რედ.: გრ. რუხაძე და მ. მჭედლიძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2011, 18 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს წმ. იოანე დამასკელის (VII-VIII სს.) ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ნაშრომს. წიგნი ერთვის 2012 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარს.

**წმ. იოანე დამასკელი. სამი აპოლოგეტური სიტყვა წმიდა ხატთა შესახებ.**

პირველი და მეორე სიტყვა ძველი ხელნაწერებიდან გადმოწერა გიორგი ლობჟანიძემ, კრიტიკულად დაადგინა გრიგოლ რუხაძემ, მესამე სიტყვა ძველი ბერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ, რედ. მ. მჭედლიძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2012, 111 გვ.

წიგნში მოცემულია VII–VIII საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი ღვთისმეტყველის, წმინდა იოანე დამასკელის სიტყვები ხატთაყვანისცემის დასაცავად. მათი მიზანია ხატების თაყვანისცემის მიზეზების განმარტება და დასაბუთება. წიგნს ერთვის სათვეო კალენდარში მოხსენიებულ წმინდანთა სახელების განმარტება. გამოცემა შესულია 2013 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**წმ. იოანე კრონშტადტელი. ჩემი ცხოვრება ქრისტეში.**

გამომცემელი მღვდელი ალექსი ელჩანინოვი, 2003, 63.

წიგნში ქვეყნდება წმინდა იოანე კრონშტადტელის (XIX ს.) დღიური, რომელშიც გადმოცემულია ავტორის გამოცდილება სულიერი ცხოვრებისა და ღმერთთან მიახლოების გზაზე.

**მართალი იოანე კრონშტადტელი. უკანასკნელი სადღიურო ჩანაწერები.**

მთარგმნელი დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი, რედ. ს. გოგინაშვილი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2004, 95 გვ.

წიგნი წარმოადგენს წმინდა იოანე კრონშტადტელის (XIX ს.) დღიურს, სადაც გადმოცემულია ავტორის მიმართება ღვთისა თუ გარშემომყოფი ადამიანებისადმი და მისი სულიერი ცხოვრების გამოცდილება.

**წმ. იოანე კრონშტადტელი. ქრისტიანის ფიქრები (სინანულისა და წმინდა ზიარების საიდუმლოს შესახებ).**

რუსულიდან თარგმნა მარინე ოქროჭელიძემ, 2010, 78 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია წმ. იოანე კრონშტადტელის (XIX ს.) მსჯელობა თვითშემეცნების, სინანულის, აღსარების, ასევე, ზიარების საიდუმლოსა და მისთვის მომზადების შესახებ. განმარტებულია საღვთო ლიტურგიის არსი და მნიშვნელობა.

**წმ. იოანე ოქროპირი. ღვთივშვენიერი სწავლანი რომელსა ეწოდების ოქროს წყარო.**

1904, 102 გვ.

წიგნში შესულია წმ. იოანე ოქროპირის შეგონებები სხვადასხვა სათნოების შესახებ, სწავლება წმინდა წერილის კითხვის, ეკლესიაში კრძალულების

შესახებ და ა. შ. წიგნი ერთვის 1990 წლის კალენდარს.

**წმ. იოანე ოქროპირი. განმარტება იოანეს სახარებისა.**

წმ. ექვთიმე მთაწმინდელის თარგმანი, ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით მოამზადეს: ზურაბ სარჯველაძემ,ლელა ალექსიძემ, ნინო დობორჯგინიძემ, დარეჯან თვალთვაძემ, მანანა მაჩხანელმა, ლელა ნიჟარაძემ, ნანა შუღლაძემ, თამარ ცოფურაშვილმა. რედ.: მ. შანიძე, ზ. სარჯველაძე, I ნაწილი, 1993, 350 გვ., II ნაწილი, 1993,341 გვ.

წიგნში მოცემულია IV საუკუნის დიდი მოღვაწის,წმინდა იოანე ოქროპირის ეგზეგეტიკური ნაშრომის „განმარტება იოანეს სახარებისა" ძველი ქართული ტექსტი. თხზულება ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერით (XI-XIII სს.).

**წმ. იოანე ოქროპირი. თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ.**

წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის თარგმანი. ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით მოამზადეს: მერაბ ბაბუხადიამ, ლილი ბასილაიამ, ნინო დობორჯგინიძემ,დარეჯან თვალთვაძემ, თინათინ კორსანიძემ, მანანა მაჩხანელმა, ნინო შარაშენიძემ, ნანა შუღლაძემ, თამარ ცოფურაშვილმა, თინათინ ცქიტიშვილმა. რედ. მ. შანიძე, წიგნი გამოსაცემად მომზადდა ათონის ხელნაწერთა შემსწავლელ ლაბორატორია „ორიონში", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, I ნაწილი, 1996, 326 გვ., II ნაწილი, 1996, 337 გვ., III ნაწილი, 1998, 503 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს „მათეს თავის განმარტების" სამტომეულს. თხზულება დიდი მოცულობისაა და იოანე ოქროპირის (IV ს.) ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად ითვლება. იგი ოთხმოცდაათი თავისაგან შედგება. თითოეულს მოსდევს შესაბამისი სულიერი სწავლა-დარიგება.

**წმ. იოანე ოქროპირი. როგორ ვიცხოვროთ სახარების მცნებების მიხედვით.**

თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2002, 55 გვ.

კრებულში წარმოდგენილია ნაწყვეტები წმინდა იოანე ოქროპირის (IV ს.) თხზულებებიდან, რომლებშიც საუბარია სხვადასხვა საღვთისმეტყველო საკითხზე.

**წმ. იოანე ოქროპირი. „ვისაც აღდგომისა არა სწამს“.**

2002, 62 გვ.

ნაშრომში გადმოცემულია წმ. იოანე ოქროპირის (IV ს.) სწავლებები სხვადასხვა სულიერ საკითხზე.

**წმ. იოანე ოქროპირი. ექვსი სიტყვა მღვდლობის შესახებ.**

თარგმნეს მანანა ჩიქვანაიამ და რუსიკო ბუაჩიძემ, დაიბეჭდა წმ. ნიკოლოზის სახელობის დედათა მონასტრის მოძღვრის, არქიმანდრიტ ნიკოლოზის ლოცვა-კურთხევით, 2004, 110 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილი თხზულება ეძღვნება მათ, ვინც მღვდლობას აპირებს. მასში მოყვანილია კრიტერიუმები, რომელთაც სასულიერო პირი უნდა აკმაყოფილებდეს.

**წმ. იოანე სინელი. კლემაქსი, ანუ კიბე.**

თანამედროვე ქართულ ენაზე ტექსტი გამართა ტატიანა ცომაიამ, რედ. ნ. ხურცილავა, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2005, 344 გვ.

წმ. იოანე სინელის (კიბისაღმწერელი, იღუმენი, +649 წ.) თხზულება „კლემაქსი, ანუ კიბე“ ორი ნაწილისაგან შედგება: სწვლებანი ბერ-მონაზონთათვის და სწავლებანი წინამძღვართათვის. ნაშრომი შექმნილია თვით წმინდა მამისა და მისი თანამედროვე მოღვაწეების პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით. ეს წიგნი დღემდე გამორჩეული მნიშვნელობის მქონე სახელმძღვანელოდაა მიჩნეული სამონასტრო ცხოვრების მსურველთათვის. პუბლიკაციაში წარმოდგენილია წმინდა ექვთიმე მთაწმინდელის (+1028 წ.) თარგმანის თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოღებული ვერსია. დედნად გამოყენებულია საქართველოს ეკლესიის 1986 წლის კალენდარში დაბეჭდილი ტექსტი.

**ღირსი იოანე სინელი. კიბე ანუ კლემაქსი (II ნაწილი).**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. გოგოჩაშვილმა, რედ. ზ. ეკალაძე, დაიბეჭდა ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2005, 199 გვ.

**ღირსი იოანე სინელი. კიბე ანუ კლემაქსი (I ნაწილი).**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. გოგოჩაშვილმა, რედ. ზ. ეკალაძე,

დაიბეჭდა ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2006,236 გვ.

**წმ. იოანე ტობოლსკელი. ღვთის განგებულებაზე ანუ ღვთისგან განსაზღვრულსა და დაშვებულებაზე.**

თარგმნა ნელი ტატიშვილმა, იბეჭდება წილკნელ მთავარეპისკოპოს ზოსიმეს (შიოშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2000,40 გვ.

ნაშრომში საუბარია ღმერთს, სამყაროს და ადამიანს შორის ურთიერთობაზე.

**წმ. იუსტინე პოპოვიჩი. ეკლესიის დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ.**

თარგმნა მარიამ ნიაურმა, 2006, 16 გვ.

ბროშურა წარმოადგენს წმ. იუსტინე პოპოვიჩის (XX ს.) სიტყვას, რომლის მიხედვით ადამიანის მოვალეობა, უპირველეს ყოვლისა, ღვთის მორჩილებაა.

**წმ. ქირილე ალექსანდრიელი. იოანეს სახარების განმარტება.**

თარგმნა ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, 2003,51 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს V ს.-ის დიდი დოგმატიკოსის, წმინდა კირილე ალექსანდრიელის ნაშრომის „იოანეს სახარების განმარტება" პირველი ნაკვეთის ქართულ თარგმანს. ტექსტს ერთვის მთარგმნელის კომენტარები.

**წმ. კირილე ალექსანდრიელი. ქადაგება ფერისცვალების დღესასწაულზე.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა და ლექსიკონი დაურთო ლუკა ხუნდაძემ, რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2004, 20 გვ.

ბროშურა წარმოადგენს V ს-ის ღვთისმეტყველის, წმ. კირილე ალექსანდრიელის მიერ ფერისცვალების დღესასწაულზე წარმოთქმული ქადაგების ქართული თარგმანის პუბლიკაციას. ტექსტს დართული აქვს „ძნელოანთა სიტყუათა განმარტება-ლექსიკონი" და ბიბლიაში მოხსენიებულ პირთა სახელებისა და სხვა სიტყვების ეტიმოლოგიური ლექსიკონი, რომლებიც წმ. კირილე ალექსანდრიელსვე მიეწერება.

**წმ. კირილე იერუსალიმელი. კატეხიზმური და მისტაგოგიური ჰომილიები.**

ძველი ბერძნულიდან თარგმნა,წინასიტყვა და სქოლიოები დაურთო გიორგი ჯულაყიძემ, რედ. ი. ორჯონია, თბილისი, 2015, 323 გვ.

წიგნში წარმოდგენილია IV საუკუნის წმინდა მამის, კირილე იერუსალიმელ მთავარეპისკოპოსის (348/51-386) ქადაგებათა თარგმანი. ქადაგებები შეეხება ქრისტიანული სარწმუნოებისა და ღვთისმსახურების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. წიგნი განკუთვნილია ქრისტიანული აღმსარებლობით და ღვთისმსახურებით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

**კირიონ საძაგლიშვილი (ეპისკოპოსი). ღირსი სტეფანე და მის მიერ დაარსებული ხირსის მონასტერი.**

რუსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო დეკანოზმა მიქაელ ჭაბაშვილმა, რედ. ა. სტურუა, გამოიცა რუსთველ მიტროპოლიტ ათანასეს (ჩახვაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 1998, 47 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის (ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი, 1855-1918) ნაშრომს ღირსი სტეფანე ხირსელისა (VI ს.) და ხირსის მონასტრის შესახებ. ეს ნაშრომი თავდაპირველად უნდა გამოქვეყნებულიყო ჟურნალ „ვეს კავკაზის" მეორე ნომერში, მაგრამ 1904 წელს შეწყდა ამ ჟურნალის გამოცემა და ნარკვევმა დღის სინათლე ვერ იხილა.

წიგნი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონ II-ის გარდაცვალებიდან მე-80 წლისთავს.

**წმ. მღვდელმოწამე კირიონ II. საქართველოს სამოციქულო, მართმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის.**

გამოსაცემად მოამზადა ლუკა ხუნდაძემ, რედ. თ. გოგოჩაშვილი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „ალილო", თბილისი, 2005,63 გვ.

წიგნში წარმოდგენილია წმ. მღვდელმოწამე კირიონ II-ის (ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი, 1855-1918) წერილები, რომლებშიც ასახულია ბრძოლა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებული 1906 წლის სინოდის სხდომები.

**კირიონ II (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი). წერილები, სტატიები.**

გამოსაცემად მოამზადა ნატო ბუკიამ, რედ. ნ. მეგრელაური, თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2006, 120 გვ.

წმ. მღვდელმოწამე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II (ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი, 1855-1918) ცნობილია, როგორც ნაყოფიერი საეკლესიო მწერალი და მკვლევარი-ისტორიკოსი. თუმცა მის ნაშრომთა უმეტესი ნაწილი დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. მკითხველთა ფართო წრისათვის ხელმიუწვდომელია, ასევე, მისი მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობა. გამოცემა ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსებას ისახავს მიზნად.

**წმ. კლიმენტი რომაელი. კირინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლე.**

თარგმნა დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ, რედ. ე. ჭელიძე, თბილისი, 1997, 56 გვ.

წიგნში ქვეყნდება წმინდა კლიმენტი რომაელის (I ს.) ეპისტოლე, რომელიც განსაკუთრებით ფასეულია ეკლესიოლოგიის, დოგმატიკისა და ლიტურგიკის ისტორიის შესწავლისათვის.

**წმ. კლიმენტი რომაელი. კორინთელთა მიმართ მეორე ეპისტოლე.**

თარგმნა მაია ინდუაშვილმა, ნებადართულია დასაბეჭდად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამოცემისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, 2006, 63 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს წმინდა მღვდელმთავარ კლიმენტი რომაელის (I ს.) კორინთელთა მიმართ მეორე ეპისტოლის თარგმანს, მის შინაარსობრივ და საღვთისმეტყველო ანალიზს. ცხადყოფილია ავტორის ანტიკური ღვთისმეტყველებისა და ელინური ფილოსოფიის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, უდიდესი განსწავლულობა და დახვეწილი რიტორიკული ნიჭი. ეპისტოლემ ჩვენამდე არასრული სახით მოაღწია.

**წმ. კლიმენტი რომაელი. კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლე.**

ტექსტი ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, რედ. ე. ჭელიძე, თბილისის სასულიერო აკადემია, „მერიდიანი“, თბილისი, 2015, 77 გვ.

კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლე ქრისტიანული მწერლობის ერთ-ერთი უძველესი ძეგლია. მასში ასახულია უმნიშვნელოვანესი ცნობები

პირველი საუკუნის ეკლესიის შესახებ. ეპისტოლის ავტორი, წმ. კლიმენტი რომაელი, რომის მესამე ეპისკოპოსი (92-101 წწ.) იყო. ეპისტოლის შექმნა გამოიწვია კორინთოს ეკლესიაში დომიციანუსის იმპერატორობის დროს მომხდარმა უთანხმოებამ, რამაც საფრთხე შეუქმნა ეკლესიის ერთიანობას. ეპისტოლე, მისი შინაარსიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ფასეულია ეკლესიოლოგიის, დოგმატიკისა და წმინდან ავტორებში ლიტრუგიკის ისტორიის შესწავლისათვის.

**წმ. მეთოდე პატარელი. თქმული მეორედ მოსვლისათვის.**

ხელნაწერი გამოსაცემად მოამზადა, ძველიდან თანემედროვე ქართულ ენაზე გადმოიღო, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო დავით ჩანადირმა, რედ. ე. ჭელიძე, თბილისი, 2010,48 გვ.

წიგნი წარმოადგენს წმ. მეთოდე პატარელის (პატარის ეპისკოპოსი, III-IV სს.) ესქატოლოგიური თხზულების ქართული თარგმანის პუბლიკაციას. მასში აღწერილია მოვლენები, რომლებიც განვითარდება ბოლო ჟამს – იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის წინა პერიოდში.

**წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი. რა აღასრულა ღმერთმა ჩვენი გადარჩენისათვის.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ხათუნა რაქვიაშვილმა, ნათია თარაშვილმა, თამარ ასათიანმა, დაიბეჭდა ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2004,88 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია წმ. ნიკოდომოსის (XVIII-XIX სს.) მოსაზრებანი სხვადასხვა სულიერ საკითხზე. ტექსტს დართული აქვს წმინდანის ბიოგრაფია და მისი შრომების ჩამონათვალი.

**წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი. უხილავი ბრძოლა.**

თარგმნა ინგა მელითაურმა, ბოდბის წმინდა ნინოს დედათა მონასტერი, ბოდბე, 2004, 280 გვ.

წიგნის მიზანია მეგზურობა გაუწიოს მკითხველს სულიერი ცხოვრების გზაზე, დაეხმაროს ნაკლოვანებების დაძლევასა და სათნოების მოპოვებაში.

**ნიკოდიმოს მთაწმინდელი. უხილავი ბრძოლა.**

რუსულიდან თარგმნა თამარ ერისთავმა, რედაქტორ-გამომცემელი ზურაბ მუჯირი, იბეჭდება ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშ-

ვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2004, 232 გვ.

წმინდა მამათა გამონათქვამებით გამდიდრებული წმ. ნიკოდიმოს მთაწმიდელის (XVIII-XIX სს.) ეს თხზულება ბერძნულიდან რუსულად უთარგმნია ეპისკოპოს თეოფანეს (გოვოროვი, წმინდა თეოფანე დაყუდებული, 1815-1894). მასში გადმოცემულია სულიერ ცხოვრებაში გამოსადეგი ხერხები ვნებათა და ნაკლოვანებათა აღსაკვეთად და სათნოებებში წარსამატებლად. მოცემულია ძირითადი სწავლებები სულიერი მოღვაწეობის შესახებ.

**წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი. უხილავი ბრძოლა.**

ბერძნულიდან თარგმნა ეკა დუღაშვილმა, რედ.: გ. წულაძე, თბილისი, „ახალი ივირონი“, 2014, 200 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილი წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელის (XVIII-XIX სს.) თხზულების „უხილავი ბრძოლა“ ქართული თარგმანი შესრულებულია ორიგინალის ენიდან კრიტიკულად დადგენილი და გამოცემული ტექსტის საფუძველზე. ქართულ სინამდვილეში ადრე გავრცელებული იყო ამ ძეგლის თავისუფალი რუსული თარგმანი, რომელიც ეკუთვნის წმ. თეოფანე დაყუდებულს (ეპისკოპოსი თეოფანე გოვოროვი, 1815-1894).

**წმ. ნიკოლოზ სერბი (მღვდელმთავარი). დედა კასიანა, ქრისტიანული სიყვარულის ამბავი.**

თარგმნა თამარ შპეტიშვილმა, რედ. თ. გოგოჩაშვილი, იბეჭდება ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „ალილო“, 152 გვ.

წიგნში მოკლედაა მოთხრობილი მონაზონ კასიანასა და მისი ოჯახის სულიერი მოძღვრის, მღვდელი კალისტრატეს ცხოვრების ეპიზოდები, ასევე შეტანილია მღვდელ კალისტრატეს ზნეობრივი შეგონებანი სათაურით „ასი სიტყვა სიყვარულზე“.

**ნიკოლოზ სერბი ველიმიროვიჩი (მღვდელმთავარი). რჩეული წერილები სულიერ შვილებს.**

თარგმნა თამარ ერისთავმა, რედ. ზ. მუჯირი, დაიბეჭდა ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „სამება“, 95 გვ.

წმ. ნიკოლოზ სერბის (XIX-XX სს.) წერილებში ნაჩვენებია მართლმადიდებლური სარწმუნოების განსაკუთრებული როლი თანამედროვე ადამიანის სულიერი პრობლემების დაძლევის საქმეში.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ნიკოლოზ სერბის ბიოგრაფიაც.

**წმ. ნიკოლოზ სერბი. ფიქრები სიკეთესა და ბოროტებაზე.**

თარგმნა ხათუნა რაქვიაშვილმა, რედ. მღვდელი თეოდორე გიგნაძე, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2003,47 გვ.

წიგნში გადმოცემულია წმ. ნიკოლოზ სერბის (XIX-XX სს.) ბიოგრაფია და მისი მსჯელობა სიკეთისა და ბოროტების შესახებ.

**წმ. ნიკოლოზ სერბი. მიუღწეველი ქვეყანა, საპყრობილის სარკმლიდან.**

რედ. თ. გოგოჩაშვილი, რეცენზირებულია დასაბეჭდად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობის და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, „ალილო“, 2005, 112 გვ.

გამოცემაში შეტანილია XX საუკუნის მოღვაწის, წმ. ნიკოლოზ სერბის ორი თხზულება: „მიუღწეველი ქვეყანა“,რომელშიც მოთხრობილია პირველი მსოფლიო ომის დროს ავტორის პატიმრობის შესახებ დახაუს საკონცენტრაციო ბანაკში, და რამდენიმე თავი მისი თვალსაჩინო ნაწარმოებიდან „საპყრობილის სარკმლიდან“.

**წმ. ნიკოლოზ სერბი ველიმიროვიჩი (მღვდელმთავარი). მისიონერული წერილები.**

რედ. თ. გოგოჩაშვილი, რეცენზირებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, „ალილო“, თბილისი, 2005,464 გვ.

წიგნში შესულია XIX-XX სს.-ის სერბი მღვდელთმთავრის,წმ. ნიკოლოზის წერილები საეკლესიო საკითხებზე.

**წმ. ნიკოლოზ სერბი ველიმიროვიჩი (მღვდელმთავარი). მიწა მიუღწეველი, თანამედროვე ზღაპარი უფროსებისთვის.**

თარგმნა გალინა ხარებაშვილმა, რედ.: მ. ყიფიანი, ი. კამკამიძე, იბეჭდება ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოს დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „ხარება“, თბილისი, 2005,87 გვ.

წიგნში მოთხრობილია მეორე მსოფლიო ომის დროს საკონცენტრაციო ბანაკში მომუშავე პირის ზნეობრივ გამარჯვებაზე ნაციზმის სასტიკი რეჟიმის პირობებში, წარმოდგენილია საუბრები რწმენისა და ეთიკის საკითხებზე.

**წმ. ნიკოლოზ სერბი ველიმიროვიჩი (მღვდელმთავარი). ლოცვები ტბასთან. ფიქრები სიკეთესა და ბოროტებაზე. ქადაგებანი მთის ძირას.**

რედ. თ. გოგოჩაშვილი, დაიბეჭდა ზუგდიდ-ცაიშის მიტროპოლიტ გერასიმეს (შარაშენიძე) ლოცვა-კურთხევით, „ალილო", თბილისი, 2008, 352 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს კრებულს, რომელშიც შესულია წმ. ნიკოლოზ სერბის (XIX-XX სს.) ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის სამი ნაშრომი.

**წმ. ნიკოლოზ სერბი. როგორ ვილოცოთ სწორად?**

თარგმნა ნინო ტარყაშვილმა, დაიბეჭდა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოს თადეოზის (იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2010, 23 გვ.

ბროშურის მიზანია, დახმარება გაუწიოს მკითხველს პირადი ლოცვების სწორად წარმართვაში.

**ნიკოდიმოს მილაში (ეპისკოპოსი). მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმოსის (მილაში) განმარტებებით.**

რუსულიდან თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, ტ. I, რედ. იღუმენი დოსითეოზი (ბოგვერაძე), „ალილო", თბილისი, 2007, 648 გვ., ტ. II, რედ. ი. გრიგალაშვილი, „ალილო", თბილისი, 2011, 530 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს წმ. მოციქულთა, მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებებისა და წმ. მამათა კანონების განმარტებებს. ავტორი, ძირითადად, ეყრდნობა კანონიკური სამართლის ისეთ დიდ ავტორებს, როგორებიც არიან: იოანე ზონარა, თეოდორე ბალსამონი და არისტინე.

**ნიკოდიმოს მილაში. ნიკეის წმიდა I მსოფლიო კრების კანონები განმარტებებით.**

რუსულიდან თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე", თბილისი, 2004, 88 გვ.

წიგნში გადმოცემულია I მსოფლიო საეკლესიო კრების (ჩატარდა ქალაქ ნიკეაში 325 წელს) კანონები, რომელსაც თან ერთვის სერბი მღვდელმთავრის, წმ. ნიკოდიმოს მილაშის, განმარტებები. ავტორი ეყრდნობა ძველ კანონისტებს: თეოდორე ბალსამონს, იოანე ზონარას, მათეუს ბლასტარისს, არისტინეს. თარგმანი შესრულებულია წიგნიდან: "Правила православной церкви".

**ნიკოდიმოსი მილაში (ეპისკოპოსი). კონსტანტინოპოლის წმინდა II მსოფლიო კრების კანონები და განმარტებები.**

რუსულიდან თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, რედ. გ. ანდრიაძე, საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“, თბილისი, 2005, 84 გვ.

წიგნში მოცემულია II მსოფლიო საეკლესიო კრების (ჩატარდა ქალაქ კონსტანტინოპოლში 381 წელს) კანონები, რომელსაც თან ერთვის სერბი მღვდელმთავრის, წმ. ნიკოდიმოს მილაშის, განმარტებები. ავტორი ეყრდნობა ძველ კანონისტებს: თეოდორე ბალსამონს, იოანე ზონარას, მათეუს ბლასტარისს, არისტინეს. თარგმანი შესრულებულია წიგნიდან: "Правила православной церкви".

**ნიკოდიმოს მილაში. ეფესოს წმინდა III მსოფლიო საეკლესიო კრების კანონები განმარტებებით.**

რუსულიდან თარგმნეს გრიგოლ რუხაძემ და გვანცა კოპლატაძემ, რედ.: გ. კოპლატაძე, ი. ბრაჭული, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2000, 151 გვ.

წიგნში გადმოცემულია ლათინთა სწავლება პაპზე, როგორც ეკლესიის უმაღლეს ხელისუფალზე. განმარტებულია ეკლესიის შესახებ მართლმადიდებლური და კათოლიკური სწავლების განსხვავებული გაგება, ძირითადი დოგმატური და წეს-ჩვეულებითი განსხვავებანი.

**ნიკოდიმოს მილაში. მართლმადიდებელი ეკლესიის სამართალი. ეფესოს წმინდა III მსოფლიო კრების კანონები განმარტებებით.**

რუსულიდან თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, რედ. მღვდელ-მონაზონი დოსითეოზი (ბოგვერაძე), თბილისი, 2005, 84 გვ.

წიგნში მოცემულია III მსოფლიო საეკლესიო კრების (ჩატარდა ქალაქ ეფესოში 431 წელს) კანონები, რომელსაც თან ერთვის სერბი მღვდელმთავრის, წმ. ნიკოდიმოს მილაშის, განმარტებები. ავტორი ეყრდნობა ძველ კანონისტებს: თეოდორე ბალსამონს, იოანე ზონარას, მათეუს ბლასტარისს, არისტინეს. თარგმანი შესრულებულია წიგნიდან: "Правила православной церкви".

**ნიკოდიმოს მილაში. ნიკეის წმიდა VII მსოფლიო კრების კანონები (განმარტებებით).**

რუსულიდან თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, რედ. გ. ანდრიაძე, საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“, თბილისი, 2004, 78 გვ.

წიგნში წარმოდგენილია ნიკეის VII მსოფლიო კრების 22 კანონი ეკლესიის დიდი კანონისტების განმარტებებით, როგორებიც არიან: თეოდორე ბალსამონი, იოანე ზონარა, მათეუს ბლასტარისი, არისტინე, თარგმანი შესრულებულია წიგნიდან: "Правила православной церкви".

**წმ. ნილოს სინელი. სწავლანი.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ბოლოსიტყვა დაურთო თორნიკე ჭყონიამ. რედ.: ლ. ხუნდაძე, გ. თოდუა, თბილისი, 2006,32 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია წმ. ნილოს სინელის (IV-V სს.) სწავლანი, რომელიც ეხება სხვადასხვა სულიერ საკითხს.

**წმ. ნინო. ქადაგებანი.**

ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო მღვდელმა ვლადიმერ ვახტანგაძემ, რედ. ე. ჭელიძე, „მერიდიანი", თბილისი, 2012, 36 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია ძველ ქართულ საეკლესიო მწერლობაში კარგად ცნობილი წმ. ნინოს სახელთან დაკავშირებული თეოლოგიური შინაარსის ორი ქადაგება: „თქუმული წმიდისა დედისა ჩუენისა ნინოჲსი, რომელმან ქადაგა ქრისტეჱ ქართლსა შინა, შობილი წმიდისა ქალწულისა მარიამისგან" და „თქუმული წმიდისა დედისა ჩუენისა ნინოჲსი, ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა". პირველში განხილულია ტრიადოლოგიური დოგმატი, რომ ღმერთი არის სამპიროვანი ერთარსება, მეორეში კი განმარტებულია მაცხოვრის ნათლისღება. ორივე ჰომილია შემოგვინახა „პარხლის მრავალთავმა" (**A-95, X-XI** ს.). ნათლისღების საკითხავი შემონახულია, ასევე, „სვანურ (ტბეთის) მრავალთავში".

**პაისი მთაწმინდელი (ბერი). მონაზვნად ჩინებულთათვის (მართლმადიდებლის სამაგიდო წიგნი).**

რუსულიდან თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, „ლაზარე", თბილისი, 2004,79 გვ.

წიგნში გადმოცემულია ბერი პაისის (ერისკაცობაში არსენიოს ეზნეპიდისი, 1924-1994) სწავლება მონაზვნობაზე, სიწმინდესა და სულისათვის სასარგებლო სხვა საკითხებზე.

**პაისი მთაწმინდელი (ბერი). სულის საწამლო ბალახები.**

რუსულიდან თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, რედ. ქ. მამასახლისი, თბილისი,

2004,80 გვ.

წიგნში გადმოცემულია ბერი პაისის (ერისკაცობაში არსენოის ეზნეპიდისი, 1924-1994) დარიგებები ისეთ მნიშვნელოვან სულიერ საკითხებზე, როგორიცაა სიყვარული, სიმდაბლე, ლოცვა, განსაცდელი.

**მამა პაისი მთაწმინდელი. ოჯახური ცხოვრება (წიგნი IV).**

რედ. თ. გოგოჩაშვილი, დაიბეჭდა ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით.

წიგნში ქრისტიანული თვალსაზრისით განხილულია ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები: ოჯახური ცხოვრების საფუძველი, მეუღლეებს შორის სიყვარული და ურთიერთპატივისცემა, მშობლების მოვალეობა-ვალდებულებები შვილების სწორად აღზრდის საქმეში,ბავშვების მოვალეობანი მშობლების წინაშე და სხვ.

**მამა პაისი მთაწმინდელი. ვნებები და სათნოებები (წიგნი V).**

რედ. თ. გოგოჩაშვილი, დაიბეჭდა ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, ალილო“, თბილისი, 2008,272 გვ.

წიგნში კითხვა-მიგების (მოწაფესა და მამა პაისის შორის) ფორმით საუბარია ვნებებთან ბრძოლის ხერხებისა და სათნოებების შესახებ.

**პაისი მთაწმინდელი (ბერი). ბერი ჰაჯი-გიორგი ათონელი (1809-1886).**

დაიბეჭდა აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის (მახარაძე) ლოცვა-კურთხევით, წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე, ჩაკიდული თხემები, შპს „სეზანი“, თბილისი, 2009, 104 გვ.

წიგნში მოთხრობილია ჩვენი თანამედროვე ეპოქის დიდი წმინდანის, უსამართლოდ დევნილი ღირსი მამა ჰაჯი-გიორგის ცხოვრების შესახებ.

**წმ. პალადი ჰელენოპოლელი. ლავსაიკონი (საეკლესიო ბიბლიოთეკა XIV).**

წმინდა პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონის“ ეფრემ მცირისეული თარგმანის კრიტიკული ტექსტი დაადგინა, თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოიღო, შესავალი, შენიშვნები, სახელთა საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ქეთევან მამასახლისმა, რედ. მ. ღლონტი, „ახალი ივირონი“, 2010, 348 გვ.

„ლავსაიკონი“ სამოძღვრო-ზნეობრივი ხასიათის ნაშრომია, რომელშიც ასახულია IV-V საუკუნეების დიდ ასკეტთა მოსაგრეობა. იგი დაკვეთით

შექმნილი თხზულებაა, რომლის სახელწოდება უკავშირდება დამკვეთის – იმპერატორ თეოფანე უმცროსის დაახლოებული პირის – ლავსეს სახელს.

**წმ. პოლიკარპე სმირნელი, ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ.**

ტექსტი ძველი ბერძნულიდან თარგმნა,შესავალი და კომენტარები დაურთო დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ, რედ. ე. ჭელიძე, ნებადართულია გამოსაცემად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, „მერიდიანი", თბილისი, 2007, 32 გვ.

წიგნში გადმოცემულია წმინდა პოლიკარპე სმირნელის ცხოვრება, მისი ეპისტოლე „ფილიპელთა მიმართ" და ეპისტოლის ფილოლოგიური ანალიზი.

**წმ. პროკლე კონსტანტინეპოლელი. ქრისტეშობისათვის.**

რედ. გ. თოდუა, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2005,35 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს წმინდა იოანე ოქროპირის მოწაფის, წმინდა პროკლე კონსტანტინეპოლელის ქადაგებას ქრისტეშობის დღესასწაულზე. ქადაგება ჩვენამდე მოღწეულია ორი რედაქციით.

**ღირსი სერაფიმე საროველი. სწავლანი.**

მცირე შემოკლებით თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2003,56 გვ.

წიგნში წარმოდგენილია ერთ-ერთი უდიდესი რუსი მოღვაწის, ღირსი სერაფიმე საროველის (1754-1833) სწავლებები სხვადასხვა რელიგიურ თემაზე. განხილულია არაერთი პრობლემური საკითხი, რომელთა სწორად გააზრება დაეხმარება ადამიანს სულიერ ზრდა-განვითარებაში.

**ღირსი მამა სერაფიმე საროველის საუბარი ქრისტიანული ცხოვრების მიზნის შესახებ.**

თარგმნა ხათუნა რაქვიაშვილმა, თბილისი, 2006,40 გვ.

ბროშურა მკითხველს გააცნობს წმინდა მამის, ღირსი სერაფიმე საროვ-

ელის (ერისკაცობაში პროხორ ისიდორეს ძე მაშნინი, 1754-1833) ღვთივსათნო ცხოვრებას. აღსანიშნავია, რომ ნაშრომის ხელნაწერი მისი რჩეული მოწაფის, ნ. ა. მოტოვილოვის საიდუმლო საცავის სხვენზე სხვადასხვა მივიწყებულ ნივთს შორის ინახებოდა სამოცდაათი წლის განმავლობაში.

**წმ. სერაფიმე საროველი. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წეს-განგება, ქრისტიანთა ცხოვრების მიზანი (საუბარი მოტოვილოვთან).**

რედ. დ. ბასილაია, დაიბეჭდა ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოს პეტრეს (ცააავა) ლოცვა-კურთხევით, 2007, 127 გვ.

პუბლიკაციაში შესულია წმინდა სერაფიმე საროველის (ერისკაცობაში პროხორ ისიდორეს ძე მაშნინი, 1754-1833) რამდენიმე თხზულება და ზოგიერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან.

**მღვდელმოწამე სერაფიმე (ჩიჩაგოვი). სერაფიმე-დივეევოს მონასტრის მატიანე, ღირსი მამა სერაფიმე საროველის ცხოვრება და მოღვაწეობა.**

თარგმნა იღუმენია ელისაბედ ზედგენიძემ, „პოლარის პრინტი“, 2008, 416 გვ.

წიგნში გადმოცემულია საროვის უდაბნოს ისტორია, ღირსი სერაფიმეს (1754-1833) ცხოვრების დეტალები, მის მიერ აღსრულებული სასწაულები და მისი წინასწარმეტყველებანი.

**მღვდელმოწამე სერაფიმე ჩიჩაგოვი. ღირსი მამა სერაფიმე საროველი და სერაფიმო-დივეევოს სავანის ჟამთააღმწერელი.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ხათუნა რაქვიაშვილმა, თბილისი, 2010, ნაწილი I, 376 გვ., ნაწილი II, 410 გვ.

წიგნის ავტორმა, მღვდელმოწამე სერაფიმემ (XIX-XX სს.) ნაშრომს საფუძვლად დაუდო საროვის უდაბნოსა და დივეევოს მონასტრის საარქივო მასალები, თვითმხილველთა და თანამედროვეთა მოგონებები და დოკუმენტები, რომლებიც ღირსი სერაფიმეს ცხოვრებასა და ღვაწლს აცოცხლებს. ნაშრომში აღწერილია დივეევოს მონასტერში 1705-1895 წლებში მომხდარი მოვლენები.

**სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი. სამოღვაწეო, შემეცნებითი და საღვთისმეტყველო თავნი.**

ძველი ბერძნულიდან თარგმნა მაია ინდუაშვილმა, რედ. დაკანოზი არჩილ

მინდიაშვილი, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1992, 134 გვ.

წიგნში სამოღვაწეო, შემეცნებითი და საღვთისმეტყველო თავნის გარდა შესულია წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის (949-1022) ცხოვრება და მისი თხზულება „სამგვარი ლოცვისათვის“.

**წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი. სამგვარი ლოცვისათვის.**

ძველი ბერძნულიდან თარგმნა მაია ინდუაშვილმა, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2003, 47 გვ.

წიგნი წარმოადგენს ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის (949-1022) სიტყვას „სამგვარი ლოცვისათვის“. მასში მოთხრობილია წმინდანის ცხოვრების შესახებაც.

**მღვდ. ს. მჭედლიძე. საღვთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა შემოკლებული ლოცვანით, ღვთისმსახურებით და კატეხიზმოთი (შედგენილი თანახმად უწ. სინოდის პროგრამისა ყოველგვარი დასაწყისი სახალხო სკოლებისათვის).**

კ. ი. ოცხელის და ამხანაგობის წიგნის მაღაზიის გამოცემა, ქუთაისი, 1914-1915, 208 გვ., რეპრინტი, რედაქტორ-გამომცემელი დ. მელიქიშვილი, „პეტიტი“, თბილისი, 2015.

წიგნი ზუსტი ასლია 1924 წლის 1 სექტემბერს ბოლშევიკების მიერ ქუთაისში დახვრეტილი მოღვაწის, ახალმოწამე მღვდელ სიმონ მჭედლიძის (1865-1924) მიერ შედგენილი სახელმძღვანელოსი, რომელიც 1914-1915 წწ. დაიბეჭდა ქუთაისში და დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული. გამოცემა შესრულდა ავტორის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

**მ. ს. მ-ძე (მღვდელი სიმონ მჭედლიძე). ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში.**

სტამბა ი. კილაძისა და ი. ხელაძისა, ქუთაისი, 1907, 64 გვ., რეპრინტი, რედაქტორ-გამომცემელი დ. მელიქიშვილი, „პეტიტი“, თბილისი, 2015.

პუბლიკაცია წარმოადგენს ზუსტ ასლს ბოლშევიკების მიერ დახვრეტილი მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის (1865-1924) წიგნისა „ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში“, რომელიც 1907 წ. დაიბეჭდა ქუთაისში და დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული. გამოცემა შესრულდა ავტორის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

**წმ. ფილარეტი დროზდოვი (მღვდელმთავარი). ვრცელი მართლმადიდებლური კატეხიზმო.**

თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, რედ. მ. სარალიძე, დაიბეჭდა მოწამეთას მამათა მონასტრის წინამძღვრის, იღუმენ ელიაზარის (ივანეიშვილი) ლოცვაკურთხევითა და თანადგომით, „ფერისცვალების“ ბიბლიოთეკა, თბილისი, 2010, 192 გვ.

წიგნში შემოკლებული სახით წარმოდგენილია მართლმადიდებლური ქრისტიანული მოძღვრების მთლიანი კურსი.

## საეკლესიო მწერლები

**აბაშიძე ლაზარე (არქიმანდრიტი). ივერიის ბეთანია.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1994,62 გვ.

წიგნში მოთხრობილია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ბეთანიის ძველი სავანის ისტორია. წიგნი ხელმეორედ გამოიცა 2002 წელს.

**აბაშიძე ლაზარე (არქიმანდრიტი). როგორ შეუძლიათ დემონებს ერთი შეხედვით კეთილ საქმეთა შემოთავაზებით გაგხვიონ თავიანთ ბადეში.**

თარგმნა დეკანოზმა დავით ციცქიშვილმა, თბილისი, 1995, 16 გვ.

წიგნში ასახულია ათონის მთაზე ბერების ხიბლის მდგომარეობაში ჩავარდნის სხვადასხვა შემთხვევა, რომელთა გაცნობა დაეხმარება მკითხველს წარმოდგენა შეიქმნას ამ სახიფათო სულიერი მდგომარეობის შესახებ.

**აბაშიძე ლაზარე (არქიმანდრიტი). თანამედროვე ბერ-მონაზვნობის შესახებ.**

თბილისი, 1996,56 გვ.

წიგნში მოთხრობილია უკანასკნელ წლებში რელიგიური ცხოვრების გამოცოცხლების, დაცარიელებული ტაძრებისა და მონასტრების აღდგენა-განახლების, ახლის მშენებლობის შესახებ.

**აბაშიძე ლაზარე (არქიმანდრიტი). ლაოდიკიის ეკლესიის ანგელოზს.**

1998.

წიგნში აღწერილია მსოფლიოს სულიერი მდგომარეობა XX საუკუნის ბოლოს.

**აბაშიძე ლაზარე (არქიმანდრიტი). ბაბილონის სახმილში – სიძვის ცოდვის შესახებ.**

თარგმნა ირინე ბიბილაურმა, 1999,28 გვ.

ბროშურაში განხილული საკითხები უკავშირდება სიძვის ცოდვას. აქვეა შეგონებები საღვთო სჯულის მეათე მცნების შესახებ.

**აბაშიძე ლაზარე (არქიმანდრიტი). ტელევიზია, ვიდეოტექნიკა, ელექტრონული თამაშები, კომპიუტერული სამყაროები, ბილწსიტყვაობა.**

თარგმნა ირინე ბიბილაურმა, თბილისი, 2011,44 გვ.

**აბაშიძე ფილიპე (დეკანოზი). ბოლო ჟამი (წინასწარმეტყველება საქართველოზე).**

20 გვ.

ბროშურის ავტორი საუბრობს საკუთარ მოქცევაზე, ქრისტეს შემეცნებასა და მისი მცნებებით ცხოვრების აუცილებლობაზე.

**ამბაკუმი (დეკანოზი). ცხოვრება დეკანოზ ამბაკუმისა.**

თარგმნა ია მელქაძემ, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987, 120 გვ.

პუბლიკაცია ქართველ მკითხველს აცნობს XVII საუკუნის რუსული ლიტერატურის ძეგლს – რასკოლნიკების ერთ-ერთი უდიდესი იდეოლოგის, დეკანოზ ამბაკუმის ავტობიოგრაფიას. ნაშრომი მიმართულია რუსული ეკლესიის მიერ XVII საუკუნის II ნახევარში გატარებული რეფორმების წინააღმდეგ. თხზულება, ძირითადად, სასულიერო პირთა ცხოვრებას ეხება, მაგრამ მასში რეალურად აისახა, აგრეთვე, რუსეთის ყოფა, საერო პირთა ცხოვრება.

**ამფითეატროვი ვალენტინ (დეკანოზი). საკვირაო ქადაგებანი (I ნაწილი).**

თარგმნა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა, რედ. ს. გოგინაშვილი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2003,80 გვ.

წიგნში წარმოდგენილია დეკანოზ ვალენტინის ქადაგებები სხვადასხვა საკითხზე.

**ანტონ სუროჟელი (მიტროპოლიტი). სიყვარულის საიდუმლო.**

თარგმნა თამარ გოგილაშვილმა, რედ. ც. ჩიკვაიძე, გ. ცოცანიძე, ნებადართულია დასაბეჭდად საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო განყო-

ფილებასთან არსებული სარეცენზიო საბჭოს მიერ, 2000,56 გვ.

წინამდებარე პუბლიკაცია აბერდინის უნივერსიტეტის, მოსკოვის სასულიერო აკადემიისა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების საპატიო დოქტორის, მიტროპოლიტ ანტონ სუროჟელის (ერისკაცობაში ანდრეი ბლუმი, 1914-2003) მსმენელებთან უშუალო საუბრის ჩანაწერია. განხილულია ქრისტიანული ქორწინებისა და ოჯახის საკითხები.

**ანტონ სუროჟელი (მიტროპოლიტი). მოძღვრის პრობლემა თანამედროვე ეპოქაში.**

თარგმნა ხათუნა რაქვიაშვილმა, რედ. მღვდელი თეოდორე გიგნაძე, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2003,55 გვ.

წიგნში განხილულია სულიერ მოძღვარსა და მრევლს შორის ურთიერთობის პრობლემა თანამედროვე ეპოქაში.

**ანტონ სუროჟელი (მიტროპოლიტი). შეხვედრა ცოცხალ ღმერთთან.**

ტექსტი მოამზადა თინათინ გოგოჩაშვილმა, „აკრიანი“, თბილისი, 2004,116 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია XX საუკუნეში მოღვაწე მღვდელმთავრის დარიგებანი, თუ როგორ უნდა მოემზადოს ადამიანი ღმერთთან შესახვედრად და მასთან ურთიერთობის დასამყარებლად. ავტორი მკითხველს უზიარებს თავის სულიერ გამოცდილებას.

**ანტონ სუროჟელი (მიტროპოლიტი). ადამიანი ღვთის წინაშე.**

რუსულიდან თარგმნა ნ. გურაბანიძე-ქადაგიძემ დ. ბოკერიას, ა. ჟვანიას, გ. ჟვანიას,ნ. დოლიძის და მ. წულუკიძის თანამონაწილეობით, თბილისი, 2009, 439 გვ.

წიგნში განხილულია საკითხები: სარწმუნოება, ჭვრეტა და მოღვაწეობა, თვითშემეცნება, თავმდაბლობა და მორჩილება, ლოცვა, სინდისი და ა.შ.

**ანტონ სუროჟელი (მიტროპოლიტი). აღსარების შესახებ.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ხათუნა რაქვიაშვილმა, 2011,231 გვ.

წიგნში განმარტებულია აღსარების არსი და მნიშვნელობა. ტექსტს ერთვის მიტროპოლიტ ანტონ სუროჟელის (ერისკაცობაში ანდრეი ბლუმი, 1914-

2003) ცხოვრება.

**ანტონ სუროჟელი (მიტროპოლიტი). ლოცვის სკოლა.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ხათუნა რაქვიაშვილმა, წიგნი I, თბილისი, 2012, 232 გვ. წიგნი II, თბილისი, 2012, 192 გვ.

ნაშრომში გადმოცემულია მიტროპოლიტ ანტონის (ერისკაცობაში ანდრეი ბლუმი, 1914-2003) საუბრები ლოცვის ცოცხალი გამოცდილების შესახებ.

**არსენ საფარელი. განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა.**

ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზაზა ალექსიძემ, რედ. რ. კიკნაძე, „მეცნიერება“, თბილისი, 1980, 219 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს არსენ საფარელის ტრაქტატის კრიტიკულად დადგენილ ტექსტს გამოკვლევითა და კომენტარებით. გამოკვლევაში არქეოლოგიურ საკითხებთან ერთად დიდი ადგილი აქვს დათმობილი ძეგლის დათარიღებისა და საქართველო-სომხეთის საეკლესიო ურთიერთობის ისტორიის საკითხებს.

**ბასილი სელევკიელი. სიტყუაჲ ჩჩჳლთათჳს ბეთლემს მოწყუედილთა.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო დიაკონმა ირაკლი ახალაძემ, რედ. ე. ჭელიძე, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბილისი, 2010, 55 გვ.

წინამდებარე პუბლიკაციაში მოცემულია V საუკუნის ავტორის, ბასილი სელევკიელის ჰომილიის თარგმანი. ტექსტის ქართული თარგმანი, სავარაუდოდ, ეფრემ მცირეს უნდა ეკუთვნოდეს.

**ბერბიჭაშვილი გურამ (დეკანოზი). „კეთილ არს სჯული, უკეთუ ვინმე წესიერად იპყრას იგი“ (I ტიმ. 1,8).**

რედ. ბ. კობახიძე, 1995, 147 გვ.

წიგნში საუბარია მართლმადიდებელი ეკლესიისა და მის წინააღმდეგ მიმართული ცრუ სწავლებების შესახებ.

**ბოლოტოვი ვასილ. ეკლესიის ისტორია მსოფლიო კრებების პერიოდში.**

რუსულიდან თარგმნა, წინათქმა და შენიშვნები დაურთო სასულიერო აკა-

დემიისა და სემინარიის პედაგოგმა გიორგი გვასალიამ, რედ.: მღვდელი ზურაბ ცხოვრებაძე, ზ. ჯაში, მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესია, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2009,762 გვ.

გამოცემა წარმოადგენს საეკლესიო ისტორიის ცნობილი რუსი სპეციალისტის, ვ. ვ. ბოლოტოვის „ძველი საეკლესიო ისტორიის“ ლექციათა კურსის IV ტომის პრველ ქართულ თარგმანს. ნაშრომი მოიცავს მსოფლიო კრებათა პერიოდს და განხილულია ამ კრებებზე გადაწყვეტილი დოგმატური საკითხები.

**ბორისოვი ინოკენტი (ხერსონისა და ტავრიის მთავარეპისკოპოსი). უკანასკნელი დღეები მიწიერი ცხოვრების უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.**

თარგმნა ხათუნა რაქვიაშვილმა, რედ. თ. გოგოჩაშვილი, დაიბეჭდა ზუგდიდ-ცაიშის მიტროპოლიტ გერასიმეს (შარაშენიძე) ლოცვა-კურთხევით, 2008, 456 გვ.

წიგნი წარმოადგენს XIX ს-ის რუსი ღვთისმეტყველისა და სასულიერო მწერლის, მთავარეპისკოპოს ინოკენტის (ბორისოვი) ყველაზე ცნობილი თხზულების თარგმანს. მასში სახარებისეული თხრობა განმარტებული და დასაბუთებულია არქეოლოგიური მასალისა და გეოგრაფიული დეტალების მოშველიებით. ამ ნაშრომის საფუძველზე ავტორს მიენიჭა ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხი.

**ბულაშვილი ბესარიონ (მღვდელი). ცისა კარი.**

რედ. დოდო (მარიამ) ღლონტი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2002,50 გვ.

ჟურნალი განკუთვნილია პატარა მკითხველისათვის. მათთვის გასაგებ ენაზე მოთხრობილია ეპიზოდები წმინდა წერილიდან.

**ბუხჰაგენელი ლაზარე (ბერდიაკონი). საქართველო – წმინდა მიწა კავკასიაში.**

გერმანულიდან თარგმნეს ნათია ანსიანმა,რუსუდან ნიკოლოზიშვილმა,დიანა გოგიშვილმა, რედ.: ნ. ორმოცაძე, ნ. ბაღათურია, იბეჭდება ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „მერიდიანი“, თბილისი, 2013,191 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია გერმანელი ბერების მოგონებები საქართ-

ველოში მათი მოგზაურობის შესახებ. წიგნი ოთხენოვანია – შესრულე-ბულია ქართულ, გერმანულ, ინგლისურ (ინგლისურად თარგმნა ქეთევან ჩიგოგიძემ) და რუსულ (რუსულად თარგმნა ნათია ორმოცაძემ) ენებზე.

**ზვიმრაძე დიონისე (იღუმენი). „ნანდვილვე აღდგა უფალი“.**

რედ. თამარ მამაცაშვილი, დაიბეჭდა დმანისისა და აგარაკ-ტაშირის, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავარეპისკოპოს ზენონის (იარაჯული) ლოცვა-კურთხევით, დმანისი 2012,200 გვ.

წიგნში თავმოყრილია დმანისში მოღვაწე იღუმენ დიონისეს ქადაგებები. პუბლიკაცია 2011-2012 წლებში ჟურნალ „კარიბჭეში“ დაბეჭდილი სტატიები-სა და ინტერნეტ-ჟურნალ „ამბიონში“ გამოქვეყნებული ინტერვიუების კრე-ბულს წარმოადგენს.

**გიგნაძე თეოდორე (დეკანოზი). საწუთრო და მარადიული ფასეულობანი.**

რედ. დ. ღლონტი, რეცენზირებულია და ნებადართულია გამოსაცემად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლე-სიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, თბილისი, 2008, 563 გვ.

წიგნი მოგვითხრობს ქრისტეს აღდგომის და ადამიანის მიერ ამ სასწაულის აღქმის შესახებ.

**გიგნაძე თეოდორე (დეკანოზი). საკვირაო სამოციქულო საკითხავების განმარტება.**

რედ. ს. გოგინაშვილი, საქართველოს საპატრიარქო, 2008,191 გვ.

წიგნში განმარტებულია კვირის ლიტურგიაში გამოყენებული სამოციქულო საკითხავები.

**გიგნაძე თეოდორე (დეკანოზი). სარწმუნოობა სარწმუნოებისა ანუ მზა-დება მარადისობისთვის.**

რედ. დ. ღლონტი, საქართველოს საპატრიარქო, 2008,127 გვ.

კრებულში თავმოყრილია თბილისის ჯვართამაღლების სახელობის ტაძ-რის წინამძღვრის, დეკანოზ თეოდორე გიგნაძის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში დაბეჭდილი ინტერვიუები.

**გულაბერიძე ნიკოლოზ (საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი XII ს.). აღწერა სვეტის ცხოველის სასწაულების.**

რედ. დ. მელიქიშვილი, დაიბეჭდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის,ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2003,31 გვ.

თხზულებაში აღწერილია საუფლო კვართისა და წმინდა ნინოს მიერ ქართველთა გაქრისტიანების ამბავი. ტექსტს დართული აქვს შესხმა „გიხაროდენ". გამოცემა შესრულებულია მიქაელ საბინინის „საქართველოს სამოთხის" მიხედვით.

**გუნია ბიძინა (დეკანოზი). ლიტურგიკული შტუდიები, II. ასტროლოგიურ ცრუსწავლებათა მხილება.**

რედ. გ. ალიბეგაშვილი, თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, საღვთისმეტყველო კათედრის შრომები, თბილისი, 2006.

ნაშრომში წმ. წერილის, სჯულისკანონისა და წმ. მამათა სწავლების საფუძველზე მხილებულია სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთ კედელზე არსებულ ფრესკასთან დაკავშირებული ასტროლოგიური სწავლება.

**გუნია ბიძინა (დეკანოზი). იულიუსის კალენდრის საკითხისათვის (სამ ენაზე).**

გელათის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2007,115 გვ.

წიგნში განხილულია კალენდრის შედგენასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები,რომლებიც საეკლესიო და საერო სტილის დაცვას უკავშირდება.

**გუნია ბიძინა (დეკანოზი). ლიტურგიკული შტუდიები, I. საპასექო გამოთვლები „მცხეთის დავითნის" – 38 ხელნაწერის მიხედვით (სამ ენაზე).**

რედ. გ. ალიბეგაშვილი,თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია,პატრისტიკისა და დოგმატიკის კათედრის შრომები, თბილისი, 2011,138 გვ.

ნაშრომში გადმოცემულია საპასექო გამოთვლათა თეორიული საფუძვლები და გაშიფრულია „მცხეთის დავითნის" **A** – 38 ხელნაწერში მოცემული აღდგომის დღის გამოთვლასთან დაკავშირებული სიტყვა-ფორმულები. წიგნი წარმოადგენს მესამე გამოცემას.

**გუნია ბიძინა (დეკანოზი). ლიტურგიკული შტუდიები, III. ჟამთაღრიცხვა და საეკლესიო კალენდარი.**

რედ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი), თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, ლიტურგიკისა და სამოძღვრო ღვთისმეტყველების კათედრის შრომები, თბილისი, 2012, 119 გვ.

ნაშრომში გადმოცემულია ევქარისტიული დროის საღვთისმეტყველო ანალიზი და მისი მოდელირების საკითხი.

**გუნია ბიძინა (დეკანოზი). წელიწადის ცნების თეოლოგიური ასპექტები და საეკლესიო კალენდრის მოდელირების საკითხი (სამ ენაზე).**

გელათის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2012.

წიგნში განხილულია „საეკლესიო", „საპასექო" და „კალენდარული" წელიწადებისა და მათი მოდელირების თავისებურებები.

**დავით ეპისკოპოსი, სიტყვანი.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ზურაბ სარჯველაძემ და ზურაბ კალანდაძემ, რედ. ე. გიუნაშვილი, „ხელოვნება", 1991, 52 გვ.

დავით ეპისკოპოსის სიტყვები, რომლებიც მას წარმოუთქვამს 1907-1912 წლებში თბილისის, გორის, თელავისა და სხვა ეკლესიებში, აგრეთვე, გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების ცხედართა წინაშე, ქართული მჭევრმეტყველების ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენს. წინამდებარე გამოცემა შედგენილია დავით ეპისკოპოსის მიერ 1912-1913 წლებში დასტამბული კრებულის მიხედვით.

**დამასკინე (მღვდელ-მონაზონი). მამა სერაფიმე როუზი, ცხოვრება და შრომები.**

ინგლისურიდან თარგმნა ტატიანა ცომაიამ, რედ.: დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, მ. ოდიკაძე, დ. ღლონტი, ნ. ბურდული, თბილისი, „ახალი ივირონი", 2015, 1120 გვ.

წიგნში მოთხრობილია ამერიკელი მღვდელ-მონაზვნის, სერაფიმე როუზის (ერისკაცობაში იუჯინ დენის როუზი, 1934-1982) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ; გადმოცემულია ჩრდილოეთ კალიფორნიის მთებში მართლმადიდებლური მონასტრის დაარსების ისტორია, სადაც შეიქმნა მამა სერაფიმეს მრავალი ნაშრომი. პუბლიკაციაში წარმოდგენილია მღვდელმონაზონ სერაფიმეს შრომებიც.

**დვორცოვი გერმანე (მღვდელ-მონაზონი). „იეღოვას მოწმეების საზოგა-**

**დღეების" ნამდვილი ისტორია.**

მთარგმნელი ე. კორინთელი, რედ. ნ. კვანტალიანი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „ქართული ენა", თბილისი, 2000,57 გვ.

წიგნში გადმოცემულია „იეღოვას მოწმეთა" სექტის შექმნისა და მისი შემდგომი საქმიანობის ისტორია.

**დუშეინი ეგნატე (იღუმენი). წმინდა ნათლობის საიდუმლო.**

რუსულიდან თარგმნა მარინე ოქროჭელიძემ, თბილისი,2009,28 გვ.

წიგნი კითხვა-მიგებითი ხასიათისაა. მასში განხილულია ნათლობასთან დაკავშირებული საკითხები დამწყებ ქრისტიანთათვის.

**ევსები კესარიელი. საეკლესიო ისტორია (საეკლესიო ბიბლიოთეკა VII).**

ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ზურაბ ჯაშმა, რედ. დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესია, „ახალი ივირონი", თბილისი, 2007,536 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს საეკლესიო ისტორიის ფუძემდებლად მიჩნეული მოღვაწის – ევსები კესარიელის (III-IV სს.) უმნიშვნელოვანეს ნაშრომს, რომელშიც განხილულია ეკლესიის ისტორია ქრისტიანული ეკლესიის დაარსებიდან პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებამდე (ქრისტეს შობიდან 325 წლის ჩათვლით). ავტორი არის თვითმხილველი დროის ამ მონაკვეთის უკანასკნელი პერიოდისა – იგი იყო პირველი მსოფლიო კრების მონაწილე. წიგნში თავმოყრილია არაერთი დოკუმენტი, საიმპერიო რესკრიპტი (იმპერატორთა განჩინება) თუ წერილი. გამოცემის მნიშვნელობას ცხადყოფს ისიც, რომ ზოგიერთი დოკუმენტი ცნობილია მხოლოდ ამ ნაშრომიდან.

**ელისეევი ვლადიმერ (მღვდელი). ცხონების მართლმადიდებლური გზა და აღმოსავლური და ოკულტური მისტიკური სწავლებანი.**

დაიბეჭდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმინდესი ალექსი II-ის ლოცვა-კურთხევით, თარგმნა მიმოზა (თამარ) ბრეკაშვილმა, რედ. თ. ბუაჩიძე, 2004,92 გვ.

ნაშრომში წარმოდგენილია მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმართება აღმოსავლური რელიგიების სწავლებასთან. განხილულია ოკულტურ სწავლებათა მცდარობა და მათი საზიანო შედეგები.

**ეფრემ ფილოთეველი. სულიერ შვილებს მონაზვნობის შესახებ.**

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე, ჩაკიდული თხემები, თბილისი, 2005, 44 გვ.

წიგნი წარმოადგენს ამერიკაში მცხოვრები ათონელი მამის, არქიმანდრიტ ეფრემ ფილოთეველის მიერ სულიერი შვილებისადმი, მონაზვნებისა და ერისკაცებისადმი მიწერილი წერილების კრებულს. იგი მოიცავს სულიერ საკითხებზე შეხედულებებს, მოსაზრებებს – ყველაფერს, რაც მოძღვარმა თითქმის სამოცწლიანი მონაზვნური გამოცდილებითა და ღვთიური განათლებით შეიძინა და შეუძლია სულიერ შვილებს გაუზიაროს. განკუთვნილია ბერ-მონაზონთა და მონაზვნობის მსურველთათვის.

**ეფრემ ფილოთეველი (ბერი). მამობრივი დარიგებანი. I ნაწილი.**

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე, ჩაკიდული თხემები, შპს „სეზანი“, თბილისი, 2007,372 გვ.

**ეფრემ ფილოთეველი (ბერი). მამობრივი დარიგებანი.**

წიგნი ითარგმნა ახალი შუამთის ხახულის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მონასტერში და გამოსაცემად მომზადდა წმ. იოანე ნათლისმცემლის სავანეში, რედ.: ნ. ნაცვლიშვილი, ქ. ღოღობერიძე, იბეჭდება აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის (მახარაძე) ლოცვა-კურთხევით, წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე, ჩაკიდული თხემები, შპს „სეზანი“, თბილისი, 2012, 392 გვ.

ბერი ეფრემ ფილოთეველის (ამერიკაში მცხოვრები ათონელი მამის) წიგნში განხილული საკითხები შეეხება, ერთი მხრივ, ზოგადად სულიერ ცხოვრებას და, მეორე მხრივ, უშუალოდ მონაზვნურ ღვაწლს. შესაბამისად, წარმოდგენილია თავები განსაცდელების, ვნებების, გულისსიტყვების, ეკლესიისა და საღვთო ლიტურგიის თემაზე; ასევე, მონაზვნობის, ქალწულობისა და უბიწოების, სოფლისა და ახლობლების, მოძღვრისადმი სიყვარულისა და რწმენის შესახებ და სხვ. საკითხთა ნაწილი განხილულია სულიერი შვილებისადმი მიწერილ წერილებში, ნაწილი კი – შეკრებებზე წარმოთქმულ სიტყვებში, რომლებიც მაგნიტოფონზეა ჩაწერილი. ამ მიზეზის გამო ყველა ტექსტი აღბეჭდილია პირადი შეხებისა და ცოცხალი ურთიერთობისთვის დამახასიათებელი სისხარტით. წიგნი განკუთვნილია მართლმადიდებლური სარწმუნოებრივი საკითხებით დაინტერესებული ყოველი მკითხველისათვის. ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 35-ე და დაბადებიდან მე-80 წლისთავს.

**ვასილოპულოსი ხარლამპი (არქიმანდრიტი). რატომ არა ხარ ეკლესიაში?**

რუსულიდან თარგმნა დავით ქერაშვილმა, წიგნი დაიბეჭდა ელადის ეკლესიის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2001,40 გვ.

ნაშრომის მიზანია განმარტოს უფლის მეოთხე მცნება; იმსჯელოს იმ ხელისშემშლელ მიზეზებზე, რომლებიც აფერხებს ადამიანებს ეკლესიური ცხოვრების გზაზე.

**ვასილოპულოსი ხარლამპი (არქიმანდრიტი). სიზმარი.**

რუსულიდან თარგმნა მაკა ბულიამ, რედ. დეკანოზი გიორგი ჯგუშია, წიგნი დაიბეჭდა ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოს გერასიმეს (შარაშენიძე) ლოცვა-კურთხევით, ზუგდიდი, 2001,35 გვ.

წიგნის მიზანია, სწორი წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს სიზმრის რაობაზე.

**ვლახოსი იეროთეოზ (მიტროპოლიტი). ერთი ღამე მთაწმინდის უდაბნოში (საუბარი მეუდაბნოესთან იესოს ლოცვაზე).**

რუსულიდან თარგმნა ელდარ ეკალაძემ, თბილისი, 2007,172 გვ.

წიგნში წარმოდგენილია ავტორის ათონის მთაზე ყოფნის დროინდელი მოგონებები. აქვეა იესოს ლოცვის საღვთისმეტყველო ანალიზი. თარგმანი შესრულებულია წიგნიდან Одна ночь в пустыне Святой Горы, М., 2005 г.

**ვლახოსი იეროთეოს (მიტროპოლიტი). მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია (საეკლესიო ბიბლიოთეკა IX).**

ახალბერძნულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ეკა დუღაშვილმა, რედ: ზ. ცხოვრებაძე, ქ. ტატიშვილი, მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესია, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2008, 364 გვ.

ნაშრომში წმინდა მამათა სწავლებაზე დაყრდნობით განხილულია სხვადასხვა ფსიქოლოგიური საკითხი. წიგნი დახმარებას გაუწევს მკითხველს თანამედროვე ადამიანისათვის აქტუალური სულიერი პრობლემების დაძლევაში.

**ვოინო იასენეცკი ლუკა (მღვდელმთავარი). მეცნიერება და რელიგია, სული, სამშვინველი და სხეული.**

თარგმნა აკაკი მინდიაშვილმა, რედ. ა. მინდიაშვილი, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის,უწმინდესისა და უნეტარესის,ილია

II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2003,147 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია წმინდა მღვდელმთავარ ლუკას (ვოინო იასენეცკის) აპოლოგეტური ტრაქტატები, მღვდელმთავრის ბიოგრაფია (ავტორი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ლისიჩკინი) და ბოლოსიტყვაობა (ავტორი ღვთისმეტყველების პროფესორი ანდრეი კურაევი).

**ზენკოვსკი ვასილ (დეკანოზი). აღზრდის პრობლემები ქრისტიანული ანთროპოლოგიის შუქზე.**

რუსულიდან თარგმნა ნათია ორმოცაძემ, რედ. მ. გაგუა, „ახალი ივირონი", თბილისი, 2012,316 გვ.

ავტორის მიზანია, ჩამოაყალიბოს აღზრდის სისტემის ძირითადი საკითხები მართლმადიდებლური თვალსაზრისით. ნაშრომში, ასევე, მოცემულია მართლმადიდებლური ანთროპოლოგიისა და პედაგოგიკის პრინციპების კათოლიკურ პრინციპებთან სისტემური შეპირისპირება.

**თათარაშვილი თეიმურაზ (მღვდელი) – უიარაღო. რელიგიების ისტორია, I.**

რედ. ზ. ეკალაძე, 2007, 307 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ძველი და ახალი რელიგიების განხილვას. გადმოცემულია მათი წარმოშობის ისტორია და მსოფლმხედველობითი საკითხები.

**თათარაშვილი თეიმურაზ (დეკანოზი) – უიარაღო. რელიგიების ისტორია.**

რედ ზ. ეკალაძე, თბილისი, 2011, 321 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ქართულ ენაზე რელიგიების ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის ცდას. 2007 წელს ამ წიგნის I ნაწილი გამოიცა. წინამდებარე გამოცემა აერთიანებს I და II ნაწილებს. აღსანიშნავია,რომ პირველ ნაწილში შესული თავები შევსებულია დამატებითი მასალითა და საკითხებით. წიგნი მოიცავს ყველა მნიშვნელოვან ძველ და ახალ რელიგიას,გადმოცემულია მათი წარმოშობის ისტორია,სარიტუალო წესები და სწავლება. ნაშრომს ახლავს ბიბლიოგრაფია და ტერმინთა განმარტებანი. ნაშრომი განკუთვნილია სტუდენტი-ახალგაზრდობისა და რელიგიების ისტორიით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის.

**თათარაშვილი თეიმურაზ (დეკანოზი) – უიარაღო. იესო ქრისტეს სახე მსოფლიო ლიტერატურაში (სახარებისეული ინტერპრეტაციები).**

რედ. შ. სიხარულიძე, თბილისი, 2012,89 გვ.

წიგნში განხილულია სახარებისეული ისტორიის ლიტერატურული ინტერპრეტაციები, შექმნილი სხვადასხვა მკვლევართა მიერ სხვადასხვა დროში. ნაშრომი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

**თათარაშვილი თეიმურაზ (დეკანოზი). ლექციები ფილოსოფიის ისტორიაში, I.**

რედ. ზ. ეკალაძე, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, თბილისი,2013.

გამოცემა განკუთვნილია სახელმძღვანელოდ ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის ფილოსოფიის ისტორიაში. მასში განხილულია ძველი აღმოსავლეთის (ძველი ინდოეთი და ჩინეთი) და ანტიკური სამყაროს (ძველი საბერძნეთი და რომი) ფილოსოფიური მიმდინარეობები.

**თალაკვაძე ნიკიტა (დეკანოზი). მოქალაქე მღვდლის დღიურიდან, დეკანოზი ნიკიტა მალაქიას ძე თალაკვაძე.**

რედ.: თ. თვალავაძე, ი. ღადუა, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი,თბილისი,2013,919 გვ.

წიგნში ქვეყნდება მე-20 საუკუნის დასაწყისის თვალსაჩინო მქადაგებლისა და მოღვაწის, ანჩისხატის მღვდლის, ნიკიტა თალაკვაძის დღიურების ნაწილი, რომელიც საინტერესო მასალას იძლევა იმდროინდელი ისტორიული პროცესების გაშუქებისათვის.

**თევდორაშვილი გიორგი (დეკანოზი). ბაპტიზმი და მისი გავრცელება საქართველოში.**

მართლმადიდებელი მრევლის დღიური № 2,2005.

პუბლიკაციაში შემოთავაზებულ ნაშრომში დახასიათებულია პროტესტანტიზმის წარმოშობა-განვითარება და ძირითადი მიმდინარეობები. ნაჩვენებია ბაპტიზმის აღმოცენების საფუძველი და გზა, რომელიც ამ რელიგიურმა სექტამ განვლო საქართველოში შემოსვლიდან დღემდე.

**თეოდორე აბუკურა. ტრაქტატები და დიალოგები.**

რედ. ი. ლოლაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, „მეცნიერება“, 1980, 125 გვ.

წიგნი წარმოადგენს არაბი ქრისტიანი მწერლის, თეოდორე აბუკურას

(ხარანელი ეპისკოპოსი, VIII-IX ს.ს.), პოლემიკური, ეგზეგეტიკური და ფილოსოფიური ხასიათის შრომების არსენ იყალთოელისეულ (XI-XII სს.) თარგმანს. ტექსტს უძღვის ნარკვევი, სადაც ის განხილულია ისტორიული და ფილოლოგიური თვალსაზრისით. ნაშრომს ერთვის საკუთარ სახელთა საძიებელი და არქაულ სიტყვათა ლექსიკონი.

**თეოფილე ხუცესმონაზონი. მამათა სწავლანი და თხრობანი.**

შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, ტომი III. ტექსტი გამო-საცემად მოამზადეს, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს მანანა დვალმა და დალი ჩიტუნაშვილმა, რედ. მ დოლაქიძე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2014, 736 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს პატერიკების ქართული თარგმანების გამოცემის მესამე ნაწილს. მასში შესულია აპოფთეგმატას სისტემური კოლექციის თეოფილე ხუცესმონაზონისეული თარგმანი. ამ გამოცემით სრულდება პატერიკების ქართული თარგმანების მკითხველთა ფართო წრისათვის წარდგენა.

**Იაკობ ცურტაველი. შუშანიკის წამება.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და ლექსიკონი დაურთო ციალა ქურციკიძემ, რედ. ე. მეტრეველი, თბილისი, 1979, 93 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს „შუშანიკის წამების" ტექსტს. მას დართული აქვს ძველი ქართული ენის ლექსიკონი.

**იაკობ ცურტაველი. წამებაჲ წმიდისა შუშანიკისა დედოფლისაჲ.**

რედ. ა. ბრეგაძე, თბილისი, 1979,64 გვ.

წიგნში ქვეყნდება „შუშანიკის წამების" ტექსტი.

**იაკობ ცურტაველი. შუშანიკის წამება.**

შეადგინა ოთარ ეგაძემ, რედ. ო. ეგაძე, 1983,344 გვ.

პუბლიკაციაში იბეჭდება „შუშანიკის წამების" ტექსტი მხედრულად და ხუცურად, ამასთან ერთად, წარმოდგენილია ნაწარმოების რუსული, ლათინური, ინგლისური, ფრანგული, ესპანური და გერმანული თარგმანები.

**იაკობ ხუცესი. წამება შუშანიკისი.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ივანე ლოლაშვილმა, რედ. მ. ჯაფარიძე, საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოება, „მერანი“, თბილისი, 1986,184 გვ.

პუბლიკაციაში შესულია „შუშანიკის წამების“ ტექსტი ქართულ ენაზე და მისი რუსული თარგმანი.

**იაკობაშვილი აბიათარ (მღვდელი). საღვთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა (მოკლე კატეხიზისები).**

რედ. ე. გიორგაძე, წიგნის მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა შესრულდა ფოთისა და ხობის ეპარქიის მთავარეპისკოპოს გრიგოლის (ბერბიჭაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2006,197 გვ.

წიგნში მოთხრობილია ძველი და ახალი აღთქმის მოკლე ისტორია.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი (ტ. I).**

რედ.: გ. კოპლატაძე, გრ. რუხაძე, საქართველოს საპატრიარქო, 1997,421 გვ.

წიგნში თავმოყრილია უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მიერ წარმოთქმული ქადაგებები (1977-1996 წწ.), ეპისტოლეები და სხვადასხვა დროს წარმოთქმული სიტყვები.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, ილია II. ეპისტოლენი.**

რედ. გიორგი ზვიადაძე (დეკანოზი), თბილისი, 2012,674 გვ.

წიგნში იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეები 1979 წლიდან 2012 წლის ჩათვლით. ეპისტოლეებს წინ უძღვის უწმინდესი ილია II-ის მიერ სინას მთაზე წარმოთქმული ლოცვა, ლოცვები წმინდა გიორგისა და წმინდა ნიკოლოზისადმი.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. სულიერი მეგზური.**

რედ. თ. გოგოჩაშვილი, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით,

2012, 400 გვ.

წიგნში შესულია გამონათქვამები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,ილია II-ის მიერ სხვადასხვა დროს წარმოთქმული ქადაგებებიდან, სიტყვებიდან, საახალწლო, საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეებიდან, რომლებიც ეხება თანამედროვე ადამიანისათვის აქტუალურ სხვადასხვა პრობლემას.

**ინოკენტი ხერსონელი (მღვდელმთავარი). წმინდა მოციქულ პავლეს ცხოვრება, ღვაწლი, დასჯა.**

რუსულიდან თარგმნა გიორგი როყვამ, რედ. ბ. გოჩოლეიშვილი, დაიბეჭდა ბოლნისის მთავარეპისკოპოს თადეოზის (იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2004,44 გვ.

წიგნში გადმოცემულია წმ. პავლე მოციქულის ცხოვრება, ღვაწლი და მოწამეობრივი აღსასრული. მითითებულია წმინდა პავლეს მოგზაურობის მიმართულება და თარიღები.

**იარაჯული ზენონ (ეპისკოპოსი). სამხრეთის კარიბჭე (დმანისისა და ლორე-ტაშირის მხარის და მისი საეპისკოპოსოს ისტორიული ნარკვევები).**

თბილისი, 2005,236 გვ.

წიგნში ძველ ისტორიულ წყაროებსა და საარქივო მასალებზე დაყრდნობით განხილულია ქვემო ქართლის, კერძოდ, დმანისის ეპარქიაში არსებული მონასტრებისა და ტაძრების ისტორია.

**იარაჯული ზენონ (ეპისკოპოსი). სიცოცხლის საზრისი.**

რედ. ლ. ქადაგიძე, დმანისი, 2008,127 გვ.

წიგნში განხილულია სიცოცხლის არსისა და მიზნის საკითხი. მსჯელობა დაფუძნებულია წმ. წერილსა და წმ. მამათა სწავლებაზე, მოხმობილია ანტიკური ხანისა და შემდგომი დროის მოაზროვნეთა სათანადო მსჯელობანი.

**იევტიჩი ათანასე (ეპისკოპოსი). ღვთის დიდი განჩინება მაქსიმე აღმსარებელთან.**

თარგმნა დავით მურცხვალაძემ, რედ. შ. ჯიჯიეშვილი, ქილანდარის მონასტერი, 2011, 68 გვ.

წიგნში წარმოდგენილია წმინდა მაქსიმე აღმსარებლისადმი მიძღვნილ სა-

მეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება. მაქსიმე აღმსარებლის სწავლებანი განხილულია სამეცნიერო-საღვთისმეტყველო თვალსაზრისით.

**იოანე მოსხი. ლიმონარი.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს მ. ნინიძემ და მ. ჯანგიძემ, რედ. დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი, თბილისი, 1998, 148 გვ.

წიგნში აღწერილი ეპიზოდები გადმოცემულია თვითმხილველების: ღირსი ათანასეს, მამა კვირაკოსის, ანასტასი პატრიარქის და VI-VII საუკუნეების სხვა ცნობილი სასულიერო მოღვაწეების მიერ. მონათხრობის ჭეშმარიტება იმ პერიოდის ისტორიული წყაროების მონაცემებითაც დასტურდება.

**იოანე პეტრიწი. განმარტება პროკლე დიადოხოსის, პლატონური ფილოსოფოსის, „ღვთისმეტყველებითი ელემენტებისათვის“.**

ტექსტი ახალ ქართულ ენაზე გადმოიღო დამანა მელიქიშვილმა, რედ.: ნ. მახარაძე, დ. სუმბაძე, თ. ცქიტიშვილი, თბილისი, 1989, 210 გვ.

წიგნში თანამედროვე ქართული ენით გადმოცემულია პროკლე დიადოხოსის შრომის იოანე პეტრიწისეული (XI-XII სს.) განმარტება.

**იოანე პეტრიწი. განმარტება პროკლე დიადოხოსის „ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა“.**

ტექსტი თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოიღო, გამოკვლევა, ლექსიკონი და შენიშვნები დაურთო დამანა მელიქიშვილმა, რედ. შ. ხიდაშელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული გელათის მეცნიერებათა აკადემია, 1999, 335 გვ.

წიგნში თანამედროვე ქართული ენით გადმოცემულია იოანე პეტრიწის (XI-XII სს.) ნაშრომი, რომელიც ერთვის პროკლე დიადოხოსის „ღმრთისმეტყველების საფუძვლების“ მისსავე თარგმანს. ტექსტს დართული აქვს ფილოსოფიურ ცნება-ტერმინთა განმარტებითი და ძველბერძნულ შესატყვისობათა ლექსიკონი.

**იოსებ ათონელი (ბერი). მონაზვნური გამოცდილების გადმოცემა (წერილები მონაზვნებისა და ერისკაცებისადმი).**

რედ. ქ. ღოღობერიძე, ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის მონასტერი, შპს „სეზანი“, თბილისი, 2002 (I გამოც.), 2004 (II გამოც.), 304 გვ.

წიგნში თავმოყრილია ცნობილი მოღვაწე-ისიხასტის, იოსებ ათონელის (1899-1959) წერილები სულიერი შვილებისადმი. წერილებში გადმოცემულია მოძღვრის რჩევა-დარიგებები იესოს ლოცვასა და სულიერ ბრძოლაში გასაძლიერებლად.

**იოსებ ვათოპედელი (ბერი). ვათოპედური საუბრები, საუბრები მონაზვნური ცხოვრების შესახებ.**

თარგმნა ნინო ბელთაძემ, 2010, 390 გვ.

წიგნში წარმოდგენილი სულიერი საუბრები გამოდგება ერთგვარ სახელძღვანელოდ თანამედროვე მონაზონთათვის.

**იეროთეოს ვლახოსი (მიტროპოლიტი). თვალსაჩინოებითი კატეხიზმო.**

ახალბერძნულიდან თარგმნა ეკა დუღაშვილმა, რედ. ედ. ჭელიძე, წიგნის თარგმანი იბეჭდება ავტორის, ნავპაკტოსისა და წმინდა ვლასიოსის მიტროპოლიტ იეროთეოს ვლახოსის ოფიციალური ნებართვით, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2010, 88 გვ.

ნაშრომში განხილულია თემები: შესაქმე, ადამიანის დაცემა, სიტყვის განკაცება, ქრისტეს ცხოვრება და საქმე, სამება ღმერთი, ეკლესია, წმინდა ტაძარი, მართლმადიდებელი სამღვდელონი, სიკვდილის დათრგუნვა, მკვდრეთით აღდგომა და საუკუნო სიცოცხლე. აღქმის გაადვილების მიზნით ტექსტს დართული აქვს თვალსაჩინო ნიმუშები.

**ისააკი (მღვდელმონაზონი). ბერი პაისი მთაწმინდელის ცხოვრება.**

ბერძნულიდან თარგმნა ეკატერინე დუღაშვილმა, გამომცემელი მაღაზია „ყველაფერი მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის“, ათონის წმინდა მთა, „პრეპრინტი“, თბილისი, 2011, 275 გვ.

პუბლიკაციაში ასახულია ბერი პაისი ათონელის (ერისკაცობაში არსენიოს ეზნეპიდისი, 1924-1994) ღვაწლი. იბეჭდება მისი ბიოგრაფია და თანამედროვეთა მოგონებები. ტექსტს დართული აქვს ფოტომასალა. წიგნი პირველად გამოიცა 2004 წელს.

**ქალაიჯიშვილი სტეფანე (ეპისკოპოსი). ლიბერალიზმი, სიცრუე და ცოდვის მონობა თავისუფლების ნიღბით.**

ცაგერისა და ლენტეხის ეპარქია, 2004, 8 გვ.

ბროშურაში საუბარია ლიბერალიზმის ჭეშმარიტი არსის შესახებ.

**კალაიჯიშვილი სტეფანე (ეპისკოპოსი). მართლმადიდებელი ქრისტიანობა თანამედროვე მსოფლიოში.**

ცაგერისა და ლენტეხის ეპარქია, 2004,32 გვ.

ბროშურაში საუბარია თანამედროვე მსოფლიოს მიმართებაზე მართლმადიდებლური ქრისტიანობისადმი, მართლმადიდებლობის დამოკიდებულებაზე სხვა აღმსარებლობებთან, სარწმუნოების ადგილზე ადამიანის ცხოვრებაში.

**კარელინი რაფაელ (არქიმანდრიტი). არქიმანდრიტ რაფაელის საუბრები მართლმადიდებლობაზე.**

რუსულიდან თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, რედ. ა. ხარანაული, თბილისი, 1994,151 გვ.

წიგნის თემატიკა, ძირითადად, ეხება ეკლესიის მიმართებას სხვა კონფესიებსა და რელიგიებთან, ისტორიასა და კულტურასთან, არაეკლესიურ საზოგადოებასთან, ოჯახთან, პიროვნებასთან.

**კარელინი რაფაელ (არქიმანდრიტი). „იეღოვას მოწმეების“ სექტის შესახებ (კითხვა-მიგებანი).**

თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, რედ. ა. ხარანაული, „მთარგმნელი“, თბილისი, 1995,47 გვ.

წიგნის მიზანია, დახმარება გაუწიოს „იეღოვას მოწმეთა“ სექტის მიერ ცდუნებულ და ჭეშმარიტების მაძიებელ მკითხველს.

**კარელინი რაფაელ (არქიმანდრიტი). არქიმანდრიტ რაფაელის ქადაგებანი.**

თარგმნა ლუკა ლევიძემ, რედ.: ელ. თავბერიძე, მ. ცირეკიძე, გრ. სოფრომაძე, ქუთაისი, 1996,48 გვ.

წიგნში შეტანილია თანამედროვე მოძღვრის, არქიმანდრიტ რაფაელის ქადაგებანი. მათში განხილულია ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხები.

**კარელინი რაფაელ (არქიმანდრიტი). ტრაგიკული შეცდომა, რომელიც შეიძლება გამოსწორდეს – წერილი I, წერილი II.**

1997,13 გვ.

არქიმანდრიტ რაფაელის წერილები ეხება დღევანდელ ეკლესიაში არსებულ პრობლემებს.

**კარელინი რაფაელ (არქიმანდრიტი). არქიმანდრიტ რაფაელის საუბრები მართლმადიდებლობაზე.**

თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, რედ. ა. ხარანაული, წიგნი იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 1997,124 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია მსჯელობა თეოსოფიის საკითხებზე, მღვდლობის შესახებ და სხვ.

**კარელინი რაფაელ (არქიმანდრიტი). ქადაგებები, სტატიები 1.**

თარგმნა ია მელიქიძემ, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 1998,93 გვ.

წიგნში შეტანილია არქიმანდრიტ რაფაელის ქადაგებები და სტატიები, რომლებიც ეხება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საკითხს.

**კარელინი რაფაელ (არქიმანდრიტი). ქადაგებები, სტატიები 2.**

თარგმნა ია მელიქიძემ, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი 1999,99 გვ.

წიგნში შესულია არქიმანდრიტ რაფაელის ქადაგებები და სტატიები სახარებისეული ეპიზოდების შესახებ.

**კარელინი რაფაელ (არქიმანდრიტი). დარიგებანი.**

თბილისი, 2000,24 გვ.

წიგნში შეტანილია თანამედროვე საეკლესიო მწერლის, არქიმანდრიტ რაფაელის სამი ქადაგების თარგმანი ქართულ ენაზე. ქადაგებები ეხება მართლმადიდებელი მრევლისათვის საინტერესო სულიერ საკითხებს.

**კარელინი რაფაელ (არქიმანდრიტი). მორჩილების საიდუმლო.**

რუსულიდან თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, რედ. ქ. მამასახლისი, დაიბეჭდა რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2004, 45 გვ.

წიგნში განხილულია მონასტრული ცხოვრების საკითხები.

**კარელინი რაფაელ (არქიმანდრიტი). მართლმადიდებლობა და ამა სოფლის ცდომილებანი.**

რუსულიდან თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, რედ. ა. ხარანაული, დაიბეჭდა ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „მერიდიანი“, თბილისი, 2009,349 გვ.

წიგნში განხილულია სხვადასხვა საღვთისმეტყველო საკითხი.

**კარელინი რაფაელ (არქიმანდრიტი). ღმერთთან მიახლოების საიდუმლო.**

რუსულიდან თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, რედ. ა. ხარანაული, დაიბეჭდა ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2011,328 გვ.

წიგნში საუბარია ლოცვის მნიშვნელობაზე.

**კაფსანი გიორგი (არქიმანდრიტი, წმინდა გრიგოლის მონასტრის იღუმენი). ეკუმენიზმი და ეკუმენური მართლმადიდებლობა.**

ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის მონასტერი, თბილისი, 2002, 20 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ინტერვიუს ათონის მთის წმინდა გრიგოლის მონასტრის წინამძღვართან. იგი მნიშვნელოვან ეკლესიურ საკითხს ეხება და აშუქებს პაპისა და მისი მიმდევრების პოლიტიკას ევროპაში.

**კერნი კვიპრიანე (არქიმანდრიტი). „წმიდა მამათა მწერლობის ოქროს საუკუნე“.**

თარგმნა მარიამ გაგუამ, საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ საგამომცემლო ცენტრი, 2002, 74 გვ.

ამ სერიით წარმოდგენილია მცირე მოცულობის ბროშურები, რომლებიც ეხება მართლმადიდებლური სარწმუნოების დოგმატიკის, კანონიკის, პატროლოგიისა და თეოლოგიის სხადასხვა ასპექტს.

**კვარაცხელია პეტრე (დეკანოზი). მას ჟამსა შინა.**

რედ. დეკანოზი თეიმურაზ თათარაშვილი, „სამშობლო“, 2007,74 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს პუბლიცისტური წერილების კრებულს.

**კვარაცხელია პეტრე (დეკანოზი). რელიგიური პროცესები ქვემო ქართლში.**

რედ. გ. კოპლატაძე, იბეჭდება ბოლნელ ეპისკპოს ეფრემის (გამრეკელიძე) ლოცვა-კურთხევით, „კოლორი“, თბილისი, 2011, 95 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს სამეცნიერო გამოკვლევას, რომელშიც გაანალიზებულია ქვემო ქართლში მართლმადიდებლობასთან ერთად უძველესი დროიდან დღემდე არსებული რელიგიების რაობა და ისტორია. წიგნი ეძღვნება ეპისკოპოს ეფრემის (გამრეკელიძე) მოღვაწეობას ბოლნისის ეპარქიაში. ტექსტს ერთვის ფოტომასალა.

**კვარაცხელია პეტრე (დეკანოზი). „პატარა უფლისწულის“ სახარებისეული განმარტება.**

რედ. გ. ლობჟანიძე, „მერანი“, 2012, 135 გვ.

წიგნში ცნობილი ფრანგი მწერლის, ანტუან დე სენტ ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“ გაანალიზებულია რელიგიური თვალსაზრისით. ავტორი ავლენს ახლებურ ხედვას, რაც ნაწარმოების ძირითადი აზრის განსხვავებულ გაგებას განაპირობებს. ნაშრომში გავლებულია პარალელები პატარა უფლისწულის ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებსა და იესო ქრისტეს ნივთიერი ცხოვრების სახარებისეულ ამბებს შორის. ნაწარმოებში ასახული მხატვრული სახეები და სახელები ჩათვლილია სიმბოლოებად და მათი შინაარსი განმარტებულია ბიბლიოლოგიური ლექსიკონის საფუძველზე.

**კიკნაძე ფილადელფოს (მღვდელ-მონაზონი). ცოდვისათვის.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა დეკანოზმა მიქაელ გაბაშვილმა, დაიბეჭდა რუსთველ მიტროპოლიტ ათანასეს (ჩახვაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 1999, 39 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს მღვდელ-მონაზონ ფილადელფოს კიკნაძის ქადაგებას „სინანულის შესახებ“.

**მღვდელი კირიონი. ბერი გაბრიელის სწავლება.**

დაიბეჭდა საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოს ლუკას (ლომიძე) ლოცვა-კურთხევით, „ალილო“, 2009,40 გვ.

ბროშურა წარმოადგენს ბერი გაბრიელის (ერისკაცობაში გოდერძი ვასილის ძე ურგებაძე, 1929-1995) სწავლებას განღმრთობისა და ათი ქალწულის იგავის შესახებ. აქვე მოყვანილია მისი საუბარი მღვდელმონაზონ კირიონთან.

**კრესტიანკინი იოანე (არქიმანდრიტი). აღსარების აგების გამოცდილება.**

თარგმნეს მართა კასრაძემ და მანანა ჭირაქაძემ, გამოსაცემად მოამზადა მღვდელმა ლავრენტი ბეთლემიშვილმა, 2001,139 გვ.

წიგნი წარმოადგენს არქიმანდრიტ იოანე კრესტიანკინის ქადაგებათა თარგმანს. ავტორის მიზანია, განუმარტოს მკითხველს სინანულის ჭეშმარიტი არსი და აღსარების მართებულად აგების წესი; კიდევ ერთხელ შეახსენოს ამქვეყნიური ცხოვრების მთავარი დანიშნულება – მარადისობისთვის მომზადება.

**ლაზარე (არქიმანდრიტი). აღსარების საიდუმლოსა და ცოდვებისათვის.**

თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, 1994,117 გვ.

წიგნში სინანულის საიდუმლოსთან მიმართებით განხილულია როკ-მუსიკითა და თანამედროვე მაგიით გატაცების, ნარკომანიის, მცირედმორწმუნეობის, სიძვისა და მემთვრალეობის საკითხები. წიგნი ხელმეორედ გამოვიდა 1996 წელს.

**ლომიძე იერემია (ბერი), კვიკვინია სვეტლანა. ღვთისა ძალითა (მოგონებები იღუმენ ელისეზე).**

წიგნი გამოიცა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2009, 106 გვ.

წიგნში გადმოცემულია იღუმენ ელისეს (ბელქანია) ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი.

**ლოსკი ვლადიმერ, გიცკი დიმიტრი, კოზლოვი მაქსიმ. რომაული კათოლიციზმი, სულიწმინდის გამომავლობა მართლმადიდებლურ სწავლებაში სამების შესახებ.**

რუსულიდან თარგმნეს გვანცა კოპლატაძემ და გრიგოლ რუხაძემ, რედ. ი. ბრაჭული, იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2000,151 გვ.

წიგნის I ნაწილი (რომაული კათოლიციზმი) თარგმნილია მოსკოვის სასულიერო აკადემიის მიერ მომზადებული შედარებითი ღვთისმეტყველების სახელმძღვანელოდან. მასში განხილულია კათოლიციზმის ის დოგმატურ-კანონიკური და საეკლესიო-პრაქტიკული თავისებურებანი, რომლებიც მას მართლმადიდებლური სარწმუნოებისაგან განასხვავებს. ვლ. ლოსკის ტრაქტატში სულიწმინდის გამომავლობის შესახებ „ფილიოკვე“ განხილულია სამების ღვთისმეტყველების დამარღვეველი ფილოსოფიური სწავლება.

**ლოსკი ვლადიმერ. დოგმატური ღვთისმეტყველება.**

თარგმნა ზურაბ ეკალაძემ, იბეჭდება გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოს ექვთიმეს (ლეჟავა) ლოცვა-კურთხევით,თბილისი, 2007,132 გვ.

წიგნში განმარტებულია საღვთისმეტყველო საკითხები: „ორი მონოთეიზმი,“ „გზა უარყოფისა და გზა მტკიცებისა,“ „სამება,“ „სამების ტერმინოლოგია,“ „ღვთაებრივ პირთა თვისებები“, „შესაქმე“ და ა.შ.

**მასლოვი იოანე (სქემარქიმანდრიტი). ლექციები სამოძღვრო ღვთისმეტყველებაში.**

თარგმნა გრიგოლ რუხაძემ, რედ. გ. კოპლატაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2007,531 გვ.

სამოძღვრო ღვთისმეტყველება განმარტავს, რა მნიშვნელობა აქვს სამოძღვრო მსახურებას, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა აკისრია მოძღვარს და როგორ უნდა ვეძიოთ გზები ამ სამსახურის ღირსეულად გაგრძელებისათვის. წიგნში წარმოდგენილია ეკლესიის მამების ზოგიერთი დიდაქტიკური ხასიათის თხზულების ანალიზი.

**მაქსიმოვიჩი იოანე (შანხაისა და სან-ფრანცისკოს მთავარეპისკოპოსი). ქადაგებანი.**

2005, 135 გვ.

წიგნში წარმოდგენილია შანხაისა და სან-ფრანცისკოს მთავარეპისოპოს იოანე მაქსიმოვიჩის (გარდ. 1966 წლის 19 ივნისს (2 ივლისს) ქ. სიეტლში) ქადაგებანი. მან მართლმადიდებლური სარწმუნოება სამ კონტინენტზე იქადაგა.

**მახარაძე დავით (ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი), მიქაელ წულუკიძე (მღვდელი). ქართული საეკლესიო გალობის თანამედროვე პრობლემები.**

რედ. მ. ანდრიაძე, წიგნი გამოიცა ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის ლოცვა-კურთხევით, „ტრიადა“, თბილისი, 2002.

კრებულში განხილულია თანამედროვე ეტაპზე წარმოქმნილი პრობლემები, რომლებიც ეხება ქართულ საეკლესიო გალობას.

**მახარაძე დავით (აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი). ქვეყანა საქართვე-**

**ლო (ქართულ და ინგლისურ ენებზე).**

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე, ჩაკიდული თხემები, თბილისი, 2011, 8 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის სიტყვას, რომელიც დაიწერა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. მასში განხილულია საკითხები: რატომ უყვართ ქართველებს სამშობლო მიწა; რატომ ითვლებიან ისინი კარგ სოფლის მეურნე ხალხად; რას ეფუძნება სამშობლოს სიყვარული და რა ასაზრდოებს მას.

**მელიქიძე აკაკი (დეკანოზი). ქადაგებები.**

რედ. მ. თამაზაშვილი, თბილისი, 2008,68 გვ.

წიგნში საუბარია თავმდაბლობის, მოთმინების, ჯვრის ტვირთვის შესახებ.

**მელიქიძე აკაკი (დეკანოზი). ქადაგებები.**

რედ. მ. თამაზაშვილი, თბილისი, 2009,92 გვ.

წიგნში საუბარია ცოდვათა მიტევების, მცნებათა აღსრულების, მადლის მოპოვების შესახებ.

**მელიქიძე აკაკი (დეკანოზი). დიდებაჲ წარუვალი მოიგოთ (ქადაგებები).**

რედ. მ. თამაზაშვილი, თბილისი, 2010,78 გვ.

წიგნში შესულია მეტეხის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ აკაკი მელიქიძის 2009-2010 წლებში წარმოთქმული ქადაგებები. ეს კრებული წარმოადგენს მისი ქადაგებების რიგით მეოთხე გამოცემას.

**მექოშვილი ლევან (მღვდელი). საქართველო მეორედ მოსვლის დროს.**

რედ. მ. ხითარიშვილი, 2008,127 გვ.

**მექოშვილი ლევან (მღვდელი). მოძღვრისა და სულიერი შვილის ურთიერთობა, ახალმოქცეულთა ზოგადი მდგომარეობა, ბავშვთა ქრისტიანული აღზრდა.**

რედ.: მ. ხითარიშვილი, ე. ჩაჩანიძე, დაიბეჭდა გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოს ექვთიმეს (ლეჟავა) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2011, 168 გვ.

ავტორი საუბრობს სასულიერო პირისათვის აუცილებელ თვისებებზე – სიმდაბლესა და უბრალოებაზე. განხილულია ძველი მამების მოსაზრებანი მოძღვრისა და სულიერი შვილის ურთიერთობაზე.

**მინიატისი ილია (ეპისკოპოსი), მე გიხმობთ დღეს!**

თარგმნა ნინო გულიაშვილმა, რედ.: მ. ყიფიანი, გ. ჩხაიძე, იბეჭდება ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოს დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი 2007, 495 გვ.

პუბლიკაციაში თავმოყრილია XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ეპისკოპოსის, ილია მინიატისის ქადაგებები, წარმოთქმული, უმეტესწილად, დიდი მარხვის განმავლობაში.

**მოლჩანოვი ბორის (დეკანოზი). ანტიქრისტე 666.**

თარგმნა ვასიკო ბურკაძემ, 1992, 47 გვ.

რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის (ემიგრაციაში მოქმედი) მღვდელმსახურის, ბორის მოლჩანოვის წიგნში საუბარია ესქატოლოგიური მოვლენების შესახებ.

**მონაზონი სერაფიმა. მოგონებანი დედა თამარზე.**

მთარგმნელები: ზაალ ტაბაღუა, თეა გზირიშვილი, რედ. ბ. კუდავა, მეცნიერებათა აღორძინების ფონდი „ინტელექტი“, თბილისი, 1995,31 გვ.

რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის უფროსი და, თამარ მარჯანიშვილი (1869-1936) – სქემიღუმენი თამარი – ერთ-ერთი დიდი ფიგურა იყო XX საუკუნის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მოღვაწეთა შორის. საბჭოთა პერიოდში მასზე ჩვენში თითქმის არაფერი იწერებოდა, რადგან 30-იან წლებში იგი რეპრესირებული იყო. 1983 წელს, საფრანგეთში, რუსეთის ემიგრანტული ეკლესიის კრებულში პირველად დაიბეჭდა მონაზონ სერაფიმას მოგონებები დედა თამარზე.

წიგნი გთავაზობთ ამ მოგონებათა ქართულ თარგმანს მცირეოდენი შემოკლებით.

**მოსეშვილი რევაზ (დეკანოზი). კიდენი ქვეყანისანი.**

რედ. ე. ქაროსანიძე, იბეჭდება ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით, ქუთაისი, 2010, 198 გვ.

წიგნში გამოყენებულია მასალები ჟურნალ-გაზეთებიდან: „ქუთაისი,“ „საღ-

ამოს ქუთაისი,“ „ახალი ქუთაისი,“ „კვირის პალიტრა,“ „განთიადი,“ „ცის-კარი,“ „მოწამეთა,“ „სარკე,“ „გზა,“ „პრაიმ ტაიმი“. ტექსტებს თან ერთვის ფოტომასალა.

**მუსელიანი ანა (იღუმენია), თეკლა წიქარიძე (მონაზონი). ჟამი შენებისა.**

რედ. დ. კვარაცხელია, იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ფოთი, 2006, 95 გვ.

ჟურნალი ეძღვნება ფოთისა და ხობის ეპარქიის დაარსების მე-10 და მთავარ-ეპისკოპოს გრიგოლის (ბერბიჭაშვილი) დაბადებიდან 50-ე წლის იუბილეს. ჟურნალი ილუსტრირებულია.

**Oსტაპენკო საბა (სქემიღუმენი). ამპარტავნების შესახებ.**

თარგმნა ხათუნა რაქვიაშვილმა. რედ. მღვდელი თეოდორე გიგნაძე, თბილი-სი, 2003, 55 გვ.

ნაშრომში საუბარია ამპარტავნობის ცოდვის შესახებ. ტექსტს დართული აქვს სქემიღუმენ საბას ბიოგრაფია.

**ოსტაპენკო საბა (სქემიღუმენი). მთავარი ქრისტიანული სათნოებებისა და ამპარტავნების შესახებ.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ხათუნა რაქვიაშვილმა, თბილისი, 2011, 184 გვ.

წიგნში განხილულია ისეთი ქრისტიანული სათნოებები, როგორიცაა სი-ყვარული, მოწყალება და თავმდაბლობა. ტექსტს უძღვის წინასიტყვაობა. ნაშრომი უფრო მცირე მოცულობით გამოიცა 2003 წელს.

**ოქროპირიძე ლეონიდე. კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე და მისი ქად-აგებანი.**

საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1990, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1990, 203 გვ.

წიგნი წარმოადგენს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს (ერისკაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე, 1861-1921) ქადაგებების კრებულს, წარმოთქმულს სხვადასხვა დღესასწაულზე. იგი ერთვის 1990 წლის კალენდარს.

**ოქროპირიძე ალექსანდრე (ეპისკოპოსი). მართლმადიდებლური კატეხიზმო.**

რედ. გ. რუხაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2001, 143 გვ.

წიგნის ორიგინალი დაიბეჭდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმინდესი პიმენის ლოცვა-კურთხევით მოსკოვის საპატრიარქოს მიერ 1990 წელს. მისი მიზანია მართლმადიდებლური სარწმუნოების ძირითად სწავლებათა მოკლედ გაცნობა დაინტერესებული მკითხველისათვის.

**ოქროპირიძე ლეონიდე (სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი). წერილი ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ.**

დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2005, 12 გვ.

ბროშურა მკითხველს აცნობს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს (ერისკაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე, 1861-1921) ბიოგრაფიასა და წერილებს.

**ოქროპირიძე პიროს (არქიმანდრიტი). ახალი აღთქმის წიგნთა განმარტებანი.**

რედ. ე. გიუნაშვილი, „მთაწმინდა“, თბილისი, 2010, 335 გვ.

გამოცემა აერთიანებს არქიმანდრიტ პიროსის (ერისკაცობაში მათე იოანეს ძე ოქროპირიძე 1874-1923) სამ ნაშრომს: „განმარტება სახარებისა, სახარება მათესგან“, „სახარების განმარტება, სახარება მარკოზისაგან“, „განმარტება წმინდა პავლე მოციქულის სამწყსო ეპისტოლეთა“. ამ ნაშრომებში ავტორი გვაწვდის ახალი აღთქმის წიგნთა კანონიკურ ტექსტს და შემდეგ – მის განმარტებას. კომენტარებში გამოყენებულია ეკლესიის მამათა და თეოლოგთა აზრები. გამოცემაში შეცვლილია ორთოგრაფია, ავტორისეული კომენტარები გასწორებულია ენობრივ-სტილისტური და შინაარსობრივი თვალსაზრისით. საკუთარი, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელების გაფორმება შეიცვალა ქართული საღვთო წერილის გადმოცემის კლასიკური ნორმების მიხედვით.

**პავლოვი კირილე (არქიმანდრიტი). უწინარესად ყოველთა ეძიეთ სასუფეველი ცათა.**

თარგმნა ირინე ჭითანავამ, რედ. ხ. როგავა, დაიბეჭდა ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტ გერასიმეს (შარაშენიძე) ლოცვა-კურთხევით, 100 გვ.

წიგნში შეტანილია ტროიცე-სერგეევოს ლავრის სულიერი მოძღვრის, არქიმანდრიტ კირილეს (პავლოვი) ქადაგებები.

**პეტრიდი-ტელიანიდი საბა (სქემარქიმანდრიტი). სქემმონაზონ ელენეს (ტუიშოვა) ცხოვრება და სასწაულები, ჩინის უდაბნოს მონოზონი.**

თბილისი, 2012,54 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს თანამედროვე მოღვაწის, სქემარქიმანდრიტ საბას (ქრისტეფორე პეტრიდი-ტელიანიდი) მოგონებებს თავის მასწავლებელზე – აფხაზეთში მოღვაწე მონაზონ ელენეზე.

**პომაზანსკი მიქაელ (პროტოპრესვიტერი). დოგმატური ღვთისმეტყველება (სერია: მართლმადიდებლური დოგმატიკა).**

თარგმნა და მოამზადა ნინო ბელთაძემ, რედ. ზ. ეკალაძე, გამოცემულია საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ „ლაზარე"-ს საგამომცემლო ცენტრის მიერ, თბილისი, 2004, 272 გვ.

სერიის „მართლმადიდებლური დოგმატიკა" მიზანია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლს მიაწოდოს ბერძნულ, რუსულ და სხვა ენებზე გამოცემული მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო ლიტერატურის თარგმანები.

**ქვანია ზინობ (მღვდელი). ქუთაისის სიონის (ბაგრატის) ტაძარი.**

რედ. ზ. კუხიანიძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „საქართველო", ქუთაისი, 1997,20 გვ.

ბროშურაში საუბარია იმ სამუშაოს შესახებ, რომელიც ჩატარდა ქუთაისის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის (ბაგრატის) ტაძარში.

**ჟვანია ზინობ (დეკანოზი). მართალთა ცხოვრება.**

რედ. მ. ქურციკიძე, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ქუთაისი, 2005, 168 გვ.

წიგნის ავტორის მიზანია, აღწეროს თავისი წინაპრების, მისი გვარის თვალსაჩინო წარმომადგენელთა ცხოვრება. პუბლიკაციაში გადმოცემულია ცალკეულ საეპისკოპოსთა მოკლე ისტორიებიც.

**როუზი სერაფიმე. მართლმადიდებლური მოძღვრების მოკლე გადმოცემა სულის გარდაცვალების შემდგომი მდგომარეობის შესახებ.**

თარგმნა დეკანოზმა დავით ციცქიშვილმა, თბილისი, 1996.

თარგმანი წარმოადგენს დიდი ამერიკელი ქრისტიანი მოღვაწის, სერაფიმე როუზის წიგნის „Душа После Смерти" ნაწილს, სადაც მოკლედ არის გადმოცემული მართლმადიდებლური მოძღვრება სულის გარდაცვალების შემდგომი მდგომარეობის შესახებ. მასში გამოყენებულია იოანე მთავარეპისკოპოსის (მაქსიმოვიჩი) სტატია „ცხოვრება სიკვდილის შემდეგ".

**როუზი სერაფიმე. წმინდა პატრიკისა და წმინდა გრიგოლ ტურელის კვალდაკვალ.**

თარგმნა მთავარეპისკოპოსმა ნიკოლოზ ფაჩუაშვილმა, რედ. გ. კოპლატაძე, გამომცემელი ოთარ ყარალაშვილი, 2002, 103 გვ.

წიგნში მოთხრობილია ქართველი მკითხველისთვის ნაკლებად ცნობილი წმ. პატრიკისა და წმ. გრიგოლ ტურელის შესახებ. ეს ორი წმინდანი მოღვაწეობდა დასავლეთ ევროპაში – ისინი ირლანდიის განმანათლებლებად არიან ცნობილნი.

**როუზი სერაფიმე (მღვდელ-მონაზონი). ქვე ადამიანური.**

რუსულიდან თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, თბილისი, 2002, 55 გვ.

წიგნში განხილულია თანამედროვე ადამიანის აქტუალური სულიერი პრობლემები და მათი წარმომშობი მიზეზები.

**როუზი სერაფიმე (მღვდელ-მონაზონი). მართლმადიდებლური მსოფლმხედველობა.**

რუსულიდან თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2003, 55 გვ.

წიგნში მართლმადიდებლური თვალსაზრისით განხილულია თანამედროვე ადამიანის მსოფლმხედველობის მთლიანობის საკითხი.

**როუზი სერაფიმე (მღვდელ-მონაზონი). წმინდა მამები – სარწმუნო წინამძღოლნი ჭეშმარიტი ქრისტიანობის გზაზე.**

რუსულიდან თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2003, 31 გვ.

ბროშურაში საუბარია მართლმადიდებლური სარწმუნოების ძირითადი სწავლების უცოდინრობის პრობლემაზე ბოლო საუკუნეებში.

**როუზი სერაფიმე (მღვდელ-მონაზონი). წიგნი შესაქმისა, სამყაროს შექმნა და ძველი აღთქმის პირველი ადამიანები.**

რედ. თ. გოგოჩაშვილი, „ალილო", თბილისი, 2008, 360 გვ.

ნაშრომი შედგება ორი ნაწილისაგან: შესაქმის წიგნის წმ. მამათა განმარტებანი და ევოლუციის ფილოსოფია. ავტორის მსჯელობა ეფუძნება წმინდა მამებისა და ეკლესიის მასწავლებელთა ნააზრევს.

**Sახაროვი სოფრონ (არქიმანდრიტი). არქიმანდრიტი სოფრონი მართლმადიდებლური მოღვაწეობის შესახებ.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2005,35 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია არქიმანდრიტ სოფრონის მიერ 1952 წლის 30 ნოემბერს პარიზში წაკითხული მოხსენება, რომელშიც გადმოცემულია მართლმადიდებლური მოღვაწეობისა და მონაზვნობის საფუძვლები.

**სემიონოვ-ტიან-შანსკი ალექსანდრე (ეპისკოპოსი). მართლმადიდებლური კატეხიზმო.**

თარგმნეს გ. კოპლატაძემ და გ. ტონიამ, რედ. გ. რუხაძე, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1995, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1995,432 გვ.

წიგნი წარმოადგენს მართლმადიდებლურ კატეხიზმოს, რომელიც საინტერესოა ქრისტიანული წესით ცხოვრების ყოველ ეტაპზე. მასში პოპულარული ენით განხილულია უმნიშვნელოვანესი დოგმატური საკითხები, გადმოცემულია სწავლება შვიდი საეკლესიო საიდუმლოს შესახებ, საუბარია მართლმადიდებელი ქრისტიანის ყოველდღიურ სულიერ ცხოვრებასა და ქრისტიანულ ეთიკაზე. ნაშრომი შესულია 1995 წლის საეკლესიო კალენდარში.

**სვენციცკი ვალენტინ (დეკანოზი). დიალოგები.**

თარგმნა მანანა ბუკიამ, ტექსტი მომზადდა შემოქმედის დედათა მონასტერში, იბეჭდება არქიმანდრიტ ნიკოლოზის ლოცვა-კურთხევით, 2007,235 გვ.

წიგნში მოცემულია XX საუკუნის მოძღვრისა და მოაზროვნის ესეისტური სტილით დაწერილი ქადაგებები აქტუალურ თემებზე.

**სივერსი სამსონ (მღვდელმონაზონი). რა უშლის ხელს ლოცვას.**

თარგმნა ეკატერინე გამცემლიძემ, რედ. გ. გვასალია, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2002, 27 გვ.

ბროშურაში კითხვა-მიგების ფორმით გადმოცემულია მოძღვრის საუბარი სულიერ შვილთან, რომლის მიზანია განმარტოს, თუ როგორ უნდა წარიმართოს სწორად ლოცვა.

**სიხარულიძე თეკლა (მონაზონი). მამათა დარიგებები.**

თარგმნა ლონდა ჯიქიამ, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2009, 101 გვ.

წიგნში წარმოდგენილია წმინდა მამათა სწავლანი.

**სკიადარესი იოანე (მღვდელი). აპოკალიფსი და დაბადება.**

ბერძნულიდან თარგმნა შორენა კურტანიძემ, თბილისი, 2005, 44 გვ.

მღვდელი იოანე სკიადარესი არის საბერძნეთის ქ. თესალონიკის არისტოტელეს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ლექტორი. აპოკალიფსის წიგნის სწორად გასააზრებლად ავტორს ნაშრომში მოჰყავს აპოკალიფსისა და დაბადების წიგნების ურთიერთნათესაობის დამადასტურებელი მაგალითები.

**სოკრატე სქოლასტიკოსი. საეკლესიო ისტორია.**

ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინათქმა და შენიშვნები დაურთო ზურაბ ჯაშმა, რედ. დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2012, 568 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს IV-V საუკუნის საეკლესიო ისტორიკოსის, სოკრატე სქოლასტიკოსის მიერ აღწერილ მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიას, რომელიც მოიცავს პერიოდს კონსტანტინე დიდის გაქრისტიანებიდან V საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით.

**სუხიტაშვილი დიმიტრი (დეკანოზი). კვართი ქრისტესი.**

რედ. გ. კოპლატაძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1999, 87 გვ.

წიგნში მოკლედ არის გადმოცემული ქართლის გაქრისტიანებისა და უფლის კვართის ისტორია. მკითხველს წარმოდგენა ექმნება წმინდა ნინოს ცხოვრებაზეც. წიგნს ახლავს მდიდარი ფოტომასალა კომენტარებითურთ. ტექსტი მოწოდებულია სამ – ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე.

**სხირტლაძე გიორგი (დეკანოზი). მღვდლის ჩანაწერები.**

თბილისი, 1999,148 გვ.

წიგნში შეკრებილია ჩანაწერები, რომელთა პრობლემატიკა მოიცავს ფართო საღვთისმეტყველო სპექტრს.

**სხირტლაძე გიორგი (დეკანოზი). მღვდლის დარიგებანი.**

თბილისი, 2000, 209 გვ.

ნაშრომს ქაშვეთის ტაძრის დეკანოზი გიორგი სხირტლაძე უძღვნის თავის მრევლს, რათა დახმარება გაუწიოს სულიერი ცხოვრების სწორად წარმართვაში.

**ტაუშევი ამბერკი (მთავარეპისკოპოსი). სახელმძღვანელო წმინდა წერილის ახალი აღთქმის წიგნების შესასწავლად, წმინდა პავლე მოციქულის ეპისტოლენი.**

თარგმნეს ელდარ ეკალაძემ და ვლადიმერ ჩხიკვაძემ, რედ.: ე. ბუბულაშვილი, არქიმანდრიტი საბა (ჯიშკარიანი), ალმანახ „ფერისცვალების“ ბიბლიოთეკა, 2010,334 გვ.

წიგნში განხილულია პავლე მოციქულის ეპისტოლეების ისტორიული ასპექტი – მათი შექმნის დრო,მიზანი,საზოგადოებრივი საფუძველი,იმდროინდელი ისტორიული ფონი და სხვ.

**ტაუშევი ამბერკი (მთავარეპისკოპოსი). საქმე მოციქულთა.**

რუსულიდან თარგმნა ირაკლი ლომოურმა, რედ. ნ. გუგუციძე, დაიბეჭდა საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო ცენტრის თავმჯდომარის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, რუსთავისა და მარნეულის მთავარეპისკოპოს იოანეს (გამრეკელი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2011, 262 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს „საქმე მოციქულთას“ ავტორისეული განმარტების თარგმანს.

**ტაუშევი ამბერკი (მთავარეპისკოპოსი). სახელმძღვანელო ახალი აღთქმის წიგნების შესასწავლად, კათოლიკე ეპისტოლენი.**

თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, რედ. ი. გრიგალაშვილი, „ფერისცვალება“, ქუთაისი, 2012,112 გვ.

წიგნში განხილულია ის ისტორიული ფონი და საზოგადოებრივი საფუძველი, რომლის წიაღშიც იქმნებოდა ახალი აღთქმის წიგნები და, კერძოდ, კათოლიკე ეპისტოლენი (იაკობის, პეტრეს, იოანეს, იუდას ეპისტოლეები), ყურადღება გამახვილებულია ეპისტოლეების ავთენტურობის დადგენისა და კანონიზაციის პროცესზე. მოყვანილია საკუთრივ ტექსტის მოკლე განმარტებაც.

**მღვდელი ტიმოთე. მართლმადიდებლური მსოფლმხედველობა და თანამედროვე ბუნებისმეტყველება.**

თარგმნა გ. ბაღათურიამ, რედ. ე. ლუკიანოვი, თბილისის კრწანისის წმინდა ნიკოლოზის ტაძარი, 191 გვ.

წიგნში განხილულია ბუნების ძირითადი კანონები, რომლებიც სამყაროს ღვთიურქმნადობას ადასტურებს. საუბარია კრეაციული ასტრონომიის, დედამიწის ასაკის,სიცოცხლის წარმოშობის, მაკროევოლუციის მეცნიერული უარყოფის შესახებ, გაანალიზებულია დედამიწის ბიბლიური ისტორია მეცნიერული თვალთახედვით და სხვ.

**ტომარაძე რევაზ (დეკანოზი), მანანა ჭირაქაძე. წმიდა მოწამე კათოლიკოს-პატრიარქი ევდემოზ I (დიასამიძე).**

წიგნი იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის,ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2002, 48 გვ.

პუბლიკაციაში აღწერილია კათოლიკოს-პატრიარქ ევდემოზ პირველის (XVII ს.) ცხოვრება და ღვაწლი. წიგნს დართული აქვს ფოტომასალა.

**ტუმანოვი პეტრე (მღვდელი). ნუთუ შესაძლებელია გვიყვარდეს ჩვენი მტრები?**

თარგმნა გულისა ჩხაიძემ, თბილისი, 2001,31 გვ.

ბროშურაში ავტორი განხილავს მოყვასისა თუ მტრის სიყვარულის პრობლემას.

**შ**ცნობი ავტორი. **მწირის გულახდილი საუბრები სულიერ მოძღვართან.**

თარგმნა ტატიანა ცომაიამ, რედ. ნ. ხურცილავა, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2007, 272 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს პირველ ქართულ გამოცემას მართლმადიდებელი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი თხზულებისა, რომელიც დაიწერა XIX საუკუნის მეორე ნახევარში და ვრცელდებოდა როგორც ხელნაწერი, ისე ბეჭდური სახით. იგი ეძღვნება იესოს ლოცვის შესწავლის ხელოვნებას.

**ფ**აჩუაშვილი ნიკოლოზ (ცაგერისა და სვანეთის ეპისკოპოსი). **წესი ქრისტიანის ცხოვრებისა.**

რედ. გ. კოპლატაძე, ნებადართულია დასაბეჭდად საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობის სარეცენზიო საბჭოს მიერ, „კანდელი“, 1997, 71 გვ.

პუბლიკაციაში საუბარია ქრისტიანული ცხოვრების წესით დაინტერესებული მკითხველისათვის გამოსადეგ თემებზე, როგორიცაა ლოცვები, ზრუნვა მიცვალებულთათვის, მარხვა, აღდგომა, ქრისტიანის გარეგნობა, ბინის მოწყობა, ხატების კუთხე, ქრისტიანის დამოკიდებულება საკუთარ თავთან, მადლობის შეწირვა და სხვ. წიგნში, ასევე, შეტანილია ადრექრისტიანული ხანის თხზულება „დიდაქე“ (თარგმნა ედიშერ ჭელიძემ).

**ფილოშვილი იერომიელ (არქიმანდრიტი). ეკრძალეთ უკუე, ვითარ-ძი განკრძალულად ხვალთ (ეფ. 5.15), თანამედროვე ცრუსწავლებათა სამხილებლად.**

2011, 56 გვ.

წიგნის ავტორის მიზანია, წმინდა მამათა სწავლებაზე დაყრდნობით წარმოაჩინოს და ამხილოს თანამედროვე ქართულ სინამდვილეში გავრცელებული ცრუსწავლებები.

**ფირცხალაიშვილი ლევან (დეკანოზი). ავხედოთ ზეცას (საუბარი საკუთარ თავთან და სხვებთანაც).**

რედაქტორ-შემდგენელი ანა რეხვიაშვილი, რედ. ზ. თორია, თბილისი, 2006, 18 გვ.

ბროშურა მოიცავს სულიერი მამების შეგონებებს.

**ქ**ერუბიმი (არქიმანდრიტი). **ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე.**

თარგმნა ნინო აბაშიძემ, წიგნი იბეჭდება ბათუმისა და ქობულეთის მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „კვირიაკე", თბილისი, 2007,240 გვ.

წიგნში მოთხრობილია ავტორის მიერ მონაზვნური ცხოვრების დაწყებისა და ათონის მთაზე გატარებული პირველი წლების შესახებ.

**ქობალია ანუსია (მონაზონი), ირინე იოსელიანი (მონაზონი). ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ცხოვრება.**

რედ. ა. მინდიაშვილი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2008,104 გვ.

ნაშრომში მოთხრობილია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ცხოვრების შესახებ შობიდან მიძინებამდე. წიგნში შესულია სილუან ათონელის (XIX-XX სს.) სიტყვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი.

**ყუბანეიშვილი ნესტორ (დეკანოზი). ძველი აღთქმის საღვთო ისტორია.**

რედ. მ. სონღულაშვილი, თბილისი, 1990,170 გვ.

წიგნში ქვეყნდება ძველი აღთქმის მოკლე ისტორია. ავტორისათვის წყაროს წარმოადგენდა საღვთო წერილი, დეკანოზების – ნ. პოპოვის, პ. სმირნოვის, დ. სოკოლოვის და ა. რუდაკოვის „ძველი აღთქმის ისტორია" და დეკანოზ ვ. მიხაილოვსკის ბიბლიური საღვთისმეტყველო ლექსიკონი.

**ყუბანეიშვილი ნესტორ (არქიმანდრიტი). საღვთო სჯული – ღვთისგან ბრძანებით მოცემული სიტყვა, რომლის შესრულება აუცილებელია, არშემსრულებელი უსჯული არს.**

ნებადართულია გამოსაცემად საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრის მიერ და რეკომენდებულია საღვთო სჯულის პედაგოგებისთვის დამხმარე სახელმძღვანელოდ, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, თბილისი, 2008,219 გვ.

წიგნი ეგზეგეტიკური ხასიათისაა და წარმოადგენს საღვთო სჯულის განმარტებას.

**ყუბანეიშვილი ნესტორ (არქიმანდრიტი). საღვთო სჯული (სახელმძღვანელო).**

ნებადართულია გამოსაცემად საქართველოს საპატრიარქოს განათლების

ცენტრის მიერ და რეკომენდებულია საღვთო სჯულის პედაგოგებისთვის დამხმარე სახელმძღვანელოდ, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, თბილისი, 2010, 227 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს საღვთო სჯულის განმარტებას.

წიგნი განმეორებით გამოიცა 2011 წელს.

**შახოვსკოი იოანე, სან-ფრანცისკოელი არქიეპისკოპოსი. თეთრი მონოზვნობა.**

რუსულიდან თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, რედ. ქ. მამასახლისი, დაიბეჭდა რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2004, 19 გვ.

ბროშურაში საუბარია მონაზვნობის არსსა და მნიშვნელობაზე. თარგმანი შესრულებულია წიგნიდან "Листья древа", избранное, издательство "Святой остров", Петрозаводск, 1992.

**შიოლაშვილი ზოსიმე (ეპისკოპოსი). ქადაგებანი.**

1993, 393 გვ.

წიგნში წარმოდგენილია ეპისკოპოს ზოსიმეს ქადაგებები სხვადასხვა სულიერ საკითხზე.

**შიოშვილი ზოსიმე (ეპისკოპოსი). ადიდებს სული ჩემი უფალსა.**

1996,175 გვ.

წიგნში წარმოდგენილია ეპისკოპოს ზოსიმეს (შიოშვილი) მოგონებები თავისი ცხოვრების განვლილ წლებზე, საუბარია ადრეული ასაკიდან ეპისკოპოსობამდე შეძენილ სულიერ გამოცდილებაზე.

**შიოშვილი ზოსიმე (მთავარეპისკოპოსი). დიდება ღმერთს ყველაფრისათვის.**

1997,319 გვ.

წიგნში თავმოყრილია მთავარეპისკოპოს ზოსიმეს (შიოშვილი) მოგონებები, გადმოცემულია მისი სულიერი ცხოვრების გამოცდილება.

**შიოშვილი ზოსიმე (ეპისკოპოსი). წმიდა ისააკ ასურის სწავლანი.**

წილკნის ეპარქიის გამოცემა, 2001,91 გვ.

წიგნში წარმოდგენილია VII საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწის,წმინდა ისააკ ასურის სწავლებები, რომლებიც ეხება ასკეტური ცხოვრების საკითხებს.

**შმემანი ალექსანდრე. დიდი მარხვა.**

თარგმნა ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, რედ. ლ. აბაშიძე, წმ. ირინეოს ლიონელის სახელობის ბიბლიურ-თეოლოგიური ინსტიტუტი, თბილისი, 2004, 121 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს XX ს-ის თეოლოგის, ამერიკაში მოღვაწე, წარმოშობით ესტონელი ემიგრანტის, ალექსანდრე შმემანის (1921-1983) თხზულების თარგმანს. ნაშრომში ავტორი დიდ მარხვას უწოდებს „მოგზაურობას აღდგომისაკენ" და ამ „მოგზაურობის" საინტერესო გზამკვლევს გვთავაზობს: განმარტავს პირველშეწირულის ლიტურგიას, წმ. ანდრია კრიტელის დიდ კანონს,წმ. ეფრემ ასურის ლოცვას და სხვ.

წიგნი, თინათინ გოგოჩაშვილის მომზადებული ტექსტით, ხელახლა დაიბეჭდა 2005 წელს.

**შმემანი ალექსანდრე (პროტოპრესვიტერი). ცოცხალი რწმენის შესახებ.**

თარგმნეს და შეადგინეს ოთარ ზოიძემ და ფრიდონ საყვარელიძემ, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამოცემისა და რეცენზირების დეპარტამენტი, 2011, თბილისი, 414 გვ.

წიგნი პროტოპრესვიტერ ალექსანდრეს ცალკეული ქადაგებებისა და სტატიების კრებულია.

**ჩაჩიბაია თეიმურაზ (მღვდელი). ღმერთმან დაამკვიდრნის ერთსახენი სახლსა (ეკლესიის ერთობისათვის).**

წმინდა ნინოსა და წმიდათა – მირიან და ნანას – ეკლესია, თბილისი,1997, 46 გვ.

ბროშურაში განხილულია სარწმუნოებრივი ერთობის საკითხები.

**ჩაჩიბაია თეიმურაზ (დეკანოზი). ცხონებისათვის (კითხვა-მიგება).**

რედ. გ. ჩხაიძე, 1999,20 გვ.

ბროშურაში განხილულია პირველქმნილი ცოდვის, ცხონების, ნათლობის საკითხები.

**ჩაჩიბაია თეიმურაზ (დეკანოზი). ღმერთი გამოჩნდა ხორცით.**

რედ. გ. ჩხაიძე, თბილისი, 2000, 43 გვ.

ბროშურაში გადმოცემულია მართლმადიდებლური სწავლება ყოვლადწმინდა სამების პირთა – მამის, ძისა და სულიწმინდის შესახებ.

ნაშრომი პირველად გამოიცა 1997 წელს.

**ჩაჩიბაია თეიმურაზ (დეკანოზი). რატომ ვინათლებით.**

რედ. გ. ჩხაიძე, თბილისი, 2000,92 გვ.

ნაშრომის მიზანია, დაანახოს მკითხველს ნათლობა, როგორც ცოდვით დაცემისა და მისი არასასურველი შედეგებისაგან გათავისუფლების საშუალება. წიგნში საუბარია მოუნათლავად ან შეწყვეტილი ორსულობის შედეგად გარდაცვლილი ყრმების ცხონების საკითხზეც. დამაჯერებელი პასუხი მოიპოვება საზოგადოებისათვის ისეთ საინტერესო კითხვებზე,როგორიცაა „ცხონდება თუ არა ის, ვისაც ჭეშმარიტება არ სმენია?“ ან „არის თუ არა ჯოჯოხეთში სინანული და შენდობა?“ ავტორი განიხილავს მწვალებლურ სწავლებებსაც პირველქმნილი ცოდვის შესახებ.

**ჩახვაშვილი ალექსანდრე (დეკანოზი). ძლევაჲ საკვირველი (ისტორიულ-მისტიკური ნარკვევი).**

თბილისი, 1998,31 გვ.

ნაშრომში დავით აღმაშენებლის პიროვნება განხილულია ისტორიულ-მისტიკური ასპექტით. გადმოცემულია მოსაზრებები დავით მეფისა და ჯვაროსნულ სამყაროში მოხსენიებული პრესვიტერ იოანეს იდენტურობის, აგრეთვე, დავითის, როგორც მოძღვრის მისიით დაჯილდოებული მეფის შესახებ.

**ჩახვაშვილი ალექსანდრე (დეკანოზი). წმ. მოწამე კეთილმორწმუნე მთავარი მიქაელ ტვერელი.**

თბ. 2002,16 გვ.

ბროშურაში გადმოცემულია თბილისში, მთაწმინდაზე აღმართული წმ. მიქაელ ტვერელის სახელობის ტაძრის ისტორია. ვეცნობით წმინდანის ცხოვრებასა და ღვაწლს. ტექსტს ერთვის წმინდანის სავედრებელი ტროპარი და კონდაკი.

**ჩეკურიშვილი სერგი (მთავარეპისკოპოსი). თანაგრძნობა.**

დაიბეჭდა ურბნისისა და რუისის მთავარეპისკოპოს იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით (II გამოცემა), 2001, 104 გვ.

წიგნში დაბეჭდილია მთავარეპისკოპოს სერგის მიერ სხვადასხვა დროს წარმოთქმული ქადაგებები, მისი წერილები, ინტერვიუ და საუბარი.

**ჩეკურიშვილი სერგი (მიტროპოლიტი), წიქარიშვილი გრიგოლი (მღვდელი), ხვედელიძე მელანო, გრიგალაშვილი ნანა, სიჭინავა გიორგი, ბაგრატიონი გიორგი. ილუსტრირებული ბიბლია.**

დაიბეჭდა ნეკრესელ მიტროპოლიტ სერგის (ჩეკურიშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2010, 169 გვ.

წიგნში მოთხრობილია წმინდა წერილის ეპიზოდები სამყაროს შექმნიდან მაკაბელთა წიგნების ჩათვლით.

**ჩერნიკოვი ალექსანდრე (დეკანოზი). სქემმიტროპოლიტ სერაფიმეს (მიტროპოლიტი ზინობი, მაჟუგა) ცხოვრება.**

ტექსტი თარგმნა, დამატებანი დაურთო და გამოსაცემად მოამზადა ხათუნა რაქვიაშვილმა, რედ. დეკანოზი თეოდორე გიგნაძე, 2008, 80 გვ.

წიგნში აღწერილია სქემმიტროპოლიტ სერაფიმეს ცხოვრება და სულიერი ღვაწლი. გლინის ცნობილი უდაბნოდან გამოსულმა დიდმა ბერმა, თეთრიწყაროელმა მიტროპოლიტმა ზინობმა, განსაკუთრებული ადგილი მოიპოვა ახალი დროის მონაზვნობისა და, ზოგადად, მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში. პუბლიკაცია საინტერესოა იმითაც, რომ მასში თავმოყრილია თანამედროვეთა მოგონებანი სქემმიტროპოლიტის შესახებ.

**ცინცაძე კალისტრატე (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი). ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესია თბილისში.**

გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო მიხეილ ქავთარიამ, რედ. ზ. ალექსიძე, ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის ფონდი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „კანდელი“, 1994, 303 გვ.

უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე ცინცაძის (1866-1952) სამეცნიერო მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ისტორიულ-არქეოლოგიურ შრომას ქაშვეთის ეკლესიის შესახებ. მასში თავმოყრილი და გაანალიზებულია საკითხის ირგვლივ არსებული მთელი მასალა.

**ცინცაძე კალისტრატე (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი).**

**ჩემი მოგონებებიდან.**

რედ. მანგლისისა და წალკის მთავარეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე), დაიბეჭდა მანგლისისა და წალკის მთავარეპისკოპოს ანანიას ლოცვა-კურთხევით, „ცისცინათელა“, 2001, 240 გვ.

კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის (1866-1952) წიგნი „ჩემი მოგონებებიდან“ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყაროა. მასში ნაჩვენებია ქართული სამღვდელოების ღვაწლი და ბრძოლა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობიდან საქართველოს გამოხსნისათვის.

**ცინცაძე კალისტრატე (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი). ქადაგებები და სიტყვები.**

გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და გამოკვლევა დაურთო ნუგზარ პაპუაშვილმა, რედ. ზ. კიკნაძე, „უნივერსალი“, თბილისი, 2014, 304 გვ.

წიგნი წარმოადგენს დიდი ქართველი სასულიერო პირისა და საზოგადო მოღვაწის, კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის (1866-1952) მიერ ქართულენოვან ღვთისმსახურებებზე წარმოთქმული ქადაგებებისა და სიტყვების კრებულს. პუბლიკაციას ახლავს გამომცემლის – ნუგზარ პაპუაშვილის შესავალი და გამოკვლევა, რომელშიც ასახულია კალისტრატე ცინცაძის ცხოვრება და მოღვაწეობა (ვრცელი ქართული და მოკლე რუსული ვარიანტი).

**ცინცაძე კალისტრატე (დეკანოზი) სიტყვა ახალ წელიწად დღეს.**

4 გვ.

ბროშურა წარმოადგენს დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის მიერ ახალ წელიწადს წარმოთქმულ სიტყვას.

**ცინცაძე კალისტრატე (დეკანოზი), სიტყვა წმ. მთავარმოწამისა გიორგის ხსენების დღეს.**

4 გვ.

ტექსტი წარმოადგენს დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის მიერ წარმოთქმულ სიტყვას წმ. მთავარმოწამე გიორგის ხსენების დღეს.

**ციპინი ვლადისლავ (დეკანოზი). მართლმადიდებლური კანონიკა, საეკლესიო სამართალი.**

თარგმნა გიორგი ანდრიაძემ, რედ. გ. ანდრიაძე, გამოცემულია მოსკოვის პატრიარქის, ალექსი II-ის ლოცვა-კურთხევით, საქრთველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ცენტრი „ლაზარე“, 1996, 27 გვ.

**ციცქიშვილი დავით (დეკანოზი). მართლმადიდებლური ფსიქოლოგია.**

ტ. I, II, III, თბილისი, „ახალი ივირონი“, 2008.

ნაშრომში მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის შუქზე გაანალიზებულია თანამედროვე ადამიანისათვის საინტერესო ფსიქოლოგიური საკითხები.

**ციცქიშვილი დავით (დეკანოზი). მართლმადიდებლური ფსიქოლოგია.**

თბილისი, „ახალი ივირონი“ 2009.

წიგნში სხვადასხვა ფსიქოლოგიურ-რელიგიური საკითხი გაშუქებულია მართლმადიდებლური კუთხით.

**ციცქიშვილი დავით (დეკანოზი). მართლმადიდებლური ფსიქოლოგია. ნაწილი II, თბილისი, 2012.**

წიგნში მართლმადიდებლური კუთხით გაშუქებულია ყოველი ადამიანისათვის მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური და რელიგიური საკითხები.

**ციცქიშვილი დავით (დეკანოზი). გარდაცვალების საიდუმლო.**

თბილისი, 2015.

ნაშრომში მართლმადიდებლური სწავლების საფუძველზე განხილულია, თუ რა ემართება ადამიანის სულს გარდაცვალების შემდეგ. მოთხრობილი და გაანალიზებულია კლინიკური სიკვდილის შემთხვევები.

წიგნი პირველად გამოიცა 2006 წელს.

**ჭაბაშვილი მიქაელ (დეკანოზი). ამბროსი ნეკრესელის ქადაგებანი, გამოკვლევა და ტექსტები.**

თბილისი, 2003, 110 გვ.

ქართველ მქადაგებელთა შორის ერთ-ერთი გამოჩენილი ადგილი დაიკავა ამბროსი ნეკრესელმა (ერისკაცობაში ზაქარია მიქაძე, 1728-1812), რომლის მემკვიდრეობა არაერთგზის ყოფილა სამეცნიერო განხილვის საგანი. პუბლიკაციაში იბეჭდება მისი აქამდე უცნობი ქადაგებები.

**ჭულუხიძე სოგრატ (არქიმანდრიტი). ყოველ მიზეზთა მიზეზი.**

„ვედა“, თბილისი, 1995,183 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს არქიმანდრიტ სოგრატ ჭულუხიძის ლექსების კრებულს.

**ჭულუხიძე სოგრატ (არქიმანდრიტი). ლექსად თქმული ლოცვები.**

თბილისი, 2000, 96 გვ.

წიგნში შესულია სასულიერო შინაარსის პოეტური ნაწარმოებები.

**ჭულუხიძე სოგრატ (არქიმანდრიტი). აწ ტაძრად ვდგავარ.**

რედ. ლ. ოტიაშვილი, თბილისი, 2000,296 გვ.

პოეზიის მოყვარულთათვის ცნობილია ქვაშვეთის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ სოგრატის ლექსების კრებულები: „ღმერთო, მომეცი მოთმინება,“ „ყოველ მიზეზთ მიზეზი,“ „ლექსად თქმული ლოცვები.“ წინამდებარე პუბლიკაცია მეოთხე წიგნია, რომელიც მისი პოეტური სტრიქონების სრულ კრებულს წარმოადგენს.

**ხორავა პავლე (ეპისკოპოსი). ვიდრე ჰხუალ... მორწმუნეო?**

რედ. ე. მეტრეველი, თბილისი, 1999,111 გვ.

**ხორავა პავლე (ეპისკოპოსი). ქართული ეკლესიის რუსული ფიზიონომიის შემოქმედი (ანტონ I) კათალიკოსი.**

რედ. ე. მეტრეველი, თბილისი, 1999,34 გვ.

ბროშურაში საუბარია ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში ანტონ I-ის (ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი, 1720-1788) კათოლიკოსობის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

**ჯაფარიძე ანანია (ეპისკოპოსი). ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე.**

რედ. ქ. თავართქილაძე, თბილისი, 1994,138 გვ.

პუბლიკაციაში ქართველთა წინაპრების შესახებ ბიბლიურ ისტორიასთან ერთად მკითხველი გაეცნობა ქართული ანბანის წარმოშობისა და საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საკითხებს.

**ჯაფარიძე ანანია (მთავარეპისკოპოსი). ქართული ეკლესია XVII-XVIII საუკუნეებში.**

საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1994, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1994.

ნაშრომი წარმოადგენს XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორიას. თხზულება შესულია 1994 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**ჯაფარიძე ანანია (ეპისკოპოსი). შობა, ჯვარცმა, აღდგომა და ამაღლება უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.**

1995, 118 გვ.

ტექსტი მთლიანად ეყრდნობა ახალ აღთქმას და თანამედროვე მართლმადიდებელი ღვთისმეტყველების ნაშრომებს. წიგნში გადმოცემულია იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ისტორია.

**ჯაფარიძე ანანია (მთავარეპისკოპოსი). დედა ეკლესია.**

რედ. ნ. სუხიტაშვილი, „განათლება“, თბილისი, 1996, 319 გვ.

წიგნში თავმოყრილია მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ქადაგებანი, წერილები და გამოკვლევები, რომლებიც წლების განმავლობაში ქვეყნდებოდა. ავტორი განიხილავს თანამედროვე საეკლესიო ცხოვრებას, ახალი თაობის აღზრდის საკითხებს და სხვ.

**ჯაფარიძე ანანია (მთავარეპისკოპოსი). საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია.**

რედ. ლ. შარვაშიძე, „მერანი“, ტომი I, 1996, 447 გვ., ტომი II, 1998, 399 გვ., ტომი III, 1999, 415 გვ., ტომი IV, 2003, 364 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ოთხ წიგნად გამოცემულ ნაშრომს, რომელშიც ასახული და გაანალიზებულია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. I ტომში მოთხრობილია ეკლესიის უძველესი ისტორია დასაბამიდან VI საუკუნის ჩათვლით, II ტომი ეხება VII-XI საუკუნეებს, III ტომში გადმოცემულია ქართული ეკლესიის ისტორია XII-XVIII საუკუნეებში, IV ტომი ორი ნაკვეთისაგან შედგება: პირველში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია სრულდება XX საუკუნით, მეორე ნაკვეთში კი საუბარია საქართველოს საეკლესიო კრებების შესახებ IV-XVIII საუკუნეებში.

**ჯაფარიძე ანანია (მიროპოლიტი). საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია.**

თბილისი, 1997, 312 გვ.

პუბლიკაცია წაროადგენს საქართველოს ეკლესიის ისტორიის მცირე კურსს. წიგნი ერთვის 1998 წლის საეკლესიო კალენდარს.

**ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი). საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია.**

საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1998, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1997, 312 გვ.

წიგნი მოიცავს საქართველოს ეკლესიის ისტორიის მცირე კურსს. იგი ერთვის 1998 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარს.

**ჯაფარიძე ანანია (მთავარეპისკოპოსი). მესხეთი – ქართველთა გამაჰმადიანება.**

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, 1998,43 გვ.

პუბლიკაციაში, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, მოთხრობილია საქართველოს ერთ-ერთი კუთხის, მესხეთის გამაჰმადიანების შესახებ.

**ჯაფარიძე ანანია (მთავარეპისკოპოსი). ქართლ-კახეთი (ქართველთა გასომხება).**

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, თბილისი, 1999, 44 გვ.

ნაშრომში, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, აღწერილია ოსმალთა და ირანელთა მიერ დაპყრობილი ქართლ-კახეთისა და მესხეთის მართლმადიდებელი მოსახლეობის ხვედრი, ნაჩვენებია სომხეთის ეკლესიის მცდელობა, ჩამოეშორებინა ის მართლმადიდებული ეკლესიისათვის, რის აღსრულებასაც ხელს უწყობდნენ დამპყრობლები.

**ჯაფარიძე ანანია (მთავარეპისკოპოსი). ქართველი ხალხის მომზადება მაცხოვრის მისაღებად.**

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, თბილისი, 2001, 18 გვ.

**ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი). რჩევები უცხოეთში წამსვლელ ქართველებს.**

2002,64 გვ.

**ჯაფარიძე ანანია (მთავარეპისკოპოსი). ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის (იოანე ლაზი).**

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, 2002,22 გვ.

IV საუკუნეში, ქართველთა გაქრისტიანებისთანავე, საქართველოში დაიწყო „წმინდა წერილის“ ქართული თარგმანების მომზადება,რაშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ყოველი კუთხიდან შემოკრებილი მეცნიერები. მათმა ღვაწლმა უკვე V საუკუნის დასაწყისში გამოიღო შედეგი – შედგა სახარების პირველი ქართული თარგმანი. წინამდებარე ნაშრომში,უხვ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ეს პროცესია ასახული.

**ჯაფარიძე ანანია (მთავარეპისკოპოსი). პოლემიკა.**

„ქართული წიგნი“, თბილისი, 2002,48 გვ.

კრებულში თავმოყრილია თანამედროვე ქრისტიანული პოლემიკური მწერლობის ნიმუშები. ეს წერილები გამოქვეყნებული იყო სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში.

**ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი). საქართველოს საეკლესიო სამართალი. II წიგნი.**

რედ. ლ. შარვაშიძე, საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, „მერანი“, 2003,302 გვ.

ნაშრომში განხილულია წერილობით ძეგლებში გამოვლენილი IV-XVIII საუკუნეებში შემდგარი 21 მიმდინარე საეკლესიო კრებისა და, ასევე, მსოფლიო საეკლესიო კრებათა (ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით) საკითხები. ნაშრომის ზოგიერთ პარაგრაფს თან ერთვის შესაბამისი კრებების მიერ გამოცემული სამართლის აქტები.

**ჯაფარიძე ანანია (მიტოპოლიტი). საქართველოს საეკლესიო კრებები III.**

რედ. ლ. შარვაშიძე, საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრა, „მერანი“, თბილისი, 2003, 350 გვ.

პუბლიკაციაში ასახული და განხილულია XIX-XX საუკუნეებში შემდგარი

50-ზე მეტი საეკლესიო კრება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს სახელმწიფოებრიობის (ავტონომიის), დამოუკიდებლობისა და საეკლესიო ავტოკეფალიის აღდგენისკენ მიმართულ საერთო-სახალხო ყრილობას წარმოადგენდა. ნაშრომს დართული აქვს ამ კრებების მიერ გამოცემული სამართლის ძეგლები.

**ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი). საქართველოს საეკლესიო კრებები.**

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრა, „მერანი“, თბილისი, 2003, 429 გვ.

წიგნში განხილულია საქართველოს საეკლესიო კრებები XII-XX საუკუნეებში. ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი წყარო საეკლესიო სამართლისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლისათვის. ნაშრომს დართული აქვს კრებების მიერ გამოცემული კანონიკური სამართლის ძეგლები.

**ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი), ბარბაქაძე ლია. საქართველოს საეკლესიო ისტორია (VIII კლასის სახელმძღვანელო).**

რედ. ლევან (ვიქტორ) ასათიანი, თბილისი, 2004, 154 გვ.

სახელმძღვანელოში მოკლედ არის მოთხრობილი საქართველოს ისტორია მართლმადიდებლური სარწმუნოების თვალთახედვით.

**ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი). საქართველოს საეკლესიო ისტორია (VIII კლასის სახელმძღვანელო).**

რედ. ლ. ასათიანი, საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემია, 2004, 54 გვ.

წიგნში, ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით და მართლმადიდებლური თვალთახედვით, მოკლედაა გადმოცემული საქართველოს ეკლესიის ისტორია XVIII საუკუნის ბოლომდე.

**ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი), ბარბაქაძე ლია. საქართველოს ეკლესიის ისტორია.**

რედ. რ. ბალანჩივაძე, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2005, 244 გვ.

წიგნში გადმოცემულია ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვისა და მისი აღდგენისათვის ბრძოლის ისტორია. აქვეა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთა მოკლე ბიოგრაფიები.

**ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი), ბარბაქაძე ლია. საქართველოს საეკლესიო ისტორია.**

რედ. რ. ბალანჩივაძე, საქართველოს საპატრიარქო, 2005,159 გვ.

წიგნში აღწერილია საქართველოში მდებარე სხვადასხვა ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი, მათი ადგილმდებარეობა და მითითებულია მათი დაარსების წლები.

**ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი), ვაჩნაძე მერაბ, გურული ვახტანგ. ულოცველთა ჟამი.**

„არტანუჯი", თბილისი, 2005,44 გვ.

ბროშურაში ნაჩვენებია ეროვნული და კოსმოპოლიტური პრინციპების დაპირისპირების ისტორია საქართველოში XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან XXI საუკუნის დამდეგამდე.

**ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი), ბარბაქაძე ლია. საქართველოს ეკლესიის ისტორია.**

რედ. რ. ბალანჩივაძე, 2005,244 გვ.

წიგნი IX-X კლასების სახელმძღვანელოა და წარმოადგენს 2004 წელს გამოცემული VIII კლასის სახელმძღვანელოს გაგრძელებას. იგი იწყება რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისა და საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის ჩამორთმევის აღწერით. სახელმძღვანელოს დართული აქვს ყველა იმ კათოლიკოს-პატრიარქის მოკლე ბიოგრაფია, რომლებიც მოღვაწეობდნენ საქართველოს ეკლესიაში ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ.

**ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი). თეორია საქართველოს ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ და მისი კრიტიკა.**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თეოლოგიის კათედრა, თბილისი, 2007,36 გვ.

XIX ს-ში საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და საეკლესიო ავტოკეფალიის დაკარგვისა და XX ს-ში კომუნისტური რეჟიმის ბატონობის შედეგად საქართველოს ეკლესიის ისტორია დამახინჯდა. წიგნის მიზანია ისტორიული სიმართლის აღდგენა და ამ საკითხისადმი სწორი პოზიციის განმტკიცება.

**ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი). საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია.**

2007, 66 გვ.

პუბლიკაციაში მოკლედ არის გადმოცემული საქართველოს ეკლესიის ისტორია (I-XX სს.). წიგნი გამოიცა 2003 და 2004 წლებშიც.

**ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი). დედა ღვთისმშობელი – შემწე ქართული ენისა.**

რედ. ა. ჩიქოვანი, საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, თბილისი, 2008, 332 გვ.

კრებულში თავმოყრილია მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მიერ ბოლო წლებში გამოქვეყნებული წერილები ქართული საეკლესიო ენის შესახებ, ე. წ. „ქართიზაციის თეორიისადმი“ მიძღვნილი სტატიები და მოხსენებები. წიგნი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს.

**ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი). საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და საეკლესიო მთლიანობის საწინააღმდეგოდ მიმართული ე.წ. ქართიზაციის თეორიის შესახებ.**

2009, 13 გვ.

ბროშურაში განხილულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული ქარტია.

**ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი). საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია.**

რედ.: კ. ჭაბაშვილი, თ. რევაზიშვილი, ალილო“, თბილისი, 2009, 1266 გვ.

წიგნში გადმოცემულია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია უძველესი ხანიდან XXI საუკუნემდე. საქართველოს ეკლესიის ცხოვრება აღწერილია წმინდა მოციქულების ეპოქიდან სათანადო წყაროებისა და ლიტერატურის დართვით. ტექსტს უძღვის ქართველთა წინაპრების სარწმუნოებრივი ცხოვრების მიმოხილვა. მონოგრაფიას დართული აქვს საეკლესიო კრებათა დადგენილებების განხილვა.

1996-1999 წლებში ნაშრომი სრული სახით გამოსცა გამომცემლობა „მერანმა“ ოთხ ტომად.

**ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი), ბარბაქაძე ლია. საქართველოს საეკლესიო ისტორია (IX კლასის სახელმძღვანელო).**

რედ. რ. ბალანჩივაძე, თბილისი, 2009, 240 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის ისტორიის კურსს მოსწავლეთათვის. მას წინ უძღვის მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წერილი ეროვნული ეკლესიის შესახებ. სახელმძღვანელო მთავრდება მისივე ქადაგებით ქართული სამოციქულო ეკლესიის როლის შესახებ საქართველოს გაერთიანების საქმეში. ილუსტრაციებად გამოყენებულია ტაძრების ფოტოები. გამოცემა ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის დაბადების 72-ე და აღსაყდრების 42-ე წლისთავს. წიგნი პირველად გამოიცა 2005 წელს.

**ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი). საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული.**

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, თბილისი, 2010, 792 გვ.

ნაშრომში თავმოყრილი და განხილულია IV-XX საუკუნეთა საქართველოს საეკლესიო კრებების სამართალი. განხილულ 15 საკანონმდებლო და 50-ზე მეტ მიმდინარე კრების ანალიზს თან ერთვის კრებების მიერ გამოცემული სამართლის ძეგლები. ამის გამო ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს საეკლესიო კანონების კრებულს,რომელიც ესაჭიროება როგორც სასულიერო პირებსა და მართალმადიდებელ მრევლს, ისე საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევრებს.

**ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი). ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს ეკლესიის ერთიანობის შესახებ", საქართველოს საპატრიარქოსთან შექმნილი საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნა.**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ცენტრი, 2010, 60 გვ.

ნაშრომში იბეჭდება ორი უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა: ქართული საისტორიო მეცნიერების პატრიარქის, ივანე ჯავახიშვილის, დასკვნა საქართველოს ეკლესიის ერთიანობის ხელშეუვალობის შესახებ და უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის 2009 წლის 10 ივლისის №76 ბრძანებით შექმნილი საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნა ე.წ. „ქართიზაციის თეორიის შესახებ".

**ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი). ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპ-**

**არქია.**

რედ. ი. გორგიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2012, 39 გვ.

ბროშურაში მოთხრობილია ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ისტორია, მოყვანილია სხვადასხვა დროს მოღვაწე აფხაზეთის კათალიკოსთა გვარები.

**ჯაფარიძე ანანია (მიტროპოლიტი). არიან-ქართლი (საეპისკოპოსოები ისტორიულ ივერიაში).**

რედ. ი. გორგიძე, „კოლორი", თბილისი, 2015, 566 გვ.

წიგნში შემოთავაზებულია ვრცელი გამოკვლევა, რომელშიც არაერთი ქართული და უცხოური წყაროს დამოწმებით მეცნიერულად დადასტურებულია, რომ ტაო-ზასიანი და, საერთოდ, „იბერიის თემის" ტერიტორია წარმოადგენდა ქართველთა ისტორიულ საცხოვრისს, რომელსაც აზონ-ფარნავაზის ეპოქაში (ჩვ. წ. აღ.-მდე III ს) არიან-ქართლი ერქვა და ძველი ივერია იყო.

**ჯიბუტი გიორგი (მღვდელი). იდექით მტკიცედ და შეურყევლად.**

თბილისი, 1995, 103 გვ.

წიგნში სხადასხვა ქრისტიანული საკითხი თუ დოგმატი განმარტებულია წმინდა მამების სწავლებათა მიხედვით.

**ჯინჭარაძე კონსტანტინე (მღვდელი). რეპრესირებულ ქართველთა ხსოვნისათვის.**

რედ. ნ. შარაშენიძე, დაიბეჭდა ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით,2009,67 გვ.

გამოცემაში მოკლედაა მიმოხილული XX საუკუნის 30-50-იან წლებში მიმდინარე ისტორიული მოვლენები, კერძოდ, საბჭოთა კავშრის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ოპერაცია,რომელსაც ათასობით ქართველი ემსხვერპლა.

## მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები

**Aხვლედიანი ბასილ (დეკანოზი). რომელმან შექმნა სამყარო.**

რედ. ნ. ახვლედიანი, 2010,27 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს დეკანოზ ბასილ ახვლედიანის ლექსების კრებულს. წიგნს ერთვის დისკი ამ ლექსების ჩანაწერებით.

**Bიჩინაშვილი ანთმოზ უცნობი ბერი. სპილენძის გველი.**

2008, 23 გვ.

ბროშურა წარმოადგენს იღუმენ ანთიმოზის (ბიჩინაშვილი) სულიერ-ზნეობრივ თემაზე შექმნილი ესეებისა და ჩანახატების კრებულს.

**Gაბრიჭიძე შიო (არქიმანდრიტი). „მეტყოდი მამავ."**

რედ. ჯ. გოგეშვილი, „შავნაბადა", თბილისი, 2003, 415 გვ.

კრებულში იბეჭდება არქიმანდრიტ შიოს (გაბრიჭიძე) ლექსები.

**გალდავა მიქაელ (დეკანოზი). მარცვლები.**

რედ. დეკანოზი გელასი ნატროშვილი, თბილისი, 2013,96 გვ.

წიგნი გვაცნობს დეკანოზ მიქაელის პოეზიასა და მინიატურებს და წარმოგივდგენს ავტორს, როგორც ქართული ენის ღრმად მცოდნესა და კარგ პოეტს.

**გვიმრაძე არჩილ (მღვდელი). ფიქრების ზღვარზე.**

რედ. მ. გეგეჭკორი, თბილისი, 2010,108 გვ.

წიგნში იბეჭდება რელიგიური შინაარსის ლექსები. კრებული ეძღვნება უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II-ს.

**Iორამაშვილი თადეოზ (მიტროპოლიტი). აღთქმული გაზაფხული.**

რედ.: ნ. ჩხიკვიშვილი, დ. თითბერია, 2010,384 გვ.

წიგნი მიტროპოლიტ თადეოზის ლექსების კრებულია. ავტორის მიზანია,

მკითხველს გაუზიაროს ლექსად გარდაქმნილი თავისი სულიერი გამოც-დილება.

**იორამაშვილი თადეოზ (მიტროპოლიტი). ლექსები.**

234 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს მიტროპოლიტ თადეოზის პოეტური ნაწარმოე-ბების კრებულს. ლექსები გამსჭვალულია ღრმა რელიგიური განცდითა და სიყვარულით.

**ქოპალიანი ქეთევან (იღუმენია). წმინდა გიორგი და ქართული პურობა.**

რედ. ლ. სიხარულიძე, მცხეთა,სამთავრო, 2002, 38 გვ.

კრებულში იბეჭდება სასულიერო შინაარსის ლექსები. წიგნი ეძღვნება სრუ-ლიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარე-სის, ილია II-ის აღსაყდრების 25-ე, მღვდელმთავრობის მე-40 და დაბადების 70-ე წლისთავს.

**კოპალიანი ქეთევან (იღუმენია). ივერთა მზეო, ქართველთ ლხენაო.**

რედ.: ლ. სიხარულიძე, მონაზონი თეკლა გველესიანი, 2007-2008,100 გვ.

კრებულში შესულია სასულიერო შინაარსის ლექსები. წიგნი ეძღვნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის დაბადების 75-ე, აღსაყდრების 30-ე და ბერობის 50-ე წლისთავს. კრებული უფრო მცირე მოცულობით გამოვიდა 2003 წელს.

**კვარაცხელია პაატა. ლექსები.**

„სამშობლო“, 2004, 48 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ლექსების კრებულს.

**კვარაცხელია პეტრე (მღვდელი). ლექსები.**

„პალიტრა“, 2007, 180 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ლექსების კრებულს.

**კვარაცხელია პეტრე (დეკანოზი). ჯვარცმა.**

რედ. მ. ქურდიანი, „წიგნის სახელოსნო“, 2008, 54 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ლექსების კრებულს.

**კვარაცხელია პეტრე (დეკანოზი). აღსარება.**

რედ. რ. ამაღლობელი, „წიგნის სახელოსნო“, 2009, 78 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ლექსების კრებულს. წიგნს უძღვის პოეტ რატი ამაღლობლის წინასიტყვაობა.

**კვარაცხელია პეტრე (დეკანოზი). სულის ნატეხები.**

„წიგნის სახელოსნო“, 2009, 152 გვ.

პუბლიკაცია ეძღვნება მსახიობ გეგა კობახიძის მარადიულ ხსოვნას. კრებულში ლექსებთან ერთად იბეჭდება პროზაული ნაწილიც.

**კვარაცხელია პეტრე (დეკანოზი). მიტათა.**

2011, 159 გვ.

წიგნში თავმოყრილია დეკანოზ პეტრე კვარაცხელიას ლექსები.

**კვარაცხელია პეტრე (დეკანოზი). ორეული.**

გამომცემლობა „წიგნის სახელოსნო“, თბილისი, 2010, 103 გვ.

წიგნში იბეჭდება დეკანოზ პეტრესა და გელა არაბულის ლექსები.

**კვარაცხელია პეტრე (დეკანოზი). პეტრე.**

„წიგნის სახელოსნო“, 2010, 100 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ლექსების კრებულს.

**კვარაცხელია პეტრე (დეკანოზი). ადამიწა.**

რედ. გ. დაიაური, „ფავორიტი პრინტი“, 2012, 118 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს დეკანოზ პეტრე კვარაცხელიას ლექსების კრებულს.

**კვარაცხელია პეტრე (დეკანოზი). თიხის ბარათები.**

„კოლორი“, 2012, 178 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს დეკანოზ პეტრე კვარაცხელიას ლექსების კრებულს.

**კვარაცხელია პეტრე (დეკანოზი). ო.**

რედ. შ. სიხარულიძე, „კოლორი“, 2015, 108 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს კრებულს. მასში შესულია დეკანოზ პეტრეს ლექსები და პროზაული ჩანახატები.

**მინდიაშვილი არჩილ (დეკანოზი). შეერთმანეთი პოეტიზირებული განცდები.**

2010, 111 გვ.,

კრებულში თავმოყრილია ადამიანური პრობლემების ამსახველი პოეტური ნაწარმოებები.

## საერო ავტორები

**აბაშიძე ზაზა, სერგო გორგაძე. ქართლის ეკლესიის იერარქიული მდგომარეობის შესახებ (IV-V საუკუნეები).**

რედ. გ. ოთხმეზური, თბილისი, 1997,27 გვ.

ბროშურაში მოკლედ არის გადმოცემული IV-V საუკუნეების ეკლესიის ისტორია, საუბარია XIX საუკუნეში რუსეთის მიერ საქართველოში ავტოკეფალიის გაუქმების შესახებ.

**აბაშიძე ზაზა, სერგო გორგაძე. ქართლის მოქცევის ქრონოლოგიის შესახებ.**

რედ. გ. ოთხმეზური, თბილისი,1997,19 გვ.

XX საუკუნის დასაწყისში ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, სერგო გორგაძემ (1876-1929 წწ.), ერთ-ერთმა პირველმა ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში, საგანგებო მონოგრაფია მიუძღვნა ქართლის გაქრისტიანების საკითხს და არაერთი ორიგინალური მოსაზრება გამოთქვა,რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება. წიგნი სწორედ ისტორიკოს სერგო გორგაძის ნააზრევის გახსენება და ამ საკითხის კვლევაში მისი წვლილის წარმოჩენაა.

**აბაშიძე ლევან, კიკნაძე ზურაბ, ქალდანი თამარ. რელიგიურ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი ასპექტი (პროზელიტიზმი).**

რედ. ე. დადუნაშვილი, კავშირი „ჰუმანური საზოგადოებისათვის“, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი, 2002,64 გვ.

წიგნის მიზანია, წარმოაჩინოს, რა მოვლენების საფუძველზე გაჩნდა საზოგადოებაში პროზელიტიზმის აკრძალვისა და, ზოგადად, რელიგიურ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების მოთხოვნა.

**აბდალაძე დავით. მართლმადიდებლობის მცირე ლექსიკონი.**

რედ.: პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, წიგნი იბეჭდება ხონი-სამტრედიის ეპისკოპოს საბას ლოცვა-კურთხევით, 2002,121 გვ.

ლექსიკონში წარმოდგენილი ტერმინების განმარტებისას ავტორი ეყრდნობა მართლმადიდებლურ ლიტერატურას. წიგნი ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრების 25, დაბადებიდან 70 და მღვდელმთავრობის 40 წლის იუბილეს.

**აბდალაძე დავით, კვირკველია გიორგი. სიტყვარი.**

რედ. პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი, წიგნი იბეჭდება ხონი-სამტრედიის მთავარეპისკოპოს საბას (გიგიბერია) ლოცვა-კურთხევით, 2004, 48 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს ძველი ქართული ენის ლექსიკონს, რომელშიც მოცემულია წმ. წერილში, ლოცვანსა და აგიოგრაფიულ თხზულებებში გამოყენებული ძველი ქართული სიტყვების შესაბამისი განმარტება თანამედროვე ქართული ენით. წიგნის მიზანია,უმდიდრესი ქართული მართლმადიდებლური ლიტერატურა მისაწვდომი გახადოს ფართო საზოგადეობისათვის.

**აბესაძე გოჩა. ქორწინების სამართლებრივი საფუძვლები და მასთან დაკავშირებული პრობლემები.**

რედ. ე. ჭელიძე, იბეჭდება რუის-ურბნისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2002წ, 53 გვ.

ნაშრომის მიზანია, პასუხი გასცეს დღეისათვის საქართველოს ეკლესიაში არსებულ აქტუალურ საკითხს – ქორწინების სამართლებრივ საფუძვლებსა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. აქვეა საქართველოს მთიანეთში გამოვლენილ რელიგიურ ტერმინთა და სპეციფიკურ ლექსიკურ ერთეულთა ეტიმოლოგიური და მორფოლოგიური ანალიზი.

**აბულაძე ანა. შობა, ნათლისღება და თავისკვეთა იოანესი.**

გამოიცა შემოქმედელ მთავარეპისკოპოს იოსების (კიკვაძე) ლოცვა-კურთხევით, 20 გვ.

ბროშურაში მოთხრობილია იოანე ნათლისმცემლის და მის სახელთან დაკავშირებული დღესასწაულების შესახებ.

**აბულაძე ილია. ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი.**

რედ.: მ. რაფავა, ც. ქურციკიძე, ე. ცაგარეიშვილი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2014, 1082 გვ.

„ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი“ გამორჩეული ლექსიკოგრაფიული ნაშრომია. უდიდეს ლექსიკოლოგიურ-ენათმეცნიერულ ღირებულებასთან ერთად იგი თავისი ფუნქციით, შედგენილობითა და მოცულობით საეტაპო შრომაა ქართველოლოგიისა და არმენოლოგიის ურთიერთშემხვედრი პრობლემებისა და ამოცანების კვლევა-ძიების საქმეში. ლექსიკონში შესულია მასალა ძველი ქართული და ძველი სომხური მწერლობის ძეგლებიდან. მაქსიმალურად სრულად – ბიბლიიდან, ასევე, ჰაგიოგრაფიული და ჰომილეტიკური ძეგლებიდან. ლექსიკონში გამოყენებული წყაროები – ბიბლიის ტექსტი და ჰომილეტიკურ-ჰაგიოგრაფიული თხზულებები – ძირითადად ადრებიზანტიური ხანის თარგმანებია, როგორც ქართულ, ისე სომხურ ენებზე. ამდენად, ეს ლექსიკონი ბიზანტიური კულტურის კვლევის კონტექსტში თავსდება და მნიშვნელოვნად ამდიდრებს როგორც ბიზანტიური, ისე ქართულ-სომხური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების კვლევის ისტორიას.

**აბრამიშვილი გურამ. ხახულის ხატი.**

რედ. ო. ეგაძე, „ხელოვნება“, თბილისი, 1979, 108 გვ.

წიგნში განხილულია ხახულის ღვთისმშობლის ხატის შესრულების თავისებურებები, რაც მის უნიკალურობას განაპირობებს. ქართული ტექსტი თარგმნილია რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც.

**აბრამიშვილი ვაჟა. გორიჯვრის ჯვარი.**

რედ. ზ. წაქაძე, თბილისი, 2001, 24 გვ.

ბროშურაში მოთხრობილია გორიჯვრის საკურთხევლის წინ აღსამართავი ჯვრის შესახებ.

**აბრამიშვილი ვაჟა. საქართველოს ეკლესიის მამული.**

რედ. ზ. წაქაძე, გორი, 2004, 32 გვ.

**ავალიანი ეკა. ბიბლიური სამყარო და ბიბლიური ხალხები.**

რედ. მ. ღარიბაშვილი, „ლოგოსი“, თბილისი, 2005, 39 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს „ბიბლიური ხალხებისა და კულტურის“ სერიის პირველ წიგნს. იგი ეთმობა ეგვიპტის თემას ბიბლიაში და ბაბილონის ხანის წინასწარმეტყველის, ეზეკიელის მიერ აღწერილ მახლობელი აღმოსავლეთის საზოგადოებების ეთნო-პოლიტიკურ სურათს.

**ალასანია გიული, გოილაძე ვახტანგ. საქართველოს ეკლესიის ისტორიის პირველი სრული გამოკვლევა.**

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია, თბილისი, 2000, 48 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს რეცენზიას მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნზე „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, ოთხტომეული, „მერანი“, 1996-1999.

**ალასანია გიული. ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში.**

„დიასპორა-კრედო“, თბილისი, 2006,79 გვ.

წიგნში მოთხრობილია ქრისტიანობის საქართველოში შემოსვლისა და მისი ოცსაუკუნოვანი ისტორიის შესახებ. ტექსტი წარმოდგენილია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. წიგნს ერთვის ფოტოები.

**ალექსიძე ალექსანდრე. ათონი ათასწლოვანი.**

რედ. მ. ერისთავი, საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1982, 67 გვ.

წიგნი ეძღვნება საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულზე არსებული ქართული კულტურის უდიდესი ცენტრის – ათონის ივერთა ლავრის 1000 წლისთავს. აღწერილია უკანასკნელი წლების ცდები ათონის ქართულ კულტურულ სიძველეთა შესწავლისა და ათონთან მრავალი წლით გაწყვეტილი კონტაქტის განახლებისა, აღწერილია ათონზე ავტორის მოგზაურობა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ძველქართულ ხელნაწერთა უნიკალური კოლექციის დღევანდელი ვითარების დადგენა.

**ალექსიძე ზაზა, შანიძე მზექალა, ხევსურიანი ლილი, ქავთარია მიხეილ. სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა.**

ათენი, 2005, 664 გვ.

კატალოგში წარმოდგენილია 140 ქართული ხელნაწერის აღწერილობა. ეს ხელნაწერები სხვა უცხოენოვან ხელნაწერებთან ერთად აღმოჩნდა 1975 წელს წმ. ეკატერინეს მონასტერში, სინას მთაზე. ამან ძალზე გაზარდა სინას მთაზე უკვე არსებული ქართული კოლექციის მნიშვნელობა. კატალოგში აღწერილი ხელნაწერები თემატურად მრავალფეროვანია. მათგან ყველაზე ადრეული არის 864 წელს გადაწერილი სინური მრავალთავის

ნაწილი. ამ ხელნაწერების უდიდესი ნაწილი X-XI საუკუნეებისაა. კატალოგში, აგრეთვე, აღწერილია პალიმფსესტი, რომლის ქვედა ფენა არის კავკასიური ალბანური. ეს არის პირველი ლიტერატურული ხასიათის ტექსტი, რომელიც ამ ენაზე გახდა ცნობილი.

კატალოგი შედგენილია სამ ენაზე – ქართულად, ბერძნულად და ინგლისურად. თითოეულ მათგანში ტექსტი სრულად არის წარმოდგენილი.

**ალექსიძე ზაზა. თეოლოგიური პოლემიკა კავკასიაში (VI საუკუნე).**

რედ. დ. ჩიტუნაშვილი, გელათის მეცნიერებათა აკადემია, „არტანუჯი“, თბილისი, 2015, 318 გვ.

წიგნში ასახული და გაანალიზებულია VII საუკუნის დასაწყისში ქართლისა და სომხეთის ეკლესიებს შორის მომხდარი განხეთქილების საფუძველი და წინაპირობა; თარგმნილი და შესწავლილია სომხურ ენაზე შემონახული ყველა წყარო, ასევე, გათვალისწინებულია ბერძნულ, სირიულ და ქართულ ენებზე არსებული წყაროების ცნობები.

**ალიბეგაშვილი გიორგი. ეპიფანე კვიპრელის „თვალთაჲ“, ქრისტიანული ეგზეგეტიკის ტრადიციები.**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999, 235 გვ.

ნაშრომი ეხება ბიზანტიური ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ძეგლს – ეპიფანე კვიპრელის „თვალთაის,“ რომლის ქართული თარგმანი სირიულ, კოპტურ, სომხურ და, მოგვიანებით, ლათინურ ენებზე გადმოღებულ ტექსტებთან შედარებით,ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ვარიანტია. ნაშრომი მნიშვნელოვანია ძველი მსოფლიოს ხალხთა კულტუროლოგიური საკითხებით დაინტერესებულ პირთათვისაც.

**ალიბეგაშვილი გიორგი. წმ. ეფრემ მცირე და ქრისტიანული კულტურის საკითხები.**

რედ. რ. სირაძე, „უნივერსალი“, თბილისი, 2010, 204 გვ.

ნაშრომი ეხება ქრისტიანული სახე-სიმბოლოების გამოყენების თავისებურებას ეფრემ მცირის (XI ს.) შემოქმედებაში.

**ალიბეგაშვილი კონსტანტინე. მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება სულიწმიდა ღმერთის შესახებ.**

„ალილო“, 2010, 64 გვ.

წიგნში წმინდა წერილსა და წმინდა მამების შრომებზე დაყრდნობით განხილულია მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება წმინდა სამების ერთ-ერთი იპოსტასის – სულიწმინდის შესახებ.

**ალიბეგაშვილი კონსტანტინე. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია.**

თბილისი, 2011, 26 გვ.

კრებულში იბეჭდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ დაწერილი წიგნებისა და სხვა პუბლიკაციების ბიბლიოგრაფია.

**ალიბეგაშვილი კონსტანტინე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, წმ. კირიონ II-ის ბიბლიოგრაფია.**

დაიბეჭდა დეკანოზ მიქაელ ბუკიას ლოცვა-კურთხევით, 2011, 44 გვ.

გამოცემა წარმოადგენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის (ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი, 1855-1918) ნაშრომთა ბიბლიოგრაფიას.

**ალიბეგაშვილი კონსტანტინე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, კალისტრატე ცინცაძის ბიბლიოგრაფია.**

თბილისი, 2011, 16 გვ.

ბროშურა წარმოადგენს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატეს (1866-1952) ნაშრომთა ბიბლიოგრაფიას.

**ალიბეგაშვილი კონსტანტინე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ამბროსი აღმსარებლის ბიბლიოგრაფია.**

თბილისი, 2011, 24 გვ.

გამოცემაში იბეჭდება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ამბროსის (ერისკაცობაში ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია, 1861-1927) ნაშრომთა ბიბლიოგრაფია.

**ალდამიძე თენგიზ. ხახულის ღვთისმშობლის ხატის ისტორიისათვის.**

რედ. მ. ზაალიშვილი, თელავი, 1999, 24 გვ.

ბროშურის მიზანია ხახულის ღვთისმშობლის ხატის ისტორიის შევსება-

დაზუსტება.

**ანდღულაძე სოფიო. ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი).**

რედ. ქ. პავლიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2006, 175 გვ.

ნაშრომში განხილულია XIX ს-ის უკანასკნელი მეოთხედისა და XX ს.-ის დასაწყისის თვალსაჩინო სასულიერო პირის, ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილის), მოღვაწეობა საქართველოს ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის.

**ანთელავა გიორგი, წერეთელი მაია. ცხოვრება წმიდისა ირინესი, კონსტანტინოპოლის ხრისოვალანტუს მონასტრის წინამძღვრისა.**

დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2004, 38 გვ.

წიგნი მოგვითხრობს წმინდა ირინეს ცხოვრებისა და სულიერი ღვაწლის შესახებ.

**არაბული ელისო. ბიბლიური ლექსიკონი ყმაწვილთათვის (საღვთო წიგნები) წიგნი I.**

რედ.: ბ. არაბული, ნ. თუხარელი, ვ. დოხნაძე, „ხარიტონი“, თბილისი, 1993, 158 გვ.

ლექსიკონი 1985 წელს სტოკჰოლმში ერნესტ ნიუსტრემის მიერ გამოცემული „ბიბლიური ლექსიკონის“ მიხედვით არის შედგენილი. წიგნში წარმოდგენილია ბიბლიურ საკვანძო სიტყვათა მცირე განმარტებანი.

**აროშვილი ვ., აროშვილი ზ. მამათა ცხოვრება (წმ. ეფრემ ასური, წმ. ბასილი დიდი, წმ. თეოდორე, წმ. მარკოზი).**

ტ. 2, 1996, 115 გვ.

წიგნში გადმოცემულია ეკლესიის რამდენიმე გამორჩეული წმინდა მამის ცხოვრება და მათი ნააზრევი სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

**აროშვილი ზურაბ. სამეუფეო ქორწილის შეურაცხმყოფელთათვის.**

1998, 26 გვ.

ბროშურა წარმოადგენს ახალი აღთქმის იგავის განმარტებას წმინდა მამების სწავლებათა მიხედვით.

**არველაძე ბონდო. „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?**

რედ. ა. აბდალაძე, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, თბილისი, 1996, 108 გვ.

ნაშრომში კრიტიკულად არის განხილული 1995 წელს ერევანში სომხურ ენაზე გამოცემული რუკა-ცნობარი „სომხური ეკლესიები საქართველოში“. ცნობარის მიხედვით, საქართველოში 650 სომხური ეკლესიაა. ნაშრომი ამ მოსაზრებას უპირისპირდება.

**არველაძე ბონდო. ქართული ეკლესიების მისაკუთრება სომეხი მეცნიერების მიერ გრძელდება.**

რედ. მ. უკლება, 2006, 55 გვ.

წიგნში კრიტიკულად განხილულია 1995 წელს ერევანში სომხურ ენაზე გამოცემული ს. კარაპეტიანის რუკა-ცნობარი „სომხური ეკლესიები საქართველოში“. ბონდო არველაძეს მოჰყავს სომხურად მითვლილი ეკლესიების ქართულობის დამადასტურებელი წერილობითი წყაროები. წიგნს ერთვის რუკა-ცნობარის ქართული თარგმანიც.

**ასაბაშვილი ელზა. ვაზი, ბიბლია და საქართველო.**

რედ. ლ. დავითაშვილი, 2011, 59 გვ.

ნაშრომის მიზანია, საქართველოს უძველესი ისტორია, ასევე, ჩვენში უხსოვარი დროიდან ფესვგადგმული ვაზისა და ღვინის ტრადიცია ბიბლიურ წიგნებს დაუკავშიროს. ამგვარი მიდგომა ახალ შესაძლებლობებს აჩენს ჩვენი შორეული წარსულის აღდგენა-კვლევის საქმეში.

**ასათიანი ავთანდილ. ნარკვევები ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორიიდან.**

ტომი I, რედ. ე. ბუბულაშვილი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სასულიერო აკადემია, „პედაგოგიკა“, თბილისი, 2007, 304 გვ.

წიგნში გაანალიზებულია ძველი და ახალი აღთქმის პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, დახასიათებულია მოციქულების ეპოქისა და ადრეული ქრისტიანობის პედაგოგიკის ძირითადი მიმართულებები და განხილულია

საკითხის ირგვლივ არსებული თანამედროვე თეორიები. ნაშრომში სისტემურადაა გაშუქებული ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორიის უძველესი პერიოდი – პირველი კონფესიური სკოლების ჩამოყალიბებიდან V საუკუნის I მეოთხედის ჩათვლით, რომელიც მოიცავს ქრისტიანული სკოლების ძირითად მიმდინარეობებს: ბერძნულ-ალექსანდრიულს, სირიულ-ანტიოქიურს და ლათინურ-რომაულს. ამასთან, წარმოდგენილია ეკლესიის წმინდა მამათა და გამოჩენილ თეოლოგთა პედაგოგიური შეხედულებები.

**ასათიანი ავთანდილ. ილია ჭავჭავაძე რელიგიური აღზრდა-განათლების შესახებ.**

რედ. ე. ბუბულაშვილი, თბილისი, 2008, 76 გვ.

წიგნის მიზანია, საზოგადოებას გააცნოს ილია ჭავჭავაძის შეხედულებები რელიგიური აღზრდა-განათლების შესახებ. განხილულია თემები: ადამიანის დანიშნულება და აღზრდის მიზანი, ქრისტიანული აღზრდა-განათლების გზები და საშუალებები, მშობლიურ ენაზე სწავლების მდგომარეობა სახალხო სკოლებსა და სასულიერო სასწავლებლებში.

**ასათიანი ვალერი. სამთავროს ძველი ქართული წარწერები.**

რედ. ლ. სიხარულიძე, შიომღვიმის მამათა მონასტრის საძმო, „ნეკერი“, 2011, 98 გვ.

მცხეთის სამთავროს ფერისცვალების ტაძართან დაკავშირებულია ძველი ქართული წარწერების საინტერესო და სამეცნიერო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ჯგუფი. წიგნში წარმოდგენილია ქვაზე ამოკვეთილი (ლაპიდარული), საღებავით შესრულებული (ფრესკული), ტაძრის სატრიუმფო თაღზე არსებული წარწერები და წარწერა-გრაფიკები.

**ასკურავა დავით. კვალი მანათობელი.**

რედ. ლ. სანიკიძე, „ნაკადული“, 1987, 291 გვ.

რომანში ასახულია ცნობილი ქართველი საეკლესიო, პოლიტიკური და კულტურული მოღვაწის, ანთიმოზ ივერიელის ცხოვრება. მწერალი აღწერს ანთიმოზის ბავშვობას, მის გატაცებას სტამბოლში, ტყვეობიდან გამოსყიდვის ამბავს, მის ვლახეთში მოღვაწეობას.

**აფციაური ჯემალ. გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“.**

რედ. ლ. მენაბდე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1980, 308 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ განხილვას. მასში ასახულია თავად გიორგი მცირის ბიოგრაფიის ზოგიერთი ეპიზოდიც.

**აჭარაძე ნიკო. რელიგიურ სიტყვათა ლექსიკონი.**

თბილისი, 1995, 227 გვ.

წიგნში რელიგიურ სიტყვათა განმარტებებთან ერთად წარმოდგენილია ცნობები გეოგრაფიული ადგილებისა და სასულიერო პირთა შესახებ.

**ახვლედიანი ბასილ (მღვდელი), შიხაშვილი გიორგი, ბაკაშვილი ნიკოლოზ. მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები.**

რედ. ე. ბარათაშვილი, 2009,368 გვ.

მონოგრაფიაში წარმოდგენილია ეკონომიკური თეორიის მართლმადიდებლურად გააზრების მცდელობა.

**ბაგრატიონ-დავითაშვილი ნანა. სვეტიცხოველში საქართველოს გული ძალუმად ცემდა.**

თბილისი, 1997, 16 გვ.

ბროშურაში ასახულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ოცწლიანი (1977-1997 წწ.) მოღვაწეობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში, ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა გადმოცემული ამ პერიოდში გატარებული ყველა საეკლესიო რეფორმა.

**ბაგრატიონ-დავითაშვილი ნანა. ეკრძალენით ცრუ მოძღვართა (იეღოველთა ცრუ სწავლების წინააღმდეგ).**

დაიბეჭდა მიტროპოლიტ კონსტანტინეს (მელიქიძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2000, 30 გვ.

ბროშურაში მხილებულია „იეღოვას მოწმეთა“ სექტის სწავლების სიცრუე.

**ბარამიძე გიგლა. ლიტერატურული პარალელები.**

რედ. რ. ჩხეიძე, „ლომისი“, თბილისი, 2002, 190 გვ.

კრებულში წარმოდგენილია სამეცნიერო ნაშრომები: წერილობითი წყ-

აროები და გადმოცემები უფლის ხელთუქმნელი კვართისა და ტურინის სუდარის შესახებ (ქართული, სომხური, სირიული, ევროპული წერილობითი დოკუმენტები). ასევე, იბეჭდება ავტორის პუბლიცისტური სტატიები და თარგმანი – იოჰან პეტერ ეკერმანი, საუბრები გოეთესთან.

**ბარამიძე გრიგოლ. უფლის ხელთუქმნელი კვართი საქართველოში.**

თბილისი, 2004, 31 გვ.

ბროშურაში შეკრებილია ქართული, სომხური, ასევე, აღმოსავლური და ევროპული ზეპირი გადმოცემები და წერილობითი წყაროები ხელთუქმნელი კვართის შესახებ.

**ბარამიძე ლელი, ენუქაშვილი რუბენ, მეტრეველი თეიმურაზ. ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი.**

რედ. ლ. ბარამიძე, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 593 გვ.

ნაშრომი დაიბეჭდა იუდეისა და სამარიის აკადემიური კოლეჯის თანადგომით. წიგნში სრულად შევიდა ძველი ქართული სამოციქულოს ყველა რედაქციის ლექსიკური ერთეული, ხმარების ყველა შემთხვევითა და მნიშვნელობათა ჩვენებით.

**ბარამიძე ნინო. ლაზარე – საქართველო და აპოკალიფსური ჟამი.**

წიგნი დაიბეჭდა მთავარეპისკოპოს თადეოზის (იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2008, 80 გვ.

წიგნში მოკლედ არის განხილული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია, ასახულია მის წინაშე არსებული სირთულეები და ნაჩვენებია გზა იმედიანი მომავლისა.

**ბარამიძე რევაზ. გიორგი მერჩულე – ქართული პროზის დიდოსტატი და მშვენება.**

თბილისი, 2001, 160 გვ.

წიგნში განხილულია გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“.

**ბარათაშვილ-ორბელიშვილი ბესარიონ (კათალიკოსი). გრდემლი (სიტყვა ლათინთა მიმართ ჩვენ მართლმადიდებელთა მიერ, თუ რაჲ არს ჩუენგან**

**მათი განყოფილება).**

ტექსტი ხელნაწერ შ-3269–ის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და შესავალი დაურთო ზაზა მამულაშვილმა, რედ. ზ. ჭუმბურიძე, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2013, 368 გვ.

წიგნში წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი XVII-XVIII საუკუნეების გარეჯის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის ლიტერატურული სკოლის ცნობილი წარმომადგენელია. ნაშრომს უძღვის ვრცელი შესავალი, სადაც მიმოხილულია მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ცნობილი ყველა მწვალებლობა. თხზულების ძირითადი ნაწილი რომის ეკლესიის მიერ აღიარებული დოგმატების გაბათილებას წარმოადგენს.

**ბარბაქაძე ირმა. ქრისტიანული მოტივები ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში.**

რედ. ლ. ბოჩკოვა-ხვიჩია, თბილისი, 2004.

ქართული რომანტიზმი თავისი ეროვნული ტრადიციებით,მხატვრულ-ესთეტიკური თუ ფილოსოფიური შტრიხებით ქრისტიანული მორალისა და ეთიკის მქადაგებელია. ნაშრომში საუბარია იმაზე, თუ როგორ არის წარმოჩენილი ქრისტიანული მოტივები ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში.

**ბარბაქაძე ლია. საქართველოს საეკლესიო ისტორიის სახელმძღვანელო (V–VI კლასი).**

რედ. ვ. ასათიანი, იბეჭდება მანგლელ მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით, 2001,176 გვ.

წიგნში გადმოცემულია ქრისტიანობის დაარსებისა და მისი გავრცელების მოკლე ისტორია. ასევე, წარმოდგენილია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდი და მოთხრობილია ზოგიერთი ტაძრის შესახებ.

**ბარბაქაძე ლია. საქართველოს საეკლესიო ისტორია (VII კლასის სახელმძღვანელო).**

რედ. ვ. ასათიანი, იბეჭდება მანგლელ მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2002,128 გვ.

წიგნში მოთხრობილია საქართველოს მეფეებზე ფარნავაზიდან წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის ჩათვლით. ასევე, სახელმძღვანელო შეიცავს სწავლებას „მრწამსის," ახალი აღთქმის ეკლესიის შვიდი საიდუმლოს, დიო-

ფიზიტობის და მონოფიზიტობის შესახებ, მოთხრობილია ქართველ წმინდანებზე.

**ბარბაქაძე ლია. საღმრთო სჯულის სახელმძღვანელო პირველი კლასისათვის.**

რედ. ვ. ასათიანი, იბეჭდება მღვდელ გიორგი პაპიაშვილის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2003,136 გვ.

წიგნში მოკლედ და მარტივად არის გადმოცემული ბიბლიური ისტორია.

**ბარბაქაძე  ლია. რელიგიის სახელმძღვანელო ყმაწვილთათვის (I ნაწილი).**

რედ. ვ. ასათიანი, იბეჭდება მღვდელ გიორგი პაპიაშვილის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2004, 138 გვ.

წიგნი განკუთვნილია დაწყებითი კლასის მოსწავლეთათვის.

**ბარბაქაძე ლია. რელიგიის სახელმძღვანელო ყმაწვილთათვის II-III ნაწილი (დამხმარე სახელმძღვანელო „რელიგია და კულტურის“ საგანში IV-V კლასებისათვის).**

რედ. ვ. ასათიანი, 2004, 178 გვ.

წიგნში გადმოცემულია რელიგიის ისტორია მოზარდი მკითხველისათვის გასაგები მარტივი ენით.

**ბარბაქაძე ლია, ჭიკაიძე სულხან. რელიგიებისა და კულტურების ისტორიების სახელმძღვანელო ყმაწვილთათვის.**

რედ. რ. ბალანჩივაძე, იბეჭდება ანჩისხატის სახელობის ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ რევაზ ტომარაძის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2006, 200 გვ.

სახელმძღვანელოში მოკლედაა გადმოცემული ძველი აღთქმის ისტორია წმ. მამათა კომენტარების გათვალისწინებით, მოთხრობილია იუდაიზმსა და მის ძირითად პრინციპებზე, საუბარია ებრაელთა მდგომარეობაზე საქართველოში.

**ბარბაქაძე ლია, ჭიკაიძე სულხან. ქრისტიანობის მოკლე ისტორია (მართლმადიდებლური სახელმძღვანელო და რომაული კათოლიციზმის ცდომილებანი).**

რედ. რ. ბალანჩივაძე, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული სულიერებისა და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი, 2007, 248 გვ.

წიგნის პირველ ნაწილში გადმოცემულია ქრისტიანობის გავრცელების ისტორია და განხილულია სხვადასხვა საღვთისმეტყველო საკითხი წმინდა მამების სწავლებასა და თანამედროვე სასულიერო პირების ქადაგებებზე დაყრდნობით. მეორე ნაწილში მოთხრობილია კათოლიკეთა ცდომილებებისა და მართლმადიდებლებისადმი მათი დამოკიდებულების შესახებ.

**ბასილაძე იმერ. სასულიერო განათლება XIX საუკუნის იმერეთის ეპარქიაში.**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1993, 23 გვ.

ბროშურა შედგება ორი თავისაგან: „სასულიერო განათლება რეფორმამდელი ხანის იმერეთის ეპარქიაში (1801-1864)“ და „სასულიერო განათლება XIX საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში“.

**ბასილაძე იმერ. ძოწენიძე ქეთევან, კუპრაშვილი სულხან. სასულიერო განათლება და პედაგოგიური აზროვნება XIX საუკუნის იმერეთის ეპარქიაში.**

რედ. კ. რამიშვილი, ქუთაისი, 2006, 172 გვ.

ნაშრომში აღწერილია განათლებისა და აზროვნების დონე  და თავისებურება XIX ს-ის იმერეთში, საუბარია იმ პირებზე, ვინც ხელმძღვანელობდა განათლების საქმეს იმერეთის ეპარქიაში. ნაშრომი შესრულებულია სათანადო საარქივო მასალაზე დაყრდნობით.

**ბატიაშვილი ზურაბ. კაბადოკია.**

რედ. ა. ჭაბაშვილი, „დიოგენე“, თბილისი, 2004, 79 გვ.

წიგნში მიმოხილულია თურქეთის ერთ-ერთი უძველესი კუთხის,კაბადოკიის, ისტორია და კულტურა. მოთხრობილია ადგილობრივი წმინდანების ცხოვრება, აღწერილია ეკლესია-მონასტრები და სხვა სიძველეები.

**ბაქრაძე ლია. რელიგიის საფეხურები ანუ რელიგია ყმაწვილთათვის**.

რედ. გ. კოპლატაძე, 56 გვ.

წიგნი  კითხვა-მიგებითი ხასიათისაა.

**ბაწაში წათე. ეთნო-რელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში.**

რედ. რ. ფეიქრიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1988,78 გვ.

ნაშრომში განხილულია ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ეთნო-რელიგიური ჯგუფების ჩამოყალიბება-განვითარების საკითხი და ქართველთა როლი ამ რეგიონის მოსახლეობის ეთნოგენეზში.

**ბედიაშვილი თინათინ. საგარეჯოს რაიონში მოღვაწე სასულიერო პირები (XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი).**

რედ. ს. ვარდოსანიძე, „ოპიზა“, თბილისი, 2003, 40 გვ.

პუბლიკაციაში განხილულია საკითხები საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების, ნინოწმინდის კათედრალის, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის შესახებ. ამასთან, ავტორის მიზანია, გააცნოს მკითხველს საგარეჯოს რაიონში XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე სასულიერო პირები. წიგნს ერთვის ფოტომასალა.

**ბედოშვილი ლია. საუფლო ამბები, წიგნი I, შვიდი ხორციელი მოწყალება.**

იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2009, 38 გვ.

წიგნში გადმოცემულია შვიდი პატარა ამბავი კეთილი საქმის აღსრულების შესახებ.

**ბენდელიანი მედეა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში.**

რედ. ქ. პავლიაშვილი, იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2002, 174 გვ.

წიგნში განხილულია საბჭოური წყობილების სარწმუნოებრივი პოლიტიკა და ქართული საეკლესიო ცხოვრება XX საუკუნის 30-40-იან წლებში, გაშუქებულია „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ ადგილი და დანიშნულება საბჭოთა წყობის პოლიტიკაში და ქართველი სამღვდელოების აქტიური მოღვაწეობა ეროვნული ეკლესიისა და მისი კრებულის გადასარჩენად. გაანალიზებულია ქართული ეკლესიის პოლიტიკურ-ეკონომიკური წვლილი „დიდ სამამულო“ ომში მისი ადგილი და დანიშნულება საერთაშორისო

პოლიტიკაში. შესწავლილია ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი მხარეები.

**ბეზარაშვილი ქეთევან. რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით.**

რედ.: დ. მელიქიშვილი, მ. რაფავა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება", თბილისი,2004, 794 გვ.

წიგნი წარმოადგენს მონოგრაფიას, რომელშიც მიმოხილულია ბიზანტიური რიტორიკის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები და მათი ქართულად გადმოტანის საშუალებები ორი ძირითადი თეოლოგიური და მთარგმნელობითი სკოლის – ათონისა და შავი მთის მასალების მიხედვით; კონკრეტულად კი, გრიგოლ ღვთისმეტყველის (IV ს.) ჰომილიების ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის თარგმანების ფონზე.

**ბეზარაშვილი ქეთევან. ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკის თეორიისა და ლექსთწყობის საკითხები ანტიოქიური კოლოფონების მიხედვით: ეფრემ მცირე. წიგნი I, II, III.**

რედ.: ნ. დობორჯგინიძე, მ. მჭედლიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011, წიგნი I, 371 გვ.,წიგნი II, 324 გვ., წიგნი III, 2012, 256 გვ.

გამოცემა წარმოდგენილია სამ ტომად. პირველ ტომში შესწავლილია ეფრემ მცირის (XI ს.) მთარგმნელობითი კონცეფციისა და პრაქტიკის ცალკეული თავისებურებები; რის საფუძველზეც ბიზანტიური კულტურითა და ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს საშუალება ეძლევა, ბერძნული მასალების ქართული თარგმანების მიხედვით თვალი გაადევნოს შუა საუკუნეების ბიზანტიურ-ქართულ სააზროვნო სივრცეში მიმდინარე პროცესებს. მეორე ტომში გაანალიზებულია წმინდა კაპადოკიელ მამათა – ბასილი დიდის,გრიგოლ ნოსელისა და გრიგოლ ნაზიანზელის (ღვთისმეტყველის) თხზულებების მიმართება ქართულ თარგმანებთან. მესამე ტომში დეტალურად არის წარმოჩენილი ეფრემ მცირის კოლოფონების მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში, ასევე, ქართული მთარგმნელობითი ტრადიციის კვლევისათვის ბიზანტიასა და ქრისტიანულ აღმოსავლეთში მიმდინარე ლიტერატურულ-კულტურული პროცესების ფონზე.

**ბეზარაშვილი ქეთევან. ბიზანტიური მწერლობის მცირე ქრესტომათია**

**(პოეზია, ეპისტოლოგრაფია, ჰომილეტიკა).**

რედ. თ. დოლიძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, პატრისტიკული კვლევის საერთაშორისო ასოციაციის ქართული სექცია, „ლოგოსი“, თბ., 2012, 107 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ქრესტომათიას, რომელშიც თავმოყრილია გვიანანტიკური და ბიზანტიური ხანის ბერძნულენოვან ქრისტიან და წარმართ ავტორთა შემოქმედების ნიმუშები. მათი თარგმანები თვალსაჩინო ქართველ ბიზანტინისტსა და ქართველოლოგს, ქეთევან ბეზერაშვილს ეკუთვნის.

**ბერაია ლალი. ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული სიწმინდეები.**

1999, 10 გვ.

ბროშურაში მოკლედ არის გადმოცემული ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული სიწმინდეების ისტორია.

**ბერაია ლალი. ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი და წმინდა ნაწილები.**

იბეჭდება ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოს გერასიმეს (შარაშენიძე) ლოცვა-კურთხევით, 2000, 15 გვ.

ბროშურაში მოკლედ არის გადმოცემული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართის ისტორია.

**ბერაია ლალი. საქართველოში დაცული X-XIX საუკუნეების ჯვარ-ხატების წარწერები.**

2000, 102 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის საგანძურში დაცული X–XIX საუკუნეების ჯვრებისა და ხატების აღწერას.

**ბერიძე ვალერიან. ზუბის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია (მშენებლობის მოკლე ისტორია).**

რედ. ჯ. კუხალაშვილი, იბეჭდება ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოს სტეფანეს (კალაიჯიშვილი) ლოცვა-კურთხევით, „უნივერსალი“, თბილისი, 2009, 154 გვ.

წიგნში მოთხრობილია სოფელ ზუბისა და იქ აგებული წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ისტორია. ასახულია ტაძრის მშენებლობის ყველა

ძირითადი მომენტი.

**ბერიძე ვახტანგ. ქართული ნაქარგობის ისტორიიდან.**

რედ. მ. კეცხოველი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, „მეცნიერება“, 1983, 120 გვ.

წიგნი ეხება ძველი ქართული ნაქარგობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს, ე.წ. „გარდამოხსნებს“, რომლებიც დაცულია თბილისისა და სხვა ქალაქების მუზეუმებში. განხილულია XV–XIX საუკუნეების ოცზე მეტი ნიმუში.

**ბერიძე ვახტანგ. XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება.**

რედ.: გ. აბრამიშვილი, ი. აბულაძე, ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის ფონდი, „კანდელი“, თბილისი, 1994, 512 გვ.

წიგნში გადმოცემულია XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ისტორია და განხილულია ამ პერიოდის ტაძრების არქიტექტურა.

**ბექირიშვილი იოსებ. ქრისტიანობა აჭარაში.**

რედ. მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს რესპუბლიკის ი. ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოება, „ცოდნა“, თბილისი, 1991, 124 გვ.

წიგნში თავმოყრილია ისტორიული, ეთნოგრაფიული, ლიტერატურული და ტოპონიმიკური მასალები აჭარაში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით. აქვე მოთხრობილია ისლამის გავრცელების მოკლე ისტორია და აღწერილია აჭარელთა ბრძოლა ქრისტიანობის, ქართველობისა და ეროვნული ტრადიციების შესანარჩუნებლად.

**ბოჩაროვი ა. ს., ჩერნიშევი ა. ვ. მართლმადიდებლური ფსიქოლოგიის ნარკვევები.**

თბილისის ფერისცვალების სახელობის დედათა მონასტერი, თბილისი, 2010, 322 გვ.

წიგნში განხილულია თანამედროვე საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური პრობლემები და მანკიერ მიდრეკილებებთან ბრძოლის მეთოდები. წიგნი დაწერილია სამეცნიერო-პოპულარული ენით.

**ბუბულაშვილი ელდარ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II.**

რედ. ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისის სასულიერო აკადემია, „მემატიანე", თბილისი, 2002, 199 გვ.

მონოგრაფიაში შესწავლილია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორის (ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი, 1762-1827 წწ.) ცხოვრება და მოღვაწეობა. გამოკვლევა ეყრდნობა რუსეთისა და საქართველოს სიძველეთა საცავებში აღმოჩენილ დღემდე უცნობ საარქივო მასალებს. წიგნის მეორე შევსებული გამოცემა დაიბეჭდა 2011 წელს.

**ბუბულაშვილი ელდარ. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის საკითხები.**

რედ. ა. ბენდიანაშვილი, ქრისტიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისის სასულიერო აკადემია, „მემატიანე", თბილისი, 2003, 116 გვ.

ნაშრომში შესწავლილია წმ. ილია მართალის (ჭავჭავაძე) დამოკიდებულება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი. გამოკვლევა ეყრდნობა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკას და საზოგადოებისთვის დღემდე უცნობ საარქივო მასალებს.

**ბუბულაშვილი ე., აბაშიძე ზ., აბაშიძე ნ., ვარდოსანიძე ს., საითიძე გ. რთული პერიოდის მოწმე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია 1811 წლიდან დღემდე.**

ბენეცი და ბლუვი, ლონდონი, 2006, 390 გვ.

შრომაში მიმოხილულია საქართველოს ეკლესიის ისტორია XIX-XX საუკუნეებში. წიგნი დაბეჭდილია ინგლისურ ენაზე.

**ბუბულაშვილი ელდარ. საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები.**

რედ.: დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, ე. ჭელიძე, იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბ., 2007, 347 გვ.

ნაშრომში, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილია საქართველოს ეკლესიის წიაღში უძველესი დროიდან არსებული სიწმინდეების ისტორია. წიგნი ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა 2011 წელს.

**ბუბულაშვილი ელდარ. საქართველოს სამოციქულო ეკლესია.**

თბ., 2008, 36 გვ.

ნაშრომში მიმოხილულია საქართველოს ეკლესიის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. წიგნი ითარგმნა ინგლისურ ენაზე და დაიბეჭდა 2008 წელსვე.

**ბუბულაშვილი ე., რობაქიძე დ., ნასყიდაშვილი პ. ჩვენი დირსებანი.**

პროექტის ხელმძღვანელი მზია რაზმაძე, თბილისი, 2011.

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის სიწმინდეების ზოგად მიმოხილვას.

**ბუკია ლევან. ძველი აღთქმის საღმრთო ისტორია (ბავშვებისთვის).**

რედ. ზ. სანადირაძე, დაიბეჭდა საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის ნებართვით, I ნაწილი, 2005, 118 გვ., II ნაწილი, 2007, 148 გვ.

წიგნი მომზადდა იაკობ გოგებაშვილის „საღმრთო ისტორიის" მიხედვით. გამოცემაში შესული ტექსტები შეჯერდა საქართველოს საპატრიარქოს მიერ 1989 წელს გამოცემულ „ბიბლიასთან", ასევე, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული „ბიბლიის" თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნის ჯგუფის მიერ მომზადებულ თარგმანთან, რომელიც ჟურნალ „რწმენა და ცოდნაში" ქვეყნდებოდა. წიგნში თითოეულ გაკვეთილს ერთვის შესავსები ცხრილები, კითხვები, სულისთვის სასარგებლო რჩევები და შეგონებები, მოკლე ლოცვები, ლექსიკონი.

**ბუკია ლევან. საღმრთო ისტორია ახალი აღთქმისა (ბავშვებისთვის) ნაწილი III.**

რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, წიგნი დაიბეჭდა საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის ნებართვით, 2007, 165 გვ.

გამოცემაში წარმოდგენილია ახალი აღთქმის ტექსტი. წიგნი განკუთვნილია ყმაწვილთათვის. ტექსტს ახლავს სხვადასხვა სახის დავალება.

**ბუკია ლევან. ქრისტიანული ეთიკა.**

რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, იბეჭდება საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრის ნებართვით, თბილისი, 2011, 203 გვ.

წიგნში ეთიკური პრობლემები, როგორიცაა ევთანაზია, აბორტი, ქორწინება, ბიოეთიკა, ეკოლოგია, ინფორმაციული საშუალებები და სხვ. განხილულია ქრისტიანული დოგმატიკის საფუძველზე.

**ბუმისი პანაიოტისი. კანონიკური სამართალი.**

თარგმნა ირინე გარაყანიძემ, რედ.: ე. კოჭლამაზაშვილი, დეკანოზი იოანე მამნიაშვილი, რეცენზირებულია დასაბეჭდად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, თბილისი, 2007,224 გვ.

წიგნში განხილულია კანონიკური სამართლის საკითხები: კანონიკური სამართლის არსი, რას შეისწავლის და რა ურთიერთობა აქვს საერო სამართალთან, რა არის მისი უპირველესი წყარო. ავტორი მსოფლიო და ადგილობრივი ეკლესიების მართლმადიდებლობის წიაღში ჩამოყალიბებულ კანონიკურ სწავლებას ეყრდნობა და, ამავე დროს, ფართოდ წარმოაჩენს კონსტანტინოპოლისა და,განსაკუთრებით, საბერძნეთის ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების კანონიკურ პრაქტიკაში არსებულ თავისებურებებს (მაგ.: ქორწინების სამართალი, სამონაზვნო და სამონასტრო ცხოვრების პრაქტიკა, ტრადიციები და სხვ.). ასევე, განხილულია საეკლესიო საიდუმლოებები კანონიკური სამართლის კუთხით.

**ბურდული გვანცა. საქართველოს ეკელესიის ავტოკეფალიის საკითხები, ქართველ მეცნიერთა ღვაწლი (1906 წელი).**

რედ. ვ. გურული, „უნივერსალი“, თბილისი, 2010, 143 გვ.

წიგნში აღწერილია ცნობილი ქართველი მეცნიერების – ნიკო მარის, ალექსანდრე ცაგარლისა და ალექსანდრე ხახანაშვილის ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის ისტორიაში. პუბლიკაციაში შესულია ქართული ტექსტის რუსული თარგმანიც.

**ბურჭულაძე ნანა. უბისის მონასტრის ხატები და კედლის მხატვრობა, XIV საუკუნე.**

რედ.: ლ. ხუსკივაძე, დ. თუმანიშვილი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისი, 2006, 280 გვ.

ნაშრომში განხილულია უბისის მონასტრის ხატების თავისებურებანი, მათი თეოლოგიური პროგრამა, მხატვრული სტილის დამახასიათებელი ნიშნები, ტაძრის ინტერიერში მათი განთავსების საკითხი. საგანგებო ყურადღება ექცევა ქტიტორ ბაბლაკ ლაშხისშვილის ხატებისა და უბისის წმინდა გიორგის ტაძრის მე-14 საუკუნის ფრესკული მხატვრობის ურთ-

იერთმიმართების საკითხს.

**ბურჭულაძე ნანა. თანამედროვე ქართული საეკლესიო ხელოვნება (კატალოგი).**

შეადგინეს ნანა ბურჭულაძემ და ნიკოლოზ დადიანმა, რედ. ნ. ბურჭულაძე, საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი, თბილისი, 2009, 217 გვ.

წიგნში თავმოყრილია თანამედროვე ქართული საეკლესიო მშენებლობის, კედლის მხატვრობის, ხატწერის, მინიატურის, ქვასა და ხეზე რელიეფური კვეთის, ოქრომჭედლობის, მინანქრისა და ნაქარგობის ნიმუშების ამსახველი ფოტომასალა.

**გაბიძაშვილი ენრიკო. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა (ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა).**

რედ. მ. დოლაქიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება", თბილისი, 1978, 200 გვ.

წიგნი წარმოადგენს მონოგრაფიას, რომელიც ეძღვნება ქართული სამართლის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლის, რუის-ურბნისის კრების (XII ს.) „ძეგლისწერის" ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური საკითხების შესწავლას. ნაშრომში დადგენილია „ძეგლისწერის" ძირითადი წყაროები, მოცემულია ცდა ავტორის ვინაობის შესახებ ტრადიციულ შეხედულებათა სისწორის აღდგენისა, ახლებურადაა გადაჭრილი ძეგლთან დაკავშირებული ზოგი საინტერესო საკითხი, ახსნილია საეკლესიო სამართლის ზოგიერთი დებულების ისტორიული საფუძველი.

**გაბიძაშვილი ენრიკო, მამაცაშვილი მაია, ღამბაშიძე ანა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი.**

რედ.: ე. გაბიძაშვილი, ე. კოჭლამაზაშვილი, საქართველოს საპატრიარქო, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, 2007, 1016 გვ.

ლექსიკონში წარმოდგენილია საეკლესიო მწერლობის ყველა დარგთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. ასევე, შეტანილია ძირითადი ცნობები მსოფლიო ეკლესიის ისტორიიდან და სხვა ქრისტიანული აღმსარებლობებისა (კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი და ა. შ) და რელიგიების (იუდაიზმი, ისლამი, ბუდიზმი და წარმართული რწმენა-წარმოდგენები) შესახებ.

**გაბიძაშვილი ენრიკო. ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, ბიბლიოგრაფია, ტ. I.**

რედ.: ქ. ასათიანი, ე. ბერუაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, 2004,425 გვ.

წიგნში იბეჭდება ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ხელნაწერების აღწერილობა. მოწოდებულია ჰაგიოგრაფიის ბიბლიოგრაფიის შედგენის პრინციპები, საცნობარო ნარკვევი ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული ძეგლების შესახებ, თვით ბიბლიოგრაფია, სამეცნიერო ნაშრომების სია ნათარგმნ ჰაგიოგრაფიასთან დაკავშირებით და ავტორთა, მთარგმნელთა და ხელნაწერთა საძიებლები.

**გაბიძაშვილი ენრიკო. ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, ტ. II. ასკეტიკა და მისტიკა.**

რედ. დ. ჩიტუნაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „არტანუჯი“, თბილისი, 2006, 392 გვ.

წიგნში იბეჭდება ნათარგმნი ძეგლების ხელნაწერთა აღწერილობა. ძირითად მასალას ერთვის შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია, სადაც წარმოდგენილია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები. აქვე ვეცნობით მთარგმნელობითი სკოლების ისტორიებს, მათ მთარგმნელობით მეთოდოლოგიას.

**გაბიძაშვილი ენრიკო. ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, ტ. III, ჰომილეტიკა.**

რედ. ე. ჭელიძე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2009,579 გვ.

წიგნში იბეჭდება ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლების ხელნაწერთა აღწერილობა. ნარკვევში „ნათარგმნი ჰომილეტიკა“ საუბარია ჰომილეტიკური მწერლობის ჟანრობრივ სპეციფიკაზე, ჰომილიათა გამოჩენილი ავტორების, ქართველი მთარგმნელებისა და მათი მთარგმნელობითი მეთოდების, ძირითადი ჰომილეტიკური კრებულების შესახებ. ძირითად მასალას ერთვის შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია, სადაც წარმოდგენილია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები.

**გაბიძაშვილი ენრიკო. ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, ტ. IV, ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები.**

რედ.: ნ. მელიქიშვილი, ც. ქურციკიძე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2009,487 გვ.

წიგნში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა და აპოკრიფები. ასევე, მოწოდებულია შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, საცნობარო ნარკვევები და საძიებლები. აქვე ვეცნობით მთარგმნელობითი სკოლების ისტორიებს, მათ მთარგმნელობით მეთოდოლოგიას.

**გაბიძაშვილი ენრიკო. ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, ტ. V, ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია.**

რედ.: ლ. ხევსურიანი, ლ. ჯღამაია, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბილისი, 2011, 520 გვ.

ნაშრომში მოცემულია ნათარგმნი ძეგლების ხელნაწერთა აღწერილობა. წიგნს ერთვის სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია. აქვე ვეცნობით მთარგმნელობითი სკოლების ისტორიებს, მათ მთარგმნელობით მეთოდოლოგიას.

**გაბიძაშვილი ენრიკო. ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, ტ. VI, კანონიკა, დოგმატიკა-პოლემიკა.**

რედ. მ. რაფავა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2012, 334 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნ თხზულებათა დარგობრივი ბიბლიოგრაფიების სერიის მე-6 წიგნს. მასში დამოუკიდებელ ნაკვეთებად შესულია კანონიკა ანუ საეკლესიო სამართალი და დოგმატიკა-პოლემიკა. თითოეული ნაკვეთი წარმოდგენილია თავისი სამეცნიერო აკრიბიით.

**გაბიძაშვილი ენრიკო. შრომები.**

რედ.: ე. ბერუაშვილი,ხ. გაფრინდაშვილი, I, მონოგრაფიული ნარკვევები,თბ., 2010, 475 გვ., II, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები, თბ., 2010,515 გვ., III, ნარკვევები, სამეცნიერო წერილები, საენციკლოპედიო სტატიები, თბ., 2011, 476 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს სამტომეულს. მასში თავმოყრილია სხვადასხვა დროს შექმნილი კვლევითი ხასიათის ნაშრომები და ამა თუ იმ პერიოდულ გამოცემაში გაბნეული წერილები, რომლებიც ეხება ძველი ქართული მწერლობის მრავალფეროვან დარგებს: ჰაგიოგრაფიას, ჰაგიოლოგიას, ასკეტიკას, კანონიკას. ბიბლიოლოგიას, ეგზეგეტიკას, აპოკრიფებს, ჰომილეტიკას და ა.შ.

**გაბიძაშვილი ენრიკო. ძველი ქართული ორიგინალური სასულიერო მწერლობა და თხზულებათა დარგობრივი ბიბლიოგრაფია.**

რედ. ა. ჭუმბურიძე,აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისის სასულიერო აკადემია, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2015, 688 გვ.

გამოცემა წარმოადგენს რიგით მეშვიდე წიგნს, რომლითაც მთავრდება ნათარგმნი და ორიგინალური სასულიერო მწერლობის ძეგლების სრული მიმოხილვა მწერლობის დარგების მიხედვით და თითოეული თხზულების ბიბლიოგრაფიების ციკლი. ნაშრომში შეჯამებულია ორიგინალური მწერლობის შესწავლაში ქართული ფილოლოგიური მეცნიერების დღემდე მიღწეული შედეგები და პირველადაა მოწოდებული ორიგინალური მწერლობის თითოეული დარგისა და თითოეული კონკრეტული თხზულების ბიბლიოგრაფია.

**გაბური ლელა. ძველი აღთქმა და ხევსურთა წეს-რწმუნებანი**.

რედ. ა. არაბული, იბეჭდება დეკანოზ მიქაელ ბოტკოველის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2008, 79 გვ.

წიგნში მიმოხილულია ხევსურთა რელიგიური წეს-ჩვეულებანი. ავტორის მიზანია,გაარკვიოს მათი წარმომავლობა ძველი აღთქმის რელიგიურ ტრადიციებზე დაკვირვებით.

**გაგოშაშვილი ნინო. წმინდა მამათა ქადაგებანი სიკვდილისა და საშინელი სამსჯავროს შესახებ**.

საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2002, 32 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ეფრემ ასურის სიტყვა „სიკვდილისა და სულის ხორცისაგან გამოსვლისათვის,“ წმინდა იოანე ოქროპირის „სოფლის წარმომავლობისათვის, სიკვდილისა და სასჯელისათვის“ და მისივე „განსჯისათვის ცოცხალთა და მკვდართა“.

**გაგოშიძე გიორგი. ხოჟორნის გუმბათიანი ეკლესია (ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან).**

რედ. ნ. ნადარაია, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი, 2003, 73 გვ.

წიგნში განხილულია შუა საუკუნეების ქართულ-სომხური ურთიერთობების საკითხი ქვემო ქართლის ერთ-ერთი ძეგლის, ხოჟორნის გუმბათიანი ეკლესიის (X ს.) მაგალითზე. ნაშრომს დართული აქვს ძეგლის ამსახველი

ილუსტრაციები.

**გაგოშიძე გიორგი, ჩიხლაძე ნინო. დირბის ღმრთისმშობლის მიძინების მონასტერი.**

რედ. დ. თუმანიშვილი, 2006, 257 გვ.

წიგნში წარმოდგენილი მონოგრაფია ეძღვნება შუა საუკუნეების ქართული კულტურის ღირსშესანიშნავ ძეგლს, დირბის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერს, რომელმაც თანამედროვეობას მაღალი საშემსრულებლო ოსტატობის მოხატულობა შემოუნახა.

**გაგოშიძე გიორგი, ჩანტლაძე ნათია. მონოფიზიტური ძეგლები საქართველოში.**

რედ.: ზ. ალექსიძე, დ. თუმანიშვილი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „არტანუჯი", თბილისი, 2009, 178 გვ.

წიგნში განხილულია ქვემო ქართლის ოთხი რაიონის (ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და მარნეულის) ტერიტორიაზე შემორჩენილი მატერიალურ-კულტურული ძეგლები, რომლებიც აქ მცხოვრებ მონოფიზიტებს ეკუთვნოდა. წიგნს თან ერთვის ამ ძეგლების ამსახველი ფოტომასალა.

**გაგოშიძე იულონ, მინდორაშვილი დავით, გაგოშიძე გიორგი. ღალია, ქართველთა მონასტერი კვიპროსზე.**

სამეცნ. რედ. დ. თუმანიშვილი,რედ. ქ. ქურდოვანიძე,მთარგმნელი ნინო გაბუნია, ინგლ. რედ. ნ. კაჭაბავა,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო,შპს „სეზანი", თბილისი, 2014, 204 გვ.

წიგნი ეძღვნება კუნძულ კვიპროსზე X საუკუნის მეორე ნახევარში დაარსებულ ღალიის ქართველთა მონასტერს. გადმოცემულია ღალიის მონასტრისა და მისი კვლევის ისტორია, განხილულია მონასტერთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალა, ხუროთმოძღვრება და კედლის მხატვრობა, იქ აღმოჩენილი წარწერები. ტექსტი თარგმნილია ინგლისურ ენაზეც. ტექსტს დართული აქვს მონასტრისა და მასში დაცული სიძველეების ამსაველი ნახაზები, ტაბულები და მდიდარი ფოტომასალა.

**გაიპარაშვილი ზურაბ. ანთიმოზ ივერიელის გერბი.**

რედ. ქ. პავლიაშვილი, „საარი", თბილისი, 2005, 56 გვ.

პუბლიკაციაში მოთხრობილია ანთიმოზ ივერიელის (XVII-XVIII სს.) მიერ შექმნილი გერბის ისტორია.

**გამახარია ჯემალ. წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი.**

რედ. ჯ. გამახარია, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, მართლმადიდებლობა – 2000, 2006, 691 გვ.

წიგნში თავმოყრილია კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას (ერისკაცობაში ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია, 1861-1927) წერილები და წარმოთქმული სიტყვები ქართულსა და რუსულ ენაზე.

**გამახარია ჯემალ. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს. – 1921 წ.).**

რედ. მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), „ლიკა“, თბილისი, 2005, 1099 გვ.

წიგნში მოთხრობილია აფხაზეთის ეპარქიის ისტორია I საუკუნიდან საქართველოს ოკუპაციამდე (1921 წ.) და განხილულია აფხაზეთსა და მის საეკლესიო ცხოვრებასთან დაკავშირებული არაერთი საკითხი.

**გაფრინდაშვილი ნოდარ. ქრისტიანული რომანის, „ვარლაამისა და იოდასაფის ცხოვრების,“ ბერძნულ-ქართულ-არაბული ვერსიების ურთიერთმიმართების საკითხები.**

რედ. რ. მიმინოშვილი, თბილისი, 1990, 218 გვ.

ნაშრომში განხილულია ბერძნული „ვარლაამისა და იოდასაფის ცხოვრების“ წარმომავლობის საკითხი.

**გაფრინდაშვილი ქეთევან. ქართული სულიერების სათავეებთან (მეუდაბნოეობა და სამონასტრო აღმშენებლობა IX-XI საუკუნეების აგიოგრაფიულ „ცხოვრებებში“).**

რედ. რ. სირაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005, 302 გვ.

ნაშრომში აღწერილია საქართველოში თუ საზღვარგარეთ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობა IX-XI საუკუნეებში და გადმოცემულია ბერ-მონაზვნობის ინსტიტუტის ჩამოყალიბების ისტორია საქართველოში.

**გაჩეჩილაძე ია. ქართულ ხელნაწერთა ამაგდარნი (მწიგნობარ-კალიგრაფი**

**ალექსი-მესხიშვილები).**

რედ. მ. ქავთარია, ნაშრომი შესრულდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, „ნეკერი“, 2011, 235 გვ.

მწიგნობარ-კალიგრაფი ალექსი-მესხიშვილები სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ XVII საუკუნის ბოლოდან და ჩვენი ქვეყნის კულტურულ სარბიელზე თითქმის ორი საუკუნის მანძილზე მრავალმხრივსა და საინტერესო მოღვაწეობას ეწეოდნენ, როგორც კალიგრაფები, ხელნაწერთა მომხატავნი, მთარგმნელები, ხელნაწერთა გამმართავნი, პოეტები და მდიდარი და საინტერესო წიგნსაცავის მფლობელები. ნაშრომში განხილულია მესხიშვილთა კალიგრაფიული სკოლის საქმიანობა.

**გახსოლიანი ნანა. დიდი კაპადოკია ძვ. წ. აღ-ით I ათასწლეულის პირველ ნახევარში.**

რედ. ნ. სამხარაძე, ისტორიის ინსტიტუტი, 2008, 149 გვ.

ნაშრომი გვიანხეთური ხანის აღმოსავლეთ მცირე აზიის დღემდე ნაკლებად შესწავლილ სამეფო-სამთავროთა ისტორიას ეხება. კვლევა გეოგრაფიულ, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, რელიგიის ისტორიის პირველწყაროთა ანალიზს ეფუძნება.

**გეწაძე თეიმურაზ. ანჩისხატი (ტაო-კლარჯეთიდან გაბრწყინებული საქართველო).**

რედ. დეკანოზი ზაქარია (ძინძიბაძე), იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2008, 304 გვ.

პუბლიკაციაში მოთხრობილია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისა და მის სახელზე აგებული ტაძრების ისტორია.

წიგნის მოკლე ვერსია დაიბეჭდა 2002 წელს.

**გიორგაძე მ. იყალთოს მონასტერი.**

რედ.: ე. ტრიპოლსკი, ს. სნაპირი, ქ. ტოროტაძე, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1985, 30 გვ.

ბროშურაში გადმოცემულია იყალთოს მონასტრის მოკლე ისტორია. ტექსტს დართული აქვს ფოტომასალა.

**გიუნაშვილი ელგუჯა. ბიბლიის მეგზური.**

რედ. მ. სონღულაშვილი, თბილისი, 1995, 197 გვ.

წიგნში ვეცნობით ისტორიულ მონაცემებს ბიბლიის წიგნთა თარგმანების შესახებ.

**გლუხოვი ი. ა. მართლმადიდებლური კატეხიზმო.**

მასალა მოამზადეს ნანი დარასელიამ, მარინა ჭანტურიამ, თამარ შერვაშიძემ, ოლეგ გრიგორიევმა, იბეჭდება მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის, კირილეს ლოცვა-კურთხევით, სანკტ-პეტერბურგი, 2010, 571 გვ.

ნაშრომი მოიცავს მართლმადიდებლური ქრისტიანული მოძღვრების სასწავლო კურსს, რომელიც წაკითხული იყო მოსკოვის სასულიერო სემინარიაში ი. ა. გლუხოვის მიერ.

**გობრონ (მიხაილ) საბინინი. საქართველოს სამოთხე.**

დაიბეჭდა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოს თადეოზის (იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „დიადემა", 2010, 600 გვ.

წიგნი არის 128 წლის წინანდელი (1882) გამოცემის განმეორება: „სრული აღწერაჲ ღუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა." ტექსტს დართული აქვს მცირე განმარტებითი ლექსიკონი.

**გოდერძიშვილი გოდერძი. გზა ხსნისა.**

რედ. ლ. ხუბაშვილი, იბეჭდება საქართველოს წმ. მამა დავით გარეჯელის საზოგადოებისა და საქართველოს ქრისტიანთა კავშირის შეკვეთით, „გულანი", 1994, 30 გვ.

ბროშურაში განხილულია რწმენის პრბლემასთან დაკავშირებული საკითხები.

**გოილაძე ვახტანგ. ფირან გუშნასპის მარტვილობის ცნობათა მნიშვნელობა V-VI საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. მაცნე № 2, ცალკე ამონაბეჭდი).**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, თბილისი, 1988, 14 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს „მარტვილობის" ფილოლოგიურ-ისტორიული ხასიათის კვლევას.

**გოილაძე ვახტანგ. ქართული ეკლესიის სათავეებთან.**

რედ. ი. ზაალიშვილი, „საქართველო“, თბილისი, 1991, 205 გვ.

ნაშრომი ეძღვნება ქართლში, ეგრისსა და სომხეთში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და ავტოკეფალიის მოპოვების საკითხს. მასში გაზიარებული და გამყარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრება პონტო-კაბადოკიის ძველი მოსახლეობის ქართული წარმომავლობის შესახებ. განხილულია პონტო-კაბადოკიის კულტურული ცენტრებიდან გამოსულ მოღვაწეთა როლი ქართლისა და ეგრისის სახელმწიფოთა სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბებაში. ნაჩვენებია, ერთი მხრივ, როგორ შემოდიოდა ბიზანტიური იდეოლოგია ამიერკავკასიის ქვეყნებში (ქართლი, ეგრისი, სომხეთი), ძირითადად, სირია-პალესტინის კულტურული ცენტრებიდან და, მეორე მხრივ, რა წვლილი შეიტანეს ბიზანტიის სულიერ ცხოვრებაში ქართლ-ეგრისიდან გამოსულმა მოღვაწეებმა.

**გოილაძე ვახტანგ. გზა ხსნისა, ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია.**

რედ. შ. ბადრიძე, თბილისი, 1995, 16 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ნაშრომის „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ განხილვა.

**გოლოვინი სერგეი, მსოფლიო წარღვნა – მითი, ლეგენდა თუ რეალობა?**

რედ. მღვდელი შიო მენაბდე, 2005, 119 გვ.

წიგნში წარმოდგენილია მეცნიერული თეორიები სამყაროს წარმოშობისა და მსოფლიო წარღვნის შესახებ.

**გონჯილაშვილი ნანა. კვართის მიმრქმელი ქალწული და მისი სახელი.**

რედ.: ლ. გრიგოლაშვილი, ნ. სულავა, თბილისი, 2011, 144 გვ.

ნაშრომში განხილულია საკითხი უფლის კვართის მიმრქმელი ქალწულის, ელიოზ მცხეთელის დის, სიდონიას წარმოშობის შესახებ. ამ მიზნით შესწავლილია „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციები, ქართული და უცხოური წყაროები, ისტორიული თხზულებები, კედლის მხატვრობა, ხატწერისა და ჭედურობის ნიმუშები, უფლის კვართის ისტორია.

**გოგუაძე ენვერ. გურია-ჯუმათის მთავარანგელოზის მონასტერი.**

დაიბეჭდა შემოქმედელ ეპისკოპოს იოსების (კიკვაძე) ლოცვა-კურთხევით,

2000, 147 გვ.

წიგნში გადმოცემულია ჯუმათის მთავარანგელოზის მონასტრის ისტორია.

**გრანელი ტერენტი. სულის ბორკილები.**

რედ. დეკანოზი პეტრე კვარაცხელია, „კოლორი“, 2013, 180 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს ტერენტი გრანელის ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულებას. ტექსტს უძღვის რედაქტორის წინასიტყვაობა.

**გრიგალაშვილი ია. სტეფანე მტბევარის „წმინდა გობრონის წამება“.**

რედ. ა. ჯიქია,საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, „უნივერსალი“, თბილისი, 2005, 128 გვ.

ნაშრომში მონოგრაფიულადაა შესწავლილი წმინდა სტეფანე მტბევარის (ტბეთის პირველი ეპისკოპოსი, X ს.) ჰაგიოგრაფიული თხზულება „წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი“, შექმნილი 914-918 წლებში.

**გრიგოლავა რევაზ. მოწამე მთავარხუცესი, დეკანოზი მამა არისტარქო (კალანდარიშვილი).**

რედ. დეკანოზი გ. გუგუშვილი, იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2012, 291 გვ.

ნაშრომში საარქივო მასალაზე დაყრდნობით აღწერილია სენაკში მცხოვრებ კალანდარიშვილთა სამღვდელო ოჯახის თავგადასავალი და ამ გვარის თვალსაჩინო წარმომადგენლების, მღვდელ ნიკოლოზისა და მისი ვაჟის, არისტარქოს (XX ს.) ცხოვრება. ტექსტს დართული აქვს ფოტომასალა. წიგნი სასაჩუქრე გამოცემაა.

**გუგუშვილი ნანა. ქრისტეს მიმდევარი ქალები სახარების მიხედვით.**

რედ. ნ. ვაჩნაძე, „არტანუჯი“, თბილისი, 2005, 47 გვ.

ნაშრომში განხილულია სახარებისეული ცნობები ქრისტეს მიმდევარი ქალების შესახებ.

**გულენიძე მურმან. ტაო-კლარჯეთი, კაპადოკია (დეკანოზ ელიზბარის ხელმძღვანელობით მომლოცველთა ჯგუფის მოგზაურობა ტაო-კლარჯეთ-**

**ში, ანკარაში, კაპადოკიასა და ტრაპიზონში).**

2002, 25 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ალბომს, რომელშიც შესულია მოკლე ცნობები ამ ისტორიული ტერიტორიების შესახებ და ასახულია მოგზაურობის შთაბეჭდილებები.

**გულბენჯიანი რობერტო. ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის, ქეთევანის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ.**

ფრანგულიდან თარგმნეს ი. ტაბაღუამ და ც. ბიბილეიშვილმა, რედ. ე. მეტრეველი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1987, 82 გვ.

წიგნში თავმოყრილია ცნობები კახეთის წმინდა დედოფალ ქეთევანის (XVI-XVII სს.) ცხოვრებისა და მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ.

**გუნია ბიძინა. ლიტურგიკული კრებული № 1 (ტიბიკონი).**

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, თბილისი, 1995.

ნაშრომში წარმოდგენილია საპასექო წლის II პერიოდის ძირითად მსახურებათა ტიბიკონები: კვირის ღამისთევის მსახურება, სადაგი დღის მწუხრი და ცისკარი, მიცვალებულთა მსახურება, „ღმერთი უფალისა“ და „ალილუიას“ მსახურების ჟამნები და სხვ. წიგნი დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის უშუალო ლოცვა-კურთხევით.

**გუნია ბიძინა. ლიტურგიკული კრებული № 2 (მარხვის ტიბიკონი).**

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, თბილისი, 1996.

ნაშრომში წარმოდგენილია საპასექო წლის III პერიოდის – დიდი მარხვის ამსახველ მსახურებათა ტიბიკონები. წიგნი დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის უშუალო ლოცვა-კურთხევით.

**გუნია ბიძინა. იულიუსის კალენდრის არსი და მნიშვნელობა.**

დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ნებადართულია დასაბეჭდად საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილებასთან არსებული სარეცენზიო საბჭოს მიერ, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1999, 219 გვ.

წიგნში იულიუსის კალენდრის საკითხი განხილულია ლიტურგიკული კუთხით. წარმოდგენილია იულიუსის კალენდართან დაკავშირებული არა ერთი მათემატიკური, ასტრონომიული, თეოლოგიური (სააპასექო და პასქალიონთან დაკავშირებული) საკითხი. ავტორის მიზანია, გაარკვიოს საეკლესიო და საერო სტილის დაცვის პრობლემა.

**გუნია ბიძინა. სვეტიცხოვლის ფრესკის ფრაგმენტი „ზოდიაქოს რკალი“.**

რედ. გ. რუხაძე, ნებადართულია დასაბეჭდად საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილებასთან არსებული სარეცენზიო საბჭოს მიერ, 1999, 35 გვ.

წიგნში სვეტიცხოვლის ტაძრის ერთ-ერთი ცნობილი ფესკა „ზოდიაქოს რკალი“ განხილულია ასტროლოგიურ ცრუ სწავლებათა მხილების ჭრილში და განმარტებულია მისი მნიშვნელობა. ნაშრომს დართული აქვს ილუსტრაციები და გამოყენებული ლიტერატურის სია.

**გუნია ირაკლი. საქართველოს მონასტრები (ენციკლოპედიური ცნობარი).**

რედ. რ. მეტრეველი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „არტანუჯი“, 2005, 199 გვ.

წიგნი საქართველოს მოქმედი მონასტრების ენციკლოპედიური ცნობარია. მონასტრები ეპარქიების მიხედვით ანბანური თანმიმდევრობითაა დალაგებული. თითოეული სტატიის ბოლოს მითითებულია მონასტრის მისამართი, ტელეფონი, აქ მოღვაწე ბერმონაზონთა რიცხვი, წინამძღვრის ვინაობა. წიგნს დართული აქვს ისტორიულად საქართველოში არსებული მონასტრების ცხრილი, საზღვარგარეთ მდებარე ქართული სამონასტრო ცენტრების ჩამონათვალი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიათა რუკა.

**გუნთაიშვილი ლალი, გაცოცხლებული სახარება.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2000, 31 გვ.

ბროშურაში მოთხრობილია იერუსალიმის წმინდა ადგილების შესახებ.

**დანელია კორნელი. ქართული სამწერლობო ისტორიის საკითხები.**

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983.

ნაშრომში ტექსტოლოგიური და ლინგვისტურ-ფილოლოგიური თვალსაზრისით კომპლექსურად არის შესწავლილი ქართული სალიტერატურო ენის პირველხარისხოვანი ძეგლის, პავლეს ეპისტოლეებისა და მის სტიქომეტრიულ დანართთა ქართული რედაქციები; გარკვეულია მათი სტრუქტურის, რაობის, ქრონოლოგიის და გენეზისის საკითხები.

**დანელია კორნელი. ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, 1.**

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.

ნარკვევების ამ ტომში უცვლელად შევიდა სამეცნიერო ორგანოებში ავტორის მიერ ადრე გამოქვეყნებული ნაშრომები, რომლებიც ეხება ქართული სამწერლობო ენის აქტუალურ პრობლემებს. წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისა და ქართული ფილოლოგიის საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის.

**დევდარიანი როზა. წმ. ნინოს ცხოვრება.**

რედ. რ. სირაძე, დაიბეჭდა მათხოჯის წმ. ნინოს მონასტრის წინამძღვრის, დეკანოზ ნიკოლოზის (პიტნავა) ლოცვა-კურთხევით, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2002, 120 გვ.

წიგნში წარმოდგენილია ჰაგიოგრაფიული მწერლობის ზოგადი მიმოხილვა, „წმინდა ნინოს ცხოვრების" ტექსტი და მისი ანალიზი. ნაშრომი განკუთვნილია მეცხრეკლასელთათვის, იგი გამოადგება, აგრეთვე, აბიტურიენტებს, სტუდენტებს, სიტყვიერების მასწავლებლებს და ქრისტიანული მწერლობის საკითხებით დაინტერესებულ ფართო მკითხველს.

**დობორჯგინიძე ნინო. ენა, იდენტობა და საისტორიო კონცეპტები (რელიგიური ისტორიოგრაფიის წყაროთა ინტერპრეტაციის ცდა).**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია „ორიონი", „ნეკერი", 2010, 145 გვ.

ნაშრომში გაანალიზებულია ქართული ენის სოციალური ისტორიის საკითხები. კერძოდ, საუბარია ქართული ენის ისტორიული განვითარების შესახებ შუა საუკუნეებში, რაც მის ორმაგ ლეგიტიმაციაში გამოვლინდა: პოლიტიკური ლეგიტიმაცია ნაციონალური ისტორიის რეკონსტრუქციით (ლეონტი მროველი) და რელიგიური ლეგიტიმაცია ქართულისთვის განსაკუთრებული მისიის დაკისრებით (იოანე ზოსიმე).

**დობორჯგინიძე ნინო. ლინგვისტურ-ჰერმენევტიკული მეტატექსტები. პრაქტიკული გრამატიკა და ჰერმენევტიკა X-XIII საუკუნეების ქართულ წყაროებში.**

რედ.: თ. სუხიშვილი, მ. ლეკიაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012, 251 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ნაშრომს, რომლის მიზანია X-XIII საუკუნის ქართველ მთარგმნელ-რედაქტორთა მეტატექსტების, ანუ ძირითად ტექსტზე დართული კომენტარების, განმარტებებისა და სქოლიოების შესწავლა-ანალიზი.

**დოჩანაშვილი ელენე. მცხეთური ბიბლიის „გამოსვლათას" წიგნის ტექსტისმიერი და რედაქციული დახასიათებისათვის.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრა, 1980, 22 გვ.

ნაშრომის შესწავლის საგანია „მცხეთური ბიბლიის" მოსეს ხუთწიგნეულის მეორე წიგნი „გამოსვლათა" – მისი თარგმანის წყარო და ხელნაწერთა რედაქციული სირთულე.

**დურნოვო ნ. ნ. ბედი ქართული ეკლესიისა.**

რუსულიდან თარგმნა გოდერძი ტოტოჩავამ, წიგნი იბეჭდება შემოქმედის წმ. ნიკოლოზის სახელობის დედათა მონასტრის მოძღვრის, არქიმანდრიტ ნიკოლოზის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 1997, 108 გვ.

წიგნში ასახულია რუსეთის ეკლესიის დამოკიდებულება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესიისადმი.

**Eკალაძე ზურაბ. აპოლოგეტური წერილები, სხვადასხვა რელიგიებისა და მიმდინარეობების განხილვა.**

რედ. მღვდელი გიორგი სამსონიძე, თბილისი, 2001, 160 გვ.

წიგნში მართლმადიდებლობასთან მიმართებით განხილულია სხვადასხვა რელიგიისა და სექტანტური მიმდინარეობის თავისებურებები.

**ეკერი იაკობ. ბიბლიური ისტორია (ყრმათათვის).**

თარგმნეს ნარგიზა აბაშიძემ და თინა შიოშვილმა, რედ. დეკანოზი დავით შიოლაშვილი, „აჭარა", 1992, 64 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ყრმათათვის საკითხავ მოკლედ გადმოცემულ

საღვთო ისტორიას. თხრობა იწყება სამყაროს შექმნიდან და სრულდება მოციქულებზე სულიწმინდის გარდამოსვლით, მოციქულთა ქადაგებით და და ქრისტიანობის გავრცელების ისტორიით. ნაშრომი თარგმნილია 1990 წელს მოსკოვში გამოცემული წიგნიდან: Библия для детей.

**ელიაშვილი ჯანგირ (ყარამან). მიუწვდომლობა უზენაესი არსისა (რელიგია და მეცნიერება).**

2009, 83 გვ.

წიგნი მიმოიხილავს მეცნიერებისა და რელიგიის როლს სამყაროს მოწყობის ჭეშმარიტი მოდელის ძიების საქმეში.

**ერქომაიშვილი არტემ, პატარავა დიმიტრი, სიმონიშვილი ვარლამ. თერთმეტი მარგალიტი.**

რედ. დ. შუღლიაშვილი, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2004, 44 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს თერთმეტი ქართული საგალობლის სანოტო ჩანაწერს. გამოცემას თან ახლავს შესაბამისი აუდიო ჩანაწერები.

**ერქვანიძე მალხაზ. ქართული გალობა (I ტომი).**

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ქართული საეკლესიო გალობის ცენტრი, თბილისი, 2001, 295 გვ.

გამოცემა წარმოადგენს ძველი ქართული საგალობლების კრებულს. მასში შესულია გელათისა და მარტვილის საგალობო კილოს 255 საგალობელი. ეს არის საუკუნეთა მანძილზე ნევმირებული, უმეტესად კი, ზეპირი ტრადიციით გადმოცემული და XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ნოტებზე გადაღებული უძველესი საგალობლების მუსიკალური რედაქტირების პირველი ცდა, რომელიც განხორციელებულია ანჩისხატის ტაძრის გუნდის სამგალობლო პრაქტიკის გათვალისწინებით. გამოცემა ეძღვნება მგალობელ წინაპართა ნათელ ხსოვნას.

**ერქვანიძე მალხაზ. ქართული საეკლესიო გალობა.**

რედ. ნ. მამისაშვილი, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2002, 226 გვ.

გამოცემა არის „ქართული გალობის“ (თბ., 2001) II ტომი. იგი წარმოად-

გენს საეკლესიო საგალობლების კრებულს. მასში შესულია გელათის საგალობო კილოს სადღესასწაულო საგალობლები. ეს არის საუკუნეთა მანძილზე ნევმირებული, უმეტესად, ზეპირი ტრადიციით გადმოცემული და XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ნოტებზე გადაღებული უძველესი საგალობლების მუსიკალური რედაქტირების პირველი ცდა, რომელიც განხორციელებულია ანჩისხატის ტაძრის გუნდის სამგალობლო პრაქტიკის გათვალისწინებით. წიგნს თან ახლავს საგალობელთა აუდიო ჩანაწერი. საგალობლები, ძირითადად, ამოკრებილია იღუმენ ექვთიმე კერესელიძის (ერისკაცობაში ესტატე კერესელიძე, 1865-1944) ხელნაწერებიდან.

**ერქვანიძე მალხაზ. ქართული გალობა.**

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული საეკლესიო გალობის ცენტრი, 2003, 336 გვ.

წიგნი წარმოადგენს ძველი ქართული პროფესიული მუსიკის ნიმუშების – საეკლესიო საგალობლების კრებულს. მასში თავმოყრილია გელათის მონასტრის საგალობო კილოს დღევანდელი საღვთისმსახურო პრაქტიკისათვის აუცილებელი საგალობლები. წიგნში შესულია მწუხრის, ცისკრის, ჟამისწირვის, თორმეტ საუფლო და უძრავ დღესასწაულთა, პასექის (აღდგომის), პანაშვიდისა და ქორწინების საგალობლები.

გამოცემა ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 25 წლისთავს.

**ერქვანიძე მალხაზ. ქართული გალობა.**

იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2005, 340 გვ.

კრებულში შესულია „კარბელაანთ კილოს“ 239 საგალობელი, რომლებიც, საღვთისმსახურო წიგნების მიხედვით, ტიპიკონის შესაბამისად არის გამართული. ეს არის საუკუნეთა მანძილზე ნევმირებული, უმეტესად კი, ზეპირი ტრადიციით გადმოცემული და XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ნოტებზე გადაღებული საგალობლები. გამოცემას თან ახლავს ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდის შესრულების ფონოჩანაწერი.

**ერქვანიძე მალხაზ. ქართული საეკლესიო გალობა.**

რედ. ქ. მათიაშვილი, საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი, თბილისი, 2008, 179 გვ.

წიგნში შეტანილია ორი ქართული სამგალობლო სკოლის – გელათისა და შემოქმედის – წმ. იოანე ოქროპირის ლიტურგიის გამშვენებული საგა-

ლობლები. მუსიკალური რედაქტორის მიერ წარმოდგენილია შემოქმედის სკოლის ის ნიმუშები, რომელთაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს სანოტო თუ აუდიო ჩანაწერების სახით. ასევე, გამოცემას ახლავს სანოტო დანართი და აუდიო დისკი, სადაც ქართულ ბგერათწყობაში საგალობლების კომპიუტერული და აუდიო ვერსიებია წარმოდგენილი (არტემ ერქომაიშვილისა და შემდგენელი რედაქტორის ხმები). ეს არის გამოცემის სიახლე, რაც მნიშვნელოვანია საგალობლების პრაქტიკული და მეცნიერული შესწავლისათვის.

**ერქვანიძე მალხაზ. ქართული საეკლესიო გალობა.**

რედ. ქ. მათიაშვილი, საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი, თბილისი, 2011, 217 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს მალხაზ ერქვანიძის მიერ გამოცემულ საგალობლების VI წიგნს. მასში შესულია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და იესო ტკბილის პარაკლისები, საზოგადო პარაკლისები, მღვდლად კურთხევისა და ქორწინების, პანაშვიდისა და წესის აგების საგალობლები – უმთავრესად გელათის სკოლის სადა და ნამდვილი კილოს ნიმუშები. გამოცემას ერთვის წიგნში შესული ოცდაორი საგალობლის აუდიო ჩანაწერი თბილისის მამა დავითის ტაძრის მგალობელთა გუნდის შესრულებით.

**ვარაზაშვილი აკაკი. საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და ავტოკეფალიის ზოგიერთი საკითხი.**

რედ. ო. ჯანელიძე, „ინტელექტი", თბილისი, 1999, 44 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია საქართველოს ეკლესიის ისტორიის ერთი მონაკვეთი, რომელიც ასახავს ავტოკეფალიისა და ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის საკითხებს.

**ვარაზაშვილი აკაკი. ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში (XX ს. დასაწყისში, 1917 წლამდე).**

რედ. ო. ჯანელიძე, „ინტელექტი", თბილისი, 2000, 143 გვ.

ნაშრომის მიზანია, ასახოს გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების გამორჩეული ღვაწლი და დამსახურება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში, რამაც განსაკუთრებით აქტიური სახე მიიღო XX საუკუნის დასაწყისში, არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე.

**ვარდოსანიძე სერგო. კირიონ მეორე – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.**

რედ. ლიხაურისა და აჭის ეკლესიების წინამძღვარი, დეკანოზი გურამ ლიხაური, ოზურგეთი, 1994,31 გვ.

ბროშურაში, დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, ასახულია კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორის (ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი,1855-1918) მოკლე ბიოგრაფია და მოღვაწეობა.

**ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (1918-1921 წწ.).**

რედ. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, თბილისი, 2000,46 გვ.

ბროშურა ასახავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი ლეონიდეს (ერისკაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე, 1861-1921) ცხოვრებას და ეპიზოდებს მისი უაღრესად რთულ პერიოდში მოღვაწეობის ხანიდან.

**ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II (1960-1972 წწ.).**

რედ. მანგლელი მთავარეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე), „ქრონოგრაფია“, თბილისი, 2000,28 გვ.

ბროშურაში მოკლედაა აღწერილი უწმინდესი ეფრემ II-ის (ერისკაცობაში გრიგოლ შიოს ძე სიდამონიძე, 1896-1972) ცხოვრება. ავტორი ეყრდნობა საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცულ მასალას.

**ვარდოსანიძე სერგო. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია 1917-1952 წლებში.**

რედ. მანგლელი მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, „ქრონოგრაფი“, თბილისი, 2001,212 გვ.

წიგნში აღწერილია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობა 1917-1952 წლებში.

**ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II (1960-1972 წწ.).**

რედ. არქიდიაკონი დემეტრე (დავითაშვილი), თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2007, 143 გვ.

წიგნში აღწერილია უწმინდესი ეფრემის (ერისკაცობაში გრიგოლ შიოს ძე სიდამონიძე, 1896-1972) ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ეპიზოდები,XX საუკუნის 60-70-იანი წლების საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორია, იმ დროს მოქმედი ეპარქიები. გადმოცემულია მღვდელმთავრებისა და სხვა სასულიერო პირთა მოკლე ბიოგრაფიები.

წიგნი ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ბერად აღკვეცის 50-ე, მღვდელთმთავრობის 44-ე, კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრების 30-ე წლისთავს.

**ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.**

რედ. დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2008, 488 გვ.

წიგნში ასახულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა მღვდელმთავრობისა და პატრიარქობის პერიოდში.

**ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927 წწ.).**

რედ. იღუმენი ამბროსი (მაღლაკელიძე), „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2009, 226 გვ.

წიგნში გადმოცემულია წმინდა პატრიარქ ამბროსი ხელაიას (ერისკაცობაში ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია, 1861-1927) ცხოვრება და საქართველოს ეკლესიის ისტორია მისი მოღვაწეობის პერიოდში. ავტორი ეყრდნობა საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცულ მასალას.

წიგნის პირველი გამოცემა დაიბეჭდა 2005 წელს.

**ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (1927-1932 წწ.).**

რედ. ე. ბუბულაშვილი, „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2009, 180 გვ.

წიგნში გადმოცემულია უწმინდესი ქრისტეფორეს (ერისკაცობაში ქრისტეფორე მურმანის ძე ციცქიშვილი, 1873-1932) ცხოვრება და საქართველოს ეკლესიის ისტორია მისი მოღვაწეობის პერიოდში. გამოყენებულია საქართ-

ველის საპატრიარქოში დაცული დოკუმენტური მასალა.

**ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე (1932-1952).**

რედ. მ. ქავთარია, „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2009,208 გვ.

წიგნში განხილულია უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატეს (ერისკაცობაში კალისტრატე (ბიჭიკო) მიხეილის ძე ცინცაძე,1866-1952) ცხოვრება და მოღვაწეობა. პუბლიკაციაში ასახულია ამ პერიოდის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაც.

**ვარდოსანიძე სერგო. თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.**

რედ. დეკანოზი მიქაელ გალდავა, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და მატერიალური შემწეობით, „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2010, 200 გვ.

წიგნში მოთხრობილია თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დაარსების ისტორია. შეტანილია აქ მოღვაწე რექტორებისა და პროფესორ-მასწავლებლების მოკლე ბიოგრაფიები.

წიგნი ეძღვნება სემინარიის დაარსების 47-ე და აკადემიის დაარსების 22-ე წლისთავს.

**ვარდოსანიძე სერგო. ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში).**

რედ. არქიმანდრიტი ისააკი (დადუა), „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2010, 513 გვ.

წიგნში წარმოდგენილია ისტორიული მნიშვნელობის მქონე ეპიზოდები XX და XXI საუკუნეების ქართველი მღვდელმთავრების ცხოვრებიდან.

**ვარდოსანიძე სერგო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861-1921 წწ.).**

რედ. არქიმანდრიტი ამბროსი (მაღლაკელიძე), „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2014, 174 გვ.

წიგნში, დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, გადმოცემულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი ლეონიდეს (ერისკაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე) ცხოვრება და ღვაწლი დაბადებიდან პატრიარქობის პერიოდის (1918-1921 წწ.) ჩათვლით. ნაშრომში ფართოდაა

ასახული საქართველოს ეკლესიის ისტორიაც ამავე პერიოდში.

**ვასაძე ლევან. დღიური ათონის მოლოცვისა.**

რედ. ა. ჭაბაშვილი, „სიესტა“, თბილისი, 2006,88 გვ.

წიგნში თავმოყრილია ჩანაწერები,რომლებიც ეხება ათონის მთაზე ავტორის მოგზაურობის პერიოდს.

**ვასილიადისი ნ. სიკვდილის საიდუმლოება.**

წიგნის თარგმანი ახალი ბერძნულიდან შესრულებულია ფერისცვალების დედათა მონასტერში, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2003, 472 გვ.

წიგნში განხილულია ანტიკური და საერო ფილოსოფიის შეხედულება და აღმოსავლეთის ეკლესიის სწავლება სიკვდილის საიდუმლოებისა და მომავალი,მარადიული სიცოცხლის შესახებ.

**ვაშაყმაძე ზაზა. ეკლესიისა და საქართველოს ურთიერთობა საქართველოში, 1990-2010.**

„ნეკერი“, თბილისი, 2011, 40 გვ.

ნაშრომში განხილულია ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის თანამედროვე მდგომარეობა.

**ვაშაყმაძე ზაზა. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა.**

რედ. გ. რუხაძე, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2011, 32 გვ.

ბროშურაში განხილულია საქართველოს ეკლესიის ის პერიოდი,როდესაც ქვეყანამ აღიდგინა დამოუკიდებლობა და თავისუფლების პირველი ნაბიჯები გადადგა. ასევე, წარმოდგენილია რუსეთის დროებითი ხელისუფლების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებიც, რომლებიც საქართველოს ეკლესიასა და მის სტატუსს ეხება.

**ვაშაყმაძე ზაზა. თანამედროვე ქართული საეკლესიო სამართალი.**

რედ. გ. კოპლატაძე, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2011, 223 გვ.

წიგნში შეტანილია უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მოღვაწეობის პერიოდში საქართველოს ეკლესიის მიერ მიღებული კანონ-განჩინებები, ასევე, საქართველოს ეკლესიის დღეს მოქმედი მართვა-გამგეობის დებულება – ეკლესიის ძირითადი კანონი – „კონსტიტუცია“, აგრეთვე კონსტიტუციური შეთანხმება, რომელიც არის საქართველოს საეკლესიო სამართლის შემადგენელი ნაწილი.

**ვაჩნაძე მერაბ, გურული ვახტანგ. რუსეთის ეკლესიის ისტორია.**

რედ. გ. პაპუაშვილი, „არტანუჯი“, თბილისი, 2007, 101 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს სალექციო კურსს. მასში განხილულია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები X საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით.

**ვაჩნაძე მერაბ, გურული ვახტანგ. რუსეთის ეკლესიის ისტორია,**

რედ. გ. პაპუაშვილი, „არტანუჯი“, თბილისი, 2008, 85 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს სალექციო კურსს. მასში განხილულია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები XX საუკუნის დამდეგიდან 1945 წლამდე.

**ვაჩნაძე ნათელა. სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი (V-X სს.).**

რედ. მ. ლორთქიფანიძე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998, 364 გვ.

ნაშრომი ეძღვნება ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალის – წმინდანის ხატის („სახჱ“) პრობლემას. განსაზღვრულია მისი მნიშვნელობა, მახასიათებლები და ადგილი შუა საუკუნეების საქართველოში. გამოკვეთილი და გაანალიზებულია წმინდანთა სახეები, მათი ატრიბუცია, სასწაულები და სხვ. ამის საფუძველზე გამოვლენილია ქართველი ადამიანს მსოფლმხედველობა და აზროვნების თავისებურება, რაც ქართული საზოგადოების იდეალისთვისაა დამახასიათებელი.

**ვახანია ვლადიმერ. ღვთისმშობელი დაიფარავს საქართველოს.**

2007, 100 გვ.

პუბლიკაციაში მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ამქვეყნიური ცხოვრება და

მათი მოღვაწეობის შედეგები განხილულია ისტორიულ ჭრილში.

**ვახტანგაძე ზურაბ, ტყეშელაშვილი ოთარ. დედაციხე – ნარიყალა, წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარი.**

რედ. ბ. არაბული, წიგნი გამოდის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ გიორგის (თევდორაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2006, 16 გვ.

ბროშურაში მოკლედაა გადმოცემული თბილისის დედაციხისა და წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის ისტორია. საუბარია ნარიყალაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისა და ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოების შესახებ. ტექსტს დართული აქვს ფოტოსურათები და ხატები.

**ვახტანგაძე ლადო. ჯვარისა.**

რედ. გ. გუგუშვილი, 36 გვ.

ბროშურაში მოთხრობილია საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი მხარის, რაჭის ისტორიის ერთი ეპიზოდი, წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ფაქტები ამბროლაურის რაიონის სოფ. ჯვარისაში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრებიდან.

**ვინგოპულო მირსინი. მექალაქიდან შენქალაქისკენ.**

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე, ჩაკიდული თხემები, შპს „სეზანი“, თბილისი, 2006, 104 გვ.

წიგნი წარმოადგენს ზღაპარს, რომელშიც მოთხრობილია „მექალაქიდან“ „შენქალაქისაკენ“, ანუ ეგოიზმიდან სიყვარულის, სიხარულის, თავისუფლებისაკენ მოგზაურობის ამბავი. ამ ფათერაკებით აღსავსე გზას მკითხველი ზღაპრის მთავარ გმირთან, პატარა ჯიუტასთან ერთად გაივლის. წიგნის მიზანია შეგვახსენოს, რომ ერთი ადამიანის, „მეს“ ცხოვრება უინტერესო და უაზროც კი ხდება, თუ არ გვახსოვს მეორე, „შენ“.

**ზანგურაშვილი ვლადიმერ (ლერი). მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი (ფიცხელაური).**

2006, 30 გვ.

ნაშრომში, აღწერილია მთავარეპისკოპოს დოსითეოს ფიცხელაურის (ერისკაცობაში დიმიტრი ფიცხელაური, გარდაიცვალა 1830 წელს) ცხოვრება და ღვაწლი.

**ზანგურაშვილი ვლადიმერ (ლერი). ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის ეკლესია-მონასტრები.**

რედ. ჯ. ბაშარელი, თბილისი, 2007, 103 გვ.

პუბლიკაციაში, სამეცნიერო მასალებისა და საღვთისმეტყველო ლიტერატურის გამოყენებით, გადმოცემულია საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი ეპარქიის, ნიქოზის მოკლე ისტორია.

**ზანგურაშვილი ვლადიმერ (ლერი), ლარგვისის მონასტერი.**

2008, 39 გვ.

ბროშურაში ასახულია შიდა ქართლის მთიანეთის ერთ-ერთი უძველესი სამონასტრო კომპლექსის, ლარგვისის ისტორია.

**ზარიძე ვლადიმერ. არჩილის სამონასტრო კომპლექსის ისტორიული მნიშვნელობის საკითხისათვის.**

რედ. ხ. ზარიძე, საქართველოს ეროვნული აკადემია, თბილისი, 2006, 63 გვ.

პუბლიკაცია შეეხება VIII საუკუნის თვალსაჩინო ქართველი სახელმწიფო მოღვაწის, ერისმთავარ არჩილ სტეფანოზის ძის (719-745) ცხოვრებასა და მისი სახელობის სამონასტრო კომპლექსის (თიანეთის რ-ნის სოფ. ნადოკრასთან) როლის შეფასებას საქართველოს ისტორიაში.

**ზაცეპა ა. წერილი ღმერთს.**

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე, ჩაკიდული თხემები, თბილისი, 2006, 4 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომის დროს, 1944 წელს, ერთ-ერთ შეტაკებაში დაღუპული ჯარისკაცის, ალექსანდრე ზაცეპას წერილს, რომელიც მან სიცოცხლის ბოლოს თავის გულში აღმოჩენილ ღმერთს მიუძღვნა.

**Თავბერიძე ილია. XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეები და საეკლესიო გალობა.**

რედ. გ. კოპლატაძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2005, 215 გვ.

წიგნში მოთხრობილია ქართული გალობის შენარჩუნებისა და შესწავლისათვის დამაშვრალი მამულიშვილების ღვაწლის შესახებ.

**თავბერიძე ილია. ჯუმათის მონასტრის სიძველეები.**

რედ. გ. კოპლატაძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2005, 115 გვ.

წიგნის მიზანია, გააცნოს მკითხველს ჯუმათის მონასტრის სიძველეები. დანართში წარმოდგენილია მონასტრის საეკლესიო ნივთებისა და შესამოსლის აღწერა. საგანგებოდაა აღნიშნული ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილი, 1863-1953) ღვაწლი სიწმინდეთა დაცვის საქმეში.

**თათარაიძე ეთერ, არაბული ამირან. ავაგე ეკლესიები.**

რედ. რ. ჩხეიძე, თბილისი, 2010, 151 გვ.

წიგნი მოგვითხრობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის თუშეთსა და ხევსურეთში სტუმრობაზე. გამოცემაში შეტანილია ადგილობრივი პოეტების ლექსები. წიგნი დასურათებულია და დართული აქვს DVD დისკი.

**თამარაშვილი მიხეილ. ქართული ეკლესიის ისტორია (ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე).**

რედ.: ზ. ალექსიძე, ჯ. ოდიშელი, „კანდელი“, თბილისი, 1995, 799 გვ.

წიგნში გადმოცემულია საქართველოს ეკლესიის ისტორია დაარსებიდან XIX საუკუნის ჩათვლით. პუბლიკაციას ახლავს ქართულ ძეგლთა რეპროდუქციები, ორი გეოგრაფიული რუკა და მრავალი ამ დრომდე გამოუქვეყნებელი დოკუმენტი.

**თარაშვილი ნათია. საკვირაო სახარების განმარტება.**

რედ. თ. გოგოჩაშვილი, „გვირგვინი“, თბილისი, 2006, 540 გვ.

ნაშრომი გვთავაზობს კვირის ლიტურგიაზე წასაკითხი სახარებების განმარტებებს. განმარტებათა ტექსტები წლების განმავლობაში იბეჭდებოდა გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანში“.

**თარხნიშვილი მიქელ. ქართული ეკლესიის ისტორია. მასალები და გამოკვლევები 1 (მიქელ თარხნიშვილის წერილები).**

რედ. ლ. ხევსურიანი, „კანდელი“, თბილისი, 1994, 543 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს კრებულს, რომელშიც თავმოყრილია მიქელ თარხნიშვილის (1897-1958) ნაშრომების მნიშვნელოვანი ნაწილი. შრომები

დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, უკეთ გაეცნოს მეცნიერის ინტერესების სფეროს ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდში. კრებულში შესულია მიქელ თარხნიშვილის ბიოგრაფიაც. შრომები ქართულად თარგმნეს ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა.

**თარხნიშვილი მ., საქართველოს ეკლესიის ისტორია დასაბამიდან მე-7 საუკუნის დასასრულამდე.**

გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნუგზარ პაპუაშვილმა, თბილისი, 2014, 470 გვ.

წიგნში პირველად ქვეყნდება ქართველი თეოლოგისა და ისტორიკოსის, რომში მოღვაწე კათოლიკე მღვდლის მონოგრაფია, რომლის ავტოგრაფი დათარიღებულია 1953 წლით. ავტორის ბიოგრაფია შევსებული და დაზუსტებულია იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც გამომცემელმა გამოავლინა გერმანიაში სამეცნიერო მივლინების დროს. პუბლიკაციაში იბეჭდება წინასიტყვის და გამოკვლევის გერმანული ვარიანტიც.

**თვარაძე რევაზ. რელიგია და კულტურა (ნაწილი პირველი, ქრისტიანული მოძღვრების შესავალი – III კლასის სახელმძღვანელო).**

რედ. გ. მურღულია, საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, „დედა ენა“, 1995,48 გვ.

წიგნში მოკლედ არის მოთხრობილი სამყაროს შექმნის,იესო ქრისტეს მოსვლის, ქრისტიანული ეკლესიების დაარსების შესახებ. განხილულია ზოგი სასულიერო საკითხი, როგორიცაა პირჯვრის წერა, ლოცვა. წარმოდგენილია რამდენიმე ლექსი რელიგიურ-პატრიოტულ თემაზე (ამოღებული იაკობ გოგებაშვილის „დედა ენიდან“).

**თვარაძე რევაზ. რელიგია და კულტურა (ნაწილი I, ქრისტიანული მოძღვრების შესავალი – IV კლასის სახელმძღვანელო).**

რედ. გ. მურღულია, საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, „დედა ენა“, თბილისი, 1995,160 გვ.

წიგნის მიზანია, ესაუბროს პატარა მკითხველს რელიგიურ საკითხებზე, როგორიცაა წმინდა სამება, სხეული და სული, ნათლობა, ტაძრები, მონასტრები და ა. შ. აქვე იბეჭდება პატარა ლექსები რელიგიურ-პატრიოტულ თემაზე, რომლებიც ამოკრებილია იაკობ გოგებაშვილის „დედა ენიდან“.

**თვარაძე რევაზ. რელიგია და კულტურა (ნაწილი I, ქრისტიანული მოძღვრების შესავალი – V კლასის სახელმძღვანელო).**

რედ. გ. მურღულია, საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, „დედა ენა“, თბილისი, 1996, 144 გვ.

წიგნში ბიბლიური საკითხები განხილულია ისტორიული კუთხით.

**თომასენი რასელ. ბიბლიის სამედიცინო სიბრძნე.**

რედ. ნ. სარჯველაძე, იბეჭდება ავტორის ნებართვით, 1991, 451 გვ.

პროფესორმა რასელ თომასენმა ბიბლიაში აღმოაჩინა დაავადებათა მიზეზების, მათი მკურნალობისა და პროფილაქტიკის მნიშვნელოვანი ცოდნა. ამ ცოდნამ 3000 წლის შემდეგაც წარმატებით გაუძლო თანამედროვე მედიცინის გამოცდას. პუბლიკაცია წარმოადგენს რასელ თომასმანის ნაშრომის თარგმანს.

**თორაძე ვ. ა., თორაძე ნ. ვ. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია XIX და XX საუკუნეებში.**

რედ. გ. ებანოიძე, „რუბიკონი“, თბილისი, 1995, 336 გვ.

მონოგრაფიაში გაანალიზებულია საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა და აღწერილია მისი თავდადებული ბრძოლა ეროვნული თვითმყოფადობისა და ღირსების დასაცავად. ნაჩვენებია საქართველოს საეკლესიო მოღვაწეთა და მრევლის წევრთა თავდაუზოგავი და გაბედული წინააღმდეგობა რუსეთის სასულიერო და საერო ექსპანსიის წინააღმდეგ.

**თორაძე ვახტანგ, თორაძე ნინო. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია.**

ტექნ. რედ. თ. დიდებულიძე, „ელფი“, თბილისი, 2006, 632 გვ.

ნაშრომში აღწერილია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია დასაბამიდან დღემდე. ცალკე თავები აქვს დათმობილი საეკლესიო საქმიანობისა და კულტურის ისეთ მხარეებსაც, როგორიცაა ქართული ბიბლიის გასწორების, საეკლესიო მუზეუმების, ლიტერატურული საქმიანობის,ქართული საგალობლების,საეკლესიო მედიცინის თუ სამების ტაძრის მშენებლობის საკითხები.

**თურმანიძე თეიმურაზ. დღემდე ნათქვამი მადლობა ანუ ჩემი გულის ლოცვანი.**

რედ. ს. ბერიძე, ბათუმი, 2010, 119 გვ.

წიგნი წარმოადგენს თეიმურაზ თურმანიძის მიერ რელიგიურ თემაზე შექმნილი ლექსების კრებულს.

**იველაშვილი თინა. სოფელ ივლიტის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია.**

რედ. ნ. ხაზარაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, „მემატიანე“, თბილისი, 2005, 63 გვ.

ნაშრომის მიზანია სამცხის სოფელ ივლიტაში მდებარე ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის შესწავლა. წიგნში მოთხრობილია უცხოეთიდან შემოსული კათოლიკე მღვდლების მისიონერული საქმიანობის შესახებ სამცხე-ჯავახეთში და ამის საფუძველზე ახალციხის რეგიონის (განსაკუთრებით სოფელ ივლიტის) მოსახლეობაში სარწმუნოებრივი დაპირისპირების ისტორია.

**ივելაშვილი თინა, მღებრიშვილი ლალი. „იეღოვას მოწმეთა“ სექტის საქმიანობის მიზანი საქართველოში.**

რედ. ბ. არველაძე, თბილისი, 2007, 82 გვ.

ნაშრომში მხილებულია „იეღოვას მოწმეთა“ სექტის სწავლება წერილობითი წყაროების,სპეციალური ლიტერატურისა და ეთნოგრაფიული მასალის ურთიერთშეჯერებისა და გაანალიზების საფუძველზე.

**ითონიშვილი ვახტანგ. ნარკვევები ქართული ქრისტიანობის ისტორიიდან.**

რედ. ვ. ითონიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, „მემატიანე“, თბილისი, 2003, 91 გვ.

ნაშრომი შედგება სამი თავისგან. პირველ თავში ავტორი განიხილავს ფეოდალური საქართველოს დემოგრაფიულ და სარწმუნოებრივ მონაცემებს. მეორე თავში საუბარია ქრისტიანობის გავრცელებისა და მართლმადიდებლური ეკლესიის ჩამოყალიბებაზე საქართველოში. ბოლო თავი ეხება ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისთვის ბრძოლას ფეოდალიზმის ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.

**იმნაიშვილი ვახტანგ. უძველესი ქართული ხელნაწერები ავსტრიაში.**

რედ.: ზ. სარჯველაძე, ზ. ჭუმბურიძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2004, 331 გვ.

ნაშრომი მიზნად ისახავს, სამზეოზე გამოიტანოს მრავალჭირგამოვლილი ქართული ხელნაწერების ისტორია. წიგნში შეტანილია: სვიმეონ სალოსის ცხოვრება, იაკობ მოციქულის ჟამისწირვა, იოანე ოქროპირის ჟამისწირვა და სხვა მნიშვნელოვანი ძეგლები.

**იმნაიშვილი ი. ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი.**

აკაკი შანიძის რედაქციით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1986, 848 გვ.

ნაშრომში შეტანილია ოთხთავში გამოყენებული ყოველი სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე სიტყვა, ყველა ადგილის ჩვენებით, სადაც კი ეს სიტყვები გვხვდება. ასევე, ახსნილია სიტყვები, რომლებიც უცნობია ან სხვა მნიშვნელობით იხმარება დღევანდელ ქართულში. წიგნი პირველად დაისტამბა 1949 წელს. წინამდებარე ნაშრომი იბეჭდება უცვლელი სახით. განკუთვნილია ფილოლოგებისათვის.

**იოსებ ფლავიოსი. მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი.**

ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საკუთარ სახელთა საძიებელი დაურთო ნინო მელიქიშვილმა, რედ. მ. შანიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, ნაწილი I, 1987, 384 გვ., ნაწილი II, 1988, 548 გვ., ნაწილი III, 2014, 300 გვ., ნაწილი III, 2014, 300 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს I საუკუნის ებრაელი ისტორიკოსის, იოსებ ფლავიოსის მიერ ბერძნულ ენაზე დაწერილი 20 წიგნის შემცველი თხზულების „მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი“ ქართულ თარგმანს. ნაშრომში გადმოცემულია იუდეველთა (ზოგადად, ისრაელიანთა) ისტორია სამყაროს შექმნიდან ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე.

I-XV წიგნები, XII საუკუნეში ბერძნული დედნიდან ქართულად ნათარგმნი, სათანადო სამეცნიერო აპარატით გამოქვეყნებულია I და II ტომში. III ტომში შესულია თხზულების უკანასკნელი ხუთი წიგნი, XIX ს.-ში გადმოღებული ქართულ ენაზე ლათინურიდან მომდინარე რუსული თარგმანიდან, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, დავით დადიანის ინიციატივით მისი კარის მღვდლის, დავით ინანიშვილის მიერ. ფლავიოსის ნაშრომი იძენს უძველესი ისტორიული წყაროს მნიშვნელობას, რადგან ეფუძნება ანტიკური პერიოდის ბევრ ისეთ ავტორს, რომელთა ნაშრომებმა დღევანდ-

ლამდე ვერ მოაღწია. გარდა ამისა, ის მაცხოვრის თითქმის თანამედროვე ავტორია და გარკვეულ კონტექსტში საუბრობს იესო ქრისტეზე, იოანე ნათლისმცემელსა და უფლის ხორციელ ძმაზე, იაკობზე, რაც ზრდის ამ ნაშრომის ღირებულებას.

**იოსელიანი პლატონ. აღწერა მარტყოფის მონასტრისა.**

რუსულიდან თარგმნა ხათუნა მარუშაშვილმა, რედ. გ. წიბახაშვილი, წიგნი იბეჭდება მარი ფელისიტე ბროსეს სახელობის სამუზეუმო საერთაშორისო ფონდის ინიციატივით, 2009, 222 გვ.

წიგნში გადმოცემულია მარტყოფის მონასტრის ისტორია. ნაშრომი წარმოადგენს პლატონ იოსელიანის ამ თხზულების პირველ ქართულ თარგმანს. ტექსტს ერთვის მეცნიერული გამოკვლევა და კომენტარები.

**ქაკაბაძე ირაკლი. მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება წმიდა ზეციურ ძალთა შესახებ.**

რედ. ზ. ეკალაძე, წიგნი იბეჭდება წმ. მარინეს ტაძრის დეკანოზ დავით ისაკაძის ლოცვა-კურთხევით, 2004, 124 გვ.

წიგნის პირველი ნაწილი წარმოადგენს ზეციური სამყაროსა და ანგელოზთა ცხრა დასის აღწერას, მეორე ნაწილში საუბარია მფარველი ანგელოზის შესახებ.

**კალანდაძე გივი. ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია.**

რედ. ლ. ბოჩკოვა-ხვიჩია, დაიბეჭდა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოს თადეოზის (იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2007, 603 გვ.

ენციკლოპედია წარმოადგენს სასულიერო წიგნებიდან ამოკრებილი ბრძნული გამონათქვამების კრებულს.

**კალანდაძე გივი, საქართველოს დიდება – ეკლესიის ქართველ მამათა გამონათქვამები.**

რედ. ლ. ბოჩკოვა-ხვიჩია, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2009, 624 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ეკლესიის დიდი მამებისა და თანამედროვე ქართველ მოძღვართა გამონათქვამების კრებულს. წიგნი ენციკლოპედიური

ხასიათისაა და მოიცავს ორასამდე თემას.

**კალანდია გიორგი. ოდიშის საეპისკოპოსოები.**

რედ. მ. ლორთქიფანიძე, დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდი, „არტანუჯი", თბილისი, 2004, 343 გვ.

ნაშრომში შესწავლილია ბედიის, ცაიშის, ხობისა და მოქვის სასულიერო ცენტრების ისტორია. ნაჩვენებია ეპარქიების საზღვრები და სოციალური სურათი, ასახულია გამორჩეულ საეკლესიო პირთა ბიოგრაფიები, ეპისკოპოსებისა და წინამძღვრების მოღვაწეობის ქრონოლოგიური რიგები, განხილულია ამ სასულიერო ცენტრების დაარსების წინაპირობები და თარიღები.

**კალინინა გალინა. მომავალ დედებს პირმშოს მოლოდინში.**

თარგმნა ხათუნა კახიძემ, რედ. დეკანოზი თეოდორე გიგნაძე, თბილისი, 2007, 51 გვ.

წიგნში პოპულარული ენით საუბარია ქრისტიანული ქორწინების არსსა და მეუღლეთა პასუხისმგებლობაზე. მოცემულია სამედიცინო რეკომენდაციები ორსულობის ფიზიოლოგიასა და მშობიარობაზე.

**კამილერი რინო. ინკვიზიციის ჭეშმარიტი ისტორია.**

იტალიურიდან თარგმნეს ვიტალი დოლიძემ და ამირან კაცაძემ, თბილისი, 2005, 155 გვ.

წიგნში გადმოცემულია კათოლიკური ინკვიზიციის ისტორია, განხილულია სხვაობა შუა საუკუნეების ესპანურ და რომაულ ინკვიზიციას შორის.

**კაპანაძე კახაბერ. ზეცით ნაკურთხი საჭეთმპყრობელი.**

16 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს პოემას, რომელიც ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II-ს.

**კაპანაძე კახაბერ, თარაშვილი ნათია. ერთი გუდა ამბავი (სათავგადასავლო მოთხრობები).**

საქართველოს საპატრიარქოს პრეს-ცენტრი, 56 გვ.

წიგნი წარმოადგენს მცირე ზომის სათავგადასავლო მოთხრობების კრე-

ბულს. ტექსტს ახლავს მხატვარ თამარ ჩოჩელის ილუსტრაციები.

**კაპანაძე კახაბერ. შეიძლება თუ არა მოძველდეს მართლმადიდებლობა.**

თბილისი, 2005, 66 გვ.

წიგნში განხილულია საკითხი, შესაძლებელია თუ არა დადგეს მართლ-მადიდებლური სარწმუნოების გადახედვის საჭიროება, და მოყვანილია არ-გუმენტები ამ აზრის გასაბათილებლად.

**კარბელაშვილი ანდრე. ბოდბელი ალავერდელი ეპისკოპოსი ვასილ კარ-ბელაშვილი.**

რედ. ი. ტოლიაშვილი, 2006, გვ. 20.

ბროშურაში ავტორი იხსენებს თავისი პაპის, ანდრია კარბელაშვილის ძმის, ვასილ კარბელაშვილის (შემდგომში ეპისკოპოს სტეფანეს, 1858-1936) სა-სულიერო მოღვაწეობას. პუბლიკაციაში შესულია ვასილ კარბელაშვილის პირადი წერილებიც.

**კარბელაშვილი პოლიევქტოს. კათოლიკოსნი და მღვდელმთავარნი.**

გამოსცა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა, ყოვლადუსამღვდელოესმა ალე-ქსანდრემ (ოქროპირიძე), რედ. მანგლელი მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2001, 171 გვ.

დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილის (XIX-XX სს.) ნაშრომი წარმოად-გენს საქართველოს კათოლიკოსთა ზეობის წლების დადგენის მნიშვნელო-ვან ცდას. მასში გათვალისწინებულია წინამორბედ ავტორთა შრომები, გამოყენებულია არაერთი საარქივო მასალა და საისტორიო ცნობა ამა თუ იმ კათოლიკოსისა და მღვდელმთავრის მოღვაწეობის შესახებ.

**კაჩხუაშვილი ნანა. ავტორეფერატები და დისერტაციები რელიგიის თემა-ტიკით.**

საქართველოს საპატრიარქო, 2008, 71 გვ.

ბიბლიოგრაფია შეკრებილია საქართველოს წიგნის პალატის, რესპუბლი-კური, ეროვნული, მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების, სახელმწიფო და პედაგოგიური უნივერსიტეტების, ლიტერატურის, ისტორიისა და ეთნო-გრაფიის, ხელნაწერთა ინსტიტუტების ბიბლიოთეკების ფონდებიდან და მოიცავს 1927-2006 წლებს.

**კაცაძე მზია. პატრიარქი.**

რედ. დეკანოზი გოირგი ზვიადაძე, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამოცემისა და რეცენზირების დეპარტამენტი, 2007, 505 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს წიგნ-ალბომს, რომელშიც თავმოყრილია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ისტორიული ფოტოები. გამოცემისათვის გამოყენებულია უწმინდესი ილია II-ის ეპისტოლეები, ქადაგებები, სიტყვები და საქართველის საპატრიარქოს არქივში დაცული მასალა.

**კაციაშვილი ზაზა. მადლის მირონი.**

თბილისი, 2008, 302 გვ.

წიგნი წარმოადგენს მცირე ზომის, სასულიერო შინაარსის ლექსების კრებულს. ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის აღსაყდრების 30-ე წლისთავს.

**კაციაშვილი ზაზა. შეწყალებულნი.**

თბილისი, 2008,304 გვ.

წიგნი წარმოადგენს სასულიერო შინაარსის ლექსების კრებულს. ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის აღსაყდრების 30-ე წლისთავს.

**კაციაშვილი ზაზა. ლოცვის ნამცვრევი.**

2009, 514 გვ.

კრებულში თავმოყრილია ავტორის ხუთივე წიგნში – „სიტყვის ხმიადი," „განდობილი," „მადლის მირონი," „შეწყალებულნი," „კურცხალი" – დაბეჭდილი ლექსები. წიგნი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II-ს.

**კაჭარავა გიორგი. ვინ არის იესო ქრისტე.**

რედ. თ. გოცირიძე, თბილისი, 1991, 152 გვ.

პუბლიკაციაში მეცნიერულადაა გამოკვლეული და დასაბუთებული იესო ქრისტეს ისტორიული არსებობის ფაქტი.

**კეზევაძე მერაბ. ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები.**

რედ. რ. თოფჩიშვილი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, „ხომლი ენ“, ქუთაისი, 2008, 248 გვ.

ნაშრომში გადმოცემულია იმერეთის ეკლესიებისა და იქ მოღვაწე სასულიერო პირების ისტორია. წიგნი შედგენილია ქუთაისის ცენტრალურ არქივსა და საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ იმერეთის ეკლესიების კრებულთა უწყებებსა და გარდაცვილილ სასულიერო პირთა სიებზე დაყრდნობით.

**კეზევაძე მერაბ. ეგზარქოსობისდროინდელი რაჭის ეკლესიები და მღვდლები.**

რედ. რ. თოფჩიშვილი, ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, „მანდარიას სტამბა“, ქუთაისი, 2005, 64 გვ.

ნაშრომში გადმოცემულია რაჭის ეკლესიებისა და იქ მოღვაწე სასულიერო პირების ისტორია. წიგნი შედგენილია ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივსა და საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულ რაჭის ეკლესიების კრებულთა უწყებებსა და გარდაცვილილ სასულიერო პირთა სიებზე დაყრდნობით.

**კეკელიძე კორნელი. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია.**

რედ. ალ. ბარამიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, ტომი I, 1980, 720 გვ., ტომი II, 1981,752 გვ.

„ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ორტომეული ისტორიულ-ლიტერატურული, უშუალოდ პირველწყაროებზე დამყარებული კვლევაძიებითი ხასიათის საბაზისო ნაშრომია, რომელშიც სისტემაში მოყვანილი და შესწავლილია ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობა V საუკუნიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს სტუდენტებისათვის, იგი განკუთვნილია, ასევე, ლიტერატურის მასწავლებლებისათვის, ძველი ქართული სასულიერო თუ საერო მწერლობის საკითხებზე მომუშავე მეცნიერთათვის და, ზოგადად, ქართული ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველისათვის.

**კეკელიძე კორნელი. გიორგი მთაწმინდელი.**

რედ. ვ. როდონაია, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, ქართული

ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი, 2009, 16 გვ.

ბროშურაში იბეჭდება აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სტატია მისი წიგნიდან „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“. ტექსტს დართული აქვს ლექსიკონი.

**კელენჯერიძე მელიტონ. საღმრთო სჯული ყმაწვილთათვის.**

რედ. ქ. ახვლედიანი, „ხელოვნება“, 1990, 31 გვ.

საზოგადო მოღვაწის, არაერთი გამოკვლევისა და სახელმძღვანელოს ავტორის, მელიტონ კელენჯერიძის (1864-1942) ეს ნაშრომი, რომელიც ყმაწვილებისთვისაა გამიზნული, რედაქტირებულია თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისად და იბეჭდება ზოგიერთი აუცილებელი ტექსტოლოგიური ცვლილებით.

**კელენჯერიძე მელიტონ. ილოცე, ბავშვო.**

რედ.: ლ. შალამბერიძე, ლ. ჯავახიშვილი, „რაეო“, 2004, 105 გვ.

წიგნი წარმოადგენს საღვთო სჯულის ხასიათის ნაშრომს, რომელიც განკუთვნილია დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის, იგი დაეხმარება ბავშვებს ელემენტარული რელიგიური განათლების მიღებაში.

**კენტერბერიელი ანსელმ. ჭეშმარიტებისათვის.**

ლათინურიდან თარგმნა ნინო ჭავჭავაძემ, რედ.: გ. თევზაძე, ა. ურუშაძე, თბილისის უნივერსიტეტი, თბილისი, 1983, 91 გვ.

წიგნში წარმოდგენილია შუა საუკუნეების მოღვაწის, ანსელმ კენტერბერიელის დიალოგის „ჭეშმარიტებისათვის“ პირველი ქართული თარგმანი. სქოლასტიკური მწერლობის ამ თვალსაჩინო ძეგლში ავტორს სურს, ჭეშმარიტების პრობლემა გადაწყვიტოს თეოლოგიური პოზიციიდან, არისტოტელეს მოძღვრებაზე დაყრდნობით. მისი, როგორც ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელისა და იოანე პეტრიწის თანამედროვის, ნაშრომის გააზრება მნიშვნელოვანია ფილოსოფიური საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

**კვანჭიანი ერეკლე. ქრისტიანული ოჯახი.**

რედ. ზ. ეკალაძე, წიგნი დაიბეჭდა მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოს ილარიონის (ქიტიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2008, 120 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს ციტატების ნაკრებს წმ. წერილიდან, მამათა შრომე-

ბიდან, დიდი სჯულისკანონიდან და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ-ის, ილია II-ის, ქადაგებებიდან. მოძიებულია, აგრეთვე, საგულისხმო სწავ-ლებანი ქრისტიანულ ოჯახთან დაკავშირებით.

**კვარაცხელია დარეჯან. წერილები პატრიარქს.**

2010, 366 გვ.

წიგნი-ალბომი „წერილები პატრიარქს“ ეძღვნება სრულიად საქართ-ველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის დაბადების, ზერად აღკვეცისა და აღსაყდრების საიუბილეო თარიღებს. გა-მოცემაში შესული წერილები წარმოდგენილია ფოტოპირების სახით.

**კვერნაძე ალაქსანდრე. მოიყვანე სული ჩემი ცოდვილი სინანულად.**

რედ.: გ. ხარებაშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, „ხარება“, თბილისი, 2009, 31 გვ.

წიგნში განიხილება დანაშაულისა და სასჯელის პრობლემა.

**კვირიკაშვილი ლიანა. ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია.**

რედ. ვ. გვახარია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, გ. წერეთე-ლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, 1982, 133 გვ.

წიგნი ეხება ფარულ სიმეტრიათა კანონზომიერებებს ბიზანტიური და ქა-რთული საგალობლის კომპოზიციაში. გამოკვლეულია ჰიმნოგრაფიული ტერმინები.

**კვირიკაშვილი ლიანა. ეგზეგეტიკური ხელოვნება და სულიცხოვლობა.**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გიორგი წერეთლის სახელო-ბის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტიოლოგიის განყოფილე-ბა, თბილისი, 1997, 412 გვ.

ნაშრომში წარმოდგენილია სასულიერო მწერლობის ეგზეგეტიკური ჟან-რის მიზნის, საზღვრებისა და მისთვის დამახასიათებელი მეთოდების ავ-ტორისეული ხედვა.

**კვირიკაშვილი ლიანა. ქრისტეშობის საკითხავების პოეტიკა.**

რედ. ც. ჯაღმაია, თბილისი, 2006, 95 გვ.

წიგნში გაანალიზებულია ძველი ქართული ტექსტი „ქეთევან დედოფლის

საკითხავებიდან“.

**კვიციანი ტასო. რუსი სამღვდელოებისა და ინტელიგეციის პოზიცია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხში.**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2005, 46 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს 1905-1917 წწ.-ში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხში რუსი სამღვდელოებისა და ინტელიგენციის პოზიციების მონოგრაფიულად შესწავლის ცდას.

**კიკნაძე ვაჟა. ცხოვრება და ღვაწლი ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილისა.**

რედ. ა. დაუშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2003, 213 გვ.

წიგნში XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის პოლიტიკური მოვლენების ფონზე გადმოცემულია გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწის, ალავერდისა და გორის ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის (1836-1909) ცხოვრება და ღვაწლი.

**კიკნაძე ვაჟა. ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა XIX ს. ქართველი სასულიერო მოღვაწეების შემოქმედებაში.**

რედ. ნ. აბაკელია, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეთნოლოგიის ინსტიტუტი, „უნივერსალი“, თბილისი, 2009, 354 გვ.

ნაშრომში წარმოდგენილი და გაანალიზებულია ის უმთავრესი საკაცობრიო და ეროვნული პრობლემები, რომლებიც აღელვებდათ XIX-XX სს. მიჯნის ქართული სამღვდელოების საუკეთესო წარმომადგენლებს. წიგნში განხილულია ეპისკოპოსების: გაბრიელ ქიქოძის, კირიონ საძაგლიშვილის, პეტრე კონჭოშვილისა და ღვთისმეტყველების კანდიდატის, მიხეილ (გობრონ) საბინინის შემოქმედება. ნაშრომი გვაცნობს ამ საეკლესიო მოღვაწეთა ბიოგრაფიებსაც.

**კიკნაძე ზურაბ. საუბრები ბიბლიაზე.**

რედ. ვ. გვახარია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, „მეცნიერება“, თბილისი, 1989, 192 გვ.

ავტორის მიზანია, გააცნოს საზოგადოებას, თუ რას წარმოადგენს ბიბლია და განუმარტოს მისი თითოეული წიგნის შინაარსი. გამოცემა განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

**კიკნაძე ზურაბ. ძველი აღთქმის წუთისოფელი.**

გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებები, საქართველოს წარმომადგენლობა, 2003, 191 გვ.

წიგნში გადმოცემულია ბიბლიის მოკლე ისტორია. ტექსტს ერთვის ბიბლიური ქრონოლოგია და საძიებლები.

**კიკნაძე ზურაბ. ხუთწიგნეულის თარგმანება.**

რედ. მ. ღაღანიძე, ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი, თბილისი, 2004, 400 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს მოსეს ხუთწიგნეულის (დაბადება, გამოსვლათა, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე რჯული) განმარტებას. ავტორი წმინდა მამების ნააზრევსა და ბიბლიის მკვლევართა განმარტებებთან ერთად ითვალისწინებს რაბინულ გადმოცემებსა და ებრაულ ისტორიულ წყაროებს.

**კიკნაძე ფილადელფოს. ქადაგება ქველმოქმედების შესახებ.**

რედ. ა. ბენდიაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, 1997, 25 გვ.

მონაზონ ფილადელფოს კიკნაძის (1793-1833) ნაშრომები მოიძებნა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდში. წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია ქველმოქმედების ოთხი კანონი, რომელთაც ავტორი ცალ-ცალკე განიხილავს სათანადო მაგალითების მოშველიებით.

**კლდიაშვილი დარეჯან. ქართული სამონასტრო სულთა მატიანეები (წიგნი I, სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა სულთა მატიანე).**

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, „ნეკერი“, თბილისი, 2008, 292 გვ.

გამოკვლევა არის ნაწილი ვრცელი პროგრამისა, რომელიც მიზნად ისახავს ძველ ქართულ ხელნაწერებში შემონახულ სულთა მატიანეების შეძლებისდაგვარად თავმოყრას, კრიტიკულად დადგენილი ტექსტების მომზადებასა და კოდიკოლოგიურ-ისტორიული თვალსაზრისით შესწავლას. ნაშრომში

მოცემულია ინგლისური ტექსტიც, რომლის თარგმანი შეასრულა ნანა შენგელიამ.

**კობახიძე ნინო. მეუფე ათანასეს ცხოვრება, მოღვაწეობა და ქადაგებანი.**

რედ ნ. კობახიძე, დაიბეჭდა რუსთაველ მიტროპოლიტ ათანასეს (ჩახვაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2009, 207 გვ.

წიგნში გადმოცემულია მიტროპოლიტ ათანასეს (ჩახვაშვილი) ცხოვრება, მოღვაწეობა და შესულია მის მიერ წარმოთქმული ქადაგებები. პუბლიკაციას დართული აქვს საარქივო მასალები და ფოტოები.

**კობახიძე თამარ. წმიდა დიდმოწამე მეფე არჩილი.**

თბილისი, 2012, 40 გვ.

პუბლიკაციაში მოთხრობილია არჩილ მეფის ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ. ტექსტს დართული აქვს არჩილ II-ის (VIII ს.) გენეალოგია და ბიბლიოგრაფია.

**კობახიძე თეა. კაპადოკია.**

ინგლისურად თარგმნა ნათია ჭკადუამ, ფრანგულად თარგმნეს ლია ზედაშიძემ და გოჩა ჯავახიშვილმა, წიგნი დაიბეჭდა რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტ იოანეს (გამრეკელი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2011, 93 გვ.

ნაშრომში წარმოდგენილია კაპადოკიის ქრისტიანული კულტურის ძეგლები, მათ შორის, ნაკლებად ცნობილი იკონოგრაფიულ-არქიტექტურული პროექტებიც.

**კოდუა ლელა. ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივი ფუნქცია.**

2005, 185 გვ.

ნაშრომში წარმოჩენილია მართლმადიდებლური სწავლების მნიშვნელობა ზნეობრივი ჩამოყალიბების პროცესში და განხილულია ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივ ღირებულებათა არსი.

**კოლხიბერული ბერო. ვაჟა-ფშაველას მშობელი მამის, მამა პავლეს (რაზიკაშვილი), ქადაგებანი.**

რედ. ბ. კოლხიბერული, დაიბეჭდა არქიმანდრიტ იოანეს (ორკოლაშვილი)

ლოცვა-კურთხევით, „საუნჯე“, 63 გვ.

წიგნში შესულია მღვდელ პავლე რაზიკაშვილის (XIX ს.) ჩვენამდე მოღწეული ქადაგებები და მოკლე ცნობები მისი ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

**კოპლატაძე გვანცა, რუხაძე გრიგოლ. ჰაგიოგრაფიის ღვთისმეტყველება.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1997, 80 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს ჰაგიოგრაფიული თხზულებებიდან გამორჩეული ადგილების საღვთისმეტყველო კომენტარებს, რომელთაც საფუძვლად ქრისტიანობის დოგმატური და ეთიკური სწავლება უდევს.

**კოპლატაძე გვანცა, რუხაძე გრიგოლ. წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებიდან გამოკრებილი სწავლანი.**

საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2002, 156 გვ.

წიგნში გადმოცემულია გაბრიელ ეპისკოპოსის (ერისკაცობაში გერასიმე მაქსიმეს ძე ქიქოძე, 1825-1896) ბიოგრაფია, წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის ორტომეულიდან „ქადაგებანი გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსისა“ გამოკრებილია ძირითადი საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, რომელთაც ახლავს განმარტებანი.

**კოპლატაძე გვანცა. ბასილი დიდი ელინური ფილოსოფიის შესახებ.**

რედ. მ. მჭედლიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, „ლოგოსი“, თბილისი, 2005, 27 გვ.

ნაშრომში განხილულია ბასილი დიდის (IV ს.) მოსაზრება ელინური ფილოსოფიის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ, კრიტიკული მიდგომის შემთხვევაში, წარმართული ფილოსოფიიდანაც შესაძლებელია სარგებლის მიღება.

**კოპლატაძე გვანცა. სამების ღვთისმეტყველება ბასილი დიდის მოძღვრებაში.**

რედ. მ. მჭედლიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, 2005, 32 გვ.

ნაშრომში განხილულია ბასილი დიდის (IV ს.) კომენტარები ძველ აღთქმაში ღმერთის სამ პირზე (რაც მოგვიანებით ახალ აღთქმაში საკუთარი სახელებით – მამა, ძე და სულიწმინდა – გაცხადდა) მინიშნების არსებობის შესახებ.

**კოჭლამაზაშვილი ექვთიმე. „მამაო ჩვენო“-ს ასამაღლებლისათვის.**

რედ. ე. გაბიძაშვილი, თბილისი, 2000, 20 გვ.

ბროშურა წარმოადგენს ნაშრომს, რომელშიც განხილულია „მამაო ჩვენო“-ს ასამაღლებელი და მისი მნიშვნელობა. ნარკვევის თავდაპირველი ვარიანტი დაიწერა 1996 წელს, როგორც ერთ-ერთი სტატია სერიიდან „ლიტურგიკული შენიშვნები“.

**კოჭლამაზაშვილი ექვთიმე. დიდი სინური კურთხევანის რედაქციული თავისებურებანი.**

რედ. ლ. ხევსურიანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, 2002, 95 გვ.

კურთხევანი ქართულ ენაზე მრავალი ვერსიითაა შემონახული. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია წმ. გიორგი მთაწმიდელის „დიდი კურთხევანი“, რომელიც საერთო-საეკლესიო მსახურებისათვის დააკანონა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ (1105 წ.). დიდი ათონელი მოძღვრის ნაშრომი თავდაპირველი სახით ჩვენამდე არ მოღწეულა, მაგრამ მისი შემადგენელი ნაწილები გაბნეულია პოსტ-ათონური პერიოდის (XII-XVII სს.) კრებულებში, რომელთა კრიტიკული შესწავლა შესაძლებელს გახდის გიორგისეული რედაქციის მეტ-ნაკლები სისრულით აღდგენის. პოსტ-ათონური „დიდი კურთხევანის“ მრავალრიცხოვანი ნუსხებიდან უძველესად ითვლება სინას მთის ქართული კოლექციის №73 ხელნაწერი, რომელიც მრავალგზის გამხდარა მკვლევართა ინტერესის საგანი. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ცდას, გაირკვეს „დიდი კურთხევანის“ სინური ნუსხის მიმართება მონათესავე კრებულებთან. მოცემულია პოსტ-ათონურ კურთხევათა კრებულების თავთა ჩამონათვალი და, ცალკეულ შემთხვევებში, ცდა მათი რედაქციული დაჯგუფებისა. ნარკვევის პირველი ვარიანტი დაიწერა 1995 წელს, როგორც სტატია სერიიდან „ლიტურგიკული შენიშვნები“.

**კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, დოლიძე თინა. წმინდა გრიგოლ ნოსელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (პატრისტიკული კვლევა საქართველოში, ტ. I).**

რედ. ნ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ-

ელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, პატრისტიკული კვლევის საერთაშორისო ასოციაციის ქართული სექცია, „ლოგოსი“, თბილისი, 2003, 274 გვ.

წინამდებარე გამოცემით იწყება სერია „პატრისტიკული კვლევა საქართველოში“. ამ სერიით განზრახულია, დაინტერესებულ მკითხველს მიეწოდოს სამეცნიერო ძიებანი ქრისტიანულ სიძველეთა, განსაკუთრებით კი ეკლესიის მამათა შემოქმედების შესახებ: ამ დარგის პრობლემატიკის ამსახველი მონოგრაფიული ნაშრომები, სამეცნიერო სტატიებისა და კონფერენციის მასალების შემცველი კრებულები და პატრისტიკული ძეგლების ძველ ქართულ თარგმანთა პუბლიკაციები.

წმ. გრიგოლ ნოსელის (IV ს.) შემოქმედების ქართული პირველი თარგმანები VIII ს-დან X ს-ის I ნახევრამდე შეუსრულებიათ, X-XI სს-ში კი წმ. გრიგოლის შემოქმედების დიდი ნაწილი თარგმნეს საუკეთესო ქართველმა მთარგმნელებმა – წმ. ეფთვიმე და გიორგი მთაწმინდელებმა, წმ. ეფრემ მცირემ და წმ. არსენ იყალთოელმა. წმინდანზე ბიბლიოგრაფიული ცნობები გაბნეულია სხვადასხვა კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობებსა და კვლევით ნაშრომებში. წინამდებარე აღწერილობა თავს უყრის, ავსებს და აზუსტებს ამ საკითხზე არსებულ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს უკანასკნელი გამოკვლევების გათვალისწინებით.

**კოჭლამაზაშვილი ექვთიმე. საეკლესიო კალენდრის შედგენის პრინციპების შესახებ.**

რედ. გ. მეგრელაური, თბილისი, 2005, 31 გვ.

ბროშურა ეხება თანამედროვე საეკლესიო კალენდრის შედგენის ზოგიერთ პრობლემურ საკითხს. ავტორის მიზანია, კალენდრის შედგენის ზოგადი პრინციპების ძიებასთან ერთად, კონკრეტული რჩევები შესთავაზოს ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებს.

**კოჭლამაზაშვილი ექვთიმე. დიდუბის ღმრთისმშობლის ტაძარი.**

რედ. გ. ბაგრატიონი, 2007, 27 გვ.

ბროშურის მიზანია, გააცნოს მკითხველს ისტორიული ცნობები ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის საბრძანებლის აგებისა და მოხატვის, აგრეთვე, იმ სამღვდელო და საერო პირთა მოღვაწეობის შესახებ, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ამ საქმეში.

**კოჭლამაზაშვილი ე., დოლიძე თ. წმინდა გრიგოლ ნოსელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა.**

რედ. ნ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახ. უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, პატრისტიკული კვლევის საერთაშორისო ასოციაციის ქართული სექცია, პროგრამა „ლოგოსი", თბილისი, 2009, 76 გვ.

წიგნი წარმოადგენს სერიის „პატრისტიკული კვლევა საქართველოში" პირველ ტომს. ამ სერიით განზრახულია, დაინტერესებულ მკითხველს მიეწოდოს სამეცნიერო ძიებანი ქრისტიანულ სიძველეთა, განსაკუთრებით კი ეკლესიის მამათა შემოქმედების შესახებ: ამ დარგის პრობლემატიკის ამსახველი მონოგრაფიული ნაშრომები,სამეცნიერო სტატიებისა და კონფერენციების მასალების შემცველი კრებულები და პატრისტიკული ძეგლების ძველ ქართულ თარგმანთა პუბლიკაციები. პირველი ტომი მიზნად ისახავს, მონოგრაფიულად შეისწავლოს ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, წმ. გრიგოლ ნოსელის (IV ს.) შემოქმედების ქართული ვერსია, წარმოდგენილი ქართულ ხელნაწერულ ტრადიციაში.

**კუკავა თამარ. ეფრემ მცირის იამბიკოები.**

რედ. ზ. ჭუმბურიძე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988, 125 გვ.

ნაშრომში წარმოდგენილია შუა საუკუნეების უდიდესი ქართველი მოაზროვნისა და მოღვაწის, ეფრემ მცირის პოეტური მემკვიდრეობა. გამოკვლეულია ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდი, მომდევნო ეპოქების მოაზროვნეთა მიმართება ეფრემის პოეტურ და ფილოსოფიურ მემკვიდრეობასთან.

**კულომზინა სოფია. ჩვენი ეკლესია და ჩვენი ბავშვები.**

თარგმნა ირაკლი ლომოურმა, რედ. ნ. ხურცილავა, რეცენზირებული და ნებადართულია გამოსაცემად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, „არიონი", თბილისი, 2008, 144 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს სალექციო კურსის შინაარსს, რომელსაც ავტორი კითხულობდა 1970-იან წლებში ნიუ-იორკის წმინდა ვლადიმერის სახელობის მართლმადიდებლურ სემინარიაში. აქ საუბარია ბავშვის აღზრდის მეთოდებზე როგორც ოჯახში, ისე სკოლასა და ეკლესიაში. დასმულია არაერთი პრობლემური საკითხი და მოცემულია, შეძლებისდაგვარად, მათი გადაჭრის გზები.

**კუჭუხიძე გოჩა. გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების ერთი არაბული**

**ვერსია და ქართველთა მოქცევის საკითხი.**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, თბილისი, 1999, 233 გვ.

წიგნი წარმოადგენს წმ. გრიგოლ განმანათლებლის (სომხეთის განმანათლებელი წმ. გრიგოლ პართელი, IV ს.) ცხოვრების არაბულ ვერსიას, რომელიც არა მხოლოდ სომხეთის, არამედ ქართლის, ლაზიკის, ალანებისა და მათთან ერთად დურძუკების მოქცევასა და ამ ქვეყნებში ეპისკოპოსების დადგენას შეეხება. არაბულ ტექსტთან ერთად განხილულია პროფ. ჟ. გარიტის მიერ გამოქვეყნებული და თარგმნილი ბერძნული ვერსიაც.

**ლაშხი ცეზარ. აკაკი – ქრისტიანობის ჭეშმარიტი მსახური და მქადაგებელი.**

რედ. ლ. ჩხეიძე, იბეჭდება ცხუმ-აფხაზეთისა და ჭიათურა-საჩხერის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილი) ლოცვა-კურთხევით, აკაკის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა, სხვიტორი, 2010, 191 გვ.

ნაშრომში მდიდარი ისტორიული წყაროების შესწავლის საფუძველზე ასახულია აკაკი წერეთლის დროინდელი საქართველოს ისტორიული ვითარება, გაშუქებულია აკაკის ცხოვრება და მოღვაწეობა. პუბლიკაციაში იბეჭდება აკაკის რელიგიურ თემაზე შექმნილი ლექსებიც.

**ლებედევი ა. პ. მსოფლიო საეკლესიო კრებების ისტორია.**

რუსულიდან თარგმნა გიორგი გვასალიამ, რედ. ზ. ჯაში, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2012, 578 გვ.

წიგნში ასახულია შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების ისტორია, გაანალიზებულია თითოეული მათგანის მიმდინარეობა და განხილული დოგმატური საკითხები.

**ლევიძე ლუკა. ცხოვრება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა.**

რედ. მ. ცირეკიძე, ქუთაისი, 1996, 38 გვ.

წიგნის შემოკლებული თარგმანი შესრულებულია ათონის მთაზე, წმინდა პანტელეიმონის სახელობის მონასტერში. მასში შესულია ყოვლადწმინდა ქალწულის მიწიერი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი ეპიზოდი.

**ლოლაშვილი ივანე. არსენ იყალთოელი.**

რედ. ა. ბარამიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთა-

ველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, „მეცნიერება", თბილისი, 1978, 159 გვ.

წიგნი წარმოადგენს XI-XII საუკუნეების ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის, არსენ იყალთოელის ცხოვრება-მოღვაწეობის მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას. მდიდარი მასალის საფუძველზე მასში განხილულია ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობები არსენ იყალთოელის შესახებ, მისი ცხოვრება და ღვაწლი, „დოგმატიკონის" შედგენილობა და რამდენიმე მსოფლმხედველობრივი საკითხი XI-XII საუკუნეების ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან.

**ლომოური ნოდარ. ათონის ივერონი 1000.**

რედ. მ. ჯიბლაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტი, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირი, „მეცნიერება", თბილისი, 1983, 48 გვ.

პუბლიკაციაში საუბარია ქართული სამეცნიერო-კულტურული კერის – ათონის და იქ მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესების შესახებ; მოცემულია ქართული ტექსტის რუსული და ინგლისური თარგმანები.

**ლომოური ნოდარ. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადება. საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია.**

საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2001, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2000, 35 გვ.

ნოდარ ლომოურის წერილებში ცხადყოფილი და მეცნიერული პოზიციიდან დასაბუთებულია საეკლესიო გადმოცემების ჭეშმარიტება ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. წერილები შეტანილია 2001 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**ლომოური ნოდარ. ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება საქართველოში.**

რედ. გ. კოპლატაძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2009, 71 გვ.

წიგნში უცხოური და ქართული წყაროების საფუძველზე მიმოხილულია ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხდების, დასავლეთ

საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად დამკვიდრების, საქართველოს ეკლესიისა და მისი ავტოკეფალიის საკითხები. ნაშრომს დართული აქვს ავტორის მოგონებები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ზე.

**ლოპუხინი ალექანდრე. ბიბლიის განმარტებანი, წიგნი I.**

თარგმნა თინათინ მეტრეველმა, რედ. დეკანოზი ზაქარია ძინძიბაძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2000, 431 გვ.

წიგნი წარმოადგენს რუსი ღვთისმეტყველის, ალექსანდრე პავლეს ძე ლოპუხინის (XIX ს.) მიერ შედგენილი წმინდა წერილის მრავალტომიანი განმარტების პირველ ნაწილს. პუბლიკაცია ამ ნაშრომის ქართულ ენაზე თარგმნის პირველი ცდაა.

**ლორთქიფანიძე გურამ, მშვილდაძე მარიკა. ბიბლიური არქეოლოგია.**

რედ.: მ. გიორგობიანი, ნ. კაჭარავა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012, 285 გვ.

ნაშრომში განხილულია ბიბლიური არქეოლოგიის განვითარების გზები, ბიბლიის სტრუქტურა და ქრონოლოგია (ძვ. წ. XII საუკუნიდან ახ. წ. II საუკუნემდე), ებრაელი ხალხის ისტორიისა და კულტურის საკითხები, ურის, მარის, ხარანის, ბაბილონის, იერუსალიმისა და სხვა არქეოლოგიური მასალების შესწავლის შედეგები. ასევე, წარმოდგენილია ბიბლიასთან დაკავშირებული სხვა აქტუალური საკითხები, ევოლუციონიზმისა და კრეაციონიზმის თეორიები, მაცხოვარსა და მის მიწიერ ცხოვრებასთან დაკავშირებული რეალიები. წიგნი ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ, ილია II-ის აღსაყდრების 35-ე წლისთავს.

**ლურსმანაშვილი ლია. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა სამოსში დაკარგული ქართული ელემენტებისა და გამოყენებული მასალების კვლევა.**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2006, 175 გვ.

წიგნში ასახულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა სამოსის ისტორია, აღწერილია მისი განვითარების ეტაპები, დროთა განმავლობაში დაკარგული ქართული ელემენტები და მათი აღდგენის საშუალებები, გამოყენებული მასალა, ნაქარგობა, ფერთა სიმბოლიკა და სხვ.

**მათიაშვილი აკაკი. აკრიანი-მარტომყოფი-მარტყოფი.**

რედ. ღ. არჩემაშვილი, თბილისი, 1998, 886 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს სამტომეულს, რომელშიც ასახულია ერთ-ერთი ყველაზე უძველესი – ორმოცდახუთსაუკუნოვანი ქართული სოფლის ისტორია ბრინჯაოს ხანიდან დღემდე. ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი 1970-1990 წლებში მარტყოფის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების აღწერასა და მისი შედეგების ჩვენებას, ანტონ მარტყოფელის მოღვაწეობის, მარტყოფის 1625 წლის ბრძოლის და, ზოგადად, ამ სოფლის მატიანის ყველა მნიშვნელოვანი და საგულისხმო ფურცლის გაშუქებას.

**მაისურაძე მ., მამულაშვილი მ., ღამბაშიძე ა., ჩხენკელი მ. ათონის მრავალთავი. იოანე ბოლნელის ქადაგებანი.**

რედ. ე. მეტრეველი, თბილისი, 1999, 288 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წერილობითი ძეგლის – ათონის მრავალთავის (X ს.) ისტორიულ-ლიტერატურული და ტექსტოლოგიური შესწავლის ცდას. ნაშრომში პირველადაა განხილული ქართული მრავალთავის ტიპოლოგიის საკითხები უცხოენოვან ჰომილეტიკურ კრებულებთან მიმართებით. წარმოჩენილია ათონის მრავალთავის რედაქციული თავისებურებანი, რომელიც მას დღემდე შემორჩენილი ყველა მრავალთავისაგან განასხვავებს. ათონურ კრებულში, გარდა ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლებისა, შეტანილია ორიგინალური ქართული ჰომილიებიც – წმ. იოანე ბოლნელისა. გამოკვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ამ უდიდესი ქართველი მქადაგებლის მოღვაწეობის დათარიღებას VII საუკუნით. წიგნს დართული აქვს იოანე ბოლნელის ქადაგებათა ტექსტები ათონის მრავალთავის მიხედვით.

**მამისთვალიშვილი ელდერ. ქრისტეს კვართის ისტორია.**

რედ. მ. ჩხარტიშვილი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, 191 გვ.

ნაშრომის პირველი თავები ეძღვნება უფლის კვართის შესახებ ბიბლიური მონაცემების აღნუსხვას, აგრეთვე, შუა საუკუნეების ქრისტიანულ ლიტერატურაში (აქცენტი კეთდება ქართულ წყაროებზე) დაცული ცნობების ანალიზს. მეორე ნაწილში კი ავტორი საუბრობს კვართის როლზე შუა საუკუნეების საქართველოსა და რუსეთის დიპლომატიაში. ნაშრომს ახლავს რუსული თარგმანი და ილუსტრაციები.

**მარსაგიშვილი ნინო. მშობლიური მთები მეძახიან.**

რედ. ი. გურიელი, 2010, 99 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ლექსების კრებულს, რომელიც ავტორმა მიუძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II-ს. წიგნში იბეჭდება ავტორის წერილი და ჩანახატი.

**მასლოვი ნ. ვ. მადლმოსილი ბერი სქემარქიმანდრიტი იოანე (მასლოვი).**

თარგმნა გვანცა კოპლატაძემ, რედ. გ. რუხაძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი 2004, 139 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ბიოგრაფიული ხასიათის თხზულება, რომელიც მოგვითხრობს თანამედროვე მოღვაწის, ღვთისმეტყველების მაგისტრის, დოცენტისა და სქემარქიმანდრიტის, იოანეს სამაგალითო ცხოვრების შესახებ.

**მახარაშვილი სოსო. თეოფილე ხუცესმონაზონი.**

რედ. გ. ბენაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2002, 207 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს XI საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერლის, თეოფილე ხუცესმონაზონის ცხოვრებისა და შემოქმედების მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას. ძირითადად ათონური მასალების საფუძველზე, განხილულია თეოფილეს ლიტერეტურული მოღვაწეობა, ორიგინალური და მთარგმნელობითი მემკვიდრეობა, ჰაგიოგრაფიული, ჰომილეტიკური, ეგზეგეტიკური, ასკეტურ-მისტიკური და დოგმატურ-პოლემიკური ჟანრის თხზულებათა თარგმანები.

**მაჩიტაძე ზაქარია. ქართველ წმიდათა ცხოვრება.**

„ბაკმი“, თბილისი, 2002, 297 გვ.

წიგნი წარმოადგენს საეკლესიო კალენდარს. მასში თავმოყრილია ყველა ქართველი წმინდანის ცხოვრება და შესულია თითოეული მათგანის ხატი. წიგნი ხელმეორედ გამოიცა 2007 წელს.

**მაჩურიშვილი გიორგი, ტოგონიძე ლუარსაბ. XVIII-XX საუკუნეში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა.**

რედ. დეკანოზი ზურაბ ცხოვრებაძე, მომზადებულია საქართველოს საპა-

ტრიარქოს პრეს-ცენტრში, თბილისი, 2012, 520 გვ.

წიგნში ავტორთა მიერ მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი მასალის საფუძველზე აღწერილია საქართველოს ეკლესია-მონასტრების ისტორია და სასულიერო პირთა ცხოვრება. ნაშრომს დართული აქვს მდიდარი ფოტოარქივი.

**მაჭავარიანი ელენე. ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა.**

რედ. ე. ხოშტარია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება", თბილისი, 1985, 57 გვ.

ნაშრომში ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა შესწავლილია გრაფიკული მონაცემების საფუძველზე. ჩატარებულია წარწერის შინაარსობრივი სტრუქტურის ანალიზი, ტექსტი შედარებულია ადრეული ხანის ეპიგრაფიკულ და ლიტერატურულ ძეგლებთან და ისტორიულ წყაროებთან. ყოველივე ამის საფუძველზე წარწერა დათარიღებულია V საუკუნით.

**მახარაძე მიხეილ. ძიებანი ქრისტიანული ფილოსოფიის ისტორიაში.**

რედ. დ. გოგოჭური, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტი, 1999, 160 გვ.

კრებულში განხილულია შუა საუკუნეების მსოფლმხედველობრივი საკითხები და კრიტიკულადაა შეფასებული ამ პერიოდის უმნიშვნელოვანეს ქრისტიან ფილოსოფოსთა ნააზრევი.

**მგალობლიშვილი თამილა. ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა.**

რედ. ე. მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება", 1978, 125 გვ.

წინამდებარე გამოცემით პირველად ქვეყნდება VI ს-ის მოღვაწის, ალექსანდრე კვიპრელის ერთ-ერთი თხზულების „საკითხავი პოვნისათვის პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა" კრიტიკულად დადგენილი ტექსტი. ტექსტს ახლავს გამოკვლევა, ვრცელი კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი.

**მგალობლიშვილი თამილა. ახალი იერუსალიმები საქართველოში.**

აღმასრულებელი რედაქტორები ლ. ხოფერია, მ. ჯანჯალია, ინგლისური თარგმანი ნინო მატარაძისა, ინგლისური ტექსტის რედ.: ლ. უესტი, ს. რაპი,

ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრი, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 2013, 102 გვ.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში წმ. ქალაქ იერუსალიმის ხატებათა შექმნა IV საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება. მათ ახალ იერუსალიმებს უწოდებენ. მათ შორის გამორჩეულია საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა და ასევე უძველეს ქართულ ისტორიულ პროვინციაში – ტაოში მდებარე ოთხთა ეკლესია. წიგნში ასახულია ამ ორი ქართული ქრისტიანული კერის ახალ იერუსალიმად ქცევის პროცესი და საფუძველი. ტექსტი წარმოდგენილია ორ – ქართულ და ინგლისურ ენაზე. გამოცემა ილუსტრირებულია. წიგნი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს.

**მელიქიშვილი დამანა. გელათი „სხუა ათინა და მეორე იერუსალიმ."**

2006, 45 გვ.

ნაშრომში წარმოდგენილია გელათის სკოლის ისტორია, განხილულია მისი ენობრივ-ლიტერატურული სტილი და მთარგმნელობითი მეთოდი.

**მელიქიშვილი დამანა, ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი (I ტ, ა-რ) (II ტ, ს-ჰ).**

რედ. ა. ხარანაული, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2010, I ტ., 279 გვ., II ტ., 313 გვ.

ლექსიკონის დიდი ნაწილი არეოპაგიტული კრებულითა და გელათის კატენებიანი ბიბლიის მასალით არის შევსებული. შეიცავს წმ. გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელების მიერ თარგმნილი კაბადოკიელი წმინდა მამების, წმ. ბასილი დიდისა და წმ. გრიგოლ ნოსელის, ასევე, ათანასე დამასკელისა და პროკლე დიადოხოსის შრომებისა და მათი მთარგმნელების – წმ. ეფრემ მცირის, წმ. არსენ იყალთოელისა და იოანე პეტრიწის თხზულებათა ლექსიკონს. წარმოდგენილია, აგრეთვე, ხელნაწერთა და მათი თარგმანების შესწავლის ისტორია, ტექსტების ანალიზი, ბიბლიოგრაფია.

წიგნი გამოცემულია ორ ტომად. პირველი ტომი მოიცავს სტყვებს „ა" ასოდან „რ" ასომდე, ხოლო მეორე ტომი მოიცავს სიტყვებს „ს" ასოდან „ჰ" ასომდე.

**მელიქიშვილი ნინო. ბასილი კესარიელის, გრიგოლ ნაზიანზელის, გრიგოლ**

**ნოსელისა და იოანე ოქროპირის ჰომილეტიკური თხზულებები ქართულ ენაზე.**

რედ. ე. ჭელიძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, 2000, 134 გვ.

ნაშრომში წარმოდგენილია IV საუკუნის სამი დიდი კაპადოკიელი მამის – წმ. ბასილი დიდის, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის, წმ. გრიგოლ ნოსელისა და, მათთან ერთად, წმ. იოანე ოქროპირის ქართულ ენაზე თარგმნილი ჰომილეტიკური თხზულებები. ნაშრომს საფუძვლად უდევს ძველი ქართული მწერლობის თვალსაჩინო მკლევრის, აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ფუძემდებლური შრომები.

**მელიქიშვილი ნინო. ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანები.**

რედ. ე. ჭელიძე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისის სასულიერო აკადემია, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „ალილო“, თბილისი, 2009, 316 გვ.

წიგნში მოწოდებულია ზოგადი ცნობები ბიბლიის, აგრეთვე, ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანების შემცველ ხელნაწერთა შესახებ. საუბარია მეთოდოლოგიაზე, რომლითაც ხდება თარგმანთა პირველწყაროს ძიება. მიმოხილულია ის მთარგმნელობითი პრინციპები, რითაც განხორციელდა წმინდა წერილის ქართულ ენაზე გადმოღება.

**მელიქიშვილი ნინო, მაისურაძე მანანა. ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან I (ბიბლიოლოგია, ჰომილეტიკა).**

რედ. მთავარეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი), ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მაქსიმე აღმსარებლის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ცენტრი, „აღმსარებელი“, თბილისი, 2012, 600 გვ.

წიგნი იყოფა ორ ნაწილად. პირველში შედის „ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანები“. მოწოდებულია ცნობები ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანების შემცველ ხელნაწერთა შესახებ, საუბარია ქართულ თარგმანთა პირველწყაროს ძიების მეთოდოლოგიაზე, მიმოხილულია წმინდა წერილის ქართულ ენაზე გადმოღების მთარგმნელობითი პრინციპები. ნაშრომს დართული აქვს ბიბლიოლოგიის სფეროში გამოქვეყნებული ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის და გამოცემული ბიბლიური ტექსტების ვრცელი ბიბლიოგრაფია. მეორე ნაწილში შედის „ქართული ნათარგმნი და ორიგინალური ჰომილეტიკური ლიტერატურა“. ნაშ-

რომი დაფუძნებულია კორნელი კეკელიძის ფუნდამენტურ გამოკვლევაზე – „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“ და, ამასთან ერთად, ითვალისწინებს უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებს.

**მერკვილაძე დავით. ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დრო.**

რედ. გ. ჯამბურია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1996, 36 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს ასურელი მამებისადმი (VI ს.) მიძღვნილი მონოგრაფიის ერთ ნაწილს. მასში განხილულია ასურელ მამებთან დაკავშირებული ქრონოლოგიური საკითხები.

**მესხი თამარ. „რაჲთა ყოველნი ერთ იყვნენ.“**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ბერძნული კულტურისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევის სამეცნიერო ცენტრი, თბილისი, 2002, 223 გვ.

ნაშრომის მიზანია, სათანადო ცოდნა მიაწოდოს მართლმადიდებლური სარწმუნოების შეცნობით დაინტერესებულ მკითხველს.

**მეტრეველი ე. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი.**

რედ.: მ. დოლაქიძე, მ. მამაცაშვილი, თბილისი, 1998, 448 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს ათონის ქართველთა მონასტრის 1074 წლის ხელნაწერის „ათონის კრებული“ ერთი ნაწილის – „სააღაპე წიგნის“ – პუბლიკაციას. ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა ათონზე ქართველთა მოღვაწეობის შესასწავლად, მონასტრის დაარსების დღიდან (983 წ.) XII-XIII საუკუნეებამდე. წიგნი გამიზნულია ფილოლოგების, ისტორიკოსებისა და კოდიკოლოგებისათვის.

**მეტრეველი ელენე. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ნაკვეთი I.**

რედ.: თ. ოთხმეზური, თ. ცერაძე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, „არტანუჯი“, თბილისი, 2007, 324 გვ.

წიგნი წარმოადგენს წერილების კრებულს. მასში შესულია ათონური კვლევები, ნაშრომები შავი მთის ქართველი მწიგნობრებისა და წმინდა მიწის ქართული სიძველეების შესახებ და სხვ. ეძღვნება ელენე მეტრეველის დაბადებიდან 90 წლისთავს.

**მეტრეველი ელენე. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, II.**

რედ.: თ. ოთხმეზური, თ. ცერაძე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, „არტანუჯი“, თბილისი, 2012, 370 გვ.

წიგნი წარმოადგენს სტატიების კრებულს. მასში შესულია სამეცნიერო ნაშრომები, სიტყვები და გამოხმაურებები. ეძღვნება ელენე მეტრეველის დაბადებიდან 95-ე წლისთავს.

**მეტრეველი საბა. წმინდა ასურელ მამათა „წამება – ცხოვრებანი“.**

რედ. ლ. გრიგოლაშვილი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 2010, 199 გვ.

წიგნში თავმოყრილია მეცნიერებაში სხვადასხვა დროს გამოთქმული მოსაზრებები წმ. ასურელ მამათა (VI ს.) რაოდენობის, ქართლში მოსვლის დროისა და მიზნის, მათი აღმსარებლობისა და წარმომავლობის შესახებ, განხილულია მათი „წამება – ცხოვრებანის“ რედაქციები და პროტორედაქციები, გადმოცემულია მათ სახელთან დაკავშირებული ეკლესია-მონასტრების დაარსების ისტორია.

**მეტრეველი როინ. პატრიარქი – ერის სულიერი მამა.**

რედ. ბ. კუდავა, „არტანუჯი“, თბილისი, 2008, 91 გვ.

წიგნში გადმოცემულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ბიოგრაფია და განხილულია მის მიერ პატრიარქობამდე განვლილი გზა. საუბარია პირველი საპატრიარქოებისა და ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების შესახებ, რომელმაც საფუძველი დაუდო პატრიარქობის ინსტიტუტის შემოღებას. პუბლიკაცია ეძღვნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს, ილია II-ს.

**მილაში ნიკოდიმოს. წმ. ბასილი კესარია-კაპადუკიის ეპისკოპოსის პირველი ეპისტოლე კანონთა შესახებ ამპილოქე იკონიის ეპისკოპოსის მიმართ.**

2002, 59 გვ.

წიგნში წარმოდგენილია ავტორის მიერ განმარტებული წმინდა ბასილი დიდის (IV ს.) ეპისტოლე, რომელიც ეხება სწავლებას ცოლ-ქმრული ურთიერთობის, მრუშობის, მუცლადმყოფი ჩვილის მკვლელობის, უნებლიე მკვლელობის, ბრძოლისას ჩადენილი მკვლელობის, მევახშეობის და სხვ. შესახებ.

**მინდიაშვილი აკაკი. ქრისტიანულ-რელიგიური ნაკადი აკაკის შემოქმედებაში.**

იბეჭდება ანჩისხატის ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ რევაზ ტომარაძის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2003, 171 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს XIX საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწის, აკაკი წერეთლის შემოქმედების ქრისტიანულ-რელიგიური კუთხით განხილვის მცდელობას. წიგნი დაეხმარება მკითხველს, ჩასწვდეს აკაკის შემოქმედების სულიერებას.

**მინდიაშვილი აკაკი. მწუხარეთა ნუგეშისათვის.**

რედ. დეკანოზი თეოდორე გიგნაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,უწმინდესისა და უნეტარესის,ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, რეცენზირებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, თბილისი, 2005, წიგნი I, 339 გვ., წიგნი II, 348 გვ.

წიგნში წარმოდგენილია სხვადასხვა საღვთისმეტყველო საკითხი,რომლებიც განხილული და განმარტებულია წმინდა წერილისა და საღვთო გადმოცემის, დიდი სჯულისკანონისა და ეკლესიის წმინდა მამათა სწავლების მიხედვით.

**მინდიაშვილი აკაკი. ქრისტეს გზა გოლგოთისაკენ.**

რედ. დეკანოზი თეოდორე გიგნაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2008, 336 გვ.

წიგნში წარმოდგენილი საკითხები განხილული და განმარტებულია წმინდა წერილისა და საღვთო გადმოცემის, „დიდი სჯულისკანონისა“ და წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის მამათა სწავლების მიხედვით.

**მინდიაშვილი აკაკი. შენი ვარ, უფალო, მაცხოვნე მე.**

რედ. დეკანოზი თეოდორე გიგნაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2008, 272 გვ.

წიგნში წარმოდგენილი საკითხები განხილული და განმარტებულია წმინდა წერილისა და საღვთო გადმოცემის, „დიდი სჯულისკანონისა“ და წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის მამათა სწავლების მიხედვით.

**მინდიაშვილი აკაკი. ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია.**

რედ. დეკანოზი თეოდორე გიგნაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2008, 384 გვ.

წიგნში წარმოდგენილი საკითხები განხილული და განმარტებულია წმინდა წერილისა და საღვთო გადმოცემის, „დიდი სჯულისკანონისა“ და წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის მამათა სწავლების მიხედვით.

**მინდიაშვილი აკაკი. ჩვენთან არს ღმერთი.**

რედ. დეკანოზი თეოდორე გიგნაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,უწმინდესისა და უნეტარესის,ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2008, 464 გვ.

წიგნში წარმოდგენილი საკითხები განხილული და განმარტებულია წმინდა წერილისა და საღვთო გადმოცემის, „დიდი სჯულისკანონისა“ და წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის მამათა სწავლების მიხედვით.

**მინდიაშვილი აკაკი. მოდით ჩემთან.**

რედ. დეკანოზი თეოდორე გიგნაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,უწმინდესისა და უნეტარესის,ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2010, 364 გვ.

წიგნში წარმოდგენილი საკითხები განხილული და განმარტებულია წმინდა წერილისა და საღვთო გადმოცემის, „დიდი სჯულისკანონისა“ და წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის მამათა სწავლების მიხედვით.

**მინდიაშვილი აკაკი. სიკვდილიდან უკვდავებისაკენ.**

რედ. დეკანოზი თეოდორე გიგნაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2012, 455 გვ.

წიგნში წარმოდგენილი საკითხები განხილული და განმარტებულია წმინდა წერილისა და საღვთო გადმოცემის, „დიდი სჯულისკანონისა“ და წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის მამათა სწავლების მიხედვით.

**მინდიაშვილი აკაკი. სულს ნუ ჩავიქრობთ.**

რედ. დეკანოზი თეოდორე გიგნაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-

კურთხევით, 2012, 496 გვ.

წიგნში წარმოდგენილი საკითხები განხილული და განმარტებულია წმინდა წერილისა და საღვთო გადმოცემის, „დიდი სჯულისკანონისა“ და წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის მამათა სწავლების მიხედვით.

**მირიანაშვილი ლადო. ბერთუბნის მონასტრის ფრესკები.**

ფონდ „უდაბნოს“ ბიბლიოთეკა, 1998, 14 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია ბერთუბნის მონასტრის ფრესკების ამსახველი ფოტომასალა.

**მირაშვილი ნანა. მონანიე და განდეგილი დედები ქართულ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიაში (X-XI საუკუნეების ხელნაწერების მიხედვით).**

რედ.: ე. გაბიძაშვილი, ჟან პიერ მაე, თბილისი, 2009, 358 გვ.

ნაშრომში პირველად ქვეყნდება მონანიე და ბერის ტანსაცმლით შემოსილი განდეგილი დედების: ტასია მეგვიპტელის, პელაგია ანტიოქელის, მარიამ მეგვიპტელის, აბრაჰამის ძმისწული მარიამის, უცნობი მონანიე ალექსანდრიელი ქალის, კანონიკე მძოვარის, მავრიანეს, ევგენიოსის ასულ მარიამის ცხოვრებათა კრიტიკულად დადგენილი ტექსტები. წარმოდგენილია შესწავლილ ცხოვრებათა ავტორების, პერსონაჟებისა და გეოგრაფიული ადგილების ფართო კვლევა, ასევე, ქართულ-ფრანგული ლექსიკონი.

**მიქავა ბესარიონ. დიდების მხედარი.**

დაიბეჭდა წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ რომანოზის (ჩიქობავა) ლოცვა-კურთხევით, 2004, 216 გვ.

წიგნში შესულია ქადაგებები და წერილები სხვადასხვა სასულიერო საკითხზე.

**მუმლაძე კარპე. ჩვენთან არს ღმერთი.**

რედ. მ. ასათიანი, „მერანი“, თბილისი, 1991, 81 გვ.

წიგნში მოთხრობილია ქალაქ რუსთავში მღვდელმსახურების აღდგენის შესახებ.

**მშვენიერაძე დალი. ბერის დიადემა.**

სამთავროს წმ. ნინოს დედათა მონასტერი.

გამოიცა მთავარეპისკოპოს სერაფიმეს (ჯოჯუა) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2009, 318 გვ.

წიგნში საქართველოს საპატრიარქოს არქივში მოძიებულ ინფორმაციასა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია არქიმანდრიტ გაბრიელის (ერისკაცობაში გოდერძი ვასილის ძე ურგებაძე, 1929-1995) ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდი.

**მშვილდაძე მარიკა. ადრეული ქრისტიანობა საქართველოში.**

რედ. გ. ლორთქიფანიძე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი, „უნივერსალი“, თბილისი, 2008, 157 გვ.

წიგნში განხილულია პირველი ქრისტიანული წყაროები, ქრისტიანული ცივილიზაციის დამკვიდრების ზოგიერთი ასპექტი. საუბარია იბერიასა და კოლხეთზე ახ. წ. აღ. I-IV სს.-ში, რელიგიისა და ქვეყნის ორიენტაციის საკითხებზე, ქრისტიანობის გავრცელებასა და რომის ლეგიონებზე საქართველოში. ნაშრომს ახლავს ტაბულები და მათი აღწერილობა.

**მშვილდაძე მარიკა. ადრეული ქრისტიანობის ისტორია.**

რედ. გ. ლორთქიფანიძე, თსუ, თბილისი, 2009, 152 გვ.

ნაშრომი რომის იმპერიის მაგალითზე განხილულია ადრეული ქრისტიანობის (325 წ. ნიკეის საეკლესიო კრებამდე) ისტორია წერილობით წყაროებზე, არქეოლოგიურ მასალასა და ეპიგრაფიკულ ძეგლებზე დაყრდნობით. გაანალიზებულია პირველი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის არსი, გავრცელების არეალი, აღწერილია მის მიმდევართა დევნის მიზეზები. წიგნში შესულია რომის იმპერატორთა სრული ნუსხა. ტექსტს ახლავს ილუსტრაციები და ფოტომასალა.

**მჭედლიძე გიორგი, კეზევაძე მერაბ. ქუთაის-გაენათის ეპარქია.**

რედ. მ. ქურდიანი, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, გელათის მეცნიერებათა აკადემია, „ხომლი ენ“, ქუთაისი, 2008, 575 გვ.

ნაშრომში არსებული წყაროებისა და ისტორიული ცნობების გათვალისწინებით, აღწერილია საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარის – აფხაზეთის (დას. საქართველო) – საკათალიკოსოს ეპარქიების ისტორია დაარსებიდან დღევანდელობამდე.

**მჭედლიშვილი თინათინ. ღვაწლი და წამება, სავედრებელი პარაკლისი**

**და დაუჯდომელი საგალობელი წმიდათა ასი ათასთა მოწამეთა, ხვარაზმელთაგან თბილისში წამებულთა.**

დაიბეჭდა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით, 2007, 56 გვ.

წიგნში მოთხრობილია ხვარაზმელთაგან წამებული ასი ათასი მოწამის ღვაწლის შესახებ. მოწამეთა სავედრებელი პარაკლისისა და დაუჯდომელი საგალობლის ტექსტებს საფუძვლად დაედო თხზულება „ღუაწლი და ვნება წმიდათა ათთა-ბევრთა მოწამეთა“ და მოწამეთა კერძო საღვთისმსახურო ლიტურგიკული ტექსტები.

**ნადარაია ფაუსტ. გიორგი ჭყონდიდელი.**

ჭყონდიდის ეპარქია, 2004,28 გვ.

ბროშურაში მოთხრობილია გიორგი ჭყონდიდელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

**ნადიბაიძე დალი. წმიდა მამების ხატის შესახებ.**

რედ.: ა. ოქროპირიძე, გ. კოპლატაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, „ლოგოსი“, თბილისი, 2005, 40 გვ.

ნაშრომში განხილულია ხატის შექმნის ისტორია და ანტიკური მოტივები ადრექრისტიანულ მხატვრობაში. ნაჩვენებია, რა გავლენა განიცადა ადრექრისტიანულმა მხატვრობამ ანტიკური და იუდაური სახვითი ხელოვნებისაგან, რა მიიღო აღმოსავლური, სირიულ-პალესტინური სკოლისგან და როგორ ჩამოყალიბდა ორიგინალური, ქრისტიანული მხატვრობა წმ. მამათა დადგენილებითა და მითითებით. ბროშურა ილუსტრირებულია. იგი ხელმეორედ გამოიცა 2007 წელს.

**ნადიბაიძე ლალი. სიკეთე და მშვენიერება წმიდა მამათა შრომების მიხედვით.**

რედ. ვ. ასათიანი, „ლოგოსი“, თბილისი, 2006,158 გვ.

ნაშრომში განხილულია წმინდა მამათა სწავლება სიკეთისა და მშვენიერების შესახებ. საკითხი შესწავლილია წმინდა წერილის კომენტარების, ბერძნულ-ლათინური წყაროებისა და ძველი ქართული თარგმანების საფუძველზე.

**ნადირაძე ელდერ, ნადირაძე თებრო. უდაბნო საღვთო შემოკრებულთა.**

რედ: ზ. თვალჭრელიძე, იბეჭდება მანგლისის მთავარეპისკოპოს ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2001, 129 გვ.

წიგნში წარმოდგენილია დავით გარეჯის უდაბნოს ეთნოგრაფიული კვლევა. ბოლო პერიოდში იგი აქტიური შესწავლის ობიექტად იქცა ხელოვნებათმცოდნეობითი,ისტორიული თუ არქეოლოგიური თვალსაზრისით. წიგნში მოცემული მასალა გარკვეულ წვლილს შეიტანს ამ საქმეში.

**ნადირაძე ელდერ. ვინ არიან და რა სურთ იეღოველებს.**

რედ. ე. ჯაველიძე, იბეჭდება მანგლის-წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით, „ლაზარე", თბილისი, 2003, 51 გვ.

ბროშურაში საუბარია საქართველოში „იეღოვას მოწმეთა" სექტის უფლებრივი მდგომარეობისა და მათი უკანონო საქმიანობის შესახებ.

**ნადირაძე ელდერ. მსოფლიოს რელიგიები.**

რედ.: ვ. შამილაძე,მ. ჩიკვილაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „მერიდიანი", თბილისი, 2008, 261 გვ.

ნაშრომში გადმოცემულია მსოფლიოს რელიგიების ისტორია და მოთხრობილია თითოეული მათგანის სწავლების შესახებ.

წიგნი არის მესამე,შესწორებული და ილუსტრირებული გამოცემა.

**ნატროშვილი ვენერა, ფსალმუნები**

რედ. ეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი), დაიბეჭდა ბოლნისისა და დმანისის ეპისკოპოს თადეოზის, (იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2002, 359 გვ.

წიგნი ლიტერატურულ-პოეტური კრებულია. ბოლოს ერთვის ლექსების ავტორის სავედრებელი „ო, ნუ გამწირავ!".

**ნიკაჭაძე ქეთევან. ტაბაკინის წმ. გიორგის სახელობის მონასტერი.**

რედ. მ. კეზევაძე, წიგნი იბეჭდება ცხუმ-აფხაზეთისა და მარგვეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2003, 41 გვ.

ბროშურაში მოთხრობილია ზესტაფონის რაიონის სოფ. ტაბაკინის წმ. გიორგის ძლევის მონასტრის ისტორია. აქ, შეძლებისდაგვარად, თავმოყრილ-

ია მონასტერთან დაკავშირებული მთელი ისტორიული მასალა.

**ნიკოლაევა მარიამ. სადიდებელი წმიდა ალექსი ბერისა (შუშანიასი).**

რედ. გ. კოპლატაძე, დაიბეჭდა სენაკისა და ჩხოროწყუს ეპისკოპოს შიოს (მუჯირი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2009, 67 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ლექსების კრებულს, რომელიც ეძღვნება ქართველ ბერს, წმ. ალექსი შუშანიას (1852-1923).

წიგნი მეორედ გამოიცა 2010 წელს.

**ნიკოლაიშვილი ოთარ, გაბრიელ ბერი და მოძღვრის პრობლემა.**

დაიბეჭდა ბოლნისისა და დმანისის მთავარეპისკოპოს თადეოზის (იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2002, 92 გვ.

წიგნში აღწერილია გაბრიელ ბერის (ერისკაცობაში გოდერძი ვასილის ძე ურგებაძე, 1929-1995) ცხოვრება, მისი სიცოცხლის ბოლო დღეები. განხილულია სულიერი მოძღვრის როლი ქრისტიანის პიროვნული ჩამოყალიბების საკითხში.

**ნიკოლაიშვილი ოთარ. მამა გაბრიელის ნაუბარი I.**

დაიბეჭდა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოს თადეოზის (იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2009, 143 გვ.

წიგნში გადმოცემულია ბერი გაბრიელის (ერისკაცობაში გოდერძი ვასილის ძე ურგებაძე, 1929-1995) ნააზრევი ნათლობის, ცოდვათა მიტევების, აბორტის და სხვა საკითხების შესახებ.

**ნიკოლაიშვილი ოთარ. პატიმართა იმედი და ნუგეში.**

რედ. გ. ხახიძე, დაიბეჭდა შემოქმედელ მიტროპოლიტ იოსების (კიკვაძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2009, 260 გვ.

წიგნის მიზანია, სიმართლე აუწყოს მკითხველს პატიმართა ცხოვრების შესახებ. ინფორმაცია ყოფილი ორთაჭალის ციხის სიკვდილმისჯილთა საკნებისა და დასახვრეტი ოთახის შესახებ მოწოდებულია ყოფილი პატიმრის, ირაკლი დოკვაძის მიერ.

**ნიკოლეიშვილი ავთანდილ. გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე).**

რედ. ვ. ხარჩილავა, დაიბეჭდა ქუთაის-გაენათისა და ცაგერ-ლეჩხუმ-სვანე-

თის ეპარქიების მთავარეპისკოპოს კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით, მერანი, თბილისი, 1990, 124 გვ.

წიგნში აღწერილია იმერეთის ეპისკოპოსის, გაბრიელ ქიქოძის (1825-1896) ცხოვრება და საზოგადოებრივი ღვაწლი, გაანალიზებულია მისი სიტყვები და ქადაგებები.

**ნუცუბიძე ქეთევან. იოანე მოსხი (ისტორიული რომანი).**

რედ. მ. გუგუშვილი, 1989, 135 გვ.

იოანე მოსხი ცნობილი იყო, როგორც თხრობათა კრებულის, „სამოთხის,“ ავტორი. ამ წიგნს სიკეთისა და ბოროტების „უტყუარ სარკეს“ უწოდებდნენ. წინამდებარე ისტორიული რომანი იოანე მოსხის პიროვნების წარმოჩენას ეძღვნება.

**Oთარაშვილი ლექსო, შათირიშვილი ტატიანა. თქვენს კალთებს ქვეშ, უწმინდესო.**

რედ. ვ. ზამთარაძე, თბილისი, 2010, 80 გვ.

წიგნში შესულია თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის სტუდენტთა შემოქმედება: პოეზია, პროზა და მხატვრობა რელიგიურსა და პატრიოტულ თემებზე. წიგნი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრების საიუბილეო თარიღს.

**ოთხმეზური თამარ. კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში (ეფრემ მცირე და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარები).**

რედ. ა. ხარანაული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011, 318 გვ.

ნაშრომში შესწავლილია ადრექრისტიანული სასულიერო მწერლობის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის, IV საუკუნის კაპადოკიელი მამის, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ბასილი მინიმუსის კომენტარების ეფრემ მცირისეული (XI ს.) თარგმანები. კვლევის მიზანია, წარმოაჩინოს კომენტარული ხასიათის თხზულებათა ქართული თარგმანების როლი და მნიშვნელობა XI-XII საუკუნეებში ახალი, ელინოფილური აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

**ოსიპოვი ალექსი. ვის სჭირდება მაცხოვარი?**

წიგნებზე მუშაობდნენ ლონდა ჯიქია და მზია მიქელაძე, დაიბეჭდა ნეკრესელ მთავარეპისკოპოს სერგის (ჩეკურიშვილი) ლოცვა-კურთხევით, ნეკრესის ეპარქია, 2000, 33 გვ.

ბროშურაში საუბარია ქრისტიანობის არსსა და მაცხოვრის ჯვარცმაზე. ნაშრომი თარგმნილია რუსულიდან.

**ოსიპოვი ალექსი. რატომ არის მართლმადიდებლობა ჭეშმარიტი რელიგია. პროგრესი, რომელიც უარყოფს ქრისტეს, რეგრესად იქცევა.**

რუსულიდან თარგმნა მაკა ბულიამ, რედ. დეკანოზი გიორგი ჯგუშია, ზუგდიდი, 2001, 31 გვ.

ბროშურაში განხილულია მართლმადიდებლური რელიგიის რაობა.

**ოსიპოვი ალექსი. სამი ლექცია მართლმადიდებლობაზე.**

რუსულიდან თარგმნეს მაკა ბულიამ, ნანა ეხვაიამ, ბადრი ლოგუამ, რედ. დეკანოზი გიორგი ჯგუშია, იბეჭდება ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოს გერასიმეს (შარაშენიძე) ლოცვა-კურთხევით, ზუგდიდი, 2002, 48 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია პროფესორ ალექსი ოსიპოვის ლექციები, რომელშიც ის მოკლედ საუბრობს ქრისტიანობის არსსა და სულიერი ცხოვრების საფუძვლებზე.

**პავლიაშვილი ქეთევან. კათოლიკური ეკლესია და საქართველო (XVII საუკუნის I ნახევარი).**

რედ. ი. ტაბაღუა, დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით, „მეცნიერება“, თბილისი, 1994, 179 გვ.

წიგნში განხილულია XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს სამეფო-სამთავროებისა და ირანის იმპერიის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის საკითხი დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ნაჩვენებია, რომ ამ საქმეში შუამავლის როლს ასრულებდა კათოლიკური ეკლესიის ცენტრი – ვატიკანი, რაც ხელს უწყობდა კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას მთელ აღმოსავლეთში, კერძოდ კი, მართლმადიდებლურ საქართველოსა და მაჰმადიანურ ირანში.

**პავლიაშვილი ქეთევან. საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში.**

რედ. თ. ბოცვაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, თბილისი, 1995, 252 გვ.

ნაშრომში განსაზღვრულია საქართველოს საეგზარქოსოს ადგილი და მნიშვნელობა რუსეთის იმპერიის საეკლესიო და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამასთან, წარმოჩენილია საეგზარქოსოს პოლიტიკა საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ, ქართული ეკლესიის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ქართველი სამღვდელოების ადგილი და როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

**პავლიაშვილი ქეთევან. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწილი პირველი.**

რედ. მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), წიგნი დაიბეჭდა და გამოიცა მანგლელ-წალკელ მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2008, 552 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს სახელმძღვანელოს, რომელიც მოიცავს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიას 1800-1945 წლებში. გადმოცემულია მეფის რუსეთის, რუსეთის „დროებითი მთავრობისა“ და საბჭოთა წყობილების ეპოქებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში განვითარებული მოვლენები. წიგნი განკუთვნილია სტუდენტი ახალგაზრდობისა და ფართო საზოგადოებისათვის.

**პავლიაშვილი ქეთევან. ქრისტიანობის ისტორია.**

რედ.: მანგლელ-წალკელი მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), ო. ჟორდანია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, „მერიდიანი“, თბილისი, 2010, 711 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს სახელმძღვანელოს, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში შესულია ქრისტიანული ეკლესიის ისტორია დასაბამიდან განყოფამდე (1054 წ.), მეორის თემას წარმოადგენს კათოლიციზმი, რეფორმაცია და მართლმადიდებლობა. ორივე ნაწილში განხილულია ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეკლესიის მდგომარეობა შესაბამის ეპოქაში. წიგნში ასახულია ქრისტიანობასთან დაკავშირებული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, იდეოლოგიურ-კულტურული, სოციალ-ეკონომიკური საკითხები, გაანალიზებულია ქრისტიანობის როლი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში, ახალი მსოფლმხედველობისა და ეპოქის ფორმირებაში.

**პაპიაშვილი იაკობ. ქართველ ებრაელთა წარმომავლობის და ქართული**

**ასომთავრული ანბანის შექმნის საკითხისათვის.**

რედ. თ. წოწონავა, „ქუთაისი“, 1993, 58 გვ.

პუბლიკაციაში წამოყენებულია ჰიპოთეზა ქართველ ებრაელთა კავკასიური წარმომავლობის შესახებ, გამოთქმულია მოსაზრებები ქართული ასომთავრული ანბანის შექმნასა და იბერიაში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასთან დაკავშირებით.

**პაპუაშვილი ნუგზარ. რელიგიის კარიბჭე (რელიგიის ისტორიის შესავალი).**

სახელმძღვანელო პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებისათვის და დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და სტუდენტებისათვის; თბ., 1996, 365 გვ.

წიგნში განხილულია რწმენისა და ღვთისმეტყველების ზოგადი და კონკრეტული საკითხები, მსოფლიოს რელიგიები და მათი ლიტერატურული წყაროები; ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია ქრისტიანული თეოლოგიის, ეკლესიისა და მისი განშტოებების მიმართ; საუბარია ერესებისა და სექტების თეორიებსა და ისტორიაზე; მოცემულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოკლე ისტორია და ნაჩვენებია ქართული კულტურის ქრისტიანული საფუძვლები.

**პაპუაშვილი ნუგზარ. საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის.**

თბ., 1996, 32 გვ.

ბროშურაში მოცემული პერიოდი ძირითადად მიმოხილულია მაშინდელი პრესის მონაცემებსა და კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის პირადი საარქივო ფონდის მასალებზე დაყრდნობით, გამოყენებულია, აგრეთვე, მოგონებები და ზეპირი გადმოცემები; ყურადღება გამახვილებულია რეფორმების იდეაზე, რომელიც ავტოკეფალიის განახლებისათვის ბრძოლის პროცესში აღმოცენდა; განხილულია შიდასაეკლესიო დაპირისპირების, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკვანძო საკითხები.

**პაპუაშვილი ნუგზარ. მსოფლიო რელიგიები საქართველოში.**

თბ., 2002, 232 გვ.

ნაშრომში წარმოდგენილია იმ რელიგიური სისტემებისა და აღმსარებლობების ანალიზი, რომლებსაც საქართველოს წარსული და დღევანდელობა იცნობს. გამორჩეული ადგილი ეთმობა ქრისტიანულ მოძღვრებასა და ღვთისმსახურებას; ყურადღება გამახვილებულია ეკლესიისა და სამო-

ქალაქო საზოგადოების ურთიერთობის პრობლემურ საკითხებზე, ადამიანის უფლებებსა და ტოლერანტობის კულტურაზე თანამედროვე საქართველოში. ამ წიგნში პირველადაა მოცემული პოსტსაბჭოური საქართველოს არამართლმადიდებელ ქრისტიანთა და არაქრისტიანთა დემოგრაფიული მდგომარეობის ანალიზი, რომელიც შესრულებულია ავტორის მიერ.

**პაპუაშვილი ნუგზარ. საქართველო და მსოფლიოს რელიგიები. მიმოხილვა და ლექსიკონი.**

თბ., 2004, 220 გვ.

ნაშრომში მოკლედ და პოპულარული ენით არის განხილული ის რელიგიური სისტემები, რომლებიც მსოფლიოში დღესაც არსებობენ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცნობიერებაზე გავლენას ახდენენ; მეტი ადგილი იმ დენომინაციებს ეთმობა, რომლებსაც საქართველოს ისტორია და თანამედროვეობა იცნობს. ამ წიგნში დაზუსტებულია თანამედროვე საქართველოს რელიგიური დემოგრაფიის ის ცხრილი (ტაბულა), რომელიც ავტორმა 2002 წელს საველე სამუშაოს საფუძველზე შეადგინა.

**პაპუაშვილი ნუგზარ. გრიგოლ ფერაძე სარწმუნოების და მოქალაქეობის შესახებ. გამოკვლევა, ბიბლიოგრაფია, ქადაგებები, შენიშვნები, დანართი.**

თბ., 2006, 212 გვ.

წიგნში წარმოდგენილია მასალები მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ; ქადაგებათა ტექსტები საფუძვლიანად არის გადამუშავებული ენობრივი თვალსაზრისით გამომცემლის მიერ; განმარტებულია ამ მასშტაბის რედაქციის მოტივი და მიზანი; მოცემულია ვრცელი კომპილაცია იმ ნაშრომებისა, რომლებშიც ამ წმ. მამის ბიოგრაფიისა და შემოქმედების საკითხებია გაანალიზებული; დანართში შესულია გრ. ფერაძის გერმანულენოვანი ორი წერილისა და ერთი სიტყვის ქართული თარგმანი; ახლავს ვრცელი გერმანული რეზიუმე.

**პაპუაშვილი ნუგზარ, ბაგრატიონი გაბრიელ. სიმართლისა და სამართლისათვის ივლიტის ეკლესიაზე.**

თბ., 2006, 54 გვ.

პუბლიკაციაში განხილულია ახალციხის რაიონის ერთი საეკლესიო შენობის საკუთრების საკითხი; საუბარია საეკლესიო ნაციონალიზმსა და, კერძოდ, ფილეტიზმზე, მის ისტორიასა და ამ მოვლენის ურთიერთობაზე საეკლესიო ტრადიციასთან; ნაჩვენებია ცნობილი ქართველი მართლ-

მადიდებლების, მათ შორის, წმინდანების პოზიტიური დამოკიდებულება საქართველოში მოქმედ კათოლიკურ ეკლესიასთან. დანართში წარმოდგენილია წმ. კირიონის ეპისტოლე რომის პაპთან.

**პაპუაშვილი ნუგზარ. ახალი აღთქმა და მისი ქართული თარგმანი.**

რედ. ზ. კიკნაძე, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის თსუ მესხეთის ფილიალი, თბილისი, 2007, 272 გვ.

ნაშრომის მიზანია, პასუხი გასცეს შემდეგ კონცეპტუალურ კითხვებს: როგორ აითვისა წმინდა წერილი ქართულმა ენამ,რომელსაც ჩვენ ძველ ქართულს ვუწოდებთ,როგორ იცვალა მან სახე თარგმანის წყალობით და რა სახე მიიღო წმიდა წერილმა ქართულ თარგმანში.

**პაპუაშვილი ნუგზარ. ახალი აღთქმა და მისი ქართული თარგმანი. Das Neue Testament und seine georgische Übersetzung.**

თბ., 2007, 272 გვ.

წიგნის პირველ ნაწილში ვრცლადაა მიმოხილული ახალი აღთქმის ისტორიული და ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური საკითხები, დედნისეულ ტექსტთან დაკავშირებული პრობლემები, ძველი თარგმანები, პირველხარისხოვანი ხელნაწერები და საეტაპო მნიშვნელობის გამოცემები. დიდი ადგილი აქვს დათმობილი სინის მთის ახალ კოლექციაში ალბანური ტექსტების გამოვლენის ფაქტს, ახალი აღთქმის თარგმანს კავკასიის ალბანთა ენაზე და კავკასიის ალბანოლოგიის ისტორიას. მეორე ნაწილში საუბარია ახალი აღთქმის ქართული თარგმანის ისტორიაზე დასაბამიდან XXI ს-მდე; მოცემულია თარგმანთა და რედაქციათა ვრცელი მიმოხილვა, საკითხის შესწავლის ისტორიის დეტალები, უმთავრესი ხელნაწერებისა და გამოცემების აღწერილობები, რისთვისაც, ზოგ შემთხვევაში, გამოყენებულია ავტორის მიერ გამოვლენილი მასალა ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან და ერთჯერადი გამოცემებიდან. წიგნს ახლავს ვრცელი გერმანული რეზიუმე და ბიბლიოგრაფია.

**პაპუაშვილი ნუგზარ. კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული ძიებანი გაზეთ „დროების“ მასალების მიხედვით.**

გამოკვლევა და კატალოგი, თბ., 2008, 334 გვ.

ნაშრომში განხილულია საქართველში ძველი ხელნაწერი წიგნების, დოკუმენტებისა და გრაგნილების მოძიების, აღნუსხვის, დაცვისა და შესწავლის საკითხები, გაზეთ „დროების“ წვლილი ამ საქმეში და ის ინტერესი, რომელიც XIX ს-ის მეორე ნახევარში ქართულმა საეკლესიო და სეკუ-

ლარულმა საზოგადოებამ ამ მიმართულებით გამოავლინა. წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ეკლესია-მონასტრებიდან ხელნაწერ და ძველნაბეჭდ წიგნთა გამოტანისა და რეგისტრაცია-ნაციონალიზაციის პროცესს, იმდროინდელი ქართველი სამღვდელოების წვლილს არასახელმწიფოებრივი კოლექციების სახელმწიფო კოლექციებად გადაქცევის საქმეში. ბევრი საეკლესიო-სასულიერო შინაარსის ხელნაწერის ისტორია შევსებულია ახლადგამოვლენილი მასალით.

**პაპუაშვილი ნუგზარ. სიმართლისა და სამართლისათვის გორის კათოლიკურ ეკლესიაზე.**

რედ. ზ. კიკნაძე, თბ., 2013, 144 გვ.

წიგნში განხილულია კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის მოღვაწეობის ის მხარე, რომლის მიზანია ქართველ მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს შორის თანხმობისა და ძმური ურთიერთობის განმტკიცება; წარმოჩენილია საქართველოში მოქმედი კათოლიკური ეკლესიების საკუთრებასთან დაკავშირებული სირთულეები და მოცემულია პოლემიკა ზოგიერთ საერო თუ სასულიერო პირთან; გამოქვეყნებულია მეფე თეიმურაზ I-ის გარდაცვალების აქტი. ამ დოკუმენტის თბილისში, საეკლესიო მუზეუმის ფონდში, დაცული პირი პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში.

**პირველი გულო. ქართველებზე აღსრულებული წმინდა გიორგის სასწაულები.**

რედ. ბ. არაბული, „ლომისი“, 2010, 31 გვ.

ბროშურაში სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით (აბუსერიძე ტბელი, გიორგი მცირე, „ქართლის მატიანე“) მოთხრობილია წმინდა გიორგის მიერ აღსრულებული მრავალრიცხოვანი სასწაულის შესახებ.

**პოსელიანინი ევგენი. ბერი სერაფიმე საროველის ამქვეყნიური ღვაწლი.**

რუსულიდან თარგმნა თამარ გოგილაშვილმა, რედ. გ. კოპლატაძე, თბილისი, 2000, 80 გვ.

წიგნი ეძღვნება ღირსი სერაფიმე საროველის (XVIII-XIX სს.) ცხოვრებას და მოღვაწეობას, საუბარია მისი წინასწარმეტყველების შესახებ.

**პოსელიანინი ევგენი. ბერი სერაფიმეს სულიერი შვილები.**

რუსულიდან თარგმნა თამარ გოგილაშვილმა, რედ. გ. კოპლატაძე, თბილისი, 2000, 55 გვ.

წიგნი ეძღვნება XVIII-XIX საუკუნეების უდიდესი წმინდანის, ღირსი სერაფიმე საროველის მოღვაწეობის ერთ მნიშვნელოვან მხარეს – ურთიერთობას სულიერ შვილებთან. მოთხრობილია მოძღვრის სასწაულებრივი უნარის შესახებ, უშეცდომოდ განესაზღვრა თითოეული მათგანის დანიშნულება და სწორი გზით წარემართა მათი ძალისხმევა.

**პრისელკოვა ვერა. წარუმატებელი გათხოვება და შვილის მარტოხელად აღზრდა, ერთი სევდიანი გამოცდილების ისტორია, ნამდვილი ამბავი, ქალის ნაამბობი მღვდელთან.**

თარგმნა ირაკლი კამკამიძემ, რედ. ლ. გიორგაძე, თბილისი, 2006, 47 გვ.

პუბლიკაციაში მოთხრობილია რეალური ამბავი, რომელიც შეემთხვა ქალს. ამასთან ერთად, გამოცემაში შესულია საუბარი სასულიერო პირთან, რომელშიც გაშუქებულია ოჯახთან დაკავშირებული არაერთი პრობლემური საკითხი.

**ქვანია ზვიად. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელთმთავარნი 1917 წლიდან.**

რედ. ე. თავბერიძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ქუთაისი, 1994, 109 გვ.

წიგნში მოთხრობილია XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიებისა და მათი მწყემსმთავრების შესახებ, ასახულია ავტოკეფალიის აღდგენის (1917 წლის 25 მარტი, საერო სტილით) შემდგომ პერიოდში მოღვაწე კათოლიკოს-პატრიარქთა და მღვდელმთავართა ცხოვრება და ღვაწლი.

**ჟორდანია გივი. მარტვილობა მესიისა (ახალი მასალები ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ).**

ხელნაწერი გამოსაცემად მოამზადა ალექსი გივის ძე ჟორდანიამ, რედ. რ. მეტრეველი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, „უნივერსალი“, თბილისი, 2005, 485 გვ.

წიგნში განხილულია საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება XIX ს.-ში და გამოთქმულია არაერთი საინტერესო მოსაზრება. პუბლიკაციის მეორე ნაწილში გამოქვეყნებულია ფართო საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი მასალები, რომლებიც ნათელს ჰფენს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ისტორიას.

**რაზიკაშვილი პავლე. დარიგებანი.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ზურაბ კალანდაძემ, ელგუჯა გიუნაშვილმა, ზურაბ სარჯველაძემ, რედ. ლ. კალანდაძე, „ნაკადული“, თბილისი, 1990, 64 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია მღვდელ პავლეს (რაზიკაშვილი, XIX ს.) მოძღვრება-დარიგებები. ტექსტს ერთვის ლექსიკონი.

**რატიანი პროკოფი. თბილელი ბერები.**

რედ. ა. ბარამიძე, დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით, „მეცნიერება“, თბილისი, 1989, 87 გვ.

ნაშრომში გაშუქებულია „ქართლის ცხოვრების“ მონაცემები ქართველი ხალხის შესახებ მუსულმან დამპყრობთა წინააღმდეგ XI ს-ში. კერძოდ, შესწავლილია თბილისის მოსახლეობის 1046 წლის აჯანყება თბილისის ეკლესიის დემოკრატიული ნაწილის, ე.წ. „თბილელ ბერთა“ ხელმძღვანელობით და ქალაქში დემოკრატიული მმართველობის დამყარება.

**რატიანი შალვა. ფილადელფოს კიკნაძე.**

რედ. ნ. კუპრეიშვილი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009, 63 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილი მონოგრაფიული ნარკვევი 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელისა და იდეოლოგის, ბერმონაზონ ფილადელფოს კიკნაძის (1793-1833) ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეცნიერულად შესწავლის პირველი ცდაა. ნარკვევი გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწერა და დღემდე არსად გამოქვეყნებულა.

**რაფავა მაია. ნიკიტა სტითატის ანტიმონოფიზიტური სიტყვები.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მაია რაფავამ, რედ. პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე, თბილისის სასულიერო აკადემია, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2013, 199 გვ.

გამოცემაში წარმოდგენილია XI ს-ის თვალსაჩინო ბიზანტიელი ღვთისმეტყველის, ნიკიტა სტითატის სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ მიმართული ხუთი პოლემიკური სიტყვა, რომელთა ქართული თარგმანი შესრულებულია წმ. არსენ იყალთოელის მიერ.

**რენანი ერნესტ. ქრისტეს ცხოვრება და მოღვაწეობა.**

თარგმანი რუსულიდან ია ეკალაძე-ცინცაძისა, რედ. გ. ალხაზიშვილი, „მერანი“, თბილისი, 1990, 167 გვ.

წიგნი წარმოადგენს ცნობილი ფრანგი მეცნიერის,ერნესტ რენანის (XIX ს.) თხზულების „ცხოვრება იესოსი“ (დაიწერა 1861 წელს) ქართულ თარგმანს.

**რობერსი გერჰარდ. სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში.**

თარგმანი შესრულებულია სამეცნიერო ინსტიტუტ ტექინფორმში, რედ.: პ. გაჩეჩილაძე, ხ. ცინცაძე, 2011, 678 გვ.

ნაშრომში წარმოდგენილია ანგარიში საეკლესიო-სამოქალაქო კანონმდებლობაზე ყველა წევრ ქვეყანასა და თვით ევროკავშირში. წიგნში მოცემული მასალა სტრუქტურულად ერთნაირად არის აგებული,რაც სხვადასხვა სისტემის შედარების საშუალებას იძლევა.

**როგავა გივი. საქართველოს ეკლესიის ისტორია (ლექციების კურსი).**

რედ. ო. გაბიძაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, „სამშობლო“, 1996, 351 გვ.

ნაშრომში საარქივო წყაროების ანალიზისა და არსებული ლიტერატურის საფუძველზე განხილულია თექვსმეტსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესიის განვითარების ძირითადი ეტაპები. აღწერილია ქართული ეკლესიის მდგომარეობა რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა დიქტატურის პირობებში.

**რუხაძე გრიგოლ. ღმრთის შეუქმნელ და შექმნილ ხატთა გაგებისათვის.**

რედ. გ. კოპლატაძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2000, 74 გვ.

ნაშრომში განხილულია საკითხი იესო ქრისტეს, როგორც ღვთის შეუქმნელი ხატისა და ადამიანის, როგორც ღვთის შექმნილი ხატის შესახებ. ამასთან, ავტორის მიზანია, ტექსტობრივი ანალიზის საფუძველზე დაადგინოს ტერმინების – ხატი, ხატისებრი და პირმშო ხატი – ზუსტი შინაარსი.

**რუხაძე გრიგოლ. წესი თვისებათა მიცემისაი.**

რედ. გ. კოპლატაძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით,

საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2009, 179 გვ.

კრებულის ძირითად ნაწილში წარმოდგენილია რამდენიმე ქრისტიანული ტერმინის საღვთისმეტყველო განსაზღვრებანი, წინასწარი მიმოხილვა და თანამედროვე რუსი პატროლოგების ორი მონოგრაფიული ნაშრომის თარგმანი, აგრეთვე, ავტორის სხვა წერილები ზოგიერთ საღვთისმეტყველო საკითხზე.

**რუხაძე გრიგოლ. საღმრთისმეტყველო ლექსიკონი-ცნობარი I.**

რედ. გ. კოპლატაძე, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2010, 175 გვ.

ნაშრომი საერთო საეკლესიო განსაზღვრებათა და დებულებათა ცნობართან ერთად წარმოადგენს IX-X საუკუნეების ქართული მრავალთავების თეოლოგიურ-ფილოსოფიურ, ასკეტურ, ჰაგიოგრაფიულ, ისტორიულ სწავლებათა და უწყებათა სისტემატიზებულ კრებულს. მასში მრავალთავებიდან და ცალკეული ნაშრომებიდან გამოტანილი საკვანძო საკითხები თემატიკის მიხედვით ანბანზეა დალაგებული. წმ. მამათა თხზულებებიდან ამოღებული ციტატები და აზრის გაგების გასაადვილებლად მათზე დართული მოკლე კომენტარები წიგნს სასწავლო სახელმძღვანელოს მნიშვნელობას ანიჭებს.

**რცხილაძე ვიქტორ. სულთა გამოცხადებანი და სპირიტიზმი.**

რედ. გ. ჭეიშვილი, „სამშობლო“, თბილისი, 1992, 120 გვ.

წიგნში გადმოცემულია სპირიტიზმის საწინააღმდეგო სწავლებანი მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით.

**რცხილაძე ვიქტორ. ბოროტება, მისი ნიღბები და მისი გამოვლინება საქართველოში.**

რედ. ე. კვიტაიშვილი, თბილისი, 2006, 606 გვ.

კრებულში თავმოყრილია ფილოსოფიურ-თეოლოგიური და კრიტიკული ხასიათის წერილები.

**რცხილაძე ვიქტორ. XX საუკუნის გერმანელი მოაზროვნეები ღვთის არსებობის შესახებ.**

რედ. ს. ავალიანი, 2010, 169 გვ.

წიგნში განხილულია XX საუკუნის გერმანელ მოაზროვნეთა ფილოსოფიური შეხედულებები.

**Sალადია ქეთევან. იოანე დამასკელის ღმრთისმშობლის შობისა და მიძინების ჰომილიათა ძველი ქართული თარგმანები.**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2006, 44 გვ.

წმ. იოანე დამასკელის ჰომილიათა ქართული თარგმანების შესწავლას და პუბლიკაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც თემატიკის აქტუალობის გამო, ისე IX-XII საუკუნეების საქართველოს კულტურულ-რელიგიური ტრადიციების გასარკვევად. ნაშრომის მიზანია წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰომილიების ქართულ თარგმანთა კომპლექსური შესწავლა – კერძოდ, ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური და მხატვრული ანალიზი, ხელნაწერთა შორის ურთიერთმიმართების განსაზღვრა და რედაქციათა დადგენა.

**სალუქვაძე მამუკა. ათი მცნება.**

12 გვ.

გამოცემა წარმოადგენს რელიგიური შინაარსის ლექსების კრებულს.

**სალუქვაძე მამუკა. რწმენა.**

შეადგინა დ. იაშვილმა, რედ.: თ. კიკვიძე, ლ. კუტუბიძე, 1998, 37 გვ.

წიგნი წარმოადგენს აწ გარდაცვლილი პოეტის, მამუკა სალუქვაძის ლექსების კრებულს. იბეჭდება ავტორის უკანასკნელი ლექსებიც.

**სანებლიძე არმაზ. „ნაყოფისაგან საცნაურ არს სიკეთე ხისაჲ“.**

რედ. ლ. ნადარეიშვილი, „ფავორიტი“, თბილისი, 2006, 62 გვ.

წიგნში თავმოყრილია კორესპონდენციები ისტორიული ტაო-კლარჯეთის შესახებ.

**სანიკიძე ლევან. სავედრებელნი გიორგი ათონელისა.**

რედ. ა. კაჭარავა-კერესელიძე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1996, 471 გვ.

წიგნში მოთხრობილია გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ნაჩვენებია XI საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული პანორამა.

**საყვარელიძე თეიმურაზ. XII საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიიდან.**

რედ. კ. მაჩაბელი, დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით, „მეცნიერება“, თბილისი, 1980, 110 გვ.

ნაშრომი ეძღვნება ქართული ჭედური ხელოვნების მეტად საყურადღებო ნიმუშს – ხობის საწინამძღვრო ჯვარს. ძეგლი თავის ინდივიდუალურობასა და მხატვრულ ღირებულებასთან ერთად მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ნათლად წარმოაჩენს ცვლილებებს, რომელიც ქართულმა ოქრომჭედლობამ განიცადა XI-XII საუკუნეების მანძილზე. წიგნი ილუსტრირებულია.

**საყვარელიძე თეიმურაზ. XIV-XIX საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა.**

რედ. რ. ყენია, დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით, „მეცნიერება“, თბილისი, 1981, 189 გვ.

წიგნში თავმოყრილია XIV-XIX საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის ძეგლები და გამოკვლეულია ამ პერიოდის ქართული საოქრომჭედლო ხელოვნების ძირითადი პრინციპები, ტენდენციები და მიმართულებანი. ნაშრომს ერთვის შესაბამისი ილუსტრაციები.

**საყვარელიძე თეიმურაზ. ბოლნისის სიონი.**

რედ.: ც. ნიკურაძე, ა. პანდელოვა, „ხელოვნება“, თბილისი, 1983, 31 გვ.

ბროშურაში გადმოცემულია ბოლნისის სიონის ისტორია. ტექსტს დართული აქვს ფოტომასალა.

**სვანიძე ბ. ღვთისმშობლის ჭედური ხატი ლაბეჭინადან.**

რედ.: დ. მაჩაბელი, დ. ახობაძე, რ. ლაზარევა, თბილისი, 1982, 10 გვ.

ბროშურაში სამ ენაზე (ქართულად, რუსულად, ინგლისურად) გადმოცემულია მოკლე ცნობები სოფ. ლაბეჭინას ეკლესიის ღვთისმშობლის ჭედური ხატის (XI ს. I ნახ.) შესახებ. ტექსტს დართული აქვს ფოტომასალა.

**სილოგავა ვალერი. სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ.**

1980, 181 გვ.

ნაშრომის შესავალში განხილულია სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული

ძეგლების შესწავლის მდგომარეობა და მათი მნიშვნელობა საქართველო-სომხეთის ურთიერთობის გაცნობის თვალსაზრისით. წიგნის ძირითად ნაწილში შესულია წარწერების პუბლიკაცია თითოეული მათგანის შესწავლის ისტორიით,კრიტიკული ტექსტის დადგენით და ისტორიულ-ფილოლოგიური კომენტარებით. ყოველ ქართულ წარწერას ერთვის ტექსტის თარგმანი სომხურ ენაზე. წარწერები დალაგებულია გეოგრაფიული პრინციპით, ხოლო ცალკეული გეოგრაფიული პუნქტების შიგნით – ქრონოლოგიურად.

**სილოგავა ვალერი. ბეთანიის წარწერები.**

რედ. რ. მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, „მეცნიერება“, 1994, 63 გვ.

წიგნში ქვეყნდება ბეთანიის სამონასტრო კომპლექსის წარწერების ნიმუშები. კერძოდ, მცირე ტაძრის 1196 წლის ქვაზე ამოკვეთილი და დიდი ტაძრის მე-12 ს.-ის შუა ხანებისა და მე-13 ს.-ის დამდეგის ფრესკული წარწერები, რომლებსაც ერთვის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კომენტარები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა და საილუსტრაციო მასალა.

**სილოგავა ვალერი. წარწერები გარეჯის მრავალწყაროდან (IX-XIII სს.).**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, „ინტელექტი“, თბილისი, 1999, 321 გვ.

წიგნში ქვეყნდება 1995 წელს აღმოჩენილი გარეჯის გამოქვაბულების უცნობი კომპლექსის – მრავალწყაროს ორი ეკლესიის IX-XIII სს. წარწერები აღწერილობის,გრაფიკული ასლებისა და ფოტოსურათების თანხლებით.

**სილოგავა ვალერი. ათონის ქართული სიძველეებიდან.**

ახალციხე, 2000, 26 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ცალკე ამონაბეჭდს გაზეთიდან „ლიტერატურული მესხეთი“, № 1,2,3, 2000. მასში წარმოდგენილია ათონის ივერთა მონასტერში დაცული რამდენიმე უძველესი ქართული წერილობითი ძეგლის აღწერილობა და შესწავლის ისტორია.

**სილოგავა ვალერი. ოშკი.**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალი, „ნეკერი“, 2006, 377 გვ.

წიგნში განხილულია ოშკის ტაძრის წარწერები, მათ შორის, გვიან გამოვ-

ლენილი (7. 11. 2003) ქვის ორი სტელის წარწერებიც. დადგენილია მათი ქრონოლოგიური რიგი. მასალა გადმოცემულია ოთხ – ქართულ, რუსულ, ინგლისურ და თურქულ ენაზე. წიგნი ილუსტრირებულია, აღჭურვილია სათანადო სამეცნიერო აპარატით. დანართში წარმოდგენილია ავტორის მიერ ოშკის თემაზე გამოქვეყნებული შრომების ბიბლიოგრაფია.

**სილოგავა ვალერი. ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი.**

რედ. რ. მეტრეველი, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, „ნეკერი", თბილისი, 2010, 166 გვ.

წიგნში ქვეყნდება დავით აღმაშენებლის (1089-1125) მიერ 1124 წელს შიომღვიმის მონასტრისადმი მიწერილი ანდერძის ფოტო ტექსტთან ერთად, რომელსაც დართული აქვს გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი. დამატებებში გამოქვეყნებულია XII-XIII სს.-ის ორი საბუთი შიომღვიმის მონასტრის სტატუსის შესახებ, რომლებიც შინაარსით დაკავშირებულია ანდერძის ტექსტთან.

წიგნი პირველად გამოიცა 2003 წელს.

**სირაძე რევაზ. ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები.**

რედ. ლ. მენაბდე, „განათლება", თბილისი, 1987, 271 გვ.

წიგნში განხილულია ქართული მწერლობისა და ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების საკითხები. მისი მიზანია, სხვადასხვა კუთხით გვიჩვენოს ქართული ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების განვითარება, მისი თავისებურებანი და მთლიანობა.

**სირაძე რევაზ. ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, II.**

რედ. ლ. მენაბდე, ქართული ქრისტიანული კულტურის შემსწავლელი ლაბორატორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1992, 229 გვ.

წიგნში შესულ ნარკვევებს აერთიანებს ქართული კულტურის ქრისტოლოგიურ საფუძველთა წარმოჩენის მიზანი. წარმოდგენილია ცდა, ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე აიხსნას და გამოიკვეთოს ის საერთო ნიშნები, რაც არსებობს ქართულ მწერლობასა და კულტურის სხვა დარგებს შორის.

**სირაძე რევაზ. „წმიდა ნინოს ცხოვრება" და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა.**

რედ. გ. მურღულია, დაიბეჭდა საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალურ ინსტიტუტში, 1997, 221 გვ.

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი მეცნიერული გამოკვლევაა, რომლის მიზანია დადგინდეს, რომ „წმიდა ნინოს ცხოვრება“ უძველესი ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოებია და ლიტერატურულ-ეორტალოგიური საფუძვლების გათვალისწინებით მოხდეს ამ ნაწარმოების პირველადი სახის რეკონსტრუქცია, მკითხველმა გაიაზროს მისი რელიგიურ-ისტორიული და სახისმეტყველებითი შინაარსი, მეორე ნაწილში ზემოაღნიშნულ კვლევა-ძიებაზე დაყრდნობით მოცემულია წმინდა ნინოს ცხოვრების ანალიზი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ამ ნაწარმოების შესწავლას საშუალო სკოლაში.

**სიხარულიძე იური. ჯვარცმის მაცხოვრის ეკლესია.**

რედ. ზ. სიხარულიძე, თბილისი, 2002, 35 გვ.

ბროშურაში მოთხრობილია ჩოხატაურის რ-ნის სოფ. ვაზიანში ახალაგებული მაცხოვრის ჯვარცმის სახელობის ეკლესიის შესახებ.

**სოლოვიოვი ვლადიმერ. შვიდი სააღდგომო წერილი.**

თარგმნა მედეა ბერნაძემ, რედ. შ. ლარცულიანი, „ოპიზა“, თბილისი, 2004, 48 გვ.

კრებული აერთიანებს იესო ქრისტეს აღდგომის თემაზე დაწერილ შვიდ წერილს.

**სტოვბუნი ივანე. შოთა რუსთაველის ფრესკა.**

რედ. ჯ. გორდაძე, თბილისი, 1981, 61 გვ.

წიგნში საუბარია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში აღმოჩენილი შოთა რუსთაველის პორტრეტული გამოსახულების შესახებ, რაც სიცოცხლის ბოლო წლებში მისი პალესტინაში ყოფნის დამამტკიცებელ საბუთადაა მიჩნეული. ამის დასტურად ავტორს მოჰყავს საბჭოთა და უცხოელ მეცნიერთა სხვა მოსაზრებებიც.

**სულავა ნესტან. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია.**

რედ. ლ. მენაბდე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, „მერანი“, თბილისი, 2003, 348 გვ.

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი მეცნიერული გამოკვლევაა, რომლის მიზანია XII-XIII საუკუნეების ქართველ ჰიმნოგრაფთა მემკვიდრეობის კოდიკოლოგიურ-ფილოლოგიური, ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისით შესწავლა და ქართული კულტურის ისტორიაში მათთვის ადგილის მიჩენა. მეორე ნაწილში შესულია ჰიმნოგრაფიული ტექსტები, რომელთაგან ზოგიერთი პირველად ქვეყნდება.

**სუმბაძე დენიზა. ჩადექ, დედაო, ორთავ ნაპირთა შორის.**

რედ. ნ. მახარაძე, „სამშობლო“, თბილისი, 1994, 78 გვ.

წიგნი წარმოადგენს კრებულს,რომელშიც თავმოყრილია საქართველოს სხვადასხვა გაზეთში გამოქვეყნებული წერილები და რადიო-მიმართვები. ავტორი ეხება უკანასკნელი წლების საქართველოს მტკივნეულ პრობლემებს. კრებული ეძღვნება ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პირველ ფორუმს.

**სუმბაძე დენიზა. დედა უფლისათვის ანუ გელათის აკადემია და ბერძნული ფილოსოფიის დასასრული.**

რედ. ნ. მახარაძე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1997, 58 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს კაცობრიობის წმინდა წიგნის – ბიბლიის – ეზოთერული (საიდუმლო) შრეების ამოკითხვის ცდას და ამოკითხულის დასაბუთებას გელათის აკადემიის დამფუძნებლის, იოანე პეტრიწის ნააზრევით.

**სუმბაძე დენიზა. გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ.**

რედ. ზ. რატიანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრი, „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 185 გვ.

ნაშრომი გიორგი მთაწმინდელის (XI ს.) პავლე მოციქულისადმი მიძღვნილი სავედრებელი განხილულია ისტორიული და თეოლოგიური თვალსაზრისით.

**სურმანიძე რამაზ. თეთროსანი.**

რედ. შ. მამულაძე, „ალიონი“, თბილისი, 2007, 131 გვ.

წიგნში გადმოცემულია წარმართობის დროინდელი საკულტო ცენტრის,

„თეთროსანის“ ისტორია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „თეთროსანი“ ცხენის (თეთრონი) კულტისაგან მოდის. წარმართობიდან ქრისტიანობაზე გადასვლის პროცესში მას დაუკავშირდა თეთრ რაშზე (თეთროსანზე) ამხედრებული წმინდა გიორგი,რომელიც მართლმადიდებელთა სიმბოლოდ იქცა.

**სუხიაშვილი მაგდა, სანიკიძე ეკატერინე. ქართული გალობის მოამაგენი.**

რედ. თ. ჟვანია, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2006, 240 გვ.

წიგნში წარმოდგენილია ნარკვევი ფოლკლორისტის, ლოტბარის, ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებლის, ფილიმონ ქორიძის (1829-1911) ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. აქვე მოწოდებულია მისი წერილები, მის შესახებ პრესაში არსებული და ხელნაწერის სახით მოღწეული მასალები და ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრში დაცული მომღერლის ფონოჩანაწერების ბიბლიოგრაფია. ნაშრომს ერთვის, აგრეთვე,ფილიმონ ქორიძის მიერ ნოტებზე გადატანილი საეკლესიო საგალობლების ნიმუშები,რომელთა უმრავლესობა ქვეყნდება პირველად.

**სხირტლაძე ზაზა. წმ. დავით გარეჯელის განსასვენებელი.**

გარეჯის კვლევის ცენტრი, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული სიწმინდეთა მოძიებისა და დაცვის განყოფილება, თბილისი, 2006, 207 გვ.

გარეჯის მრავალმთის სამონასტრო გაერთიანების უპირველესი სალოცავი – მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია და წმინდა დავით გარეჯელის დასაკრძალავი ასწლეულების მანძილზე ქრისტიანული საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს სიწმინდედ, მომლოცველებისთვის უმნიშვნელოვანეს ადგილად რჩება. წიგნი სამენოვანია – მოცემულია ქართული ტექსტის რუსული და ინგლისური თარგმანი (რუსულად თარგმნეს ლიანა აბუაშვილმა და ლელა მიქიაშვილმა, რედაქტორი ნატალია კრაშენინიკოვა, ინგლისურად თარგმნა არიანე ჭანტურიამ, რედაქტორი სტივენ რაპი). წიგნს ერთვის ფერადი ფოტომასალა.

**სხირტლაძე ზაზა. წმინდა შიო მღვიმელის ცხოვრების ძველი ნუსხა.**

საქართველოს საპატრიარქო, გელათის მეცნიერებათა აკადემია, საეკლესიო ხელოვნების კვლევის ცენტრი, საქართველოს ეროვნული არქივი, თბილისი, 2014, 183 გვ.

წიგნში წარმოდგენილია წმინდა შიო მღვიმელის ცხოვრების კრიტიკულად დადგენილი ტექსტი ამ თხზულების მეტაფრასული რედაქციის დღეისათ-

ვის ცნობილ ნუსხათაგან უძველესი (XIII ს.) ხელნაწერის მიხედვით. ტექსტს უძღვის შესავალი,რომელშიც საუბარია წმ. შიოსა და მისი მოწაფის – წმ. ევაგრეს ცხოვრებისა და ღვაწლის ამსახველ თხზულებათა რედაქციების შემცველი ხელნაწერების შესახებ და წარმოდგენილია შესწავლილი ხელნაწერის აღწერილობა ფოტოსურათების დართვით. წიგნს დართული აქვს რეზიუმე ინგლისურ ენაზე,საძიებლები და ბიბლიოგრაფია.

**ტაბიძე ნოდარ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე.**

რედ. ი. ჭუმბურიძე, „უნივერსალი“, თბილისი, 2008, 67 გვ.

წიგნში საარქივო მასალების საფუძველზე აღწერილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე ცინცაძის (1866-1952) მოღვაწეობა. ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს პატრიარქის შემოქმედებით-სამეცნიერო საქმიანობის მიმოხილვას.

**ტარასარი კონსტანცია. ჩვენთან არს ღმერთი (სახელმძღვანელო საშუალო ასაკის, 12 წლის, ბავშვთა კატეხიზაციისათვის, მეორე ნაწილი).**

თარგმნა თამარ ნაფეტვარიძემ, რედ.: ნ. ჩარკვიანი, მ. ხოსიტაშვილი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „არტანუჯი“, 2006, 96 გვ.

წიგნი რეკომენდებულია საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის მიერ სამრევლო სკოლებისა და მართლმადიდებლური სასწავლებლებისთვის, ასევე, ზოგადსაგმანათლებლო სკოლებისთვის რელიგიური განათლების კურსის დამხმარე სახელმძღვანელოდ. გამოცემას ახლავს სავარჯიშოების რვეული. სახელმძღვანელო ილუსტრირებულია.

**ტარასარი კონსტანცია. ცხოვრება ღმერთთან ერთად (სახელმძღვანელო უმცროსი ასაკის, 8 წლის, ბავშვთა კატეხიზაციისათვის, I ნაწილი).**

რედ.: ნ. ჩარკვიანი, მ. ხოსიტაშვილი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2007, 111 გვ.

წიგნი რეკომენდებულია საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის მიერ სამრევლო სკოლებისა და მართლმადიდებლური სასწავლებლებისათვის, ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის რელიგიური განათლების კურსის დამხმარე სახელმძღვანელოდ. წიგნს ახლავს უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი სავარჯიშოების რვეული.

**ტარასარი კონსტანცია. შერიგება ღმერთთან (სახელმძღვანელო საშუალო ასაკის, 14 წლის, მოზარდთა კატეხიზაციისათვის), I ნაწილი**.

თარგმნა ნათია გიორგობიანმა, რედ.: ნ. ჩარკვიანი, მ. ხოსიტაშვილი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2008,76 გვ.

სახელმძღვანელო რეკომენდებულია საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის მიერ მოზარდთა რელიგიური განათლებისთვის (თავმჯდომარე პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი). სახელმძღვანელო ილუსტრირებულია.

**ტარყაშვილი ნინო. საქართველოს მეფე წმინდანები.**

რედ. კ. ჩოლოყაშვილი, რეცენზირებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, დამტკიცებულია დამხმარე სასწავლო მასალად განათლების სამინისტროს მიერ, თბილისი, 2005, 35 გვ.

ბროშურაში მოთხრობილია ქართველ მეფეთა ისტორია, რომლებიც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. ილუსტრაციებად გამოყენებულია ხატები, ფრესკები და ქართული ტაძრების ორნამენტები. განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

წიგნი ხელმეორედ გამოიცა 2007 წელს.

**ტარყაშვილი ნინო. ქართველ წმინდანთა პოეზია**.

რედ. ნ. სულავა, წიგნი დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2006, 123 გვ.

გამოკვლევაში განხილულია ღირსი შიო მღვიმელის, წმ. გიორგი ათონელის, წმ. ეფრემ მცირის, წმ. დავით აღმაშენებლის, ღირსი დემეტრე-დამიანეს, ღირსი მამა იოანე შავთელის, წმ. თამარ მეფის, წმ. აბუსერიძე ტბელის, წმ. ქეთევან წამებულის, წმ. ილია მართლის, ღირსი ალექსი შუშანიას პოეტური ნაწარმოებები.

**ტარყაშვილი ნინო. ქართველ წმინდანთა ცხოვრება ბავშვებისათვის.**

რედ. ლ. ფრუიძე, რეცენზირებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, თბილისი, 2008, 119 გვ.

პუბლიკაციაში პატარა მკითხველისათვის გასაგები მარტივი ენით მოთხრო-

ბილია ქართველ წმინდანთა ცხოვრება მეფე ვახტანგ გორგასლიდან წმინდა ილია მართლამდე (ჭავჭავაძე). მითითებულია მათი ხსენების დღეები. ტექსტს ერთვის ხატები და ორნამენტები ილუსტრაციების სახით.

**ტარყაშვილი ნინო. ბავშვის ლოცვა (ნორჩი მართლმადიდებლის ბიბლიოთეკა).**

იბეჭდება ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოს სტეფანეს (კალაიჯიშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2009, 28 გვ.

ბროშურა მარტივი ენით აცნობს პატარა მკითხველს მართლმადიდებლობის ანბანს. მასში შესულია ძირითადი ლოცვები და დართული აქვს მოსახსენებელი პირადი ლოცვისათვის.

**ტარყაშვილი ნინო. ბუნება და წმინდანები.**

რეცენზირებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, იბეჭდება ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოს სტეფანეს (კალაიჯიშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2009, 51 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს იმ წმინდანთა ცხოვრების აღწერას,რომელთაც განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს მიმართ. ტექსტი გადმოცემულია პატარა მკითხველისათვის გასაგები მარტივი ენით. წიგნი ილუსტრირებულია.

**ტარყაშვილი ნინო. წმიდა მამათა დარიგებანი ბავშვებისათვის**.

წიგნი დაიბეჭდა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტ თადეოზის (იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2011, 120 გვ.

წიგნი თავმოყრილია წმ. მამათა გამონათქვამები და დალაგებულია ანბანის მიხედვით. ისინი პატარა მკითხველს ასწავლიან ღმერთის, სამშობლოს, ადამიანისა და ბუნების სიყვარულს.

**ტყეშელაშვილი გივი. გელათის სიწმინდენი.**

რედ. თ. ამყოლაძე, დაიბეჭდა ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით, გელათის სასულიერო აკადემია,ასოციაცია „საგანძური“, ქუთაისი, 2005, 15 გვ.

ბროშურაში აღწერილია გელათის მონასტრის სიწმინდეთა ისტორია. ტექსტს დართული აქვს ფოტომასალა კომენტარებითურთ.

**ტყეშელაშვილი ლევან. საქართველოს მოწამე მღვდელმთავარნი დოსითეოზი და ექვთიმე, 1820 წ. სიცოცხლე უფალთან გრძელდება.**

რედ. გ. ტყეშელაშვილი, იბეჭდება ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2005, 71 გვ.

წიგნში მოთხრობილია მღვდელმთავართა – ქუთათელ მიტროპოლიტ დოსითეოზისა (წერეთელი) და გაენათელ მიტროპოლიტ ექვთიმეს (შარვაშიძე) შესახებ, რომლებიც იმერეთის 1819-1820 წწ. აჯანყების ჩახშობის შემდეგ მოწამეობრივად აღესრულნენ რუსეთში (1820 წ. მარტი) თავიანთი სამშობლოსა და ეკლესიის უფლებების დაცვისათვის. ნაშრომი დაიწერა საქართველოსა და რუსეთის არქივებში მოპოვებული მასალების საფუძველზე. ტექსტს დართული აქვს ფოტოები და საარქივო მასალა.

**ტყეშელაშვილი ლევან. გელათი – მეორე იერუსალიმი, სხვა ათინა.**

რედ. გ. ტყეშელაშვილი, დაიბეჭდა ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით, გელათის სასულიერო აკადემია, ქუთაისი, 2007, 251 გვ.

ნაშრომში ვრცლად არის ასახული გელათის მონასტრის ისტორია. განხილულია გელათსა და მის შემოგარენთან დაკავშირებული ცალკეული ისტორიული და ხელოვნებათმცოდნეობითი საკითხები. წიგნს დართული აქვს გელათის მონასტრის ქონების აღწერილობა (1842 წ.), ფოტო და საარქივო მასალები.

**ტყეშელაშვილი ლევან. წმინდა მოწამე დოსითეოზ ქუთათელი.**

იბეჭდება გელათის სასულიერო აკადემიის რექტორის, ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით, ქუთაისი, 2009, 43 გვ.

წიგნში ასახულია რუსეთის იმპერიის დამპყრობლურ პოლიტიკასთან მებრძოლი და წამებული ქუთათელი მიტროპოლიტის, საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ წმინდანად შერაცხილი დოსითეოზის (ერისკაცობაში დავით ნიკოლოზის ძე წერეთელი, 1750-1820) ცხოვრება და ქუთაისის საეპისკოპოსოს მოკლე ისტორია.

**ტყეშელაშვილი ლევან. მოწამეთა.**

რედ. ნ. ფანჯარაძე, იბეჭდება მოწამეთა დავითისა და კონსტანტინეს სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრის, იღუმენ ელიაზარის (ივანეიშვილის) ლოცვა-კურთხევით, გელათის სასულიერო აკადემია, ქუთაისი, 2010, 94 გვ.

ნაშრომში მოთხრობილია არგვეთის მთავრების, დავით და კონსტანტინე მხეიძეების (VIII ს. I ნახ.) ცხოვრებისა და მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ.

**შაიბრუ ჰიუ. მართლმადიდებლური ლიტურგია (ბიზანტიური წესის ევქარისტული ღვთისმსახურების განვითარება).**

ინგლისურიდან თარგმნა ლია ივანიშვილმა, რედ.: ნ. ჩხიკვაძე, დ. ყვავაძე, „არტანუჯი", თბილისი, 2004, 237 გვ.

წიგნში თანმიმდევრულადაა განხილული ქრისტიანული აღმოსავლეთის ევქარისტული ღვთისმსახურების განვითარების ეტაპები, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს გაიგოს, როგორ სრულდებოდა ღვთისმსახურება სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში. პუბლიკაციაში გაანალიზებულია საღვთისმსახურო სივრცის ხატწერისა და არქიტექტურული თავისებურებებიც.

**უიარაღო (თათარაშვილი) თეიმურაზ. მანიქეველობა და ქრისტიანობა.**

რედ. ზ. ეკალაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2004, 100 გვ.

ნაშრომში განხილულია მანიქეიზმის ისტორია, მისი მოძღვრება და ქრისტიანობის მიმართება ამ რელიგიასთან.

**უნგიაძე ავთანდილ. მართლმადიდებლობა და ეროვნულობა (მართლმადიდებლობა – ეროვნული იდეოლოგიისა და ეროვნული უშიშროების ქვაკუთხედი).**

თბილისი, 2011, 24 გვ.

ბროშურაში განხილულია საქართველოში მართლმადიდებლობისა და ეროვნული ცნობიერების მიმართების საკითხი და ნაჩვენებია გლობალიზაციის პროცესთან დაკავშირებული საფრთხე.

**ფანჯიკიძე თეიმურაზ. ქრისტიანობა – წარსული და თანამედროვეობა.**

რედ. ტ. ზოზრაშვილი, „განათლება", თბილისი, 1984, 218 გვ.

წიგნში გადმოცემულია ქრისტიანული რელიგიის ისტორია და მისი თანამედროვე მდგომარეობა.

**ფანჯიკიძე თეიმურაზ. მართლმადიდებლობა.**

რედ. ო. გაბიძაშვილი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“, თბილისი, 1985, 32 გვ.

ბროშურაში განხილულია მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგიის წარმოშობის ისტორია, განვითარება და მისი თანამედროვე მდგომარეობა.

**ფანჯიკიძე თეიმურაზ. ქრისტიანობა ქართულ-რუსულ ურთიერთობაში.**

რედ. ფ. ლომაშვილი, წიგნი იბეჭდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის ფილოლოგიის და სოციალური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციით, თბილისი, 2005,80 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს ორი მართლმადიდებლური ქვეყნის,საქართველოსა და რუსეთის,მრავალსაუკუნოვანი რელიგიური ურთიერთობების განხილვას. გაანალიზებულია „ერთმორწმუნეობის“ ფაქტორის მნიშვნელობა ამ ქვეყნების დაახლოებისა და გარკვეული პერიოდის მანძილზე თანაცხოვრების საქმეში. ავტორი ეხება როგორც წარსულს, ისე – თანამედროვეობას.

**ფილიმონოვი ვ. პ. წმიდა სერაფიმე ვირიცელის ცხოვრება და მოღვაწეობა.**

რუსულიდან თარგმნეს ტატიანა ცომაიამ და ნანა კუხიანიძემ, რედ. დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, წიგნი იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ფონდი „ბაგრატიონი“, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2003, 119 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს 1999 წელს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის, ალექსი II-ის ლოცვა-კურთხევით შესრულებული გამოცემის თარგმანს. იგი მოიცავს წმინდა სერაფიმეს (1866-1949) ალექსანდრე ნეველის ლავრაში მოღვაწეობის პერიოდს. წიგნის მთავარ წყაროდ გამოყენებულია საარქივო მასალა.

**ფრუიძე ლევან. პატრიარქი რაჭაში.**

რედ. ბ. გაგნიძე, 2000,48 გვ.

ბროშურაში აღწერილია უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მოგზაურობა რაჭაში (ხონის, ლეჩხუმის,სვანეთისა და ნიკორწმინდის ეპარქიებში). ბროშურას დართული აქვს სამახსოვრო ფოტოები.

**ფხაჭიაშვილი მ., ბუბულაშვილი ე. ჟამი წყალობისა.**

თბილისი, 2013.

გამოცემა წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული კუთხის, ტაო-კლარჯეთის ამსახველ ფოტოგრაფიულ ალბომს.

**ქადეიშვილი ეთერ. საზვერეები.**

იბეჭდება შემოქმედელ მიტროპოლიტ იოსების (კიკვაძე) ლოცვა-კურთხევით, 2011, 60 გვ.

წიგნში საუბარია საზვერეებზე,ცოდვათა სახეებზე, რაც განხილულია თეოდორა კონსტანტინეპოლელის „21 საზვერის" მიხედვით.

**ქავთარია ნინო. მოქვის სახარება.**

თარგმნა ა. ჭანტურიამ, რედ. ლ. ახობაძე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2012, 280 გვ.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მოქვის სახარება (902 წ.) XIII-XIV საუკუნეების მიჯნის ქართული კალიგრაფიული ხელოვნებისა და მინიატურული მხატვრობის გამორჩეული ნიმუშია. ნაშრომში წარმოდგენილია ამ ხელნაწერის ისტორია. ტექსტს ერთვის ილუსტრაციები.

**ქართველიშვილი თეა. გურიის საეპისკოპოსოები (XV-XIX საუკუნეები).**

რედ. ქ. პავლიაშვილი, „არტანუჯი", თბილისი, 2006, 163 გვ.

პუბლიკაციაში ასახულია გურიის საეპისკოპოსოებისა და მათში შემავალი ეკლესია-მონასტრების ისტორია. გადმოცემულია მღვდელმთავართა ქრონოლოგიური რიგი და აღწერილია მათი მოღვაწეობა საეკლესიო-კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სარბიელზე.

**ქარსელაძე თ. ოვაშვილი მ. ცხოვრება წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა თავთა პეტრესი და პავლესი.**

რედ. მ. ოვაშვილი, თბილისი, 2000, 68 გვ.

წიგნში გადმოცემულია  წმინდა მოციქულების, პეტრესა და პავლეს ცხოვრება. ტექსტს დართული აქვს მათდამი სავედრებელი ლოცვაც.

**ქეშიკაშვილი ივანე. ღმერთები, მითები და რიტუალები.**

რედ. შ. ძიძიგური, 1990, 318 გვ.

წიგნი ფართო პროფილის, კომპლექსური ხასიათის ნაშრომია, რომელსაც საცნობარო ღირებულებაც აქვს ქართული წარმართული რელიგიის ისტო-

რიის, ე.წ. მითური ფენომენის შესწავლისათვის.

**ქსიფილინოსი იოანე. ცნობები ნათესავებს შორის ქორწინების შესახებ.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა დავით რევაზიშვილმა, დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 1995, 32 გვ.

ბროშურა წარმოადგენს იოანე ქსიფილინოსის ხელნაწერის თარგმანს, რომელიც მართლმადიდებელ მკითხველს განუმარტავს ქორწინების სამართლებრივ მხარეს.

**ქუთათელაძე ზურაბ, ბურკაძე ვასილ. ქართველი მეომრების საბრძოლო დიდება.**

თბილისი, 2001, 23 გვ.

ბროშურაში მოთხრობილია საომარ ასპარეზზე სახელმოხვეჭილ გამორჩეულ მამულიშვილთა შესახებ,რომელთა გმირულმა თავდადებამ საქართველოს ბედ-იღბალი გადაწყვიტა.

**ქურციკიძე ციალა. ქართული ბიბლია.**

სარედაქციო ჯგუფი: ნ. გოგუაძე, ნ. მელიქიშვილი, ლ. ქაჯაია, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2010, 96 გვ.

წიგნი წარმოადგენს პოპულარული ხასიათის ნაშრომს, რომელშიც განმარტებულია ბიბლიის რაობა, მისი აგებულება და თავმოყრილია ის მნიშვნელოვანი შედეგები,რომლებიც გაჩნდა ქართული ბიბლიის ტექსტების შესწავლისა და გამოცემის საქმეში უკანასკნელი ოთხი ათეული წლის მანძილზე (კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომის გამოსვლის შემდეგ, სადაც ქართულ ბიბლიას საგანგებო ნარკვევი ეძღვნება). ნაშრომი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

**ღლონტი დოდო (მარიამ). უფლის იგავები ყმაწვილთათვის.**

რედ. ნ. ხურცილავა, „დედა ენა“, თბილისი, 2007, 104 გვ.

წიგნში სახარებისეული იგავები განმარტებულია პატარა მკითხველისათვის გასაგები მარტივი ენით.

**ღლონტი მედეა. იესო ქრისტეს ცხოვრება.**

რედ ნ. მაჭავარიანი, გამოიცა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „სამშობლო", თბილისი, 1992, 128 გვ.

წიგნში ქვეყნდება მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარება თანამედროვე ქართულ ენაზე სტოკჰოლმის გამოცემის მიხედვით. პუბლიკაცია ილუსტრირებულია და განკუთვნილია ფართო საზოგადოებისათვის. ტექსტს ერთვის უცნობ სიტყვათა განმარტებები.

**ღლონტი მედეა. იესო ქრისტეს ცხოვრება.**

რედ. ნ. მაჭავარიანი, სტოკჰოლმის ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, 1995, 127 გვ.

წიგნში გადმოცემულია იესო ქრისტეს შობის, ცხოვრების, სწავლების, ვნებისა და აღდგომის ისტორია.

**ყამარაული სულიკო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა.**

რედ. გ. კოპლატაძე, წიგნი გამოდის რუის-ურბნისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილის) ლოცვა-კურთხევით, „მერიდიანი", თბილისი, 2009, 318 გვ.

ნაშრომში ასახულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა, მოყვანილია გამონათქვამები მისი ეპისტოლეებიდან, ქადაგებებიდან და მოხსენებებიდან აღსაყდრებიდან 2008 წლის ჩათვლით. წიგნი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის აღსაყდრების 31-ე და დაბადების 75-ე წლისთავს.

**ყუბანეიშვილი ნესტორ. ძველი და ახალი აღთქმის მოკლე ისტორია.**

რედ. მ. არჩვაძე, „ხელოვნება", 1990, 62 გვ.

ცნობილი ქართველი სამღვდელო პირის, ნესტორ ყუბანეიშვილის წინამდებარე თხზულება ამოღებულია მისი წიგნიდან – „პირველდაწყებითი დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე" (ქუთაისი, 1905 წ.). ტექსტში დაზუსტებულია არაერთი ბიბლიური რეალია და მითითებულია პარალელური ადგილები.

**ყუბანეიშვილი ნესტორ. თესლი კეთილი.**

საქართველოს საპასტრიარქოს საგამომცემლო ბეჭდვითი ცენტრი, თბილი-

სი, 2000, 35 გვ.

კრებულში თავმოყრილია სხვადასხვა პუბლიკაციიდან გამოკრებილი მოთხრობები, რომელთა შინაარსი ზნეობირვ სწავლებას შეიცავს.

**შაკიაშვილი თამარ, შაკიაშვილი მალხაზ, აფრიდონიძე ნინო. წყარო ცხოვრებისა.**

რედ. მ. ოვაშვილი, იბეჭდება ცურტავის ეპისკოპოს იოანეს (გამრეკელი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2009, 120 გვ.

წიგნი წარმოადგენს საღვთო რჯულის სახელმძღვანელოს დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის. მიზანშეწონილია მისი გამოყენება ოჯახში ბავშვთა ქრისტიანული აღრზდისათვის.

**შაკიაშვილი თამარ, შაკიაშვილი მალხაზ, აფრიდონიძე ნინო. წყარო ცხოვრებისა (საღვთო სჯულის სახელმძღვანელო, წიგნი I).**

რედ. მ. ოვაშვილი, იბეჭდება მთავარეპისკოპოს იოანეს (გამრეკელი) ლოცვა-კურთხევით, „მთაწმინდელები“, თბილისი, 2010, 99 გვ.

წიგნი წარმოადგენს საღვთო რჯულის სახელმძღვანელოს დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის. მიზანშეწონილია მისი გამოყენება ოჯახში ბავშვთა ქრისტიანული აღზრდისათვის. სახელმძღვანელო შედგენილია პროფესორ ს. კულომზინას წიგნის „ჩვენი ეკლესია და ჩვენი ბავშვები“ რეკომენდაციებისა და წმიდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის სკოლის მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე. წიგნი გამოიცა მართლმადიდებელ ქრისტიანთა საქველმოქმედო ასოციაცია „ბეთლემის“ დახმარებით. ნაშრომს ახლავს ფერადი ილუსტრაციები.

**შანიძე მზექალა. ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები.**

რედ. კ. წერეთელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, 1979, 232 გვ.

ნაშრომში მოცემულია ქართული ენის ერთ-ერთი უძველესი წერილობითი ძეგლის – ფსალმუნთა წიგნის ტექსტოლოგიური და ფილოლოგიური ანალიზი. განხილული და შესწავლილია ამ ტექსტის შემცველი უძველესი ხელნაწერები როგორც წინარეათონური ვერსიების, ისე გიორგი მთაწმინდელის რედაქციისა. წიგნი საინტერესოა როგორც ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებისათვის, ისე ქართული კულტურის ისტორიის საკითხებზე მომუშავე პირებისათვის.

**შანიძე მზექალა. ქართული ფსალმუნის სიმფონია (მასალები ადრეული ვერსიებისათვის და გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის სიმფონია).**

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია „ორიონი“, „ნეკერი“, 2010, 384 გვ.

„ქართული ფსალმუნის სიმფონია“ წარმოადგენს ნაშრომს, რომელშიც თავმოყრილია და პარალელურად წარმოდგენილი, ერთი მხრივ, ქართული ფსალმუნის XI საუკუნის გიორგი მთაწმინდელის რედაქციისა და, მეორე მხრივ, უფრო ადრეული, X საუკუნის ტექსტების ლექსიკა.

**შაორშაძე მაია. ნინოწმინდის საეპისკოპოსო XVI-XVIII სს.**

რედ. მ. ლორთქიფანიძე, „არტანუჯი“, თბილისი, 2008, 189 გვ.

წიგნში მოთხრობილია ნინოწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ, გადმოცემულია ნინოწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი XVI-XVIII საუკუნეებში და მათი საეკლესიო-კულტურული მოღვაწეობა, გარკვეულია ნინოწმინდის საეპისკოპოსოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, საზღვრები და ნინოწმინდელთა დამოკიდებულების საკითხი დავით გარეჯის მონასტრებთან. ნაშრომში განხილულია, აგრეთვე, ნინოწმინდის ტაძრის არქიტექტურა და წარწერები.

**შარაძე გურამ. ...ასე იწყებოდა წმ. ექვთიმე ღვთისკაცი-თაყაიშვილი (სერია II, ქართული მეცნიერების ისტორია).**

ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი და სანკტ-პეტერბურგის ქართული სათვისტომო, თბილისი, 2005, 431 გვ.

წიგნი ეძღვნება სანკტ-პეტერბურგის არქივებში უკანასკნელ ხანს აღმოჩენილ უცნობ თხზულებებს, რომლებმაც მთელი ათი წლით უკან გადასწიეს ექვთიმე თაყაიშვილის აქამდე ცნობილ მეცნიერულ ნაშრომთა ბიბლიოგრაფია. თუ დღემდე ექვთიმე თაყაიშვილის პირველი შრომა 1890 წლით თარიღდებოდა, ახლა უკვე ხელთა გვაქვს მისი 1880-1881 წლებით დათარიღებული შრომები და 1887 წელს შესრულებული საკანდიდატო დისერტაცია, რომლის სახელწოდებაც კი (არათუ თვით ნაშრომი) უცნობი იყო ქართული მეცნიერებისათვის.

**შარიქაძე თემურ. ჯვარი ცხოველმყოფელი.**

რედ. თ. გელაძე, 2012, 87 გვ.

კრებულის მიზანია, მკითხველს გააცნოს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცულ ისტორიული მნიშვნელობისა და მაღალმხატვრული

ღირებულების მქონე კოლექციებში არსებული ქრისტიანობის უმთავრესი სიმბოლოს – ჯვრის – საუკეთესო ნიმუშები.

**შენგელია კახა. ტაო-კლარჯეთის წერილობითი ძეგლების შესწავლა.**

რედ. რ. მეტრეველი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „არტანუჯი“, თბილისი, 2005, 66 გვ.

წიგნში აღწერილია ტაო-კლარჯეთის მონასტრებში გადაწერილი თუ შექმნილი წერილობითი ძეგლები.

**შიხიაშვილი გიორგი. ეკონომიკის ქრისტიანული გააზრება და საქართველოს მომავალი.**

„ზედაშე“, 1996, 32 გვ.

ბროშურა ეძღვნება ქრისტიანული სარწმუნეობის და საზოგადოებრივი წარმოების, მათი ურთიერთკავშირის თეორიული და პრქტიკული გააზრების აქტუალურ საკითხებს, შეიცავს წინადადებებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვთირების პროცესში მართლმადიდებლური პრინციპების გამოყენების შესახებ.

**შიხიაშვილი გიორგი. უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ.**

რედ. ნ. დარბუაშვილი, „გეოკერია“, თბილისი, 2004, 333 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს კომპილაციურ ტექსტს, რომელიც შედგენილია თემატურად გამოკრებილი ციტატებით პატრიარქის ეპისტოლეების, ქადაგებების, სიტყვების, მიმართვების, ინტერვიუებისა და საუბრებიდან. მასალა დალაგებულია ქრონოლოგიურად 1977 წლიდან 2004 წლის ჩათვლით.

**შკუროვი ვლადიმერ. კიევის 1397 წლის ფსალმუნნი, როგორც ეტაპი ფსალმუნთა წიგნის იუდეურ-ქრისტიანული ტრადიციის გავრცელებისა.**

რედ. ნ. მახარაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1994, 41 გვ.

კიევის 1397 წლის ფსალმუნით მრავალი მეცნიერი იყო დაინტერესებული: სობოლევსკი, კრიმსკი, ლიხაჩოვი, როზოვი, ვალტერი. ისინი აღნიშნავდნენ, რომ კიევის ფსალმუნთა წიგნი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის დოკუმენტია ბიზანტიური ილუსტრირებული ხელნაწერების შესასწავლად.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია კიევის ფსალმუნთა წიგნის განხილვა გამომსახველობითი საშუალებების თვალსაზრისით, რაც აქამდე არ ჩატარებულა. ნაშრომი წარმოდგენილია ქართულსა და რუსულ ენებზე.

**შოშიაშვილი შოთა. კოსმიური სამყაროსა და სულის უკვდავების შესახებ.**

რედ. ნ. ელიზბარაშვილი, 2003, 236 გვ.

ნაშრომში განხილულია კოსმიური სამყაროს სტრუქტურულობის, ევოლუციურობისა და ციკლურობის გლობალური საკითხები თანამედროვე ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის, ასტროფიზიკისა და კოსმოლოგიის გათვალისწინებით.

**შოშიაშვილი შოთა. სამყარო, მეცნიერება, რელიგია.**

რედ. ნ. კეკელიძე, „მერიდიანი“, 2008, 397 გვ.

ნაშრომში განხილულია კოსმიური სამყაროს სტრუქტურულობის, ევოლუციურობისა და ციკლურობის გლობალური საკითხები, თანამედროვე ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის, სივრცის, მატერიის ინფორმაციის, სუბსტანციის, რელიგიის, სულის რაობისა და უკვდავების გათვალისწინებით.

**შოშიაშვილი ჯ. ბიზანტიური ეპისტოლოგრაფია და ფსევდოდიონისე არეოპაგელის წერილები.**

რედ. ნ. ლომოური, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, აკადემიკოს ა. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, „მეცნიერება“, 1992, 143 გვ.

ნაშრომში განხილულია ბიზანტიური ეპისტოლოგრაფიის, კერძოდ, ფსევდოდიონისე არეოპაგელის წერილების პრობლემატიკა და წარმოდგენილია წერილების ახალი თარგმანი კომენტარებითურთ. წიგნი განკუთვნილია არეოპაგიტული პრობლემებით დაინტერესებული სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისთვის.

**შუბითიძე-მაჭარაშვილი ვაჟა, ბოლქვაძე დავით. ქართული ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები.**

რედ. ზ. კვიციანი, „ინოვაცია“, თბილისი, 2008, 108 გვ.

გამოცემა წარმოადგენს წიგნ-ცნობარს, რომელშიც გადმოცემულია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული ყველა მნიშვნელოვანი ეკლესია-მონასტრისა და ციხე-სიმაგრის მოკლე ისტორია, ადგილმდებარეობა,

ისტორიული როლი და ღირებულება.

**Ჩარკვიანი ნანა. ჩვენი სარწმუნოება (თორმეტი საუფლო დღესასწაულის მიხედვით, წიგნი II).**

რედ. დ. წივწივაძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „დილა“, თბილისი, 2004, 127 გვ.

წიგნი რეკომენდებულია საშუალო სკოლის V-VIII კლასების დამხმარე სახელმძღვანელოდ. ტექსტს ახლავს ფერადი ილუსტრაციები.

წიგნი მეორედ გამოიცა 2007 წელს.

**ჩიკვაიძე დავით. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის (კომენტარები).**

რედ. ნ. კორძაია-სამადაშვილი, თბილისი, 2003, 38 გვ.

ბროშურა ეხება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წლის 14 ოქტომბერს მცხეთაში ხელმოწერილ კონსტიტუციურ შეთანხმებას. წარმოდგენილია კანონების მცირე კომენტარები.

წიგნი ხელმეორედ გამოიცა 2005 წ.

**ჩიკვაიძე დავით. საეკლესიო სამართლის საკითხები I.**

საეკლესიო სამართლის კვლევის ცენტრი, 2004, 171 გვ.

კრებულში შესული საკითხების უდიდესი ნაწილი, სახელწოდებით „საეკლესიო სამართალი“, 2002-2003 წლებში განიხილებოდა საპატრიარქოს რადიო „ივერიის“ ეთერში. პუბლიკაცია წარმოადგენს შევსებულ და გადამუშავებულ ვარიანტს.

**ჩიკვილაძე ნინო. მართლმადიდებელ მორწმუნეთა ოჯახური ფასეულობები და დემოგრაფიული ორიენტაციები.**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2006, 44 გვ.

ნაშრომში განხილულია დღევანდელი საზოგადოების ზნეობრივი პრობლემა. წიგნი ორენოვანია – ქართულ-რუსული.

**ჩოლოყაშვილი ბიძინა. უძველესი ქართული მარტიროლოგიური თხზულება.**

რედ. რ. ბარამიძე, თბილისი, 2003, 56 გვ.

გამოკვლევის მიზანს წარმოადგენს კოლაელ ყრმათა წამების ამსახველი ნაწარმოების შექმნის პერიოდის დადგენა. ქართულ ენაზე დაწერილი მარტვილობა ერთადერთი ხელნაწერითაა შემონახული, რომელიც დაცულია საბერძნეთში, ათონის მთაზე აგებულ ივერთა მონასტერში. თხზულება შესულია X საუკუნეში შედგენილ მრავალთავში. ნაწარმოების ავტორის ვინაობა უცნობია. მარტვილობა იმერეთის მეფის, სოლომონის მოძღვრის, ილარიონ ყანჩაშვილის მიერ შედგენილი ათონის ხელნაწერების აღწერილობის მიხედვით 1849 წელს ათონის მთაზე მოიძია, გადმოიწერა და საქართველოში ჩამოიტანა პლატონ იოსელიანმა. ყრმათა წამება თარგმნილია რუსულ და ინგლისურ ენებზე.

**ჩოლოყაშვილი ბიძინა. ქართულენოვანი ეკლესია – ახალი იერუსალიმი.**

„ნეკერი“, თბილისი, 2008, 164 გვ.

ნაშრომში აღწერილია ქართველი ერის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევის ისტორია.

**ჩორგოლაშვილი მამია. მთაწმინდა.**

გამომცემლობის რედ. ლ. ხუციშვილი, „ხელოვნება“, თბილისი, 1991, 272 გვ.

მონოგრაფიაში აღწერილია თბილისის მთაწმინდის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. ამასთან ერთად, ავტორი საუბრობს მთაწმინდის პანთეონის მკვიდრ ქართველ მამულიშვილთა ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვან მხარეებზე. მოყვანილია მთაწმინდისადმი მიძღვნილი მხატვრული ლიტერატურის, მუსიკისა და ფერწერის რამდენიმე ნიმუშიც. წიგნი პირველად გამოიცა 1979 წელს.

**ჩოჩიშვილი დავით. ელია წინასწარმეტყველის ხალენი – საქრთველოს ეკლესიის დიდი სიწმიდე (სერია ქრისტიანული სიწმინდეები საქართველოში, წიგნი I).**

რედ. ე. მამისთვალაშვილი, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამოცემისა და რეცენზირების დეპარტამენტი, თბილისი, 2005, 31 გვ.

წიგნში მოთხრობილია წმ. ელია წინასწარმეტყველისა და მისი მოღვაწეო-

ბის შესახებ ძველი აღთქმის ეკლესიაში, გადმოცემულია წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენის (ტყავის წამოსასხამი) ისტორია.

**ჩუგოშვილი მალხაზ, კურატაშვილი მარინა, ქუთათელაძე ზურაბ. ფსიქიატრიული ცნობარი (მართლმადიდებელი მოძღვრებისა და სასულიერო აკადემიის სტუდენტებისათვის).**

რედ. ი. ჩომახაშვილი, წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) სახელობის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი, „ხარება“, თბილისი, 2006, 247 გვ.

წიგნში წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, მართლმადიდებელ სასულიერო პირებს პოპულარულ ენაზე გააცნოს ფსიქიკური აშლილობისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები, მათი მიმდინარეობისა და მათდამი მიდგომის თავისებურებანი.

**ჩუგოშვილი მალხაზ. მართლმადიდებელი ეკლესია და ფსიქიკური აშლილობები.**

რედ. ი. ჩომახაშვილი, წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) სახელობის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი, „ხარება“, თბილისი, 2006, 71 გვ.

ნაშრომის მიზანია, გააცნოს მკითხველს ფსიქიკური პათოლოგიები და ფსიქო-სომატურ აშლილობათა გამოვლინებები და დასახოს ადამიანის სულიერი მდგომარეობა, როგორც უშუალო ფაქტორი, რომელიც აისახება ფსიქიკურ მხარეზე. წიგნში გაანალიზებულია ადამიანის მდგომარეობა იერარქიული ვერტიკალის – სული-სამშვინველი-სხეული – დარღვევის შემთხვევაში და ეკლესიის პრაქტიკული როლი დაზიანებული ფსიქიკის განკურნების საქმეში.

**ჩხეიძე გიორგი. ცხონების საკითხი წმ. პავლე მოციქულის „რომაელთა მიმართ ეპისტოლეს“ მიხედვით.**

თბილისი, 2011, 30 გვ.

ბროშურაში წმ. პავლე მოციქულის „რომაელთა მიმართ ეპისტოლის“ საფუძველზე გაანალიზებულია იუდეველებისა და წარმართების მცდარი შეხედულებები ადამიანის სულიერი განწმენდისა და ცხონების შესახებ.

**ჩხეიძე როლანდ-რომილე. წმიდა გადმოცემა და მართლმადიდებლური სწავლება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შესახებ.**

რედ. თ. მამაცაშვილი, ნებადართულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენ-

ზირების დეპარტამენტის მიერ, თბილისი, 2011, 56 გვ.

ნაშრომში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელთან დაკავშირებული კათოლიკური დოგმატები შედარებულია მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებასთან და დასაბუთებულია ამ უკანასკნელის სისწორე. ამასთან, გადმოცემულია მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შეწყნარებულ აპოკრიფებში არსებული მასალა ღვთისმშობლის შობის, ამქვეყნიური ცხოვრებისა და გარდაცვალების შესახებ.

**ჩხეიძე როსტომ. იოსების ბიბლიური მოთხრობა.**

რედ.: ე. არჯევანიძე, მ. ჩაჩავა, „მეცნიერება", თბილისი, 1993, 112 გვ.

იოსებ მშვენიერის ბიბლიური მოთხრობა (შესაქმე, 37-50) ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი და მრავალმხრივ მნიშვნელოვანი პასაჟია ძველ აღთქმაში. შესაქმის წიგნის ეს ნაწილი, რომელიც წარმოგვიდგება დამოუკიდებელ მოთხრობად თუ ქრონიკად, განსაკუთრებული დრამატული სიმწვავისა თუ სხვა მხატვრულ-იდეური ღირსებების წყალობით, გავრცელდა აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის ქვეყნების მწერლობასა და ფოლკლორში. სიუჟეტის მარადიულობა განსაზღვრა მისმა აღნაგობამ, რაც ბუნებრივად აერთიანებს კარგად ცნობილ მოტივებს: უმცროსი ძმა და მოღალატე ცოლი (აგრეთვე, გვალვა, სიზმარი და ვერცხლის თასი). ამ მოტივთა შესწავლა ავლენს მხატვრული აზროვნების განვითარების თავისებურებებს და აფართოებს ჩვენს წარმოდგენას ფოლკლორის ისტორიაზე.

**ცაცანაშვილი მარიამ. სახელმწიფო და რელიგია.**

რედ. მ. ქურდიანი, გელათის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2001, 90 გვ.

ნაშრომი განიხილავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსისა და სახელმწიფოსა და ეკლესიის, როგორც ურთიერთგამიჯნულ სუბიექტების შორის, კორპორაციული ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების პრობლემებს.

წიგნი ხელმეორედ გამოიცა 2003 წ.

**ცერაძე თინათინ, ცხადაძე დავით. ოქროს ოთხთავი (იერუსალიმის წმინდა საფლავის ეკლესიის ერთი ქართული ხელნაწერი).**

რედ. თ. მგალობლიშვილი, ინგლისური თარგმანი ლიდია უესტისა, ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრი, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 2013, 78 გვ.

გამოცემა წარმოადგენს წიგნ-ალბომს, რომლის მიზანია ფართო საზოგადოებას გააცნოს იერუსალიმის წმინდა საფლავის ეკლესიის საგანძურში 2001 წელს ქართველ მეცნიერთა მიერ მიკვლეული XV-XVI სს. ქართული ხელნაწერი, რომელიც შეიცავს სახარება-ოთხთავის გიორგი ათონელისეულ (XI ს.) რედაქციას. ეს უხვად ილუსტრირებული ნუსხა მაცხოვრის საფლავისათვის შეუწირავს ქართველ დიდგვაროვანს, გიორგი აბაშიძეს (XVII-XVIII სს.), რომლის ანდერძში ხელნაწერი „ოქროს ოთხთავადაა“ მოხსენიებული. ალბომში სრულადაა წარმოდგენილი „ოქროს ოთხთავის“ მინიატურები (48) და მოცემულია ძირითადი ინფორმაცია ხელნაწერის შესახებ. გამოცემა ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს.

**ცინცაბაძე მარინე. წმიდა ქეთევან დედოფლის თემა ქართულ მწერლობაში (XVII, XVIII და XIXს. დასაწყისის მასალის მიხედვით).**

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2002, 47 გვ.

ნაშრომის მიზანია, გააცნოს მკითხველს ქეთევან დედოფალთან (XVII ს.) დაკავშირებული სრული მასალა, რაც წარმოდგენილია XVII, XVIII და XIX ს-ის დასაწყისის ქართულ მწერლობაში. განსაზღვრულია ქეთევან დედოფლის, როგორც ისტორიული პირისა და მართლმადიდებელი წმიდანის, მნიშვნელობა.

**ციცქიშვილი დავით. მართლმადიდებლური ფსიქოლოგია.**

თბილისი, „გრიფონი“, ტომი I, 1998, ტომი II, 2000, ტომი III, 2004.

ნაშრომში მართლმადიდებლური კუთხით განხილულია თანამედროვე ადამიანისათვის აქტუალური სხვადასხვა ფსიქოლოგიურ-რელიგიური საკითხი.

**ციცქიშვილი დავით. თვალთათვის დაფარული მოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე III (1927-1932).**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 1999, 22 გვ.

წიგნში გადმოცემულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-ის (ერისკაცობაში ქრისტეფორე მურმანის ძე ციცქიშვილი, 1873-1932) ცხოვრება და ღვაწლი საქართველოს ეკლესიის წინაშე. მოთხრობილია მისი თავდადების შესახებ მე-20 ს-ის 20-იან წლებში – კომუნისტური ტერორის მძვინვარების პერიოდში.

**ციცქიშვილი დავით. ნარკომანიის მორევი.**

გამოიცა საპატრიარქოსთან არსებული ნარკომანთა პირველადი რეაბილიტაციის ცენტრის ხელშეწყობით, „თამარიონი“, თბილისი, 2007, 64 გვ.

ნაშრომი ჩვენი დროის ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემას, ნარკომანიას ეხება. მასში ასახულია ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც დაგროვდა ამ პრობლემის აღმოფხვრისათვის ბრძოლის გზაზე, როგორც პროფესიული, ისე ეკლესიური კუთხით. განხილულია თანამედროვე ადამიანისათვის აქტუალური სასოწარკვეთილების ცოდნაც.

**ცქიტიშვილი თინათინ. თეოფილაქტე ბულგარელის „იოანეს სახარების განმარტება“ და ძველი ქართული მწერლობის პრობლემები.**

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, 2006, 80 გვ.

ნაშრომში განხილულია თეოფილაქტე ბულგარელის „იოანეს სახარების განმარტების“ ქართულ თარგმანთან დაკავშირებული საკითხები, საუბარია ქართული ეგზეგეტიკის წარმომავლობასა და იმ კულტურულ, ისტორიულ და ენობრივ-ლიტერატურულ ღირებულებებზე, რომლებიც „იოანეს სახარების განმარტებაში“ ვლინდება. ტექსტის ენა და სტილი სხვა ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებთან ერთად იძლევა საშუალებას, დადგინდეს მთარგმნელის ვინაობა.

**ცხოვრებაძე ზურაბ. იოლია თუ არა ცხონება? (იცის თუ არა თანამედროვე ადამიანმა, რა არის საჭირო ცხონებისათვის?).**

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი, თბილისი, 2004, 46 გვ.

ნაშრომის მიზანია, განიხილოს ცხონების საკითხი წმინდა წერილსა და წმინდა მამების სწავლებაზე დაყრდნობით.

**წამალაშვილი ვლადიმერ. სწავლანი ქრისტიანული ცხოვრებისათვის.**

დაიბეჭდა ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, ასოციაცია „კვირიაკე“, თბილისი, 2008, 124 გვ.

წიგნში თავმოყრილია სხვადასხვა წმინდა მამის დარიგება იმის შესახებ, თუ რა ევალება ადამიანს სრულყოფისაკენ მიმავალ გზაზე.

**წულეისკირი ნოდარ. ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი.**

რედ. ნ. ახალკაცი, „მერანი“, თბილისი, 1988, 300 გვ.

„ღვაწლი და წამება ჰაბოსი და იოანესი“ თანამედროვე მწერლის, ნოდარ წულეისკირის რომანია. იგი შექმნილია იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ ასახული მოვლენების, იმ პერიოდის ისტორიული ფაქტებისა და გარემოს გათვალისწინებით. ნაწარმოებს დართული აქვს „ქებაჲ წმიდისა აბოჲსი“ (ქართული პოეზიის თოთხმეტტომეულში დაცული ჰიმნოგრაფიული მონაკვეთის მიხედვით). რომანის პერსონაჟებად გამოყვანილნი არიან ისტორიული პირები.

**ჭელიძე ედიშერ. ეკლესია – სძალი უფლისა.**

რედ. პ. ზაქარეიშვილი, „მეცნიერება“, თბილისი, 1990, 251 გვ.

ნაშრომში წარმოდგენილია წყაროთმცოდნეობითი კვლევა საეკლესიო მსახურების უმნიშვნელოვანესი საკითხებისა, როგორიცაა ნათლობა, ზიარება, პირჯვრისწერა, „ალილუიას“ გალობა, ქორწინებისა და ნათლობის საიდუმლოს აღსრულებისას აღმოსავლეთისაკენ სვლა და ა.შ. მოტანილია სათანადო ტექსტების ორიგინალები და თარგმნილია ისინი ქართულად. პარალელები დამოწმებულია ძველი ქართული თარგმანებიდან.

**ჭელიძე ედიშერ. ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია I.**

რედ. მ. გორგიაშვილი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, 1996, 692 გვ.

სევერიანე გაბალოვნელის „ექუსთა დღეთას“ ქართული თარგმანი ერთ-ერთი უძველესი ნათარგმნი ტექსტია. შესაბამისად, მასში დაცულია ქართული ქრისტიანული ტერმინოლოგიის უადრესი სახე. ამ თარგმანის ტერმინული არქაულობის გამოსავლენად ავტორმა ჩაატარა ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური კვლევა უძველესი დროიდან მოგვიანო ეპოქამდე (ჩვეულებრივ, XII-XIII სს.-ის ჩათვლით). გამოკვლევის პირველი ტომი ორ თავს მოიცავს, რომელთაგან პირველი თარგმანის საკუთრივ ფილოლოგიურ პრობლემატიკას განიხილავს, ხოლო მეორე აღნიშნული თარგმანის ძირითადი ტერმინების შესწავლას ეძღვნება.

**ჭელიძე ედიშერ. ანტიერეტიკონი.**

თბილისი, 1997, 16 გვ.

ბროშურაში გადმოცემულია სწავლება ერეტიკოსთა წინააღმდეგ.

**ჭელიძე ედიშერ. მართლმადიდებლური ხატმეტყველება.**

რედ. პ. დავითაშვილი, ნაშრომი მომზადდა საქართველოს საპატრიარ-

ქოსთან არსებული ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ჰაგიოლოგიური კვლევის ცენტრში, თბილისი, 2001, 151 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს დოგმატურ-საღვთისმეტყველო სერიის „საეკლესიო სიწმინდენი“ ერთ-ერთ გამოცემას. მასში თავმოყრილია დოგმატური საკითხები ხატის შესახებ,ადამიანის – ღვთის ხატისა და მსგავსის შესახებ და სხვ.

**ჭელიძე ედიშერ. ცხონების აღმოცისკრება (დოგმატურ-საღვთისმეტყველო სერია №7).**

რედ. ა. ჭუმბურიძე, „საეკლესიო სიწმინდენი“, თბილისი, 2004, 67 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს დასაბუთებას აზრისა, რომ იორდანეში იესო ქრისტეს ნათლობის უწმინდესი დღე არის ახალი აღთქმის ნათლისღება და გზის გაკაფვა ცათა სასუფევლისკენ მთელი კაცობრიობისათვის, რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრებიან ძველი აღთქმის მართალი ადამიანები.

**ჭელიძე ედიშერ, „ლოცვათა“ და „ღმრთისმშობლის დაუჯდომლის“ ახალი გამოცემის გამო.**

რედ. ა. ჭუმბურიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გამომცემლობა „ახალი ივირონი“, თბილისი, 2006, 112 გვ.

წიგნი ეხება ახალ გამოცემებში დაშვებულ ცთომილებებს.

**ჭელიძე ედიშერ. „ფსალმუნთა“ ახალი გამოცემის გამო.**

რედ. ა. ჭუმბურიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2006,72 გვ.

წიგნი მომზადებულია საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ „ლიტურგიკის კომისიაში“ და ეხება ფსალმუნთა გამოცემებსა და რედაქციებს.

**ჭელიძე ედიშერ. პეტრე იბერი – მონოფიზიტი ერესიერარქი.**

თბილისი, 2010, 30 გვ.

ბროშურაში განხილულია მე-5 საუკუნის მოღვაწე პეტრე იბერის წმინდანად შერაცხვის საკითხი. ავტორის აზრით,პეტრე იბერი მონოფიზიტია და არ შეიძლება იქნეს მართლმადიდებლურ ეკლესიაში წმინდანად კანონიზებული.

**ჭელიძე ედიშერ. აკაკი წერეთლის წმინდანად კანონიზებასთან დაკავშირებით.**

თბილისი, 2010, 10 გვ.

ბროშურის ავტორის მიზანია, გამოხატოს თავისი პოზიცია და აჩვენოს აკაკი წერეთლის პიროვნების შეუსაბამობა წმინდანთა კანონიზაციის ეკლესიაში დადგენილ წესთან მიმართებით.

**ჭელიძე ედიშერ. სული ცხოველი.**

რედ. ა. ჭუმბურიძე, თბილისი, 2012, 584 გვ.

წიგნში განხილულია ნათლიობის ინსტიტუტი, ნათლისღების წესი, მისი დოგმატურ-კანონიკური საფუძველი და სხვ.

**ჭითანავა დავით. ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში.**

რედ. თ. ბერაძე, „მწიგნობარი“, თბილისი, 2010, 533 გვ.

მონოგრაფიაში მიმოხილულია დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე არსებული თუ ისტორიული უკუღმართობის შედეგად განადგურებული ეკლესიები და თავადაცვითი ნაგებობები უძველესი დროიდან დღემდე. ნაშრომში წარმოდგენილი თითოეული ძეგლი შესწავლილია წერილობითი წყაროების, საარქივო მასალების, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მონაცემებისა და ავტორის მიერ ადგილზე მოპოვებული მასალის საფუძველზე. ყოველი მათგანი აღბეჭდილია ფოტო და ვიდეოფირზე. გადმოცემულია სამეგრელოს ტერიტორიაზე არსებულ უძველეს საეპისკოპოსოთა (ცაიშის, ჭყონდიდის, ხობისა და წალენჯიხის) ისტორია.

**ჭიკაიძე იზა. ას ერგასი ლექსი.**

რედ. ს. კობიაშვილი, თბილისი, 2012, 149 გვ.

„ას ერგასი ლექსი“ ავტორის მეხუთე კრებულია. ლექსების ძირითადი ნაწილი ღვთისა და ქვეყნის სადიდებელს წარმოადგენს. წიგნი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის დაბადებიდან მე-80 და აღსაყდრებიდან 35-ე წლისთავს.

**ჭიჭილეიშვილი მაია. სხალთის ეკლესიის მოხატულობა.**

რედ. ნ. ინაიშვილი, იბეჭდება ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით და სხალთის ეპისკოპოს სპირიდონის (აბულაძე) ლოცვა-კურთხევით, თბილი-

სი, 2010, 349 გვ.

წიგში გადმოცემულია სხალთის ტაძრის მოხატულობის საერთო სქემა, მისი თეოლოგიური პროგრამა და იკონოგრაფიული ანალიზი. ტექსტს ერთვის ილუსტრაცია.

**ჭიჭინაძე ნინო. შუა საუკუნეების ქართული ხატწერა (XI – XIV საუკუნეების ფერწერული ხატები სვანეთიდან).**

რედ. კ. მაჩაბელი, წიგნი მომზადდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, „სეზანი“, 2011, 122 გვ.

ნაშრომში განხილულია XI-XIV საუკუნეების სვანური ფერწერული ხატები. წიგნი ილუსტრირებულია. მოცემულია ქართული ტექსტის ინგლისური თარგმანიც.

**ჭოლიკაური შალვა. წმიდა მოწამე დედოფალი საქართველოსი ქეთევანი.**

რედ. ჯ. ლომაშვილი, „პირველი სტამბა“, თბილისი, 2004,150 გვ.

წიგნში აღწერილია წმინდა ქეთევან წამებულის (XVI-XVII სს.) ცხოვრება, ღვაწლი და აღსასრული, მიმოხილულია საქართველოს ისტორიის შესაბამისი პერიოდი.

**ხაზარაძე ნანა, მინდაძე ნინო. ღვთისმშობლის სარტყლის ქვეყანაში.**

რედ. თ. ხოხობაშვილი, თბილისი, 2008,116 გვ.

კრებული ოთხი ნარკვევისაგან შედგება. პირველში – „ღვთისმშობლის სარტყელი და საქართველო“ მოთხრობილია საქართველოსთვის ამ უწმინდესი რელიკვიის ისტორია. მეორე – „მართლმადიდებელი სამყარო და ქართველი ქალი“ საქართველოს სამოციქულო ეკლესიისადმი ქართველი ქალის დამოკიდებულების ასახვის ცდას წარმოადგენს. მესამე ნარკვევში „ქალი და ძველი ქართული სამედიცინო კულტურა“ ქართველი ქალი წარმოჩენილია საგვარეულო-საოჯახო მედიცინის ისტორიის კონტექსტში. მეოთხე ნარკვევში „წმ. ბარბარე ქართულ ტრადიციაში“ შესწავლილია წმ. ბარბარეს თაყვანისცემის საკითხი.

**ხალვაში რამაზ. ტბელ აბუსერისძის გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი.**

რედ. რ. სირაძე, „ქართული წიგნი“, თბილისი, 2003, 143 გვ.

XIII საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, წმ. ტბელ აბუსერისძის

„გალობანი მწვალებელთა შეჩუენებისანი“ ანტიერეტიკული შინაარსის ჰიმნოგრაფიული კანონია, რომელიც სრულდებოდა დიდმარხვის პირველ კვირიაკეს, მართლმადიდებლობის ზეიმის დღესასწაულზე. მასში ავტორი ანათემას გადასცემს ყველა მწვალებელს, შვიდი ებრაული ერესიდან ხატმებრძოლებამდე. წიგნში საგალობლის კრიტიკულად დადგენილ ტექსტს ერთვის ინტერტექსტუალური გამოკვლევა, კომენტარები და სიმფონია-ლექსიკონი.

**ხალვაში რამაზ. ანდრია პირველწოდებული საქართველოში.**

რედ.: მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), რ. სირაძე, დაიბეჭდა ბათუმისა და ლაზეთის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „ლაზარე“, ბათუმი, 2011, 164 გვ.

ნაშრომი ეძღვნება ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქადაგების ამსახველ ნათარგმნ და ორიგინალურ ლიტერატურას. „ანდრია მოციქულის მიმოსვლასა“ და მის ქართულ რედაქციებთან ერთად შესწავლილია ლიტერატურული გადმოცემებიც. დადგენილია გვიანდელი ქართული ტექსტების მიმართება პირველწყაროებსა და რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერასთან“. გამოვლენილია მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ წმ. ანდრია მოციქულის მისიონერული მოღვაწეობის მარშრუტს.

**ხაჩიძე დარეჯან. პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრებაი არს.**

რედ.: ლ. დათაშვილი, მ. ღლონტი, ნინო კანდელაკი, „ხარება“, თბილისი, 2006, 71 გვ.

წიგნი 10-14 წლის მოზარდებს დაეხმარება სახარების სიბრძნის უკეთ შეთვისებაში.

**ხაჩიძე ლელა. ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიიდან.**

რედ: რ. ბარამიძე, შტუტგარტის თავისუფალი უმაღლესი სკოლა, ვალდორფის პედაგოგიკის სემინარია, თბილისი, 2000, 378 გვ.

ნაშრომის მიზანია X საუკუნის ქართული სასულიერო პოეზიის ნიმუშების განხილვა იმავე პერიოდის ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის გათვალისწინებით. საგალობლები და მათი შემცველი კრებულები კომპლექსურად არის შესწავლილი შესაბამისი ეპოქის კონტექსტში. წიგნში ქვეყნდება დიდი ქართველი ჰიმნოგრაფის – იოანე მინჩხის საგალობლები.

**ხაჩიძე ლელა. ძველი ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების შესახებ, ქართული „დავითნი“ და იოანე დამასკელის აღდგომის კანონი.**

რედ. გ. ფარულავა, თბილისი, 2005, 105 გვ.

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. I ნაწილში შესწავლილია ფსალმუნთა ქართული თარგმანის წარმომავლობა და რაობა პირველი თხუთმეტი ფსალმუნის მაგალითზე. ფსალმუნთა ძველი ქართული თარგმანები შედარებულია ყველა სავარაუდო წყაროსთან – ბერძნულთან, ებრაულთან, სომხურთან. ამ გამოკვლევას მინიჭებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედალი და პრემია. ნაშრომის II ნაწილში შესწავლილია ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საგალობელი – იოანე დამასკელის „აღდგომის კანონი“. გამოქვეყნებულია ამ საგალობლის ძველი ქართული თარგმანები, რომლებიც შედარებულია ბერძნულ ორიგინალთან.

**ხინთიბიძე აკაკი. იაკობ შემოქმედელი.**

თბილისი, 1986,44 გვ.

ნარკვევში განხილულია XVII საუკუნის მივიწყებული მწერლისა და სასულიერო მოღვაწის, იაკობ დუმბაძე–შემოქმედელის ცხოვრება და პოეტური მემკვიდრეობა. ნარკვევის ავტორი ახლებურად აშუქებს იაკობ შემოქმედელის ღვაწლს და მრავალ საგულისხმო ცნობას აწვდის ძველი ქართული მწერლობითა და კულტურის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

წიგნის შევსებული და შესწორებული ვარიანტი ხელახლა გამოიცა 1998 წელს.

**ხორავა ინგა. ილია: აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს!**

რედ. ლ. მინაშვილი, იბეჭდება ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, თბილისი, 2004, 168 გვ.

ნაშრომი პედაგოგიური ხასიათისაა. ავტორი, ილია ჭავჭავაძის პროზაულ ნაწარმოებთა სწავლების მაგალითზე, გვთავაზობს მოსწავლეებში ქრისტიანულ-ზნეობრივი მრწამსის ფორმირების გზებს ტრადიციული თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

**ხოხონიშვილი იოსებ. მეფეთა მეფე დავით IV აღმაშენებელი.**

„პალიტრა LL“, 2008, 80 გვ.

კრებულში იბეჭდება ლექსები, რომლებიც ეძღვნება წმინდა მეფეს, დავით

IV აღმაშენებელს.

**ხუნდაძე ლუკა. ქრისტესშობის სადღესასწაულო სახარების განმარტება.**

რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2004, 32 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილი განმარტებები შედგენილია წიგნის „განმარტება სახარებისა საუფლოთა და ღმრთისმშობლის დღესასწაულთა და სწავლანი კეთილჩვეულებათა მასწავლებელნი“ მიხედვით, რომელიც ეკუთვნის მიტროპოლიტ ვარლამს (ერისთავი) და დაიბეჭდა მისი ეგზარქოსობის დროინდელ სინოდის სტამბაში, მოსკოვში, 1825 წელს, ხუცური შრიფტით. ტექსტები იბეჭდება მცირე შემოკლებით.

**ხურცილავა ნათელა, ღლონტი დოდო (მარიამ). აღსარება კომენტარით.**

რედ.: მღვდელი კონსტანტინე (გიორგაძე), ნ. ხახიაშვილი, გამომცემლობა „დედა ენა“, თბილისი, 2008, 48 გვ.

ბროშურაში მოცემულია ცოდვების ჩამონათვალი მცირე კომენტარებით და აღსარების მოკლე ლოცვები.

**ხუციშვილი გიორგი. საფარის კედლის მოხატულობა.**

რედ. დ. მაჩაბელი, 1988, 139 გვ.

ნაშრომში მონოგრაფიულადაა გამოკვლეული ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე მდებარე საფარის მონასტრის მთავარი ტაძრის კედლის მოხატულობა. ეს ფრესკული მხატვრობა დასტურია შუა საუკუნეების მაღალი სამხატვრო კულტურისა საქართველოში.

**ხუციშვილი თემურ, შენგელია კახა, ციბაძე მარიამ, მაჭავარიანი შალვა. შატბერდის მონასტერი.**

რედ. თ. ბერიძე, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2006, 41 გვ.

ნაშრომში თავმოყრილია მასალები IX საუკუნეში გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებული შატბერდის ღვთისმშობლის მონასტრის შესახებ. განხილულია შატბერდის მონასტრის იდენტიფიკაციის საკითხი და კვლევის პერსპექტივები. წიგნს ერთვის ინგლისური თარგმანი (მთარგმნელი ხათუნა ბასილაშვილი).

**ხუციშვილი ქეთევან. რელიგიური სიტუაციის ცვლილება და უსაფრთხოე-ბის პრობლემა თანამედროვე საქართველოში.**

რედ. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2004, 233 გვ.

ნაშრომი ეხება აღმსარებლობის თავისუფლების დაცვისა და ეთნოკულ-ტურათა ინტეგრაციის პრობლემებს, ასევე, საქართველოში მიმდინარე რე-ლიგიური პროცესების გავლენას საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე.

**ხუციშვილი მირიან. საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში.**

რედ. შ. ხანთაძე, „მეცნიერება“, თბილისი, 1987, 247 გვ.

ნაშრომში გაშუქებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის (საე-გზარქოსოს) პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIX-XX საუკუნეე-ბში, ნაჩვენებია მთავრობის მიერ საქართველოს ეკლესიის მმართველობის, საეკლესიო-სასულიერო განათლებისა და სასულიერო-სამისიონერო სფერ-ოში გატარებული ორგანიზაციული ღონისძიებების მიუხედავად ეკლესიის მესვეურთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ამ პერიოდში, მათი ანტირეჟიმული თუ რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებანი. წიგნში განხილულია მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალ-ურ-პოლიტიკურ შეხედულებათა მოდერნიზაციის საკითხი და მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის თავისებურებანი საბჭოთა საქართველოში.

**ხურციძე რ., კოჭლამაზაშვილი მ. ცოტა რამ ე.წ. „იეღოვას მოწმეთა“ შეს-ახებ (I ნაწილი).**

2002, 40 გვ.

ბროშურაში „იეღოვას მოწმეთა“ სექტის საქმიანობა განხილულია, რო-გორც თანადროულობის სერიოზული პრობლემა.

**ხუსკივაძე იუზა. ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხ-ური“ მოხატულობანი.**

რედ.: მ. დიდებულიძე, მ. ქაჯაია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინ-სტიტუტი, „საარი“, თბილისი, 2003, 431 გვ.

წიგნში განხილულია გვიანი შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვ-რობის საყურადღებო მოვლენა, ე. წ. „ხალხური ნაკადის“ მოხატულობანი. მათი იკონოგრაფიული თუ მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველ-

ზე გამოვლენილია ამ რიგის ფერწერის ნიშან-თვისებები, მისი მიმართება თანადროულსა და წინარე ხანის ხელოვნებასთან, მხატვრული ღირებულება და ისტორიული ადგილი.

**ხუსკივაძე ლეილა. ხახულის კარედი ხატი.**

რედ. რ. ყენია, 2007, 42 გვ.

ბროშურაში აღწერილია ხახულის კარედი ხატი, მისი მოჭედილობა და შექმნის ისტორია.

**ხუციშვილი ნიკო. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში.**

რედ. ბ. კუდავა, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრი, „არტანუჯი“, თბილისი, 2006, 164 გვ.

გამოცემაში განხილულია ერთ-ერთი საკითხი მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრის – იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიიდან.

**ჯალიაშვილი მარინე. საქართველოს ტაძრები.**

რედ. ჯ. ინჯია, წიგნი დაიბეჭდა სამთავროსა და გორის ეპისკოპოს ანდრიას (გვაზავა) ლოცვა-კურთხევით, „ქართლი“, 2005, 63 გვ.

გამოცემა წარმოადგენს ფოტოალბომს, რომელშიც შესულია რამდენიმე ქართული ტაძრის ფოტოსურათები და მცირე აღწერილობა.

**ჯანაშია ნ. ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები.**

რედ.: ე. ცაგარეიშვილი, ე. ხოშტარია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება“, 1986, 347 გვ.

წიგნი წარმოადგენს ისტორიული და წყაროთმცოდნეობითი ხასიათის კრებულს. მასში შეტანილია, უმეტესწილად, ნ. ჯანაშიას გამოუქვეყნებელი შრომები.

**ჯანეზაშვილი ტ. გოცოევი მ. რატომ კვდება პატარა ბავშვი.**

იბეჭდება გორისა და სამთავისის მთავარეპისკოპოს ვახტანგის (ახვლედიანი) ლოცვა-კურთხევით, „ლამპარი“, გორი, 1996, 14 გვ.

ბროშურაში საუბარია პატარა ბავშვების სიკვდილის მიზეზებზე. გამოცემაში შესულია მღვდელ არსენის წერილიც „არა კაც ჰკლა“, რომელიც ეხება აბორტის პრობლემას.

**ჯინორია მალხაზ. თქვენი სიცოცხლე ჩემი სიცოცხლეა, ცხოვრება, სწავლანი და მოგონებანი ბერი გაბრიელისა.**

რედ. ზ. ტყეშელაშვილი, თბილისი, 2011, 663 გვ.

წიგნში აღწერილია არქიმანდრიტ გაბრიელის (ერისკაცობაში გოდერძი ვასილის ძე ურგებაძე, 1929-1995) ცხოვრება და მოღვაწეობა,საუბრები, ასევე, თანამედროვე სასულიერო და საერო პირთა მოგონებები მის შესახებ. პუბლიკაციას დართული აქვს ბერი გაბრიელისადმი მიძღვნილი ლექსებიც. წიგნი პირველად გამოიცა 2009 წელს.

**ჯობაძე ვახტანგ. ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში.**

რედ. მ. ლორთქიფანიძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „უნივერსალი“, თბილისი, 2007, 277 გვ.

გამოკვლევაში თავმოყრილია მრავალი წლის მუშაობის შედეგად მოპოვებული დოკუმენტური მასალა საქართველოს ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი სასაზღვრო ოლქების – ტაოს, კლარჯეთისა და შავშეთის წინანდელი სამთავროებისა თუ ეკლესია-მონასტრების შესახებ.

წიგნი დაიბეჭდა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „სულიერების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინება და განვითარება“ დაფინანსებით.

**ჯორჯაძე აკაკი. მეორედ მოსვლა და საქართველოს მომავალი.**

თბილისი, 2006, 97 გვ.

წიგნში საუბარია იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ და განხილულია საქართველოს მომავალი ამ მოვლენასთან მიმართებით.

პირველი გამოცემა შესრულდა 2001 წელს.

**ჯოხაძე გრიგოლ. XIII-XIV საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან.**

რედ. რ. მეტრეველი, სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, თბილისი, 2003, 191 გვ.

ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკლესიის ისტორიის ერთი ეტაპი, ახლებურადაა შეფასებული 1263 წ. დავით ულუსა და საქართველოს ეკლესიას შორის წარმოშობილი კონფლიქტის არსი, მნიშვნელობა და შედეგები. საუბარია ქართული ეკლესიის რჯულშემწყნარებლურ პოლიტიკაზე, ეკლესიის მოღვაწეთა ზნეობრივ საქციელსა და წინააღმდეგობაზე მტრის შემოსევის პერიოდში. წიგნი პირველად გამოიცა 2001 წელს.

**ჯუღელი ვიქტორია. ნეტარი თეოდორიტე კვირელი: ცხოვრება, მოღვაწეობა, მრწამსი, თხზულებები და მათი ქართული თარგმანები, ტ. I.**

რედ. დ. მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, „ლოგოსი“, თბილისი, 2008, 700 გვ.

წიგნში ასახულია ნეტარი თეოდორიტე კვირელის (393-466 წ.წ.) ცხოვრება და ღვაწლი, შესულია მისი რამდენიმე თხზულების ქართული თარგმანი გამოკვლევითურთ.

**ჯუღელი ვიქტორია. ნეტარი თეოდორიტე კვირელი (საღმრთო ასპარეზობა და სიბრძნისმოყვარეობა სირიული ასკეტიზმის ფონზე: „ფილოთეონ ისტორია“ და მისი ქართული თარგმანები) ტ. II.**

რედ. დ. მელიქიშვილი, თბილისი, 2011, 772 გვ.

გამოცემაში შეტანილია ნეტარი თეოდორიტე კვირელის (393-466 წწ.) სირიელ ასკეტთა შესახებ შემორჩენილი ორი ნაშრომი: „ფილოთეონ ისტორია“ და „სიტყუაჲ საღმრთოჲსა სიყუარულისათჳს“, რომელსაც ხშირად „ფილოთეონ ისტორიის“ ეპილოგადაც მიიჩნევენ. გამოცემაში განხილულია ეს ორი თხზულება და მათ ფონზე მოცემულია ადრეული პერიოდის სირიული ასკეტიზმის მოკლე მიმოხილვა. აქ შეტანილია „ფილოთეონ ისტორიის“ დღეისათვის მოძიებული ძველი ქართული კიმენური და მეტაფრასული თარგმანების კრიტიკულად დადგენილი ყველა ტექსტი, მათ შორის, ეფრემ მცირის მიერ გადმოცემული „ღმრთისმოყუარებითი თხრობაჲ“, რომელიც თარგმნილია ეფრემის მოღვაწეობის ბოლო პერიოდში. ამ ტექსტებს ერთვის ნეტარი თეოდორიტე კვირელის აპოლოგეტური თხზულების „ელინურ სენთა მკურნალობა“ XII თავის „პრაქტიკული სათნოების შესახებ“ და „ფილოთეონ ისტორიის“ ასკეტთა ნაწერებისა და მათ შესახებ შეთხზული ზოგი ნაშრომის სახელდახელო თარგმანები, რომლებიც, გარკვეულწილად, ავსებენ ამა თუ იმ ასკეტის შესახებ ნეტარი თეოდორიტეს მიერ გადმოცემულ ცნობებს.

**ჰუონდერი ქუირინ. საღვთისმეტყველო კრებული.**

გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ რცხილაძემ, იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 1982, 234 გვ.

ნაშრომში განხილულია ფილოსოფოსთა მოსაზრებები ღვთის არსებობის საკითხთან დაკავშირებით. ავტორი, ერთი მხრივ, მიმართავს ფილოსოფოსებს, რომლებიც ამტკიცებენ ღვთის არსებობას, მეორე მხრივ – მოაზროვნეებს, რომლებიც, სხვადასხვა მოსაზრებით, ამგვარ მტკიცებას უარყოფენ.

# კრებულები, თარგმანები, გამოკვლევები, სხვადასხვა

## კრებულები

**აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი.**

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე, ჩაკიდული თხემები, შპს „სეზანი“, თბილისი, 2010, 396 გვ.

წიგნი ეძღვნება აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის (მახარაძე) დაბადებიდან 50-ე წლისთავს. წიგნის პირველ ნაწილში სხვადასხვა დროის აუდიოჩანაწერებით, პრესისა თუ ტელევიზიისთვის მიცემული ინტერვიუებით წარმოჩენილია ალავერდელი მიტროპოლიტის ცხოვრების გზა. მკითხველი იხილავს, ასევე, მეუფე დავითის ჩანახატებს, ჩანაწერებს, კალიგრაფიის ნიმუშებს. წიგნის მეორე ნაწილში კი დაბეჭდილია სხვადასხვა დროს წარმოთქმული ქადაგებები – სიმბოლურად ორმოცდაათი.

**ალავერდი.**

№1-11, რედ. ქ. ღოღობერიძე, იბეჭდება აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის (მახარაძე) ლოცვა-კურთხევით, 2013-1015.

ჟურნალი „ალავერდი“ წარმოადგენს ალავერდის ეპარქიის პერიოდულ ორგანოს. 2007-2012 წლებში ალავერდის ეპარქია გამოსცემდა გაზეთს „გზა და ჭეშმარიტება“, რომელიც მიზნად ისახავდა ეპარქიაში მიმდინარე მოვლენების ასახვას. 2013 წლიდან შეიცვალა ამ გამოცემის მოცულობა, ფორმატი და პერიოდულობა. ის გადაიქცა სეზონურ ჟურნალად სახელწოდებით „ალავერდი“, რომელიც საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათისაა და არაერთ რუბრიკას აერთიანებს. ალავერდის ეპარქიის ყოველდღიურობის, მისი თანამედროვეობის ასახვასთან ერთად გამოცემა საშუალებას აძლევს მკითხველს, გაეცნოს მის ისტორიას, მსოფლიო და ქართულ ეკლესიაში მიმდინარე მოვლენებს, საეკლესიო ხელოვნებას, სასულიერო შინაარსის ახალ თარგმანებს და სხვ. ჟურნალში სისტემატურად იბეჭდება უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ეპისტოლეები, აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის (მახარაძე) სიტყვები და ქადაგებები, რომლებშიც განხილულია ყოველი ადამიანისათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემური საკითხები და დასახულია მათი გადაჭრის გზები. ჟურნალში იბეჭდება ზოგადი ხასიათის სტატიები. მათში გაშუქებულია მსოფლიო და ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში მიმდინარე პროცესები, ასახულია თანამედროვე ადამიანის

მორალურ-ზნეობრივი სახე და ა.შ. ყოველი ნომრის ბოლოს წარმოდგენილია საყმაწვილო რუბრიკა „ვენახი ჭეშმარიტი“, რომელში შემოთავაზებული პატარა ამბები თუ დიდი ქართველი მწერლების მოთხრობები ბავშვში რწმენის, სიკეთის, თანაგრძნობის, სიყვარულის აღზრდას უწყობს ხელს. ჟურნალის მხატვრულ გაფორმებაზე ზრუნავს აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე).

**ალილო.**

შეადგინა ზურაბ კალანდაძემ, თბილისი, 1994, 191 გვ.

წიგნი წარმოადგენს რელიგიურ თემაზე შექმნილი მოთხრობებისა და ზღაპრების კრებულს, რომლებიც იბეჭდებოდა XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის საბავშვო პერიოდულ გამოცემებში.

**ამით სძლიე!.**

გამოსაცემად მოამზადეს მერაბ გალდავამ, ზვიად ბოკუჩავამ, რედ. დეკანოზი გიორგი (ზვიადაძე), დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „კანდელი“, თბილისი, 1998, 72 გვ.

წიგნში პოპულარული ენით არის გადმოცემული თორმეტი საეკლესიო დღესასწაულის შინაარსი და მნიშვნელობა. დღესასწაულთა შესახებ თხრობას თან ახლავს შესაბამისი ტროპარები და კონდაკები. ტექსტს დართული აქვს ძველსა და ახალ აღთქმას შორის არსებულ კავშირებზე მიმანიშნებელი სქოლიოები.

**ანბანი მართლმადიდებლობისა.**

შეადგინა თინათინ გოგოჩაშვილმა, რედ. ზ. ეკალაძე, დაიბეჭდა ხევისა და სტეფანწმინდის ეპისკოპოს პეტრეს (ცაავა) ლოცვა-კურთხევით, 2003,112 გვ.

წიგნში განხილულია ეკლესიური წესით ცხოვრების ელემენტარული საკითხები. აქვეა საღვთისმეტყველო სიტყვების მოკლე ლექსიკონი და წმინდა მამათა შეგონებები.

**არეოპაგიტული ძიებანი.**

შეადგინა დენიზა სუმბაძემ, რედ. გ. თევზაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1986, 225 გვ.

კრებულში წარმოდგენილი ნაშრომები ეხება ფსევდო-დიონისე არეოპაგე-

ლის ნააზრევთან დაკავშირებულ ისტორიულ-ფილოსოფიურ და ენობრივ-სტილისტურ პრობლემებს, არეოპაგიტული კორპუსის ავტორობის სადაო თეორიას, არეოპაგიტული ლიტერატურის გავლენის სფეროს, ძველი ქართული ფილოსოფიის ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების ზოგიერთ ასპექტს.

**არეოპაგიტული კრებული.**

გამოსაცემად მოამზადა ივანე ლოლაშვილმა, რედ. ა. ბარამიძე, „მეცნიერება“, თბილისი, 1983, 193 გვ.

„არეოპაგიტული კრებული“ მოიცავს ძველ ქართულ მასალებს დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, როგორიცაა ჰაგიოგრაფიული საკითხავები, მცირე მოსახსენებლები, საგალობლები, შესხმითი თუ პოლემიკური ლექსები, აგრეთვე, ძველ ქართველ მწერალ-მოღვაწეთა გამონათქვამები და მოსაზრებანი დიონისე არეოპაგელის ვინაობასა და მის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ტრაქტატებზე. მათში ასახულია საუკუნეების განმავლობაში არეოპაგიტული წიგნების შექმნასთან დაკავშირებული ტრადიცია. ტექსტებს ერთვის წყაროთა ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები.

**აღდგომა.**

რედ.: დეკანოზი იოსებ ზეთეიშვილი,მონაზონი თეკლე სიხარულიძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის,ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2001, 80 გვ.

პუბლიკაციაში შესულია აღდგომის ლიტურგიის ტიპიკონი მხედრული ანბანით.

**აღდგომის ლიტურგია, სააღდგომო ლიტურგიის საკითხავები მღვდელთათვის.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს მღვდელმონოზონმა მათე ბუაჩიძემ, კახა აბაშიძემ, დაიბეჭდა მარგვეთისა და უბისის მთავარეპისკოპოს ვახტანგის (ახვლედიანი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2008, 120 გვ.

წიგნში გაერთიანებულია აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის საკითხავები.

**აღდგომა (აღდგომის ციკლი ქართულ მინიატურაში, მეთერთმეტე-მეცამეტე საუკუნეები).**

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „არტანუჯი“, თბილისი, 2007, 38 გვ.

გამოცემაში წარმოდგენილია XI-XIII საუკუნეების ხუთ ქართულ ხელნაწერში (ექვთიმე მთაწმინდელის სვინაქსარი, გელათის სახარება, ჯრუჭის მეორე სახარება, ფსალმუნი, მოქვის სახარება) დაცული აღდგომის სცენის მინიატურები.

**აღდგომის საგალობლები და სიმღერები.**

თარგმნა ქეთევან კალანდაძემ, რედ. ნ. კალანდაძე, დაიბეჭდა საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრის ხელმძღვანელის, ამბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის (მახარაძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2011, 40 გვ.

პუბლიკაციაში შესულია აღდგომის საგალობლები და ამ დღესასწაულთან დაკავშირებული სიმღერები. ქართულ ტექსტებს ერთვის ინგლისური თარგმანი.

**აღსარება.**

საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2003,48 გვ.

ბროშურაში მოცემულია ცოდვების ჩამონათვალი და აღსარების წინ და შემდგომ სათქმელი მცირე ლოცვები.

**ახალმოწამე, მღვდელი სიმონ მჭედლიძე.**

წიგნი გამოსაცემად მოამზადა დამანა მელიქიშვილმა, რედ. დ. მელიქიშვილი, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „გულანი“, 1995, 103 გვ.

წიგნში თავმოყრილია მღვდელ სიმონ მჭედლიძის (დახვრიტეს ბოლშევიკებმა 1924 წ. 1 სექტემბერს) პუბლიკაციები.

**ახალგაზრდობის ინტელექტუალური და სულიერი განვითარების ზოგიერთი მხარე.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, წიგნი გამოიცა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია “**World Vision** საქართველოს“ დაფინანსებით, თბილისი, 2013,

220 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს სალექციო კურსების კრებულს, რომლებიც წაკითხული იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის ინტელექტუალურ-შემეცნებითი სტუდიის ახალგაზრდობის ინტელექტუალური და სულიერი განვითარების პროგრამის ფარგლებში.

**ახალგაზრდობის ინტელექტუალური და სულიერი განვითარებისათვის.**

ნაწილი I, ელდარ ბუბულაშვილი, საქართველოს ეკლესია-მონასტრების ისტორია, ნაწილი II, ლელა წიწუაშვილი, იუდაიზმი საქართველოში და ქართველ ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობა, წიგნი გამოიცა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "**World Vision** საქართველოს" დახმარებით, თბილისი, 2014, 84 გვ.

წიგნის პირველ ნაწილში გადმოცემულია ქართული ეკლესია-მონასტრების (საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ, IV ს. – XXI ს-ის დასაწყისი) ისტორია და განხილულია მათი, როგორც სულიერებისა და კულტურის ცეტრების მნიშვნელობა. მეორე ნაწილში გაანალიზებულია ქართველ ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობის ისტორია და თავისებურებანი.

**ბერის დიადემა.**

შედგენილია სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტერში, იბეჭდება მთავარეპისკოპოს სერაფიმეს (ჯოჯუა) ლოცვა-კურთხევით, 2004, 168 გვ.

წიგნში საარქივო მასალაზე დაყრდნობით მოთხრობილია რამდენიმე ეპიზოდი არქიმანდრიტ გაბრიელის (ერისკაცობაში გოდერძი ვასილის ძე ურგებაძე, 1929-1995) ცხოვრებიდან, თავმოყრილია მასთან დაახლოებულ თანამედროვეთა მოგონებები.

**ბიბლია ამხელს „იეღოვას მოწმეების" სწავლებას.**

პ. პანაიოტიდისის „იეღოვას ცრუმოწმეების" მიხედვით მოამზადეს მღვდლებმა: დავით ქვლივიძემ და იოანე ცხვირაშვილმა, რედ. ნ. კვანტალიანი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „ქართული ენა", თბილისი, 2003, 239 გვ.

ნაშრომში „იეღოვას მოწმეთა" სექტის ცრუ სწავლება განხილულია წმინდა წერილთან მიმართებით.

**ბიბლიის ენციკლოპედია (ერთტომეული).**

რედ.: პ. ალექსანდერი, ჯ. დრეინი, დ. ფილდი, ა. მილარდი, თარგმნა უჩა ცინდელიანმა, სამეცნიერო რედაქტორები: ზ. კიკნაძე, მ. სონღულაშვილი, გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოების საქართველოს წარმომადგენლობა, თბილისი, 1998, 352 გვ.

წიგნში წარმოდგენილია ენციკლოპედიური ინფორმაციები ბიბლიური სამყაროსა და, კერძოდ, ბიბლიის შესახებ. მოთხრობილია ძველი აღთქმის წიგნების დაწერისა და მათი სხვადასხვა ენაზე თარგმნის ისტორია. განხილულია ისრაელიანთა ცხოვრების წესი, მათი დღესასწაულები და სხვ. პუბლიკაციაში 400-მდე ნახატი და ფოტომასალაა წარმოდგენილი.

წიგნი ხელმეორედ გამოიცა 2003 წელს.

**ბიზანტინოლოგია საქართველოში.**

რედ. ნ. მახარაძე, თ. დოლიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, პროგრამა „ლოგოსი“, კრებული ქვეყნდება პროგრამის დიონისიოს ვარელასი ბიზანტინისტიკის განვითარებისათვის მხარდაჭერით, თბილისი, 2007, 603 გვ.

წიგნი წარმოადგენს კრებულს, რომელშიც შესულია 2006 წლის 21-23 ოქტომბერს თბილისში გამართული რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის „ბიზანტინოლოგია საქართველოში“ მასალები. მასში თავმოყრილი და განხილულია როგორც საკუთრივ ბიზანტიური სინამდვილის, ისე ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობების ამსახველ საკითხთა ფართო წრე – ბიბლია და ღვთისმეტყველება, მწერლობა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნება, ენათმეცნიერება და სხვ.

**ბიზანტინოლოგია საქართველოში – 2.**

რედ. ნ. მახარაძე, ნ. გიორგაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, პროგრამა „ლოგოსი“, კრებული ქვეყნდება პროგრამის დიონისიოს ვარელასი ბიზანტინისტიკის განვითარებისათვის მხარდაჭერით, თბილისი, 2009, ნაწილი I, ნაწილი II, 1120 გვ.

გამოცემა ორნაწილიანია და წარმოადგენს კრებულს, რომელშიც შესულია 2007 წლის 26-28 ოქტომბრის ბათუმი-ტრაპიზონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. კრებულში წარმოდგენილია სტატიები თემაზე: ენისა და ლიტერატურის პრობლემები, თარგმანი, ტერმინოლოგია, სტილისტიკა; ისტორია, ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობები; ბიზან-

ტიური და ქართული ხელოვნება,საეკლესიო გალობა; თეოლოგია,ფილოსოფია.

**ბიზანტინოლოგია საქართველოში – 3.**

რედ. ნ. მახარაძე, ნ. სულავა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, პროგრამა „ლოგოსი“, კრებული ქვეყნდება პროგრამის დიონისიოს ვარელასი ბიზანტინისტიკის განვითარებისათვის მხარდაჭერით, თბილისი, 2011, ნაწილი I, ნაწილი II, 891 გვ.

გამოცემა ორნაწილიანია და წარმოადგენს სამეცნიერო სტატიების კრებულს, რომელშიც შესულია 2009 წლის 25-30 სექტემბერს თბილისსა და ახალციხეში გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ბიზანტინოლოგია საქართველოში – 3“ მასალები. კრებული ეძღვნება აკად. გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავს.

**წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან გამოკრებილნი სწავლანი.**

შეადგინეს გვანცა კოპლატაძემ და გრიგოლ რუხაძემ, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2001, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2000, 151 გვ.

წიგნი წარმოადგენს მართლმადიდებლური ღვთისმეტყველებისა და ზნეობის საკითხებზე გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებში (ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, ტ. I-II, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1989) გადმოცემულ მოძღვრებათა ანბანურ საძიებელს. გამოცემა შესულია 2001 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**გაბრიელ ეპისკოპოსი (წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა).**

საარქივო და პერიოდული პრესის მასალების მიხედვით შეადგინა ილია თავბერიძემ, რედ. გ. კოპლატაძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქო, 2006,272 გვ.

წიგნში წმინდა ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის (1825-1896) ცხოვრება აღდ-

გენილია საარქივო მასალებსა და მე-19 საუკუნის პერიოდული პრესის პუბლიკაციებზე დაყრდნობით. გაბრიელ ეპისკოპოსზე არსებული მასალის სრულყოფილად თავმოყრის მიზნით ზოგი რამ გადმობეჭდილია მ. კელენჯერიძის წიგნიდან „გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა)“, ქუთაისი, 1913.

**გამარჯვება უკანასკნელ მტერზე.**

ტექსტი მოამზადა თინათინ გოგოჩაშვილმა, დაიბეჭდა ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „აკრიანი“, თბილისი, 2004, 128 გვ.

წიგნში თავმოყრილია საერო და სასულიერო პირთა მონათხრობი სხვადასხვა რელიგიურ თემაზე.

**გარეჯის მრავალმთა და ადამიანი.**

რედ. თ. ჯოჯუა, ფონდი „უდაბნო“, თბილისი, 1997, 31 გვ.

წიგნში გადმოცემულია დავით გარეჯის მონასტრის დაარსების ისტორია და ცნობები მონასტრული ცხოვრების შესახებ. ასევე, მოყვანილია უდაბნოს გეოგრაფიული გარემოს მოკლე დახასიათება.

**გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომების წელიწდეული I.**

რედ. დ. მელიქიშვილი, ქუთაისი, 1998, 51 გვ.

ნომერში იბეჭდება სხვადასხვა ავტორის გამოკვლევა.

**გზა სამეუფო.**

პატროლოგიის შემსწავლელი ჯგუფი: ე. ჭელიძე (რედ.), პ. ზაქარეიშვილი, დ. ბოგვერაძე, გ. ზვიადაძე, მ. ჭანტურია, თბილისი, 1994-1996.

„გზა სამეუფო“ წარმოადგენს თბილისის სასულიერო აკადემიის საგანმანათლებლო და შემეცნებითი ხასიათის პერიოდულ გამოცემას. მასში შესულია წმინდა მამათა ნაშრომები სათანადო კომენტარების დართვით, წმ. წერილის ტექსტები, სასულიერო შინაარსის თხზულებები, საღვთისმეტყველო ხასიათის სამეცნიერო გამოკვლევები.

**გრაგნილი (საეკლესიო-სამეცნიერო კრებული).**

ტ. I-II, რედ. ე. ჭელიძე, ტ. III, რედ. ნ. მელიქიშვილი, თბილისის სასულიერო

აკადემია, „მერიდიანი“, 2012, 254 გვ., 2014, 279 გვ., 2015, 290 გვ.

კრებული წარმოადგენს თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო შრომების პერიოდულ გამოცემას.

**გრიგოლ ფერაძე.**

რედ.: რ. გოროხია, მ. მაჭავარიანი, „კანდელი“, თბილისი, 1995, 167 გვ.

წიგნში შესულია უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ.

**გული გონიერი.**

№1-3,რედ. ე. ჭელიძე, ფასეულობათა კვლევის საზოგადოება, 2011, №4, რედ. ე. ჭელიძე, ფასეულობათა კვლევის საზოგადოება, 2012, №5-6, რედ. თ. ბუაძე, თბილისი, 2013, №7-9, რედ. თ. ბუაძე, თბილისი, 2014, №10-11, რედ. თ. ბუაძე, თბილისი, 2015.

„გული გონიერი“ წარმოადგენს რელიგიურ-საგანმანათლებლო ხასიათის პერიოდულ ორგანოს, რომელიც გამოდის წელიწადში სამჯერ. გამოცემის მიზანია, თავისი წვლილი შეიტანოს საეკლესიო და საერო საგანმანათლე-ბლო მოღვაწეობის გამთლიანების საქმეში. ამდენად, საეკლესიო-საღვთის-მეტყველო შინაარსის თხზულებებთან ერთად ჟურნალში წარმოდგენილ-ია სასულიერო საკითხებთან დაკავშირებული სამეცნიერო ნაშრომები და გამოკვლევები.

**დიდი საქმენი, ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან უძველესი დროი-დან მე-20 საუკუნის ჩათვლით.**

პროექტის ხელმძღვანელი როინ მეტრეველი, თბილისი, 2010.

პუბლიკაცია წარმოადგენს კრებულს, რომელშიც ასახულია მნიშვნელოვა-ნი პერიოდები საქართველოს ისტორიიდან.

**დიდი სჯულისკანონი.**

დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრი-არქოს გამომცემლობა, თბილისი, 1987.

წიგნი წარმოადგენს დიდი სჯულისკანონის ძველი ტექსტის თარგმანს ახალ ქართულ ენაზე. გამოცემა შესულია 1987 წლის საქართველოს ეკლესიის

კალენდარში.

**დიდაჭარობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზით“).**

წიგნზე მუშაობდნენ გაზეთ „სხალთის“ თანამშრომლები: მარიამ შავაძე, ხათუნა მელაძე და მარიამ აბულაძე, რედ.: მ. ქურდიანი, რ. ხალვაში, დ. მელიქიშვილი და ს. ლობჟანიძე, იბეჭდება სხალთის ეპისკოპოს სპირიდონის (აბულაძე) ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი და სხალთის ეპარქია, 2008, 511 გვ.

კრებულში იბეჭდება კონფერენციის მასალები.

**დიმიტრი ყიფიანი (ცხოვრება და მოღვაწეობა, ფოტომატიანე).**

იდეისა და პროექტის ავტორი თამარ მიქაძე, შემდგენელნი: თამარ მიქაძე, თამაზ ჯოლოგუა,თამარ ციციშვილი, თარგმნა ლელა დუმბაძემ, საოჯახო-საარქივო მასალების მთარგმნელები: ირინე ცინცაძე (რუსულიდან), ნინო ციმაკურიძე (ფრანგულიდან), მაია დონაძე (იტალიურიდან), ქეთევან კალანდაძე (გერმანულიდან), რედ. თ. ჯოლოგუა, თბილისი, 2009, 320 გვ.

კრებულში თავმოყრილია მე-19 საუკუნის ქართველი საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები და შესაბამისი ფოტომასალა.

**დოკუმენტები იმერეთში საეკლესიო გალობის ისტორიისათვის.**

შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მერაბ კეზევაძემ, რედ. ქ. მამუკელაშვილი, „ქუთაისი“, ქუთაისი, 2006, 208 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ქუთაისის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტების კრებულს,რომელიც ასახავს იმერეთში საეკლესიო გალობის მდგომარეობას 1821-1920 წლებში.

წიგნი ეძღვნება გელათის მონასტრის დაარსების 900 და ფილიმონ ქორიძის „ქართული გალობის“ ოთხწიგნეულის გამოცემიდან 110 წლისთავს.

**ეკლესია და ოჯახი (სამეცნიერო სემინარი).**

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საე-

რთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, 2012, 41 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია სამეცნიერო სემინარზე წაკითხული მოხსენებების თეზისები.

**ეკლესია მოციქულთა დროიდან (სახელმძღვანელო საშუალო ასაკის (10 წლის) მოზარდთა კატეხიზაციისათვის).**

I ნაწილი – გაკვეთილები 1-18, II ნაწილი – გაკვეთილები 19-36, თარგმნა ნათია გიორგობიანმა, რედ.: გ. გვასალია, ნ. ჩარკვიანი, მ. ხოსიტაშვილი, საქართველოს საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილება, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „ომეგა თეგი", თბილისი, 2010, 248 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ორტომეულს, რომელშიც გადმოცემულია მართლმადიდებელი ეკლესიის მოკლე ისტორია.

**ეკლესიის საზღვრები.**

რედ. თ. გრძელიძე, „კვირიკიონი", თბილისი, 2000, 268 გვ.

წიგნში წარმოდგენილია XX საუკუნის ცნობილი ღვთისმეტყველების ნააზრევი და დოკუმენტები, რომლებიც სხვადასხვა დროს მართლმადიდებელი ეკლესიის თანამონაწილეობით შეიქმნა. განხილულია საკითხები: რა არის ეკუმენური მოძრაობის არსი, როგორი იყო ეკუმენიზმის წანამძღვრები, რა ხასიათი ჰქონდა ეკუმენურ მოძრაობას XX საუკუნის I ნახევარში და როგორ იცვალა მან სახე XX საუკუნის II ნახევარში, ეკუმენიზმის თანამედროვე პრობლემები.

**ეკლესიის საუნჯე.**

შემდგენელნი.: დავით შოვნაძე, ნანა ჩაჩიბაია, რუსული ფრაგმენტების მთარგმნელი ვასილ ბურკაძე, რედ.: დეკანოზი არჩილ ხაჩიძე, დეკანოზი იოანე მამნიაშვილი, თბილისი, 2013, 526 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს ვრცელ მართლმადიდებლურ კატეხიზმოს. ტექსტს დართული აქვს ფოტომასალა მკითხველისათვის ლიტურგიაში გამოყენებულ ნივთებსა (საეკლესიო ჭურჭელი, შესამოსელი) და იკონოგრაფიაზე წარმოდგენის შექმნის მიზნით.

**ეკლესიებიც აგვიტირდებიან (წინასწარმეტყველებანი რუსეთსა და ანტიქრისტეზე).**

გამოსცა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა,1999,52 გვ.

კრებულში გადმოცემულია რამდენიმე ძველი და ახალი წმინდა მამის წინასწარმეტყველება რუსეთსა და ანტიქრისტეზე.

**ეს ჯვარი თქვენამდე სულ სისხლით ვატარე.**

შეადგინა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2007, 123 გვ.

პუბლიკაციაში გადმოცემულია მოგონებები ბერი გაბრიელის (ერისკაცობაში გოდერძი ვასილის ძე ურგებაძე, 1929-1995) შესახებ.

წიგნი ხელმეორედ დაიბეჭდა 2013 წელს.

**ზეციური იერარქია.**

გამოსაცემად მოამზადა დავით ბასილაიამ, დაიბეჭდა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოს თადეოზის (იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „მერმისი“, თბილისი, 2006, 131 გვ.

კრებულში წარმოდგენილია წმინდა მამათა შრომები და მოსაზრებანი ანგელოზთა დასისა და ზეციური იერარქიის შესახებ.

**ზნეობრივი ღვთისმეტყველება.**

ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის სახელმძღვანელო, რუსთავი, 1993, 34 გვ.

წიგნში წარმოდგენილია ზნეობრივი შეგონებანი, რომლებიც გამოკრებილია საეკლესიო მამათა სწავლებიდან და დალაგებულია თემატურად.

**თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო შრომები.**

რედ. ე. ბუბულაშვილი, თბილისის სასულიერო აკადემია, „უნივერსალი“, თბილისი, 2009, 214 გვ.

კრებულში დაბეჭდილია თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც მოხსენების სახით წაკითხულ იქნა 2009 წლის 25-26 თებერვალს თბილისის სასულიერო აკადემიის დაარსების მე-20 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე.

**თეოლოგიის კათედრა 5 წლისაა (სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული).**

რედ.: ა. მოწონელიძე, ა. ფრანგიშვილი, იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2007, 231 გვ.

კრებულში, საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის მასალებთან ერთად, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის სიტყვა, წარმოთქმული თეოლოგიის კათედრის დაარსების დროს, აგრეთვე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრის დამაარსებლის, პროფესორის, საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევრის, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ბიოგრაფიული ცნობები.

**თვენი.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, I (იანვარი-აპრილი), 1983, 769 გვ., II (მაისი-აგვისტო), 1984, 641 გვ., III (სექტემბერი-დეკემბერი), 1984, 956 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს სამტომეულს, რომელიც მოიცავს ცნობებს მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის დიპტიხში შესული წმინდანების შესახებ.

**Იგავნი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.**

საღვთისმეტყველო განმარტება 7 წიგნად, მასალა შეკრიბა და შეადგინა დოდო (მარიამ) ღლონტმა, რედ. ნ. ხურცილავა, ნაწილი I-II, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „ხელოვნება“, თბილისი, 2003, 142 გვ., 2004, 124 გვ., ნაწილი III-IV, დაიბეჭდა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის (ბერბიჭაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „ალილო“, „დედა ენა“, თბილისი, 2008, 196 გვ., 2009, 240 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს სახარებისეული იგავების კრებულს, რომელთაც ერთვის განმარტებები წმინდა მამათა თხზულებების მიხედვით. დღესდღეობით გამოცემულია ოთხი ტომი.

**იერუსალიმის ჯვრის მონასტერი და სხვა ქართული სავანეები წმიდა მიწაზე.**

შემდგენელი ირაკლი კამკამიძე, რედ. დეკანოზი დავით ისაკაძე, იბეჭდება

ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოს დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2006, 96 გვ.

წიგნი შედგენილია დეკანოზ პეტრე კონჭოშვილის, მთავარეპისკოპოს ტიმოთე გაბაშვილის, ელდერ მამისთვალიშვილის, წმინდა დიმიტრი როსტოველის,არქიმანდრიტ რაფაელ კარელინისა და სხვა მამათა ნაშრომების, აგრეთვე, კრებულ „ქართულ მწერლობასა" და გაზეთ „მრევლში" გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე. მასში მოთხრობილია იერუსალიმის ჯვრის მონასტერსა და სხვა ქართულ სავანეებში წმინდა მამების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

**ილიაობა.**

ტექსტი მოამზადეს დეკანოზმა იოსებ ზეითიშვილმა, ლ. დულარიძემ, მ. ფუტკარაძემ, რედ.: დეკანოზი იოსებ ზეითიშვილი, მონაზონი თეკლე სიხარულიძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2002, 77 გვ.

წიგნში გადმოცემულია წმინდა ილია წინასწარმეტყველის დღესასწაულის საღვთისმსახურო ტიპიკონი: დიდი მწუხრი, ცისკარი და ლიტურგია. ტექსტი შედგენილია მოსკოვში 1865 წელს გამოცემული „სადღესასწაულოს" მიხედვით.

**იღუმენია თამარ მარჯანიშვილი (მოგონებანი დედა ფამარაზე).**

რუსულიდან თარგმნა ციალა კალმახელიძემ, რედ. ბ. კუდავა, ნებადართულია დასაბეჭდად საპატრიარქოს გამომცემლობის სარეცენზიო საბჭოს მიერ, 1997, 39 გვ.

ბროშურაში გადმოცემულია იღუმენია თამარ მარჯანიშვილის (1869-1936) მოწაფისა და სულიერი შვილის მოგონებები თავის მასწავლებელზე. აქვეა არქიეპისკოპოს არსენი ჟადანოვსკის მოგონებები, სადაც აღწერილია იღუმენია თამარის მიერ დაარსებული სერაფიმო-ზნამენსკოეს მონასტრის ისტორია.

**იღუმენია ტაისიას ჩანაწერები.**

ტექსტი მოამზადა მღვდელმა იაკობ უშიკიშვილმა, რედ. მ. უშიკიშვილი, წიგნი დაიბეჭდა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოს იეგუდიელის (ტაბატაძე) ლოცვა-კურთხევით, 2005, 130 გვ.

წიგნში გადმოცემულია იღუმენია ტაისიას მოგონებები, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის დედათა რამდენიმე სავანის კეთილმოწყობის საქმეში.

**იღუმენია ფავსტო და სქემმონაზონი აკეფსიმა შუშანიები (წერილები და მოგონებები).**

რედ. არქიმანდრიტი მელქისედეკი (მიქავა), იბეჭდება სენაკისა და ჩხოროწყუს ეპისკოპოს შიოს (მუჯირი) ლოცვა-კურთხევით, 2004, 127 გვ.

წიგნი აცნობს მკითხველს იღუმენია ფავსტოსა და სქიმმონაზონ აკეფსიმა შუშანიებს (XX ს.). აქ წარმოდგენილ წერილებსა და მოგონებებში გადმოცემულია მათი ცხოვრება და სულიერი ღვაწლი საქართველოს გასაბჭოების პერიოდში.

**ქავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი).**

რედ. დ. ჩიტუნაშვილი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2012, 570 გვ.

წიგნი წარმოადგენს სამეცნიერო შრომების კრებულს,რომელიც მიძღვნილია ზაზა ალექსიძის დაბადების 75 წლისთავისადმი. კრებული აერთიანებს ნაშრომებს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, თეოლოგიის და ა.შ. თემაზე. წიგნს უძღვის წერილები, რომლებშიც მოკლედ მიმოხილულია იუბილარის ღრმა და მრავალფეროვანი სამეცნიერო მოღვაწეობა, წარმოჩენილია ის განსაკუთრებული პატივისცემა და მოკრძალება, რომელიც ზაზა ალექსიძეს დამსახურებული ჰქონდა კოლეგებსა და მოწაფეებს შორის.

**კორნელი კეკელიძე 120.**

რედ. გ. ბენაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 1999, 167 გვ.

წიგნი წარმოადგენს სამეცნიერო სტატიების კრებულს, რომელიც ეძღვნება აკადემიკოს კორნელი კეკელიძის დაბადების 120 წლისთავს. წიგნს უძღვის რედაქტორის შესავალი წერილი და რევაზ ბარამიძის ნარკვევი, სადაც დაწვრილებითაა მიმოხილული დიდი მეცნიერის მოღვაწეობა.

**კუმურდო (ზემო ჯავახეთის უძველესი ეპარქია და მასში მოღვაწე გამოჩენილი მღვდელმთავრები).**

გამოიცა ბორჯომ-ხარაგაულის ეპისკოპოს სერაფიმეს (ჯოჯუა) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 1999, 40 გვ.

ბროშურაში გადმოცემულია კუმურდოს ეპარქიის ისტორია და მოთხრობილია ეპარქიაში შემავალი ეკლესია-მონასტრების შესახებ.

**ლიმონარი. მეუდაბნოე მამათა ცხოვრება.**

თარგმნა ნინო აბაშიძემ, რედ. ვ. წამალაშვილი, იბეჭდება ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „ბეთანია“, თბილისი, 2014, 378 გვ.

წიგნში შესულია ორი ავტორის თხზულება: ნეტარი იოანე მოსხის (VI-VII სს.) „ლიმონარი ანუ სამოთხე“ და პრესვიტერ რუფინუსის (IV ს.) „მეუდაბნოე მამათა ცხოვრება“. იოანე მოსხის „ლიმონარი“ შედგება მცირე ზომის სულის სასარგებლო ნოველებისაგან, რომლებიც ბერძნულიდან ქართულად ითარგმნა IX-X საუკუნეებში. აკვილეის (ქალაქია ზემო იტალიაში) პრესვიტერ რუფინუსის „მეუდაბნოე მამათა ცხოვრება“ მის ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომად ითვლება. მასში ნაამბობია IV საუკუნის ეგვიპტელი მამების შესახებ, რომლებიც „ცხოვრობდნენ დედამიწაზე, მაგრამ მათი ცხოვრება იყო ზეციური“.

**ლიტურგიკული წეს-განგებანი.**

წიგნი I, ქრისტეშობის დღესასწაულის ღვთისმსახურება, საღვთო სამოციქულო, შემდგენელი რომან ბილიაძე, რედ. არქიდიაკონი დემეტრე დავითაშვილი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 58 გვ.

წიგნში განხილულია შობის დღესასწაულის მსახურება და ის განსხვავებები, რასაც იწვევს ამ დღესასწაულის დამთხვევა კვირის ამა თუ იმ დღეზე. აქვე გაანალიზებულია ღვთისმსახურებისას სამოციქულოს წაკითხვასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები. პუბლიკაცია განკუთვნილია მღვდელმსახურთათვის, სასულიერო სემინარიისა და აკადემიის სტუდენტთა და მართლმადიდებლური ღვთიმსახურების სტრუქტურითა და შინაარსით დაინტერესებულ პირთათვის.

**მადლიერება.**

რედ.: ი. გაჩავა, ლ. ოტიაშვილი, თბილისი, 2002, 167 გვ.

წიგნი წარმოადგენს კრებულს, რომელშიც თავმოყრილია არქიმანდრიტ სოგრატის (ჭულუხაძე) დახმარებით განკურნებული ადამიანების ნაამბობი.

**მამათა სწავლანი სიმდაბლისა და ამპარტავნებისათვის.**

თბილისი, 2011, 190 გვ.

წიგნში თავმოყრილია დიდი საეკლესიო მამების სწავლებები სიმდაბლისა და მისი მტრის, ამპარტავნობის შესახებ.

**მამული, ენა, სარწმუნოება (არსი წმიდა ილია მართლის პუბლიცისტური წერილებისა).**

შეადგინეს გვანცა კოპლატაძემ და გრიგოლ რუხაძემ, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2007, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2006, 368 გვ.

წიგნი წარმოადგენს კრებულს, რომელშიც თავმოყრილია და ანბანურ რიგზე დალაგებული წმ. ილია მართლის (ილია ჭავჭავაძე) ამ დრომდე გამოქვეყნებული ყველა პუბლიცისტური წერილიდან გამოკრებილი ეროვნულ-პოლიტიკური, სოციალური, კულტურულ-ზნეობრივი თუ სასულიერო საკითხები. ნაშრომის შედგენისას გამოყენებულია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეული, რომელიც დაიბეჭდა პავლე ინგოროყვას რედაქციით 1951-1961 წლებში და ილიას თხზულებათა ოცტომეულის ამ დროისათვის უკვე გამოცემული შვიდი ტომი (1987-2005). ნაშრომს უძღვის გვანცა კოპლატაძის ნარკვევი, რომელშიც ასახულია დიდი ქართველი მოღვაწის ცხოვრება და ღვაწლი. ნაშრომი შესულია 2007 წლის საეკლესიო კალენდარში, რომელიც ეძღვნება წმ. ილია მართლის (1837-1907) დაბადებიდან 170 წლის იუბილეს.

**მანანაჲ ანუ შესხმანი ღუთივ-დიდებულთა წმიდათათჳს თანადართვითა მოკლეთა მოძღურებათაჲთა ქრისტეანეთადმი.**

საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1993, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1993.

ნაშრომი შედგენილია XVIII საუკუნეში დავით გარეჯის მონასტრის ბერის მიერ, რომელიც დაღესტნიდან მოვიდა საქართველოში, მოინათლა და მონაზვნად აღიკვეცა. წიგნში შესულია შესხმის ტექსტები ღვთისმშობლისადმი, მაცხოვრისა და ჯვრისადმი, დართული აქვს, ასევე, ქრისტიანული მოძღვრების მოკლე განმარტებები. წიგნი დაიბეჭდა ათონის ახალი ივერიის იოანე ღვთისმეტყველის სავანის თანადგომითა და ამ სავანის აღმაშენებლის, სქიმმონაზონ ბენედიქტე ბარკალაიას დაკვეთით. ნაშრომი შესულია 1993 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**მარადიული იმქვეყნიური საიდუმლოებანი (როგორ ცხოვრობენ ჩვენი მიცვალებულები, მათი კავშირი ცოცხლებთან, მათი ნეტარება და ტანჯვა, წმიდა წერილის, ეკლესიის მამათა და მასწავლებელთა სწავლებით).**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ხ. რაქვიაშვილმა, თბილისი, 2011, 188 გვ.

წიგნში განხილულია რამდენიმე საღვთისმეტყველო საკითხი, როგორიცაა ხორციელი სიკვდილის მიზეზი, სიკვდილის რაობა და მისი გარდაუვალობა, ცოდვილთა სულების მდგომარეობა და ა. შ.

იბეჭდება 1908 წლის გამოცემის მიხედვით.

**მართლმადიდებელი ეკლესიის პასუხები სულიერი ცხოვრების 1140 კითხვაზე.**

I, თარგმნა მანანა ჭირაქაძემ, რედაქტორ-გამომცემელი ზ. მუჯირი, იბეჭდება შემოქმედის დედათა მონასტრის მოძღვრის, არქიმანდრიტ ნოკოლოზის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2000, 231 გვ., II, რედ. ზ. მუჯირი, იბეჭდება რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2003, 372 გვ.

**მართლმადიდებელი მრევლის დღიური № 1.**

დაიბეჭდა ბოლნისის მთავარეპისკოპოს თადეოზის (იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2004, 64 გვ.

წიგნი წარმოადგენს გაზეთ „კანდელში“ „მრევლის გვერდის“ რუბრიკით გამოქვეყნებული წერილების თავმოყრის ცდას. მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს ნარიყალას წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი გიორგი თევდორაშვილი.

წიგნი განკუთვნილია სარწმუნოებრივი საკითხებით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

**მართლმადიდებელი მრევლის დღიური № 3.**

რედ. კ. ცინცაძე, 2005, 168 გვ.

წიგნი წარმოადგენს წმინდა მამების ნაშრომებისა და თანამედროვე ავტორების საღვთისმეტყველო შინაარსის წერილების კრებულს.

**მართლმადიდებელი მრევლის დღიური № 4.**

ფრანგულიდან თარგმნა ნინო გაგოშაშვილმა, რედ. ნ. გაგოშაშვილი, დაიბეჭდა ნარიყალის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ გიორგი თევდორაშვილის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2006, 287 გვ.

წიგნი წარმოადგენს კრებულს, რომელშიც სარწმუნოებრივი საკითხების

ამსახველ რამდენიმე წერილთან ერთად შესულია თანამედროვე ბერძენი თეოლოგის ვლასიოს ფიდასის შრომა „საეკლესიო სამართალი“.

**მართლმადიდებელი მრევლის დღიური № 5.**

რედ. კ. ცინცაძე, იბეჭდება ნარიყალის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ გიორგი თევდორაშვილის ლოცვა-კურთხევით, 2007, 345 გვ.

პუბლიკაციაში შესულია წმ. ეფრემ ასურის (IV ს.) 52 სიტყვა სინანულის შესახებ.

**მართლმადიდებელი მრევლის დღიური № 6.**

რედ. კ. ცინცაძე, იბეჭდება ნარიყალის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ გიორგი თევდორაშვილის ლოცვა-კურთხევით, 2009, 269 გვ.

წიგნში განხილულია სწავლება იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ და გაანალიზებულია ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეცნობის საკითხი.

**მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოკლე კატეხიზმო კათაკმეველთათვის.**

შეადგინა მღვდელმა გურამმა, რედ.: ნ. ასათიანი, ვ. ჭანუყვაძე, დაიბეჭდა ბათუმ-შემოქმედელ და მანგლელ მიტროპოლიტ კონსტანტინეს (მელიქიძე) ლოცვა-კურთხევით, ოზურგეთი, 1991, 32 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია მართლმადიდებლური სარწმუნოების ძირითადი სწავლება. გამიზნულია ელემენტარული სარწმუნოებრივი საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის. წიგნი ხელმეორედ გამოვიდა 1992 წელს.

**მართლმადიდებელი ქრისტიანის განწყობის საკითხავისათვის.**

შეადგინა ვლადიმერ ზანგურაშვილმა, რედ. ვ. ზანგურაშვილი, თბილისი, 2011, 60 გვ.

კრებულში საუბარია რწმენა-განწყობის შესახებ რელიგიაში.

**მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა (კრებული მეორე).**

2004, 36 გვ.

ბროშურაში განხილულია საკითხი კაცობრიობის პროგრესისა და ქვეყნის დასასრულის შესახებ.

**მართლმადიდებლური ნათლობა და მასთან დაკავშირებული საკითხების განმარტებები.**

რედ. კ. ჩიჩილიძე, დაიბეჭდა რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტ ათანასეს (ჩახვაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2000, 63 გვ.

**მასალები ქართულ საეკლესიო ტერმინთა ისტორიისათვის, I.**

რედ. ნ. მახარაძე, ნებადართულია დასაბეჭდად საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობის სარეცენზიო საბჭოს მიერ, საქართველოს საპატრიარქო, სამთავისისა და გორის ეპარქია, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, კრებული გამოიცა მაღალყოვლადუსამღვდელოესი სამთავისისა და გორის მიტროპოლიტ ანდრიას (გვაზავა) ლოცვა-კურთხევით, ლოგოსი, 2013, 99 გვ.

წიგნი წარმოადგენს სტატიების კრებულს, რომლებშიც გამოკვლეული და მეცნიერულად შესწავლილია ზოგიერთი საეკლესიო ტერმინის წარმომავლობა, განვითარების ეტაპები და ისტორია. გამოცემა ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილეს.

**წმ. მაქსიმე აღმსარებლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საღვთისმეტყველო კონფერენციების მასალები, I.**

რედ. ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი), წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახ. საერთაშორისო სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ცენტრი, „აღმსარებელი“, 2015, 712 გვ.

გამოცემა წარმოადგენს მოხსენებათა კრებულს, რომლებიც წაკითხული იყო წმ. მაქსიმე აღმსარებლისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციებზე 2005-2011 წლებში. წიგნის პირველ ნაწილში შესულია მოხსენებები იმ ენაზე, რომელზეც იყო წაკითხული, ხოლო მეორე ნაწილში მოცემულია მათი თარგმანები.

**მედიაცია და კონფლიქტის ფსიქოლოგია.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, წიგნი გამოიცა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია “**World Vision** საქართველოს“ დაფინანსებით, თბილისი, 2014,

192 გვ.

წიგნი წარმოადგენს სალექციო კურსების კრებულს, რომლებიც წაკითხული იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის ინტელექტუალურ-შემეცნებითი სტუდიის ახალგაზრდობის ინტელექტუალური და სულიერი განვითარების პროგრამის ფარგლებში.

**მეცნიერება და სარწმუნოება (გამოჩენილი ქართველი მეცნიერები მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ნაშრომების შესახებ).**

რედ. გ. გვილავა, თბილისი, 2005, 116 გვ.

კრებულში თავმოყრილია გამოჩენილი ქართველი მეცნიერების მიერ დაწერილი რეცენზიები მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ნაშრომებზე: „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია (ოთხ ტომად), „საქართველოს საეკლესიო კრებები“ (სამ წიგნად) და სხვ.

**მზიანი ღამე.**

საავტორო-სარედაქციო ჯგუფი: მიხეილ ქურდიანი, ნინო ჭავჭავაძე, ლუარსაბ ტოგონიძე, თარგმნეს ცისანა ბოცვაძემ, ნინო სანიკიძემ, საქართველოს ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2008, 74 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ფოტოალბომს, რომელშიც თავმოყრილია მასალა საქართველოს საპატრიარქოს, ეროვნული კინო-ფოტო-ფონო და პრესცენტრის არქივებიდან. გადმოცემულია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ბიოგრაფიაც. ალბომი ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 30-ე და დაბადებიდან 75-ე წლის იუბილეს.

**მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, X საუკუნე, წიგნი III.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ვაჟა გვახარიამ, რედ. შ. ამირანაშვილი, 1978, 558 გვ.

წიგნში წარმოდგენილია მიქაელ მოდრეკილის ჰიმნების ხელნაწერთა ფოტოვერსია.

**მოთხრობები მამათა ცხოვრებიდან.**

შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მარინა ნიაურმა, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის,ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1993.

წიგნში თავმოყრილია წმ. მამათა ცხოვრებებიდან გამოკრებილი მნიშვნელოვანი სულიერი საკითხების შემცველი ეპიზოდები. ტექსტები მოძიებულია სხვადასხვა გამოცემიდან. ნაშრომი შესულია 1993 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**მოსე ქართველი. ლექსები პატრიარქს.**

რედ. ბოლნელი მთავარეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე), „კოლორი“, 2010.

კრებულში თავმოყრილია თანამედროვე ავტორების ლექსები, მიძღვნილი უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ისადმი. პროექტის იდეა და წიგნის წინასიტყვაობა ეკუთვნის დეკანოზ პეტრე კვარაცხელიას.

**მოსე ქართველი.**

პროექტის ავტორი დეკანოზი პეტრე კვარაცხელია, რედ. ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე), 2012, 178 გვ.

კრებულში შესულია მიტროპოლიტ თადეოზის (იორამაშვილი), დეკანოზ პეტრე კვარაცხელიასა და სხვათა ლექსები, რომლებიც ეძღვნება საქართველოს კათოლკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს.

**მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი.**

№ 1-24, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 1971-2015.

„მრავალთავი“ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პერიოდული გამოცემაა. იგი წარმოადგენს გაგრძელებას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ ადრე გამოქვეყნებული კრებულებისა: „ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე“ (ტტ. I-V, 1959-1963), „ფილოლოგიური ძიებანი“ (ტ. I, 1964), „პალეოგრაფიული ძიებანი“ (ტტ. I-II, 1965-1969). „მრავალთავი“ სამეცნიერო შრომების კრებულია, რომელშიც თავს იყრის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მომზადებული ფილოლოგიურ-კოდიკოლოგიური თუ წყაროთმცოდნეობითისტორიული ხასიათის სამეცნიერო ნარკვევები, რომლებიც შეეხება ქართული მწერლობის, ისტორიისა და კულტურის საკითხებს.

**„მრევლი“.**

გამომცემელი არასამეწარმეო კავშირი „მრევლი“, თბილისი, 2002,42 გვ.

კრებულში საუბარია ზნეობის საკითხებზე.

**მრევლის ცნობარი, თბილისის მართლმადიდებლური ტაძრები.**

რედ. ე. ვარამიშვილი, 2007, 63 გვ.

**მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი.**

რედ. ე. ჭელიძე, საქართველოს საპატრიარქო, თბილისის სასულიერო აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, 2001, 437 გვ.

წიგნში შესწავლილი და გაერთიანებულია კალენდარული ფუნქციის მქონე უმთავრესი ლიტურგიკული ძეგლები, კერძოდ: „იერუსალიმის განჩინება (ლექციონარი)“ (V-VII სს.), იოანე-ზოსიმეს მიერ შედგენილი კალენდარი (X ს.), გიორგი მთაწმინდელის (XI ს.) თარგმნილი „სვინაქსარი“, მის მიერვე თარგმნილ-შედგენილი „თვენი“ და „სტიქარონ-იადგარი“. ასევე, კ. კეკელიძის მიერ გამოცემული კიმენური და მეტაფრასული ჰაგიოგრაფია. ნაშრომი მომზადებულია საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ „ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ჰაგიოლოგიური კვლევის ცენტრში“.

**მსოფლიო საეკლესიო კრებები.**

რედ. ზ. ეკალაძე, დაიბეჭდა დეკანოზ გიორგის (თევდორაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2006, 56 გვ.

წიგნში მოკლედ არის გადმოცემული შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების ისტორია და ამ კრებებზე მიღებული ძირითადი დოგმატური სწავლებანი.

**მსოფლიო საეკლესიო კრებები და დოგმატური ღვთისმეტყველება (დოგმატურ-ისტორიული საკითხები, მოკლე სასწავლო კურსი).**

შემდგენელი გრიგოლ რუხაძე, რედ. გ. კოპლატაძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2004, 160 გვ.

ნაშრომში წარმოდგენილია დოგმატიკის სისტემური სწავლებისა და მსოფლიო საეკლესიო კრებების დოგმატურ-ისტორიული მოკლე კურსები. ძირითადად გამოყენებულია პროფესორ ალექსანდრე ლებედევისა („მსოფლიო საეკლესიო კრებები“) და მთავარეპისკოპოს ფილარეტის

(„დოგმატური ღვთისმეტყველება“) ნაშრომები. აქ მოკლედ არის გადმოცემული ის ძირითადი დოგმატური საკითხები, რომლებიც არსებითი და მნიშვნელოვანია მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებაში. წიგნი პირველად გამოიცა 1994 წელს. წინამდებარე გამოცემა უფრო შევსებული და გადამუშავებულია.

**მსოფლიო საეკლესიო კრებები (ისტორია, ღვთისმეტყველება, კანონები).**

რუსულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო არჩილ ხაჩიძემ, რედ. მღვდელი თეიმურაზ თათარაშვილი, დაიბეჭდა დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ აბრაამის (გარმელია) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2009, 457 გვ.

წიგნში აღწერილია შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების ისტორია, მათი მიმდინარეობა და წამოყენებული დოგმატური საკითხები. გაანალიზებულია ამ კრებებზე მიღებული კანონები.

**მსოფლმხედველობა, რწმენა, ადამიანის ღირსება.**

რედ. გ. თევზაძე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1991, 222 გვ.

კრებული აერთიანებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის და ქალაქ გისენის უნივერსიტეტის კათოლიკური თეოლოგიის ინსტიტუტის ერთობლივი კონფერენციის (ჩატარდა 1990 წლის 10-18 აპრილს) მოხსენებებს.

**მუშაკი სულიერისა ვენახისაი. მიხეილ ქავთარია – 80.**

რედ. მ. რაფავა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2012, 292 გვ.

გამოცემა წარმოადგენს სამეცნიერო სტატიების კრებულს, რომელიც მომზადდა 2009 წელს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უხუცესი თანამშრომლის, გამოჩენილი ფილოლოგისა და მეცნიერის – მიხეილ ქავთარიას 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით. კრებულში, ასევე, შესულია წერილები, რომლებშიც ფართოდაა მიმოხილული მიხეილ ქავთარიას ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა.

**მცირე საეკლესიო ენციკლოპედია.**

შეადგინეს გვანცა კოპლატაძემ და გრიგოლ რუხაძემ, ლიტურგიკული საკითხების რედაქტორი მღვდელი თეიმურაზ ბარაბაძე, დაიბეჭდა სრულიად

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის,ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2004, 196 გვ.

მცირე საეკლესიო ენციკლოპედია ძირითად ცნებათა და დებულებათა განმარტებებთან ერთად მოიცავს ცნობებს იმ მოღვაწეთა შესახებ,რომლებსაც მსოფლიო ეკლესიის, განსაკუთრებით კი საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში გამორჩეული წვლილი მიუძღვით. ენციკლოპედიაში ბიბლიოგრაფიის,ჰაგიოგრაფიის, ჰიმნოგრაფიის, ჰომილეტიკის, კანონიკის, ეგზეგეტიკის, ხუროთმოძღვრების და სხვა საეკლესიო მეცნიერებათა საკითხებია თავმოყრილი. წიგნს ერთვის სათვეო კალენდარში მოხსენიებულ წმინდანთა სახელების განმარტება. გამოცემა შესულია 2005 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**მცხეთური ხელნაწერი.**

გამოსაცემად მოამზადა ელენე დოჩანაშვილმა, რედ. ზ. სარჯველაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, „ნეკერი“, 1999, 86 გვ.

ნაშრომი სულხან-საბა ორბელიანის მიერ რედაქტირებულ მცხეთის ბიბლიაზე (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერი №51) დართული საძიებლების პირველი პუბლიკაციაა.

**ნათელი ქრისტესი საქართველო.**

მთ. რედ. ნ. კირთაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, თბილისი, 2006, 990 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს მართლმადიდებელი საქართველოს ოცსაუკუნოვან ისტორიას. განხილულია მეცნიერება,მწერლობა, ხელოვნება და კულტურა, საეკლესიო სამართალი, ლიტურგიკული პრაქტიკა, წმინდანთა ცხოვრება, აღწერილია ეკლესიებში დაცული სიწმინდეები. წიგნს დართული აქვს ქართული კულტურის ძეგლების ამსახველი მდიდარი ფოტომასალა. ტექსტი თარგმნილია რუსულ და ინგლისურ ენებზეც.

**პატრიარქის მოღვაწეობა, 2011 წ. I (საიუბილეო გამოცემა).**

რედ.: ნ. ბოკუჩავა, ნ. გაგოშაშვილი, გამოიცა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრის თანადგომით, თბილისი, 2012, 350 გვ.

გამოცემაში ასახულია 2011 წ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის მოღვაწეობის სხვადასხვა მხარე: ეპისტოლეები, ქადაგებები, განცხადებები, ინტერვიუები, ვიზიტები, წმინდა სინოდის განჩინებები. წიგნში შესულია პატრიარქის მოგონებებიც (ამოკრებილი სხვადასხვა დროის ქადაგებებიდან და სიტყვებიდან). იგეგმება შემდეგი ტომების გამოცემაც, რომლებშიც ასახული იქნება 2011 წლამდე არსებული და მომდევნო წლებში დაგროვილი მასალა.

**რამდენი რამე ყოფილა სათქმელი**.

რედ. რ. ვაშაკიძე, 2006, 68 გვ.

კრებულში იბეჭდება თბილისის სემინარია-აკადემიის სტუდენტთა ლექსები.

**რას გვეტყვი, მამაო? პასუხი 100 კითხვაზე (კრებული პირველი, მეორე, მესამე).**

რედ. საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელი,დეკანოზი დავით შარაშენიძე, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2000, 24 გვ.

რუსულ მართლმადიდებლურ გაზეთს, „ტროიცკაია კნიგას“, შემოღებული ჰქონდა რუბრიკა „რას გვირჩევ, მამაო?“ რუბრიკაში მკითხველთა შეკითხვებს პასუხობდნენ მღვდელმსახურნი. შემდგომში ეს კითხვა-პასუხები წიგნად დაიბეჭდა. წინამდებარე კრებულები სწორედ ამ წიგნის საფუძველზეა შედგენილი.

**რატომ უარმყავ, ადამიანო?!**

რედ. დეკანოზი გიორგი ჯგუშია, დაიბეჭდა ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოს გერასიმეს (შარაშენიძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2002, 24 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია წმ. ტიხონ ზადონელის (ვორონეჟელი ეპისკოპოსი, 1724-1783) თხზულებები – „ქრისტე ცოდვილ გულს თავისაკენ უხმობს“ და „ცოდვილი სულის ამოძახილი უფლის მოწოდებაზე“.

**რელიგია, საზოგადოება და სახელმწიფო.**

რედ. ლ. აბაშიძე, რელიგიათმცოდნეთა ქართულ-რუსული ინიციატივა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს მხარდაჭერით, 2005, 164 გვ.

კრებული შედგენილია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ინიციატივითა და მხარდაჭერით ჩატარებული ლექციებისა და სემინარების საფუძველზე. განხილულია რელიგიათმცოდნეობის არსი, მისი მოკლე ისტორია და ადგილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა რიგში, შემწყნარებლობის იდეის ევოლუცია და მისი დანერგვა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ევროპულ სამართალში. წარმოდგენილია ანალიზი საქართველოს, რუსეთისა და უკრაინის რელიგიური მდგომარეობისა და მისი მიმართება პოლიტიკურ ცხოვრებასთან.

**რელიგიები საქართველოში.**

რედ. ზ. კიკნაძე, საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, თბილისი, 2008, 437 გვ.

წიგნი საცნობარო-საენციკლოპედიო ხასიათისაა და საქართველოში არსებული რელიგიური მრავალფეროვნების სისტემატიზებული გადმოცემის მცდელობას წარმოადგენს.

**რელიგიის ისტორიის საკითხები.**

რედ. ზ. აბაშიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2010, 247 გვ.

კრებულში თავმოყრილია გამოკვლევები ცოდნისა და რწმენის ურთიერთობის თემაზე. წიგნი ეძღვნება სვეტიცხოვლის აღდგენა-განახლების 1000 წლისთავს და მომზადებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი კომისიის მიერ.

**რელიგიური ფილოსოფიის პრობლემები.**

რედ. დ. გეგეშიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ფილოსოფიის ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, 1995, 121 გვ.

კრებულში განხილულია რელიგიური ფილოსოფიის აქტუალური პრობლემები. განმარტებულია მარტინ ლუთერის მსოფლმხედველობის ძირითადი საკითხების შინაარსი, ახსნილია რელიგიაზე ჰეგელის შეხედულებების არსი, ნაჩვენებია „იმედის თეოლოგიაში“ ისტორიის საზრისის ახსნის ცდის მნიშვნელობა, დახასიათებულია XX საუკუნის დასაწყისის რუსული რელიგიური ფილოსოფიის ძირითადი თავისებურებანი, გადმოცემულია ორგვარი ჭეშმარიტების თეორიის რაობა.

**როგორ ვიცხოვროთ თანამედროვე ურწმუნო ეპოქაში? (პრაქტიკული რჩევ-**

ები ქრისტიანული წესით ცხოვრებისათვის).

შეადგინა სანქტ-პეტერბურგის შესტაკოვის ღვთისმშობლის ხატის ქართული ეკლესიის წინამძღვარმა დეკანოზმა რომანოზმა, რედ. ნ. ზარნაძე, დაიბეჭდა სანქტ-პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტ ვლადიმერის ლოცვა-კურთხევით, სანქტ-პეტერბურგი, 1998, 54 გვ.

წიგნი განკუთვნილია ქრისტიანული ცხოვრების წესით დაინტერესებული მკითხველისათვის. მასში შესულია სხვადასხვა მოკლე ლოცვა და ქრისტიანული სწავლების ელემენტარული საკითხები. წიგნს ერთვის შავ-თეთრი ილუსტრაციები.

**რწმენა და ცოდნა.**

№1-10, რედ.: ი. ჩომახაშვილი (მთ. რედ.), დ. თუმანიშვილი, ი. კოტეტიშვილი, მ. დიდებულიძე, თ. შაკიაშვილი, ა. არჯევანიძე, კ. ჟღენტი, მ. სუხიაშვილი, 2000-2002, №11-16, რედ.: თ. შაკიაშვილი, მ. დიდებულიძე, ა. არჯევანიძე, მ. ოვაშვილი, მ. სუხიაშვილი, მ. გულიაშვილი, ე. გემაზაშვილი, 2003-2009, № 17, რედ.: თ. შაკიაშვილი, მ. დიდებულიძე, მ. სუხიაშვილი, ა. არჯევანიძე, მ. ოვაშვილი, 2014.

„რწმენა და ცოდნა" წარმოადგენს საგანმანათლებლო-სასულიერო ხასიათის პერიოდულ ორგანოს. გამოცემა ათ წელიწადზე მეტია არსებობს და თემატიკისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით ფართო სპექტრის სტატიებს აერთიანებს. ჟურნალში გაშუქებულია მიმართება მეცნიერების სხვადასხვა დარგსა და რელიგიას შორის, საეკლესიო ხელოვნება და ფილოსოფია, ბიბლიის თარგმნის ისტორია და მეთოდოლოგია, წმინდანთა ცხოვრება (მათ შორის, ქართველი საზოგადოებისათვის უცნობი წმინდანებისა) და ა.შ.

**რწმენა ჩვენს ცხოვრებაში (წიგნი I).**

რედ. მთავარეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი), წიგნი მომზადდა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში, თბილისი, 2011, 392 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს კრებულს, რომელშიც შესულია სასკოლო პრაქტიკული კონფერენციის მასალები.

**სადღესასწაულო სახარებათა განმარტება.**

შემდგენელი ღვთისმეტყველების მაგისტრი, მღვდელი გრიგოლ დიაჩენკო, რედ. მღვდელი კონსტანტინე ბურჯანაძე, იბეჭდება ფოთის ეპისკოპოს გრიგოლის (ბერბიჭაშვილი) ლოცვა-კურთხევით, ფოთის ეპარქიის გამო-

ცემა, 2002, 719 გვ.

წიგნში წმინდა მამათა თხზულებებიდან ამოკრებილი სწავლებების მიხედვით განმარტებულია სადღესასწაულო ლიტურგიაზე საკითხავი სახარების ტექსტები. ნაშრომი შეიქმნა XIX საუკუნის ბოლოს.

**საერთაშორისო კონფერენცია – რელიგია და საზოგადოება, რწმენა ჩვენს ცხოვრებაში (მოხსენებათა მოკლე შინაარსები).**

საქართველოს საპატრიარქო, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, მეცნიერების ფონდი „უდაბნო", საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2004, 171 გვ.

კრებულში წარმოდგენილი სტატიები აშუქებს ისტორიის, ხელოვნების, ეთნოლოგიის, თეოლოგიის, ფილოსოფიის, ძველი ქართული მწერლობის, ენათმეცნიერების, ეკონომიკისა და სამართლის ცალკეულ საკითხებს.

**სათნოებათა გვირგვინი (ღვთივშვენიერი თხრობანი სულისა ფრიად სარგებელნი).**

ტექსტი მოამზადა მარიამ ნინიძემ, რედ. დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 1999, 176 გვ.

წიგნი წარმოადგენს მღვდელ ვასილ კარბელაშვილის მიერ 1892 წელს „გვირგვინის" სახელწოდებით გამოცემული ღვთივსულიერ თხრობათა კრებულის ძველი ქართულიდან თანამედროვეზე გადმოღებულ ვარიანტს, რომელსაც, თავის მხრივ, საფუძვლად დასდებია ორი ხელნაწერი: ხუცური (გადაწერილი დიაკონ ქრისტეფორე ალიბეგაშვილის მიერ) და მხედრული (გადაწერილი 1797 წელს ვინმე პავლეს მიერ). მღვდელ ვასილ კარბელაშვილის ვარაუდით, ეს წიგნი შედგენილი უნდა იყოს ვინმე მღვდელ პეტრეს მიერ 1240 წელზე ადრე. წიგნი ხუთ თავად იყოფა. თითოეულ თავში ოცი მოთხრობაა.

**საკვირველი ამბები წმინდანთა ცხოვრებიდან.**

შეადგინეს დოდო (მარიამ) ღლონტმა, ლელა ბექაურმა, რედ. დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „ახალი ივირონი", თბილისი, 2005, 103 გვ.

წიგნში თავმოყრილია წმინდანთა ცხოვრებიდან ამოკრებილი განსაკუთრებით საყურადღებო ამბები. ტექსტს დართული აქვს ფერადი ილუს-

ტრაციები.

**საკითხავი ყრმათათვის.**

რედ. გ. რუხაძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2011, 239 გვ.

კრებულში შესულია დარიგებები სარწმუნოებრივ საკითხებზე, ძველი და ახალი აღთქმის ისტორია და სულისთვის სასარგებლო სხვა თხზულებები. წიგნი მომზადებულია „ჯეჯილის“, „ნაკადულის“, „ნობათისა“ და სხვა ჟურნალებში დაბეჭდილი ტექსტების მიხედვით.

**სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები.**

I,II, რედ. ე. ჭელიძე, III, IV, რედ. ნ. მელიქიშვილი, თბილისის სასულიერო აკადემია, „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 166 გვ., 2004, 193 გვ., 2012, 198 გვ., 2013, 225 გვ.

სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები წარმოადგენს თბილისის სასულიერო აკადემიის პერიოდულ გამოცემას, რომელშიც იბეჭდება სხვადასხვა ჟანრის სასულიერო მწერლობის ნიმუშები და მეცნიერული გამოკვლევები.

**სამი ნევმირებული კანონი.**

შეადგინა, წინასიტყვაობა დაურთო, ტექსტების ნევმირება მოახდინა და საგალობლობი გაამარტივა ზაალ წერეთელმა, რედ. დ. შუღლიაშვილი, დაიბეჭდა საქართველოს საპატრიარქოს გალობის ცენტრის ხელმძღვანელის, ამბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის (მახარაძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2013, 102 გვ.

წიგნის მიზანია, სათავე დაუდოს ძველი ქართული ნევმური სისტემისა და სრულად გალობის ტრადიციის ხელახალ დამკვიდრებას ქართულ ეკლესიაში. კრებულში შესულია აღდგომის, შობის და ღვთისმშობლის პარაკლისის ნევმირებული კანონები. სანოტო მასალის განყოფილებაში დაბეჭდილია კანონების სრული გალობით აღსასრულებლად საჭირო ყველა ძლისპირ-ჩასართავი. შესავალთან ერთად გამოცემას ერთვის ჰანგის გამარტივებისა და ნევმებით გალობის პრინციპების დეტალური აღწერა მაგალითებითურთ. აქვე იბეჭდება ნევმების მელოდიურ საქცევებთან შესაბამისობის ცხრილი. წიგნი განკუთვნილია მგალობელთა გუნდებისა და მუსიკოლოგებისათვის, ასევე, ამ საკითხებით დაინტერესებული სასულიერო თუ საერო პირებისათვის.

**სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში, გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავ-ლეთი.**

რედ. ზ. სხირტლაძე, გარეჯის კვლევის ცენტრი, თბილისი, 2001, 275 გვ.

გამოცემა კრებულია, რომელში თავმოყრილი ნარკვევებიც წარმოდგენილი იყო საერთაშორისო კონფერენციაზე „სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში, გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი“ (თბილისი, 2000 წლის 19-23 სე-ქტემბერი). გამოკვლევები ეხება ქრისტიანული აღმოსავლეთის სამონას-ტრო გაერთიანებების ისტორიისა და დღევანდელობის სხვადასხვა ასპექტს. პრობლემათა მნიშვნელოვანი ნაწილი განხილულია გარეჯის მრავალმთის მონასტრის მაგალითზე. წიგნს დართული აქვს ფოტომასალა.

**სანთელი აღნთებული.**

შემდგენელ-რედაქტორი თინათინ კობალაძე, საქართველოს საპატრიარქო, 2001, 130 გვ.

წიგნში თავმოყრილია მოგონებები მიტროპოლიტ კონსტანტინეს (მელიქიძე, XX ს.) შესახებ. იბეჭდება მისი ლექსებიც. გამოცემას დართული აქვს მიტ-როპოლიტის ფოტოები.

**სანუგეშო (საპყრობილეში მყოფთათვის).**

რედ. ვ. ბურკაძე, იბეჭდება საქართველოს საპატრიარქოს მსჯავრდებ-ულებთან ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარისა და ნარიყალის წმ. ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ გიორგი თევდორაშვილის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2009, 251 გვ.

ნაშრომში წარმოდგენილია წმიდა ეფრემ ასურის საგალობლებიდან და სამოძღვრებო სიტყვებიდან გამოკრებილი ადგილები სათაურით „ვიღვა-წოთ სინანულისათვის,“ საკითხავები და ლოცვები პატიმართათვის, სანუ-გეშო მაგალითები პატერიკებიდან, ნაწყვეტები წმ. ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის ქადაგებებიდან სახელწოდებით „რა უნდა იცოდეს პატიმარმა“.

**სანუგეშო II.**

ამოკრებილი ადგილები წმიდა მამებისა და ეკლესიის მოძღვართა ქმნილებე-ბიდან თარგმნა ვასილ ბურკაძემ, რედ. ვ. ბურკაძე, წიგნი იბეჭდება საქართ-ველოს საპატრიარქოს მსჯავრებულებთან ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარის, დეკანოზ გიორგი თევდორაშვილის ლოცვა-კურთხევით, „სიტყვა“, თბილისი, 2011, 299 გვ.

ნაშრომში განხილულია თემები: ქრისტიანული ცხოვრება „სათნოთმოყვა-

რეობის“ (ფილოკალიის) მიხედვით, ფიქრები და აღსარება მონანული ცოდვილისა.

**სანუგეშო – გახსოვდეს „ეს ჩემგან იყო“ (მეორე სრული გამოცემა).**

შეადგინა და გამოსცა ოთარ ნიკოლაიშვილმა, დაიბეჭდა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოს თადეოზის (იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2010, 160 გვ.

წიგნში შესულია მღვდელ-მონაზონ სერაფიმე ვირიცელის (ერისკაცობაში ვასილ ნიკოლოზის ძე მურავიოვი, 1866-1949) რამდენიმე სიტყვა (თარგმნა ვერიკო კოტარიამ) და ჩუბაქსრისა და ჩუვაშეთის არქიეპისკოპოს მანუელის – „მე შენგან ველი პასუხს“ (თარგმნა მანანა ყიფიანმა). იბეჭდება წმინდა მამათა ნაშრომებიც.

**სარწმუნოება და მეცნიერება.**

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, 2011, 49 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს სემინარის მასალების კრებულს.

**სასულიერო და საერო სიმღერის მრავალხმიანობის პრობლემები.**

რედ. რ. წურწუმია, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, თბილისი, 2001, 350 გვ.

კრებულში შესულია ქრისტეშობის 2000 და საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებები. მასალები დაბეჭდილია იმ ენაზე, რომელზეც შედგა გამოსვლა, ამასთან, მოცემულია უცხოენოვანი ტექსტების სრული ქართული თარგმანი.

**საუფლო დღესასწაულები.**

შეადგინეს ანა აბულაძემ და მაია ყაჭეიშვილმა, გამოიცა შემოქმედელ მიტროპოლიტ იოსების (კიკვაძე) ლოცვა-კურთხევით, 2008, 44 გვ.

ბროშურა წარმოადგენს თორმეტი უდიდესი საუფლო დღესასწაულის მოკლე ისტორიას.

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები.**

რედ. რ. მეტრეველი, „ნეკერი“, თბილისი, 2000, 219 გვ.

არსებული დოკუმენტებისა და ლიტერატურის გათვალისწინებით წიგნში ქვეყნდება ქართლის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთი) კათოლიკოს-პატრიარქთა მოღვაწეობის ქრონოლოგიური რიგი და მათი საქმიანობის ამსახველი მასალები.

**საქართველოს სამოთხე (სრული აღწერაჲ ღუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა), შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურღის სასულიერო აკადემიის კანდიდატის, ივერიელის, გობრონ (მიხაილ) პავლეს ძის, საბინინის მიერ.**

დაიბეჭდა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოს თადეოზის (იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „დიადემა“, თბილისი, 2010, 600 გვ.

წიგნში შესულია სხვადასხვა ქართველი წმინდანის ცხოვრება. მას უძღვის გამომცემელ გ. საბინინის წინასიტყვაობა. ტექსტს დართული აქვს ლექსიკონი.

**საქართველოს საპატრიარქოს სკოლები (წიგნი I).**

გამოსაცემად მოამზადა ანა არჯევანიძემ, რედ. მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი), საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრი, იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, შპს „ფორმა“, თბილისი, 2013, 262 გვ.

წიგნში გადმოცემულია საქართველოს საპატრიარქოს მიერ მცხეთა-თბილისისა და სხვა ეპარქიებში დაარსებული სკოლებისა თუ სხვა სასწავლო დაწესებულებების მოკლე ისტორიები, ტექსტს დართული აქვს ფოტომასალა.

**საქართველოს სულიერი საგანძური.**

შეადგინა ვახტანგ გაბელიამ, რედ. ც. ნიკურაძე, ალბომი გამოიცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „ხელოვნება“, თბილისი, 2005, 380 გვ.

წიგნი წარმოადგენს საიუბილეო-სასაჩუქრე ქართულ-ინგლისურენოვან ილუსტრირებულ ალბომს, რომელიც ეძღვნება საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის 2000 წელს. გამოცემა შედგენილია ენციკლოპედიური ტიპის ტექსტით, რომელსაც ერთვის სხვადასხვა ეკლესია-მონასტერთან დაკავშირებული სასწაულების აღწერა და სულისათვის სასარგებლო ისტორიები.

**საღვთო სჯული.**

„ნობათი“, 1993, 425 გვ.

გამოცემა წარმოადგენს XX ს-ის დასაწყისში მოღვაწე სასულიერო პირების: ნესტორ ყუბანეიშვილის, არქიმანდრიტ პიროსის (ოქროპირიძე), რაჟდენ გიგაურის, სიმონ მჭედლიძის, მელიტონ კელენჯერიძის და გიორგი იოსელიანის ნაშრომთა კრებულს.

**საღვთისმეტყველო კრებული.**

რედ. ნ. პაპუაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საღვთისმეტყველო და სამეცნიერო ორგანო, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქო, 1991, 246 გვ.

კრებულში შესულია საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური შინაარსის ტექსტები. იგი საგანმანათლებლო ხასიათისაა და განკუთვნილია მომავალ ღვთისმსახურთათვის.

**საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები V.**

რედ. ე. ჭელიძე, თბილისის სასულიერო აკადემია, „მერიდიანი“, 2014, 333 გვ.

წიგნი წარმოადგენს თბილისის სასულიერო აკადემიის პერიოდულ გამოცემას, რომელშიც იბეჭდება სხვადასხვა ჟანრის სასულიერო მწერლობის ნიმუშები და მეცნიერული გამოკვლევები.

**საღვთო წირვა.**

შეადგინა ასმათ კუსრაშვილმა, რედ. გ. ხარებაშვილი, იბეჭდება ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამოცემისა და რეცენზირების დეპარტამენტი, „ხარება“, 2007, 175 გვ.

წიგნში თავმოყრილი და განხილულია საღვთო ლიტურგიის ყოველი ნაწილის წმინდა მამებისეული განმარტება.

**საშობაო მოთხრობები.**

შეადგინა ზურაბ კალანდაძემ, რედ. ზ. კალანდაძე, „მთაწმინდა“, თბილისი, 2011, 126 გვ.

წიგნი წარმოადგენს მოთხრობების კრებულს, რომლებიც ამოღებულია 1890-1917 წლების ჟურნალებიდან „ჯეჯილი“ და „ნაკადული“ და გამიზნუ-

ლია მოზარდში ქრისტიანული ზნეობის განმტკიცებისათვის. მასალა რედაქტირებულია თანამედროვე ენობრივი ნორმების გათვალისწინებით. კრებულში ჩართულია მხატვარ დავით პოპიაშვილის პეიზაჟები.

**სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად.**

ტფილისი, 1911, 91 გვ.

წიგნში მოკლედაა გადმოცემული ძირითადი მართლმადიდებლური სწავლა-მოძღვრება, რომელიც თემატურად არის დალაგებული. იბეჭდება 1911 წლის გამოცემის მიხედვით. ნაშრომი შესულია 1989 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად.**

თბილისი, 1994, 103 გვ.

წიგნში მოკლედ არის გადმოცემული სწავლება მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ.

**სექტანტობის საფრთხე.**

გამოსაცემად მოამზადა დეკანოზმა გიორგი მულაძემ, რედ. ე. შველიძე, იბეჭდება ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოს დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, ბათუმი, 1999, 46 გვ.

ბროშურაში საუბარია თანამედროვე სექტების ისტორიისა და მათი მხილების საშუალებების შესახებ.

**სვეტიცხოველი.**

რედ. მ. ყიფშიძე, შპს. „ფავორიტი პრინტი“.

წიგნი წარმოადგენს ავტორთა კოლექტივის მიერ შექმნილ მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომს სვეტიცხოვლის შესახებ, რომელშიც შესწავლილია ამ ტაძრის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე, სვეტიცხოველში დაცული სიწმინდეები, რაც მას გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს, ფართოდაა მიმოხილული ტაძრის არქიტექტურა, მოხატულობა, რელიეფური გამოსახულებები და ეპიგრაფიკული ძეგლები. გამოცემაში შესულია სვეტიცხოვლის ტაძრისა და მისი ცალკეული მხატვრული დეტალების ამსახველი მდიდარი ფოტომასალა. წიგნს დართული აქვს ტაძრის გეგმა.

**სიბრძნის ხიდი მეცნიერებასა და სარწმუნოებას შორის**.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრა, 2002, 12 გვ.

ბროშურაში შესულია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრის პირველი გამგის, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის, სიტყვები კათედრის დაფუძნებისას 2001 წლის 19 ოქტომბერს. გამოცემა ეძღვნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსების მე-80 და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის დაბადებიდან 70-ე წლისთავს.

**სინდისი პატარა ღმერთია, ღირსი გაბრიელი – აღმსარებელი და სალოსი (მოგონებანი).**

რედ. ს. გოგინაშვილი, კონსულტანტი დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი, თბილისი, 2013, 111 გვ.

წიგნი წარმოადგენს კრებულს, რომელშიც თავმოყრილია მოგონებები არქიმანდრიტ გაბრიელის (ერისკაცობაში გოდერძი ვასილის ძე ურგებაძე, 1929-1995) შესახებ.

**სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა.**

წიგნი I, შეადგინეს გელა აროშვილმა, ზურაბ აროშვილმა და გიორგი გაბაშვილმა, რედ. ვ. ხარჩილავა, გამოიცა შიომღვიმის მონასტრის ლოცვა-კურთხევით, „მერანი“, თბილისი, 1990, 400 გვ.

წიგნი II, შეადგინეს გელა აროშვილმა და ზურაბ აროშვილმა, რედ. ვ. ღლონტი, გამოიცა შიომღვიმის მონასტრის ლოცვა-კურთხევით, „კიდევაც დაიზრდებიან“, თბილისი, 1991, 502 გვ.

წიგნი III, შეადგინეს გელა აროშვილმა და ზურაბ აროშვილმა, რედ. მ. ინდუაშვილი, გამოიცა შიომღვიმის მონასტრის ლოცვა-კურთხევით, „ხელოვნება“, თბილისი, 1991, 444 გვ.

წიგნი IV, შეადგინეს გელა აროშვილმა და ზურაბ აროშვილმა, „ხელოვნება“, თბილისი, 1992, 544 გვ.

წიგნი V, თარგმნეს ვასილ ბურკაძემ და რუსუდან ბუაჩიძემ, შეადგინეს გელა აროშვილმა და ზურაბ აროშვილმა, თბილისი, 1995, 494 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ხუთწიგნეულს. პრიველ ოთხ ტომში თავმოყრილია დიდი საეკლესიო მამების სიტყვები თუ ნაშრომები (II-XX სს.), რომლებშიც განხილულია საკითხები მარხვისა და ლოცვის, სინანულისა და

საკუთარ ვნებებთან ბრძოლის, ზნეობრივი და სარწმუნოებრივი ცხოვრების, ჭეშმარიტი რწმენის, მწვალებლური სწავლებებისაგან დახსნისა და მომავალი ცხოვრების შესახებ. მეხუთე ტომში შესულია XX ს-ის ცნობილი საეკლესიო მწერლების ნაშრომები ეკუმენიზმის როაბისა და მართლმადიდებელ ეკლესიასთან მისი მიმართების შესახებ.

**სიტყვა ნუგეშისცემისა (მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერი მემკვიდრეობა).**

თარგმნეს რუსუდან ბუაჩიძემ, ნინო ბელთაძემ, ლონდა ჯიქიამ, შეადგინა და გამოსცა დეკანოზმა ზაქარია მარგალიტაძემ, დაიბეჭდა ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, ნებადართულია გამოსაცემად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, თბილისი, 2008, 444 გვ.

კრებულში წარმოდგენილია საეკლესიო მამების თხზულებები სინანულის, მარხვის და ლოცვის, ეკლესიის საზღვრების საკითხისა და სხვა თემების შესახებ. წიგნი პირველად გამოიცა 2007 წ.

**სიყვარულით შექმნილი სამყარო (სახელმძღვანელო უმცროსი სასკოლო ასაკის, 6 წლის, ბავშვთა კატეხიზაციისათვის. I ნაწილი).**

თარგმნა ნათია გიორგობიანმა, რედ. დეკანოზი მიქაელ გალდავა, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2009, 124 გვ.

წიგნი რეკომენდებულია საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრის მიერ ბავშვთა რელიგიური განათლებისთვის. ტექსტს ახლავს ფერადი ილუსტრაციები.

**სიცოცხლე უფალთან გრძელდება (სამეცნიერო კონფერენცია).**

რედ. ო. კერესელიძე, საქართველოს ეროვნული აკადემია, გელათის სასულიერო აკადემია, იბეჭდება ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2006, 256 გვ.

კრებულში თავმოყრილია გელათის აკადემიის დაარსების 900 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები.

**სიწმინდეები გვიხმობენ.**

რედ. ზ. ნანობაშვილი, 2004, 84 გვ.

გამოცემა ეძღვნება მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის (ანჩისხატის) თავის საყდარში დაბრუნებისა და სიწმინდეებისათვის ეკლესიური პატივის აღდგენის საკითხს. წიგნში გამოქვეყნებულია სხვადასხვა დროს დაბეჭდილი სტატიები ამ თემასთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, წარმოდგენილია აპოკრიფული თხზულება „ეპისტოლე ავგაროზ მთავრისაჲ, რომელი მიუწერა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა," ღვთის ხატის ისტორია, კარედის აღწერილობა.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.**

რედ.: რ. მეტრეველი, ნ. გიოშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 2007, 231 გვ.

კრებული ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 30-ე და დაბადებიდან 75-ე წლისთავს. მასში თავმოყრილია ქართველი და უცხოელი მოღვაწეების მისალმებები და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის უმნიშვნელოვანესი ეროვნული და სასულიერო საქმიანობის ამსახველი ფაქტები.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და ეპისკოპოსის კურთხევის წესები (მეორე გამოცემა).**

დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1997, 32 გვ.

ბროშურა წარმოადგენს ტიპიკონს, რომელიც გამოიყენება საქართველოში პატრიარქისა და ეპისკოპოსის კურთხევის შემთხვევაში.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, კირიონ II, ქრისტიანული, თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოსთვის.**

გამოსაცემად მოამზადეს ილია აბულაძემ და ლუკა ხუნდაძემ, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2005, 11 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია უწმინდესი კირიონ II-ის (ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი, 1855-1918) სიტყვა წარმოთქმული 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების დღეს. ასევე, შესულია ამ

დღესთან დაკავშირებით გამოცემული ეპისტოლე სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭოსი. ტექსტს ერთვის წმინდა მღვდელმოწამე კირიონის შესახებ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

**სულიერი მდელო.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ნათია თარაშვილმა, ხათუნა რაქვიაშვილმა, თამარ ასათიანმა, რედ.: თ. გოგოჩაშვილი, ალ. შოშიაშვილი, საქართველოს საპატრიარქოს პრეს-ცენტრი, 960 გვ.

გამოცემა წარმოადგენს მართლმადიდებელი მოძღვრებისა და ეკლესიის მამების გამონათქვამების კრებულს.

**სულიერი ცხოვრების ზოგიერთი საკითხი.**

შეადგინა მღვდელმა ლევან მექოშვილმა, ჯვართამაღლების სახელობის ტაძარი, თბილისი, 2005, 50 გვ.

წიგნში განხილულია საკითხები სულიერი ცხოვრების, ადამიანის ცხოვრებაში სულიწმინდის როლის, ლოცვის და მისთ. შესახებ.

**სწავლანი.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ლუკა ხუნდაძემ, რედ. ე. ჭელიძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა კურთხევით, 2004, 27 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია ბასილი კესარიელის (IV ს.) „სწავლათა" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის დღემდე გამოუქვეყნებელი ორი ჰომილია და მონათხრობი ბასილის სასწაულთა შესახებ.

**სჯულის კანონი (ერისკაცთათვის).**

დიდი სჯულის კანონიდან წმიდა მამათა განწესებანი ერისკაცთათვის ამოკრიფა და გამოსაცემად მოამზადა წმიდა კვირიკეს ეკლესიის წინამძღვარმა, მღვდელმა მათემ (გორდელაძე), დაიბეჭდა შემოქმედელ ეპისკოპოს იოსების (კიკვაძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2000, 160 გვ.

წიგნში იბეჭდება კანონები ღვთისმეტყველებისა და მართლმადიდებლური სარწმუნოების, საღვთო წესების დაცვის აუცილებლობის, ეკლესიების შენების შესახებ.

**ფ** აძრად მოვსულვარ სალოცავად.

რედ. მ. რამიშვილი, თბილისი, 2002, 106 გვ.

კრებულში თავმოყრილია არქიმანდრიტ სოგრატის (ჭულუხაძე) დახმარებით განკურნებული ადამიანების სამადლობელი წერილები.

**უ**კანასკნელ ჟამზე.

თბილისი, 1999, 104 გვ.

წიგნში ასახულია ღირსი ნილოს მირონმდინარის წინასწარმეტყველება. აქვეა ღირსი მამა ლავრენტი ჩერნიგოველის, პელაგია რიაზანელის, ღირსი აბელის (წინასწარმეტყველად წოდებული) სიტყვები ბოლო ჟამის შესახებ. კითხვა-მიგების ფორმით განხილულია ევთანაზიის საკითხი.

**უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის 2000 წლის და საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსამზადებელი სხდომა. წმინდა ანდრიასა და წმინდა ნინოს გზების სავარაუდო მარშრუტი. ქრისტეს შობის 2000 წლის დღესასწაულის აღნიშვნა.**

25 გვ.

კრებულში წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და გაქრისტიანებისადმი მიძღვნილი სტატიები.

**ფ**ერისცვალება.

შემდგენელი სვეტლანა კვიკვინია, წიგნი იბეჭდება ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „მერიდიანი“, 2009, 294 გვ.

კრებულში თავმოყრილია იღუმენ ელისეს (ბელქანია) პირადი წერილები და მოგონებები.

**ფილოლოგიური ძიებანი, II.**

რედ. ელ. მეტრეველი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, 1995, 366 გვ.

„ფილოლოგიური ძიებანი“ წარმოადგენს თემატური ხასიათის კრებულს, რომელშიც ძირითადად აისახა IV ს-ის ცნობილი ბიზანტიელი მწერლისა და თეოლოგის, წმ. გრიგოლ ნაზიანზელის (ღვთისმეტყველის) „სიტყვათა“ ქართულ თარგმანებზე კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში წლების მანძილზე წარმოებული მუშაობის პირველი შედეგები.

**ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა.**

რედ. ლ. ნანიტაშვილი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1989, ტომი I, 542 გვ., ტომი II, 424 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ორტომეულს, რომელშიც იბეჭდება XIX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწის, იმერეთის ეპისკოპოსის, წმინდა გაბრიელ ქიქოძის (1825-1896) ქადაგებები, წარმოთქმული, ძირითადად, ქუთაისში 1860-1870 წლებში. წიგნი დაიბეჭდა 1913 წლის გამოცემის მიხედვით.

**ქალწულება და ქორწინება.**

შეადგინა ირმა (ელისაბედ) ზაქარიაშვილმა, რედ. ს. გოგინაშვილი, დაიბეჭდა სამთავისისა და გორის მიტროპოლიტ ანდრიას (გვაზავა) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2013, 188 გვ.

კრებულში თავმოყრილია ეკლესიის მამათა და მოძღვართა სწავლებანი ოჯახური და ქალწულებრივი ცხოვრების შესახებ, როგორც ქადაგებების, ისე მოკლე გამონათქვამების სახით.

**ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი.**

ნარგიზა გოგუაძის, ზურაბ სარჯველაძისა და მზექალა შანიძის რედაქციით გამოსაცემად მოამზადეს ლიანა ახობაძემ, ნარგიზა გოგუაძემ, მანანა კვაჭაძემ და ნინო ნატრაძემ, რედ. ნ. გოგუაძე. დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „არტანუჯი“, თბილისი, I, ა-ლ, 2005, II, მ-რ, 2007, III, ს-ყ, 2014.

ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი მომზადდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილებაში. ნაშრომი მოიცავს 1963-1971 წლებში გამოცემული „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ ოთხი ტომის მასალას. „სიმფონია-ლექსიკონი“ გამოდის ნაკვეთებად.

**ქართული გალობა.**

მასალა შეკრიბა თამარ გოჩიაშვილმა, რედ. მ. ერქვანიძე, საქართველოს კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი, სრულიად საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი, „ნეკერი“, თბილისი, 1999, 255 გვ.

წიგნში სრული სახით თავმოყრილია დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძისა და იღუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერების მიხედვით შედგენილი სადა და გამშვენებული კილოს მწუხრის, ცისკრის (რვა ხმის საგალობლებით) და წირვის (როგორც მღვდლის,ისე სამეუფეო წირვის) ტიპიკონურად დალაგებული საგალობლები.

**ქართული საეკლესიო სალხინო საგალობლები.**

შეადგინა მალხაზ ერქვანიძემ, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული საეკლესიო გალობის ცენტრი, „ხელოვნება", თბ., 2003, 66 გვ.

წიგნი წარმოადგენს გურულ კილოზე შექმნილი ქართული საეკლესიო და საერო საგალობლების კრებულს. წიგნში თავმოყრილი ნიმუშების უმრავლესობა გადმოცემულია ქართული გალობის ძველი სკოლის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენლის, დიმიტრი პატარავას, ხოლო მცირედი ნაწილი – მისი უფროსი შვილის, ვალერიანის მიერ. ნოტებზე ეს საგალობლები გადაიტანა დიმიტრი პატარავას მეორე ვაჟმა, ქართული სიმღერის ოსტატმა, მამია პატარავამ.

**ქართული გალობა.**

შეადგინა მალხაზ ერქვანიძემ, რედ. ნ. მამისაშვილი, სრულიად საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი, თბილისი, 2004, 299 გვ.

წიგნი წარმოადგენს ძველი ქართული პროფესიული მუსიკის ნიმუშების – ღამისთევის ლოცვისა და ლიტურგიის საეკლესიო საგალობლების კრებულს. მასში შესულია გელათის საგალობო კილოს 255 საგალობელი. ეს არის საუკუნეთა მანძილზე ნევმირებული, უმეტესად, ზეპირი ტრადიციით გადმოცემული და XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ნოტებზე გადაღებული უძველესი საგალობლების მუსიკალური რედაქტირების პირველი ცდა, რომელიც განხორციელებულია ანჩისხატის ტაძრის გუნდის სამგალობლო პრაქტიკის გათვალისწინებით. ამ გამოცემას თან ახლავს 24 საგალობლის ფონოჩანაწერი, ფოლკლორული ჯგუფის „ძველი კილოები" შესრულებით.

**ქართული საეკლესიო გალობა (დიდი მარხვისა და ზატიკის საგალობლები).**

შეადგინა მალხაზ ერქვანიძემ, რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი, თბილისი, 2006, 241 გვ.

გამოცემა „ქართული საეკლესიო გალობის" IV ტომია. მასში შესულია გელათის საგალობო კილოს დიდი მარხვისა და ზატიკის საგალობლები.

**ქართული გალობა.**

შეადგინა მალხაზ ერქვანიძემ, სრულიად საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი, თბილისი, 2006, 325 გვ.

კრებული წარმოადგენს „ქართული გალობა, ტომი III-ის“ ანალოგიურ გამოცემას. მასში შესულია აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო სკოლის, ე. წ. კარბელაანთ კილოს, როგორც გამშვენებული სტილის, ღამისთევის ლოცვისა და წირვის, ასევე, სადა კილოს წირვის საგალობლები. კრებულს თან ახლავს მუსიკალური რედაქტორის მიერ შესრულებული სარედაქციო სამუშაო-ანალიზი.

**ქართული საეკლესიო გალობა (ერი და ტრადიცია).**

რედ. მ. შილაკაძე, საქართველოს საპატრიარქო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ქრისტიანობის კვლევის საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრი, „მემატიანე“, თბილისი, 2001, 214 გვ.

წიგნი წარმოადგენს სტატიების კრებულს, რომლებიც შეეხება ქართული საეკლესიო გალობის კანონიკას, ქართულ მრავალხმიანობას, საგალობლების ისტორიულ ბედს. გაანალიზებულია კანონიკისა და ეროვნულობის, ერისა და ტრადიციის მიმართების აქტუალური საკითხები.

**ქართული საეკლესიო გალობა (I ტ), ღამისთევის ლოცვა და ლიტურგია.**

შეადგინა თაისი ტორონჯაძემ, რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესია, თბილისი, 2009, 496 გვ.

კრებული ასახავს დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიისა და, ნაწილობრივ, თბილისის სხვა ტაძრების მგალობელთა გუნდების რეპერტუარს XX საუკუნის მეორე ნახევარში. ამჟამად ის პრაქტიკულად აღარ გამოიყენება, მაგრამ საინტერესოა ეკლესიის ისტორიის ამ პერიოდის მკვლევართათვის.

**ქართული საეკლესიო გალობა (ტომი II).**

შეადგინა თაისი ტორონჯაძემ, თბილისი, 1987, 338 გვ.

კრებულში თავმოყრილია XIX-XX საუკუნეების კომპოზიტორთა საეკლესიო საგალობლები და რამდენიმე უცხოური საგალობელი, რომლებიც დიდხანს იყო დამკვიდრებული ქართული საეკლესიო გუნდების რეპერტუარში. პუბლიკაციაში შესულია საგალობელთა მთელი წლის ციკლი. წიგნი ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის აღსაყდრების 10 წლის იუბილეს.

**ქართული საეკლესიო გალობა (ტომი III).**

შეადგინა თაისი ტორონჯაძემ, თბილისი, 1987, 327 გვ.

წიგნი წარმოადგენს სამი ნაკვეთისაგან შემდგარ კრებულს. პირველში შესულია იოანე ოქროპირის ლიტურგია, პარაკლისი, ქორწინებისა და დიდი პანაშვიდის წესები, მეორეში – მწუხრი და ცისკარი, ხოლო მესამე მოიცავს თორმეტი დღესასწაულისა და დიდ წმინდანთა (მოციქულთა, მღვდელმთავართა, მოწამეთა, ღირსთა) მსახურებებს.

**ქართული საეკლესიო გალობა.**

შეადგინა დავით შუღლიაშვილმა, რედ. კ. ჭოხონელიძე, წიგნი იბეჭდება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2002, 195 გვ.

კრებული შედგენილია არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერების მიხედვით. იგი დიდ სამსახურს გაუწევს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში ტრადიციული კანონიკური გალობის აღდგენის საქმეს.

**ქართული საეკლესიო გალობა.**

შეადგინა თამარ გოჩიაშვილმა, რედ. ი. ჟორდანია (მელბურნი), „ნეკერი“, თბილისი, 1998, 143 გვ.

წიგნი წარმოადგენს კრებულს, რომელიც შედგენილია იღუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერების და დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის „საგალობელთა კრებულის“ საფუძველზე. მასში შესულია გურულ-იმერული კილოს 107 საგალობელი. კრებულის მუსიკალური რედაქტირება განხორციელდა ანჩისხატის გუნდის სამგალობლო პრაქტიკის გათვალისწინებით.

**ქართველ საერო მოღვაწეთა სასულიერო პოეზია.**

რედ. ზ. ქართველიშვილი, თბილისი, 1998, 64 გვ.

წიგნში შესულია დავით აღმაშენებლის, დემეტრე მეფის, არჩილ მეფის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას სასულიერო პოეზიის საუკეთესო ნიმუშები.

**ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, VI-VII.**

შეადგინა გულნარა დედაბრიშვლმა, რედ. შ. ძიძიგური, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია,

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000, 678 გვ.

კრებულში თავმოყრილია იონა ხელაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობა. წერილებში, გარდა ყოფითი ამბებისა, გადმოცემულია ავტორის ფილოსოფიური, რელიგიური, ეთიკური თუ თეოლოგიური შეხედულებები. ამდენად, ამ წერილებს დიდი მნიშვნელობა აქვს XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესწავლისათვის.

**ქართველური მემკვიდრეობა.**

რედ. ტ. ფუტკარაძე, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2010, 368 გვ.

„ქართველური მემკვიდრეობის“ XIV ტომი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის დაბადებიდან 77-ე და აღსაყდრებიდან 33-ე წლისთავს. წიგნში იბეჭდება უწმინდესი ილია II-ის ქადაგებები ქართული ენის შესახებ, ასევე, ისტორიული დოკუმენტები და რეცენზირებული ქართველოლოგიური გამოკვლევები.

**ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ.**

შეადგინა ტარიელ ფუტკარაძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსტეტის დიალექტოლოგიის ინსტიტუტი, რედ. ტ. ფუტკარაძე, 2000, 131 გვ.

კრებული ქრისტიანობისა და ქართველთა გაქრისტიანების 2000 წლისთავს ეძღვნება. მასში წარმოდგენილია მესიანისტური თვალთახედვით შექმნილი პირველი ქართული ძეგლის „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ ანალიზი.

**ქრისტიანის შინაგანი, დაფარული ღვაწლი.**

შეადგინა ვლადიმერ წამალაშვილმა, დაიბეჭდა ბათუმის მთავარეპისკოპოს დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „კვირიაკე“, თბილისი, 2007, 88 გვ.

კრებულში შესულია წმინდა მამათა რჩევები სხვადასხვა სულიერ თუ ყოფით საკითხზე.

**ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი.**

მთ. რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, I, „ცოდნა“, 2008, 496 გვ., II, „ახალი საქართველო“, 2009, 724 გვ., III, „ახალი საქართველო“, 2010, 813 გვ., IV, „ახალი საქართველო“, 2011, 582 გვ.,V, „ახალი საქართველო“, 445 გვ.

ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი წარმოადგენს პერიოდულ სამეცნიერო გამოცემას, რომელიც მოიცავს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტზე არსებულ ქრისტიანულ-არქეოლოგიური კვლევის ცენტრში მომზადებულ გამოკვლევებს. აქ წარმოდგენილია ნაშრომები ქრისტიანული არქეოლოგიის სხვადასხვა დარგში,როგორიცაა დოგმატურ-საღვთისმეტყველო ლიტერატურა, ჰაგიოგრაფია, ასკეტიკა, ჰომილეტიკა, ლიტურგიკა, ეგზეგეტიკა,სასულიერო პოეზია, რელიგიური ფილოსოფია, ქრისტიანული პედაგოგიკა,საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქრისტიანული ხელოვნება, ქრისტიანობა და ეთნოლოგია,საეკლესიო გალობა და სხვ.

**ქრისტიანული ცხოვრების მოვლენები წარსულის სინამდვილიდან.**

შეადგინეს ვასილ ბურკაძემ და ზურაბ ქუთათელაძემ, წიგნი იბეჭდება ეპისკოპოს ელისეს (ჯოხაძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2000, 23 გვ.

ბროშურაში აღწერილია რეალური ისტორიები ქრისტიანების ცხოვრებიდან.

**ქრისტიანობა და ქართული კულტურა.**

საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს ახალგაზრდული ცენტრი „ძლევაჲ“, 1994, 73 გვ.

კრებულში იბეჭდება სტუდენტთა საკონფერენციო ნაშრომები.

**ქრისტიანობა და ეკონომიკა.**

რედ.: რ. გოგოხია, გ. შალიკაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიასთან არსებული საღვთისმეტველო ინსტიტუტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 156 გვ.

კრებული ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 90 წლისთავსა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრების 30 წლისთავს. აქ წარმოდგენილ მოხსენებებში ასახულია ქართველი მეცნიერებისა და დოქტორანტების კვლევების შედეგები, სადაც განხილულია ქრისტიანობისა და ეკონომიკის,რელიგიისა და საქმიანი ურთიერთობების ურთიერთზეგავ-

ლენის საკითხები.

**ქრისტიანობა და მედიცინა.**

საქართველოს საპატრიარქო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნი-ვერსიტეტი, „ენგადი“, თბილისი, 1999, 79 გვ.

კრებულში შესულია 1999 წლის (14-15 დეკემბერი) კონფერენციის მასალები. ეს საეკლესიო და საერო საზოგადოების ასეთი თანამშრომლობის პირვე-ლი შემთხვევაა.

კრებული ეძღვნება ქრისტეშობის 2000 და საქართველოს სახელმწიფოე-ბრიობის 3000 წლისთავს.

**ქრისტიანობის კვლევები (I, II, III, IV ტ.).**

რედ. ქ. პავლიაშვილი, „უნივერსალი“, თბილისი, 2009-2010, 304 გვ.

„კვლევები“ (I, II, III, IV ტ.) წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანობის ისტორიის მიმარ-თულების და წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის ქრისტიანობის კვლევების სამეცნიერო ცენტრის პერიოდულ გამოცემას. კრებული ინტერდისციპ-ლინურია. მასში თავს იყრის მეცნიერების სხვადასხვა დარგში შექმნილი გამოკვლევები, რომლებიც ქრისტიანობას უკავშირდება.

**ქრისტიანობა საქართველოში (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევები).**

რედ.: ნ. აბაკელია,მ. ჩხარტიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, „მემატიანე“, თბილისი, 2000, 137 გვ.

კრებულში თავმოყრილია ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევები საქართველოში ქრისტიანობის ისტორიის შესახებ. განხილულია ქართული შუასაუკუნეობრივი ქრისტიანული კულტურის, ამასთან, ეკლესიისა და სახელმწიფოს, ეკლესიისა და საზოგადოების ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტი.

**ქრისტიანობა (წარსული, აწმყო და მომავალი).**

რედ. თ. ჭყონია, „მემატიანე“, თბილისი, 2000,108 გვ.

კრებულში დაბეჭდილია საერთაშორისო სიმპოზიუმის – „ქრისტიანობა – წარსული, აწმყო და მომავალი“ – მონაწილეთა მოხსენებების მოკლე შინაარსები. ისტორიული, ისტორიოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ეთ-

ნოლოგიური, ლიტერატურათმცოდნეობითი, მეცნიერებათმცოდნეობითი, ხელოვნებათმცოდნეობითი, ფილოსოფიური, სამართალმცოდნეობითი კუთხით გაშუქებულია სამი გლობალური პრობლემა: ქრისტიანობა და სახელმწიფო, ქრისტიანობა და საზოგადოება, ქრისტიანობა და კულტურა.

**ქრისტიანული ეკლესიის ისტორია IV-VI საუკუნეებში.**

ალექსანდრა ბახმატევას სახელმძღვანელოს მიხედვით შეადგინა გვანცა კოპლატაძემ, რედ. გრ. რუხაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2003, 203 გვ.

წიგნში „ქრისტიანული ეკლესიის ისტორია" (IV-VI სს.) გამოყენებულია როგორც ძველ საეკლესიო ისტორიკოსთა თხზულებები, ისე, თანამედროვე ავტორთა შრომები. გამოცემა შესულია 2003 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**ქრისტიანული ეკლესიის ისტორია VII-XI საუკუნეებში.**

ალექსანდრა ბახმატევას სახელმძღვანელოს მიხედვით შეადგინა გვანცა კოპლატაძემ, რედ. გრ. რუხაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2004, 249 გვ.

წიგნში „ქრისტიანული ეკლესიის ისტორია" (VII-XI სს.) გამოყენებულია როგორც ძველ საეკლესიო ისტორიკოსთა თხზულებები, ისე თანამედროვე ავტორთა შრომები. გამოცემა შესულია 2004 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**ქრისტიანული ეკლესიის ისტორია.**

შეადგინა გვანცა კოპლატაძემ, რედ. გრ. რუხაძე, იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა კურთხევით, თბილისი, 2008, 207 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს ეკლესიის ისტორიას ლათინთა გამოყოფიდან კონსტანტინეპოლის დაცემამდე. წიგნი ერთვის 2008 წლის კალენდარს.

**ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი „შენ ხარ ვენახი".**

შეადგინა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა, რედ. ს. გოგინაშვილი, დაიბე-

ჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2003, 87 გვ.

წიგნში მოთხრობილია სასწაულმოქმედი ხატის „შენ ხარ ვენახი“ შესახებ, შესულია ეპისკოპოს ილია მინიატისის მიერ წარმოთქმული შესხმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი, აღწერილია ამ ხატის მიერ აღსრულებული სასწაულები.

**ღვთისმსახურების წეს-გაგნებანი (ტიპიკონი) საეკლესიო გუნდის ლოტბართა და მგალობელთა დასახმარებლად.**

შეადგინა თაისი ტორონჯაძემ, თბილისი, ნაწილი I, 2004, ნაწილი II, 2006, 159 გვ.

2004 წელს გამოცემულ წიგნის I ნაწილში ვერ აისახა ზოგიერთი დღესასწაულის წეს-განგება და რამდენიმე აუცილებელი ლიტურგიკული შენიშვნა. ეს ხარვეზები შესწორდა წიგნის II ნაწილში. აქვე წარმოდგენილია რამდენიმე წეს-განგების (ქორწინების, სამადლობელი პარაკლისის, უძლურთათვის პარაკლისისა და სხვ.) სრული ტექსტი. იბეჭდება, აგრეთვე, ერთი თავი ექვთიმე კოჭლამაზაშვილის ნაშრომისა „ლიტურგიკის შესავალი“.

**ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო.**

შეადგინა ანა აბულაძემ, გამოიცა შემოქმედელ მიტროპოლიტ იოსების (კიკვაძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2008, 60 გვ.

წიგნში შესულია ცამეტი ასურელი მამის VI ს. მცირე ბიოგრაფია და ამონარიდები „ქართლის ცხოვრებიდან“ საქართველოს წმინდა მოწამეების და ღვთისმშობლის ხატის სასწაულების შესახებ. წიგნი ხელახლა გამოიცა 2009 და 2010 წლებში.

**ღირს არს ჭეშმარიტად, რაითა გადიდებდეთ შენ, ღვთისმშობელო**.

რედ. ზ. ჭუმბურიძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2006, 193 გვ.

კრებულში აღწერილია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიწიერი ცხოვრება და მის მიერ აღსრულებული სასწაულები, გამოკრებილი ქართველ წმინდანთა ცხოვრებებიდან. ტექსტზე მუშაობისას გამოყენებულია ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, იაკობის პირველი სახარება, საეკლესიო საგალობლები.

**„შეიყვარეთ უფალი“, I-II ტ., „შეიყვარეთ სიმართლე“, III ტ., „შეიყვარეთ სიყვარული“, IV-V ტ., სქემარქიმანდრიტ ვიტალის (სიდორენკო) ცხოვრება.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ხათუნა რაქვიაშვილმა, რედ. სამთავისისა და გორის მიტროპოლიტი ანდრია გვაზავა, დაიბეჭდა სამთავისისა და გორის მიტროპოლიტ ანდრიას (გვაზავა) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2005, 230 გვ., 2009, 230 გვ., 2012, 200 გვ., 2013, 192 გვ., 2014, 232 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ხუთტომეულს,რომელშიც გადმოცემულია სქემარქიმანდრიტ ვიტალი სიდორენკოს (1928-1992) ცხოვრება და ღვაწლი,მისი სულიერი დარიგებები და მის თანამედროვეთა მოგონებები. გამოცემაში შესულია მნიშვნელოვანი ცნობები ქართული და რუსული ეკლესიის უახლეს ისტორიაზეც.

**შემოწირულლობათა წიგნი I, II, III, IV, V.**

შეადგინეს სულიკო დარსაველიძემ, ლია ჭიღლაძემ, ნანა ავლოხაშვილმა, რედ. ლ. ჭიღლაძე, წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდი, თბილისი, 1998, 2000, 2001, 2003, 2006.

პუბლიკაცია წარმოადგენს ხუთწიგნეულს, რომელშიც გამოქვეყნებულია წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის გაღებულ შემოწირულობათა და შემომწირველთა სია, აღწერილია შეწირული ძვირფასეულობა, მოხსენიებულია ყველა ის ორგანიზაცია და დაწესებულება, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ტაძრის მშენებლობაში. სერიის წიგნებში შემოწირულობათა აღწერილობას დართული აქვს მშენებლობის ქრონიკა, სხვადასხვა გაზეთში დაბეჭდილი სტატიები, სიტყვები, წარმოთქმული სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის შესახებ,ფოტომატიანე. მეხუთე ტომში შესულია უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ქადაგება გუმბათზე ჯვრის აღმართვის წინ.

**ჩემს უწმინდესს.**

42 გვ.

წიგნი წარმოადგენს ლექსების კრებულს. ეძღვნება უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს.

**ჩვენი სულიერების ბალავარი IV.**

რედ.: მიტროპოლიტი ანანაია (ჯაფარიძე), გ. ლორთქიფანიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „უნივერსალი“, 2012, 285 გვ.

კრებულში წარმოდგენილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრის“ და ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ ჩატარებული სამეცნიერო კონფერეციის მასალები, რომლებიც დაინტერესებულ მკითხველს მრავალმხრივ ინფორმაციას მიაწვდის ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის, რელიგიისა და კულტურის, ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობის, კულტურათა დიალოგის, სწავლებისა და აღზრდის მნიშვნელოვან საკითხებზე.

**ცხოვრების წიგნი.**

1993, 127 გვ.

წიგნში იბჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მიმართვა ბავშვებისადმი.

**წესი ქრისტიანის ცხოვრებისა.**

მთავარეპისკოპოსი დანიელის ხელმძღვანელობით შეადგინა დეკანოზმა პავლე ფაჩუაშვილმა, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1994.

წიგნში მოცემულია მოკლე განმარტებები სხვადასხვა საეკლესიო საკითხზე დამწყებთათვის. გამოცემა შესულია 1994 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი.**

კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, რედ. ჯ. გამახარია, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2006, 691 გვ.

წიგნში თავმოყრილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია, 1861-1927) არქივში დაცული წერილები და წარმოთქმული სიტყვები (ქართულ და რუსულ ენებზე).

**წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან გამოკრებილნი სწავლანი.**

შეადგინეს გვანცა კოპლატაძემ და გრიგოლ რუხაძემ, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2000, 151 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია მართლმადიდებლური ღვთისმეტყველებ-ისა და ზნეობის საკითხებზე გაბრიელ ეპისკოპოსის „ქადაგებების" ორ-ტომეულში (თბილისი, 1989) გადმოცემულ მოძღვრებათა ანბანური საძიებე-ლი. გამოცემა შესულია 2001 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**წმინდა გრიგოლ ხანძთელი.**

შეადგინა მანანა ტუსკიამ, რედ.: რ. სირაძე, გ. ფარულავა, დაიბეჭდა უწ-მინდესისა და უნეტარესის,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარ-ქის,ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „არტანუჯი", 2006, 225 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს კრებულს,რომელშიც თავმოყრილია ქართველ და უცხოელ მკვლევართა სამეცნიერო სტატიები წმ. გრიგოლ ხანძთელი-სა და ტაო-კლარჯეთის ისტორიის შესახებ. თითოეულ სტატიას ახლავს თარგმანი და რეზიუმე ინგლისურ ენაზე. წიგნს დართული აქვს ფოტომა-სალა და ილუსტრაციები.

**წმინდა მამათა გამონათქვამები.**

შეადგინა ვასილ ბურკაძემ, რედ. მღვდელი გიორგი სამსონაძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პა-ტრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2000, 105 გვ.

წიგნში შესულია მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა მამათა გამონათქ-ვამები ღმერთის,მისი ქმნილების გვირგვინის – ადამიანის და მისი დან-იშნულების, ეკლესიური ცხოვრებისა და ცათა სასუფევლისკენ მიმავალი გზის შესახებ.

**წმიდა მამათა მოძღვრება უფლის მიგებების (მირქმის) დღესასწაულის შესახებ.**

რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის,სრული-ად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2002, 32 გვ.

წიგნში შესულია კირილე იერუსალიმელის (IV ს.), ევსუქი იერუსალიმელი-სა (V ს.) და ტიმოთე იერუსალიმელის ჰომილიები მირქმის დღესასწაულის შესახებ. ეს ქადაგებები ჩვენამდე მოღწეულია IX-X სს.-ის მრავალთავებით (სინას მთის, უდაბნოს, პარხლისა და ათონის). ტექსტებს ბოლოში ერთვის ლექსიკონი.

**წმინდა მამათა ქადაგებანი (დიდი მარხვის მოსამზადებელი კვირები, დიდი**

**მარხვა, ვნების კვირა, აღდგომა).**

საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2002, 56 გვ.

კრებულში იბეჭდება წმინდა მამების ქადაგებები, რომელშიც განმარტებულია მარხვის მოსამზადებელი კვირების, დიდი მარხვის, ვნების კვირისა და აღდგომის საკითხავები.

**წმიდა მამათა სწავლანი.**

გამოსცეს ბ. ჯოლოხავამ და ა. შელიამ, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მოსკოვის წმინდა გიორგის ქართული ეკლესია, 2002, 424 გვ.

წიგნში თავმოყრილია წმინდა მამების (წმ. ბასილი დიდი, წმ. იოანე ოქროპირი, წმ. ეფრემ ასური და სხვ.) წერილები და ქადაგებები ასკეტიზმის თემაზე.

**წმინდა მოციქული ანდრია პირველწოდებული.**

რედ. ზ. აბაშიძე, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, „ნეკერი", 2009, 36 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს კრებულს, რომელშიც თავმოყრილია მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე), პროფ. ვახტანგ ლიჩელის, პროფ. არჩილ ბაქრაძის, ირაკლი გუნიას სამეცნიერო სტატიები თემაზე: ქრისტიანობის გავრცელება I-V საუკუნეების საქართველოში.

**წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი.**

კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, რედ. ჯ. გამახარია, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, მართლმადიდებლობა 2000, თბილისი, 2006, 487 გვ.

კრებულში გაერთიანებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი კირიონის (ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი, 1855-1918) სამეცნიერო შრომები და მოხსენებები ქართულ და რუსულ ენაზე, თავმოყრილია დოკუმენტური მასალები წმ. კირიონის ცხოვრების ცალკეული ეპიზოდების შესახებ.

**წმინდა ნინო (სამეცნიერო კრებული I).**

შადგინეს რევაზ სირაძემ, მანანა ტუსკიამ, თბილისი, 2008, 608 გვ.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ უძველესი რედაქცია შეტანილია ცნობილ „შატბერდულ კრებულში“, რომელიც, სავარაუდოდ, შედგენილია „წმინდა ნინოს ცხოვრების“ განმარტებისათვის. ამ სამეცნიერო კრებულში შესულია სხვადასხვა თაობის მეცნიერთა სხვადასხვაგვარი და ხშირად ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებანიც წმ. ნინოს ისტორიული მისიის, საქართველოს მოქცევისა და, ზოგადად, კულტურის ისტორიის საკითხებზე.

**წმინდა ნინოს ცხოვრება და ქართლის მოქცევა.**

რედ. ს. მახარაშვილი, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2009, 370 გვ.

კრებული ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 30-ე წლისთავს. აქ თავმოყრილი მასალა თვალნათლივ გვიჩვენებს საქართველოს ქრისტიანიზაციისა და წმინდა ნინოს ღვაწლის მნიშვნელობას.

**წმინდა ცამეტი ასურელი მამა (მოკლე ისტორიები).**

ტექსტი მოამზადა თეა კობახიძემ, საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“, „გორგასალი“, თბილისი, 2005, 42 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ცამეტი ასურელი მამის (VI ს.) ცხოვრებათა შემოკლებულ ვარიანტებს, რომლებსაც დართული აქვს ფოტოები ილუსტრაციების სახით.

**წმინდანთა ცხოვრება, წიგნი პირველი.**

შეადგინა მ. ჩიქოვანმა, რედ.: დეკანოზი ანდრია ბოროდა, ა. კორძაია-სამადაშვილი, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 1997, 24 გვ.

ბროშურაში მოთხრობილია პირველი საუკუნეების რამდენიმე წმინდანის მარტვილობის შესახებ.

**წმინდანთა ცხოვრება.**

წიგნზე მუშაობდნენ დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე,მანანა ბუკია, მაკა ბულია, დაბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2001, ტომი I (იანვარი, თებერვალი, მარტი), 308 გვ., ტომი II (აპრილი, მაისი, ივნისი), 309 გვ., ტომი III (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი), 343 გვ., ტომი IV (ოქტომ-

ბერი, ნოემბერი, დეკემბერი), 339 გვ.

პუბლიკაციაში წარმოადგენილია კალენდარული თანმიმდევრობით დალაგებული წმინდანთა ცხოვრებები. წყაროდ გამოყენებულია ძველი ქართული და რუსული სვინაქსარული ტექსტები, აგრეთვე, რუსული გამოცემის „Настольная книга священнослужителя“ II (Москва, 1978) და III (Москва, 1979) ტომებში შესული მასალა.

**ხანძთა – სულიერად მშობელი ქართველთა.**

რედ. გ. ბენაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2002, 140 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს კრებულს, რომელიც ეძღვნება გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ დაწერიდან 1050 წლისთავს. მასში შესული წერილები ეძღვნება წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება-მოღვაწეობასა და სულიერ ღვაწლს, განხილულია თხზულებაში წამოჭრილი პრობლემური საკითხები.

**ჯვარი ვაზისა.**

იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1978-2010.

„ჯვარი ვაზისა“ წარმოადგენს საქართველოს საპატრიარქოს პერიოდულ ორგანოს. ესაა საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის გამოცემა, რომელიც უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის აღსაყდრების დროიდან მრავალი წლის განმავლობაში მეგზურობას უწევდა მართლმადიდებელ მრევლს. ჟურნალში შუქდებოდა საქართველოსა და მსოფლიო საეკლესიო ცხოვრებაში მიმდინარე მნიშვნელოვანი სიახლეები, თანადროულობის თვალსაზრისით საგულისხმო ეპიზოდები საქართველოსა და საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან, ცნობები საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების შესახებ, ეკლესიური წესით ცხოვრების ელემენტარული საკითხები; იბეჭდებოდა წმინდა მამების ცხოვრებები, ქადაგებები და სწავლანი, საღვთისმეტყველო-სამეცნიერო ხასიათის წერილები, სასულიერო შინაარსის ლიტერატურული თხზულებები, ლექსიკონები და განმარტებანი და სხვ. გამოცემამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სასულიერო და ეროვნული თვალსაზრისით ქართველი საზოგადოების ინფორმირებისა და განვითარების საქმეში.

**ჯვრისწერის საიდუმლო და ეკლესიური ოჯახი (მეორე სრული გამოცემა).**

რედ. მ. სულაქველიძე, 2009, 80 გვ.

კრებულში თავმოყრილია შეგონებები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან და წმინდა მამათა ნააზრევიდან ქრისტიანული ოჯახის შესახებ.

## თარგმანები

**ადამიანის სიცოცხლისა და სიკვდილის აზრი.**

თარგმნა თამარ ერისთავმა, რედ. ზ. მუჯირი, წიგნი იბეჭდება ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2004, 150 გვ.

წიგნი შედგენილია მე-19 ს.-ის ცნობილი სასულიერო მწერლის, წმ. ეპისკოპოს ეგნატე ბრიანჩანინოვის თხზულებათა მიხედვით. გადმოცემულია მართლმადიდებლური სწავლება ადამიანის სიცოცხლის აზრის, მისი უმაღლესი ზეციური მოწოდებისა და ღირსების შესახებ.

**ათორმეტი საუფლო და ღვთისმშობლის დღესასწაულის ღვთისმსახურება.**

თარგმნა რომან ბილიაძემ, რედ. დეკანოზი იოანე მამნიაშვილი, თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2012, 40 გვ.

გამოცემა წარმოადგენს მღვდელ სერგეი ვანიუკოვის სტატიის «О Богослужении двунадесятых праздников» თარგმანს. მასში განხილულია თორმეტი საუფლო და ღვთისმშობლის დღესასწაულის აღნიშვნის სპეციფიკური თავისებურებანი და გადმოცემულია თითოეული მსახურების წესი. პუბლიკაცია განკუთვნილია მღვდელმსახურთათვის, სასულიერო სემინარიისა და აკადემიის სტუდენტთა და მართლმადიდებლური ღვთისმსახურების სტრუქტურითა და შინაარსით დაინტერესებულ პირთათვის.

**წმ. ამბროსი ოპტინელის ცხოვრება.**

რუსულიდან თარგმნა ერეკლე კვანჭიანმა, რედ.: გ. თოდუა, ი. გელუკაშვილი, ქ. გვაზავა, „ახალი ივირონი", თბილისი, 2010, 458 გვ.

პუბლიკაციაში შემოთავაზებული თხზულება ორი ნაწილისაგან შედგება. პირველში ასახულია ბერი ამბროსის (ერისკაცობაში ალექსანდრე მიხეი-

ლის ძე გრენკოვი, 1812-1891) სულიერი ზრდის ისტორია. მეორე ნაწილში ნაჩვენებია მისი განსაკუთრებული დამსახურება ქრისტიანთათვის სულის ცხონების გზაზე ხელმძღვანელობის საქმეში.

**ანტიქრისტეს მოსვლის ნიშნები.**

თარგმნა გვანცა კოპლატაძემ, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1996, 64 გვ.

ნაშრომში ანტიქრისტეს მოსვლის ნიშნების შესახებ მოთხრობილია წმინდა წერილის სწავლებისა და წმინდა მამათა და ეკლესიის მოძღვართა: იოანე ოქროპირის, ანდრეა კესარიელის, იოანე დამასკელის, ეფრემ ასურის, თეოდორიტეს და სხვათა განმარტებების მიხედვით. წიგნი დაიწერა ათონის წმინდა პანტელეიმონის სახელობის მონასტერში.

**აღსარებისა და ზიარების საიდუმლო.**

თარგმნა ხათუნა რაქვიაშვილმა, რედ. მღვდელი თეოდორე გიგნაძე, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2003, 47 გვ.

წიგნში გადმოცემულია აღსარებისა და ზიარების საიდუმლოს დაარსების ისტორია და საღვთისმეტყველო ანალიზი.

**აღსარება.**

შემდგენელი მოსკოვისა და ტრიფონის ეკლესიის მღვდელი, ღვთისმეტყველების მაგისტრი გრ. დიაჩენკო, თარგმნა დეკანოზმა პეტრე ბოჭორიშვილმა, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 74 გვ.

პუბლიკაცია პრაქტიკული დანიშნულების ნაშრომს წარმოადგენს. მასში განხილულია აღსარების საიდუმლო და მოცემულია რჩევა-დარიგება ამ საკითხთან დაკავშირებით.

**ახდენილი წინასწარმეტყველებანი.**

მასალები შეკრიბა და თარგმნა ზურაბ ქართველიშვილმა, იბეჭდება ეპისკოპოს ელისეს (ჯოხაძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2003, 31 გვ.

ბროშურაში აღწერილია წმ. მამების წინასწარმეტყველებები, რომლებიც ახდა რუსეთის სამეფოსა და საბჭოთა იმპერიაში. გამოცემა მომზადდა სასულიერო ლიტერატურის კრებულებსა და გაზეთებში გამოქვეყნებული მა-

სალების მიხედვით.

**წმ. ბასილი დიდი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმ. იოანე ოქროპირი.**

თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2002, 40 გვ.

წიგნში მოთხრობილია სამი უდიდესი საეკლესიო მამის – ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირის ცხოვრება.

**ბერ იოსებ ისიხასტის სულიერი გამოცდილება.**

თარგმნა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა, რედ. ს. გოგინაშვილი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარეისის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2011, 182 გვ.

**ბერთა დარიგებანი.**

თარგმნა ნატო ციციშვილმა, იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2003, 114 გვ.

წიგნში თავმოყრილია ეკლესიის მამათა დარიგებები, რომლებიც დაეხმარება ყოველ ქრისტიანს ცხოვრებისეული პრობლემების დაძლევაში.

**გოდებანი გრიგოლისანი.**

თარგმნა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა, რედ. ა. მინდიაშვილი, 2000,32 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის რამდენიმე პოეტური ნაწარმოები.

**დავუჯეროთ თუ არა სიზმრებს.**

თარგმნა,შეადგინა და გამოსცა აკაკი მინდიაშვილმა, თბილისი, 2000,28 გვ.

**დედაშვილობა.**

თარგმნეს ნინო ახალაძემ, ნანა ბაღათურიამ, რედაქტორ-შემდგენელი მ. ყიფიანი, იბეჭდება ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოს დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2006, 112 გვ.

წიგნში შესულია დედისა და შვილის ურთიერთობის ამსახველი სხვადასხვა ისტორია.

**ეკლესიაში დგომის წესები, რვა ძირითადი ვნება და მასთან ბრძოლის ხერხები.**

თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2003, 55 გვ.

წიგნი შედგენილია წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვის (1807-1876) შრომებისა და სხვა წყაროების მიხედვით.

**ეკუმენიზმი: წარმოშობა, იმედები და იმედგაცრუება.**

ბერძნულიდან თარგმნა ზურაბ ალასანიამ, რედ. ნ. კვანტალიანი, 2005, 32 გვ.

2004 წლის 20–24 სექტემბერს საბერძნეთის ქალაქ თესალონიკში, არისტოტელეს სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა მართლმადიდებლური სადვთისმეტყველო კონფერენცია თემაზე: ეკუმენიზმი, წარმოშობა, იმედები და იმედგაცრუება. ბროშურაში იბეჭდება ამ კონფერენციის მასალები.

**ენა ჩემი – მტერი ჩემი.**

რუსულიდან თარგმნა ვლადიმერ ჯოჯუამ, დაიბეჭდა ზუგდიდისა და ცაიშის მთავარეპისკოპოს გერასიმეს (შარაშენიძე) ლოცვა-კურთხევით, ზუგდიდი, 2002, 39 გვ.

ბროშურაში საუბარია სიტყვის დიდ ძალაზე.

**ეპიზოდები ღირსთა და ღმერთშემოსილთა ცხოვრებიდან.**

თარგმნა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2009, 195 გვ.

წიგნში გადმოცემულია წმინდა მამათა ცხოვრების ეპიზოდები.

**„ეს გზა მოელის ყოველი ქრისტიანის სულს...“ (სერია: ქრისტიანული აზროვნება).**

შეკრიბა და თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, რედ. მ. კერესელიძე, იბეჭდება ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-

კურთხევით, 2008, 160 გვ.

წიგნში წარმოდგენილია ასკეტი მამების დარიგებები ცოდვების დამარცხების გზებთან დაკავშირებით.

**ვინ არიან „იეღოვას მოწმეები“?**

თარგმნა ირაკლი ლომოურმა, რედ. გ. კოპლატაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1994, 76 გვ.

წიგნში წარმოდგენილია XIX საუკუნეში აღმოცენებული სექტის, „იეღოვას მოწმეთა“ ისტორია, მისი წარმოშობის მიზეზები და გავრცელების არეალი. მოკლედ გადმოცემულია ამ სექტის ძირითადი სწავლებაც.

**თვითმკვლელობის ცოდვის შესახებ.**

რუსულიდან თარგმნა გოგუცა გურულმა, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2002, 72 გვ.

წიგნში საუბარია თვითმკვლელობის ცოდვასა და მის გამომწვევ მიზეზებზე, ასევე, თვითმკვლელობის თავიდან აცილების საშუალებებზე.

**თუკი სულის უკვდავების გვჯერა, მაშინ ამ უკვდავი სულის ბოლო სავანეზეც ვიზრუნოთ.**

შეადგინა მარიამ ყიფიანმა, თარგმნა თეონა რუსაძემ, რედ. გ. ხარებაშვილი, 2009, 240 გვ.

წიგნში იბეჭდება ეკლესიის მამათა სწავლებანი სხვადასხვა სულიერ საკითხზე, საგულისხმო ეპიზოდები წმინდანთა ცხოვრებებიდან, წერილები აქტუალურ თემებზე. კრებული ეძღვნება მთარგმნელის, აწ განსვენებული თეონა რუსაძის ნათელ ხსოვნას.

**იესო ქრისტე – უფალი ჩვენი და მაცხოვარი (მოთხრობების კრებული ბავშვებისათვის).**

თარგმნა როინ კონჯარიამ, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მოსკოვი, 2002, 70 გვ.

წიგნში პატარა მკითხველისათვის გასაგები მარტივი ენით მოთხრობილია სახარებაში გადმოცემული ამბები. ტექსტს ახლავს ილუსტრაციები.

**ნეტარი იოანე მაქსიმოვიჩი, ბოლო დროის სასწაულთმოქმედი.**

თარგმანი შესრულებულია შემოქმედის წმ. ნიკოლოზის სახელობის დედათა მონასტერში არქიმანდრიტ ნიკოლოზის ლოცვა-კურთხევით, 1999, 44 გვ.

მღვდელ-მონაზონ სერაფიმე როუზისა და იღუმენ გერმანეს მიერ აღწერილი ნეტარი იოანე მაქსიმოვიჩის „ცხოვრება" დაიბეჭდა „რუსსკი პალომნიკ"-ის 1994 წლის მეცხრე საიუბილეო ნომერში. ნომერი მიეძღვნა ამერიკის მიწაზე მართლმადიდებლობის გავრცელების 200 წლისთავსა და ნეტარი იოანეს კანონიზაციას, რომელიც შედგა სან-ფრანცისკოში 1994 წლის 19 ივნისს.

**იღუმენია არსენია.**

რუსულიდან ითარგმნა მთისპირის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის დედათა მონასტერში, რედ. ა. სარიშვილი, იბეჭდება შემოქმედელ მიტროპოლიტ იოსების (კიკვაძე) ლოცვა-კურთხევით, 2007, 223 გვ.

წიგნში აღწერილია დონის ოლქის უსტ-მედვედიცკის მონასტრის წინამძღვრის, იღუმენია არსენიას (სებრიაკოვა) ცხოვრება და შეტანილია მისი პირადი წერილები.

**ლავსაიკონი ანუ გადმოცემა წმიდა და ნეტარ ბერ-მონაზონთა ცხოვრების შესახებ.**

თარგმნა თემურ საგანელიძემ, რედაქტორ-გამომცემელი ზ. მუჯირი, წიგნი იბეჭდება ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „სამება", თბილისი, 2002, 239 გვ.

წიგნში აღწერილია ნეტარ და წმინდა მამათა, ბერ-მონაზონთა და მეუდაბნოე განდეგილთა ცხოვრება და მოსაგრეობა.

**მამა არსენი (პირველი ნაწილი).**

თარგმნა მედეა ბურნაძემ, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2007, 155 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს კრებულს, რომელშიც თავმოყრილია თვითმხილველთა მოგონებები თანამედროვე რუსი მოწამის, მღვდელ არსენის ცხოვრების შესახებ და თავად წმინდა მამის ნაამბობი.

**მამათა ცხოვრება.**

თარგმნა ვასილ ბურკაძემ, გამომცემლები გელა და ზურაბ აროშვილები, თბილისი, 1996, 99 გვ.

წიგნში შესულია წმ. ამბროსი მედიოლანელის (IV ს), წმ. იოანე დამასკელისა (VIII ს) და წმ. ღირსმოწამე სტეფანე ახლის ცხოვრებები.

**მარადიულ წყვდიადში, რა არის ჯოჯოხეთი?**

თარგმნა ხათუნა რაქვიაშვილმა, რედ. მღვდელი თეოდორე გიგნაძე, თბილისი, 2005, 40 გვ.

**მართლმადიდებლური ეკლესიის საიდუმლოებანი.**

რუსულიდან თარგმნა მღვდელმა არჩილ ხაჩიძემ, რედ. მღვდელი თეიმურაზ თათარაშვილი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2010, 323 გვ.

წიგნში განხილულია მართლმადიდებელი ეკლესიის შვიდი საიდუმლოს ისტორია. მოყვანილია წმინდა მამათა სწავლებანი თითოეული მათგანის შესახებ.

**მართლმადიდებელი მოძღვრის დღიური.**

თარგმნა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა, რედ. ს. გოგინაშვილი, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2003, 105 გვ.

**მოძღვრის გამორჩევა.**

შეკრიბა და თარგმნა ანთიმოზ ჩხიკვაძემ, რედ. მ. კერესელიძე, 2009, 56 გვ.

წიგნში განხილულია მღვდელმსახურისა და მრევლის დამოკიდებულების საკითხები.

**მოძღვრის ძალზე სახარბიელო რჩევები მრევლისათვის.**

შეადგინა მადონა ხარებაშვილმა, თარგმნა ირინე ხარებაშვილმა, რედ. მ. ყიფიანი, 2009, 255 გვ.

წიგნში გადმოცემულია გამოცდილი სულიერი მწყემსის, მღვდელ ლავრენტი გორდასოვის რჩევა-დარიგებები.

**მრევლის ქმედითი მონაწილეობა ეკლესიის ცხოვრებაში.**

რუსულიდან თარმნა მელანია შანავა-ვეფხვაძემ, რედ. ვ. ჩხიკვაძე, „გრიფონი“, თბილისი, 2009, 59 გვ.

ბროშურაში წმ. მღვდელმთავარ იოანე ოქროპირის შრომებზე დაყრდნობით განხილულია ეკლესიის ყოველდღიურ ცხოვრებაში ერისკაცის ადგილისა და მონაწილეობის საკითხი. თარგმანი შესრულებულია წიგნიდან: «Деятельное участие народа в жизни церковной», изд. Поломник, 2001.

**მღვდელმსახურთა საცდურნი.**

თარგმნა ნინო სოხაძემ, რედ. დიაკვანი გიორგი (კობაიძე), დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის,ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1997, 24 გვ.

ბროშურაში საუბარია სულიერი ცხოვრების გზაზე არსებული სხვადასხვაგვარი საცდურისა და მათი თავიდან არიდების საშუალებების შესახებ.

**ნარკომანია – სენი თუ ცოდვა.**

თარგმნა მართა კასრაძემ, რედ. მ. ბუკია, დაიბეჭდა ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოს გერასიმეს (შარაშენიძე) ლოცვა-კურთხევით, ზუგდიდი, 2001, 72 გვ.

პუბლიკაციის მიზანია, მკითხველი დააფიქროს ნარკომანიის ფსიქოლოგიურ საფუძვლებზე. ავტორი ეყრდნობა მართლმადიდებელი მოძღვრის გამოცდილებას.

**ნეტარი მატრონას ცხოვრება და სასწაულები (შემოკლებული თარგმანი).**

შემდგენელი ზინაიდა ვლადიმერის ასული ჟდანოვა, თარგმნა ნინო წერეთელმა, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „ცის ნამი“, თბილისი, 2003, 96 გვ.

წიგნი მოგვითხრობს მე-20 საუკუნის მოღვაწის, ნეტარი მატრონას (1885-1952) ცხოვრების შესახებ (წმინდანად შერაცხეს 1999 წ. 2 მაისს). ბიოგრაფიული ცნობები მოწოდებულია წმინდანის ახლობლებისა და იმ ადამიანების მიერ, რომლებსაც დახმარება გაუწია ნეტარმა მატრონამ სიცოცხლეში თუ სიკვდილის შემდეგ.

**ნება ღვთისა და ნება კაცისა. მოთმინება ქრისტიანის ცხოვრებაში.**

შეადგინა გალინა ხარებაშვილმა, თარგმნეს ირაკლი კამკამიძემ, ირინე ხარებაშვილმა, რედ. ა. კუსრაშვილი, „ხარება“, თბილისი, 2008, 47 გვ.

ნაშრომში განხილულია ორი მნიშვნელოვანი თემა: ღვთის განგებულება ადამიანის ცხოვრებაში და უდიდესი სათნოება – მოთმინება. საღვთისმეტყველო საკითხები განმარტებულია წმ. მამათა შრომების მიხედვით.

**ნიშანი ზეციდან (პატერიკი).**

ბერძნულიდან თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა ლ. ჯიქიამ, დაიბეჭდა მიტროპოლიტ სერგის (ჩეკურიშვილი) ლოცვა-კურთხევით, ნეკრესის ეპარქია, 2001, 20 გვ.

ბროშურაში მოთხრობილია ამბავი ადამიანისა, რომელიც ყაჩაღობის შემდეგ მოექცა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და ლოცვისა და სინანულის შედეგად ღვთის დიდი წყალობის ღირსი გახდა.

**პირველი ნაბიჯები ეკლესიური ცხოვრების გზაზე.**

თარგმნეს მიმოზა (თამარ) ბრეკაშვილმა, ირინე ხარებაშვილმა, რედ. ი. კამკამიძე, თბილისი, 2007, 63 გვ.

**რა არის მემთვრალეობის ვნება და როგორ ვძლიოთ მას.**

თარგმნა ირაკლი კამკამიძემ, რედ. გ. ხარებაშვილი, „ხარება“, თბილისი, 2006, 63 გვ.

წიგნი ეყრდნობა მღვდელ ალექსი მოროზის ნაშრომს. მასში გადმოცემულია რეალური ისტორიები, რომლებშიც ნათლად ჩანს, რომ მემთვრალეობის ცოდვისგან განთავისუფლება ღვთის რწმენისა და სათნოების გარეშე შეუძლებელია.

**რა გზა ავირჩიოთ? ქალწულება, ბერმონაზვნობა, ცოლქმრობა, ნუგეშისცემა დაქვრივებულთა.**

თარგმნა ირაკლი ლომოურმა, რედ. გ. კოპლატაძე, ნებადართულია დასაბეჭდად საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილებასთან არსებული სარეცენზიო საბჭოს მიერ, თბილისი, 1998, 16 გვ.

**„რათა ყოველნი ერთ იყვნენ“.**

ბერძნულიდან თარგმნა თამარ მესხმა, რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, 2004, 155 გვ.

წიგნი მოგვითხრობს მსოფლიო პატრიარქის, ბართლომეოსის ვიზიტის შესახებ საქართველოში და მის მოგზაურობაზე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში.

**რა უნდა იცოდეს ყოველმა ბიჭმა.**

შემდგენელი მღვდელი ალექსი გრაჩოვი, თარგმნა გალინა ხარებაშვილმა, რედ. მ. ყიფიანი, „ხარება", თბილისი, 2011, 95 გვ.

ნაშრომის მიზანია, დაინტერესებულ მკითხველს გააცნოს მართლმადიდებლურ აღზრდასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. წიგნი პირველად გამოიცა 2006 წელს.

**რა უნდა იცოდეს ყოველმა გოგონამ.**

შემდგენელი მღვდელი ალექსი გრაჩოვი, თარგმნა ირინე ხარებაშვილმა, რედ. მ. ყიფიანი, თბილისი, 2006, 95 გვ.

პუბლიკაციაში განხილულია ქრისტიანული პედაგოგიკისა და ოჯახური აღზრდის უმთავრესი საკითხები. წიგნი პირველად გამოიცა 2003 წ., მესამედ – 2011 წ.

**როგორი უნდა იყოს მართლმადიდებლის დამოკიდებულება სახელისუფლო ორგანოების არჩევნებისადმი? შეიძლება თუ არა მორწმუნე ეწეოდეს პოლიტიკურ მოღვაწეობას და მონაწილეობდეს სახელისუფლო ორგანოების საქმიანობაში.**

რუსულიდან თარგმნეს ირმა შულაიამ და ემზარ კუპრაძემ, 19 გვ.

ბროშურაში შესულია სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტ კირილეს ინტერვიუ წიგნიდან „თანამედროვე ცივილიზაციის გამოწვევა, როგორ პასუხობს მას მართლმადიდებელი ეკლესია", მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორის, ვლადიმერ ციპინის სიტყვა „ეკლესიის პოლიტიკისადმი დამოკიდებულების შესახებ", ლეონიდ ვლადიმეროვის „ქრისტიანული პოლიტიკის პარამეტრები, ეკლესია – პოლიტიკის სუბიექტი" და მღვდელ ვსევოლოდ ჩაპლინის „შეიძლება თუ არა ეკლესიის გამოყოფა ცხოვრებიდან, დაუჭერს თუ არა მხარს სახელმწიფო ეკლესიის სოციალურ პროექტებს?"

**რწმენის ამოუცნობი სამყარო.**

თარგმნა ირინა ჭითანავამ, რედ. თ. როგავა, იბეჭდება ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტ გერასიმეს (შარაშენიძე) ლოცვა-კურთხევით, 40 გვ.

**საკვირაო სახარებათა განმარტება.**

შემდგენელი ღვთისმეტყველების მაგისტრი მღვდელი გრიგოლ დიაჩენკო, თარგმნა ვასილ ბურკაძემ, რედ. დეკანოზი კონსტანტინე ბურჯანაძე, წიგნი იბეჭდება ფოთის ეპისკოპოს გრიგოლის (ბერბიჭაშვილი) ლოცვა-კურხევით, 2001, 622 გვ.

წიგნში წმინდა მამათა თხზულებებიდან შეკრებილ სწავლებათა მიხედვით განმარტებულია მთელი წლის განმავლობაში კვირის ლიტურგიაზე საკითხავი სახარების ტექსტები. ნაშრომი შეიქმნა XIX საუკუნის ბოლოს.

**სალოსი მამების ცხოვრება და მოღვაწეობა.**

თარგმნა ქ. ბეროზაშვილმა, რედ. ო. ნიკოლაიშვილი, დაიბეჭდა შემოქმედელ მთავარეპისკოპოს იოსების (კიკვაძე) ლოცვა-კურთხევით, „ნუგეში“, 2001, 64 გვ.

კრებულში შეტანილი მასალა ძირითადად გადმოთარგმნილია წიგნიდან „ღვთისთვის სულელნი“, მოსკოვი, 1902.

**სამი სანუგეშო სიტყვა მწუხარეთათვის.**

თარგმნა ნელი ტატიშვილმა, იბეჭდება წილკნელ ეპისკოპოს ზოსიმეს (შიოშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 1993, 48 გვ.

ბროშურაში საუბარია სულგრძელობის, მრისხანების, მწუხარების შესახებ.

**სამოციქულო მამები.**

თარგმნა, წინასიტყვაობა და განმარტებები დაურთო ვიქტორია ჯუღელმა, რედ. დ. მელიქიშვილი, „ლოგოსი“, თბილისი, 2014, 512 გვ.

სამოციქულო მამათა ნაშრომები ახალი აღთქმის შემდგომ შექმნილი და ჩვენამდე მოღწეული უადრესი და უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული ძეგლებია. სულიერ ღირებულებასთან ერთად ეს ტექსტები ფასეულია ახალი აღთქმის შემდგომი პერიოდის შესახებ მათში დაცული უნიკალური და სარწმუნო ცნობების გამო. პუბლიკაცია წარმოადგენს სამოციქულო მამათა თხზულებების ერთიანი კორპუსის თარგმანის პირველ გამოცემას.

**სასწაული, რომელიც იერუსალიმში მაცხოვრის საფლავთან მოხდა.**

თარგმნა თამარ შპეტიშვილმა, რედ. ზ. მუჯური, წიგნი იბეჭდება ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „სამება“, 2012, 12 გვ.

ბროშურაში მოთხრობილია 1009 წელს საღვთო ლიტურგიაზე მომხდარი სასწაული, რომელიც წარმართ მეფეს ეჩვენა. იგი 1037 წელს ნიამცუს მონასტრის ბერმა აღწერა.

**სასწაულებისა და ნიშების შესახებ.**

რუსულიდან თარგმნა მ. მარსაგიშვილმა, რედ. გ. გვასალია, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2002, 54 გვ.

წიგნში განხილულია ჭეშმარიტი სასწაულის არსი და დანიშნულება. ნაჩვენებია განსხვავება ნამდვილსა და ცრუ სასწაულს შორის.

**სახარება ყმაწვილთათვის.**

თარგმნა ომარ გოგიჩაიშვილმა, რედ. მ. გეგია, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამომცემლობა, კომერციული ფირმა „ვესტა", თბილისი, 1989, 46 გვ.

წიგნში მოთხრობილია სახარებისეული ეპიზოდები იესო ქრისტეს დაბადებიდან მისი ამაღლების ჩათვლით.

**სახარების ყოველდღიური საკითხავები განმარტებებით.**

თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, რედ. ნ. ეუაშვილი, „ალილო", თბილისი, 2011, 620 გვ.

წიგი წარმოადგენს ეკლესიის მამების: წმინდა იოანე ოქროპირის,ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის,წმინდა თეოფანე დაყუდებულის,ღირსი იოანე-კასიანე რომაელის, წმინდა ტიხონ ზადონელის, წმინდა ეგნატე ბრიანჩანოვის განმარტებებისა და ქადაგებების კრებულს. გამოცემა მომზადდა მოსკოვის მირქმის სახელობის მონასტერში შედგენილი წიგნის მიხედვით: Евангельские беседы на каждый день года. толкование на Евангелие, Ред. Воробьев Сергей, Правило Веры, 2012 г.

**სახარებისეული ისტორია ძე ღმერთის შესახებ, რომელიც ჩვენისა ცხოვრებისათვის განკაცდა.**

თარგმნა ვლადიმერ ჩიკვაიძემ, საქართველოს საპატრიარქო, ქუთაისი, 2010, 296 გვ.

წიგნში სახარებაზე დაყრდნობით თანმიმდევრულადაა გადმოცემული იესო ქრისტეს ცხოვრების ისტორია. ტექსტს დართული აქვს წმინდა მამების

დარიგებები სახარების კითხვის წესთან დაკავშირებით.

**სახელმწიფოებრივი კატეხიზმო**.

თარგმნა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა, მოციქულთა თავთა წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესია, თბილისი, 1999, 40 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს მართლმადიდებლურ სწავლებას საღვთო ხელისუფლების შესახებ.

**სილუან ათონელი, ათონის მთის დიდი წმიდა მამა.**

თარგმნა ხათუნა რაქვიაშვილმა, რედ. დეკანოზი თეოდორე გიგნაძე, საქართველოს საპატრიარქო, 2003, 23 გვ.

ბროშურაში მოთხრობილია წმინდა სილუან ათონელის (ერისკაცობაში სიმონ ივანეს ძე ანტონოვი, XIX-XX სს.) ცხოვრებისა და მისი წმინდანად კანონიზაციის შესახებ.

**სინამდვილე სახარებისა და ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა.**

თარგმნილი რუსულით მღვდ. ს. მჭედლიძის მიერ, 80 გვ., რეპრინტი, „პეტიტი", რედაქტორ-გამომცემელი დ. მელიქიშვილი, თბილისი, 2015.

პუბლიკაცია წარმოადგენს ზუსტ ასლს 1924 წლის 1 სექტემბერს ბოლშევიკების მიერ ქუთაისში დახვრეტილი მოღვაწის, ახალმოწამე მღვდელ სიმონ მჭედლიძის (1865-1924) მიერ თარგმნილი წიგნისა „Толкование Евангелия" Б. И. Гладкова, რომელიც დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული. გამოცემა შესრულდა ავტორის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

**სისხლი ღაღადებს.**

თარგმნა მანანა ჩიქვანაიამ, რედ. მღვდელი ანდრია ბოროდა, „ორთოდოქს კიფსელი", 1995, 16 გვ.

ბროშურა შედგენილია არქიმანდრიტ რაფაელის (კარელინი) წერილების მიხედვით. მასში ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის პრობლემა განხილულია ეთიკური, რელიგიური და ისტორიული ასპექტით.

**სიტყვა ნუგეშისცემისა (მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერი მემკვიდრეობა).**

თარგმნეს რუსუდან ბუაჩიძემ, ნინო ბელთაძემ, ლონდა ჯიქიამ, შეადგინა

და გამოსცა დეკანოზმა ზაქარია მარგალიტაძემ, დაიბეჭდა ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, ნებადართულია გამოსაცემად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, თბილისი, 2008, 444 გვ.

კრებულში წარმოდგენილია საეკლესიო მამების თხზულებები სინანულის, მარხვის და ლოცვის, ეკლესიის საზღვრების საკითხისა და სხვა თემების შესახებ. წიგნი პირველად გამოიცა 2007 წ.

**სულიერი განსჯისათვის.**

თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, საქართველოს საპატრიარქო, 39 გვ.

ბროშურაში საუბარია პრობლემაზე,რომელიც ცრუ სწავლებების შემცველი შინაარსის მქონე წიგნების კითხვას უკავშირდება.

**სულიერი მახვილი.**

თარგმნა ნატო ფარჯანიძემ, რედ. ტ. რობაქიძე, წიგნი გამოიცა ქუთათელ-გაენათელ, ცაგერ-სვანეთის მიტროპოლიტ კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 56 გვ.

**სქემმონაზონი მაკარია.**

მთარგმნელი ნელი ტატიშვილი, იბეჭდება წილკნის მთავარეპისკოპოს ზოსიმეს (შიოშვილი) ლოცვა-კურთხევით, წილკნის ეპარქიის გამოცემა, თბილისი, 2000, 64 გვ.

წიგნში მოთხრობილია სქიმმონაზონი მაკარიას ცხოვრებისა და სულიერი ღვაწლის შესახებ.

**სქიმარქიმანდრიტი ლავრენტი ჩერნიგოველის ცხოვრება და წინასწარმეტყველებანი.**

რუსულიდან თარგმნა ნინო ბარამიძემ, რედ. მღვდელი დავით გოცირიძე, იბეჭდება ბოლნისის მთავარეპისკოპოს თადეოზის (იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2004, 39 გვ.

ბროშურაში მოთხრობილია სქიმარქიმანდრიტი ლავრენტი ჩერნიგოველის (ერისკაცობაში ლუკა ევსევის ძე პროსკურა, 1868-1950) ცხოვრების, მისი წინასწარმეტყველების შესახებ.

**სწავლა-მოძღვრებანი ჭეშმარიტ სიყვარულზე.**

თარგმნა ნატო ფარჯანაძემ, რედ. მღვდელი ბესარიონ ხვისტანი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ქუთაისი, 2000, 143 გვ.

წიგნში შესულია სხვადასხვა წმინდა მამის სწავლა-მოძღვრება სიყვარულის შესახებ. აქვეა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ქადაგება „რწმენისა და სიყვარულისათვის“. ბოლოს მოცემულია შესაბამისი საკითხავი წმინდა წერილიდან.

**უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მოციქულთა ცხოვრება.**

მთარგმნელი ვასილ ბურკაძე, რედ. ბ. ხარაიშვილი, დაიბეჭდა სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოს პეტრეს (ცაავა) ლოცვა-კურთხევით, „თერგი“, თბილისი, 2004, 240 გვ.

წიგნში შეტანილია თორმეტი უმთავრესი მოციქულის, მოციქულთა თავის – პავლესი, ლუკა და მარკოზ მახარებლების და იესო ქრისტეს ხორციელი ძმის, იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსის, იაკობის ცხოვრებები. ისინი შერჩეული და თარგმნილია წმინდა დიმიტრი როსტოველის (1651-1709) „თთვენის“ თორმეტტომეულიდან.

**უხუცესის რჩევები ერში მცხოვრებ ქრისტიანებს.**

თარგმნა ნანა ქანდაურაშვილმა, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საბერძნეთი, 2003, 15 გვ.

ბროშურაში თავმოყრილია ამონარიდები ცნობილი სასულიერო მწერლის, სერგი ნილუსის (XIX-XX სს.) წიგნიდან „სიწმინდე ცხრაკლიტულში“. ტექსტი ქართულად ითარგმნა ნეკრესისა და ჰერეთის მიტროპოლიტ სერგის (ჩეკურიშვილი) მზრუნველობით.

**ქრისტეს აღმსარებელი თანამედროვე საქართველოში.**

თარგმნა ანა აბულაძემ, დაიბეჭდა ბოლნისისა და დმანისის მთავარეპისკოპოს თადეოზის (იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2003, 44 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს 1992 წელს ამერიკაში გამოცემული ჟურნალის „მართლმადიდებლური სიტყვა“ თარგმანს. მასში გადმოცემულია ბერი გაბრიელის (ურგებაძე, 1929-1995) ცხოვრება, აღწერილი ღირსი გერმანე ალიასკელის ძმობის წევრების მიერ, რომლებმაც საგანგებოდ მასთან შეს-

ახვედრად იმოგზაურეს საქართველოში.

**„ქრისტეს გზა“.**

თარგმნა ლაზარე ბერძენიშვილმა, რედ. ნ. გორჯელაძე, იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „პირველი სტამბა“, თბილისი, 2002, 125 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს სახელმძღვანელოს და გამოსულია ოთხ ტომად. ეს წიგნი არსებითად განსხვავდება საქართველოში დღემდე არსებული საღვთო სჯულის სახელმძღვანელოებისაგან. იგი შედგენილია საბერძნეთის განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოს მიხედვით და გათვალისწინებულია III-IV კლასის მოსწავლეებისათვის. ტექსტი ადაპტირებულია ქართული ენის მოთხოვნების და ქართული კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებით. ადაპტაცია შეთანხმებულია საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტთან.

**ქრისტიანის მეგზური.**

თარგმნა და გამოსცა ილია ადამიამ, გაზეთ „ხარების“ ბიბლიოთეკა, თბილისი, 2005, 31 გვ.

**ქრისტიანული ქორწინება.**

თარგმნა მაია ინდუაშვილმა, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 1995, 31 გვ.

თარგმანი შესრულებულია სანკტ-პეტერბურგის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის 1991 წლის გამოცემის მიხედვით,რომელიც წარმოადგენს წმ. იოანე ოქროპირის ქადაგების განმარტებას ძველი და ახალი აღთქმის სათანადო ადგილების ანალიზის საფუძველზე. წიგნი თანამედროვე მკითხველს აცნობს ქრისტიანულ შეხედულებებს ქორწინების შესახებ.

**ქრისტიანული ქორწინება. განმარტებანი წმ. იოანე ოქროპირის ქადაგებისა.**

ქრისტიანული ქორწინება, ძველბერძნულიდან თარგმნა მაია ინდუაშვილმა, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1993, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1993.

ნაშრომში წმ. იოანე ოქროპირის (IV ს.) ქადაგებასთან ერთად წარმოდგენილია მისი განმარტებაც, რომელიც თარგმნილია სანკტ-პეტერბურგის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის 1991 წლის გამოცემის მიხედვით. თხზულება შესულია 1993 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**ქრისტიანული ოჯახი, „საიდუმლო ესე დიდ არს“ (ეფეს. 5, 32), რათა ღმერთმა დაიფაროს ჩვენი ოჯახები წმიდათა ანგელოზთა მიერ.**

თარგმნა ანა სარიშვილმა, იბეჭდება ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „კალამონი“, 2011, 507 გვ.

წიგნში გადმოცემულია მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა მამების სწავლება უბიწოების ქრისტიანულ სათნოებაზე, ბავშვის აღზრდასა და ოჯახური ცხოვრების სხვა საკითხებზე.

**ღვთაებრივი სასწაულები და კურნებები.**

თარგმნა არჩილ ჭირაქაძემ, გამოსცა ოთარ ნიკოლაიშვილმა, დაიბეჭდა შემოქმედელ მიტროპოლიტ იოსების (კიკვაძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2009, 196 გვ.

წიგნში მოთხრობილია არქიმანდრიტ გაბრიელ ურგებაძის (1929-1995) ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მის მიერ აღსრულებული სასწაულების შესახებ. ტექსტი გადმოცემულია ორ ენაზე: ქართულსა და რუსულზე.

**ღვთაებრივი სხივი.**

თარგმნეს დალი ნადიბაიძემ და გიორგი გვასალიამ, რედ.: ლ. შენგელია,გ. გვასალია, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2002, 72 გვ.

წიგნი წარმოადგენს კრებულს, რომელშიც შესულია სწავლა-მოძღვრებითი ხასიათის მოთხრობები.

**ღვთივკურთხეული ქორწინება და ღვთისსათნო ოჯახი.**

შეკრიბა და თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, რედ. მ. კერესელიძე, „ანთიმოზ ივერიელი“, 2008, 167 გვ.

ნაშრომში განხილულია ქრისტიანული ოჯახის შექმნასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები.

**ღირსი გრიგოლ სინელი.**

თარგმნა იღუმენმა რაფაელმა (ხელაშვილი), რედ. ნ. მამულაშვილი, დაიბეჭდა გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოს ექვთიმეს (ლეჟავა) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2007, 88 გვ.

წიგნში შესულია ღირსი მამის, გრიგოლ სინელის (XIII-XIV) მოკლე ბიოგრაფია და მისი გამონათქვამები მცნებების, დოგმატების, ვნებების, სათნოებების, მდუმარებისა და ლოცვის შესახებ.

**ღირს მამათა რჩეული სწავლანი.**

თარგმნა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა, რედ. ს. გოგინაშვილი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2009, 160 გვ.

წიგნში წარმოდგენილია წმინდა მამების დარიგებები სათნოებისა და ცოდვების შესახებ.

**ღირსი მამების – ბარსანუფი დიდის და იოანეს სულიერი ცხოვრების სახელმძღვანელო.**

რუსულიდან თარგმნა იღუმენმა რაფაელ ხელაშვილმა, რედ. ნ. მამულაშვილი, დაიბეჭდა ეპისკოპოს ექვთიმეს (ლეჟავა) ლოცვა-კურთხევით, წიგნი I, 2008, 306 გვ., წიგნი II, გურჯაანის ყოვლადწმინდის მონასტერი, 2010, 280 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ორტომეულს, რომელშიც გადმოცემულია VI საუკუნის დიდი მამების, ბარსანუფისა და იოანეს პასუხები სულიერი შვილების შეკითხვებზე.

**ღმერთი, ადამიანი, თავისუფლება.**

შემდგენელი ნატო ციციშვილი, თარგმნა რეზო კვესელავამ, რედ. ნ. ციციშვილი, თბილისი, 2004, 184 გვ.

წიგნში გადმოცემულია რელიგურ-ფილოსოფიური ხასიათის მსჯელობა თანამედროვე ადამიანისათვის აქტუალურ სხვადასხვა საკითხზე. განხილულია რამდენიმე პროტესტანტი სასულიერო პირის ნააზრევი.

**Ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის გამოცხადებანი და სასწაულები.**

შეადგინა პარაკლიტუს მონასტრის იღუმენმა, არქიმანდრიტმა ტიმოთემ, თარგმნა თამარ ერისთავმა, რედ. ზ. მუჯირი, წიგნი იბეჭდება ურბნისისა

და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 161 გვ.

პუბლიკაციაში, ძირითად ტექსტთან ერთად, ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება ივერიის ღვთისმშობლის მირონმდინარე ხატის (მონრეალი) დაუჯდომელი საგალობელი. წიგნი ეძღვნება აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილ და საზღვარგარეთ მცხოვრებ ყველა ქართველს.

**ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიწიერი ცხოვრება და მისი სასწაულთმოქმედი ხატების ისტორია.**

შემდგენელი სოფიო სნესოროვა, თარგმნა თინათინ გოგოჩაშვილმა, დაიბეჭდა ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2001, 512 გვ.

ნაშრომი შეიქმნა რუსულ ენაზე მე-19 ს-ის მეორე ნახევარში. პირველ ნაწილში აღწერილია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ცხოვრება შობიდან მიძინებამდე. მეორე ნაწილში მოთხრობილია ათონის მთაზე, საქართველოში, რუსეთსა თუ სხვა ქვეყნებში არსებული ღვთისმშობლის სხვადასხვა ხატის ისტორიები. მითითებულია, რომელ მათგანს უნდა მიმართოს მართლმადიდებელმა ქრისტიანმა ამა თუ იმ განსაცდელის ჟამს.

**შევხვდებით თუ არა ჩვენს გარდაცვლილ ახლობლებს საიქიო ცხოვრებაში.**

თარგმნა ელდარ ეკალაძემ, იბეჭდება ბოლნისისა და დმანისის მთავარეპისკოპოს თადეოზის (იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2003, 27 გვ.

ბროშურაში საუბარია სიკვდილისა და მარადიული სიცოცხლის, საშინელ სამსჯავრომდე გარდაცვლილთა სულების ადგილის შესახებ და სხვ.

**შენი ზეციური მფარველი.**

რუსულიდან თარგმნეს ზაზა შვანგირაძემ და ანა ლევიძემ, რედ. დეკანოზი რომანოზ ნინუა, იბეჭდება დეკანოზ რომანოზ ნინუას ლოცვა-კურთხევით, 59 გვ.

პუბლიკაციის მიზანია, მიაწოდოს მკითხველს გარკვეული ცოდნა მფარველი ანგელოზის შესახებ. ტექსტს ერთვის მფარველი ანგელოზის ტროპარ-კონდაკი.

**შერიგება ღმერთთან (სახელმძღვანელო საშუალო ასაკის, 14 წლის, მოზარდთა კატეხიზაციისათვის), II ნაწილი.**

თარგმნა ნათია გიორგობიანმა, რედ. დეკანოზი მიქაელ გალდავა, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2008, 111 გვ.

წიგნი რეკომენდებულია საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის მიერ მოზარდთა რელიგიური განათლებისთვის.

**შესაქმის განმარტება (პირველი ნაკვეთი).**

მთარგმნელ-შემდგენელი დავით თინიკაშვილი, იბეჭდება ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოს გერასიმეს (შარაშენიძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, 2004, 84 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს ბიბლიის ტექსტის განმარტებას დასაწყისიდან მსოფლიო წარღვნის ეპიზოდამდე წმ. იოანე ოქროპირის, წმ. ბასილი დიდის, წმ. ეფრემ ასურის და სხვა წმინდა მამათა შრომების გათვალისწინებით.

**ჩვენი ზეციური მფარველები (როგორ შევურჩიოთ სახელი ახალშობილს).**

თარგმნეს ირაკლი კამკამიძემ, გალინა ხარებაშვილმა, რედ. ლ. წამალაშვილი, იბეჭდება ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოს დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „ხარება", თბილისი, 2006, 39 გვ.

ბროშურაში საუბარია მფარველი წმინდანისა და მისი მოხსენიების დღის აღნიშვნის შესახებ.

**„ცათა სასუფევლის შესახებ". ღვთისგან განდგომილების მიზეზი.**

თარგმნა ნ. გოგიჩაიშვილმა, საქართველოს საპატრიარქო, 2008, 28 გვ.

**ცხოვრება და სასწაულები წმიდისა ნიკოლოზისა, მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსისა და სასწაულთმოქმედისა.**

შეადგინა და თარგმნა ირაკლი კამკამიძემ, რედ. ზ. ქართველიშვილი, წიგნი იბეჭდება ურბნისისა და რუისის მთავარეპისკოპოს იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2001, 80 გვ.

წიგნში მოთხრობილია წმინდა ნიკოლოზის (III-IV სს.) ცხოვრებისა და სასწაულების შესახებ, რომლებიც აღსრულდა როგორც მის სიცოცხლეში, ისე გარდაცვალების შემდეგ – მისი ხატების ან გამოცხადების საშუალებით.

**ცხოვრება და რჩეული თხზულებანი წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა, კონსტანტინეპოლელი პატრიარქისა.**

თარგმნა თამარ ერისთავმა, რედ. ზ. მუჯირი, დაიბეჭდა ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „სამება“, 451 გვ.

წიგნში შესულია წმინდა იოანე ოქროპირის ცხოვრება და მისი რჩეული თხზულებები. გამოცემა ეძღვნება წმინდა იოანე ოქროპირის აღსრულებიდან 1600 წლისთავს (407-2007).

**ცხოვრება მამა ზოსიმესი (ზაქარიასი), ტროიცკო-სერგიევის ბერისა (1850-1936).**

თარგმნა მარგარიტა ვეკუამ, რედ. ზ. ფაჩულია, ფოთი, 2010, 114 გვ.

წიგნში შესულია ბერი ზოსიმეს ცხოვრება და მოგონებები მის შესახებ.

**ცხოვრება პეტრე იბერისა, ასურული რედაქცია.**

გერმანულიდან თარგმნა ივანე ლოლაშვილმა, რედ.: ა. ურუშაძე,ნ. ამაშუკელი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1988, 228 გვ.

„ცხოვრება პეტრე იბერისა“ დაიწერა V-VI საუკუნეების მიჯნაზე. წმინდა პეტრე იბერის ცხოვრებასა და სულიერ ღვაწლთან ერთად მასში წარმოდგენილია უხვი მასალა სირია-პალესტინისა და ეგვიპტის რელიგიური და პოლიტიკური ბრძოლის შესახებ. ნაწარმოები მნიშვნელოვანია IV-V საუკუნეების საქართველოს ისტორიული ყოფის გასათვალისწინებლადაც.

წიგნი გამოდის სერიით „ქართული კულტურის ძეგლები“.

**ცხოვრება ღირსი იოანესი – ახალი ქოზიბელისა.**

თარგმნა ხათუნა რაქვიაშვილმა, რედ. დეკანოზი თეოდორე გიგნაძე, საქართველოს საპატრიარქო, 2003, 23 გვ.

ბროშურაში გადმოცემულია ღირსი იოანე ახალი ქოზიბელის (XX ს.) ცხოვრება: ყრმობა, ბერად აღკვეცა, მოღვაწეობა, გარდაცვალება.

**ცხოვრება წმიდა საბასი, სერბეთის მთავარეპისკოპოსისა.**

თარგმნა ხათუნა რაქვიაშვილმა, რედ. დეკანოზი თეოდორე გიგნაძე, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი, 2003, 47 გვ.

ბროშურაში აღწერილია სერბეთის განმანათლებლის, წმინდა საბას (XII-XIII სს.) ცხოვრება და მოღვაწეობა.

**წარმოდგენები ანტიქრისტესა და ქვეყნის დასასრულზე.**

თარგმნა ნელი ტატიშვილმა, იბეჭდება წილკნელ ეპისკოპოს ზოსიმეს (შიოშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 1995, 60 გვ.

**წერილები საეკლესიო კალენდრის შესახებ.**

თარგმნეს რუსუდან ბუაჩიძემ, ქეთევან ღოღობერიძემ, თეიმურაზ დედაბრიშვილმა, „ორთოდოქსი", თბილისი, 1997, 56 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს კრებულს,რომელშიც განხილულია საეკლესიო კალენდართან დაკავშირებული საკითხები საეკლესიო და საერო სტილს (ძველსა და ახალ სტილს) შორის განსხვავების შესახებ. წიგნი აერთიანებს ა. ზილინსკის,სერაფიმე სობოლოვის (მთავარეპისკოპოსი), ფოტი ბულგარელის (ეპისკოპოსი),რაფაელ კარელინის (არქიმანდრიტი),ზურაბ ანთაძის (დეკანოზი) წერილებს ამ თემაზე. ტექსტს დართული აქვს შენიშვნები.

**წერილები სულიერ შვილებს.**

თარგმნეს თამარ ერისთავმა და თამარ მაისურაძემ, რედ. ზ. მუჯირი, წიგნი იბეჭდება ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „სამება", თბილისი, 2004, 182 გვ.

კრებული შედგება ორი ნაწილისაგან: პირველ ნაწილში შესულია ვალაამის მონასტრის სქიმ-იღუმენ იოანეს წერილები. ხოლო მეორე ნაწილი ეძღვნება თემას „რისთვის გვჭირდება სულიერი მოძღვარი." წიგნის ბოლოს მოყვანილია ამონარიდები არქიმანდრიტ რაფაელის (კარელინი) ქადაგებიდან „სულიერ მამასთან ურთიერთობის შესახებ" და ბერი მოსე ოპტინელის წერილიდან „სულიერი შვილისადმი".

**წესი ქრისტიანის ცხოვრებისა.**

თარგმნა ედიშერ ჭელიძემ, რედ. გ. კოპლატაძე, ნებადართულია დასაბეჭდად საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობის სარეცენზიო საბჭოს მიერ, „კანდელი", თბილისი, 1998, 70 გვ.

ნაშრომში გადმოცემულია სწავლება ლოცვის, აღდგომის, მიცვალებულისათვის ზრუნვის, მარხვის, ქრისტიანის გარეგნობის შესახებ. წიგნში შესულია, ასევე, ადრექრისტიანული პერიოდის ძეგლი „დიდაქე". თხზულება თარგმნა და კომენტარები დაურთო ედიშერ ჭელიძემ.

**წმიდა ანგელოზთა გამოცხადებანი და სასწაულები.**

თარგმნა ხათუნა რაქვიაშვილმა, რედ. ზ. მუჯირი, იბეჭდება ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილის) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2004, 227 გვ.

წიგნში გადმოცემულია სწავლება ანგელოზთა სამყაროს შესახებ წმინდა წერილისა და წმინდა მამათა გამოცდილების მიხედვით.

**წმინდა ათანასე ალექსანდრიელი, წმ. მაქსიმე აღმსარებელი, წმ. მარკოზ ეფესელი.**

თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2002, 47 გვ.

წიგნში აღწერილია სამი წმინდა მამის – ათანასე ალექსანდრიელის, მაქსიმე აღმსარებლის და მარკოზ ეფესელის ცხოვრება და სულიერი ღვაწლი.

**წმინდა დიდმარხვა.**

თარგმნა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა, რედ. ს. გოგინაშვილი, 2002, 46 გვ.

წიგნში წარმოდგენილია წმინდა მამების – იოანე კრონშტადტელის, ანდრია კრიტელის, ევსუქი იერუსალიმელი ხუცესისა და არქიეპისკოპოს სერაფიმე სობოლევის ქადაგებები დიდმარხვის შესახებ.

**წმინდა დიდმოწამე ბარბარეს ცხოვრება და სასწაულები.**

რუსულიდან თარგმნა გოგუცა გურულმა, რედ. დეკანოზი მიქაელ გალდავა, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2002, 64 გვ.

წიგნში აღწერილია წმინდა ბარბარეს (III ს.) ცხოვრება და სასწაულები. საუბარია მისი ნეშტის წმინდა ნაწილების მოგზაურობისა და საბოლოო ადგილსამყოფელის შესახებ.

**წმინდა დიდმოწამე ეკატერინეს ცხოვრება.**

თარგმნა ნინო გოგიჩაიშვილმა, რედ. ლ. ქადაგიძე, 2006, 52 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს წმინდა ეკატერინეს (III-IV სს.) ცხოვრებისა და ღვაწლის აღწერას. ტექსტს დართული აქვს წმინდანის ტროპარი და კონდაკი.

**წმინდა დიდმოწამე თეოდორე ტირონის წამება, წმინდა დიდმოწამე მა-**

**რინეს წამება.**

რუსულიდან თარგმნა რუსუდან ბუაჩიძემ, 1997, 24 გვ.

წიგნში აღწერილია წმინდა თეოდორე ტირონის (III-IV ს.) და წმინდა მარინეს (III-IV ს.) მოწამეობრივი აღსასრული. საუბარია მათი წმინდა ნაწილების მოგზაურობისა და ამჟამინდელი ადგილსამყოფელის შესახებ.

**წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონის ცხოვრება და მოღვაწეობა.**

რუსულიდან თარგმნა გოგუცა გურულმა, რედ. დეკანოზი მიქაელ გალდავა, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2002, 95 გვ.

წიგნში აღწერილია წმინდა პანტელეიმონის (III ს.) ცხოვრება და სულიერი ღვაწლი.

**წმინდა ევსტათი პლაკიდა.**

რუსულიდან თარგმნა ხათუნა რაქვიაშვილმა, რედ. მღვდ. თეოდორე გიგნაძე, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი, თბილისი, 2004, 55 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს I-II საუკუნეების წმინდანის, ევსტათი პლაკიდას ცხოვრებისა და ოჯახთან ერთად მისი მოწამეობრივი აღსასრულის აღწერას.

**წმინდა მამათა საღვთისმეტყველო შრომების თარგმანები.**

თარგმნა მაია ინდუაშვილმა, რედ. ე. ჭელიძე, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2004, 254 გვ.

კრებულში შესულია სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის „სამოღვაწეო, შემეცნებითი და საღვთისმეტყველო თავნი“, ნიკიტა სტითატის „წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის საღმრთო სიყვარულის ჰიმნებისათვის“, გრიგოლ პალამას „შვიდი ქადაგება“ და საღვთისმეტყველო შინაარსის სხვა ნაშრომები. საუბარია ქრისტიანულ ხელოვნებაზე ანდრია რუბლიოვის ხატის „ყოვლადწმინდა სამება“ სასულიერო შინაარსის გააზრების მიზნით.

**წმინდა მამათა სწავლებანი 1, წმ. იოანე ოქროპირი – ჭეშმარიტად აღდგა.**

თანამედროვე ბერძნულიდან თარგმანი შესრულდა ათენის ბერძნულ-ქართულ ინსტიტუტში, სულიწმიდის (პარაკლიტის) სახელობის მონასტერი ოროპოსი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საბერ-

ძნეთი, 2002, 16 გვ.

ბროშურა წარმოადგენს წმინდა იოანე ოქროპირის (IV ს.) მსჯოლობას იესო ქრისტეს აღდგომის შესახებ.

**წმინდა მამათა სწავლებანი 2, წმ. კირილე იერუსალიმელი – სულიწმინდა.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, სულიწმიდის (პარაკლიტის) სახელობის მონასტერი ოროპოსი, საბერძნეთი, 2002, 16 გვ.

წმინდა კირილე, იერუსალიმის ეპისკოპოსი, IV საუკუნეში მოღვაწე დიდ სულიერ მამათა რიცხვს განეკუთვნება. „სულიწმინდის შესახებ" წმ. კირილე იერუსალიმელის ნაშრომის „განათლებულთა კატეხიზმოს" XVI და XVII თავებიდანაა გამოკრებილი. თარგმანი თანამედროვე ბერძნულიდან შესრულდა ათენის ბერძნულ-ქართულ ინსტიტუტში.

**წმინდა მეფე ნიკოლოზ II და მისი ოჯახი.**

თარგმნა ნათია კოპალიანმა, იბეჭდება ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით, ქუთაისი, 2009, 64 გვ.

წიგნში მოთხრობილია რუსეთის წმინდა მეფის, ნიკოლოზ II-ის და მისი ოჯახის ისტორია. ტექსტს ერთვის ფოტომასალა. წიგნი ეძღვნება ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) დაბადების 70 და მღვდელმთავრობის 25 წლისთავს.

**წმინდა მოწამე დედოფალ ალექსანდრას დღიური – სულიერი საგანძური.**

თარგმნა თამარ კონტრიძემ, დაიბეჭდა შემოქმედელ მთავარეპისკოპოს იოსების (კიკვაძე) ლოცვა-კურთხევით, ოზურგეთი, 2003, 22 გვ.

ბროშურაში იბეჭდება რუსეთის დედოფლის, წმინდა ალექსანდრას ბიოგრაფია და მისი დღიურიდან ამოკრებილი გამონათქვამები.

**წმინდა ნიკოლოზის ცხოვრება და სასწაულები.**

ტექსტი რუსულიდან თარგმნა და წანასიტყვაობა დაურთო თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პედაგოგმა დეკანოზმა დავით ციცქიშვილმა, რედ. ნ. მელიქიშვილი, თბილისის სასულიერო აკადემია, თბილისი, 2015, 72 გვ.

ნაშრომში დაწვრილებითაა აღწერილი წმ. მღვდელმთავარ ნიკოლოზის (257-351 წწ.) ცხოვრების ეპიზოდები, მისი მოღვაწეობა და აღსრულებული სასწაულები. წიგნის მიზანია, ხელი შეუწყოს წმინდა მღვდელმთავრის პოპულარიზაციას და გაუცნობიეროს მკითხველს მისი მნიშვნელობა ქრისტიანული სამყაროსათვის.

**წმინდა წინასწარმეტყველის, უფლის წინამორბედისა და ნათლისმცემლის იოანეს ცხოვრება.**

რუსულიდან თარგმნა ერეკლე კვანჭიანმა, რედ. ქ. მამასახლისი, თბილისი, 2007, 39 გვ.

ბროშურაში მოთხრობილია წმინდა იოანე ნათლისმცემლის ცხოვრებისა და აღსასრულის შესახებ.

**ჯოჯოხეთი და სამოთხე (სერია მართლმადიდებლური ბიბლიოთეკა №1).**

თარგმნა და შეადგინა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა, რედ. ს. გოგინაშვილი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა კურთხევით, თბილისი, 2003, 50 გვ.

წიგნში გაანალიზებულია ჯოჯოხეთური სატანჯველისა და სამოთხის ნეტარების რაობა ეკლესიის წმინდა მამათა სწავლების მიხედვით, საუბარია ცოდვილთა იმქვეყნიური ხვედრისა და სამოთხისეული ნეტარების მაჩვენებელ ხილვებზე.

**ჰარი პოტერი მართლმადიდებლური თვალთახედვით.**

თარგმნა მელანია შარტავამ, გამომცემელი ვიქტორ ავდოიანი, იბეჭდება ბორჯომისა და ბაკურიანის მთავარეპისკოპოს სერაფიმეს (ჯოჯუა) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2004, 55 გვ.

წიგნი წარმოადგენს ჯოან როულინგის „ჰარი პოტერის" კრიტიკას მართლმადიდებლური თვალსაზრისით. ნაშრომს დართული აქვს წერილი „სასწაულები, ნიშები და ბოლო ჟამი", რომლის მიზანია დაეხმაროს მკითხველს სასწაულისადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში.

**155 კითხვა-პასუხი სულიერი ცხოვრების შესახებ.**

რუსულიდან თარგმნეს ჰ. ბერაძემ, ნ. ლანჩავამ, რედ. მ. ოვაშვილი, თბილისი, 2000, 40 გვ.

პუბლიკაციაში განხილულია ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის საინტერესო სულიერი საკითხები. ქართულ ენაზე წიგნი თარგმნილია მცირეოდენი შემოკლებით.

**I-VII საუკუნეების ლათინი საეკლესიო მწერლები.**

შეადგინა ედიშერ ჭელიძემ, საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე", თბილისი, 2002, ნაწილი I, მღვდელმოწამე წმ. კლიმენტი რომაელი, პაპი სოტერიუსი, პაპი ელევთერიუსი, პაპი ვიქტორ I, პაპი ზეფირინუსი, 45 გვ., ნაწილი II, წმ. ირინეოს ლიონელი (ლუგდუნელი), 30 გვ., ნაწილი III, მინუციუს ფელიქსი, ტერტულიანე, 26 გვ., 2003, ნაწილი IV, წმ. იპოლიტე რომაელი, მურატორის ფრაგმენტი, სახარებისა და პავლეს ეპისტოლეთა ადრეული პროლოგები, სახარებათა ანტიმარკიონიტული პროლოგები, პავლეს ეპისტოლეთა პროლოგები, 30 გვ., ნაწილი V, ერმის თხზულება „მწყემსი", წმ. კვიპრიანე კართაგენელის შრომები, ეპისტოლეები, ფსევდოშრომები, 33 გვ.

გამოცემა წარმოადგენს სერიას სახელწოდებით „მართლმადიდებლის სამაგიდო წიგნი", რომლის მიზანია, დაინტერესებულ მკითხველს მიაწოდოს ბერძნულ, რუსულ და სხვა ენებზე გამოცემული მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო ლიტერატურის თარგმანები.

## გამოკვლევები

**ადამის აპოკრიფული ცხოვრების ქართული ვერსია.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ციალა ქურციკიძემ, რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, წმ. ირინეოს ლიონელის სახელობის ბიბლიურ-თეოლოგიური ინსტიტუტი, თბილისი, 2003, 77 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს „ძველი ქართული აპოკრიფული ლიტერატურის ძეგლების" სერიის პირველ წიგნს. „ადამის ცხოვრების" კრიტიკული ტექსტი გამოკვლევითურთ პირველად დაიბეჭდა 1964 წელს (ფილოლოგიური ძიებანი, I). წინამდებარე გამოცემისთვის იგი საფუძვლიანად გადამუშავდა.

**ავგაროზის ეპისტოლე.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ნესტან ჩხიკვაძემ, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, „არტანუჯი“, 2007.

ავგაროზის ეპისტოლე ახალი აღთქმის აპოკრიფია. იგი წარმოადგენს ავგაროზ ედესის მთავრის წერილს იესო ქრისტეს მიმართ, რომელშიც გადმოცემულია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის შექმნის ისტორია.

ტექსტს ერთვის გამოკვლევა და ლექსიკონი.

**ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა (X-XIV სს. ხელნაწერების მიხედვით).**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო თამილა მგალობლიშვილმა, რედ. ელ. მეტრეველი, „მეცნიერება“, თბილისი, 1978, 128 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს VI საუკუნის მოღვაწის, ალექსანდრე კვიპრელის ერთ-ერთი თხზულების „საკითხავი პოვნისათვის პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა“ კრიტიკულად დადგენილი ტექსტის პირველ გამოცემას. თხზულების ქართული თარგმანი შემონახულია რამდენიმე ხელნაწერში, რომელთაგან უძველესი 986 წელს გადაწერილი პალიმფსესტია. ტექსტს უძღვის გამოკვლევა, რომელშიც დახასიათებულია გამოყენებული ხელნაწერები, დადგენილია ქართული თარგმანის წყარო – ბერძნული რედაქცია; განხილულია თვით ბერძნული ორიგინალის წყაროები, აღნიშნული ნაწარმოების გავლენა სხვა ისტორიული ხასიათის თხზულებებზე და ქართული თარგმანის შესრულების დროის საკითხი. გამოცემას ერთვის ვრცელი კომენტარები, ლექსიკონი და საძიებლები.

**ამბროსი ხელაია რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში. სტატიის გამო „ხმა სოხუმიდან“.**

გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნუგზარ პაპუაშვილმა (ქართულ და რუსულ ენებზე), თბ., 2005, 175 გვ..

გამოცემა მოიცავს XIX-XX სს-ის დიდი საეკლესიო მოღვაწის, პედაგოგის, მისიონერისა და მკვლევრის ერთ-ერთი პოლემიკური ნაშრომის რუსულ დედანს და მის ქართულ თარგმანს სამეცნიერო აპარატით. გამოკვლევაში მოცემულია საარქივო მასალები და ცნობები ქართული ემიგრანტული პერიოდიკიდან, აგრეთვე ვრცელი ბიბლიოგრაფია ამბროსი ხელაიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

**ანგელოზურ ძალთა შესახებ.**

მოამზადა ანა ჭუმბურიძემ, რედ. ე. ჭელიძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, წიგნი გამოსაცემად მომზადდა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ჰაგიოლოგიური კვლევის ცენტრში, „მეცნიერება", 2001, 288 გვ.

ნაშრომის მიზანია არეოპაგიტული წიგნის, „ზეციური იერარქიის" სქოლიოთა ტექსტობრივი ანალიზი. თხზულებას დართული აქვს ტერმინოლოგიური ლექსიკონი.

**„ბაბილას წამების" ბერძნული, ქართული, სირიული და არაბული ვერსიები.**

ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლატავრა ღვალაძემ, რედ. კ. წერეთელი, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1992, 168 გვ.

თხზულების სრული სათაურია „წამებაჲ წმინდისა ბაბილაჲსი და სამთა ყრმათა მოწაფეთა მისთაჲ". მასში ასახულია ანტიოქიის ეპისკოპოს ბაბილას (III ს.) და მისი მოწაფეების მარტვილობის ამბავი. ავტორი უცნობია.

**ბასილი კესარიელის „სწავლათა" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი.**

გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, რედ. ელ. მეტრეველი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება", თბილისი, 1983, 280 გვ.

წიგნში პირველად ქვეყნდება (X-XI სს.-ის სამი ხელნაწერის მიხედვით) IV საუკუნის ცნობილი მოღვაწის,ბასილი კესარიელის „სწავლათა" ქართული თარგმანი, რომელიც შესრულებულია ეფთვიმე ათონელის მიერ. ტექსტს ერთვის გამოკვლევა და ვრცელი ლექსიკონი. გამოკვლევაში განხილულია ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის ზოგი თავისებურება და დახასიათებულია თარგმანის ლექსიკური, გრამატიკული და სტილისტური მხარე.

**წმ. ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ნინო ქაჯაიამ, რედ. ც. ქურციკიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია,კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება", თბილისი, 1992, 350 გვ.

მონოგრაფიაში წარმოდგენილია წმ. ბასილი კესარიელის ეგზეგეტიკური და ჰომილეტიკური მემკვიდრეობის, ასკეტური ხასიათის თხზულების, წერილებისა და ჟამისწირვის გამოკვლევა. გამოკვლევას, დამატების სახით, ერთვის ორი ტექსტი: წმ. ბასილი დიდის პირადი მიმოწერა და მისივე ჟამისწირვის სამი ადრეული ვერსია, ასევე, ვრცელი კრიტიკული აპარატი.

**განმარტება სამოციქულოსი (გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან), თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, საქართველოს საპატრიარქო, თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, წიგნი I, რედ.: მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია), ზ. ალექსიძე, ზ. სარჯველაძე, ც. ქურციკიძე, ლ. ხაჩიძე, 2000, 475 გვ., წიგნი II, რედ.: მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია), დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, ზ. ალექსიძე, ზ. სარჯველაძე, ც. ქურციკიძე, მ. შანიძე, 2006, 687 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ეგზეგეტიკური ლიტერატურის მნიშვნელოვან ძეგლს, რომელიც ქართულად თარგმნა მე-11 საუკუნის დიდმა ღვთისმეტყველმა და მეცნიერმა ეფრემ მცირემ. მასში ნათლად და მისაწვდომადაა გადმოცემული სამოციქულოს ყოველი ძნელად გასაგები ადგილის შინაარსი ხელახალი პუბლიკაცია განხორციელდა 2010 და 2011 წლებში.

**განძთა ქვაბი.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ციალა ქურციკიძემ, რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, 2007, 224 გვ.

„განძთა ქვაბი“ (ქართული თარგმანის მიხედვით „ქუაბი საგანძური“) აპოკრიფული მწერლობის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლია. იგი წარმოადგენს ბიბლიის თავისებურ ეგზეგეზას, აპოკრიფული მასალით უხვად გაჯერებულს. ქართველ მწიგნობართა შორის ამ თხზულების ავტორიტეტულობას მოწმობს ის ფაქტი, რომ იგი ერთ-ერთ წყაროდ გამოუყენებია ქართველ ისტორიკოსს „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაში. პუბლიკაცია წარმოადგენს „ძველი ქართული აპოკრიფული ლიტერატურის ძეგლების“ სერიის მეორე წიგნს. იგი მეორე გადამუშავებული გამოცემაა.

**გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები. ტომი I, ნაკვეთი I, წმ. დავითის ლავრა,**

**უდაბნოს მონასტერი (XI-XVIII სს.).**

გამოსაცემად მოამზადეს დარეჯან კლდიაშვილმა და ზაზა სხირტლაძემ, რედ. ზ. ალექსიძე, გარეჯის კვლევის ცენტრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, 1999, 86 გვ.

კორპუსში „გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები" წარმოდგენილია საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი სამონასტრო გაერთიანების, ქართული სულიერი კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერის, დავით გარეჯის მრავალმთის VII-XIX საუკუნეების ქართული და უცხოენოვანი წარწერები. წინამდებარე ტომში შესულია წმ. დავითის ლავრისა და უდაბნოს XI-XVIII საუკუნეების ქართული ეპიგრაფიკული მასალა. წიგნს ერთვის შესავალი, წარწერების არქეოგრაფიული აღწერილობა, გრაფიკული მონახაზები და ფოტოები.

**გელათური ბიბლიის კატენები.**

გამოსაცემად მოამზადეს და სქოლიოები დაურთეს ბაქარ გიგინეიშვილმა და გიორგი თოდუამ, რედ. ე. ჭელიძე, „ახალი ივირონი", თბილისი, 2011, 696 გვ.

გამოცემა პირველი წიგნია ახალი სერიისა „საეკლესიო ბიბლიოთეკა – ძველი ქართული თარგმანები". სერია მიზნად ისახავს საეკლესიო ლიტერატურის დღემდე გამოუქვეყნებელი ძეგლების პუბლიკაციას.

**გიორგი მთაწმიდელის თვენი (სექტემბერი).**

გამოსცა, გამოკვლევა, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ლალი ჯღამაიამ, რედ. ლ. ხევსურიანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „ნათლისმცემელი", თბილისი, 2007, 563 გვ.

გამოცემა წარმოადგენს XI საუკუნის გამოჩენილი ათონელი მოღვაწის, გიორგი მთაწმინდელის მიერ შედგენილი მთელი წლის კალენდარული თანმიმდევრობით დალაგებული ჰიმნოგრაფიული ძეგლის, თვენის, პირველი თვის, სექტემბრის მასალის პუბლიკაციას XI-XII სს. რამდენიმე ხელნაწერის მიხედვით. ტექსტის ძირითადი ნაწილი თარგმნილია ბერძნულიდან გიორგი მთაწმინდელის მიერ. კრებულში შეტანილია, ასევე, ორიგინალური ქართული ნაწარმოებებიც.

**დიდი კურთხევანი, ტ. 1.**

ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და სქო-

ლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, რედ. ზ. ჯაღმაიძე, მასალის მოძიება მიმდინარეობდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2006, 664 გვ.

„კურთხევანი“ არის კრებული მღვდელმოქმედებისათვის. მასში თავმოყრილია სხვადასხვაგვარ კურთხევათა წესები და განგებანი. პუბლიკაცია წარმოადგენს „დიდი კურთხევანის“ მეცნიერულ გამოცემას.

**დოგმატიკონი, I. ანასტასი სინელი. წინამძღუარი.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ნ. ჩიკვატიამ, მ. რაფავამ და დ. შენგელიამ, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ნ. ჩიკვატიამ და დ. შენგელიამ, რედ. დ. მელიქიშვილი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2015, 492 გვ.

წიგნში წარმოდგენილია VII საუკუნის მოღვაწის, ანასტასი სინელის თხზულების „წინამძღუარი“ არსენ იყალთოელისეული თარგმანი, რომელიც შესულია არსენ იყალთოელის დოგმატიკურ-პოლემიკურ კრებულში „დოგმატიკონი“. გამოცემა წარმოადგენს „დოგმატიკონის“ პირველ ტომს.

**ესთერის წიგნის ძველი ქართული ვერსიები.**

ტექსტის გამომცემელი ნათია მიროტაძე, რედ. ა. ხარანაული, ლათინური ტექსტის რედ. ვ. ჯუღელი, მთარგმნელები: ნათია ამირიძე, ნათია მიროტაძე, ბიბლიის თარგმნისა და ბიბლიოლოგიის ფონდი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2014, 445 გვ.

ესთერის წიგნი ბიბლიის იმ წიგნთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც სიბრძნის წიგნებს უწოდებენ. პუბლიკაცია წარმოადგენს ნაშრომს, რომელშიც მეცნიერულადაა შესწავლილი ესთერის წიგნის ძველი ქართული თარგმანის ტექსტი.

**თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები (მასალები XIII-XVI საუკუნეების სამხრეთ საქართველოს ისტორიისათვის).**

ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო დარეჯან კლდიაშვილმა, რედ. ვ. სილოგავა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, 1986, 129 გვ.

ნაშრომში შესწავლილია და გამოსაცემად მომზადებული თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები – მოსახსენებლები, აღაპები და მასთან დაკავშირებული შეწირულობები და სხვ.

**იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა რომან მიმინოშვილმა, რედ.: ვ. ასათიანი, თ. დულარიძე, თ. თარხნიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, პროგრამა „ლოგოსი“, 2006, 377 გვ.

წიგნში წარმოდგენილია წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ორი ძველი თარგმანი – წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელის მიერ შესრულებული. ნაშრომს ერთვის ვრცელი გამოკვლევა და იოანე დამასკელის მცირე ბიოგრაფია. ქართულ თარგმანთა ტექსტები საინტერესოა, როგორც ქართული მწერლობისა და აზრის განვითარების ისტორიის, ისე ძველი ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისითაც.

**იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება“.**

ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით მოამზადა მანანა მაჩხანელმა, რედ.: ე. მეტრეველი, ბ. ფონკიჩი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, 1982, 168 გვ.

წიგნში წარმოდგენილია XVIII საუკუნის I ნახევარში ათონის მთაზე შექმნილი ბერძნული თხზულება „ქართველთა მონასტრის ქტიტორთა ცხოვრება“. მასში ასახულია მნიშვნელოვანი ცნობები ათონის ლიტერატურული სკოლის დამაარსებლების, იოანეს, ექვთიმეს და ივირონის მესამე წინამძღვრის – გიორგის (ვაჩესძე) შესახებ. ბერძნულ ტექსტს ახლავს ქართული თარგმანი და ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის გამოკვლევა, რომელშიც განხილული და შეფასებულია ბერძნულ „ცხოვრებაში“ ათონელთა მოღვაწეობის შესახებ არსებული საგულისხმო ფაქტები.

**„იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი (968 წლის ხელნაწერის მიხედვით).**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რ. გვარამიამ, რედ. ელ. მეტრეველი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, 1986, 192 გვ.

წიგნში შესულია გიორგი ალექსანდრიელის (VII ს.) მიერ შედგენილი „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ქართული ვერსია. ტექსტს ერთვის გამოკვლევა და ლექსიკონი.

**კლარჯული მრავალთავი.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა, რედ. ელ. მეტრეველი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება", თბილისი, 1991, 496 გვ.

წიგნი წარმოადგენს უძველესი ჰომილეტიკურ-ლიტურგიკული კრებულის – კლარჯული მრავალთავის პუბლიკაციას. იგი დაცულია X საუკუნის ხელნაწერში, მაგრამ მასში გამოვლენილი არქეტიპი, რომელიც V-VI სს.-ით თარიღდება, თავისი დანიშნულებითა და შედგენილობით უტოლდება ბიზანტიურ მწერლობაში დღეისათვის დაკარგულ უძველეს ჰომილიათა კრებულს და ქართულ მასალას პირველწყაროს მნიშვნელობას ანიჭებს. ტექსტს დართული აქვს გამოკვლევა და საძიებლები.

## მიქეას წინასწარმეტყველების გელათური კატენები.

გამოსაცემად მოამზადა დავით ინწკირველმა, რედ ე. ჭელიძე, თბილისი, 2007, 96 გვ.

წიგნში წარმოდგენილია ძველი აღთქმის ერთ-ერთი წინასწარმეტყველის, მიქეას წიგნის თეოდორიტე კვირელის განმარტების ძველი ქართული ტექსტი. ქართულ ენაზე მთარგმნელის ვინაობა უცნობია.

## ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან, I.

ნინო მელიქიშვილი, ბიბლიოლოგია (ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანები), გვ. 1-161, ნინო მელიქიშვილი, მანანა მაისურაძე, ქართული ნათარგმნი და ორიგინალური ჰომილეტიკური ლიტერატურა, გვ. 262-600, რედ. მთავარეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი), ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ცენტრი, „აღმსარებელი", თბილისი, 2012, 600 გვ.

ნაშრომში წარმოადგენს ერთ-ერთ ნაკვეთს ავტორთა კოლექტივის მიერ მომზადებული სერიისა „ძველი ქართული სასულიერო მწერლობა". წიგნის პირველი ნაწილი – ბიბლიოლოგია – ემყარება ამ სფეროში მოღვაწე როგორც ქართველ მკვლევართა, ისე უცხოელ ქართველოლოგთა შრომებს. მოწოდებულია ცნობები ზოგადად ბიბლიის, აგრეთვე ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანების შემცველ ხელნაწერთა შესახებ; საუბარია იმ მეთოდოლოგიაზე, რომლითაც ხდებოდა და ხდება ამჟამად ქართულ თარგმანთა პირველწყაროს ძიება; მიმოხილულია მთარგმნელობითი პრინციპები, რომლითაც განხორციელდა წმინდა წერილის ქართულ ენაზე გადმოღება და ა.შ. წიგნის მეორე ნაწილი დაფუძნებულია კ. კეკელიძის ფუნდამენტურ გამოკვლევაზე „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია" და, ამასთან ერთად, ითვალისწინებს უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე

ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებს. აქ მიმოხილულია V-XX საუკუნეების როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური ჰომილეტიკური ლიტერატურა, V-IX საუკუნეების ანონიმი მთარმნელების შრომები, XI ს.-ის დიდი ქართველი მამების: ეფთვიმე და გიორგი მთაწმინდელების, ეფრემ მცირის, თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანები და ა.შ., ასევე, XVII-XX საუკუნეების ორიგინალური ჰომილეტიკური მემკვიდრეობა.

**ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან, II.**

ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფია, გვ. 1-275, ნარგიზა გოგუაძე, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 276-343, მაია რაფავა, დოგმატიკა და პოლემიკა, გვ. 344-515, ნანა ჩიკვატია, ფილოსოფია, გვ. 516-619, რედ. მთავარეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი), ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ცენტრი, „აღმსარებელი“, თბილისი, 2014, 620 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს ერთ-ერთ ნაკვეთს ავტორთა კოლექტივის მიერ მომზადებული სერიისა „ძველი ქართული სასულიერო მწერლობა“. ნარკვევების ამ ტომში შესული გამოკვლევები განეკუთვნება ძველი ქართული მწერლობის რამდენიმე დარგს. აქ მიმოხილულია ნათარგმნი და ორიგინალური ჰაგიოგრაფიული მემკვიდრეობა, როგორც მარტვილობის, ისე ცხოვრება-მოქალაქობის ჟანრის ნაწარმოებთა კიმენური, სვინაქსარული და მეტაფრასული რედაქციები, ასევე, აპოკრიფული ხასიათის თხზულებები. წარმოდგენილია დოგმატური და პოლემიკური მწერლობის ჩამოყალიბების ისტორია და დაწვრილებითი ანალიზი. წიგნში შესულია გამოკვლევა ძველი ქართული ფილოსოფიური მწერლობის შესახებ, რომელშიც მიმოხილულია ფილოსოფიური ძეგლები და სკოლები IV-V სს.-დან – ქართული ფილოსოფიური აზროვნების ანტიკური პერიოდიდან – XX საუკუნემდე. სათანადო ადგილი აქვს დათმობილი XI-XII საუკუნეებს, როდესაც ქართულმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია.

**ნევმირებული ძლისპირნი.**

გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ, რედ. ე. მეტრეველი, „მეცნიერება“, თბილისი, 1982, 944 გვ.

გამოცემა წარმოადგენს სერიის „ძველი ქართული მწერლობის ძეგლები“ III წიგნს. ამ სერიის მიზანია IX-XI საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფიული ძეგლების შესწავლა და პუბლიკაცია. წინამდებარე ნაშრომში პირ-

ველად ქვეყნდება ნევმირებული ძლისპირნი X საუკუნის დამლევისა და XI საუკუნის დასაწყისის ხელნაწერის **A**-603-ის მიხედვით. გამოცემა ფოტოტიპიურია. ფოტოების პარალელურად თანამედროვე შრიფტით ქვეყნდება დადგენილი ტექსტი. საერთო ტექსტს დართული აქვს გამოკვლევა, სადაც განხილულია ძლისპირთა ქართული კრებულების რედაქციული თავისებურებებისა და ქართულ-ბერძნულ-სლავურ ირმოლოგიონთა ურთიერთმიმართების საკითხები.

**ნიკოდიმოსის აპოკრიფული წიგნის ქართული ვერსია.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ციალა ქურციკიძემ, რედ. ელ. მეტრეველი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, 1985, 92 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ნიკოდიმოსის წიგნის სახელით ცნობილი აპოკრიფული თხზულების ქართულ თარგმანს გამოკვლევითა და ლექსიკონით. ტექსტი მნიშვნელოვანია როგორც ქართული ენის, ისე ძველი ქართული მწერლობისა და, საზოგადოდ, ძველი ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის.

**ნინოს ცხოვრება.**

არსენ ბერის რედაქციის მიხედვით თანამედროვე ქართულ ენაზე ტექსტი მოამზადა ქეთევან ცხადაძემ, რედ. ი. ამირხანაშვილი, თბილისი, 1998, 47 გვ.

„ნინოს ცხოვრება“ ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უძველესი სინკრეტული ხასიათის ძეგლია. მასში ასახულია წმინდა ნინოს ცხოვრების გზა და მოთხრობილია ქართლის გაქრისტიანების ისტორია.

**Ოქტომბრის მეტაფრასები. ძველი ქართული თარგმანები.**

კრიტიკული ტექსტები დაადგინეს, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ნინო შალამბერიძემ, ნარგიზა გოგუაძემ, ნინო ნატრაძემ, რედ. ნ. გოგუაძე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, „მერიდიანი“, თბილისი, 2014, 481 გვ.

წიგნში პირველად ქვეყნდება „ოქტომბრის თვის მეტაფრასული ჰაგიოგრაფიის ძველი ქართული თარგმანების“ კრიტიკულად დადგენილი ტექსტები, რომელთაც ახლავს ლექსიკონი და საკუთარი სახელების საძიებლები. წიგნში წარმოდგენილია ქრისტიანულ სამყაროში აღიარებული იმ წმინდანების ცხოვრებათა მეტაფრასული ვერსიები, რომელთა ხსენება დაწესებულია ოქტომბრის თვეში შესაბამის თარიღზე (1-დან 31 ოქტომბრის

ჩათვლით). თარგმანები შესრულებულია XI ს-ის გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების მიერ.

**საბაწმინდური ოთხთავი, პალიმფსესტი.**

ტექსტი ამოიკითხა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი სიტყვა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ, რედ. ა. ხარანაული, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2014, 84 გვ.

გამოცემაში პირველადაა გამოქვეყნებული პალიმფსესტის ხანმეტი ტექსტის ფრაგმენტები ფოტოების, ასომთავრული და მხედრული ხელით შესრულებული ტექსტების დართვით (მხედრული ტექსტი წარმოდგენილია ქარაგმების გახსნით და თანამედროვე პუნქტუაციით). წიგნს უძღვის შესავალი წერილი, რომელშიც გადმოცემულია ხანმეტი პალიმფსესტების ისტორია და საკვლევი პალიმფსესტის აღწერილობა. შესავალი წერილი თარგმნილია ინგლისურ ენაზეც (თარგმანი მაია მაჭავარიანისა).

**სათნოებათმოყვარეობა (საეკლესიო ბიბლიოთეკა V).**

ბერძნულიდან თარგმნა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, რედ. ზ. ჯაღმაიძე, იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა კურთხევით, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2006, 504 გვ.

გამოცემაში შესულია წმინდა მამათა: ანტონი დიდის, ესაია განშორებულის, ევაგრე მონაზვნის, კასიანე რომაელის, მარკოზ განშორებულის, ევსუქი ხუცესის ასკეტური ხასიათის შრომები, რომლებშიც საუბარია ადამიანის სულიერი განვითარების, სათნოებათა მოპოვების და სრულყოფილების მიღწევის შესახებ.

**სიბრძნე ბალავარისა.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ეკა ქორიძემ, რედ.: მღვდელი ლავრენტი (ბუზიაშვილი), ე. ჭელიძე, „შარავანდი“, თბილისი, 2002, 115 გვ.

„სიბრძნე ბალავარისა“ მოგვითხრობს წმინდა მამათა – ბალავარის, იოდასაფისა და აბენერის ღვთივსათნო ცხოვრების შესახებ. მათ ხსენებას მართლმადიდებელი ეკლესია 19 ნოემბერს (ახ. სტ. 2 დეკემბერს) აღასრულებს. ეს ნაშრომი ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი პოპულარული ნაწარმოებია. იგი მრავალ ენაზეა თარგმნილი, მათ შორის, ქართულად. არსებობს ტექსტის ორი რედაქცია: ვრცელი, იერუსალიმური (IX-X სს.) და მოკლე, თბილისური (X-XI სს.). წინამდებარე გამოცემა ორივე რედაქციის

შეჯერებულ ვარიანტს სთავაზობს მკითხველს.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ამბროსი ხელაიას პირადი არქივის აღწერილობა.**

შეადგინეს მიხეილ ქავთარიამ, მილენა მეტრეველმა, ირმა ხოსიტაშვილმა, რედ.: ზ. კუდავა, მ. ქავთარია, იბეჭდება ჭყონდიდის მიტროპოლიტ პეტრეს (ცაავა) ლოცვა-კურთხევით, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, „ფავორიტი პრინტი“, თბილისი, 2011, 101 გვ.

წიგნში აღწერილია კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას (ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია, 1861-1927) პირადი არქივი. აღწერილობას დართული აქვს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალის ცნობარი ამბროსი ხელაიას შესახებ, ასევე, საქართველოს საისტორიო არქივსა და ლიტერატურის ისტორიის მუზეუმში დაცული რამდენიმე საარქივო ერთეულის აღწერილობა და ამბროსი ხელაიას შვილიშვილის, ანა კლდიაშვილის პირად არქივში დაცული მასალა.

**ტიპიკონი შიომღვიმის მონასტრისა.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა და ელგუჯა გიუნაშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „მერიდიანი“, თბილისი, 2005, 292 გვ.

საბაწმინდური ტიპიკონი, რომელიც XII საუკუნის დამდეგს ითარგმნა ქართულად და თავდაპირველად შიომღვიმის მონასტერში დაიდო საღვთისმსახურო სახელმძღვანელოდ, შვიდი-რვა საუკუნის განმავლობაში (XVIII–XIX სს.-მდე) იხმარებოდა ქართულ ღვთისმსახურებაში. ეს წიგნი ქართულ ენაზე არასოდეს გამოცემულა. საბაწმინდური ტიპიკონის ერთ-ერთ საუკეთესო ხელნაწერად ითვლება შიომღვიმური ნუსხა, რომელიც ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. ეს არის პირველი და მეცნიერულად გამართული გამოცემა. ტექსტი ემყარება ჩვენამდე მოღწეულ თითქმის ყველა ხელნაწერს. მასში გადმოცემულია: საბაწმინდური განგება-ტიპიკონი, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი, წმინდა შიოსა და წმინდა ევაგრეს ცხოვრებანი (მოცემულია ჩვენამდე მოღწეული ყველა რედაქცია წმინდა შიოს ცხოვრებისა), წმინდა შიოს სასწაულები და ღირსი მამის განგება (ლიტურგიკული საკითხავები). გამოცემას ახლავს ლექსიკონი და ილუსტრაციები.

**უდაბნოს მრავალთავი.**

ტექსტზე მუშაობდნენ: ლ. ბარამიძე,კ. დანელია,რ. ენუქაშვილი,ი. იმნაიშვილი, ლ. კიკნაძე, მ. შანიძე,ზ. ჭუმბურიძე, რედ.: ა. შანიძე, ზ. ჭუმბურიძე, იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 1994, 341 გვ.

უდაბნოს მრავალთავი წმინდა მამათა სამარხო და სადღესასწაულო ქადაგებების შემცველი წლიური კრებულია. ის კლარჯეთშია გადაწერილი და IX-X სს. მიჯნას უნდა მიეკუთვნებოდეს. მონასტრიდან XV–XVI სს.-ში წამოუღიათ ადიშის ოთხთავსა და სხვა ძვირფას წიგნებთან ერთად. წიგნს ახლავს სრულყოფილი სამეცნიერო აპარატი და ძველ ქართულ სიტყვათა ლექსიკონი. წმინდა იოანე ოქროპირის, ბასილი კესარიელის, კირილე იერუსალიმელისა და სხვათა თხზულებებთან ერთად ამ კრებულში შედის იოანე საბანისძის „აბოს წამება“.

**უძველესი იადგარი.**

გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, რედ. ც. ქურციკიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, 1980, 944 გვ.

„უძველესი იადგარი“ ქართული მწერლობის უძველეს პერიოდს განეკუთვნება. იგი შექმნილია პალესტინის ქართულ მწიგნობრულ კერაში (საბაწმინდის მონასტერში) და იერუსალიმურ ლიტურგიკულ პრაქტიკას ასახავს. წიგნის გამომცემლები შეეცადნენ, X საუკუნის რამდენიმე ხელნაწერის საფუძველზე აღედგინათ ამ ძეგლის სრული სახე.

**ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. ნინუამ, რედ. ელ. მეტრეველი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, 1982, 415 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს მაკარი მეგვიპტელის (IV ს.) სახელით ცნობილი თხზულებების ქართული ვერსიის პირველ კრიტიკულ გამოცემას სათანადო გამოკვლევითა და ლექსიკონით. ამ თხზულებათა ქართულ ვერსიას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სხვა უცხოენოვან (ბერძნულ, არაბულ, ეთიოპურ) ვერსიებს შორის როგორც თავისი სიძველით, ისე აგებულებით. ნაშრომი მნიშვნელოვანია როგორც ქართული, ისე ბიზანტიური ლიტერატურის შესწავლისათვის.

**ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული თარგმანები.**

ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ალექსანდრე გამყრელიძემ და თამარ ოთხმეზურმა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო თამარ ოთხმეზურმა, რედ. ც. ქურციკიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, 1989, 232 გვ.

ნაშრომში იბეჭდება ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული თარგმანები, რომლებიც შესრულებულია X-XI საუკუნეებში ცნობილი ქართველი მთარგმნელების, ექვთიმე მთაწმინდელისა და ეფრემ მცირის მიერ.

**ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები).**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა და ბ. შავიშვილმა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო კორნელი დანელიამ, რედ. ა. შანიძე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, ტ. I, ნაწ. I, 1987,567 გვ., ტ. I, ნაწ. II, 1997, 543 გვ.

გამოცემა წარმოადგენს X-XI საუკუნეთა მიჯნის ხელნაწერის – პარიზული ლექციონარის – ძველი და ახალი აღთქმის საკითხავების პუბლიკაციას. ტექსტს დართული აქვს ვრცელი ლექსიკონი და გამოკვლევა, რომელშიც წარმოჩენილია ამ ძეგლის მრავალმხრივი მნიშვნელობა.

**ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები (I).**

კრებული შეადგინა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა და ლექსიკონი დაურთო ნინო მელიქიშვილმა, რედ. ე. ჭელიძე, თბილისის სასულიერო აკადემია, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, „მერიდიანი“, 2010, 330 გვ.

წიგნში თავმოყრილია ქრისტეს შობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი IV-VIII სს.-ის დიდი ბიზანტიელი მამების, ათანასე ალექსანდრიელის, ბასილი კესარიელის, გრიგოლ ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელის, იოანე ოქროპირის, თეოდოტი ანკვირიელის, ევსები ალექსანდრიელის, პროკლე კონსტანტინეპოლელის, პეტრე იერუსალიმელის, იოანე დამასკელის ქადაგებების ძველი ქართული თარგმანები, შესრულებული ეფთვიმე და გიორგი მთაწმინდელებისა და ეფრემ მცირის მიერ.

**ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები (II).**

კრებული შეადგინა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა წაუმძღვარა და ლექსიკონი დაურთო ნინო მელიქიშვილმა, რედ. ე. ჭელიძე, თბილისის სასულიერო აკადემია, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, „მერიდიანი“, 2015, 264 გვ.

წიგნში პირველად ქვეყნდება IV-V სს.-ის დიდი ბიზანტიელი ღვთისმეტყველის, წმ. იოანე ოქროპირის ჰომილიათა კრებულის, „მარგალიტის“ ქართული თარგმანი, შესრულებული X-XI სს.-ში წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ. კრებული წარმოადგენს სწავლების ფორმის მქონე ამონარიდებს იოანე ოქროპირის ქადაგებებიდან, თარგმანებებიდან და საუბრებიდან.

**ქრისტიანული ეკლესიის ისტორია.**

შეადგინა გვანცა კოპლატაძემ, რედ. გრ. რუხაძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2007, 719 გვ.

წიგნში ასახულია ეკლესიის ისტორია იესო ქრისტეს შობის წინა პერიოდიდან XI საუკუნის ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ ნაშრომში ქრისტეს ეკლესიის ისტორია განხილულია არა როგორც მხოლოდ ფაქტებისა და მოვლენების ერთობლიობა, არამედ, როგორც კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის სულიერი ბრძოლის ისტორია რწმენის, სასოებისა და სიყვარულის გადასარჩენად. პუბლიკაცია წარმოადგენს მეორე გამოცემას და ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის აღსაყდრების 30-ე წლისთავს.

**ქრისტიანული ეკლესიის ისტორია.**

შეადგინა გვანცა კოპლატაძემ, რედ. გრ. რუხაძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2009, 607 გვ.

ნაშრომში აღწერილი და განხილულია ეკლესიის ისტორია იესო ქრისტეს შობის წინა პერიოდიდან კონსტანტინოპოლის დაცემამდე (I ს. – XV ს.-ის შუა წლები). პუბლიკაცია წარმოადგენს მესამე შევსებულ გამოცემას.

წიგნი მეოთხედ გამოიცა 2010 წელს.

**შატბერდის კრებული X საუკუნისა.**

გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, რედ. მ.

შანიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება", თბილისი, 1979, 428 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს „შატბერდის კრებულის" სახელწოდებით ცნობილი ხელნაწერის (X ს.) პირველ მთლიან პუბლიკაციას. კრებულში შესულია უძველესი ისტორიული ქრონიკა „მოქცევაი ქართლისაი", იპოლიტე რომაელის ქრონიკონი, რომელიც მსოფლიო ისტორიის მოკლე გადმოცემაა. იგი ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოიყენებოდა, როგორც უმნიშვნელოვანესი წყარო; ასევე, „იაკობ ნისიბინელის ცხოვრება", ეპიფანე კვიპრელის „ფსალმუნთა თარგმანება" და ა.შ. ტექსტს ერთვის გამოკვლევა.

**ძველი აღთქმის საწინასწარმეტყველო წიგნთა განმარტებანი.**

შეადგინა დეკანოზმა აკაკი მეგრელიშვილმა, თბილისი, 2011, 356 გვ.

წიგნი წარმოადგენს ეგზეგეტიკური ხასიათის ნაშრომს. ტექსტის ანალიზს დართული აქვს წინასწარმეტყველთა ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ცნობები, განსამარტავი ტექსტის გეგმა, ძველი აღთქმის წიგნების ტერმინ-შესატყვისთა საძიებელი ცხრილები და სხვ.

**ძველი მეტაფრასული კრებულები (სექტემბრის საკითხავები).**

ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნარგიზა გოგუაძემ, რედ. მ. შანიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება", თბილისი, 1986, 552 გვ.

წინამდებარე გამოცემით იწყება მეტაფრასული კრებულების ძველი ქართული თარგმანების პუბლიკაცია. მეტაფრასული ძეგლები თარგმნილი აქვთ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებს, დავით ტბელს, სტეფანე სანანოისძეს, არსენს, იოანე პეტრიწს, ეფრემ მცირეს, თეოფილე ხუცესმონაზონს და ა.შ. წიგნი მოიცავს სექტემბრის თვის თარგმანების ერთ რიგს, რომლებიც დაცულია XI და XVI საუკუნეების ხელნაწერებში. კრიტიკულად დადგენილ ტექსტებს ახლავს კომენტარები და საძიებლები.

**ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა (საეკლესიო ბიბლიოთეკა).**

ძეგლები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, რედ. ა. ჭუმბურიძე, მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესია, „ახალი ივირონი", თბილისი, 2005, 1152 გვ.

წიგნში განხილულია ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა მეცნიერული და პედაგოგიური თვალსაზრისით. ამ კუთხით დამუშავებულია: „მარტვილობა წმინდა შუშანიკ დედოფლისა," „მარტვილობა წმინდა ევსტათი

მცხეთელისა,“ „მარტვილობა წმინდა აბო თბილელისა,“ „ცხოვრება და მოქალაქობა წმინდა გრიგოლ ხანძთელისა,“ „ცხოვრება და მოქალაქობა წმინდა სერაპიონ ზარზმელისა“.

**ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი V.**

დასაბეჭდად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ენრიკო გაბიძაშვილმა და მიხეილ ქავთარიამ, რედ. მ. შანიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, 1989, 300 გვ.

ნაშრომში ქვეყნდება XVIII საუკუნის ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულებანი, რომელთაგან ერთი გრიგოლ ვახვახიშვილს (დოდოსრქელს) ეკუთვნის, ხოლო ხუთი – ბესარიონ ორბელიშვილს. დანართი მოიცავს გაბრიელ მცირისა და სპირიდონ გრძელიშვილის თხზულებებს.

**ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა.**

გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, მასალის მოძიება მიმდინარეობდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, რედ. ა. ჭუმბურიძე, თბილისი, „ახალი ივირონი“, 2014, ტ. VI, 304 გვ., ტ. VII, 296 გვ., ტ. VIII, 400 გვ.

პუბლიკაციით გრძელდება გამომცემლობა „ახალი ივირონის“ მიერ შემოთავაზებული ახალი სერია „მამული, ენა, სარწმუნოება“. პირველ ხუთ ტომში წარმოდგენილია „ქართლის ცხოვრების“ თანამედროვე ქართული ენაზე გადმოტანილი ვარიანტი კომენტარებითურთ. მე-6, მე-7 და მე-8 ტომები მოიცავს ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების ახალ შესწორებულ გამოცემებს. მე-6 ტომში შესულია იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, მე-7 ტომში – „მარტვილობა წმინდა მოწამე ევსტათი მცხეთელისა“, იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“, ბასილი ზარზმელის „წმინდა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, მე-8 ტომში – გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

**წალენჯიხა – მაცხოვრის ტაძრის მოხატულობები.**

შემდგენელნი: ინგა ლორთქიფანიძე, მზია ჯანჯალია, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2011, 195 გვ.

წიგნში განხილულია წალენჯიხის მაცხოვრის სახელობის ტაძრის ფრესკული მხატვრობის თავისებურებები. ტექსტს დართული აქვს შესაბამისი ფო-

ტომასალა.

**წმინდა ანტონი დიდის ცხოვრება.**

ტექსტი მოამზადა ანა ჩხეიძემ, რედ.: თ. სახეიშვილი, ა. რეხვიაშვილი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის გიმნაზია, „საგანძური“, თბილისი, 2003, 40 გვ.

„ცხოვრება ანტონი დიდისა“, დაწერილი წმინდა ათანასე ალექსანდრიელის მიერ 355-356 წწ., ქართულად V-VI სს.-ში ითარგმნა. პუბლიკაციაში შემოთავაზებული ტექსტი თარგმნილია წმინდა დიმიტრი როსტოველის წიგნიდან „წმინდანთა ცხოვრება“ და შედარებული სამ ქართულ ხელნაწერთან: უდაბნოს მრავალთავთან ( IX ს.), სინურ მრავალთავსა (X შ.) და ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ ხელნაწერთან ( XI ს.).

**ხანმეტი ტექსტები. ნაკვეთი I.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ, რედ. მ. შანიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, 1984, 352 გვ.

გამოცემა წარმოადგენს პალიმფსესტებში შემონახული ქართული მწერლობის უძველესი პერიოდის (V-VIII სს.) ხანმეტი ტექსტების პუბლიკაციას. პირველ ნაკვეთში შესულია ფრაგმენტები ხანმეტი ოთხთავის ტექსტიდან. ტექსტს ერთვის სიმფონია და გამოკვლევა.

## სხვადასხვა

**ალავერდის მონასტერი. ფოტოალბომი (ქართულ-ინგლისურ ენებზე).**

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე, ჩაკიდული თხემები, შპს „სეზანი“, თბილისი, 2010, 48 გვ.

ალბომში ასახულია ალავერდის მონასტერში ბოლო წლებში მიმდინარე ცვლილებები – საეპისკოპოსო სასახლის რეკონსტრუქცია-რესტავრაცია, XI საუკუნის მარნის რეაბილიტაცია, ფეიქარ-ხანის სასახლის რესტავრაცია, სიძველეთსაცავის მშენებლობის დაწყება და მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგების პროცესი.

**ამბავი ჯვარცმული ორი ავაზაკისა და იუდა ისკარიოტელის მძიმე ცოდ-ვები.**

2006, 38 გვ.

ბროშურა წარმოადგენს აპოკრიფულ თხზულებას.

**აწყურის ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი მფარველი ივერიისა.**

შეადგინეს ანა აბულაძემ და მაია ყაჭეიშვილმა, გამოიცა შემოქმედელ მიტ-როპოლიტ იოსების (კიკვაძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2009, 20 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია აწყურის ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის მცირე ისტორია და აღწერილია ხატის მიერ აღსრულებული სას-წაულები.

**ახალი შუამთა და რუისპირის წმინდა ნიკოლოზის ტაძარი. ბუკლეტი.**

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე, ჩაკიდული თხემები, თბილისი, 2013, 16 გვ.

პუბლიკაციაში გადმოცემულია სოფელ რუისპირში ახალი შუამთის მონას-ტრის კუთვნილ მიწაზე არსებული წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ისტო-რია; მოთხრობილია საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შუამთის მონას-ტრიდან დევნილი მამების მონასტერში გადმოსვენების შესახებ.

**ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის დედათა მონასტერი. ორენოვა-ნი ბუკლეტი ქართულ-რუსულ და ქართულ-ინგლისურ ენებზე.**

თბილისი, 2002, 16 გვ.

**ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის მონასტერი. ბუკლეტი.**

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე, ჩაკითული თხემები, შპს „სეზანი“, თბილისი, 2010, 8 გვ.

**ახალი შუამთა, ხახულის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მონასტერი (1995-2015).**

დაიბეჭდა შპს „სეზანში“, 10 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ახალი შუამთის ხახულის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მონასტრის განახლების 20 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემულ მცირე ზომის საიუბილეო წიგნ-ალბომს. მასში გადმოცემულია

ახალი შუამთის მონასტრის დაარსების ისტორია (ვახუშტი, ქართლის ცხოვრება) და ასახულია ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე მონასტერში განვითარებული უმნიშვნელოვანესი მოვლენები.

**ბავშვების აღზრდა მართლმადიდებლური სწავლების მიხედვით.**

წიგნზე მუშაობდნენ ბესარიონ ბეჭვაია, ათანასე ბეჭვაია, ვლადიმერ ჩხიკვაძე, რედ თ. გოგოჩაშვილი, დაიბეჭდა ზუგდიდ-ცაიშის მიტროპოლიტ გერასიმეს (შარაშენიძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2007, 224 გვ.

ნაშრომში ბავშვის აღზრდის პროცესი და მასთან დაკავშირებული პრობლემები გაანალიზებულია მართლმადიდებლური თვალსაზრისით. წიგნი განკუთვნილია აღზრდის საკითხით დაინტერესებული მოზრდილი მკითხველისათვის.

**ბერი ერმოლაოზი. ნათელი ქრისტესი.**

რედ. მღვდელი გურამ ოთხოზორია, „ივირონი“, 2014.

გამოცემა წარმოადგენს თანამედროვე ათონელი მამის, პანტელეიმონის მონასტრის ბერის, ერმოლაოზის ქადაგებების კრებულს. წიგნს უძღვის დეკანოზ პეტრე კვარაცხელიას წინასიტყვაობა.

**ბიზანტიელი ჰიმნოგრაფები ძველ ქართულ „თთუენებში“.**

კატალოგი შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო ლიანა კვირიკაშვილმა, რედ. ნ. ლომოური, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი, 1987, 159 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს ბიზანტიელ ავტორთა ჰიმნოგრაფიული კანონების კატალოგს. მასში შესულია ბიზანტიელ ჰიმნოგრაფთა ის კანონები, რომელთა შესატყვისები შესულია ძველ ქართულ „თთუენებში“ და ბიზანტიელ ავტორთა სახელებით წარწერილი ძველი ქართული თარგმანები.

**გულის სარკე.**

წიგნზე მუშაობდნენ: ნეკრესელი მთავარეპისკოპოსი სერგი, ლონდა ჯიქია, ხათუნა მანგოშვილი, ლელა მამაცაშვილი, პაატა დავითაშვილი, იბეჭდება ნეკრესელ მთავარეპისკოპოს სერგის (ჩეკურიშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2000, 58 გვ.

წიგნში საუბარია ცოდვისა და მისგან თავის არიდების გზების შესახებ.

**დავით აღმაშენებელი. გალობანი სინანულისანი.**

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე, ჩაკიდული თხემები, შპს „სეზანი“, თბილისი, 2015, 48 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ხელნაწერ წიგნს, რომელიც პირველად გამოაქვეყნა გამომცემლობა „ხელოვნებამ“ დავით აღმაშენებლის საზოგადოების ეგიდით 1989 წელს. დიდი ტირაჟის (100 000 ცალი) მიუხედავად, მოკლე ხანში დადგა მისი ხელმეორედ გამოცემის საკითხი, რაც განხორციელდა მხოლოდ პირველი გამოცემიდან 25 წლის თავზე. გამოცემა ეძღვნება მხატვარ რომან მახარაძის დაბადებიდან 85-ე წლისთავს.

**დედა ღვთისმშობელი – საქართველოს მფარველი.**

მოამზადა ზ. ქუთათელაძემ, რედ. ვ. ბურკაძე, ნორჩი მართლმადიდებლის ბიბლიოთეკა, თბილისი, 2010, 24 გვ.

ბროშურა მომზადებულია უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ქადაგებების მიხედვით.

**ეკლესიის ისტორია.**

რედ. ნ. ბოკუჩავა, დაიბეჭდა რუსთავისა და მარნეულის მთავარეპისკოპოს იოანეს (გამრეკელი) ლოცვა-კურთხევით, 2010, 291 გვ.

წიგნში აღწერილია ეკლესიის ისტორია პირველი ოთხი საუკუნის განმავლობაში.

**ზარათი, წმინდა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია.**

გამომცემლები: ფლერ დევდარიანი და იუზა ხუსკივაძე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა კვლევის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2008, 89 გვ.

წიგნში გადმოცემულია სოფელ ზარათის (წყალტუბოს რაიონი) ტაძრის ისტორია, აღწერილია მისი მოხატულობა და მოყვანილია საილუსტრაციო მასალა.

**ზიარების საიდუმლოს შესახებ.**

შეადგინა მღვდელმა ლევან მექოშვილმა, თბილისი, 2007, 23 გვ.

ბროშურა მკითხველს აცნობს მართლმადიდებლურ სწავლებას ზიარების საიდუმლოს შესახებ.

**თაისი ტორონჯაძე – 60 წელი ქართული საეკლესიო გალობის სამსახურში. საიუბილეო ალბომი.**

შეადგინა ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, რედ. ს. ვარდოსანიძე, „ნეკერი“, 2010, 40 გვ.

წიგნში მოთხრობილია დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის ლოტბარის, ლიტურგიკისა და საეკლესიო გალობის დარგში დამსახურებული მოღვაწის, თაისი ტორონჯაძის ცხოვრება. ნაშრომს დართული აქვს ფოტომასალა.

**იაკობის პირველი სახარება – ღმრთისმშობლის შობა.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2005, 23 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია თხზულება, რომელიც მოციქულ იაკობს მიეწერება. აქ მოთხრობილია ღვთისმშობლის შობის, ხარებისა და იესო ქრისტეს ამქვეყნად მოვლინების შესახებ.

**ივერიის ნათლობა.**

სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტერი, 2005, 10 გვ.

ბროშურაში აღწერილია წმინდა მირიან მეფის ღვაწლი საქართველოში სარწმუნოების გავრცელების საქმეში.

**ივერიის ღმრთისმშობლის ხატი.**

შემდგენელი ირაკლი კამკამიძე, რედ. ზ. ქართველიშვილი, წიგნი იბეჭდება ურბნისისა და რუისის მთავარეპისკოპოს იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 1999, 63 გვ.

წიგნში მოთხრობილია ივერიის ღვთისმშობლის ხატის ისტორია და აღწერილია მისი აღსრულებული სასწაულები.

**ილია II. ფოტოალბომი.**

ტექსტზე მუშაობდნენ თინათინ გოგოჩაშვილი და ეთერ ინწკირველი, რედ. ზ. აბზიანიძე, 276 გვ.

ფოტოალბომი ასახავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ცხოვრების გზას. ალბომში მრავალფეროვან ფოტოარქივთან ერთად (გამოყენებულია

ილია ზემკოს, ზაზა მამულაშვილის, დავით კუკულაძის, იური როსტოს ფოტოები) შეტანილია ვრცელი ტექსტები, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ოჯახის ისტორია, მისი ყმაწვილობის პერიოდი, განათლება, საქმიანობა პატრიარქად არჩევამდე და განსაკუთრებით ფართოდ – მოღვაწეობა აღსაყდრების დროიდან. ტექსტში ჩართულია ილია II-ის მოგონებები, სიტყვები და პირადი წერილები,გამოყენებულია ნაწყვეტები ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. სერგო ვარდოსანიძის მონოგრაფიიდან „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II". მკითხველს საშუალება აქვს, გაეცნოს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მხატვრობასაც – ფოტოალბომს დართული აქვს მისი ნამუშევრების რეპროდუქციები. ალბომს წინ უძღვის უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის წინამორბედი XX საუკუნის პატრიარქების ბიოგრაფიები და ფოტოები. წიგნი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის დაბადებიდან მე-80 და აღსაყდრებიდან 35-ე წლისთავს.

**მართლმადიდებელი ქრისტიანის სამახსოვრო.**

შეადგინა ვლადიმერ ზანგურაშვილმა, „ლომისი", თბილისი, 2007, 56 გვ.

წიგნში განხილულია რელიგიის მნიშვნელობის საკითხი მორწმუნე ადამიანის ცხოვრებაში.

**მახარაძე რომან (ფერწერა, გრაფიკა, წიგნის ილუსტრაცია, კინოს მხატვრობა, შრიფტი, ორნამენტი).**

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე, ჩაკიდული თხემები, შპს „სეზანი", თბილისი, 2014, 288 გვ.

პუბლიკაცია წიგნი-ალბომია, რომელიც გამოიცა მხატვარ რომან მახარაძის დაბადებიდან 85-ე წლისთავის აღსანიშნავად. მასში წარმოდგენილია მხატვრის ბიოგრაფია, მისი მრავალმხრივი შემოქმედება, ხელოვნებათმცოდნეების, მხატვრების, წიგნის გრაფიკოსების შეფასებები, მეგობართა მოგონებები. შესავალი სიტყვა ეკუთვნის მხატვრის ვაჟიშვილს, აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითს.

**მეტეხი („ჯვარი ვაზისა").**

რედ. თ. კობალაძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქა-

რთველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1988, 77 გვ.

ჟურნალის ამ ნომერში წარმოდგენილია მეტეხის ტაძრის ისტორია.

**მიქეას წინასწარმეტყველების გელათური კატენები.**

წიგნი გამოსაცემად მოამზადა დავით ინწკირველმა, რედ. ე. ჭელიძე, რეცენზირებული და ნებადართულია გამოსაცემად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობის და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, თბილისი, 2007, 96 გვ.

გამოცემა წარმოადგენს ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნის ებრაელი წინასწარმეტყველის, მიქეას წიგნის ნეტარი თეოდორიტე კვირელისეული (393-466) განმარტების პუბლიკაციას. ტექსტს დართული აქვს ლექსიკონი და საკუთარ სახელთა საძიებელი.

**მომავალი საიქიო ცხოვრება წმინდა წერილისა და წმინდა მამათა სწავლების მიხედვით.**

რედ. ზ. მუჯირი, იბეჭდება რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2002, 126.

**მონანულთა დასახმარებლად, აღსარებისათვის მზადება.**

ტექსტი ქართულად ითარგმნა და დაიბეჭდა ნეკრესისა და ჰერეთის მიტროპოლიტ სერგის (ჩეკურიშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2003, 15 გვ.

ბროშურის მიზანია,გაუადვილოს მკითხველს გულწრფელი აღსარება.

**მუცლადმოწყვეტილთა და მკვდრადშობილთა საბოლოო ხვედრის შესახებ შემდგომად მეორედ მოსვლისა.**

2000, 28 გვ.

ბროშურაში საუბარია ორსულობის ხელოვნურად შეჩერების მძიმე ცოდვაზე.

**მცირე საეკლესიო ენციკლოპედია.**

შეადგინეს გვანცა კოპლატაძემ და გრიგოლ რუხაძემ, ლიტურგიკული საკითხების რედაქტორი მღვდელი თეიმურაზ ბარაბაძე, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2004, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით,

საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2004, 196 გვ.

ენციკლოპედიაში თავმოყრილია ბიბლიოგრაფიის, ჰაგიოგრაფიის, ჰიმნოგრაფიის, ჰომილეტიკის, კანონიკის, ეგზეგეტიკის, ხუროთმოძღვრების და სხვა საეკლესიო მეცნიერებათა საკითხები. ნაშრომი ძირითად საეკლესიო ცნებათა და დებულებათა განმარტებებთან ერთად ცნობებს იმ მოღვაწეთა შესახებაც შეიცავს, რომლებსაც მსოფლიო ეკლესიის, განსაკუთრებით კი საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში გამორჩეული წვლილი მიუძღვით. წიგნს ერთვის სათვეო კალენდარში მოხსენიებულ წმინდანთა სახელების განმარტება. გამოცემა შესულია 2005 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**მცხეთის ჯვრის სასწაულებრივი გამოჩინების დღესასწაული და ხსენება.**

დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2002, 83 გვ.

წიგნი მოგვითხრობს მცხეთის ჯვრის დღესასწაულის შესახებ, რომელიც დაწესებულია ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის დროს.

**„მწიგნობრობა ქართული“ (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული).**

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე, ჩაკიდული თხემები, შპს „სეზანი“, თბილისი, 2015, 44 გვ.

გამოცემა წარმოადგენს ალბომს, რომელშიც შესულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი სპეციალისტის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ ელენე მაჭავარიანის მიერ შესრულებული გრაფიკული ტაბულები. მათში ასახულია ქართული ანბანის (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული) განვითარების პროცესი. ანბანური თანმიმდევრობით წარმოდგენილია, როგორ იცვლებოდა ქართული ასოს მოხაზულობა საუკუნეების მანძილზე. თითოეულ ტაბულას ახლავს X-XIII საუკუნეების ქართულ ხელნაწერთა მხატვრულად გაფორმებული საზედაო ასოები. გამოცემა მიეძღვნა მხატვარ რომან მახარაძის დაბადებიდან 85-ე წლისთავს.

ალბომის პირველი გამოცემა ეკუთვნის ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას 1989 წელს. წიგნის გაფორმებაზე მუშაობდნენ მხატვარი რ. მახარაძე, მხატვრული რედაქტორი შ. ნიორაძე (რედაქტორი ო. ლაბაძე).

**რა შეიძლება მოჰყვეს საეკლესიო განხეთქილებას?**

თბილისი, 1997, 20 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს წერილს, რომელიც ათონის წმინდა მთის მონ-

ასტერთა გაერთიანებულმა კრებამ გამოუგზავნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს. მასში გამოთქმულია მხარდაჭერა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი მწყემსმთავრისადმი და დაგმობილია ეკლესიაში განხეთქილების შემოტანის ყოველგვარი მცდელობა.

**რა უნდა იცოდეს მრევლმა მართლმადიდებლური ტაძრის ფუნქციონალური მოწყობის შესახებ.**

ნებადართულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, თბილისი, 2008, 14 გვ.

ბროშურაში შესულ საკითხებს განიხილავს ვაკის წმინდა სამების ეკლესიის მშენებლობის კოორდინატორი და ტაძრის გამგებელი ალექსანდრე დოლიძე.

**რელიგია და მეცნიერება.**

ვ. გუბანოვის წიგნის მიხედვით მომზადდა შემოქმედის წმ. ნიკოლოზის სახელობის დედათა მონასტერში არქიმანდრიტ ნიკოლოზის ლოცვა-კურთხევით, 1999, 32 გვ.

ბროშურაში განხილულია რელიგიისა და მეცნიერული აღმოჩენების მიმართების საკითხი.

**რელიგიის ისტორიის საფუძვლები (პროგრამა).**

შემდგენელი საქართველოს საპატრიარქოს პროტოდიაკონი ამირან ამირანაშვილი, პროგრამა შედგენლია უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „საქპროფგამი“, თბილისი, 1991, 12 გვ.

პროგრამა განკუთვნილია ხელოვნებისა და კულტურის სასწავლო დაწესებულებებისათვის. იგი რელიგიის ისტორიის საფუძვლების თემატურ გეგმასა და მის მცირე განხილვას მოიცავს. პროექტის ავტორია საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ხელოვნებისა და კულტურის სასწავლო დაწესებულებათა რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი.

**საეკლესიო სამართალი.**

იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1980, 55 გვ.

წიგნი განიხილავს საეკლესიო სამართლის საგანს,საეკლესიო სამართლის წყაროებს და დებულებას საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობისთვის.

**საიქიო სოფლის იდუმალებანი.**

შეადგინა არქიმანდრიტმა პანტელეიმონმა, რედ. დეკანოზი გიორგი თევდორაშვილი, 321 გვ.

წიგნში საუბარია ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობაზე.

**საუკუნეობით ნაოცნებარი რეალობა.**

პროექტის ავტორი ზურაბ ჯიბლაძე, რედ. ზ. ჯიბლაძე, დაიბეჭდა საქართველოს პრეზიდენტის ბიბლიოთეკის პოლიგრაფიის განყოფილებაში, 2002, 39 გვ.

ბროშურაში საუბარია კონსტიტუციურ შეთანხმებაზე, რომელიც დაიდო საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წლის 14 ოქტომბერს საუფლო კვართისა და მირონმდინარე ბრწყინვალე სვეტის დღესასწაულზე, სვეტიცხოვლის ტაძარში.

**საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება.**

დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1997, 44 გვ.

წიგნში განხილულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული ადგილობრივი კრების მიერ 1995 წლის 18-19 სექტემბერს მცხეთაში, სვეტიცხოველში მიღებული დებულებები. მოცემულია მასალა საპენსიო ანაზღაურების, საეკლესიო ფინანსებისა და ქონების და სხვა საკითხთა შესახებ.

**საქართველოს ეკლესიის 1905 წლის რეორგანიზაციის პროექტი.**

გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ზაზა ვაშაყმაძემ, რედ. ვ. სილოგავა, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, „ნეკერი“, თბილისი, 2010, 24 გვ.

1905 წლის „რეორგანიზაციის პროექტი“ მე-20 ს-ის საქართველოს ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საბუთია. იგი წარმოადგენს

პირველწყაროს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ისტორიის შესწავლისათვის. მასში ასახულია იმდროინდელი ქართველი საზოგადოების, განსაკუთრებით, სამღვდელოების, თავდადებული მისწრაფება ავტოკეფალიის აღდგენისათვის და ამ მოვლენის იურიდიული გაფორმების მაღალი სამართლებრივი კულტურა. „საქართველოს ეკლესიის 1905 წლის რეორგანიზაციის პროექტი“ 1906 წლის შემდეგ ქვეყნდება პირველად, უცვლელი სახით, მოკლე წინასიტყვაობისა და მთავარ მონაწილე პირთა ფოტოსურათების დართვით.

**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინება.**

საქართველოს საპატრიარქო, 1999, 46 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის 1998 წლის 8 ოქტომბრის სხდომის განჩინება და საქართველოს საღვთისმეტყველო კომისიის მიერ შესწავლილი მასალები, რომელიც სინოდალური გადაწყვეტილების შემადგენელ კანონიკურ ნაწილს წარმოადგენს.

**საქართველოს მისია.**

რედ. მ. სულაქველიძე, 2010, 80 გვ.

ნაშრომში ისტორიულ წყაროებსა და საეკლესიო გადმოცემებზე დაყრდნობით მიმოხილულია საქართველოს წარსული და საუბარია მისიაზე, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ მომავალში უნდა შეასრულოს. ტექსტი თარგმნილია რუსულ და ინგლისურ ენაზე.

**საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი, 1917, 12/25 მარტი.**

გამოსაცემად მოამზადა ლუკა ხუნდაძემ, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2005, 16 გვ.

ბროშურაში ქვეყნდება საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტის სრული ტექსტი, რომელიც წაიკითხეს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათოლიკოსო ტაძარში 1917 წლის 25 მარტს (საეკლ. სტილით 12 მარტი).

**საქართველოს საპატრიარქო, დასავლეთ ევროპის ეპარქია, წმ. ნინოს სახელობის ტაძარი.**

„სამკვიდრო“, 22 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ფოტო-ალბომს, რომელშიც ასახულია საქართველოს საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის ეპარქიის წმ. ნინოს სახელობის ტაძარი.

**საღვთო ლიტურგია (ჟამის წირვა), ზიარების ლოცვები.**

შეადგინა მამუკა გაფრინდაშვილმა, რედ. მღვდელი ამირანი (ქარქაშიძე), დაიბეჭდა მარგველ მიტროპოლიტ კონსტანტინეს (მელიქიძე) ლოცვა-კურთხევით, 1999, 168 გვ.

წიგნის მიზანია, დაინტერესებულ მკითხველს განუმარტოს მღვდელმსახურების ზოგიერთი დეტალი და ამით გააადვილოს საღვთო ლიტურგიის შინაარსისა და მიმდინარეობის აღქმა.

**სახარება ბავშვებისთვის.**

შედგენილია არქიმანდრიტ ნეტორ ყუბანეიშვილის ნაშრომის მიხედვით „საღვთო ისტორია ახალი აღთქმისა“. გამოსაცემად მოამზადა წმიდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის რუმინეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოებასთან არსებულმა საეკლესიო ლიტერატურის საგამომცემლო ჯგუფმა, რედ. ა. ბეჭვაია, „ერა“, 2008, 80 გვ.

წიგნში წარმოდგენილ ტექსტს თვალსაჩინოებისათვის ერთვის ნახატები პატარა მკითხველის დაინტერესებისა და მისთვის შინაარსის აღქმის გაადვილების მიზნით.

**ტამასოს სამიტროპოლიტოს აღორძინება – მოკლე ისტორია მოციქულთა ეპოქიდან დღემდე.**

იბეჭდება ტამასოსა და ორინის მიტროპოლიტ ისაიას ლოცვა-კურთხევით, კვიპროსი, 2010, 38 გვ.

ბროშურაში ასახულია ერთ-ერთი ბერძნული სამიტროპოლიტოს ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. მოთხრობილია ტამასოსა და ორინის სამიტროპოლიტოში არსებული ეკლესია-მონასტრების შესახებ და აღწერილია იქ მოღვაწე წმინდანთა ცხოვრება. მოკლედ გადმოცემულია ამჟამად მოქმედი მიტროპოლიტის, მეუფე ისაიას, ბიოგრაფია.

**უდიდესი საეკლესიო დღესასწაულები.**

შეადგინა ვახტანგ ღლონტმა, „კიდევაც დაიზრდებიან“, თბილისი, 1990, 30 გვ.

ბროშურაში საუბარია უდიდესი საეკლესიო დღესასწაულების შესახებ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობიდან მის მიძინებამდე.

**ფარი და მახვილი სარწმუნოებისა.**

შეადგინა დავით ამაშუკელმა, იბეჭდება მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2002, 31 გვ.

ბროშურა ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრების 25 წლისთავს. მასში შესულია „იეღოვას მოწმეებისა“ და სხვა სექტების მამხილებელი ტექსტები ბიბლიიდან.

**ქართლის მოქცევა.**

ახალ ქართულზე გადმოღებული ტექსტი და ძველი ვერსიების რედაქცია ელგუჯა გიუნაშვილისა, გამოკვლევა, მიმოხილვა და კომენტარები ვახტანგ გოილაძისა, რედ.: რ. სირაძე, მ. ჩხარტიშვილი, „უნივერსალი“, თბილისი, 2009, 220 გვ.

წიგნი წარმოადგენს ძველი ქართული საისტორიო მწერლობის თვალსაჩინო ძეგლის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ სამეცნიერო გამოცემას. მასში წარმოდგენილია თხზულების შატბერდული და ჭელიშური რედაქციები და, ასევე, ჭელიშური რედაქციის თანამედროვე ქართულზე გადმოღებული ვარიანტი.

**ქართლის ცხოვრება, ტ. I. ლეონტი მროველი. ჯუანშერი.**

ტექსტი ახალ ქართულ ენაზე თარგმნა და კომენტარები დაურთო ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა, რედ. დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2011, 268 გვ.

**ქართლის ცხოვრება, ტ. II. მატიანე ქართლისა. ცხოვრება წმიდა მეფე დავით აღმაშენებელისა.**

ტექსტი ახალ ქართულ ენაზე თარგმნეს და კომენტარები დაურთეს ნინო მელიქიშვილმა, ნანა ჩიკვატიამ, თამარ მარგიანმა, რედ. დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2012, 264 გვ.

**ქართლის ცხოვრება, ტ. III. ცხოვრება წმიდა მეფე თამარისი. ახალი ქართლის ცხოვრება.**

ტექსტები ძველი ქართულიდან ახალ ქართულზე გადმოიტანეს და კომენ-

ტარები დაურთეს მაია რაფავამ, გიორგი მაჭარაშვილმა, რედ. ნ. ჯალაბაძე, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2012, 312 გვ.

**ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს სამეფოს აღწერა. ნაწილი 1.**

ტექსტები ძველი ქართულიდან ახალ ქართულზე გადმოიტანეს და კომენტარები დაურთეს ენრიკო გაბიძაშვილმა, ნესტან ჩხიკვაძემ, რედ. ნ. ჯალაბაძე, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2012, 303 გვ.

**ქართლის ცხოვრება, ტ. V. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს სამეფოს აღწერა. ნაწილი 2.**

ტექსტები ძველი ქართულიდან ახალ ქართულზე გადმოიტანეს და კომენტარები დაურთეს მაია რაფავამ, თამარ მარგიანმა, რედ. ნ. ჯალაბაძე, „ახალი ივირონი“, თბილისი, 2012, 380 გვ.

გამოცემა წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოტანილ ვარიანტს, რომელიც იბეჭდება ხუთ ტომად გამომცემლობა „ახალი ივირონის“ მიერ შემოთავაზებული ახალი სერიით „მამული, ენა, სარწმუნოება“. სერიის მიზანია უპასუხოს საზოგადოებაში არსებულ ინტერესს საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ და ამით ხელი შეუწყოს ეროვნული ფასეულობების დამკვიდრებას. გამოცემა განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

**ქართული საეკლესიო გალობა.**

რედ. პროტოპრესვიტერი გიორგი (გამრეკელი), დაიბეჭდა ამბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის (მახარაძე) ლოცვა-კურთხევით, 2002, 18 გვ.

ბროშურაში ასახულია ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორია.

**ქრისტიანული ეკლესიის ისტორია IV-VI საუკუნეებში.**

ალექსანდრა ბახმატევას სახელმძღვანელოს მიხედვით შეადგინა გვანცა კოპლატაძემ, რედ. გრ. რუხაძე, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2003, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2003, 203 გვ.

ნაშრომში IV-VI საუკუნეების ქრისტიანული ეკლესიის ისტორია შედგენილია როგორც ძველ საეკლესიო ისტორიკოსთა თხზულებების, ისე თანამედროვე ავტორთა შრომების გამოყენებით. გამოცემა შესულია 2003 წლის

საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**ქრისტიანული ეკლესიის ისტორია VII-XI საუკუნეებში.**

ალექსანდრა ბახმატევას სახელმძღვანელოს მიხედვით შეადგინა გვანცა კოპლატაძემ, რედ. გრ. რუხაძე, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2004, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2004, 249 გვ.

ნაშრომში VII-XI საუკუნეების ქრისტიანული ეკლესიის ისტორია შედგენილია როგორც ძველ საეკლესიო ისტორიკოსთა თხზულებების, ისე თანამედროვე ავტორთა შრომების გამოყენებით. გამოცემა შესულია 2004 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**ქრისტიანული ეკლესიის ისტორია.**

შეადგინა გვანცა კოპლატაძემ, რედ. გრ. რუხაძე, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2008, იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2008, 207 გვ.

წიგნში გადმოცემულია ეკლესიის ისტორია ლათინთა გამოყოფის დროიდან (XI ს) კონსტანტინოპოლის დაცემამდე (1453). ნაშრომი ერთვის 2008 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარს.

**ქრისტეს უღელი და სულის სიმშვიდე.**

რედ. გ. კოპლატაძე, თბილისი, 1998, 16 გვ.

ბროშურაში ასახულია იესო ქრისტეს სწავლება იმის შესახებ, თუ როგორ მოვიხვეჭოთ სათნოებები და მოვიპოვოთ სულის სიმშვიდე.

**ქრისტეშობის სადღესასწაულო სახარების განმარტება.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ლუკა ხუნდაძემ, რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, დაიბეჭდა შ.პ.ს. „ნობენეს" სტამბაში, თბილისი, 2004, 32 გვ.

ბროშურა შედგენილია მიტროპოლიტ ვარლამ ერისთავის მიერ მისი ეგზარქოსობის დროს გამოცემულ წიგნზე (განმარტება სახარებისა საუფლოთა და ღმრთისმშობლის დღესასწაულთა და სწავლანი კეთილჩუეულებათა

მასწავებელნი, მოსკოვი, 1825 (ხუცური შრიფტით).) დაყრდნობით, რომელშიც შესულია სადღესასწაულო სახარების განმარტება და ქრისტეშობის დღესასწაულის შესახებ წმ. მამათა სწავლების ტექსტები.

**ღვთივკურთხეული ბათუმისა და სხალთის ეპარქია.**

შეადგინეს ირინე ხაჟალიამ, ხათუნა დარსაველიძემ, ბათუმი, 2004, 20 გვ.

ბროშურაში ასახულია ბათუმისა და სხალთის ეპარქიის მოკლე ისტორია. ტექსტი გადმოცემულია ორ ენაზე – ქართულსა და ინგლისურზე.

**ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო.**

შეადგინეს ანა აბულაძემ, მაია ყაჭეიშვილმა, გამოიცა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2009, 84 გვ.

წიგნში აღწერილია საქართველოს ისტორია ქრისტიანობის გავრცელების დროიდან. მოთხრობილია დიდი მოღვაწე მამებისა თუ მოწამეობრივად აღსრულებული ქრისტიანების, იერუსალიმის ჯვრისა და ათონის ივერთა მონასტრების შესახებ. ტექსტს დართული აქვს იოანე-ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“. წიგნი ხელმეორედ გამოიცა 2010 და 2011 წლებში.

**ღირსი მამა ალექსი და მისი სავანე.**

რედ. არქიმანდრიტი მელქისედეკი, თბილისი, 1999, 415 გვ.

წიგნი ეძღვნება ღირს მამა ალექსი შუშანიას (1852-1923). პუბლიკაციაში შესულია მისი ბიძაშვილის, ონოფრე შუშანიას მიერ დაწერილი ბიოგრაფია და ალექსი შუშანიას შემოქმედების ანალიზი. წიგნს უძღვის წილკნელ მთავარეპისკოპოს ზოსიმეს (შიოშვილი) წინასიტყვაობა.

**ჩემი პირველი ბიბლია.**

რედ. ს. კვანტალიანი, იბეჭდება დეკანოზ გურამ გურამაშვილის ლოცვა-კურთხევით, „ელფი“, 2010, 56 გვ.

წიგნი განკუთვნილია პატარა მკითხველისათვის. იგი შედგენილია იაკობ გოგებაშვილის „საღმრთო ისტორიის“ მიხედვით. ტექსტს მეტი თვალსაჩინეობისთვის ერთვის ილუსტრაციები.

**ჩვენთან არს ღმერთი (ახალი, შესწორებული და ილუსტრირებული გამო-**

ცემა).

დაიბეჭდა ნეკრესელ მთავარეპისკოპოს სერგის (ჩეკურიშვილი) ლოცვა-კურთხევით, ლაგოდეხი, 1998, 156 გვ.

**ცაიშის საკათედრო ტაძარი.**

შეადგინა ზაურ ჯალაღონიამ, რედ. თ. ბერაძე, დაიბეჭდა ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოს გერასიმეს (შარაშენიძე) ლოცვა-კურთხევით, ზუგდიდი, 2001, 67 გვ.

წიგნში მოთხრობილია ცაიშის ეპარქიისა და მისი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის ისტორია. ტექსტს დართული აქვს ეპარქიის რუკა და მოქმედ ტაძართა ფოტოები.

**ცოდო-მადლის წიგნი.**

რედ. ც. ღლონტი, „წიგნი“, თბილისი, 1993, 38 გვ.

ბროშურაში განხილულია ცოდვები და მათი დამთრგუნველი სათნოებანი. ტექსტს დართული აქვს ახსნა-განმარტებები არქიმანდრიტ ნესტორ ყუბენეიშვილის წიგნიდან „საღვთო სჯულის სწავლებაზე“.

**ცოლ-ქმრობა.**

შეადგინა მღვდელმა ნესტორ ყუბანეიშვილმა, რედ: გ. თოდუა, ლ. ხუნდაძე, თბილისი, 2006, 24 გვ.

ბროშურაში საუბარია ცოლ-ქმრის მოვალეობებსა და სასჯელზე, რომელსაც მრუშობის ცოდვის გამო იღებს ადამიანი.

**ცხოვრება და მოღვაწეობა წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა პეტრე ქართველისა, რომელიც იყო ძე ქართველთა მეფისა.**

წიგნზე მუშაობდნენ ანა აბულაძე, ნანა ზაქროშვილი, მარიამ მიქიაშვილი, დაიბეჭდა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2012, 67 გვ.

წიგნში მიმოხილულია ეპოქა, რომელშიც მოღვაწეობდა პეტრე იბერი (411-491) და აღწერილია მისი ცხოვრება. ნაშრომს დართული აქვს ფოტომასალა, შენიშვნები და დამოწმებული ლიტერატურის სია.

**ცხოვრება ღირსისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა სვიმეონ მეს-**

ვეტისა.

დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1996, 28 გვ.

ბროშურაში აღწერილია ღირსი მამის, სვიმეონ მესვეტის (V ს.) ცხოვრება და ღვაწლი.

**ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსთა მამათა – შიოსი და ევაგრესი.**

რედ.: არქიმანდრიტი მიქაელი (გაბრიჭიძე), იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი), დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2005, 164 გვ.

წიგნში გადმოცემულია ღირსი მამების – შიოსა და ევაგრეს (VI ს.) ცხოვრება და სულიერი ღვაწლი. ტექსტს ერთვის დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი და შიო მღვიმელის საგალობლები.

**ცხრა ნეტარების განმარტება (მათე 5, 3-12).**

ეკლესიის განმანათლებელთა განმარტებანი შეკრიბა და გამოსცა კონსტანტინე ალიბეგაშვილმა, თბილისი, 2011, 20 გვ.

ბროშურაში თავმოყრილია წმინდა მამათა სწავლება ცხრა ნეტარების გაგებასთან დაკავშირებით.

**წესი ქრისტიანის ცხოვრებისა.**

მთავარეპისკოპოსი დანიელის (დათუაშვილი) ხელმძღვანელობით შეადგინა დეკანოზმა პავლე ფაჩუაშვილმა, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1994, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1994.

თხზულებაში წარმოდგენილია სხვადასხვა საეკლესიო საკითხის მოკლე განმარტება დამწყებთათვის. ნაშრომი შესულია 1994 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

**წმინდა მოწამენი კვირიკე და ივლიტა (ცხოვრება).**

იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2005, 10 გვ.

ბროშურაში მოთხრობილია წმინდა კვირიკესა და ივლიტას (III-IV სს.)

ცხოვრებისა და მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ. ტექსტს ერთვის წმინდანების ტროპარი და კონდაკი.

**წმინდა მღვდელმთავარი სპირიდონ ტრიმიფუნტელი კვიპროსელი სასწაულთმოქმედი.**

თბილისი, 2011, 200 გვ.

წიგნში გადმოცემულია რამდენიმე საინტერესო ეპიზოდი წმინდა სპირიდონის (III-IV სს.) ცხოვრებიდან. ტექსტს ახლავს ფოტომასალა, მათ შორის წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის უხრწნელი ნეშტის ფოტო.

**ხახულის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მონასტერი, ახალი შუამთა (რუსულ ენაზე).**

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე, ჩაკიდული თხემები, შპს „სეზანი“, თბილისი, 2013, 76 გვ.

წიგნში ასახულია ახალი შუამთის ხახულის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მონასტრის ისტორია და დღევანდელობა.

# ლოცვები, კალენდრები

## ლოცვები

**ავგაროზი.**

შეადგინა ოთარ ნიკოლაიშვილმა, თბილისი, 1999, 68 გვ.

წიგნში დაბეჭდილია ლოცვები ჯადოსა და ყოველგვარ გრძნეულებათა საწინააღმდეგოდ, ასევე – ლოცვები მეომართა, მოგზაურთა, პატიმართა, სნეულთა და განსაცდელში მყოფთათვის.

წიგნი მეორედ გამოიცა 1999 წელსვე განახლებული და შევსებული სახით.

**აკათისტო ღირსისა დედისა მარიამ მეგვიპტელისა.**

სლავურიდან თარგმნა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა, რედ. ს. გოგინაშვილი, იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2003, 31 გვ.

ბროშურა წარმოადგენს ღირსი მარიამ ეგვიპტელის დაუჯდომელ საგალობელს.

**აკათისტო ღმრთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატისა „შენ ხარ ვენახი“.**

შეადგინა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა, რედ. ს. გოგინაშვილი, იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2003, 23 გვ.

ბროშურაში შესულია ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის „შენ ხარ ვენახი“ დაუჯდომელი.

**ანდრია კრიტელი. დიდი კანონი.**

„კარიბჭე“, 64 გვ.

წიგნში შესულია წმინდა ანდრია კრიტელის მიერ შედგენილი „დიდი კანონი“, რომელიც იკითხება დიდი მარხვის პირველ კვირას.

**ანდრია კრიტელი. დიდი კანონი.**

ნებადართულია გამოსაცემად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, თბილისი, 2005, 108 გვ.

გამოცემაში წარმოდგენილი წმ. ანდრია კრიტელის მიერ შედგენილი სინანულის დიდი კანონი მოცულობით ყველა სხვა კანონზე ვრცელია, რის გამოც ოთხ ნაწილად იყოფა და დიდი მარხვის პირველ ოთხ დღეს იკითხება. კანონთან ერთად პუბლიკაციაში შესულია სავედრებელი ლოცვა ღირსი მარიამ ეგვიპტელისადმი.

**ბრეგვაძე ნინო (მონაზონი). ცხოვრება, დაუჯდომელი და პარაკლისი ღირსი შიო მღვიმელისა.**

რედ. ე. ჭელიძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „გორგასალი“, 2004, 79 გვ.

წიგნში მოთხრობილია წმინდა ღმერთშემოსილი მამის, შიო მღვიმელის, ცხოვრება. ტექსტს ერთვის წმინდანის დაუჯდომელი და პარაკლისი. პუბლიკაციაში შესულია „ღირს არსის“ ნაცვლად მთელი წლის განმავლობაში საკითხავი საგალობლებიც.

**გალდავა მერაბ. დაუჯდომელი საგალობელი წმიდისა მოწამისა ევსტათი მცხეთელისა.**

რედ. ე. ჭელიძე, იბეჭდება ჭიათურის მთავარეპისკოპოს აბრაამის (გარმელია) ლოცვა-კურთხევით, „კანდელი“, თბილისი, 1999, 20 გვ.

**გალდავა მერაბ. დაუჯდომელი საგალობელი წმიდისა მოწამისა დედოფლისა შუშანიკისი.**

რედ. ე. ჭელიძე, იბეჭდება ჭიათურის მთავარეპისკოპოს აბრაამის (გარმელია) ლოცვა-კურთხევით, „კანდელი“, თბილისი, 1999, 20 გვ.

**გალდავა მერაბ. დაუჯდომელი საგალობელი წმიდისა მღვდელმთავრისა ამბროსი აღმსარებელისა (ხელაიასი).**

რედ. ე. ჭელიძე, იბეჭდება ჭიათურის მთავარეპისკოპოს აბრაამის (გარმელია) ლოცვა-კურთხევით, „კანდელი“, თბილისი, 1999, 24 გვ.

**გალდავა მერაბ. მარტვილის ღვთისმშობლის ხატის დაუჯდომელი საგა-**

**ლობელი.**

რედ. ე. ჭელიძე, დაიბეჭდა ჭიათურის მთავარეპისკოპოს აბრაამის (გარმელია) ლოცვა-კურთხევით, „კანდელი“, თბილისი, 1999, 24 გვ.

**გალდავა მიქაელ (მღვდელი). დაუჯდომელი საგალობელი კეთილმსახურისა მეფისა თამარისი.**

საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2003, 39 გვ.

**გულაბერიძე ნიკოლოზ (კათოლიკოს-პატრიარქი). პარაკლისი სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოჲსა.**

დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მცხეთა, 2003, 49 გვ.

პარაკლისი შედგენილია კათოლიკოს-პატრიარქ ნიკოლოზ გულაბერიძის (XII ს.-ის II ნახ.) მიერ. ტექსტი ეფუძნება XII საუკუნის პანეგირიკულ ნაწარმოებებს.

**დაუჯდომელი საგალობელი წმინდათა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი.**

თარგმნა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა, რედ. ს. გოგინაშვილი, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2012, 41 გვ.

**დაუჯდომელი საგალობელი ყაზანის ღმრთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატისა, ლაგოდეხს დავანებულისა**

ავტორ-შემდგენელი ნათელა თევდორაშვილი, რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, იბეჭდება ნეკრესელ მიტროპოლიტ სერგის (ჩეკურიშვილი) ლოცვა-კურთხევით, „ნეკრესი“, 2011, 48 გვ.

**დაუჯდომელი საგალობელი წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა.**

დაიბეჭდა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოს თადეოზის (იორამაშვილი) და ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ გიორგის (თევდორაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2009.

წიგნში წმინდა ანდრია პირველწოდებულის დაუჯდომელთან ერთად

წარმოდგენილია მოციქულის ცხოვრებაც.

**Iვერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის პარაკლისი და დაუჯდომელი.**

ბერძნულიდან თარგმნა ედიშერ ჭელიძემ, გამოსაცემად მოამზადა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა, რედ. ს. გოგინაშვილი, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, 2001, 72 გვ.

წიგნში პირველად იბეჭდება ივერიის ღვთისმშობლის ხატის პარაკლისი. ტექსტს ერთვის ზაზა სხირტლაძის ნარკვევი ხატის ისტორიის შესახებ.

**ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დაუჯდომელი**.

შეადგინა მონაზონმა ელენემ (ნაფეტვარიძე), რედ. იღუმენია მარიამი (მიქელაძე), იბეჭდება ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2003, 62 გვ.

ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი გამორჩეულია ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატებს შორის. პუბლიკაციაში შემოთავაზებული დაუჯდომლის ქართული ვარიანტი შეიქმნა 80-იანი წლების ბოლოს.

**ქანონი ღმრთისმშობლისა.**

რედ. ა. ბეროზაშვილი, იბეჭდება რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2007, 47 გვ.

წიგნში იბეჭდება ღირსი სერაფიმე საროველის (1754-1833) მიერ დივეევოს მონაზვნებისათვის შედგენილი ლოცვათა აღსრულების წესი, ასევე წარმოდგენილია ანტიქრისტეს ბეჭდისაგან თავდასახსნელი ლოცვა და სხვ.

**ლოცვანი**.

დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2000, 151 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს მხედრულად და ხუცურად დაბეჭდილ ლოცვანს, რომელსაც ერთვის მცირე საღვთისმეტყველო ლექსიკონი.

**ლოცვანი**.

დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ახალციხე, 1995, 260 გვ.

წიგნში წარმოდგენილია ყოველდღიური ლოცვები, დაუჯდომლები, საეკლესიო დღესასწაულთა ტროპარ-კონდაკები, სადიდებელ-სავედრებლები.

**ლოცვანი.**

ნებადართულია გამოსაცემად საღვთისმსახურო წიგნების შესწავლისა და რედაქტირების კომისიის მიერ, 66 გვ.

წიგნში იბეჭდება „წმიდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას ლოცვა“. ამ წმინდანების მიმართ ლოცულობენ ოჯახური ბედნიერებისათვის, სნეულ ყრმათა სწრაფი განკურნებისათვის და უშვილობისას.

**ლოცვანი.**

შეადგინეს ნანა ზარნაძემ, ნონა ჯანგველაძემ, იბეჭდება სანკტ-პეტერბურგის შესტაკოვის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ რომანოზის ლოცვა-კურთხევით და კონსულტაციით, „სევერნაია ივერია“, სანკტ-პეტერბურგი, 2000, 127 გვ.

გამოცემაში შესულია ყოველდღე სათქმელი ლოცვები და ლოცვები სხვადასხვა წმინდანისადმი. ასევე, მოცემულია პრაქტიკული რჩევები ქრისტიანული წესით ცხოვრებისათვის.

**ლოცვანი.**

გამოსაცემად მოამზადა ათანასე ბეჭვაიამ, საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“, 2004, 80 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს მხედრულად და ხუცურად დაბეჭდილ ლოცვანს. იგი დახმარებას გაუწევს მკითხველს ხუცური დამწერლობის შესწავლაში.

**ლოცვანი.**

შეადგინეს მღვდელმა გიორგიმ (სამსონიძე) და ირინე ქებურიამ, წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის გამომცემლობა, 2007, 416 გვ.

ლოცვანი ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 30-ე და დაბადებიდან 75-ე წლისთავს. ლოცვათა ტექსტებს თან ერთვის მცირე განმარტებითი ლექსიკონი.

**ლოცვანი.**

დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1996, 334 გვ.

წიგნში წარმოადგენს ყოველდღიურ ლოცვათა კრებულს.

**ლოცვანი.**

იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2000, 153 გვ.

წიგნში შეტანილია მხედრულად და ხუცურად დაბეჭდილი ყოველდღიური ლოცვები.

**ლოცვანი.**

იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ყვარელი, 2008, 131 გვ.

წიგნი წარმოადგენს ყოველდღიური ლოცვების კრებულს.

**ლოცვანი.**

რედ.: დ. მელიქიშვილი, ვ. წამალაშვილი, ნებადართულია დასაბეჭდად საღვთისმსახურო წიგნების შესწავლისა და რედაქტირების კომისიის მიერ, თბილისი, 2005, 144 გვ.

პუბლიკაციაში შემოთავაზებული ლოცვანის ტექსტი, სხვადასხვა დროს თარგმნილი ძველი ბერძნულიდან (და, ზოგჯერ, სლავურიდანაც), შეჯერებულია ძველ ბერძნულ და, საჭირო შემთხვევაში, შესაბამის სლავურ ტექსტთან. შესწორებულია გადამწერთა აშკარა შეცდომები, კალმის ლაფსუსები და დაცულია ძველი ქართული ენობრივი ნორმები.

**ლოცვანი.**

შეადგინა ედიშერ ჭელიძემ, „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2003, 246 გვ.

წიგნი წარმოადგენს ლოცვების ვრცელ კრებულს, რომელშიც, ასევე, შესულია აღსარების პარაკლისი. ტექსტს ერთვის წმინდა მამათა გამონათქვამები ლოცვის შესახებ.

**ლოცვანი.**

დაიბეჭდა რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2005, 88 გვ.

კრებულში წარმოდგენილია შვიდგზის ლოცვა, ასევე, სხვა ყოველდღიური თუ სავედრებელი ლოცვები.

**ლოცვანი.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2001, 192 გვ.

კრებულში ყოველდღიურ ლოცვებთან ერთად შესულია გალობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი „იესო ტკბილი“, გალობა „მფარველი ანგელოზისა მიმართ“ და „დაუჯდომელი საგალობელი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა“.

**ლოცვანი ბავშვებისათვის.**

შეადგინა გვანცა კოპლატაძემ, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „ცოტნე“, თბილისი, 1999, 36 გვ.

კრებული შედგენილია ს. კულომზინას საბავშვო ლოცვანის მიხედვით. ტექსტს ახლავს განმარტებები და ფერადი ილუსტრაციები.

**ლოცვანი ბრაილის შრიფტით.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2004, 82 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს სხვადასხვა ყოველდღიური ლოცვისა და შვიდგზის ლოცვების კრებულს. მასში შესულია კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სიტყვაც. გამოცემა დაფინანსდა საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის, „ძლევაის“ მიერ, ბრაილის შრიფტით აიწყო და დაიბეჭდა საქართველოს უსინათლო ბავშვთა დაცვის ფონდში. კრებული განკუთვნილია უსინათლოთათვის.

**ლოცვანი და დაუჯდომელი ღვთისმშობლისაჲ (სერია - საეკლესიო ბიბლიოთეკა. III).**

გამოსაცმად მოამზადა ედიშერ ჭელიძემ, რედ. ზ. ჯაღმაიძე, მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესია, „ახალი ივირონი“, თბილისი,

2006, 332 გვ.

წიგნში იბეჭდება სხვადასხვა სავედრებელი ლოცვა და ღვთისმშობლის დაუჯდომელი. პუბლიკაცია მომზადდა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ „ლიტურგიის კომისიაში“ (თავმჯდომარე მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი)). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში სათანადო მასალების მოძიება მიმდინარეობდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

**ლოცვანი და საგალობელნი.**

16 გვ.

ბროშურა წარმოადგენს მხედრულად და ხუცურად დაბეჭდილი ლოცვების კრებულს.

**ლოცვანი დამწყებთათვის.**

ტექსტი მოამზადა ათანასე ბეჭვაიამ, საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“, თბილისი, 2004, 80 გვ.

წიგნში მხედრული და ხუცური ანბანით დაბეჭდილია ძირითადი ლოცვები, ათი მცნება, ცხრა ნეტარება. გამოცემას დართული აქვს მოსახსენებლები.

**ლოცვები მიცვალებულთათვის.**

რედ. ე. ჭელიძე, იბეჭდება რუსთაველ მიტროპოლიტ ათანასეს (ჩახვაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „გორგასალი“, 2001, 59 გვ.

წიგნში შესულია ლოცვები მიცვალებულთათვის. წინასიტყვაობაში მკითხველი ეცნობა, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი გარდაცვლილის სულის დასახმარებლად.

**ლოცვა მიწისძვრისგან დაცვისათვის.**

რედ. ბ. მეფარიშვილი, საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტი, 2002, 16 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია ლოცვა მიწისძვრისგან დაცვისათვის. გამოცემას წინ უძღვის ამონარიდი უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ქადაგებიდან, რომელიც წარმოითქვა 2002 წელს მომხდარ მიწისძვრასთან დაკავშირებით.

**ლოცვანი (მოსახსენებელი).**

თბილისი, 1996, 88 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს კრებულს, რომელშიც შესულია ყოველდღიურად საკითხავი ლოცვები, შვიდგზის ლოცვა, უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულებისა და საზოგადო ტროპარ-კონდაკები, ლოცვები ზიარების წინ, სამადლობელი ლოცვები ზიარების შემდეგ, დიდმარხვის და ვნების შვიდეულის ტროპარ-კონდაკები, მოსახსენებელი.

**ლოცვებში მოვიხსენოთ ჩვენი წინაპრები და ისინი მოგვიხსენებენ ჩვენ.**

გამოსაცემად მოამზადეს მორჩილმა მანუჩარ კანდელაკმა და ქეთევან ასათიანმა, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2005, 348 გვ.

წიგნი წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის მეთაურების, ეგზარქოსების, ქართველი მეფეების, სასულიერო პირების, საერო მოღვაწეების სახელთა ჩამონათვალს ლოცვებში მოხსენებისათვის.

**ლოცვა ორსულისა.**

საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო ბეჭდვითი ცენტრი, 2000, 16 გვ.

ბროშურაში იბეჭდება მშობიარობის წინ სათქმელი ლოცვა და ლოცვები, რომლებიც უნდა წაიკითხოს ქალმა ორსულობის დროს.

**ლოცვები ოჯახის ბედნიერებისთვის.**

გამოსაცემად მოამზადეს ზვიად ბოკუჩავამ და მერაბ გალდავამ, „კანდელი", 2000, 86 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ლოცვანს, რომელსაც დართული აქვს ამბები წმინდანთა ცხოვრებებიდან.

**ლოცვები სინანულისა ცოდვათა ჩვენთა მოტევებისათვის.**

რედ. მ. ქარსელაძე, დაიბეჭდა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოს თადეოზის (იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2010, 47 გვ.

გამოცემაში შესული ლოცვები ამოკრებილია კვირის ყოველი დღის საკითხავი სინანულის ლოცვებიდან, რომლებიც თქმულია წმინდანების: იოანე ოქროპირის, ისაак განშორებულის, ბასილი დიდის, ამონის, ტიმოთესა და

იოანე დამასკელის მიერ. კრებული გამოიცა ვანო ზუროშვილის საქველმოქმედო ღვაწლით.

**ლოცვანი სინანულისანი, მარხვისანი, შესვენებულთანი.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თინათინ მჭედლიშვილმა, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2004, 48 გვ.

წიგნში ლოცვებთან ერთად შესულია წმინდა მამების სიტყვები სინანულისა და მარხვის შესახებ: ღირსი მამა იოანე სინელის „თქმული სინანულისათვის,“ წმინდა იოანე ოქროპირის „სწავლა სინანულისათვის,“ წმინდა მღვდელმთავარ გაბრიელის „სიტყვა მარხვისათვის.“

**ლოცვები ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის 45 სასწაულთმოქმედი ხატისადმი.**

რედ. თ. გოგოჩაშვილი, იბეჭდება ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „აკრიანი“, 2012, 128 გვ.

წიგნში თავმოყრილია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ორმოცდახუთი სასწაულთმოქმედი ხატის წინაშე სათქმელი ლოცვები.

**ლოცვები (ყოველდღიური ლოცვები, კითხვანი აღსარებასა ზედა სახელმძღვანელოსამებრ).**

თარგმნა დეკანოზმა პეტრემ (კონჭოშვილიმა), რედ. ც. ინწკირველი, „ახალი ტბეთი“, თბილისი, 1993, 143 გვ.

პუბლიკაციაში შემოთავაზებული ლოცვანი და მოკლე სამოძღვრო დარიგებები შედგენილია მოსკოვის ტრიფონის ეკლესიის მღვდლის, ღვთისმეტყველების მაგისტრის, გრ. დიაჩენკოს მიერ.

**ლოცვაჲ წმიდისა ეფთჳმე მთაწმიდელისაჲ.**

საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2008, 35 გვ.

**მატრიაშვილი ქეთევან (მონაზონი). ლოცვად ღვთისმოყუარეთად.**

რედ. ე. ჭელიძე, 2008, 14 გვ.

გამოცემა წარმოადგენს უსასყიდლო საჩუქარს მსურველთათვის. მასში თავ-

მოყრილია სხვასხვა ლოცვა. ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრების 30 წლისთავს.

**მახარაძე ევგენია (მონაზონი), ჯორბენაძე დინარა (სამონაზვნე). საკითხავნი, ლოცვანი და საგალობელნი პალესტინისა და სინას მთის სიწმიდეთა მომლოცველთათვის.**

რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2008, 247 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს კრებულს. მასში თავმოყრილია ამონარიდები წმ. წერილიდან, ის მონაკვეთები, რომლებიც ამა თუ იმ წმინდა ადგილს უკავშირდება, აგრეთვე, საგალობლები, რომელთა წარმოთქმა სასურველია სიწმინდეებთან მიახლოებისას. საღვთო წერილის ტექსტები ამოღებულია სათანადო კრიტიკული გამოცემებიდან, საგალობლები – სხვადასხვა საღვთისმსახურო წიგნიდან.

**მოკლე ლოცვები პატარებისათვის „ილოცევდით ყოველსა ჟამსა“.**

დაბეჭდილია უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2003, 16 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია მოკლე ლოცვები ბავშვებისათვის. ტექსტს ახლავს ფერადი ილუსტრაციები.

**პარაკლისი, გალობა სავედრებელი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა.**

თბილისი, 1999, 32 გვ.

**პარაკლისი, გალობა სავედრებელი წმიდისა კეთილმსახურისა მეფისა დავითისა.**

თბილისი, 1999, 20 გვ.

პუბლიკაციაში შემოთავაზებული პარაკლისის ტექსტი გამოკრებილია სადღესასწაულო თვენიდან.

**პარაკლისი და დაუჯდომელი საგალობელი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ, გალობანი სუეტისა ცხოველისანი.**

რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, თბილისი, 2007, 174 გვ.

გამოცემა ეფუძნება XII საუკუნის პანეგირიკულ ნაწარმოებებს – „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისა“ და სვეტიცხოვლის დღესასწაულისთვის შედგენილ ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ განგებას. იგი შედგენილია დიდი მოღვაწის, კათოლიკოს-პატრიარქ ნიკოლოზ პირველის (გულაბერიძე) მიერ. ორივე ძეგლი ჩვენამდე მოღწეულია XVII-XVIII საუკუნეების ხელნაწერებით. აქვე იბეჭდება სავედრებელი ლოცვა-გალობა „სუეტისა ცხოველისა“. დაუჯდომელი შედგენილი და გამოცემულია კორნელი კეკელიძის მიერ 1917 წელს პატრიარქ ნიკოლოზ გულაბერიძის „საგალობლისა“ და „საკითხავის“ ბოლოს დართული „გიხაროდენის“ მიხედვით. წინამდებარე გამოცემაში შევსებული და შესწორებულია არასრული სახით წარმოდგენილი კონდაკები და იკოსები.

**პარაკლისი და დაუჯდომელი საგალობელი ყოველთა წმინდათა.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა დეკანოზმა მიქაელ გალდავამ, რედ. ე. ჭელიძე, იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა–კურთხევით, 2004, 47 გვ.

**პარაკლისების კრებული.**

რედ. თ. გოგოჩაშვილი, „გვირგვინი“, თბილისი, 2007, 424 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილი პარაკლისების კრებული შედგენილია თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკაში გამოყენებული საღვთისმსახურო ტექსტების მიხედვით. კერძოდ, გამოკრებილია საღვთისმსახურო წიგნიდან „თვენი“ და გამართულია ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით.

**პარაკლისი სავედრებელი ყოვლადწმიდისა სამებისა.**

თბილისი, 1999, 32 გვ.

**პარაკლისი სავედრებელი წმიდისა წინაჲსწარმეტყველისა ილიაჲსი.**

მცხეთა, 2008, 38 გვ.

პარაკლისი შედგენილია 1865 წელს გამოცემული სადღესასწაულო „თვენის“ მიხედვით.

**პარაკლისი სავედრებელი ყოვლადწმიდისა სამებისა; სადიდებელ-სავედრებელნი გალობანი ყოვლადწმიდისა სამებისა.**

შეადგინეს ზაზა სოსიაშვილმა და თორნიკე ტეფნაძემ, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტი.

ტექსტები შედგენილია უძველესი იადგარისა და წმინდა გიორგი მთაწმინდელისეული პარაკლიტონის მიხედვით. გამოცემა ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრებას.

**პარაკლისი სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოსა. დაუჯდომელი სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოსა.**

დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მცხეთა, 2010, 48 გვ.

**პარაკლისი ღირსი იოანე ზედაზნელისა და ათთორმეტთა მოწაფეთა მისთა.**

რედ. ე. ჭელიძე, დაიბეჭდა რუსთაველ მიტროპოლიტ ათანასეს (ჩახვაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „გორგასალი“, რუსთავი, 2004, 31 გვ.

პუბლიკაციაში შემოთავაზებული პარაკლისი არის სავედრებელი ლოცვა წმინდა ცამეტი ასურელი მამის მიმართ.

**პარაკლისი ყოვლადწმიდისა სამებისაჲ.**

რედ. ე. ჭელიძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლოკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2008, 36 გვ.

**პარაკლისი ყოველთა წმიდათა საქართველოს სამოციქულოჲსა ეკლესიისა.**

შეადგინა ზაქარია მაჩიტაძემ, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2002, 24 გვ.

**საგალობელი დაუჯდომელი, უფროჲსად კურთხეულისა, დიდებულისა, დედუფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა.**

საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო-ბეჭდვითი ცენტრი, თბილისი, 2000, 32 გვ.

ბროშურაში შესულია დოგმატური სწავლება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწული მარიამის აღიარების შესახებ, ღვთისმშობლის დაუჯდომელი საგალობელი და ღირსი ფილოთეოს კონსტანტინოპოლელ არქიეპისკოპოსის ლოცვა ღვთისმშობლის მიმართ.

**საგალობელნი წმიდისა პასექისანი.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „ნათლისმცემელი", თბილისი, 2003, 15 გვ.

ბროშურაში თავმოყრილია აღდგომის მსახურების საგალობლები.

**სახლთხუციშვილი მაია. იქ, სადაც წირვა არწივთა ფრთებქვეშ აღევლინება. პარაკლისი სავედრებელი წმიდა იოანე ნათლისმცემლისა.**

დაიბეჭდა სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის ეპისკოპოს იეგუდიელის (ტაბატაძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2008, 32 გვ.

გამოცემა მიზნად ისახავს, მცირე წვლილი შეიტანოს დარიალის ხეობაში არსებული მეექვსე საუკუნის წმ. იოანე ნათლისმცემლის სალოცავის აღდგენაში. აქ წარმოდგენილია წმ. იოანე ნათლისმცემლის სავედრებელი პარაკლისი. ასევე, მოყვანილია გეოგრაფიული და ისტორიული ცნობები დარიალის ხეობის შესახებ.

**სინანულის აკათისტო (დედათათვის, რომელთაც ჩვილნი მოწყვიდნეს საკუთარ საშოში).**

თარგმნა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 1998, 39 გვ.

წიგნში საუბარია მოუნათლავად გარდაცვილილი ჩვილების შესახებ. აქვე იბეჭდება ლოცვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი და ლოცვა უფლის მიმართ „მორწმუნისა დედისა საშოში ნებსით მოკლულ ყრმათა სულთათვის".

**სინანულის კანონი (უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიმართ).**

დაიბეჭდა მიტროპოლიტ სერგის (ჩეკურიშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2001,

21 გვ.

გამოცემა მომზადებულია პარაკლიტუს მონასტერში (საბერძნეთი, ატიკა, ოროპოსი). წიგნი დაიბეჭდა ღვთის მონა პანაიოტის ხელშეწყობით და წარმოადგენს მის უანგარო საჩუქარს ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის.

**სოსიაშვილი ზაზა, ნიკოლაიშვილი ვახტანგ. პარაკლისი ყოვლადწმიდისა სამებისა.**

რედ. ო. ნიკოლაიშვილი, იბეჭდება ბოლნისის მთავარეპისკოპოს თადეოზის (ჩახვაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2005, 44 გვ.

**ტარყაშვილი ნინო. ყოველდღიური ლოცვანი მთავარანგელოზთა მიმართ.**

რედ. იღუმენია ნინო (გრიგოლაძე), თბილისი, 2010, 15 გვ.

ბროშურაში მოკლედ არის გადმოცემული მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება ანგელოზთა შესახებ და მოცემულია სავედრებელი ლოცვები მთავარანგელოზთა მიმართ კვირის დღეთა მიხედვით.

**ღამისთევის ლოცვა.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1999, 86 გვ.

პუბლიკაციაში შესულია ღამისთევის ლოცვა და ლიტურგია. ტექსტს დართული აქვს კომენტარები. წიგნი ხელახლა გამოიცა 2004 წელს.

**ღვთაების სავანე.**

დაიბეჭდა ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოს დანიელის (დათუაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2000, 44 გვ.

წიგნში შესულია ღირსი მამის, ანტონ მარტყოფელის ბიოგრაფია და პარაკლისი, ლოცვა ყოვლადწმინდა სამებისადმი საქართველოს მთლიანობისა და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისათვის და ღვთისმშობლის დაუჯდომელი საგალობლები. ტექსტს ერთვის მცირე საღვთისმეტყველო სწავლებები.

**ღირსი მამის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება და ღვაწლი, სავედრებელი პარაკლისი, დაუჯდომელი საგალობელი.**

შადგინა და გამოსცა თინათინ მჭედლიშვილმა, იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2004, 88 გვ.

წიგნში შესულია წმ. გრიგოლ ხანცთელის დაუჯდომელი და პარაკლისი, რომლის შედგენისას გამოყენებულია „1074 წლის ათონური ხელნაწერის საგალობელი კანონები".

**Yოველდღიური ლოცვები.**

ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ქართველ მართლმადიდებელ სტუდენტთა საძმო, დაბეჭდილია უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მოსკოვი, 1995, 75 გვ.

გამოცემა წარმოადგენს ორენოვან – ქართულ და რუსულ ლოცვანს. წიგნს ერთვის წმინდა იოანე კრონშტადტელის (ივანე ილიას ძე სერგიევი, 1829-1908) სიტყვა ლოცვის შესახებ, რუსულ ენაზე.

**ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კანონი.**

თარგმნა ლუკა მრელაშვილმა, დაიბეჭდა ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოს დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2007, 28 გვ.

ბროშურაში შეტანილია კანონი, რომელიც დადგენილია თავად ღვთისმშობლის მიერ VIII ს-ში. პუბლიკაციაში მოცემულია კანონის განმარტებაც.

**ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის დაუჯდომელი პატივად მისი სასწაულმოქმედი ხატისა „ბარძიმი შეუსმელი".**

თარგმნა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა, რედ. ს. გოგინაშვილი, თბილისის სასულიერო აკადემია, 2002, 39 გვ.

ბროშურაში შესულია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის „ბარძიმი შეუსმელი" დაუჯდომელი და წმინდა დიმიტრი როსტოველის (ერისკაცობაში დანიელ ტუპტალო, 1651-1709) შრომა „მემთვრალეობის ათი მწარე მტევანი".

**შვიდგზის ლოცვები.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2006, 59 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ლოცვების კრებულს, რომლებიც იკითხება

დღის განმავლობაში შვიდჯერ ერთსა და იმავე დროს.

**შვიდგზის ლოცვანი.**

„მთაწმინდა“, 2010, 15 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს ლოცვების კრებულს, რომლებიც იკითხება დღის განმავლობაში შვიდჯერ ერთსა და იმავე დროს.

**შვიდგზის ლოცვა განმარტებებით.**

შემდგენელნი: ნიკოლოზ ბერიაშვილი, თეკლა დათაშვილი, მაია ჯალიაშვილი, რედ. დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი, 2009, 112 გვ.

წიგნში შეტანილია ყოველდღიური ლოცვები, რომელთაც დართული აქვს განმარტებები წმინდა მამების სწავლებათა გათვალისწინებით.

**შიომღვიმის მამათა მონასტრის საძმო. პარაკლისი ღირსისა მამისა ჩუენისა შიო მღვიმელისა.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II ლოცვა-კურთხევით, 2000, 24 გვ.

ბროშურაში სავედრებელ ლოცვასთან ერთად გადმოცემულია წმინდა შიო მღვიმელის ცხოვრება და მოღვაწეობა.

**Ცხორება და ღვაწლი, სავედრებელი პარაკლისი, დაუჯდომელი საგალობელი წმინდა გრიგოლ ხანძთელისა.**

შეადგინა თინათინ მჭედლიშვილმა, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2007, 96 გვ.

წიგნში სავედრებელ პარაკლისთან ერთად შეტანილია მონათხრობი წმინდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და მესხეთისა და შავშეთ-კლარჯეთის ისტორიული რუკა.

**ცხოვრება და ღვაწლი, სავედრებელი პარაკლისი, დაუჯდომელი საგალობელი წმიდისა და კეთილმსახურისა მეფისა თამარისი.**

შეადგინა თინათინ მჭედლიშვილმა, დაიბეჭდა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2007, 96 გვ.

წიგნში მოთხრობილია წმინდა თამარ მეფის ცხოვრებისა და ღვაწლის შეს-

ახებ. სავედრებელი პარაკლისისა და დაუჯდომელი საგალობლის ტექსტს საფუძვლად დაედო წმინდა თამარის „ცხოვრებათა“ და შუა საუკუნეების სადვთისმსახურო (ლიტურგიკული) ტექსტები.

**ცხოვრება წმინდისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა (სავედრებელი წმიდისა და ყოვლად ქებულისა ანდრია პირველწოდებულისაჲ).**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2002, 24 გვ.

**წამებაჲ და დაუჯდომელი წმიდისა დიდისა მოწამისა ბარბარესი.**

„ლაზარე“, თბილისი, 2004, 63 გვ.

წმინდა დიდმოწამე ბარბარესადმი მიძღვნილი „კონდაკნი და იკოსნი“ ანუ „დაუჯდომელი“ უთარგმნია XVIII-XIX საუკუნეების მოღვაწეს, მღვდელ იოანე ბაზლიძეს 1820 წელს ბარბარე საგინაშვილის თხოვნით. ტექსტს საფუძვლად უდევს ავტოგრაფული ნუსხა (A 319). საგალობელი დაცულია, აგრეთვე, სხვა ხელნაწერებშიც (H 2855, Q 553). დაუჯდომლის ტექსტი ექვთიმე კოჭლამაზაშვილის მიერაა მოწოდებული.

**წამებაჲ და პარაკლისი წმიდისა დიდისა მოწამისაჲ ეკატერინესი.**

ტექსტი შეადგინეს მცხეთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის დედებმა, 2011, 39 გვ.

გამოცემა ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 33-ე წლისთავს. წამების ტექსტი გამოცემულია ათანასე მალემწერლის მიერ სინას მთაზე გადაწერილი ხელნაწერის (სინ. 71) მიხედვით, ხოლო პარაკლისი შედგენილია მიქაელ მოდრეკილის (X ს.) „უძველესი იადგარიდან“ გამოკრებილი გალობებით.

**წამება და ღვაწლი, დაუჯდომელი საგალობელი წმიდათა და დიდთა მოწამეთა, არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინესი.**

შეადგინა თინათინ მჭედლიშვილმა, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „შარავანდი“, 2007, 52 გვ.

წიგნში მოთხრობილია არგვეთის მთავრების, დავით და კონსტანტინე მხეიძეების (VIII ს-ის I ნახ.) წამება და ღვაწლი. ტექსტს ახლავს დაუჯდომელი საგალობელი.

**წამება და ღვაწლი წმიდათა და დიდთა მოწამეთა, არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინესი, პარაკლისი.**

შეადგინა ლუკა ხუნდაძემ, რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა–კურთხევით, თბილისი, 2005, 36 გვ.

ბროშურაში წარმოდგენილია წმინდა და დიდებულ მოწამეთა, დავით და კონსტანტინეს, წამება და პარაკლისი. წამების ტექსტები (მეტაფრასული და სვინაქსარული რედაქციებისა) იბეჭდება „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებიდან" (გამოცემულია ილია აბულაძის რედაქციით, ტ. 3, 1971, ტ. 4, 1968, მცირეოდენი ორთოგრაფიული ცვლილებებით). პარაკლისი კი შედგენილია მათი სადღესასწაულო განგების საგალობლების „სადღესასწაულოს" 1865 წლის გამოცემის მიხედვით.

**წამებაჲ და დაუჯდომელი გალობაჲ წმიდისა დიდმოწამისა ბარბარესი.**

რედ. ბ. იორდანიშვილი, იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მცხეთა, 2002, 48 გვ.

წმინდა დიდმოწამე ბარბარეს „წამების" ტექსტი ძველი ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. იგი შესულია ისეთ უძველეს კრებულში, როგორიცაა „პარხლის მრავალთავი" (Xს.), აგრეთვე, სინას მთისა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრებში დაცულ ხელნაწერებში (XI-XIIსს.). პუბლიკაციაში შემოთავაზებულ ტექსტს საფუძვლად უდევს ათონის მთის ივირონის მონასტრის ხელნაწერი, რომელიც 1003 წელსაა დაწერილი.

**წამება და ღვაწლი, პარაკლისი და დაუჯდომელი წმიდისა დიდისა მოწამისა აბო თბილელისა.**

შეადგინა თინათინ მჭედლიშვილმა, დაიბეჭდა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2009, 80 გვ.

აბო თბილელის დაუჯდომელი შედგენილია იოანე საბანისძის თხზულებისა „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამის ქრისტჱსისა ჰაბოჲსი" და სხვა უძველესი საღვთისმსახურო ტექსტების გამოყენებით. გამოცემაში შესულია სავედრებელი პარაკლისიც.

**წმინდა გიორგის წამება და საკვირველებანი, პარაკლისი, დაუჯდომელი.**

შეადგინა თინათინ მჭედლიშვილმა, ნებადართულია დასაბეჭდად საქა-

რთველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2004, 56 გვ.

წიგნში მოკლედ არის გადმოცემული წმინდა გიორგის ცხოვრება. ტექსტს დართული აქვს წმინდანის სავედრებელი პარაკლისი და დაუჯდომელი.

**წმიდა გიორგის წამება და საკვირველებანი, ქებანი და შესხმანი, სავედრებელი პარაკლისი, სადიდებელ-სავედრებელი გალობანი.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თინათინ მჭედლიშვილმა, დაიბეჭდა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით, 2003, 95 გვ.

წიგნში მოთხრობილია წმინდა გიორგის წამებისა და მის მიერ აღსრულებული სასწაულების შესახებ და შესულია წმინდანის სავედრებელი ლოცვები და პარაკლისი. გამოყენებულია სადღესასწაულო უძველესი იადგარის ტექსტი, ხოლო მხატვრული გაფორმებისათვის – ხელნაწერი წიგნების მინიატურების ორნამენტები.

**წმიდა მოწამე ტრიფონი (დაუჯდომელი ლოცვა წმიდა მოწამის ტრიფონისი, ლოცვა წმიდა მოწამე ტრიფონისი).**

თარგმნა ნელი გიგოლაევამ. შეადგინა კარლო ბუაჩიძემ, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2001, 56 გვ.

წიგნში წმინდა მოწამე ტრიფონის დაუჯდომელსა და ლოცვასთან ერთად შესულია მისი ცხოვრებაც.

**წმიდა მღვდელმოწამე აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება, დაუჯდომელი საგალობელი.**

ავტორ-შემდგენელი ნათელა თევდორაშვილი, რედ. გ. თოდუა, იბეჭდება ნეკრესელ მიტროპოლიტ სერგის (ჩეკურიშვილი) ლოცვა-კურთხევით, „ნეკრესი“, 2010, 48 გვ.

წიგნში წარმოდგენილია წმინდა აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება, ღვაწლი და შესულია მისი დაუჯდომელი საგალობელი.

**წმინდა მცველი და მფარველი ანგელოზი.**

73 გვ.

წიგნში იბეჭდება გალობანი მფარველი ანგელოზის მიმართ.

**წმ. იოსებ მგალობელი, სავედრებელი საშინელისათვის ძვრისა.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ქსენია გრიგოლაძემ (სამონაზვნე), საქართველოს საპატრიარქოს პრეს-ცენტრი, 2002, 12 გვ.

ბროშურაში შესულია სავედრებელი გალობა, რომელიც იკითხება მიწისძვრის საფრთხისაგან დასაცავად.

**წმიდა ნიკოლოზის პარაკლისი, დაუჯდომელი, სადიდებელი გალობანი.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თინათინ მჭედლიშვილმა, დაიბეჭდა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით, „სტამბა“, 2003, 87 გვ.

წიგნში წარმოდგენილია ორიგინალის ტექსტთან შეჯერებული დაუჯდომლის ვარიანტი. პარაკლისის ტექსტი გამოკრებილია წმინდანის სადღესასწაულო მსახურებიდან.

**წმინდა ნიკოლოზის დაუჯდომელი და სადიდებელ-სავედრებელი გალობანი.**

იბეჭდება მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით, 2003, 87 გვ.

წიგნში ლოცვების ტექსტს დართული აქვს წმინდანის ცხოვრების მოკლე აღწერა.

**ხუთი ნაბიჯი ქრისტესკენ.**

წიგნი იბეჭდება ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) ლოცვა-კურთხევით, ქუთაისი, 2006, 91 გვ.

კრებულში შესულია ყოველდღიური ლოცვები, შვიდგზის ლოცვები და წმინდა მამათა დარიგებები.

**ხუთგზის ლოცვანი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელისა მიმართ დღითიდღე სათქმელი.**

თარგმნა თამარ ერისთავმა, რედ. ზ. მუჯირი, წიგნი იბეჭდება ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, „სამება“,

თბილისი, 2002, 15 გვ.

ბროშურაში შესულია წმინდა მღვდელმთავარ დიმიტრი როსტოველის (ერისკაცობაში დანიელ ტუპტალო, 1651-1709) მიერ შედგენილი ხუთგზის ლოცვანი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიმართ.

**ხურცილავა ილია (მღვდელ-მონაზონი). პარაკლისი წმიდისა წინაჲსწარმეტყუელისა ელია თეზბიტელისაჲ.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2009, 38 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს წმინდა ელია თეზბიტელის პარაკლისს, რომლის ტექსტი შედგენილია სადღესასწაულო თვენის მიხედვით. ბროშურაში მოცემულია ისტორიული ცნობებიც ელია წინასწარმეტყველის შესახებ.

**ხუნდაძე ლუკა. პარაკლისი წმიდათა და დიდთა მოწამეთა ბიძინასი, ელისბარისა და შალვასი.**

რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2005, 39 გვ.

წმინდა დიდმოწამეთა ბიძინას, ელიზბარისა და შალვას (XVII ს.) პარაკლისი შედგენილია მათი სადღესასწაულო განგების საგალობლებით. პუბლიკაციაში შესულია წამების ტექსტიც (სვინაქსარული რედაქციისა), რომელიც იბეჭდება „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებიდან."

**ჯანმრთელობის პარაკლისი (ყოველ სნეულებათაგან აღმადგინებელი).**

თარგმნა ჟ. ბეროზაშვილმა, რედ. მ. ქარსელაძე, გამოსცა ოთარ ნიკოლაიშვილმა, წიგნი დაიბეჭდა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოს თადეოზის (იორამაშვილი) ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2010, 51 გვ.

პუბლიკაციაში შემოთავაზებული ჯანმრთელობის პარაკლისი თარგმნილია ძველი რუსული ლოცვანიდან.

## კალენდრები

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1978.**

დაიბეჭდა მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საკათოლიკოსოს გამოცემა, თბილისი, 1978, 280 გვ.

წიგნში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად შესულია უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის საახალწლო ეპისტოლე, საქართველოს ეკლესიის მამამთავართა სია, ხალხური კალენდარი, უმთავრესი ლოცვები, განმარტებულია ახალი აღთქმის შვიდი საიდუმლოს არსი, ტაძრის მნიშვნელობა, წარმოდგენილია რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1103 წ.) მოკლე მიმოხილვა, მოთხრობილია 1917 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ, გადმოცემულია სიონის ტაძრის ისტორია და სხვ.

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1979.**

შემდგენელი – მთავარეპისკოპოსი შიო, ქუთათელ-გენათელი და ნიკორწმინდელი, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საკათოლიკოსოს გამოცემა, თბილისი, 1979, 395 გვ.

წიგნში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად შესულია უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის საახალწლო ეპისტოლე, დაბეჭდილია მისი ბიოგრაფია, საქართველოს ეკლესიის მამამთავართა სია, ხალხური კალენდარი, უმთავრესი ლოცვები, განმარტებულია ახალი აღთქმის შვიდი საიდუმლოს არსი, წარმოდგენილია „კანონნი წმიდათა მოციქულთანი“, გადმოცემულია რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1103 წ.) მოკლე მიმოხილვა, მოთხრობილია 1917 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ, ასევე, ფსალმუნებისა და მათი ავტორის ისტორია, ახსნილია ფსალმუნთა კითხვის წესი და მნიშვნელობა, შეტანილია საქართველოს მეფეთა გენეალოგია (IX-XIX სს.), სიონის ტაძრის ისტორია და სხვ.

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი (მცირე), 1980.**

საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1980, 71 გვ.

წიგნში წარმოდგენილია ძირითადი კალენდარული მაჩვენებლები, საეკლე-

სიო სამახსოვრო დღეები, უდიდესი საეკლესიო დღესასწაულები, სამოქალაქო უქმეები და ღირსშესანიშნავი დღეები. თარიღები მოცემულია ძველი და ახალი სტილით.

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1981.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 1981.

გამოცემაში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად იბეჭდება: იოანეს სახარება და საქმე მოციქულთა (ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ).

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1982.**

იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1982, 77 გვ.

კალენდარში შესულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის საახალწლო ეპისტოლე, წმ. სინოდის წევრთა სია და ძირითადი კალენდარული მაჩვენებლები.

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1983.**

დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1983, 121 გვ.

გამოცემაში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად იბეჭდება მათეს სახარება, მარკოზის სახარება, კათოლიკე ეპისტოლენი და ფსალმუნნი – გიორგი მთაწმინდელის რედაქცია.

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1984.**

იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1984, 126 გვ.

კალენდარში იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პარტიარქ ილია II-ის საახალწლო ეპისტოლე, წმ. სინოდის წევრთა სია და ძირითადი კალენდარული მაჩვენებლები. ამასთან ერთად, შესულია ლუკას სახარება, იოანეს სახარება, საქმე მოციქულთა, იოანეს გამოცხადება – გიორგი მთაწმინდელის რედაქცია. კალენდარს, ასევე, ერთვის წმინდანთა სახელების

განმარტება.

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1985.**

იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1985, 522 გვ.

წიგნში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად მოცემულია ადრეული პერიოდის ეკლესიის გამორჩეული მოღვაწის, ნეტარი ავგუსტინეს (IV-V სს.) ცნობილი ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „აღსარება", სადაც გადმოცემულია წმიდანის მოქცევის, მისი სულიერი ფერისცვალებისა და ინტელექტუალური განვითარების ისტორია. თარგმანი რუსულიდან შეასრულა ვასილ ბურკაძემ.

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1986.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1986, 48 გვ.

ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად წიგნში შეტანილია რამდენიმე პარაკლისი, დაუჯდომელი და წმინდანთა ცხოვრება.

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987.**

იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის,ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1987.

გამოცემაში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად იბეჭდება დიდი სჯულისკანონი (თანამედროვე ქართულ ენაზე).

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1988.**

იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1988, 629 გვ.

გამოცემაში ძირითად კალენდარულ მაჩვენებელთა გარდა იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის საახალწლო ეპისტოლე, ეკლესიური წესით ცხოვრებისათვის საჭირო ყველა მნიშვნელოვანი ლოცვა, სხვადასხვა წმინდანის დაუჯდომლები და პარაკლისები. პუბლიკაციაში შესულია, აგრეთვე, „ეპისტოლენი წმინდისა ეგნატე ღმერთშე-

მოსილისანი“. (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო ედიშერ ჭელიძემ).

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1989.**

იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1989.

გამოცემაში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად იბეჭდება სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად, 1911 წლის გამოცემის მიხედვით, წმინდა გრიგოლ ნოსელი, „პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“ (ოთხი ხელნაწერის მიხედვით ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ედიშერ ჭელიძემ), წმინდა აბბა თალასე, „სიყვარულის, მარხვისა და სულიერი მოქალაქობის შესახებ“ (სამი ხელნაწერის მიხედვით ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ანდრია ბოროდამ).

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1990.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 1990, 243 გვ.

წიგნში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად იბეჭდება კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს (ოქროპირიძე, 1861-1921) ქადაგებები და იოანე ოქროპირის (IV ს.) თხზულება „ოქროს წყარო“.

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1991.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 1991.

წიგნში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად იბეჭდება წმინდა ანტონ დიდის (III-IV სს.) სწავლანი კრებულიდან „სათნოებათმოყვარეობა“ (თარგმნა ვასილ ბურკაძემ). ღირსი აბბა დოროთე, სწავლანი (ტექსტი გამოიცა ათონის ახალი ივერიის იოანე ღვთისმეტყველის სავანის თანადგომით).

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1992.**

წიგნზე მუშაობდნენ მამუკა ახვლედიანი, გრიგოლ ბულია, გოჩა ოდიშელიძე, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწ-

მინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1992, 478 გვ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ძირითადი კალენდარული მაჩვენებლები. წიგნში, ასევე, შესულია სახელმძღვანელოები ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა შესასწავლად (შედგენილი ა. პ-სის მიერ, გამოცემა „მწყემსის" რედაქციისა, 1909 წ.), გზა ცხოვრებისა (შედგენილია ქუთაისის წმინდა გიორგის ეკლესიის დეკანოზის, ნესტორ ყუბანეიშვილის მიერ), წმინდანთა, საქართველოს ეკლესიის მამამთავართა, მეფე-ერისმთავართა და მართლმადიდებელ პატრიარქთა სახელების ჩამონათვალი.

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1993.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 1993.

ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად გამოცემაში შესულია: მანანაჲ ანუ შესხმანი (წიგნი შედგენილია დავით გარეჯის მონასტერში მე-18 ს-ში. იბეჭდება ათონის ახალი ივერიის იოანე ღვთისმეტყველის სავანის თანადგომით. მასში თავმოყრილია შესხმანი მაცხოვრის, ჯვრის, ღვთისმშობლის მიმართ. ტექსტს ერთვის მცირე განმარტებები). მოთხრობები მამათა ცხოვრებიდან (შეადგინა მარინა ნიაურმა), იოანე ოქროპირის „ქრისტიანული ქორწინება" (ძველბერძნულიდან თარგმნა მაია ინდუაშვილმა).

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1994.**

იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1994.

ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად წიგნში იბეჭდება მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის შრომა „ქართული ეკლესია XVII-XVIII საუკუნეებში"; ასევე, „წესი ქრისტიანის ცხოვრებისა" (შეადგინა დეკანოზმა პავლე ფაჩუაშვილმა).

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1995.**

სათვეო კალენდრის შემდგენელი მ. ახვლედიანი, წიგნის რედ. გ. რუხაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1995, 432 გვ.

წიგნში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად შესულია ფსალ-

მუნთა განმარტებანი წმიდისა ბასილი დიდისა, კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსისა (ძველბერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ) და ეპისკოპოს ალექსანდრე სემიონოვ-ტიან-შანსკის მართლმადიდებლური კატეხიზმო (თარგმნეს გ. კოპლატაძემ და გ. ტონიამ). წიგნს უძღვის უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის საშობაო ეპისტოლე.

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1996.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1996, 375 გვ.

წიგნში, სათვეო კალენდართან ერთად, წარმოდგენილია ლიტურგიკული ხასიათის წერილები: კერძო მსახურებათა (ნათლობა, ქორწინება, მეორე ქორწინების განგება, მცირე სქემის კურთხევა, პანაშვიდის წესი და განგება) და საზოგადო მსახურებათა შესახებ; საგალობელთა ხმებზე შესრულებისა და საეკლესიო ტიპიკონის სხვა მოთხოვნათა შესახებ; ასევე, ლიტურგიკული ტექსტები: ტიპიკონები და უმცირესის კითხვის წესი. გამოცემაში შესულია ლოცვები მხედრული და ხუცური დამწერლობით.

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1997.**

სათვეო კალენდრის შემდგენლები: თ. ბარაბაძე, ი. მამნიაშვილი, სადღესასწაულო საკითხავების შემდგენლები: გ. სამსონაძე, გ. ჩიჩილიძე, რედ.: გ. კოპლატაძე, გ. რუხაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1997, 240 გვ.

წიგნში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად შესულია დიდ საეკლესიო დღესასწაულებთან დაკავშირებული საკითხავები.

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1998.**

იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1998.

წიგნში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად იბეჭდება მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ნაშრომი „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია."

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1999.**

იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1999, 202 გვ.

წიგნში იბეჭდება ძირითადი კალენდარული მაჩვენებლები.

**საბავშვო საეკლესიო კალენდარი, 1999.**

ავტორები: მიქაელ წურწუმია (დეკანოზი), ბასილ კობახიძე (დეკანოზი), სოფო საყვარელიძე, ირმა წერეთელი, თამარ მოლოდინაშვილი, ნინო ზარიძე, იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1999, 187 გვ.

პუბლიკაცია წარმოადგენს კალენდარს, რომელშიც ჩართულია რამდენიმე მონათხრობი უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულებთან დაკავშირებით, წმინდანთა ცხოვრებები, განმარტებანი მარხვის, აღსარების, ზიარების შესახებ.

**საეკლესიო სამედიცინო კალენდარი, 2000.**

ავტორი ვახტანგ ახალაძე, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2000, 74 გვ.

წიგნში ძირითადი კალენდარული მაჩვენებლების გარდა შესულია უვერცხლო მკურნალთა და სხვა წმინდანთა ცხოვრებანი, წმინდა მამათა გამონათქვამები, მოწოდებულია ინფორმაცია სხვადასხვა მცენარისა თუ საკვების სამკურნალო თვისებების შესახებ.

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2000.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2000.

წიგნში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად შესულია: წმინდა ბასილი დიდის თხზულება „ჰომილები ექვსი დღისათვის“ (ძველი ბერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ).

**საეკლესიო ლიტერატურული კალენდარი, 2000.**

ავტორები: ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, მალხაზ კობიაშვილი, ნანა ჭუნიაშვილი, თემურ შალვაძე, გოჩა კუჭუხიძე, ნინო რუხუნი. რედ. ლ. ხაჩიძე, 2000, 356 გვ.

წიგნში მოცემულია 2000 წლის სათვეო კალენდარი. აქვე იბეჭდება რამდენიმე ლიტერატურული ნაწარმოები და გამოკვლევა.

**საეკლესიო სასოფლო-სამეურნეო კალენდარი, 2000.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2000, 397 გვ.

სასოფლო-სამეურნეო კალენდარი შედგენილია ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას" თანამშრომელთა მიერ. იგი გვაწვდის ინფორმაციას სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგზე, თანამედროვე ეკოლოგიურ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე. თავმოყრილია ცნობები ტრადიციული ქართული ჯიშებისა და წინაპართა გამოცდილების შესახებ.

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2001**.

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2001, 298 გვ.

წიგნში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად იბეჭდება ნ. ლომოურის (XIX ს.) სტატიები: „საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება" და „საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია". ამასთან ერთად, წარმოდგენილია წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე, XIX ს.) ქადაგებათაგან გამოკრებილი სწავლებანი.

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2002.**

შეადგინეს დავით სიხარულიძემ, გენადი კომახიძემ, მაკრინე კიკვიძემ, სალომე შაფათავამ, რედ. სამონაზვნე სიდონია (დარჩია), საქართველოს საპატრიარქო, ბათუმისა და სხალთის ეპარქია, 2002, 191 გვ.

გამოცემაში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად შესულია წმინდა მამათა სწავლებანი ქორწინების შესახებ.

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2003**.

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2003.

გამოცემაში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად იბეჭდება

ნარკვევი „ქრისტიანული ეკლესიის ისტორია IV-VI საუკუნეებში" (შეადგინა გვანცა კოპლატაძემ ალექსანდრა ბახმატევას სახელმძღვანელოს მიხედვით).

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2004**.

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2004.

წიგნში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად იბეჭდება ნარკვევი „ქრისტიანული ეკლესიის ისტორია VII-XI საუკუნეებში" (შეადგინა გვანცა კოპლატაძემ ალექსანდრა ბახმატევას სახელმძღვანელოს მიხედვით).

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2005**.

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2005.

წიგნში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად იბეჭდება მცირე საეკლესიო ენციკლოპედია (შეადგინეს გვანცა კოპლატაძემ და გრიგოლ რუხაძემ, ლიტურგიკული საკითხების რედაქტორი მღვდელი თეიმურაზ ბარაბაძე).

**საბავშვო საეკლესიო კალენდარი, 2005**.

სარედაქციო ჯგუფი, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2005, 376 გვ.

გამოცემაში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებს დართული აქვს უდიდესი საეკლესიო დღესასწაულების ჩამონათვალი.

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2006**.

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2006.

წიგნში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად შესულია ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის მათეს სახარების განმარტება (ძველი ბერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ, რედ.: გრ. რუხაძე, მ. მჭედლიძე).

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2007.**

სათვეო კალენდრის შემდგენელი მღვდ. თ. ბარაბაძე, დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2006, 368 გვ.

წიგნში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად შესულია კრებული „მამული, ენა, სარწმუნოება" (შეადგინეს გვანცა კოპლატაძემ და გრიგოლ რუხაძემ),რომელშიც თავმოყრილია და ანბანურ რიგზე დალაგებული წმ. ილია მართლის (ილია ჭავჭავაძე) ამ დრომდე გამოქვეყნებული ყველა პუბლიცისტური წერილიდან გამოკრებილი ეროვნულ-პოლიტიკური, სოციალური, კულტურულ-ზნეობრივი თუ სასულიერო საკითხები. ნაშრომის შედგენისას გამოყენებულია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეული, რომელიც დაიბეჭდა პავლე ინგოროყვას რედაქციით 1951-1961 წლებში და ილიას თხზულებათა ოცტომეულის ამ დროისათვის უკვე გამოცემული შვიდი ტომი (1987-2005). ნაშრომს უძღვის ნარკვევი, რომელშიც ასახულია დიდი ქართველი მოღვაწის ცხოვრება და ღვაწლი. 2007 წლის საეკლესიო კალენდარი ეძღვნება წმ. ილია მართლის (1837-1907) დაბადებიდან 170 წლის იუბილეს.

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2008.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2008.

წიგნში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად შესულია „ქრისტიანული ეკლესიის ისტორია" (შეადგინა გვანცა კოპლატაძემ, რედ. გრ. რუხაძე).

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2009.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2009, 399 გვ.

წიგნში კალენდარული მაჩვენებლების გარდა მოცემულია მცირე საეკლესიო ენციკლოპედია – II ნაწილი (შეადგინეს გვანცა კოპლატაძემ და გრიგოლ რუხაძემ).

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2010.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათო-

ლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2010.

წიგნში ძირითად კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად იბეჭდება გრიგოლ ნოსელის „შესაქმისათვის კაცისა“ (ძველი ბერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ, რედ: გრ.: რუხაძე, მ. მჭედლიძე).

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2011.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გა-მომცემლობა, თბილისი, 2011.

ძირითად კალენდარულ მაჩვენებელბთან ერთად წიგნში შესულია წმ. ბასილი დიდის თხზულება „ახალგაზრდებს იმის თაობაზე, როგორ მიიღონ სარგებლობა წარმართული მწერლობიდან“ (ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვა და შენიშვნები დაურთო გვანცა კოპლატაძემ, რედ.: მ. მჭედლიძე, გ. რუხაძე). პუბლიკაციაში შეტანილია, აგრეთვე, „საღმრთისმეტყველო ლექსიკონი-ცნობარი, I“ (ავტორი გრიგოლ რუხაძე, რედ. გ. კოპლატაძე).

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2012.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2012.

წიგნში კალენდარული მაჩვენებლების გარდა შესულია წმ. იოანე დამასკელის ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის თხზულება „შესავალი დოგმატიკის საფუძვლებისა“ (ბერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ).

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2013.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2013.

წიგნში კალენდარული მაჩვენებლების გარდა შესულია წმ. იოანე დამასკელის „სამი აპოლოგეტური სიტყვა წმიდა ხატთა შესახებ“ (პირველი და მეორე სიტყვა ძველი ხელნაწერებიდან გადმოწერა გიორგი ლობჟანიძემ, კრიტიკულად დაადგინა გრიგოლ რუხაძემ, მესამე სიტყვა ძველი ბერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ).

**საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2014.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2014.

წიგნში კალენდარული მაჩვენებლის გარდა შესულია წმ. ბასილი დიდის შრომა „სულიწმინდის შესახებ" (ძველი ბერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ). პუბლიკაციას დართული აქვს სათვეო კალენდარში მოხსენიებული წმინდანთა სახელების განმარტება.

**საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კალენდარი, 2015.**

დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2015.

კალენდარულ მაჩვენებლებთან ერთად წიგნში შეტანილია 2014 წლის ფოტოგალერეა. იგი მოიცავს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ეპისკოპოსთა ხელდასხმის და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის კვიპროსის მართლმადიდებელ ეკლესიაში ოფიციალური ვიზიტის ამსახველ ფოტოებს. გამოცემას დართული აქვს უცხოეთის ქართული სამრევლოებისა და ეპარქიების ჩამონათვალი და რუკები.

# ს ა რ ჩ ე ვ ი


**წინათქმა** ---------------------------------------------------------------------------- 7

**წმინდა წერილის გამოცემები** ---------------------------------------------------- 12

ძველი აღთქმა -------------------------------------------------------- 12

ახალი აღთქმა -------------------------------------------------------- 13

ფსალმუნები ---------------------------------------------------------- 19

სამეცნიერო გამოკვლევები ----------------------------------------- 21

**წმინდანი ავტორები** ------------------------------------------------------------ 23

**საეკლესიო მწერლები** ---------------------------------------------------------- 58

მხატრული ლიტერატურის ნიმუშები ------------------------------ 109

**საერო ავტორები** ------------------------------------------------------------------ 113

**კრებულები, თარგმანები, გამოკვლევები, სხვადასხვა**

კრებულები ------------------------------------------------------------ 243

თარგმანები ----------------------------------------------------------- 298

გამოკვლევები -------------------------------------------------------- 324

სხვადასხვა ------------------------------------------------------------ 341

**ლოცვები, კალენდრები**

ლოცვები --------------------------------------------------------------- 360

კალენდრები ---------------------------------------------------------- 382

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის
გამომცემლობა
2015

კომპიუტერული უზრუნველყოფა და ტექნიკური რედაქტორი
შორენა ფარქოსაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, სიონის ქ. №13/40.

E-mail: gamomcemloba@mail.ru

Address of editorial Board:
13/40, SIONI STR. TBILISI.

დაიბეჭდა

გამომცემლობა „მერიდიანში“
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47
ტელ.: 239-15-22
E-mail: meridiani777@mai.ru